

კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაერთა
ეროვნული ცენტრი

გიორგი ლომიძის სახელობის ქართული ლიტერატურის
სახელმწიფო მუზეუმი

დიმიტრი ყიფიანი

თხზულებანი

ათ ტომად

დიმიტრი ყიფიანი

თხზულებანი

ტომი I

პოეზია
პროზა
თარგმანები

შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, შენიშვნები,
კომენტარები და საძიებლები დაურთო

თამაზ ჯოლოგუაძე



გამომცემლობა არტანუჯი
თბილისი

დიმიტრი ყიფიანის თხზულებათა ათტომეულის პირველ ტომში შესულია ავტორის პოეტური და პროზაული ნაწარმოებები, აგრეთვე, რამდენიმე თარგმანი. შემდგომ ტომებში შევა დიმიტრი ყიფიანის პუბლიცისტური, ლიტერატურული, საისტორიო, იურიდიული თხზულებები, ტექსტები ბატონყმობისა და თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის შესახებ, ავტობიოგრაფიული ნაწერები (მათ შორის, დღიურები და „მემუარები“), სახელმძღვანელო „ახალი ქართული გრამატიკა“, რეცენზიები, საჯაროდ წარმოთქმული სიტყვები, სხვადასხვა ტიპის ჩანაწერები, დაუმთავრებელი თხზულებები და, დასასრულ, ოფიციალური, საქმიანი და კერძო მიმოწერა.

დიმიტრი ყიფიანის ნაწერები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი აქამდე არ გამოქვეყნებულა, მრავალმხრივ საინტერესო მასალაა XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის და, ვფიქრობთ, დააინტერესებს როგორც სპეციალისტებს, ისე მკითხველთა ფართო წრეს.

რედაქტორები:

ბაგო ბაჟუაშვილი

რევაზ გომია

ISBN 978-9941-

© თამაზ ჯოლოგუა, 2016

„ამისთანა კაცი მზესა ჰგავს, რომელსაც ბრმაც-კი ჰგრძნობს, თუმცა არა ჰხედავს“.

ილია ჭავჭავაძე

„აი, სწორედ იმისთანა დევ-გმირზე, როგორც იყო განსვენებული დიმ. ყიფიანი, ითქმის, რომ „მოვიდა ქვეყნად და ქვეყანასაც ბევრი რამ არგოო!“.

აკაკი წერეთელი

„როდესაც ზედმინევნით გავეცნობით დიმიტრის აზროვნების ხასიათს, მის სოციალ-პოლიტიკურ სიმპატიებს და ლტოლვილებას, დავრწმუნდებით, რომ ამ ადამიანის დასაფასებლად არ გამოდგება ჩვეულებრივი საზომი, რომლითაც ვზომავთ ინტელიგენტ-მოღვაწის ფიზიონომიას... თავი და თავი ნამდვილი დიმიტრის აღმოჩენაა... და თუ ეს მოვახერხეთ, მაშინ ჩვენ არაფრის უნდა გვეშინოდეს, რადგან ყოველი ნაკლი და აზრის შეცდომა დაიფარება იმ დიადის სულის სანახაობით, რომელიც გადიშლება ჩვენს თვალწინ“.

არჩილ ჯორჯაძე

„მაშინდელ საქართველოს არ შეეძლო სხვანაირად მოქცევა, სხვა გზას ვერ დაადგებოდა და დიმიტრი ყიფიანიც ქადაგებდა მეგობრობას და მოთმინებას. ასე აზროვნებდა იგი, როგორც წინამძღოლი ხალხისა“.

შალვა ამირეჯიბი

სარჩევი

თ. ჯოლოგუა

დიმიტრი ყიფიანი – შტრიხები პორტრეტისთვის..... 9

პოეზია

შედარება 47

ქვიშხეთის მთაწმინდა 49

ძველი მეგობრის პასუხი 53

ქალი..... 56

პროზა

ეკატერინე ჩიჩუა – გურიის უკანასკნელი მთავრის
ასული (თარგმნა თ. ჯოლოგუამ)..... 67

ამ მთისა, იმ მთისა და სხვათა შორის წოდებრიობისათვის
ამიერკავკასიაში (თარგმნა თ. ჯოლოგუამ)..... 87

ჩემო გულითად საყვარელო თეიმურაზ!..... 139

თავად ანჩაბადისა და თავად ინალიშვილის
ქალის ანბავი..... 143

თურქმენული ცხენი..... 148

უცნაური ნადირობა..... 168

სასაცილო ლაპარაკი 182

თარგმანები

უილიამ შექსპირი. ორი ვერონელი აზნაური 187

მოლიერი

ცოლის შერთვევინება..... 297

სიყვარული მკურნალობს..... 327

სიყვარული მხატვრობს..... 355

შენიშვნები და კომენტარები

ტექსტისათვის..... 385

დამონმებანი 453

შემოკლებანი 475

საძიებლები:

პირთა 477

გეოგრაფიულ სახელთა 558

დიმიტრი ყიფიანი – შტრიხები ჰორტრეტიკისთვის

დიმიტრი ყიფიანი დაიბადა 1814 წლის 14 (26) აპრილს გორის მაზრის სოფელ მერეთში.* მამა დიმიტრისა, აზნაური ივანე (ქოჩო) ყიფიანი, აბაშიძეების მოურავი იყო ქვიშხეთში, მაგრამ თავის ბატონთან მწვავე კონფლიქტის გამო გაეცალა სააბაშიო ტერიტო-

* ჩვენ აქ ანგარიშს ვუწევთ ტრადიციას და ვიმეორებთ წყაროებსა და ლიტერატურაში – მათ შორის, დიმ. ყიფიანის ნაწერებში – დამკვიდრებულ თარიღს, რომელიც სწორი არ ჩანს. მეტრიკის მიხედვით, დიმ. ყიფიანი 1811 წლის 14 აპრილსაა დაბადებული, ხოლო იმავე წლის 4 ივლისს იგი მერეთის წმ. გიორგის ეკლესიაში მოუნათლავს მღვდელ იოსებ ფურცელაძეს (სცსსა. ფონდი 2. აღწ. 1. საქ. 2357, ფ. 150; დანელია 1993-1994: 424-425). მიზეზი თარიღის გადაკეთებისა უნდა იყოს შემდეგი გარემოება – ძმამ, ქაიხოსრო ყიფიანმა, დიმიტრი თბილისის სემინარიასთან არსებულ სამრევლო სასწავლებელში 1823 წლის 1 სექტემბერს შეიყვანა. ამ დროს დიმიტრი მეცამეტე წელიწადში იქნებოდა გადამდგარი, სასწავლებელში კი უფრო მცირე ასაკის ყმანვილებს იღებდნენ. ძმისთვის მომავალი რომ არ დაეკარგა, ქაიხოსრო იძულებული იქნებოდა, მისთვის რამდენიმე წელიწადი ჩამოეკლო, რაც მან, როგორც ჩანს, დაბადების მოწმობის გადაკეთებით მოახერხა. შემდგომში კი ოფიციალურად დადასტურებული თარიღის კვლავ შეცვლა დიმ. ყიფიანს აღარ უცდია (საკითხის გარშემო იხ. ჯოლოგუა 2002: 30-33; საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 238-240). უნდა ითქვას, რომ დიმ. ყიფიანის დაბადების თარიღთან დაკავშირებული შეუსაბამობა შენიშნული აქვს ისტორიკოს მაქს. ბერძნიშვილს, რომელიც თვლიდა, რომ დიმიტრი 1811 წელსაა დაბადებული (ბერძნიშვილი 1983: 209). ბოლო დროს გ. ყორანაშვილმაც დიმიტრი ყიფიანის დაბადების თარიღად 1811 წელი მიიჩნია (ყორანაშვილი 2009: 42-44).

რიას, გადავიდა სოფელ მერეთში, ცოლად შეირთო აზნაურ ქაიხოსრო ფურცელაძის ქალიშვილი ბარბარე და იქვე, მერეთშივე, დამკვიდრდა (შემორჩენილია იოანე ევგენის ძე აბაშიძის ბარათი ქოჩოსადმი, რომელშიც იოანე ქოჩო ყიფიანს „მამის ჩემის მამთხრელს და მისი შვილების ძვლების მჭამელს“ უწოდებს, თანაც „მუხლისჩოქვით“ ევედრება, დამეხსენ, რომ არ მოგკლავ – ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ., №1898, ფ. 1).

ბარბარე ფურცელაძესა და ქოჩო ყიფიანს ეყოლათ რვა შვილი, რომელთაგან დიმიტრი ნაბოლარა იყო. ქოჩო გარდაიცვალა 1814 წელს (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ., №511, ფ. 2; საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 237) და ამის შემდეგ მამით დაობლებული დიმიტრის აღზრდა-პატრონობა დედასთან ერთად თავს იდგა უფროსმა ძმამ ქაიხოსრომ, რომელმაც 1823 წელს დიმიტრი თბილისის სასულიერო სემინარიასთან არსებულ სამრევლო სასწავლებელში მიაბარა, ხოლო მომდევნო წელს ნაბოლარა ძმა, რომელმაც სწავლის დაუოკებელი წყურვილი და უჩვეულო სიბეჯითე გამოიჩინა, კეთილშობილთა სასწავლებელში გადაიყვანა.

1830 წელს დიმ. ყიფიანმა დაამთავრა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი. იმავე წელს სასწავლებელი გიმნაზიად გადაკეთდა, მაგრამ ხელმოკლეობის გამო დიმიტრიმ გიმნაზიაში სწავლა ვეღარ გააგრძელა. გიმნაზიის ხელმძღვანელობას კი, თავის მხრივ, არ უნდოდა ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდის დაკარგვა. 1830 წლის ნოემბერში სათანადო გამოცდის შემდეგ დიმიტრი გიმნაზიაში მასწავლებლად მიიღეს, ხოლო 1831 წლის თებერვალში იგი ამ თანამდებობაზე ოფიციალურად დაამტკიცეს. რამდენიმე თვის შემდეგ (არა უგვიანეს 1831 წლის შუახანისა) საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე გამოსული დიმიტრი ყიფიანი ცნობილი შეთქმულების მონაწილეა და აჯანყებისთვის ემზადება...

ცხოვრება დიმიტრი ყიფიანისა იყო უაღრესად საინტერესო, საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენებით მდიდარი, ამასთანავე – ტრაგიკული ფურცლებით აღსავსე. მან გამოცადა ხელი-

სუფლების აღიარებაცა და დევნა-შევიწროებაც, სამი შვილისა და შვილიშვილის გარდაცვალების სიმწარე, განუწყვეტელი ხელმოკლეობა, ორჯერ ინვანია სამშობლოდან გადასახლების სუსხი... და, მიუხედავად ამისა, მისი ნება და სტოიკური ხასიათი ერთხელაც არ შერყეულა. საქვეყნო საქმეებს გადაგებული, საქვეყნო საქმეებშივე პოვებდა სულიერ საყრდენსა და წონასწორობას. „თუკი ჩემი სამსახური სასარგებლო იქნება, პირველ რიგში იგი სასარგებლო უნდა იყოს ჩემი სამშობლოსათვის“, – სწერს 1860 წელს ცარსკოე-სელოდან დიმიტრი თავის მეუღლეს, ნინო ჭილაშვილ-ყიფიანს (ყიფიანი 14794: ფ. 1). სამშობლოსთვის იღვწოდა, მისი ინტერესებისთვის იბრძოდა დიმიტრი ყიფიანი მთელი სიცოცხლე; მასვე შესწირა ნიჭი, ცოდნა, შრომა, ფიზიკური თუ ინტელექტუალური ენერგია, სამსახურებრივი კარიერა, ოჯახური სიმშვიდე და კეთილდღეობა და, ბოლოს, სიცოცხლეც (საინტერესოა, სხვათა შორის, შალვა ამირეჯიბის აზრი: „საქართველო რომ ბედნიერი ყოფილიყო, დიმიტრი ყიფიანს ვერავინ მოჰკლავდა, მაგრამ ისიც კი სათქმელია, საქართველო რომ სულ გათახსირებული ყოფილიყო, მაშინ საჭიროც არ იქნებოდა მისი სიკვდილი“ – ამირეჯიბი 1997: 47).

დიმიტრი ყიფიანს საზოგადოებრივ საქმიანობათა შეგრძნების განსაცვიფრებელი უნარი ჰქონდა – XIX საუკუნის 40-80-იანი წლების საქართველოში იშვიათია ეროვნული მიზანდასახულობის რამდენადმე მნიშვნელოვანი წამოწყება, რომლის ინიციატორი, ორგანიზატორი ან განმსაზღვრელი მნიშვნელობის მონაწილე იგი არ ყოფილიყო: საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზება, პროფესიული ქართული თეატრის დაარსება, ეროვნული ჟურნალისტიკის ჩამოყალიბება, თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“, „ქართული დრამატიული საზოგადოების“ დაფუძნება და სხვ.; ამიტომაც უწოდებდნენ დიმიტრი ყიფიანს „ჩვენს ხუროთმოძღვარს“ (ი. ჭავჭავაძე – ყიფიანი 1940: 141), „მადლით ცხებულ და ქვეყნისადმი მიჩენილ მადლიან არსებას... ჩვენს დიდებულ მოძღვარს“ (ა. წერეთელი – წერეთელი 1961^ა: 274; წერე-

თელი 1997: 124), „მედგარს, ენერგიულსა და პატიოსნების იშვიათ განსახიერებას, მეტისმეტად დიდი ჭკუის, განუზომელი უნარის პატრონს... მთლიან, ნათელ ნატურას, ურყევს პირველი დღეებიდანვე უკანასკნელ დღემდე“ (ნ. ნიკოლაძე – ნიკოლაძე 1964: 311-312), „[მოლვანეს, რომლის] სახელი ალბეჭდილია ქართულ ეროვნულ შემეცნების ისტორიაში“ (ა. ჯორჯაძე – ჯორჯაძე 1989: 585), „უაღრეს პატრიოტს... ფხიან მუშაკს და მეთაურს ქართული საქმეებისა“ (ე. თაყაიშვილი – თაყაიშვილი 1968: 332) და სხვ.

არსებითი მნიშვნელობის თვისებები დიმ. ყიფიანის ხასიათისა, შორსმჭვრეტელობა და უკლებლივ ყველა სასარგებლო საქმისადმი თანაბრად გამახვილებული ყურადღება, შენიშნული აქვს აკაკი წერეთელს: „ყოველდღიურ ავსა და კარგს უყურადღებოთ არ სტოვებდა!.. არც ერთ სასარგებლო საქმეს არ ერიდებოდა! ეს პატარაა, ეს გარეულია, ეს არ მეკადრება, ეს ბევრს არ მოეწონებო და სხვანი არ იცოდა. ყოველგან მონაწილე იყო თუ საქმით, თუ სიტყვით და რჩევით. ზოგიერთებსავით იწროთ არ ჰქონდა შემოფარგლული სარბიელი! ყოველი მხრით ეჭირა თვალ-ყური!.. თუ პირად ველარ მიწვდებოდა, ხმას მაინც მიაწვდენდა! ამას რომ არ სჯერდებოდა. გონების თვალი უჭრიდა, მომავალშიაც გადადიოდა. ამ თავითვე წარმოიდგენდა ხოლმე, მომავალში რა იყო საჭირო და რაზედ უნდა გვეზრუნა...“ (წერეთელი 1961: 274-275).

თანამედროვენი დიმიტრი ყიფიანს მიიჩნევდნენ არა მარტო დიდ მოღვაწედ და მამულიშვილად, არამედ შეუდრეკელი რწმენისა და კრისტალური პატიოსნების მაგალითადაც [„კაცი ჯერ პატიოსანი უნდა იყოს და მერე ამ გრძნობას დაუმორჩილოს ყველა თავისი ადამიანური მოვალეობა“, – სწერს დიმ. ყიფიანი მეუღლეს, ნინო ჭილაშვილ-ყიფიანს (ყიფიანი 14802: ფ. 2); მეუღლისადმი გაგზავნილ სხვა წერილში კი დარწმუნებით ამბობს: „პატიოსანი სახელის მეტს ვერაფერს ვუტოვებ ჩემს შვილებს. და სანამ ჩემზეა დამოკიდებული, ამ სახელს არ გავცვლი არც ჯამაგირზე, არც ჩინებსა და ორდენებზე“ (ყიფიანი 14785: ფ. 1)].

ეროვნული მნიშვნელობის პირველი საქმე, რომელშიც დიმიტრი ყიფიანს ვხედავთ, არის 1832 წლის შეთქმულება. უკანასკნელი დროის კვლევებმა დაადასტურა, რომ დიმიტრი შეთქმულების რიგითი ან შეთქმულთა მხოლოდ „ლიტერატურული ჯგუფის“ წევრი კი არ იყო, როგორც ეს ადრე მიიჩნეოდა, არამედ მონაწილეობდა მომავალ აჯანყებასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა არსებითი საკითხის განხილვა-გადაწყვეტაში და ენერგიულად უჭერდა მხარს სახელმწიფოებრიობის აღდგენას შეიარაღებული აჯანყების გზით; ამასთანავე, ქმედითად იყო ჩართული 1820-1830-იანი წლების მიჯნის იმ კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესში, რომელიც მიზნად ისახავდა, ერთი მხრივ, ქართული კულტურის გამოცოცხლებასა და აღორძინებას, მის ევროპეიზაციას, ხოლო მეორე მხრივ, აჯანყებისათვის იდეოლოგიური ნიადაგის მომზადებას (ვრცლად საკითხის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ. ჯოლოგუა 2002: 54-73).

ავლაბრის სამხედრო ყაზარმებში პატიმრობის შემდეგ, 1834 წლის იანვარში, დიმ. ყიფიანი გადაასახლეს რუსეთში, ქალაქ ვოლოგდაში, საიდანაც სამშობლოში სამიოდე წელიწადში დაბრუნდა; დაბრუნდა სავსებით დარწმუნებული იმაში, რომ მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს იმპერიასთან ღია დაპირისპირება – მით უმეტეს, მასთან იარაღის ენით საუბარი – არა მარტო უპერსპექტივო საქმე, არამედ დამღუპველიც იქნებოდა საქართველოს მომავლისათვის.

გადასახლებაში ყოფნისას დიმ. ყიფიანმა, ჩანს, საფუძვლიანად გაიაზრა საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარება და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის უკიდურესად ტრაგიკულ შედეგებთან ერთად (სახელმწიფოებრიობის მოსპობა, ავტოკეფალიის გაუქმება, ეროვნული ინსტიტუტების შევიწროება-აღმოფხვრა, ოფიციალურ ენად რუსულის დამკვიდრება და ა. შ.) პოზიტიური ელემენტები და ინტელექტუალური ძალების კონსოლიდაციის მეშვეობით რეალურად შესაძლებელი სასიკეთო პერსპექტივებიც დაინახა: გადაულახავი, თავისი ხასიათით

დამანგრეველი პარტიკულარული მისწრაფებების აღმოფხვრა და ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული გაერთიანება, ამ გზით საუკუნეთა განმავლობაში დაშლილი საერთო-ეროვნული თვითშეგნების აღდგენა, გარეშე მტერთა თარეშისა და სისხლიანი შინააშლილობების აღკვეთა, მშვიდობიან პირობებში კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესების აღორძინება და განვითარება, აგრესიულად განწყობილი მაჰმადიანური გარემოცვის გარღვევა და ევროპულ სამყაროსთან კონტაქტების აღდგენა, შესაბამისად, რამდენიმესაუკუნოვანი იზოლაციისაგან თავის დაღწევა და საზოგადოებრივ-კულტურული და სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრების ევროპეიზაცია, დაკარგული ისტორიული ტერიტორიების შემოერთების პერსპექტივა... ამიტომაც გადასახლებიდან დაბრუნებული ახალგაზრდა დიმი. ყიფიანი სახელმწიფო სამსახურში ჩადგა და არაჩვეულებრივი გონიერების, გამჭრიახობისა და შრომისმოყვარეობის წყალობით იმდენად დანიშნურდა, რომ 1850-იან წლებში მეფისნაცვლის საბჭოს წევრი გახდა, ანუ იგი შედიოდა იმ სახელისუფლებო ელიტაში, რომელიც კავკასიას მართავდა.

არსებული პოლიტიკური სისტემის მიმართ დიმიტრი ყიფიანის – თხემით ტერფამდე მონარქისტის – ლოიალურ დამოკიდებულებას განსაზღვრავდა გიორგი XII-ის „სათხოვართა პუნქტები“, რომლითაც ქართლ-კახეთის კანონიერი („ღვთივკურთხეული“) მეფე თავის სამეფოს არსებითად რუსეთის უშუალო გამგებლობაში გადასცემდა. შესაბამისად, რუსეთის სახელმწიფოებრიობის ფარგლებში ქართველთა ეროვნული თვითარსებობის შენარჩუნება და განვითარება, დიმი. ყიფიანის აზრით, იყო არა მარტო **სამართლიანობის**, არამედ რუსული სახელმწიფოს **პასუხისმგებლობისა და მოვალეობის** საკითხი, ხოლო ეროვნული თვითმყოფობის შენარჩუნება-განვითარება – არა მარტო სურვილი და ნება ქართველი ხალხისა, არამედ მისი ხელშეუვალი **უფლებაც**. სწორედ ეს არის დიმი. ყიფიანისთვის ასიმილაციური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის **ლეგიტიმური და ლეგალური** საფუძველი (საგულისხმოა, რომ რუსეთის იმპერიისა და მისი პოლიტიკის

მიმართ თვით ისეთი უკიდურესი რადიკალიზმით გამორჩეული პოლიტიკური ფიგურაც კი, როგორც შალვა ამირეჯიბი იყო, დიმ. ყიფიანის პოლიტიკურ მსოფლმხედველობას ასე ახასიათებდა: „როცა ვუკვირდებით მის მოღვაწეობას, იძულებულნი ვართ გამოვტყდეთ, რომ მის მოქმედებაში ერთგვარი პოლიტიკური სიბრძნე იყო, გარდმოცემული მრავალ სახელმწიფოთა პრაქტიკისაგან. დიმიტრი ყიფიანი კავურის თანამედროვეა. ამ დიდებული იტალიელის ლოზუნგი მასაც გაზიარებული ჰქონდა: „იტალია ან უნდა მეგობრობდეს ავსტრიას, ან უნდა ეომებოდესო“. სხვა მდგომარეობა შეუძლებელი იყო. და ამის შემდეგ აღარ უნდა იყოს გასაკვირველი ის მოთმინება, რომელსაც ქადაგებდა დიმიტრი ყიფიანი. იგი, როგორც დაჩაგრულ ერის მოღვაწე, ბრწყინვალე წარმომადგენელი იყო ამ სკოლისა და რადგანაც ზედმინეწით იცოდა საქართველოს მდგომარეობა, მისი სისუსტე, იგი მოუწოდებდა ხალხს კულტურულ და ეკონომიურ მუშაობისაკენ. მაშინდელ საქართველოს არ შეეძლო სხვანაირად მოქცევა, სხვა გზას ვერ დაადგებოდა და დიმიტრი ყიფიანიც ქადაგებდა მეგობრობას და მოთმინებას. ასე აზროვნებდა იგი, როგორც წინამძღოლი ხალხისა“ – ამირეჯიბი 1997: 48-49).

ორიოდე სიტყვა საგანგებოდ უნდა ითქვას იმ სიტყვის შესახებ, რომელიც დიმ. ყიფიანმა 1848 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის შექმნასთან დაკავშირებულ ნადიმზე წარმოთქვა: „მერუსი ვარ ჩემის სამსახურით, ლუკმა პურით, რომელსაც ვჭამ და ჩემის აზრის მიმართულებით. მე ქართველი ვარ გვარტომით და მოძმეთა ენით. საჭიროა წაშლა იმ ლარისა, რომელიც ამ ორ სიტყვათა შორის არის გადებული, საჭიროა ორი სიტყვიდან – რუსი და ქართველი – ერთი სიტყვის შემუშავება, მათი მნიშვნელობის შედუღება ერთ მცნებაში, სიტყვითა და საქმით, საჭიროა აგრეთვე ამ შედუღებულ სიტყვის აღბეჭდვა როგორც მთავრობის, ისე ჩვენი ხალხის შემეცნებაში“ (ხუნდაძე 1936: 30; დიმ. ყიფიანის სიტყვის დედანი – ავტოგრაფული ტექსტი – იხ. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. 138). თუ დიმ. ყიფიანის ამ სიტყვებს ისტორიული კონტექსტის გარეშე განვიხილავთ, იგი ქარ-

თველთა დენაციონალიზაციის მომხრე გამოდის, თუმცა, ცხა-
დია, ეს ასე არ არის. დიმ. ყიფიანი ამ სიტყვებით არსებითად
ერთგულებას უცხადებს მიხ. ვორონცოვის „კავკასიურ პოლი-
ტიკას“ (საქართველო – „პოლიტიკურად გარუსებული, მაგრამ
თავის სარწმუნოებით, ენით და ეროვნულ ელფერით“ და პრო-
ცესების წარმართვა „საევროპო სწორის გზით“ – წერეთელი
1961³: 458). ამასთანავე, უნდა გავითვალისწინოთ თვალსაზრისი
დიმ. ყიფიანზე დაწერილი შესანიშნავი მონოგრაფიის ავტორის,
სიმონ ხუნდაძისა, რომელიც იმონებებს დიმიტრის ზემოხსენებულ
სიტყვას და დასძენს: „ჩვენ შევცდებით, თუ ვიფიქრებთ, რომ
დ. ყიფიანი ქართველი ერის დენაციონალიზაციისა და რუსებში
გათქვეფის მომხრე ყოფილიყოს, ყიფიანის პოლიტიკა და აზრო-
ვნება არსებითად ეწინააღმდეგებოდა ამგვარ დასკვნებს. მისი
მთავარი მიზანი იყო დაცვა ამ ორი პრინციპისა, **დაცვა ქარ-
თული ეროვნული ინტერესებისა და ინდივიდუალობის რუსე-
თის მონარქიზმის ჩარჩოებში, მისი მფარველობის ქვეშ** (ხაზი
ჩვენია – თ. ჯ.)... რომ დიმიტრი ყიფიანი დენაციონალიზაციის
მტერი იყო და პრინციპიალური მომხრე ქართული ნაციონალო-
ბისა, ამას ამტკიცებს მთელი მისი მოღვაწეობა და ბოლოს 80-იან
წლებში შეტაკება ადგილობრივ ხელისუფლებასთან, რასაც მოყვა
მისი ტრაგიკული დაღუპვა“ (ხუნდაძე 1936: 30).

დიმიტრი ყიფიანის „ფსიხიკაში და აზროვნებაში ძველი ტიპის
მამულიშვილის მოტივები სჭარბობდნენ“ (ჯორჯაძე 1989⁴: 425).
დიმიტრი, როგორც ითქვა, მონარქისტი იყო და მის შეგნებას
განსაზღვრავდა „ძველი ტიპის მამულიშვილის“ სახელმძღვანე-
ლო პრინციპი: ღმერთი, ხელმწიფე, მამული. „ხალხს, რომელსაც
აქვს მრავალსაუკუნოვანი სასახელო ისტორია, შეუძლებელია
მოვთხოვოთ მისი დავინწყება, ხოლო ჩვენი წინაპრებისა და ჩვე-
ნი ისტორიის ანდერძია: ღვთის რწმენა, ხელმწიფე-იმპერატო-
რის ერთგულ-ქვეშევრდომობა და მამულისათვის თავდადება“
(ყიფიანი 1995⁵: 80), – ასე მეტყველებს დიმიტრი ყიფიანი 1880-
იან წლებშიც კი, როცა საბედისწერო ბრძოლა აქვს გაჩაღებული
რუსეთის მონარქიის ნაციონალური პოლიტიკის წინააღმდეგ.

ბოლოს და ბოლოს, დიმიტრი ყიფიანი აყალიბებს შეხედულებას: იმ უკუღმართობებში, რომლებიც საქართველოში ხდება და მიმართულია ქართველი ერის ეროვნული თვითმყოფობის წინააღმდეგ, დამნაშავეა არა ღვთივკურთხეული მონარქი, რომელიც შეუძლებელია უსამართლო იყოს, არამედ მისი გარემოცვა, საქართველოში კი დამნაშავე ადგილობრივი ბიუროკრატიაა. დიმ. ყიფიანი თავის მახვილს უყოყმანოდ მიმართავს სწორედ ადგილობრივი, არსებითად რუსული, ბიუროკრატის წინააღმდეგ და ამით თავგანწირვით იცავს როგორც საკუთარ სამშობლოს, ისე, სხვათა შორის, ღირსებას „მოტყუებული“ მონარქისას, რომელიც, თავის მხრივ, როგორც ეს მის ხელმწიფურ დიდებას შეშვენის, თანაბრად ზრუნავს იმპერიაში შემავალ ყველა – მათ შორის, ქართველ – ხალხზე. ეს იყო მძაფრი ტრაგიზმით აღბეჭდილი მსოფლმხედველობრივი წინააღმდეგობა და დიმიტრი ისე ჩავიდა (ჩაიყვანეს) სამარეში, რომ ეს წინააღმდეგობა ვერ დასძლია (პოლიტიკური სისტემის მიმართ დიმ. ყიფიანის ლოიალობის შესახებ მსჯელობისას ის არსებითი მნიშვნელობის გარემოებაც უნდა გავითვალისწინოთ, რომ, დიმიტრის შეხედულებით, რუსეთის სახელმწიფოებრივი ორბიტიდან მონყვეტის შემთხვევაში საქართველო ისევ მტრულ სამეზობლო გარემოცვაში – ფაქტობრივად, ალყაში – აღმოჩნდებოდა, რაც ქვეყნისთვის ცივილიზებული სამყაროსგან იზოლაცია და გადარჩენა-განვითარების პერსპექტივის მოსპობას ნიშნავდა).*

* დიმიტრის შვილიშვილის, ნინო ნიკოლოზის ას. ყიფიანის, ცნობით, სიცოცხლის ბოლო წლებში დიმ. ყიფიანი ოჯახურ წრეში ამბობდა: „**ჯერ-ჯერობით** (ხაზი ჩვენია – თ. ჯ.) ჩვენი გაძლიერებისთვის საჭიროა, რო ვემორჩილებოდეთ მთავრობას, რო არ გაგვსრისოს ერთობით...“ (ყიფიანი 137: ფ. 2). ამ ცნობის სისწორეს უნდა ადასტურებდეს ის გარემოება, რომ დიმ. ყიფიანის ბოლოდროინდელ ტექსტებში შეფარული მუქარის ტონი ისმის: „საქართველოს ხალხზედ უფრო ერთგული ტახტისა მრთელს რუსეთს სხვა ხალხი არ ასხია... ასე ვართ ქართველები და ასე ვიქნებით, **მანამდისინ** (ხაზი ჩვენია – თ. ჯ.) ჩვენი ხალხსნობა დაცული გვექნება...“ (ყიფიანი 1995^ბ: 35-36).

დიმიტრი ყიფიანის ნააზრევსა და ნამოღვანარზე მსჯელობისას საგანგებო მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს **ეროვნული ხსნის პროგრამას**, რომელიც მან ჩამოაყალიბა 1840-იანი წლების დასაწყისში – ჩვენი ისტორიის ამ უმძიმეს მონაკვეთში, როცა საქართველოს „პოლიტიკურად დასნეულებული სხეული დასნეულებდა ზნეობრივად და გონებრივადაც. ორმოციანი წლებში უკვე დასრულებული იყო დეზორგანიზაცია ეროვნულ ცხოვრებისა“ (ჯორჯაძე 1989^ბ: 103).

ეროვნული ხსნის დიმიტრი ყიფიანისეულ პროგრამას საფუძვლად ედო თავადაზნაურულ-ლიბერალური განმანათლებლობის იდეოლოგია, რომელსაც იგი თანამიმდევრულად ავითარებდა და ნერგავდა კიდევაც პრაქტიკული მოღვაწეობით.

დიმიტრი ყიფიანის შეხედულებით, არსებულ ვითარებაში საჭირო იყო **პოლიტიკური სისტემის ფარგლებშივე** ინტენსიური და მიზანმიმართული კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის გაშლა და ამ გზით ქართველი ხალხის საერთო-ეროვნული თვითშეგნების აღდგენა და განვითარება. „განათლებალა არის ჩვენი ფეხზედ დამაყენებელი იმედი!“ (ყიფიანი 1864^ა: 16), – ამ სიტყვებით „გაფორმდა“ მოგვიანებით ის უნივერსალური ფორმულა, რომელიც 1840-იან წლებშივე დაუდო საფუძვლად დიმიტრი ყიფიანმა თავის სამოქმედო პროგრამას და რომელშიც ზედმინვენით იყო გათვალისწინებული იმდროინდელი პოლიტიკური რეალობა (მის. გაფრინდაშვილის შეხედულებით, XIX საუკუნეში დიმიტრი ყიფიანი „იყო ქართული პოლიტიკური რომანტიზმის უკანასკნელი იდეოლოგი და პოლიტიკური რეალიზმის უპირველესი დამფუძნებელი“ – გაფრინდაშვილი 1988: 68). აქვე ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ დიმიტრი ყიფიანის ლოიალობა პოლიტიკური სისტემის მიმართ ჯერ კიდევ 1840-იან წლებში არ ყოფილა უპირობო: „ჩვენ რუსეთის ქვეშევრდომნი ვართ და ამავე დროს ქართველნი, ჰვიქრობდა ყიფიანი. ქართველობით გვინდა გამოვიდეთ კულტურულ ასპარესზე. მაგრამ იცოდეთ კარგად, რომ „ქართველობა“ მოითხოვს ქართულ საზოგადოებრივ დაწესებულებათა არსებობას, ქართული ენის უზრუნველყოფას სკოლებსა

და ეკლესიაში. თუ ამას არ გვანებებთ, ჩვენი ქართველობა შეილახება და თუ შეილახება ქართველობა, შეილახება ჩვენი ერთგულების გრძნობაცაო. იმ ხანებში უფრო ფართოდ საკითხის დაყენება შეუძლებელი იყო...” (ჯორჯაძე 1909³)*.

განსაკუთრებით ხელსაყრელი ვითარება დიმ. ყიფიანის პროგრამის პრაქტიკული ხორცშესხმისთვის შეიქმნა კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის მმართველობის პერიოდში (1844-1854). ბრიტანულ დიპლომატიაზე აღზრდილი, ჭკვიანი და შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი მ. ვორონცოვი მიიჩნევდა, რომ ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნება წყარო იყო იმპერიის ძლიერებისა და არა – მისი სისუსტის მაჩვენებელი. იგი საქართველოში ფართო რეფორმისტული გეგმით ჩამოვიდა და ამ გეგმაში შედიოდა, ერთი მხრივ, რუსეთის იმპერიაში საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური შერწყმა-ასიმილაცია, ხოლო მეორე მხრივ, ქართული კულტურისათვის ხელის შეწყობა.

* იმის ნათელსაყოფად, რომ სახელმწიფო სამსახურში დიმ. ყიფიანი პატრიოტულ მიზნებს ემსახურებოდა, მრავალთაგან აქ მხოლოდ ერთ მაგალითს დავიმოწმებთ: კავკასიის ხელისუფლებაში გავლენიანი ფიგურა, იმჟამად მეფისნაცვლის საბჭოს წევრი და კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი ბარონი ალექსანდრე ნიკოლაი 1856 წლის 17 თებერვალს სწერს თავის ძმას, გენერალ-ლეიტენანტ ლეონტი ნიკოლაის (საქმე ეხება მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორად დიმ. ყიფიანის დანიშვნას): „მისი დანიშვნა მიმაჩნია ქმედებად, როცა სახელმწიფოს ინტერესები პირად შეხედულებებს ეწირება. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ, სამართლიანად თუ უსამართლოდ, ბარონ როზენის მთავარმართებლობისას ქართველთა შეთქმულებაში მონაწილეობდა და ამის გამო რუსეთში იყო გადასახლებული. უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ფაქტი თავისთავად შეუძლებელს ხდის, იგი სამოქალაქო საზოგადოების არბიტრი იყოს. მისი ნათესაური კავშირები, აზროვნების წესი, ხასიათი ამ თანამდებობისთვის შეუფერებელია... მისი დანიშვნა ახალი, წმიდა წყლის აბორიგენტთა, ეპოქის დასაწყისია ამ ქვეყნის სამოქალაქო მმართველობაში... ეს ფაქტი სამწუხაროდ მიმაჩნია და გამოგიტყდები, რომ ასეთი არჩევანი სევდიან ფიქრებს მგვრის“ (ტექსტი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. მოგვანოდა ც. ბიბილეიშვილმა).

ამასთანავე, მ. ვორონცოვი, თავისი წინამორბედებისა თუ მემკვიდრეებისაგან განსხვავებით, საგანგებო პატივისცემას გამოხატავდა ქართული ენის, ქართველი ხალხის ისტორიის, კულტურის, ადათ-წესებისა თუ ზნე-ჩვეულებების მიმართ (მ. ვორონცოვის „კავკასიური პოლიტიკის“ შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა საკითხის გარშემო იხ. ჯოლოგუა 2011: 121-145).

მ. ვორონცოვმა თავის უახლოეს თანამშრომლად შეარჩია დიმიტრი ყიფიანი – ახალგაზრდა, მაგრამ დიდად ნიჭიერი და უნარიანი სახელმწიფო მოხელე. და, ვინაიდან ახალი მეფისნაცვლის პოლიტიკა იძლეოდა საამისო საშუალებას, დიმიტრი ყიფიანმაც შესანიშნავად ისარგებლა შექმნილი ვითარებით და ენერგიულად შეუდგა საკუთარი პროგრამის განხორციელებას – აღნიშნულ პერიოდში იგი ზრუნავდა საზოგადოებაში მნივნილოვანი ინტერესების გაღვივებაზე, ეროვნული ჟურნალისტიკის აღორძინებაზე, პროფესიული ქართული თეატრის დაარსებაზე, განათლების სისტემის მოწესრიგებასა და გაუმჯობესებაზე, ისტორიული ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციაზე, მეცნიერული აზროვნების ჩამოყალიბებაზე, იცავდა ქართული ენის – ეროვნული თვითშეგნების ამ საფუძველთა საფუძვლის – ინტერესებს, იღვწოდა ქართული სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციისათვის, თარგმნიდა დასავლეთევროპულ მხატვრულ ლიტერატურას და ა. შ.

ერთი სიტყვით, 1840-1850-იან წლებში დიმიტრი ყიფიანმა, როგორც სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწემ, იდეურად და პრაქტიკული საქმიანობით განმსაზღვრელი როლი შეასრულა საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებისა და საზოგადოებრივი აზრის ეროვნული მიმართულებით წარმართვაში, მის ევროპეიზაციაში.*

* საქართველოში საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ცნობიერების – ზოგადად ეროვნული კულტურის (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) – ევროპეიზაციის პროცესში დიმიტრი ყიფიანის ადგილი და როლი ცალკე მსჯელობის საგანია. აქ კი მხოლოდ ორიოდ მაგალითს დავიმოწმებთ. ერთია დიმიტრი ყიფიანის მოხსენება, წაკითხული 1856 წლის 27

დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ დიმიტრი ყიფიანი ღირსეული მემკვიდრე იყო სოლომონ დოდაშვილისა (კერძოდ, დოდაშვილის კულტურულ-საგანმანათლებლო პოლიტიკისა) და წინამორბედი ილია ჭავჭავაძისა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, **დიმიტრი ყიფიანის აზროვნება, მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის ხასიათი და მიზანდასახულობა წარმოადგენს პოლიტიკურად ტრანსფორმირებულ, მაგრამ საზოგადოებრივ-კულტურული თვალსაზრისით შემაკავშირებელ ეტაპს, ამასთანავე, მსოფლმხედველო-**

დეკემბერს „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების“ კრებაზე, რომელშიც მოხსენების ავტორი ჩვენში მეურნეობრიობის ევროპეიზაციის – ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის მიზნის – განხორციელების გზებსა და საშუალებებზე მსჯელობს (ყიფიანი 1857). მეორე კი – 1864 წელს ჟურნალ „ცისკარში“ „მყვირალა (ქართლელი)“-ს ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილი „ჩვენი ნაცარქექეიბი“, რომელშიც ვკითხულობთ: „მეცხრამეტე საუკუნეში სირცხვილიც კია ჩვენ, ქართველებმა, არ ვიცოდეთ, ვინ სად როგორ არის, რასა ფიქრობს, რასა მოქმედებს და რას მიეღვის. დიახ, ჩვენ ვხედავთ, როგორათაც ევროპეილებსთ უყვარსთ თავიანთი მშობელი მამული და ცდილობენ მისს ამაღლებსათვის, ძლიერებისათვის და დიდებისათვის; ვხედავთ, როგორათაც ისინი მოულალავად მიეღვიან გონების განათლებასა, გულის განვითარებასა, ხელოვნების გამშვენიერებასა, და როგორათაც, ამიტომ შეუპოვრად და თავშენიშულობით ებრძვიან ბუნებასა, გამოიკვლევენ იმისს კანონებსა და, ჰპოებენ რა იმისს საიდუმლოებასა, გაავრცელებენ მით სწავლასა. სწავლა ნათელია და გვიჩვენებს კაცის დიდს დანიშნულებასა... ევროპეილების მაგალითი გვასწავლის, რომ კაცმა უნდა მოულალავად ამუშაოს გონება და ხელი, და უფრო საზოგადო სარგებლობისათვის. ნურავინ შეშინდება ფიქრით, რომ ისი დაჰკარგავს საკუთარს სარგებლობასა, თუ საზოგადო სარგებლობისათვის ღვანლს დასდებს. არა, ეგრე არ არის! ნაყოფი ერთის მხრით დიდად შეემატება მამულსა, მეორეს მხრით გადიქცევა პატრონისვე საკუთრებად და მით ისარგებლებს ისი. ყოველივე მზათა გვაქვს ევროპეილებისაგან მოფიქრებული, გაკეთებული და საქმეში შემოტანილი. ჩვენლა, რომელთაც არასფერზე შრომა არა გაგვიწევია-რა, გვრჩება მხოლოთ, რომ ეს მზათ შემუშავებული მივითვისოთ ჩვენ სასარგებლოთ...“ (ყიფიანი 1995⁸: 10-11).

ბრივ და იდეოლოგიურ „ხიდს“ „ოცდათორმეტიანელებსა“ და „თერგდალეულებს“ შორის.

დიდად საგულისხმოა, რომ ილია ჭავჭავაძე, როგორც მოაზროვნე და მესვეური საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებისა, როგორც ახალი, უფრო პროგრესული (ლიბერალურ-დემოკრატიული) მსოფლმხედველობისა და ნაციონალური იდეოლოგიის დამფუძნებელი, 1860-იანი წლების დასაწყისში მოეწვინა ქვეყანას – ამ დროის საქართველოში უკვე წარსულს ბარდებოდა ვორონცოვის მიერ გატარებული რბილი და ლოიალური, სამოქალაქო და კულტურული ცხოვრების აღმავლობაზე ორიენტირებული პოლიტიკური კურსი და იწყებოდა ღია რუსიფიკატორული პოლიტიკის განხორციელება. ამგვარ პირობებში კი მეტისმეტად ძნელი (არსებითად შეუძლებელი) იქნებოდა კულტურულ-იდეოლოგიური აღმშენებლობის გაგრძელება ვორონცოვისდროინდელი მეთოდებითა და ინტელექტუალური რესურსებით. ასე რომ, ერის ნებამ და ენერგიამ, რომელიც იმ დროისათვის, საბედნიეროდ, სიცოცხლისა- და მოქმედებისუნარიანი აღმოჩნდა, ილია ჭავჭავაძე და მისი თაობა მაშინ წარმოშვა, როცა ამის აუცილებლობა შეიქმნა და ის, რასაც ილია ზოგადად ამბობდა, „გენიოსი... ნაყოფია თავის დროებისა“ (ჭავჭავაძე 1953: 57), თვითონ ამ სიტყვების ავტორზეც უცილობლად უნდა ითქვას – ილია ჭავჭავაძე ნაყოფია „თავის დროებისა“. ხოლო ამგვარი „დროების“ მომზადებაში დიმიტრი ყიფიანის, როგორც 1840-1850-იანი წლების ქართული საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების მეთაურის, წვლილი განმსაზღვრელი მნიშვნელობისაა. უფრო მეტიც, ილია ჭავჭავაძის კულტურულ-საგანმანათლებლო პოლიტიკა არსებითად დიმიტრი ყიფიანის მიერ შემუშავებული და პრაქტიკულად დანერგული პროგრამის ორგანული გაგრძელება, მისი განვითარებული და სრულყოფილი ფორმაა.

დიმიტრი ყიფიანის აზროვნება, მისი პოლიტიკური, საზოგადოებრივ-კულტურული და საგანმანათლებლო მოღვაწეობის ხასიათი, მიმართულება და შედეგები არათუ შეესაბამება XIX საუ-

კუნის ფუნდამენტურ ეროვნულ იდეას – ქართველი ხალხის ეროვნულ, სოციალურ და კულტურულ კონსოლიდაციას – არამედ დიმ. ყიფიანი თვითონ წარმოგვიდგება ამ სასიცოცხლო იდეის ერთ-ერთ დამფუძნებლად. „თერგდალეულთა“ გამოსვლა სამოღვაწეო ასპარეზზე დიმიტრი ყიფიანისეული პროგრამის უდავო გამარჯვება იყო და ამიტომაც იგი მაშინვე „ჩაირიცხა ახალ მოღვაწეებში, სიტყვით, კალმით, საქმით, სულით და გულით მათთან იყო“ (წერეთელი 1958: 121).

სამეგრელოს სამთავრო სახლის ინტერესების დაცვისთვის დიმიტრი ყიფიანი 1862 წელს დაითხოვეს სახელმწიფო სამსახურიდან, მაგრამ, ცხადია, იგი არ ჩამოსცილებია საზოგადოებრივ ასპარეზს – სხვადასხვა წლებში საზოგადოების მიერ არჩეული იყო თბილისისა (1864-1870) და ქუთაისის (1885-1886) გუბერნიების თავადაზნაურობის წინამძღოლად („მარშლად“), თბილისის ქალაქის თავად (1875-1879) და სხვ.

სხვადასხვა წლებში დიმ. ყიფიანი მონაწილეობდა როგორც საიმპერიო, ისე კავკასიური მასშტაბით მოქმედი კულტურულ-საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობაში: 1851 წლიდან იყო „რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების“ წევრი (1856 წლიდან – განმკარგულებელი კომიტეტის წევრი), „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების“ ჯერ მმართველი საბჭოს წევრი (1850 წლიდან), შემდეგ კი (1860-იან წწ.) „საზოგადოების“ ვიცე-პრეზიდენტი და პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, „კავკასიის სამედიცინო საზოგადოების“ წევრი (1864 წლიდან), „თბილისის მუსიკალური საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, „კაზმულ ხელოვნებათა წამახალისებელი კავკასიის საზოგადოების“ მმართველობის დამფუძნებელი წევრი (1877 წლიდან) და სხვ.; აგრეთვე: „თბილისის საპატიმროებზე მზრუნველი კომიტეტის“ წევრი (1860-1870-იანი წწ.), „მეომართ ცოლ-შვილისთვის საზრუნველი საზოგადოების“ თავმჯდომარე (1877-1878) და სხვ.

თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის თხოვნით დიმ. ყიფიანმა შეადგინა საგლეხო რეფორმის პროექტი, რომლის საფუძველზეც (თუმცა მნიშვნელოვანი ცვლილებებით) იმპერატორმა ალექსანდრე II-მ 1864 წელს ბატონყმობა გააუქმა აღმოსავლეთ საქართველოში. დიმ. ყიფიანი პრინციპულად მხარს უჭერდა გლეხებისთვის თავისუფლების მინიჭებას, თუმცა მიწაზე საკუთრების უფლების გარეშე, ხოლო გლეხთა გაპროლეტარების თავიდან ასაცილებლად საჭიროდ მიიჩნევდა მათ გადაყვანას ხიზანთა იურიდიულ მდგომარეობაში. პროლეტარიატის შესახებ კი დიმ. ყიფიანი ჯერ კიდევ 1863 წელს წერდა: „პროლეტარიატი პოლიტიკური სხეულის ავადმყოფობაა; სადაც ის აღმოჩნდება, მაშინვე საჭირო არის მის განკურნებაზე ზრუნვა, რომ არ განვითარდეს მთელი ორგანიზმის საზიანოდ; ჩვენს ქვეყანაში ჯერ არსად, ღვთის წყალობით, არ აღმოჩენილა ნიშნები მსგავსი ავადმყოფობისა; მაგრამ გონება მოითხოვს წინასწარ სიფრთხილეს, – მოითხოვს წინასწარ დაცვით ზომებს; ამიტომ უნდა ვსთქვათ, რომ მკურნალობა ახლავე არის აუცილებელი“ (ხუნდაძე 1936: 142). საგლეხო რეფორმის დიმ. ყიფიანისეული პროექტის შესახებ არჩილ ჯორჯაძეს უწერია: „მას ასულდგმულებად ორი აზრი, – ერთის მხრით იგი აღფრთოვანებული იყო ადამიანის თავისუფლების იდეით, მეორეს მხრით, ამ დიდი იდეის განხორციელება ისე უნდოდა, რომ არ შერყეულიყო სოციალური წყობილების მშვიდობიანობა და მემამულენი ძალიან არ დაზარალებულიყვნენ. უფლებრივი თავისუფლება, ხოლო ეკონომიური დამოკიდებულება – აი ფორმულა დ. ყიფიანის პროექტისა“ (ჯორჯაძე 1989: 442).

ეროვნული მიზანდასახულობისა და მნიშვნელობის პირველი ნამოწეება, რომელსაც უშუალოდ დიმიტრი ყიფიანმა ჩაუყარა საფუძველი, იყო **„ტფილისის კერძო სამხანაგო ბიბლიოთეკა“** (1842-1848). დიმიტრი იყო „ბიბლიოთეკის“ დაარსების ინიციატორიც, ორგანიზატორიც, უშუალო ხელმძღვანელიც, ხოლო ამ საქმეში მისი თანამდგომნი (დამფუძნებელი წევრები) იყვნენ:

ალ. ჭავჭავაძე, ნიკ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი, ვ. ორბელიანი, ელიზბ. ერისთავი, მიხ. თუმანიშვილი, ზ. ფალავანიშვილი და სხვ.; „ბიბლიოთეკა“ დაკომპლექტებული იყო რუსეთიდან გამოწერილი, საქართველოშივე მოპოვებული თუ შემონიშნული მღვდელი ქართული, რუსული, დასავლეთევროპული (ძირითადად, ფრანგული) წიგნებითა და პერიოდული გამოცემებით. როგორც ბიბლიოთეკის წესდების ზოგიერთი პუნქტის, აგრეთვე, წევრთა მიმონერიდან ირკვევა, დიმ. ყიფიანსა და მის თანამოაზრეებს საბიბლიოთეკო ცენტრის შექმნაზე უფრო დიდი და შორს გამიზნული ამოცანები ჰქონიათ დასახული: ძველი ქართული ხელნაწერების მოძიება, თავმოყრა და დაცვა, მათი შესწავლა და პუბლიკაცია, პერიოდული ორგანოს დაარსება, მთარგმნელობითი და საკვლევადიებო საქმიანობისათვის ხელის შეწყობა და სხვ.; ერთი სიტყვით, ჩაფიქრებული იყო ფართო პროფილის კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეცნიერო და სალიტერატურო კერის ჩამოყალიბება.

„ტფილისის კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკამ“ მკვეთრად გამოაცოცხლა იმდროინდელი საზოგადოების მნიგნობრული და საგანმანათლებლო ინტერესები, მაგრამ, სამწუხაროდ, კარგად დაწყებულმა საქმემ შესაფერისი განვითარება ვერ პოვა: ვერ მოხერხდა „ბიბლიოთეკის“ საქმიანობით საზოგადოების ფართო ფენების დაინტერესება, „ბიბლიოთეკის“ არაერთი წევრი სამსახურებრივმა ვალდებულებამ აიძულა, დაეტოვებინა თბილისი და სხვ. (ვრცლად საკითხის გარშემო, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ.: ჯოლოგუა 2002: 74-95, 228-260).

მართალია, მაშინ ვერ მოხერხდა თბილისში საზოგადოებრივ-კულტურული ცენტრის შენარჩუნება, რისი ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ საზოგადოება მოუმზადებელი აღმოჩნდა ინტელექტუალური ძალების კონსოლიდაციისა და ეროვნული იდეოლოგიის შესაქმნელად მიზანმიმართული საქმიანობისათვის, მაგრამ დიმ. ყიფიანის ამ მცდელობას უკვალოდ მაინც არ ჩაუვლია – „ტფილისის კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკა“ XIX საუკუნის საქართველოში პირველი ცდაა **საზოგადოებრივ ინიციატივაზე** დაფუძნე-

ბული ეროვნული მიზანდასახულობისა და მნიშვნელობის კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციის დაარსებისა და ამ მხრივ იგი წინამორბედია ქართული თეატრისა, სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკისა, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა“, „ქართული დრამატული საზოგადოებისა“ და სხვ.

დიმიტრი ყიფიანი **თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის** დაარსების ინიციატორია. 1864 წელს საქართველოში საგლეხო რეფორმასთან (ბატონყმობის გაუქმებასთან) დაკავშირებით დიმ. ყიფიანმა სპეციალურად მიმართა ქართველ თავადაზნაურობას და სთხოვა, იმ ფულიდან, რომელსაც თავადები და აზნაურები ყმების გათავისუფლების საკომპენსაციოდ მიიღებდნენ, მეხუთედი სათავადაზნაურო ბანკის დასაარსებლად გადაედოთ:

„ყოველთავე თავად-აზნაურთ მოგმართავთ ჩვენის საზოგადოების წევრთა, რომელთაც შეგიძლიანთ ნათელის გონიერებითაც ცხადად დაინახოთ და განწმენდილის გულითაც კარგად ასწონოთ, ვის რა ვალდებულება გაძევსთ წინაშე ღვთისა, ან რა პასუხის გამცემნი უნდა იყვნეთ თქვენის შვილებისა, თქვენის საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე, თუ დღევანდელი ნიჭი უნაყოფოდ მოიხმარეთ... და თუ ბანკის შემოსავლისა რომელიმე ნაწილი ჩვენის შვილებისა და შთამომავლობის აღსაზრდელად გადავსდეთ, მაშინ, – გთხოვთ, კარგად დაუფიქრდეთ ამას, – რაოდენ შეიმსუბუქებთ თქვენს მამობრივს ვალდებულებასა და რაოდენ ხელს მოუმართავთ მრთელის საზოგადოების განათლებასა!! ხომ კარგათ იცით, რომ დღეიდან განათლებალა არის ჩვენი ფეხზედ დამაყენებელი იმედი!..“ (ყიფიანი 1864^ა: 11-16).

თავიდან დიმ. ყიფიანი თავადაზნაურობის გავლენიანი ნაწილის წინააღმდეგობას წააწყდა. მაშინ მან „აილო ხელში ყავარჯენი, ფეხთ ჩაიცვა, როგორც ჩვენი ხალხი იტყვის, რკინის ქალამნები, და ასე per pedes apostolorum (ფეხით, მოციქულთა მსგავსად) გაუდგა გზას. გადადიოდა სოფლიდან სოფელში, როგორც

ძველ დროს ბერები დადიოდნენ სოფელ-სოფელ კალმასობაზე...“ (მანსვეტაშვილი 1985: 139-140).

ხანგრძლივი და ინტენსიური მუშაობის შემდეგ დიმ. ყიფიანის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ბანკის წესდება, რომელიც რუსეთის ფინანსთა სამინისტრომ არ დაამტკიცა. 1870-იანი წლებიდან კი ბანკის დაარსების საქმეს სათავეში ილია ჭავჭავაძე ჩაუდგა, ურთულესი დაბრკოლებების გადალახვის შემდეგ წარმატებით დააგვირგვინა იგი და საბოლოოდ სათავე დაუდგინა საადგილმამულო ბანკი ფართო დიაპაზონის საკრედიტო და საქველმოქმედო დანესებულებად გადააქცია – ათეული წლების განმავლობაში ბანკი აფინანსებდა ქართულ გიმნაზიას, სკოლებს, ქართულ თეატრს, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, ქართველ სტუდენტობას რუსეთსა და ევროპაში და ა. შ.; ი. ჭავჭავაძის შეფასებით, „უსამართლობა, უმადურობა იქნება ჩვენს მიერ, რომ არა ვსთქვათ, რა სამსახური გაუწია ბ-ნმა დიმიტრი ყიფიანმა ჩვენს ქვეყანასა. პირველ მას მოუვიდა ფიქრად ბანკი დაეარსებინა და დიდი ღვაწლი, დიდი მხნეობა, დიდი მეცადინეობა იხმარა ამ სასახელო ფიქრისა და აზრის განხორციელებისათვის... მან მარტომ იდგა ეგ კისრად და მარტომ შეასრულა თვისის სახელის სასიქადულოდ... ბანკი დიდი საქმეა ჩვენის ქვეყნისათვის და ამ დიდის საქმის დამწყები, მეთაური და შესაძლოდ მქმნელი ბ-ნი დიმიტრი ყიფიანია. სახელი და დიდება ბანკის დაარსებისა განუშორებელ იქმნება მის სახელთანა“ (ჭავჭავაძე 1956: 418; საკითხის გარშემო იხ.: ასათიანი 1979: 31-93; ასათიანი 1994: 38-99; თელია 1989: 8-31; ჟურული 1912; ჟურული 2011: 83-91; უთურაშვილი 1989: 97-113; ხუნდაძე 1936: 152-177; ჯორჯაძე 1989: 490-506).

განსაკუთრებულია დიმიტრი ყიფიანის დამსახურება **„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“** დაარსებაში. თავდაპირველად ამ ტიპის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოების შექმნის იდეა დაიბადა თვალსაჩინო მოღვაწის, იოსებ მამაცაშვილის, ოჯახში, სადაც იკრიბებოდნენ

და ქვეყნის ბედსა და მომავალზე მსჯელობდნენ: იაკობ გოგებაშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, ვახტანგ თულაშვილი, კონსტანტინე მამაცაშვილი, ნიკო ცხვედაძე, მარიამ ჯავახიშვილი, დიმიტრი და ანა მუსხელიშვილები და სხვ. საბოლოოდ ამ ჯგუფმა საქმის ორგანიზება დიმიტრი ყიფიანს სთხოვა და მასვე ჩააბარა მეთაურობა. დიმ. ყიფიანმაც მისთვის ჩვეული მიზანდასახულობითა და ენერგიულობით უხელმძღვანელა ამ საქმეს, თანამოაზრეებთან ერთად გადალახა ხელისუფლების წინააღმდეგობა, 1879 წლის 31 მარტს დაამტკიცებინა წესდება, ხოლო იმავე წლის 15 მაისს შედგა დამფუძნებელი სხდომა, რომელმაც „ქმნ-კგ საზოგადოების“ თავმჯდომარედ დიმიტრი ყიფიანი, ხოლო მის „ამხანაგად“ (მოადგილედ) ილია ჭავჭავაძე აირჩია.

დიმ. ყიფიანი „საზოგადოებას“ თავმჯდომარეობდა 1879-1882 წლებში. შემდეგ იგი შეცვალა ივანე მუხრანბატონმა, 1885 წლიდან კი „საზოგადოებას“ სათავეში ჩაუდგა ილია ჭავჭავაძე, რომლის ხელშიც იგი საბოლოოდ ჩამოყალიბდა უპირველეს ეროვნულ დაწესებულებად, „ჩვენს ეროვნულ თავშესაფრად“, როგორც მას ილია უწოდებდა – „ქმნ-კგ საზოგადოება“ აარსებდა ქართულ სკოლებს საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ (ვლადიკავკაზი, მოზდოკი, ბაქო...), აფუძნებდა ბიბლიოთეკებსა და სამკითხველოებს, იდეურად და მატერიალურად ეხმარებოდა ქართულ თეატრს, ბეჭდავდა სხვადასხვა ხასიათის წიგნებსა და სასკოლო სახელმძღვანელოებს, ზრუნავდა ქართული მწერლობისა და მეცნიერების განვითარებაზე, ხელს უწყობდა ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების შეკრებასა და პუბლიკაციას, ქომავლობდა ქართული მუსიკისა და მხატვრობის განვითარებას, აგროვებდა ძველ ქართულ ხელნაწერებსა და ნაბეჭდ წიგნებს, იცავდა მატერიალური კულტურის ძეგლებს, სტიპენდიებს უნიშნავდა რუსეთსა და ევროპაში მოსწავლე ქართველ ახალგაზრდობას და ა. შ. („ქმნ-კგ საზოგადოების“ დაარსებასა და მუშაობაში დიმ. ყიფიანის მონაწილეობის შესახებ იხ.: გოგებაშვილი 2007: 95-98; თულაშვილი 2007: 48-51; უთურაშვილი 1989: 117-121; ჯორჯაძე 1989: 532-539).

უალრესად მნიშვნელოვანია დიმიტრი ყიფიანის წვლილი ქართული თეატრის აღორძინებასა და განვითარებაში. იგი იყო გიორგი ერისთავის პროფესიული ქართული თეატრის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი, მან გამოსთხოვა მეფისნაცვალ ვორონცოვს თეატრის ჩამოყალიბების ნებართვა, მისი ინიციატივით ჩაუყენეს ამ საქმეს სათავეში გ. ერისთავი. ამას გარდა, დიმიტრი ყიფიანმა უთარგმნა მეფისნაცვალს რუსულ ენაზე გ. ერისთავის „გაყრა“ და ითამაშა კიდევაც (ივანეს როლი) 1850 წლის 2 (14) იანვრის ისტორიულ წარმოდგენაში.

1860-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ხელისუფლების მიერ ქართული თეატრი უკვე გაუქმებული იყო, დიმიტრი ყიფიანი სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა სცენისმოყვარეთა წრეს და თბილისში რამდენიმე სპექტაკლი წარმოადგინა (მოგვიანებით ერთ-ერთი წევრი ამ წრისა, ანტონ ფურცელაძე, წერდა: „ჩვენი გამოუცდელი ბიჭუნებისგან დიმიტრი ყიფიანმა ნამდვილი მსახიობები შექმნა“ – ფურცელაძე 2007: 72). 1867 წლიდან დრამატულ წრეს ხელმძღვანელობდა ნიკო ავალიშვილი, ხოლო 1871 წლიდან ინიციატივა ისევ დიმიტრიმ აიღო და ი. მამაცაშვილთან ერთად თბილისის თეატრალურ ცხოვრებას მეტ-ნაკლებად სისტემური სახე მისცა. დიმიტრი ყიფიანი სათავეში ედგა იმ მოძრაობას, რომელიც 1881 წელს „ქართული დრამატული საზოგადოების“ შექმნით დაგვირგვინდა; „საზოგადოებისა“, რომელიც დაარსების დღიდანვე ეროვნული თეატრალური ხელოვნებისა და ზოგადად საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების მძლავრ კერად იქცა. ა. ფურცელაძის თქმით, „დიმიტრი ყიფიანს თეატრი ძლიერ უყვარდა და თვალს ადევნებდა თეატრალურ ცხოვრებას არა მარტო თბილისში, არამედ იმპერიის დედაქალაქში და თვით პარიზშიც კი. უფრო მეტიც – იგი იკვლევდა კიდევაც სახელგანთქმული მსახიობების – ტამბერლიკის, ადელინა პატისა და სხვათა – შემოქმედებას“ (ფურცელაძე 2007: 72).

დიმიტრი ყიფიანი თვითონაც გამოდიოდა სცენაზე, დგამდა სპექტაკლებს (შექსპირი, მოლიერი და სხვ.), რეპეტიციების ჩასატარებლად თავის საცხოვრებელს უთმობდა უბინაოდ დარჩენილ

დასს, დეკლამაციით გამოდიოდა სალიტერატურო თუ თეატრალიზებულ საღამოებზე, სცენაზე გამოჰყავდა საკუთარი ოჯახის წევრები (მეუღლე, შვილები, ნათესავები...) და ა. შ. (დიმ. ყიფიანის თეატრალური მოღვაწეობის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა საკითხის გარშემო იხ.: გერსამია 2011: 125-136; ჯოლოგუა 2002^ა: 206-214; ფურცელაძე 1911; ფურცელაძე 2007: 71-73; გაბაშვილი 1925: 3-4; გაბაშვილი 2007: 155-159).

დიმიტრი ყიფიანის განუწყვეტელი ზრუნვის საგანი იყო **სასკოლო განათლება**. 1840-იან წლებში მან არსებითი ხასიათის მონაწილეობა მიიღო წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლის დაარსებაში, 1840-1850-იან წლებში სახელმწიფო თანამდებობების პარალელურად დიმ. ყიფიანი იყო კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველო საბჭოს წევრი და „სახელმძღვანელოების შემდგენელი კომიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილების“ თავმჯდომარე. უნდა ითქვას, რომ 1850-1860-იან წლებში თბილისის გიმნაზიაში ქართული ენა დიმიტრი ყიფიანის მიერ შედგენილი პროგრამით ისწავლებოდა და ამ პროგრამაში მკაფიოდ იყო ასახული შემდგენლის სურვილი – მოსწავლეები ღრმად დაუფლებოდნენ ქართული ენის საფუძვლებსა და ისტორიას.*

დიმიტრი ყიფიანი ზრუნავდა ქართული სახელმძღვანელოებისა და ქრესტომათიების შედგენაზე, სასწავლებელთა ბიბლიოთეკების ქართული წიგნებით დაკომპლექტებაზე, 1851-1864 წლებში იგი საზოგადოების მიერ ზედიზედ ოთხჯერ იყო არჩეული თბი-

* დიმ. ყიფიანის მიერ 1854 წლის მარტში შედგენილი პროგრამის მიხედვით, თბილისის გიმნაზიაში ისწავლებოდა საგნები: „ნაბეჭდი ხუცურის კითხვა“, „ძირითადი გრამატიკული განსხვავებანი ძველ მწიგნობრულ ენასა და თანამედროვე ხალხურს შორის“, „სავარჯიშოები ძველი [ქართული] ენიდან თანამედროვეზე გადმოსაღებად“, „ქართული კილოს მოკლე მიმოხილვა და მისი ძირითადი გრამატიკული და ლექსიკური თავისებურებები“ და სხვ. (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. 252, ფ. 4; ჯოლოგუა 2002^ა: 192-194).

ლისის გიმნაზიის საპატიო მზრუნველად. მართალია, ამის შემდეგ ხელისუფლებამ იგი ჩამოაშორა სასკოლო-საგანმანათლებლო საქმეს, თუმცა ამით სასკოლო განათლებასთან დაკავშირებული პრობლემების მიმართ დი. ყიფიანის ყურადღება არ შესუსტებულა. განსაკუთრებით ეს ეხება სასწავლო დაწესებულებებში ქართული ენის სწავლების საკითხს, რომელიც 1870-1880-იან წლებში დი. ყიფიანის პუბლიცისტიკის ერთ-ერთ მთავარ თემად იქცა. საქართველოში (ზოგადად კავკასიაში) განათლების მზრუნველის, კირილე იანოვსკის, ხელით განხორციელებულ პოლიტიკას დი. ყიფიანმა „ნაციონალური ჰიპნოტიზმისა და პოლიტიკური ჰალუცინაციების სამყარო“ უწოდა (ყიფიანი 2014). საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ 1880-იან წლებში კავკასიის სახელისუფლებო წრეებთან დი. ყიფიანის შეტაკების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი სასწავლებლებში ქართული ენის აღმოფხვრის მცდელობა იყო, ხოლო რაც შეეხება ეგზარქოს პავლესადმი გაგზავნილ ცნობილ წერილს, იგი მხოლოდ საბაზად იქნა გამოყენებული. სტავროპოლში დი. ყიფიანის გადასახლების ნამდვილი მიზეზები მთავარმართებელ ალ. დონდუკოვ-კორსაკოვის მიერ რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრ დი. ტოლსტოისადმი გაგზავნილ კონფიდენციალურ მიმართვაში ასეა მოტივირებული: „მან უკვე მეტისმეტად აშკარად და მკვეთრად გააძლიერა აგიტაცია ამჟამად აქ მოქმედი ... საგანმგებლო სისტემისა და, განსაკუთრებით, სასწავლო უწყების წინაშე დასახული ამოცანების წინააღმდეგ“ (საშვილიშვილო მოკავშირე... 1997: 15; განათლების სფეროში დი. ყიფიანის მოღვაწეობის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა საკითხის გარშემო იხ.: ხუნდაძე 1936: 220-228; კეკელიძე 1953: 43-48; უთურაშვილი 1989: 241-253; ჯოლოგუა 2002: 186-206).

დიმიტრი ყიფიანი თვალსაჩინო ფიგურაა ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში. მანანა ორბელიანის სალონის წევრთა თხოვნით, დი. ყიფიანმა გამოსთხოვა მეფისნაცვალ მ. ვორონცოვს გიორგი ერისთავის ჟურნალ „ცისკრის“ (1852-1853) გამოცემის ნებართვა, მასვე ეკუთვნის ივანე კერესელიძის მიერ

აღდგენილი იმავე სახელწოდების, თუმცა, ფაქტობრივად, ახალი „ცისკრის“ (1857-1875) უაღრესად საინტერესო და მკაფიოდ გამოხატული ეროვნული მიზანდასახულობის პროგრამა, რომლის პრაქტიკული ხორცშესხმა ვერ მოხერხდა და სხვ. (დიმ. ყიფიანის, როგორც ქართული პრესის ორგანიზატორის, ღვაწლზე, აგრეთვე წყაროები და ლიტერატურა საკითხის გარშემო იხ.: ჯოლოგუა 2013: 111-112, 142-147).

დიმ. ყიფიანის პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში განსაკუთრებით საინტერესოა პოლემიკური ხასიათის წერილები, რომლებშიც ავტორი მწვავედ უპირისპირდება რუსიფიკატორულ პოლიტიკასა და ამ პოლიტიკის რეალიზატორებს (მ. კატკოვი, კ. იანოვსკი...), იცავს ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებსა და ისტორიულ უფლებას საკუთარ სამშობლოში. ამასთანავე, საგანგებო ყურადღებას ამახვილებს ქართული სახელმწიფოს, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიულ დამსახურებებზე და ჩვენი ნაციონალური თვითმყოფობის წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებებს მიიჩნევს დანაშაულად არა მხოლოდ საკუთრივ ქართველი ხალხის, არამედ მთელი კაცობრიობის წინაშე (იხ.: ყიფიანი 1865; ყიფიანი 1995^ა: 30-38; ყიფიანი 1995^ბ: 39-48; ყიფიანი 2014: 38-45).

დომიტრი ყიფიანს **ლიტერატურული შემოქმედებისთვის** ნაკლები დრო და ენერგია რჩებოდა, თუმცა მან ამ სფეროშიც დატოვა კვალი – იგი აქვეყნებდა მხატვრულ ნაწარმოებებს, სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ტექსტებს, მემუარებს, თარგმნიდა უცხოურ ლიტერატურას... დიმ. ყიფიანის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან საგანგებოდ უნდა აღინიშნოს თარგმანები (შექსპირი, მოლიერი, ბომარშე და სხვ.). იგი შექსპირის პირველი („რომეო და ჯულიეტა“, 1841 წ.) და მოლიერის ერთ-ერთი პირველი („ცოლის შერთვევინება“, 1861 წ.) მთარგმნელია ქართულ ენაზე. დიმ. ყიფიანს თარგმნილი აქვს ინგლისურიდან: შექსპირის „ორი ვერონელი აზნაური“, „ვენეციელი ვაჭარი“, „ტყუილ-უბრალოდ ვაი-ვაგლახი“ (გ. გაჩეჩილადის თარგმანში – „აურზაური არაფრის გამო“); ფრანგული-

დან: შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“ (თარგმნა ორჯერ – ჯერ რუსულიდან 1841 წ., ხოლო მეორედ ფრანგულიდან 1859 წ.), მოლიერის „ცოლის შერთვევინება“, „სიყვარული მკურნალობს“, „სიყვარული მხატვრობს“, „ჩინებული სასიძონი“, „ავათა ვარო დაუჟინია“; ბომარშეს „სევილიელი დალაქი ანუ ამო გაფრთხილება“, „ფიგაროს ქორწილი“; ა. მიუსეს „ბაბაღეს თითის ტარი“; მ. ჟანლისის „ზვიმა. ქინაქინის ამბავი“ („გამოკრებილი“ თარგმანი), ო. ფეიეს „ღარიბის ყმანვილი კაცის რომანი“, ვ. ჰიუგოს „ოთხმოცდამეტიდამ“ (ნაწყვეტები); რუსულიდან: ევალდის „ზნეობითისა აღზრდისათვის“, შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“, ივ. მარკოვის „გალობა კავკასიის მხედართა“,* ო.-მ. მიტჩელის „ზეციერი მნათობები“ (I ლექცია), სავარაუდოდ – მ. გამაზოვის „XIX საუკუნის ქართველები ანუ მარჯვე ნიშნობა“; ქართულიდან რუსულად: „ნინო – საქართველოს განმანათლებელი“ („ქართლის მოქცევის“ ე. წ. ვახტანგ მეექვსისეული რედაქცია), გ. ერისთავის „გაყრა“ (დიმ. ყიფიანის მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა საკითხის გარშემო იხ.: ჯოლოგუა 2002*: 157-179).

მართალია, დიმ. ყიფიანის თარგმანთა უმრავლესობას დღეს უფრო ისტორიული მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ლიტერატურული, მაგრამ ისიც უდავო ფაქტია, რომ ამ თარგმანებმა თავის დროზე თვალსაჩინო როლი შეასრულა ქართული მთარგმნელობითი ხელოვნების აღორძინებაში, იმდროინდელი საზოგადოების

* 1860-1861 წწ. პეტერბურგში მყოფმა დიმ. ყიფიანმა იქაურ უნივერსიტეტში ინგლისური ენის სპეციალური კურსი გაიარა (ყიფიანი 14802: ფ. 2) და, სრულყო რა თავისი ცოდნა ინგლისური ენისა, ამის შემდეგ იგი უკვე უშუალოდ დედნის ენიდან თარგმნიდა შექსპირს.

** ეს არის პროპაგანდისტული ხასიათის ტექსტი, დაწერილი და თარგმნილი ე. წ. კავკასიის ომში რუსი მხედრობის გასამხნეველად და მთავარმართებლის კანცელარიის მოხელე დიმ. ყიფიანმა, უნდა ვიფიქროთ, იგი ხელისუფალთა თხოვნითა თუ დავალებით თარგმნა (რუსულ-ქართული ტექსტები თბილისში ერთ ბროშურად გამოიცა 1848 წელს – მარკოვი 1848).

ლიტერატურული ორიენტაციის, ინტერესებისა და გემოვნების ჩამოყალიბებაში, ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში, თეატრალური რეპერტუარის გამდიდრებაში. ამასთანავე, დიმიტრი ყიფიანი, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, თარგმნიდა დასავლეთევროპელ ავტორებს, რითაც ხელს უწყობდა ქართული ლიტერატურული აზროვნების ევროპეიზაციას...

დიმიტრი ყიფიანი საინტერესო ფიგურაა **ქართულ ისტორიოგრაფიაში**. მის საისტორიო ნაშრომებში დამუშავებულია ქართველთა ეთნოგენეზის, სახელმწიფოებრიობის, აღმსარებლობის, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის, ქართული ენის, დამწერლობის, ლიტერატურის, განათლებისა და სხვ. საკითხები. გარდა მეცნიერული ინტერესებისა, ამ ნაშრომებს მკაფიოდ გამოკვეთილი პატრიოტული მიზანდასახულობა ჰქონდა: ერთი მხრივ, ავტორი რუს სახელმწიფო-ადმინისტრაციულ მოხელეებს – საერთოდ, რუსულენოვან მკითხველს (აქაც და რუსეთშიც) – უსაბუთებდა, რომ მათ საქმე ჰქონდათ არა უნარსულო და უმომავლო, გაუნათლებელ და უკულტურო ხალხთან, არამედ ისეთ ხალხთან, რომელიც შემოქმედი იყო ძველი, უაღრესად საინტერესო და ინდივიდუალიზმით აღბეჭდილი კულტურისა. მეორე მხრივ, ისტორიული წარსულის შესწავლა-პოპულარიზაციით ავტორი ცდილობდა იმ დროის საქართველოში ფეხმოკიდებული ეროვნული ნიჰილიზმის აღმოფხვრას, თანამემამულეების დარწმუნებას იმაში, რომ ისინი შთამბეჭდავი პოლიტიკური, რელიგიური, კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციების მემკვიდრეები იყვნენ. დიმიტრი ყიფიანის აზრით, ეს იყო შესანიშნავი საშუალება ქართველთა მოდუნებული ეროვნული თვითშეგნებისა და ენერგიის გამოცოცხლებისა და ამოძრავებისათვის.

ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე დიმიტრი ყიფიანის დასახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ჯერ კიდევ 1850-იან წლებში მან:

ა) მარი ბროსეს შემდეგ პირველმა დასვა და დაასაბუთა ქართული საისტორიო წყაროების **კრიტიკული ათვისების** აუცილებლობის საკითხი.

ბ) ჩამოაყალიბა მოსაზრება იმის შესახებ, რომ საქართველოს ისტორია შესწავლილ უნდა იქნეს არა იზოლირებულად, არამედ **საერთაშორისო კონტექსტში**.

გ) დიმ. ყიფიანის შეხედულებით, ისტორია შესწავლილ უნდა იქნეს ცივი გონებით, ემოციების, მიკერძოების, წინასწარგანზრახული ჰეროიზაციისა და პოეტიზაციის გარეშე („პოეტიზებული ისტორია უმეტესწილად კარგავს თავის ნამდვილობას“, – შენიშნავს ერთგან დიმ. ყიფიანი). ავტორის აზრით, სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მხოლოდ „ნამდვილი ისტორიაა“ გამოსადეგი, როგორც გამოცდილება, ანმყოში არსებული პრობლემების გასააზრებლად და დასაძლევად.

დ) დიმ. ყიფიანი გარკვეული უნდობლობით უყურებდა მითოლოგიური თუ ფოლკლორული მონაცემების საისტორიო წყაროებად გამოყენებას და ამ მხრივ სხვებსაც მოუწოდებდა სიფრთხილისაკენ... (დიმ. ყიფიანის საისტორიო შეხედულებებზე იხ. ჯოლოგუა 2016).

ზოგადად მშობლიურ ენას დიმიტრი ყიფიანი ადამიანის თვითშემეცნების განმსაზღვრელ ფაქტორად და ეროვნული კულტურის საძირკვლად, ხოლო საკუთრივ **ქართულ ენას ქართველი ერის ნაციონალური თვითარსებობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნება-განვითარებისა და კულტურულ-იდეოლოგიური აღორძინების უმთავრეს საშუალებად მიიჩნევდა**. მისი შეხედულებით, უსათუოდ გადაგვარდება, ღმერთიც ხელს აალებს და საკაცობრიო ცხოვრების ასპარეზიდან პირწმინდად აღიგვება ხალხი, „რომელიც თავისის ენისათვის არასა ჰზრუნავს“ (ყიფიანი 1995⁹: 7).

დიმ. ყიფიანი თანამედროვეებს თვითონვე აძლევდა „ენისათვის ზრუნვის“ საუკეთესო მაგალითს: იკვლევდა ქართული ენისა და დამწერლობის გენეზისს, სალიტერატურო ქართულის დემოკრატიზაციისა და სხვა კარდინალურ საკითხებს. ცალკე უნდა აღინიშნოს მისი თხზულებები ქართული გრამატიკის საკითხებზე. ამ სფეროში მრავალწლიანი შრომა დიმ. ყიფიანმა

დაავგირგვინა 1882 წელს სანქტ-პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიის სტამბაში დაბეჭდილი წიგნით – „ახალი ქართული გრამმატიკა“, რომელიც „ისტორიულ-შედარებითი მეთოდის წყალობით წინანდელ გრამატიკებზე მაღლა დგას“ (შანიძე 1998: 305) და „ყველაზე მნიშვნელოვანია, რაც კი დაწერილა ამ დარგში მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში“ (ჩიქობავა 1998: 309; დიმ. ყიფიანის გრამატიკულ შეხედულებებზე იხ.: ჩიქობავა 2008: 302-307; ჩიქობავა 1998: 306-314; შანიძე 1998: 303-305; ლეჟავა 1986: 60-90; ლეჟავა 2004: 6-18). ვფიქრობთ, საგულისხმოა ის თვალსაზრისი, რომელიც დიმ. ყიფიანს ქართული ენის ტიპოლოგიურ ბუნებაზე მსჯელობის შემდეგ დასკვნის სახით აქვს ჩამოყალიბებული: „ქართულმა ენამ – მიიღო და შეითვისა რა სპარსული, არაბული, ბერძნული, ლათინური, თურქული და, ბოლოს, სლავური თუ რუსული სიტყვები – უძველესი დროიდანვე შეინარჩუნა საკუთარი ბუნება. იგი დღემდე რჩება თვითმყოფ ენად და პირდაპირი ნათესაობით არ არის დაკავშირებული არც ერთ იმ ენასთან, რომელზეც ლაპარაკობდნენ ან ლაპარაკობენ არათუ დამორებული ქვეყნების, არამედ თვით კავკასიის ხალხებიც კი“ (ყიფიანი 1854: 25; ჯოლოგუა 2016: 91)

ჯერ კიდევ 1840-1850-იანი წლებიდან დიმ. ყიფიანი პრაქტიკულად ამკვიდრებდა (თარგმანები) და თეორიულადაც ასაბუთებდა ქართული სალიტერატურო ენის ხალხის მეტყველებასთან დაახლოების აუცილებლობას. ამ მხრივ იგი დგას იმ სასიცოცხლო მნიშვნელობის ენობრივი რეფორმის – სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციის – სათავეებთან, რომლის გაფართოება, მკვიდრ მეცნიერულ ნიადაგზე დაფუძნება და სამწერლობო პრაქტიკაში დამკვიდრება 1860-იანი წლებიდან ილია ჭავჭავაძის სახელთანაა დაკავშირებული (საკითხის გარშემო, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ.: ჯოლოგუა 2002: 125-133).

1870-1880-იანი წლების მიჯნაზე სეპარატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ ქვეყნებში დაუფარავი, შოვინიზმით აღბეჭდილი პოლიტიკის განხორციე-

ლება ახალ ფაზაში შევიდა, ხოლო 1882 წლიდან, კავკასიის მთავარმართებლად ალ. დონდუკოვ-კორსაკოვის დანიშვნის შემდეგ, ამ პოლიტიკამ საქართველოში „ნაციონალისტურ კაციჭამიობის“ (ჯორჯაძე 1989: 514) სახე მიიღო.

80-იანი წლების პოლიტიკური რეაქცია თანამიმდევრულად ამსხვრევდა რამდენიმე თაობის ბრძოლითა და შრომით მოპოვებულ ეროვნულ-კულტურულ მონაპოვრებს და, ამასთანავე, ამსხვრევდა თვითონ დიმი. ყიფიანის მრწამსსაც – საჭიროა ლოიალობა პოლიტიკური სისტემის მიმართ, რადგანაც შესაძლებელია „ჩვენი ხალხოსნობის“ შენარჩუნება და განვითარება ამ სისტემის ფარგლებშივე.

„დიმიტრი მთელი, მაგარი და მთლიანი პიროვნება იყო, როგორც ბუნების ნიაღში ნაპოვნი ტინი და მის ყოველ გადაწყვეტილებას შეურყევლობის სიმაგრე ჰქონდა...“ (ჯორჯაძე 1989: 583). მოქმედების ჟინით შეპყრობილმა მოღვაწემ ეროვნული ინტერესების დასაცავად და საკუთარი მრწამსის გადასარჩენად დატოვა თავდაცვითი პოზიცია, რომელზეც იგი 1860-1870-იანი წლებში იდგა და, ერთადერთმა მაშინდელ საქართველოში, ბრძოლის ასპარეზი პრესის ფურცლებიდან ადმინისტრაციულ სფეროებში გადაიტანა, კერძოდ, დაუპირისპირდა საქართველოში ასიმილაციური პოლიტიკის სამ ბურჯს: მთავარმართებელ ალ. დონდუკოვ-კორსაკოვს, ეგზარქოს პავლესა და განათლების მზრუნველ კ. იანოვსკის.

ამ ყოვლად უთანასწორო და ტრაგიკული თავგანწირულებით აღბეჭდილი ბრძოლის გადამწყვეტი მომენტი მაშინ დადგა, როდესაც საქართველოში მოხდა გაუგონარი ამბავი – მწყემსმთავარმა დასწყევლა თავისი სამწყსო.

1886 წლის 24 მაისს თბილისის სემინარიიდან გარიცხულმა იოსებ ლალიაშვილმა შურისძიების ნიადაგზე ხანჯლით მოკლა სემინარიის რექტორი პავლე ჩუდეცკი. მოკლულის პანაშვიდზე, თბილისში, ხალხით გაჭედილ ალექსანდრე ნეველის ტაძარში ეგზარქოსმა პავლემ (ლებედევი) მკრეხელური სიტყვები წარმოთქვა: „დაიწყევლოს სამუდამოთ შენი მკვლელიცა და ის ოჯახიცა,

რომელმაც შობა იგი, დაინყევლოს ის წრე და ის ერი, რომელმაც დაბადა და ის ქვეყანა, რომელმაც გამოზარდა შენი მკვლელი“ (ყიფიანი 1912; საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 40).

საქართველოში ავის მომასწავებელი სიჩუმე ჩამოწვა და ამ სიჩუმეში გაისმა დიმიტრი ყიფიანის ხმა. მან წერილი მისწერა ეგზარქოსს და მოსთხოვა საქართველოს დატოვება („თუ ყველაფერი ეს მართალია, მეუფეო, თქვენი წოდებრივი ღირსების გადარჩენა ამასლა შეუძლია – შეურაცხმყოფელი დაუყოვნებლივ უნდა გავიდეს შეურაცხყოფილი ქვეყნიდან“ – ყიფიანი 1995: 82).

ხელისუფლება აქამდე იძულებული იყო, ანგარიში გაენია იმ გარემოებისათვის, რომ ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობას დიმიტრი ყიფიანი წინამძღოლად ჰყავდა არჩეული; ანგარიში გაენია აგრეთვე საზოგადოებაში დიმიტრი ყიფიანის პატიოსანი სახელისა და ურყევი ავტორიტეტისათვის. ახლა კი ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა „მემბოხისათვის“ ანგარიშის გასასწორებლად. ალ. დონდუკოვ-კორსაკოვმა კონფიდენციალური წერილით მიმართა იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრ დიმიტრი ტოლსტოის: „წლებმა და გამოცდილებამ ვერ დააცხრო ბ-ნი ყიფიანის ავადმყოფური ლტოლვა – გაითამაშოს ქართული ნაციონალიზმის მონინავე ქომაგის როლი და ამგვარი პირფერობით მოიხვეჭოს პოპულარობა ადგილობრივი თავადაზნაურობის ფრონდირებულ ნაწილში... მან უკვე მეტისმეტად აშკარად და მკვეთრად გააძლიერა აგიტაცია ამჟამად აქ მოქმედი – მისი უდიდებულესობის უზენაესი ნებით დამკვიდრებული – მხარის საგანმგებლო სისტემისა და, განსაკუთრებით, სასწავლო უწყების წინაშე დასახული ამოცანების წინააღმდეგ. ხოლო უკანასკნელი მოქმედებით ბ-ნი ყიფიანს სურს შეარყიოს გავლენა ეკლესიის უმაღლესი წარმომადგენლისა, რომელიც ყველა საშუალებით ცდილობს უმეცარ და მყარ ზნეობრიობას მოკლებულ ქართველ სამღვდელოებაში ვითარების გაუმჯობესებას. ეს ყოველივე მაყენებს სამწუხარო აუცილებლობის წინაშე, განვაცხადო: მართებლობისთვის საზიანოდ მიმანჩნია ბ-ნი ყიფიანის დატოვება არა მარტო თავადაზნაურობის წინამძღოლის თანამდებობაზე, არამედ საერთოდ იმ მო-

სახლეობაში, რომელიც მიჩვეულია, მის პიროვნებაში ხედავდეს ხალხის ყალბად გაგებულ ინტერესებზე მზრუნველს... მაქვს პატივი, უმორჩილესად ვთხოვო თქვენს ბრწყინვალეობას, მოახსენოს ეს ყოველივე ხელმწიფე-იმპერატორს და გამოითხოვოს უზენაესი ნებართვა, რომ ყიფიანი დათხოვნილ იქნეს ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის თანამდებობიდან და საცხოვრებლად მიეჩინოს ქალაქი სტავროპოლ-კავკაზსკი. მისთვის უცხო და უცნობ ეროვნულ გარემოში ყიფიანი მოკლებული იქნება საშუალებას, გააგრძელოს თავისი საძრახისი საქმიანობა“ (საშვილიშვილო მოკავშირე... 1997: 15).

იმპერატორ ალექსანდრე III-ის განკარგულებით, 1886 წლის 4 აგვისტოს დიმიტრი ყიფიანი გადააყენეს წინამძღოლობიდან, ხოლო იმავე წლის 27 ოქტომბერს მსცოვანი მოღვაწე სტავროპოლის გზას გაუყენეს.

სტავროპოლში დიმიტრი ყიფიანი თანდათანობით რწმუნდებოდა, რომ სამშობლო ქვეყნის ინტერესთა დაცვა მისგან მაინცადამაინც სიცოცხლის გაღებას მოითხოვდა. და, მიუხედავად ამისა, იგი ოჯახის წევრებს კატეგორიული ტონით სწერდა: „ამის იმედი მაინც მაქვს, რომ შეწყალებაზე არსად, არასოდეს არავითარი ლაპარაკი არ იქნება, რამდენადაც შეწყალებას – გარდა ღვთისადმი აღვლენილი ლოცვა-ვედრებისა – მხოლოდ დამნაშავეები ითხოვენ“ (ყიფიანი 1995³: 106).

მოხუცებულსა და ავადმყოფ დიმიტრი ყიფიანს არც სტავროპოლში დაუყრია ფარ-ხმალი: „მე თვითონ უნდა ავხადო სიმართლეს ფარდა, – სწერს იგი სტავროპოლიდან მეუღლეს, – მე თვითონ უნდა ვთქვა სიმართლე, რაც არ უნდა მწარე იყოს იგი! ჩემს გარდა ეს არავის ძალუძს!“ (ყიფიანი 1995³: 106).

„მწარე სიმართლის“ სათქმელად დიმიტრი ყიფიანმა რუსეთის იმპერატორთან შეხვედრა გადაწყვიტა. დიმიტრის მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა საიმპერატორო ოჯახის წევრთან, დიდ მთავარ მიხეილ ნიკოლოზის ძესთან, რომლის მეშვეობითაც მოიპოვა ალექსანდრე მესამესთან აუდიენციის უფლება. თავის მხრივ, კავკასიის ხელისუფლებამაც იგრძნო საშიშროება და გა-

დანყვიცა, ხიფათისათვის სასწრაფოდ დაესვა წერტილი – 1887 წლის 25 ოქტომბრის დილას დიმიტრი ყიფიანი სტავროპოლშივე, საწოლში იპოვეს ხელფეხშეკრული და ტვინდანთხეული.*

„ივერიაში“ ზედიზედ გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის წერილები, რომლებშიც ავტორმა დიმიტრი ყიფიანის ცხოვრების წესსა და მის ნამოღვაწარზე დაყრდნობით ჩამოაყალიბა ზოგადი ტიპი დიდბუნებოვანი, ურყევი პრინციპებისა („ხასიათიანი“) და მადლისმქმნელი მამულიშვილისა:

„რომ მე მართლა-და ჭეშმარიტად ბედნიერი ვიყო, საჭიროა ყველა სხვა სულიერნიც ბედნიერი იყვნენო“, – ამბობს ერთი მეცნიერი. მადლის მოედანი და სარბიელი ეს არის. ყოველი კაცი ბედნიერებისათვის იღვწის, მაგრამ ყოველს კაცს მიჩნეული არა აქვს თავის საკუთარ ბედნიერებად სხვისი ბედნიერება, ანუ, უკეთ ვსთქვათ, თავისი საკუთარი ბედნიერება სხვის ბედნიერებასთან განუყოფელად ყოველს კაცს ვერ გაუერთებია. ამ გაერთებისათვის დიდის ხიდის გადებაა საჭირო და ამას დიდი ღონე უნდა სულისა, დიდი შეძლება გულისა, და ყველა კაცს არ მოეკითხება. ვისაც-კი ეგ ღონე და შეძლება აქვს, იგი მით ნაწილია ყველასი, – ჩემიც, თქვენიც და სხვისაც, იმიტომ, რომ იგი ჩემს, თქვენს და სხვის ბედნიერებაში ეძებს მხოლოდ და ჰპოულობს თავის საკუთარ ბედნიერებას და, მაშასადამე, იმისი ბედნიერება და უბედურობა – ჩემი, თქვენი და სხვისი ბედნიერება და უბედურობა უნდა იყოს. ეს ისეთი ძნელი გასადები ხიდია, ეს ისეთი მძიმე და ეკლიანი გზაა, რომ თვითოეული ბიჭი ღვანლია და მსხვერპლი, და რადგანაც ღვანლია, რადგანაც მსხვერპლია, ამიტომაც მადლია, და რადგანაც მადლია, ამიტომაც გულთა მი-

* გავრცელებული ვერსია, თითქოს დიმ. ყიფიანი მძინარე მოკლეს, არ არის სწორი. 1889 წელს სტავროპოლში გამართულ სასამართლო პროცესზე ერთ-ერთმა მკვლელმა, გრ. სტრეპეტოვმა, აღიარა – მე და შულგინი (მეორე მკვლელი) ოთახში რომ შევედით, ყიფიანს გაელვინა და შეგვეხმინაო (სასამართლო პროცესის საგაზეთო ანგარიში იხ.: ივერია 1889; საშვილიშვილო მოკავშირე... 1997: 146-175).

მზიდველია, გამმსჭვალავია გაცეზამდე, გაკვირვებამდე. ამის-
თანა კაცი მზესა ჰგავს, რომელსაც ბრმაც-კი ჰგრძნობს, თუმცა
არა ჰხედავს“ (ჭავჭავაძე 1955: 226).

სტავროპოლიდან ვლადიკავკაზის გზით წამოსვენებული ცხე-
დარი დიმიტრი ყიფიანისა რამდენიმე დღე მცხეთის სვეტიცხო-
ვლის ტაძარში იყო დასვენებული. ხელისუფლების კატეგორიული
მოთხოვნა იყო მიცვალებულის მცხეთიდან ქვიშხეთში გადასვე-
ნება (თბილისში შეუსვლელად) და იქ დასაფლავება, საზოგადო-
ება კი კატეგორიულადვე მოითხოვდა მიცვალებულის დაკრძალ-
ვას თბილისში, მთანმინდაზე, მამადავითის ეკლესიის გალავანში,
საბაბად კი იმას იშველიებდა, რომ იქ დიმიტრის ორი მცირეწლო-
ვანი შვილი იყო დაკრძალული.

საბოლოოდ ხალხმა მაინც თავისი გაიტანა და დიმიტრი ყი-
ფიანი თბილისისკენ წამოასვენა. საბურთალოსთან კუბო ბალ-
დახინიდან ჩამოიღეს და მაგლობელთა თანხლებით გააგრძელეს
გზა. მრავალრიცხოვან პროცესიას, რომელშიც მონაწილეობდნენ
ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, ვალე-
რიან გუნია და სხვები, წინ მიუძღოდა ქართველი სამღვდლოება
ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძის მეთაურობით. სამგლოვია-
რო მსვლელობა თანდათანობით მძლავრი საპროტესტო გამოს-
ვლის სახეს იღებდა. მაშინ ხელისუფლებამ ქალაქში პოლიცია და
ჟანდარმერია გამოიყვანა და გოლოვინის (ამჟამად რუსთაველის)
პროსპექტზე გზა სასწრაფოდ შეკრა.

მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა და შეტაკებაც თითქოს
გარდაუვალი ჩანდა. მაგრამ ამ დროს სასიქადულო თავგამოდება
გამოიჩინა ეპისკოპოსმა ალექსანდრემ, რომელმაც ჯვარი ზეაღ-
მართა და შეძახილით – „გზა მიეცით ჯვარს!“ – პოლიციის რიგებში
ჯიქურ შევიდა. პოლიციამ მღვდელმთავრის შეჩერება ვეღარ გაბე-
და და ძალაუნებურად დერეფანი გახსნა. ხალხმა ამით ისარგებლა,
გაარღვია პოლიციისა და ჟანდარმერიის რაზმები და გოლოვინის
პროსპექტზე გაიშალა. კუბო ცოტა ხნით მთავარმართებელ დონ-
დუკოვ-კორსაკოვის სასახლის წინ დაასვენეს, იქ მიცვალებულს
დემონსტრაციულად პანაშვიდი გადაუხადეს, ამის შემდეგ სოლო-

ლაკის გზით ცხედარი მამადავითზე აასვენეს და მთანმინდის მიწას მიაბარეს (დოკუმენტური მასალა დიმ. ყიფიანის გადასახლებისა და მკვლელობის შესახებ, აგრეთვე, ხელისუფლების, საზოგადოებისა და პრესის რეაქცია დიმიტრის მკვლელობაზე იხ. ჩხეტია 1947: 329-539; საშვილიშვილო მოკავშირე... 1997).

დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვა „ქართულ ეროვნულ თვითშემეცნების ისტორიაში ისტორიულ დღედ დარჩება... მწუხარებამ შეგვიძინა ახალი ძალა, ახალი შემეცნება, ახალი პოლიტიკური მსოფლმხედველობა. მწუხარებამ ჭეშმარიტებისა და სამართლის გრძნობა გააკაჟეს ჩვენს გულში... ერთი საფეხურით წინ წავდექით, ჩვენდა მოულოდნელად ერთად ვიგრძნევით ჩვენი თავი, თვით-შემეცნე და თვით-შემგნე ერთად. ეს სასწაული დიდის ხნობით მზადდებოდა... ილიას, აკაკის და სხვათა ძახილზე ვიღაცის მოლოდინში გაცოცხლებული სიხარულით გავყურებდით ამ ჩვენ დამშვენებულ ქვეყანას და ახლა იმ მოხუცის წყალობით, მთანმინდაზე რომ მიწას აბარია, გადაჭრით და სამუდამოდ გამოვერკვიეთ ძილისა და ბურანისაგან“ (ჯორჯაძე 1989⁹: 583-585).

1899 წლის 24 ოქტომბერს ქართველმა ხალხმა დიმიტრი ყიფიანს საფლავზე ძეგლი დაუდგა (მოქანდაკე – ფელიქს ხოდოროვიჩი). ძეგლი აკურთხა იმჟამად ალავერდის ეპისკოპოსმა, შემდგომში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა კირიონ II-მ.

2007 წლის 26 აპრილს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმინდა სინოდის განჩინებით დიმიტრი ყიფიანი შეირაცხა წმინდანთა დასში და ეწოდა „წმინდა დიმიტრი (ყიფიანი) – სამშობლოსათვის წამებული“.

დასასრულ, შემოკლებულად დავიმოწმებთ თვალსაჩინო ქართველი ლიტერატორისა და მოაზროვნის, კიტა აბაშიძის, წერილს „გმირი – პროტესტანტი“:

„ჩვენი ერის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და კულტურულ მეობას ამშვენებს სახელები, რომლის წინაშე ყოველი ქართ-

ველი დიდის სიყვარულითა და ღრმა პატივისცემით ქედს უნდა ჰხრიდეს.

მეცხრამეტე საუკუნე ქართველ ერის არსებობაში დიდ პიროვნებათა, დიდ ადამიანთა ეპოქათ უნდა ჩაითვალოს.

დიმიტრი ყიფიანი და ილია ჭავჭავაძე – ეს ორი ბურჯი ჩვენი ეროვნებისა, ამაყად გამოიყურებიან XIX საუკუნის უიმედო და უნუგემო სინამდვილიდან...

ხმის ამალღება, სადაც ეს საჭიროა და აუცილებელი, გულის წყრომის გამომჟღავნება, როდესაც ამას მოითხოვს ერის ინტერესები, გმირული იქნება ყოველთვის. დიმიტრი პირველი ქართველი პროტესტანტია, რომელმაც ხმა აღიმალა მაშინ, როდესაც გარშემო დუმილით იყო მოცული. ამ საშინელ თავდამცირების ხანაში ყიფიანის სიტყვა მკვეთრი იყო, ვით მოღერებული ხმალი და თავზარდამცემი, როგორც მოულოდნელი თავდასხმა.

მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ყოველთვის შეუძლიან იამაყოს დიმიტრი ყიფიანის გმირული თავდადებით. და ჩვენც, თანამედროვე ქართველნი, ღრმა პატივისცემით მოვიხსენიებთ იმას, ვინც ერის ტკივილებს განიცდიდა, ხალხის საიდუმლო ზრახვას გრძნობდა.

დღეს, როდესაც საქართველოს ასე ესაჭიროება განწირული სიტყვა და ღრმა აზრი; დღეს, როდესაც ყოველი ჩვენთაგანი გრძნობს სიცარიელეს და უდიდეს სულიერ კარჩაკეტილობას განიცდის, აუცილებლივ საჭიროა მოგონება და პატივისცემა ადამიანისა, რომელიც თავგაჩეხილი სწორედ ამ გაბედულ სიტყვისთვის მსხვერპლად შეეწირა ჩვენი ერის უფლებების და თავმოყვარეობის დაცვის საქმეს“ (აბაშიძე 1922; საშვილიშვილო მოკავშირე... 2011: 111-112).

თამაზ ჯოლოგუა

3000000

შეღარება

ურიტმო ლექსი

აღმოსავლეთით ზღვა მენამული
და დასავლეთით ატლანტიკის ზღვა,
ჩრდილოთ ეგვიპტე, სამხრით აბეში
ჰსაზღვრიან ველსა, საჰარად რქმეულს.
ველის ბუნება საზარო არის:
ვერა რა მდელი მზის ფუფუნებას
ვერ გაუბედავს აღმოცენებას.
სამუმი მშრეტი, გრიგალნი ფხვრელნი,
ლომნი მძვინარნი, აფთარნი მძაფრნი;
უსაზღვროება, უსაგნოება, –
უგზო ეკლობა, მათთ ტოლნი ზვირთნი
აღელვებულის ქვიშის ზღვისანი
მიმომავალნი ქარის ნებითა, –
ესე არიან საჰარას ზედან
მღვიძარებისა წარმომადგენნი!
ნუთუ მან კაცსა დამბადებელმან
დაუხშო კარნი შვებისა მიმართ,
ნუთუ მამგრალი ამოდ იღვნის
სასოებაზედ და სიყვარულზედ?
რა ქმნას უძღურმან საშუალს
მყოფმან,
ეგე ოდენთა განსაცდელთასა?
არა, ღმერთს კაცი არსად უბადავს
უნუგეშოთა: საჰარას ზედან

აღმოსავლეთით ზღვა კერმენისა
და დასავლეთით ევქსინის პონტო,
ჩრდილოთ სკვითეთი, სამხრით ერანი
ჰსაზღვრიან ერთსა მცირეს ქვეყანას.
ქვეყნის ბუნება საამო არის:
ვერა რა მდელი მზის ფუფუნებას
ვერ დაემალვის აღუცენებლად.
ქარი მამრობი, ნიავი გრილი,
მხედარნი მხნენი, ვაჭარნი მშვიდნი,
მშვენიერება, ყვავილოვნება,
მოქალაქობა, ხალხთ მოძრაობა
და ქარავანნი მძიმეთ ტვირთულნი
მიმომავალნი მოდისა ნებით, –
ესე არიან მას ქვეყანასა
მღვიძარებისა წარმომადგენნი!
ნუთუ მან კაცსა დამბადებელმან
აღუხსნა სრულად კარნი შვებისა,
ნუთუ მუნ სუფევს შეურყეველად
გულის სიმშვიდე და სიყვარული?
რა ქმნას უძღურმან საშუალს
მყოფმან,¹
ეგე ოდენთა განცხრომათასა?
არა, ღმერთს კაცი არსად უბადავს
საფუფუნებლად: მას ქვეყანასა

ვით უკიანეს, მკვიდრნი ჭალაკნი
აქა იქ სდგანან მწვანე ოაზნი.
მუნ განისვენებს კაცი მაშვრალი
ყოველთა ვნებულთ გრძნობათ
შფოთვისგან,
მუნ მიენდობის რწმენას,
სიყვარულს,
ლმობიერებას და სასოებას.
განისვენებდე, ძმაო, ტანჯულო
წიაღსა მაგას მყუდროებისა
და ვით სიზმარსა, მოიგონებდე
რაიცა გეგრძნოს, რაც გამოგველოს.

ვითა საჰარას მწვანე ოაზნი
ჰსდგანან სოფელნი წალკოტოვანი.
კაცი მაშვრალი მუნ განუტევებს
ყოველთა თვისთა ტკბილთა
ოცნებას;
მუნ განუდრკების რწმენას,
სიყვარულს,
ლმობიერებას და სასოებას.
ველტოდე, ძმაო, სადგურსა ვნებულს,
გულის შფოთვასა ოჯახობისას;
და ვით ოცნებას, მოიგონებდე
ტკბილ საუბარსა კეთილთანა.

[1840-1850-იანი წწ.]

ქვიშხეთის მთაწმინდა

მაღალსა მთასა, ტევრით ბურულსა
მდგარა ოდესმე ბერი მლოცავი.
ქედსა მთისასა ეკკლესია ჰსდგას
მცირე, ოთხკუთხი, ცაგარდახსნილი¹
და სიძველითა აქ იქ ნგრეული.

არცა რიცხუი, არცაღა წელი
აღშენებისა არღა შთენილა;
ოდენ ძლიერი ჟამთა დენაი
ვერ შეჰხებია მშვენის ხსენებას
და აქამომდე ამ მთის მხარეზედ
წმიდა გიორგი ქვიშხეთის – მთელი,²
მიაჩნს ყოველსა მამად მფარველად.

საამოს მიმართ გზა მარად ძნელ არს:
საყდრისა მისდა შევალს აღმართი,
ორის საათის სასიარულო.
ხოლო შეღმართსა ვერ უბრკოლვია
დენა მის მიმართ მავედრებელთა
და ყრუსა ტყესა, ამ ღართსა მთისას,³
მარად ჰსმენიეს ტაძრის გარეშე
ხმა გალობისა და ვედრებისა.
დღესცა შეჰკრბენენ მისს კარის ბჭეზედ
გვამნი ნაჩვევნი ფუფუნებასა
და აღავლენდნენ თვისს გულის წადილს
ქრისტიანობით ჰგრძნობით განწმედილს
ზენაის მიმართ, რომლის წინაშე
სხვათ მამათ შორის, ვჰხადით მეოხად

ნმიდას გიორგის. მდებიალება,
ნმინდა ჰაერი, ტყის სინყვლიადა
და ერთ ხმოვანი ხეთა შრიალი.
გულს დაუნერგავს მუნ მყოფს ყოველსა
სარწმუნოებითს მონინებასა.

საამო რა არს? ერთსა ჰსურს ღმობა, –
მეორეს განცდა ფიქრთა ძლიერთა, –
ხოლო ორთავე – განცხოველება
და აღტყინება გრძნობათა თვისთა.

აქ ღმობიერების მონადეთათვის,
იხილვის კრება ათთა თუ ოცთ გვამთა,
სხვა და სხვა გვართა – გარნა ერთ გვარად
ღვთის ლოცვისათვის შემოკრებილთა.
ჰსდგანან იგინი ტაძრის წინაშე.
შიშსა რღვევისას ზემონიჭებულს
ცხოველისათვის, გარე უპყრია
მლოცავნი ესე. მთასა წინაშე
მღვდელი მოსილი სრულ ჰყოფს ვედრებას
წეს დებულების წერილისამებრ. –
და სახე მათი, ქვეყნიერთა
შვენებით მკული, გამომეტყველებს
კრძალვით მიმართავს უკვდავის მიმართ
სურვილთა, ფიქრთა და გულის ძალით.
ხილვა ამ კრების გვაგონებს კრებას
წმიდათა გუნდთა ღვთისა წინაშე.

ხოლო ვისაც ჰსურს განცდაი ფიქრთა, –
წარჰსდგას მან ბიჯნი საყდარსა წინა
და გარდხედოს სიმაღლიდ მდაბლად:

მშობელი ქართლი წარეფინების
წმიდისა მთისა კვარცხლბეკთ წინაშე.

აღმოსავლეთით ჩრდილოსა მიმართ
ჰზღუდვენ მას მთანი კავკასიისა,
ეს გმირთა დასნი, აღდგინებულნი
ჰაერთა მიმართ მიწის შფოთვისგან
და ზე-შემდგარნი, შექვავებულნი
განცვიფრებისგან, რომ ჰბედეს აღსვლა
ესრეთს სიმაღლეს.⁴ – მუნ გარდეფინა
თხემთა მათ ყინვა და ცეცხლი მათი,
მაშფოთებელი, გულსა ემაღათ
გარემო ყინვით დასაშრეტადი.
დასავლეთისკენ მიიზვირთვიან
ახალციხისა და იმერეთის,
ტყიანნი მთანი. – ხოლო სამხრეთით –
ტევრნი, შეყრილნი საჯავახოს
სიმაღლეთ ზედა. ბორჯომის კლდეტგან,
სივინროებით შეძრწუნებული,
გამოჰრბის მტკვარი, და გარდაშლილის
ადგილის მპოვნი, მიიზლანების
ამპარტავნებით კასპიის მიმართ.

ამ ზღუდეთ შორის ფენილი ველი
არს ზემო ქართლი მშობელი ჩვენი.
თვალი კაცისა ჰფრინავს მსუბუქად
სოფელთა, კოშკთა, ხნულთა, ყანათა
და ტყეთა ზედა, რომელთა მიერ
შექრელებულ არს ქართლის სამები⁵
ტბად საგონები, მდგრად დაშრეტილად.

აქა გვემულან ვნებათა ზვირთნი
და შემუსვრილან გულის წყრომანი
აქ წამებულან ჰსჯულის ერთგულნი,
უგვანთ ბრძანებით ურჩობისათვის;
ძლევა მოსილან მტრისა მაბრძოლნი
და თვითც ძლეულან ძალთა სიმრავლით.

აქ ჰსდულებულა ხალხთა ცხოვრება
ვნებათ ცეცხლითა შეყენებული
ოდესმე პირსა გარდმოდენილა
ოდესმე შიგვე ჩამქრალეზულა;
და უცხოვრიათ ამა სახითა,
ვით ანცა ჰსცხოვრებს ჩვენ დროის ხალხი,
მრავალთ წინაპართ, ძველად ძინებულთ.
ხოლო ადგილი ამ ცვლილებათა
ესევე ველი არს ზემო ქართლისა
უცვალეზელი. – ამავე მთითგან
ზე გარდუხედავთ ჩვენებრ აქ მყოფთა,
და ვით ჩვენ მათა, სხვანი ჩვენს შემდეგ,
მოგვიგონებენ უსახელოდა
და ვით ჩვენ მათა, დაგვივიწყებენ.
ანინდელს კრებას დააშვენებდნენ
სამ ოთხნი გვამნი, გულის მალბობნი
თვალთა დამტკობონი, სამოთხის არსთა
წარმომდგენელნი დამნახავათავის
ღირს სახსოვარნი; გარნა ვინ უწყის,
იქნება კვალადც დროთ მომავალთა
მსგავსნი სხვა გვამნი ამ მთას შეჰკრიბონ
და პირნი მათნი, მათნი სახელნი
ისე წარრეცხონ შემდგომ სხვათათვის,
ვითარცა ჩვენი წარიხოცვიან.

მარად არს ოდენ დიდება ღვთისა
და მას მხოლოს აძს უცვალეზლობა.

24 აგუვისტო 1847 წელსა.
სოფელი ქვიშხეთი

ქველი მეგობრის პასუხი

ვინ-ონო¹ ჩემო! ასწივებიხარ დაბერებასა?
ეს ის არ იყო, რომ ცხებულთ ტომი შენი მშობელი
ცისმარადისად ზე აღუვლენდა ღმერთს ვედრებასა
შენისა სიყმის, შენის სიცოცხლის შემომტფობელი?
ქვეყნის თანარსის კანონის ძალით რა არ ჰბერდება, –
და როგორც ვამბობთ, სულ სხვა არსებად არ გადიცვლება?
ეს სჯულის დება ხორციელისთვის გარდუვალია; –
სულიერად კი არსება შენი სულ სხვა გვარია.
მთასა და ბარში ვერ ვნადირობო, ეს სამდურავი
შენ არ გეკუთვნის, როგორც პოეტსა; შენ გაქვს უფლება
უსაზღვრო, ვრცელი, ყოვლითურთ გარე შეუზღუდავი.
პოეტს გარეშე ვისა ჰქონია ამის შეძლება,
რომ სარბიელზედ, ამისებრ ვრცელზედ, მონავარდობდეს; –
მალა თუ დაბლა, მარჯვნივ თუ მარცხნივ წარიმართოდეს
ყოვლგან ყოველთვის ნებსით თავისით, დაუკითხავად –
თუ ჰნებავს ცხადად, თუ ჰნებავს მალვით და უხილავად?
ვეღარ მოვექეც მთას წვერზედაო? რა ხმა მომმართე!
შეისხი ფრთენი, როგორც პოეტმა და წარიმართე
იმასაც ზევით, სადაც ქვეყანამ, ალბორგების ჟამს
უნია ზვირთნი ზემესროლილნი; მაგრამ, რასაც წამს
იქ სივრცეს შეჰხვდნენ უჰაეროსა, შესდგნენ მყისვეა,
არარაობის ნახვის შიშითა გაქვავებულნი, –
სად სჩანან თხემნი დიდ გოლიათთა დამწკრივებულნი
ჰიმალაია, კორდილიერი, თუ კავკასია; –
აღვედ კვალადცა და გადმოჰხედე სამშობლოს შენსა, –
გარეგანობით ისევე სატრფოს, ისევე მშვენსა,
რომ არ აკლია ბუნებითადი უხვი შემკობა.

და შინაგნობით თუ ველარ ჰპოვე ძველი ქველობა, –
 მტერთან გამირობა, მოყვასთან ძმობა, სათნო საქმისთვის
 რაინდულებრი თავის განწირვა, მშობელ ქვეყნისთვის, –
 საღმთო ნიჭისა დედა ენისთვის მოღვაწეობა, –
 გვაყარე მაშინ, ნულარ დაგვინდობ, რისხვა, წყეობა.
 ცხენზედ შეჯდომა მიჭირდებაო! რათ გინდა ცხენი?
 ცისკრის ნიავი, დილის მზის სხივი ელექტრომდენი, –
 ყვავილთა სუნი, ათას გვარ ორთქლი, – შენივ ფიქრები, –
 ყველა არ არის პოეტისათვის მსწრაფლმატარები?
 არცა სადა დრო, არც სიშორე აბრკოლებს მასა, –
 დაბლა უფსკრულნი, მაღლა სივრცენი, ზღვა უძირონი, –
 ყველა გზა არის პოეტისათვის, გზა უბრგვილონი, –
 რა დააბრკოლებს ელვას ან ვარსკვლავთ ბრწყინვალეებასა?
 ველარ დავჭროლავ მე ველზედაო! შენ რათ დაჭროლო?
 შენ მოიმართე შენი მგოსანი, შენი სიმვოლო; –
 მიიმხრე ხმანი შენის მომხრესი, ბუნებისანი;
 დაგვძახე შენებრ დიდ მოძახილი და ჩვენ ქართველნი,²
 ჩვენ დავაქროლებთ მთათა და ველთა, ჩვენ აღვბორგდებით,
 რომ ჩვენ წავრეცხოთ მნიკვლნი ჩვენის გონებისანი;
 რომ დაუკუმიოთ ჩვენსა სამშობლოს გულის სინმინდე
 და მისნი მავნნი კიდეს გადაღმა გადავაბნიოთ.
 კეკლუცი ქალი აღარ მიმზერსო! რატომ – მე გეტყვი:
 ბევრი რამ არის თქმული ქალზედა; მაგრამ მეც ვიტყვი, –
 ქალია ნაზი, სანარნარები, საფუფუნები;
 შენ რომ სულისა გარს მოსასხმელი დაგძველებოდეს,
 აღარ იქნება, რომ იმისს თვალსლა ეწონებოდეს.
 მაგრამ სული გაქვს თვით თან მბრწყინავი და მას ევლება,
 როგორც სამკაულს, როგორც საუნჯეს დაუფასებელს, –
 და ისლა არის, რომ მოსწონს ქალსა, რომ ენატრება.
 მარტოლა ვარო! ეს რალა არის, როგორ თუ მარტო?
 ხელთ არ გიპყრია ბუკი, ნალარა და ლოროტოტო?
 შეჭყარე ძალნი შენის ნიჭისა, გონებისანი,
 თან მიაფოლე შენი უნარით ქნარი, მგოსანი, –

და მაშინ მითხარ, რომელი იყო შენებრი გმირი,
რომ მარტოდ მარტო არა მდგარიყოს? ვინ ჰყავდათ ტოლი
ჰომერს, ვირგილის, შოთა რუსთაველს, მილტონს, შექსპირსა,
შილლერსა, გეტეს, ვოლტერსა, რუსსოს, ბაირონს, ჰეინეს?
ქართლის ცხოვრება გადავფურცლოთო! მოძღვარ გვექმენი, –
რადგან ჩვენცა გვსურს, მოვედ, გვამხილე ჩვენ მონაფეთა,
რა იყვნენ ადრე მამასახლისნი, ცხებულ მეფენი?
რა ჰქმენს: ფარნავაზ, ან მირიანმა, სკიპტრა-მპყრობელთა;
წმიდამან ნინო; ვახტანგ მგელ-ლომმა, დავით აღმადგენმა;
თამარმა მზემან; დიმიტრიმ, არჩილ, ლუარსაბ, შალვამ;
ბიძინამ, დავით და კოსტანტინემ, ერეკლემ კახმან,
პატარამ, მაგრამ დიდმა ერეკლემ, პაპამან შენმა?³
გვამხილე, რაც კი აღმადგენია მოთხრობის ძალით;
რაც რომ შემძლეა გვემული სულის განმტკიცებისა; –
სამშობლო ქვეყნის, სამშობლო ენის აღმაფრენისა.⁴
თუ ისე წავჰხდით და დავმცონარდით, რომ ერთი ქნარით
ყურადღებასა ჩვენსა ეჭვობდე, – მოგვმართე მალლით
სიცხოველ შენი, შეანყე თუნდა სრული ორკესტრო
ხმათა ციურთა, ჭექა გრგვინვათა თან შეწყობილთა
და შეგვაძრწუნე, ოლონდ ნუ გვეტყვი, რომ ვერ მოგვესწრო,
მოგვბერე შენი ცხოველი სული ძმობილთა შენთა.

12 ნოემბერი 1883.

ს. ტკოცა

ქალი

(ჩემს შვილს ელ...ს¹)

I

ჩაცმა-დახურვა თუ არ ვახსენეთ,
მოყვანილობით ჩვენი მოდგმაა; –
მაგრამ გარეგანს ნიშნებს დავეხსნეთ:
უფრო საკვლევი მის ზნეობაა.
ჯერ მოვიხსენოთ სხვა-და-სხვა ტომნი,
სხვა-და-სხვა ხალხი; ან – ანატომნი,
თუ ზოოლოგნი, ფილოსოფოსნი
და ბუნებისა ისტორიკოსნი, –

II

რა და რა გვარად უყურებდნენ ქალს,
რა მნიშვნელობას აჩემებდნენ მას
საზოგადოსა ჩვენს ცხოვრებაში, –
ან კერძობითს მოსახლობაში?
ანატომია თვალთ გვაჩვენებს
ადამიანის მოყვანილობას;
მაგრამ ეს შინჯვა ვერ დააშვენებს,
როგორცა ვგონებ, ჩვენსა ზდილობას.

III

თუნდ ეს ზდილობაც რომ დავარღვიოთ
და თვალთ ვნახოთ, რაც საჩენია, –
მანც საკვლევი როგორ ვიკვლიოთ,
რაც რომ ზნეობის შესამცნევია?
ზოოლოგია იმას გვასწავებს,

რომ გავარჩევდეთ ერთსა ცხოველსა
მეორესაგან; წინ გაგვიტარებს
მათს ცხოვრებასა და ზნეს ყოველსა.

IV

ცხოველიაო, ქალისას გვეტყვის, –
ყოვლის მჭამელი და ტკბილის მსმელი; –
უცხო ამბავთა მიმთქმელ-მომთქმელი,
რაც ბრწყინვალეა სულ ყველას ეტრფის;
– სიცილი უყვარს, ქება მოსწონსო, –
და კიდევ ცელქობს, კიდევ მორცხვობსო.
ფილოსოფია ქალს ჰსახავს ბუდეთ
შურის და შფოთის დამბადებელად, –

V

და გულის თქმათა, სწორეთ თუ ბრუნდეთ,
ცეცხლის მომდებლად, აღმტყინებელად; –
აგებულებით სუსტად, ულონოდ;
ზნეობითად კი ძლიერთა მძლევად,
თუ რომ არ არის ჭკუით უგონოდ.
ჩვენი საკვლევი არც ეს ყოფილა.
სადა ქებულა, ან სად გამობილა, –
ეს მოვიკითხოთ. – ველური ხალხი, –

VI

შიშველ-მართალნი, ქალაკეულნი,
ძველი კაცობა შორს ვერ დამნახი, –
და მოთხრობანი ბანაკეულნი,² –
ქალს გვიხატავდნენ, როგორც სულდგმულსა,
კაცის შვებისთვის დაბადებულსა.
სად პირუტყვს ჯერ ვერ ამუშავებდნენ,
იქ შრომის უღელს აწევინებდნენ
და მერე, მაშვრალს, დაუყვავებდნენ.

VII

მაჰმადის მრწმენთა, ცოტა არ არის,
უშალავათეს: შინ მხეველათა ჰყავთ,
გარეთ უჩენად, მაგრამ მარადის
გულით ამაყთა, ზნეობითა ზევთ,
სწორეთ ჰგონიათ, დრო თუ იხელთა,
არ ნაუავო ჭკვიანთ, არც ხელთა.
ქრისტეს სიტყვამან სული ქალისა
და კაცის სული წინაშე ღვთისა

VIII

გათანაარსა, რადგან მამრისა
და მდედრის სული ერთმანერთისა
ტოლნი არიან.
ამ ახლანდელმა
ევროპიულმა მოქალაქობამ,
როგორც კაცობის დამამკვიდრებმა
განვითარებამ და ზნეთ დაცხრობამ,
გზას დააყენა თვალსახილველად
კაცთან თანაბრად ერთად სავლელად.

IX

სულის სიდიდე, გულის სიმაგრე
გამოცხადდება მწიგნობრობაში,
მაღალ-ზრახვაში, აზროვნობაში.
ამ ასპარეზზედ კაცის დამდარე
რამდენი არის ქალი განთქმული?
როგორ მოვთვალო, თვისი მამული
ვის რაოდენად უსახელნია!
ჟანლისი, სტალი და სევეინი; –

X

ჟორჟ-ზანდ, კორინნა, ბელჯოიოზო;
დორა დ'ისტრია, ეჯვორტ და ტროლოპ;

მისის ბიჩერსტო და ლედი სტენჰოპ!
თვითან ჩვენშიაც რომ მოვიგონო,
რამდენი მახსოვს ქართველი ქალი
მშვენივრად მთხზველი, თუმც შინ ნასწავლი, –
როგორც, ვსთქვათ, თეკლე, ქეთევან, ნინო!³
მათი სახელიც შორს განითქმოდა,

XI

ჩვენც რომ სხვათაებრ სტამბა გვექონოდა,
ან ტრაბახობა გვხალისებოდა
და კრძალულება არ გვჭირებოდა.
ისტორიასაც მივაპყრათ ყური;
განვაგდოთ ჩვენგან ყოველი შური, –
გული გავალოთ, ვიდარბაისლოთ
და მონათხრობნი მონმად მოვილოთ!
ბევრგან და ბევრჯელ ყოფილა ქალი,

XII

ხალხოსნობაში პირველ მავალი.
სადაც მეფობა წილად ჰხდომია,
ხალხის დიდებას, კეთილდღეობას,
სასიქადულო მოღვაწეობას
მხურვალე გულით მყის შესდგომია.
მრავალი არის სადიდებელად
სახელ განთქმული! სათითებელად
ვახსენოთ თამარ ქართველთ მნათობი; –

XIII

ელისაბედი, ინგლისთა მპყრობი;
ეკატერინე, ხელმწიფე რუსთა;
მარი-ტერეზა, ავსტრიის მეფა.
სადაც კი კაცმა კარგად იმეფა,
ქალის მეფობამ არსად უსუსტა.

ეს ყველა კარგი, სკეპტიკი გვეტყვის,
მაგრამ რაზედაც ჩვენი ზნეობა
და ჩვენი სულის ღვთაებრიობა

XIV

ემყარება, ან მიმოირხვევის, –
იქ რაღა ითქმის ქალის ღვანლისა?
სიტყვა საღვთოი, სიტყვა ქრისტესი,
წილ-უღია გვამსა ქალისას, –
ვითა ნიადაგს დიდ-პოხიერსა. –
სადაცა მამრნი გაბრწყინებულან
ახალის აღთქმის ქადაგებითა,
ღვთის-მეტყველებით, მოციქულობით,

XV

მღვდელ-მონაზნობით, მრავალ წამებით; –
არც მუნ შთენილან მღვდრნი უსაქმოდ.
დღე ვითარ განვლის, რომ ეკკლესიამ
საკითხავებში, საგალობლებში
არ მოიხსენოს წმინდათა შორის
ქალის სახელი ღირს-საქებარი!
ვინ განანათლა თვით საქართველო?
კაპპადოკელმან წმინდამან ნინო

XVI

მოციქულთ სწორმან! – ვინ იყო ქალი,
რომელ ქრისტესთვის ჰგმო ფუფუნება,
ჰგმო ქვეყნიერად ძნელ სათმობარნი
სიტკბოებანი და განცხრომანი, –
და ნებსით მისცა თავი წამებას
დიდად საშინელს, დიდად საზარელს? –
ეს იყო ჩვენი კახთ დედოფალი,
დიდი ქეთევან, მოწამე დიდი!

XVII

ქალი არ იყო თვით ქრისტე ღმერთის
ნიაღ-მღებელი, ჩვენი მეოხი,
ყოვლად უბინო, მარად ქალწული
დედა მარიამ ღვთისა მშობელი?
ვიდრიკოთ ქედი მონინებითა
და აღვიაროთ, რომ სადაც კაცსა
სასიქადულოდ უმოქმედნია, –
იქ ქალიც ჰბრწყინავს და უფრო მაღლაც

XVIII

აღმაღლებულა. ახლა ხელი ვჰყოთ
შეძლებისამებრ ამისლა თქმასა,
თუ რა ადგილი უჭირავს ქალსა
საყოველთაო ნყობილებაში,
სამრთელ მსოფლიო დადგინებაში?
რომელმაც ძალმა შეჰქმნა ქვეყანა, –
ნაკვთი რამ თვისი თან დაატანა
და ამ ნაკვთსა ძალს ემორჩილება

XIX

რაც არსია, თუ ნივთიერება.
ხილულსა ყველას და უხილველსა,
დრკუსა და ნაზსა,⁴ ხმელსა თუ ნედლსა,
მდენსა თუ ტბორსა, მყინავს თუ მთბობსა,
მნათობს თუ მაბნელს, მიეცა ყველას
მისი წრე, სივრცე, მის საქცეველი, –
მის ლტოლვილება, მის სარბიელი,
სივრცეში მსრბოლთა სხეულთ სიმრაველს

XX

ვერ იტევს ჭკუა, ვერ მოიაზრებს; –
მაგრამ იმათგან გზის გადაქცევა, –

წინადდებულის წესის დარღვევა
უფიქრელია, – ამ მიზეზით, რომ
მათში ის ჰსუფევს დაულაღვი,
განუდრეკელი ძალი მმართავი,
ძალი, რომელსაც დიდმან მან ნიუთონ
სახელად არქვა **მიმზიდველობა**

XXI

ურთიერთარსი.

მინა იზიდავს
მთვარესა, მთვარე იზიდავს მინას, –
და ასე მზენი, ვარსკვლავთა მწყობრნი,
ქვეყნის სხეულნი, ციურნი მსრბოლნი,
ხილულნი ყველა და უხილავნი, –
ჰბრუნვენ და რბიან ფიქრზედ უმაღნი
დასაბამითგან უკუნისამდე. –
მიმზიდველობა ურთიერთარსი,

XXII

გადმოთარგმნილი ჩვენ სასმენადმდე,
ტრფიალებაა ერთმანერთისა; –
ტრფიალება ხომ **სიყვარულია!**
სიყვარულია სახე ღერძისა,
რომელზედ ჰბრუნავს, რაც რომ არსებობს.
მაგრამ ესეც ვსთქვათ, რომ ამ სოფლიოს
მიმზიდველობა მარად ჰმოქმედებს;
კაცთა შორის კი მსწრაფლ წარმავალობს.

XXIII

ჩვენს ქვეყანაზედ მიმზიდი ძალის
სამკვიდრებელი გულია ქალის; –
და ქალი არის მამაკაცისი
სიცოცხლის ძალი, სიმვოლო მისი;

მაშ, ქალი არის ნავთ-საყუდელი
კაცობრივისა მღელვარებისა
და გამომსახი ნეტარებისა!
კი! განა არა! სადაც მზე მნათობს,

XXIV

იქ ღამეც არის; – სადაც ლხინია,
იქ ჭმუნვაც არის. მაგრამ რაც გვამხნობს,
ჩვენ მას დავჰხარით. მაშ, მუხლ-მოდრეკით
თაყვანი ვსცეთ ქალს, ნუ გვიკდემია.
მსხვერპლთაგან მისთვის ნულარ განვდრკებით,
მისს ჩვენთან სწავლას ნუ დავიშურებთ.
შესაბამსა ტახტს მაშინ დავუგებთ,
რომ ზიარ-ვექმნეთ მისს მნიშვნელობას.

27 ნოემბერი 1883.

3670

ეკატერინე ჩიჩუა – გურიის უკანასკნელი მთავრის ასული*

სოლომონ II-ის ტფილისში წასვლასა და იქიდან თურქეთში გაქცევას¹ იმერეთში დიდი შფოთი და არეულობა მოჰყვა. ამით ისარგებლა სოლომონის ყოფილმა ვასალმა მამია გურიელმა და რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლის სურვილი გამოამჟღავნა, რითაც იგი სოლომონ II-ესა და მის მოკავშირეს, ტრაპიზონის შერიფ-ფაშას, დაუპირისპირდა. თავისი სურვილის გულწრფელობის

* აქ მოთხრობილი ისტორიის წყაროებია:

1. კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიის არქივი. მამია გურიელის საქმე, 99;
2. იქვე. საქმე გურიის მთავრის სიკვდილისა და გურიაში სამართველო საბჭოს დაარსების შესახებ, 260;
3. იმავე კანცელარიის მიერ 1839 წლის 1 აგვისტოს დაწყებული და ჯერ კიდევ დაუმთავრებელი საქმე ეკატერინე ჩიჩუას ავადმყოფობისა და მისთვის პენსიის დანიშვნის შესახებ;
4. 1828-1829 წლებში თურქეთის აზიურ ნაწილში განვითარებული საომარი მოქმედებების ისტორია, უმაღლესად დამტკიცებული რუსეთის იმპერატორის მიერ;
5. იმერეთის მმართველობაში შემოსული და ჩვენ მიერ ამ გზით მოპოვებული ცნობები გურიაში მომხდარი ფაქტებისა და მოვლენების შესახებ;
6. ზეპირი ნაამბობი ეკატერინე ჩიჩუას თავგადასავლის თვითმხილველის, აზნაურ იესე დოლიძისა, რომელიც მოუშორებლად თან ახლდა ოსმალეთში მყოფ ეკატერინეს და ამჟამადაც მასთანაა სანქტ-პეტერბურგში.

დასტურად მამია გურიელმა 1810 წლის 19 ივნისს ხელი მოაწერა „სათხოვართა პუნქტებს“, რომელთა საფუძველზეც გურიის სამთავრო რუსეთის მონარქიის მფარველობის ქვეშ უნდა შესულიყო.

რუსული მხედრობის მიერ შერიფ-ფაშას დამარცხებისა და ფოთის ალებისას გამოჩენილი ერთგულებისა და განუელი სამსახურისათვის მამია გურიელს პოლკოვნიკის წოდება და წმ. ანას I ხარისხის ორდენი ებოძა. ამასთანავე, რუსეთმა დაამტკიცა ზემოხსენებული „სათხოვართა პუნქტები“, გურია მოექცა რუსეთის მფარველობის ქვეშ, მამია შთამომავლობითი უფლებით გახდა გურიის სამთავრო ტახტის ერთპიროვნული მფლობელი და რუსეთის მონარქისაგან ამისი დამადასტურებელი ინვესტიტურაც მიიღო. ყოველივე ეს კი ან განსვენებული იმპერატორის, ალექსანდრე I-ის, 1811 წლის 8 აპრილის უმაღლესად დამტკიცებული სიგელით დაგვირგვინდა.

ცოტა ხანში მამია გურიელს გენერალ-მაიორობა ებოძა. იგი მთელი თავისი მმართველობის განმავლობაში ოდნავადაც არ განდრეკილა რუსთა ერთგულებისაგან და ამით საქართველოს მმართველთა ნდობა და პატივისცემაც ჰქონდა მოპოვებული.

მიუხედავად ათასგვარი შფოთისა და განხეთქილებისა, რომელიც ისეთი გეოგრაფიული მდებარეობის სამთავროებისთვისაა დამახასიათებელი, როგორც გურიაა, მამია გურიელმა მტკიცედ შეინარჩუნა ყოველივე რუსულისა და, პირველი რიგში, რუსეთის მიერ შემოტანილი ცივილიზაციის სიყვარული: ბავშვებში სწავლა-განათლების გასავრცელებლად ოზურგეთში დააფუძნა სკოლა; წარმოება-რეწვის აღორძინებისა და ვაჭრობის განვითარების მიზნით გურიის ერთ-ერთ სოფელში წმ. მარინეს ხსენების დღეს დაანესა მარინობის დღესასწაული და მოაწყო ბაზრობა, რომელზეც თავს იყრიდა გურიის მოსახლეობა; მოლდავეთიდან ანუ ვალახიიდან სპეციალურად მოიწვია ფიგლიარები და კომედიანტები, რომლებიც ბაზრობაზე თავშეყრილ ხალხს ართობდნენ; დაიწყო საკუთარ სასახლეში საღამოებისა და ბალების გამართვა,² საამისოდ ევროპიდან გამოიწერა კაპელმეისტერი, ჩამოაყალიბებინა მუსიკალური ორკესტრი და შემოიღო ევრო-

პული ცეკვები (დღესაც გურიაში იშვიათად შეხვდებით იმ დროის თავადიშვილს – კაცი იქნება იგი თუ ქალი – ჩინებულად რომ არ იცოდეს ევროპული ცეკვები).

ასე და ამგვარად, გურია მოკლე ხანში დაადგა სამოქალაქო ცხოვრებისა და განათლების გზას და ამ მხრივ სწრაფად გაუსწრო კიდევაც ამიერკავკასიის სხვა პროვინციებს. მაგრამ ღირსეული მთავრის გარდაცვალებამ გურიის ცხოვრებას სულ სხვა გეზი და მიმართულება მისცა.

მამია გურიელი გარდაიცვალა 1826 წლის 21 ნოემბერს.³ ვინაიდან მისი მემკვიდრე დავითი იმჟამად მცირეწლოვანი იყო, ხელისუფლებამ, გაიგო თუ არა მამია გურიელის გარდაცვალების ამბავი, მაშინვე დააარსა გურიის დროებითი სამმართველო საბჭო, რომელშიც შეიყვანა გურული თავადები, ხოლო საბჭოს სათავეში ჩაუყენა მცირეწლოვანი მემკვიდრის დაქვრივებული დედა – სოფიო.

გენერალმა ერმოლოვმა ასეთი განკარგულება კი გასცა, მაგრამ, ამასთანავე, იგი შიშობდა, სუსტი დედაკაცის მმართველობას გურიაში შფოთი და უნესრიგობა არ გამოენვია. გენერალმა ხელმწიფე-იმპერატორს გამოსთხოვა ნებართვა, რომ სამთავრო ტახტის მემკვიდრისათვის საკუთარი შეხედულებისამებრ სამხედრო ჩინი მიენიჭებინა, თუმცა იმავდროულად ერმოლოვის განკარგულება შეიცავდა ზოგიერთ ისეთ პუნქტს, რომელიც ეწინააღმდეგებოდა გურულთა ადათსა თუ ცხოვრების წესს. ერმოლოვის მიერ არ დაკმაყოფილდა არც სოფიოს, არც დროებითი სამმართველო საბჭოს წევრების, არც გურიის სამღვდელოებისა და თავადაზნაურობის არც ერთი თხოვნა განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

ექვსკაციან საბჭოში სოფიოს ნების წინააღმდეგ ორი ერისთავიც იქნა შეყვანილი.⁴ ეს თავადები კი ცნობილნი იყვნენ გურიის სამთავრო ოჯახისადმი აშკარად გამოხატული სიძულვილით. ნებისმიერი გადაწყვეტილება დროებით საბჭოს ხმათა უმრავლესობით უნდა მიეღო. ამასთანავე, ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენლებთან მიმონერა უნდა წარმოებულყო ერმოლო-

ვის მიერ დადგენილი ფორმით: ხელი უნდა მოეწერა საბჭოს უკლებლივ ყველა წევრს, ხოლო სოფიოს ტიტულატურა ასე იყო განსაზღვრული – გენერალ-მაიორმა, თავადი სოფიო გურიელი.

ყოველივე ეს სოფიომ თავისი მაღალი ღირსების შეურაცხყოფად და კანონიერი უფლებების შეზღუდვად მიიჩნია. ამას დაერთო, ერთი მხრივ, ხალხის მითქმა-მოთქმა იმის გამო, რომ დედოფალი უფლებრივად თავის ქვეშევრდომებს გაუტოლეს და, მეორე მხრივ, ოსმალეთის აგენტურის ხრიკები. ოსმალეთი სოფიოს გადაბირებას ესწრაფვოდა!

რუსეთის მიმართ სოფიოს ფარული გულისწყრომა დღითი დღე იზრდებოდა. ამასთანავე, რუსეთის წინააღმდეგ მას აქეზებდა მისივე ფავორიტი, თავადი დავით მაჭუტაძე, რომელიც განსვენებული მთავრის ნდობით კი სარგებლობდა, მაგრამ ახლა რუსეთით უკმაყოფილოთა სათავეში იდგა და თავისი ჭკუისა და გამოცდილების წყალობით ხალხშიც დიდი ავტორიტეტი და გავლენა ჰქონდა მოპოვებულ.

1828 წლის დამდეგს სოფიომ ოსმალეთთან გააბა კავშირი. გადანყვიტა რა, რომ რუსებს განდგომოდა, მან მაჭუტაძე ოსმალეთის ხელისუფლებასთან მოსალაპარაკებლად ფოთში, ბათუმსა და ტრაპიზონში გაგზავნა. შედეგად კი მიიღო კეთილგანწყობის დამადასტურებელი ფირმანი, რომლითაც სულთანი მთავრის ქვრივს მფარველობასა და მისი ინტერესების დაცვას ჰპირდებოდა.

1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომთან დაკავშირებული სამხედრო განკარგულება მთავარი სასაზღვრო პუნქტების დახურულ ზონებად გამოცხადების შესახებ, მთავარსარდლის მიერ გაგზავნილი წერილი, რომელშიც სოფიოს არაკეთილსაიმედოობის შესახებ ხალხში გავრცელებულ ხმებზე იყო საუბარი, მოსახლეობაში დარიგებული სპეციალური პროკლამაციები და ამ რიგის სხვა ღონისძიებები უნდა ყოფილიყო მიზეზი იმისა, რომ სოფიომ წერილობით მოინანია თავისი საქციელი. უფრო მეტიც, რუსების მიერ ახალციხის აღების შემდეგ იგი საიმისო მზადყოფნასაც კი აცხადებდა, რომ ჩვენს სასარგებლოდ ბათუმსა და

ქობულეთში შეჭრილიყო. თუმცა მისი ეს სურვილი უპასუხოდ იქნა დატოვებული.

ჩანს, სოფიო ამის შემდეგაც მერყეობდა, თუ რა გადაწყვეტილება მიეღო საბოლოოდ და მისი ეს მერყეობა მაშინ გამომჟღავნდა, როცა გენერალ-მაიორი გესე თავისი ლაშქრით შევიდა გურიაში და მოინდომა, უშუალოდ სოფიოსაგან მოესმინა სათანადო ახსნა-განმარტებები. სოფიოს სურდა, პირადად ხლებოდა გენერალს, მაგრამ ერთმა მასთან დაახლოებულმა პირმა იგი დააშინა – რუსებს შენი შეპყრობა და შვილებითურთ რუსეთში გადასახლება აქვთ გადაწყვეტილიო.

სოფიომ ეს ყველაფერი ადვილად დაიჯერა. სასჯელისათვის თავი რომ დაეღწია, იგი თავის შვილებთან, 8 წლის დავითთან და 14 წლის ეკატერინესთან, აგრეთვე, მისთვის აგრერიგად ძვირფას დავით მაჭუტაძესთან ერთად გურიის საზღვართან ლაშქრითურთ მომდგარ ოსმან-ბეგს ჩაბარდა.

გესემ მყისვე დაიჭირა გურიის საკვანძო პუნქტები და ოზურგეთში სამთავროს ახალი დროებითი მმართველობა დაანესა. გურიაში დარჩა მთავრის სამი ქალიშვილი: კოჭიბროლა, სოფიო და ტერეზია, რომელთაც მოჰხვიეს ხელი და გაგზავნეს პეტერბურგში, ხოლო იქ ქალთა სასწავლებელში მიაბარეს.

გენერალი გესე ერთ თავის ოფიციალურ წერილში მთავარმართველ პასკევიჩს სწერდა, რომ ერთმა დიდგვაროვანმა, რომელიც სოფიოს ოსმალეთში ახლდა და უკანვე დაბრუნდა, მითხრაო: – მთავრის ქვრივს სურდა, რუსეთში ჩასულიყო, ხელმწიფეს ფეხებში ჩავარდნოდა და შეწყალება ეთხოვა, მაგრამ გადააფიქრებინესო.

ამასობაში ხელმწიფე-იმპერატორმა, რომელმაც მთავარმართველ პასკევიჩის ოფიციალური მინერილობით შეიტყო სოფიოს საზღვარგარეთ გაქცევის ამბავი, უმაღლესი განკარგულებით განაჩინა: „აეკრძალოს სამშობლოში დაბრუნება ყველა იმ გურულ დიდგვაროვანს, რომელიც მთავრის ქვრივს საზღვარგარეთ გაჰყვა, ხოლო სამთავრო ტახტის მემკვიდრე დავითსა და მის დას ტრაპიზონში რუსეთის კონსულის პირით ეცნობოს, რომ დედის

მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო მათ ჩამორთმეული აქვთ მემკვიდრეობითი უფლებები და სარგებელი“. მაგრამ მთავრის ბედკრული ქვრივის ხეტიალი დასრულდა მანამ, სანამ იგი იმპერატორის ამ განკარგულების შესახებ შეიტყობდა.

სულთნისაგან დახმარების მიღების ბუნდოვანი იმედებითა და გურული თავადაზნაურობის მცირერიცხოვანი ამალით 1828 წლის ნოემბერში სოფიო ჩავიდა ტრაპიზონში, სადაც მას ოსმან-ფაშამ ბრწყინვალე მიღება გაუმართა.

პოლიტიკური მიზნებისა და იმ ვითარების გამო, რომ გაგონილი ჰქონდა მთავრის ქვრივისა და, განსაკუთრებით, მისი ქალიშვილის სილამაზის ამბავი და იმის იმედითაც, რომ მათგან რომელიმეს ხელში ჩაიგდებდა, ოსმან-ფაშა საკადრის პატივს მიაგებდა ექსორიაში მყოფთ და ამით მათ, ასე თუ ისე, უმსუბუქებდა კიდევაც მწარე ხვედრს.

თავის მხრივ, სოფიო მოხერხებულად ცდილობდა ოსმან-ფაშას კეთილგანწყობის გამოყენებას. როგორც ქალი, იგი, ერთი მხრივ, მასპინძელს ალუძრავდა სუსტ იმედებსა და, იმავდროულად, თავის მთავრულ ღირსებასაც ინარჩუნებდა.

ოსმან-ფაშას მზრუნველობა იმ ზომამდე მივიდა, რომ, როგორც კი ერზურუმი რუსული სამხედრო ძლიერების წინაშე დაემხო და რუსულმა იარაღმა ტრაპიზონის მახლობლად, გუმში-ხანესთანაც, ძლევამოსილად დაიქუხა, ოსმან-ფაშამ სოფიოს სასწრაფოდ აცნობა მოახლოებული საფრთხის შესახებ. უფრო მეტიც, ყოველი ღონე იხმარა საიმისოდ, რომ მთავრის ოჯახი უსაფრთხო ადგილას გადაეყვანა – უნიის საფარქვეშ თვითონვე გააცილა ანატოლიის სიღრმეში, იქ საიმედოდ დააბინავა და კონსტანტინოპოლში, სულთნის კარზე, ერთგული და ბეჯითი შუამავლობაც აღუთქვა. თუმცა სოფიო ხედავდა, რომ ომში დამარცხებულ პორტას მისთვის არ ეცალა და, აქედან გამომდინარე, საკუთარ უნუგემო მომავალსაც მშვენივრად ხვდებოდა.

ოსმან-ფაშაც, კონსტანტინოპოლის მთავრობის წინაშე ქვრივის ეს ერთადერთი ქომაგი და მოსარჩლე, ბოლოს და ბოლოს, უნდა მიმხვდარიყო, რომ მის იმედებს აღსრულება არ ეწერა და

ამას უნდა გაენელებინა კიდევაც მისი განუწყვეტელი ზრუნვა სოფიოს ხვედრის შესამსუბუქებლად.

თვითონ მთავრის ქვრივმაც ნელ-ნელა დაიწყო იმის გააზრება, რომ თავისი თავგანწირული საქციელით საკუთარ შვილებს დიდება კი არ აღუდგინა, არამედ სამუდამო დევნილის მწარე ხვედრი არგუნა. ასე და ამგვარად, დაავადმყოფებული და სულიერად ნატანჯ-ნაგვემი სოფიო უნიაშივე 1829 წლის 7 სექტემბერს ისე მიიცვალა, რომ ვერც ერთი თავისი განზრახულობა ვერ შეასრულა.

ასე დარჩნენ უცხო გარემოში, უცხო აღმსარებლობისა და ზნე-ჩვეულებების ადამიანთა შორის 9 წლის დავითი და 15 წლის ეკატერინე – ობლად, უნუგემოდ, უპატრონოდ და უქონაგოდ. მათი ერთადერთი დასაყრდენი იყო თავადი მაჭუტაძე, ისიც მოხუცებული და ბუნდოვანი იმედების ამარა დარჩენილი. მიუხედავად ამისა, ჭკვიანსა და იქაური ხალხის ბუნების კარგად მცოდნე მაჭუტაძეს როგორმე უნდა მოეხერხებინა ოსმალეთის მთავრობამდე მიღწევა და ობლებისათვის თავშესაფრის მოპოვება.

დაობლებულმა ბავშვებმა დედა მდულარე ცრემლებით დაიტირეს და ტრაპიზონში დაბრუნდნენ. ოსმან-ფაშა იმდენად კეთილშობილი კი იყო, რომ არ ინდომა, ეკატერინეს ობლობითა და უნუგემო მდგომარეობით ესარგებლა და კიდევ ერთხელ ეცადა მისი ცოლად შერთვა, თუმცა პორტას კი შეატყობინა – გურიის მთავრის ქვრივი გარდაიცვალა, მას დარჩა ვაჟი და მომაჯადოებელი სილამაზის ქალიშვილი.

ეკატერინე მართლაც თვალწარმტაცი ქალწული იყო. ოსმალთა მგზნებარე წარმოსახვასაც კი ძნელად შეეძლო გურულ ხანუმზე უფრო სრულყოფილი იდეალის შექმნა. სულთანი მაჰმუდიც ფრიად კმაყოფილი დარჩა, ასეთი მშვენიერების ხელში ჩაგდების შესაძლებლობა რომ ეძლეოდა.

ოსმან-ფაშამ სულთნისაგან ალერსიანი სიტყვებით გამთბარი ფირმანი და ობლების კონსტანტინოპოლში გაგზავნის ბრძანება მიიღო.

დავითი და ეკატერინე კონსტანტინოპოლში 1831 წლის იანვარში ჩავიდნენ. გზაზე ობლებს ათასგვარ საჩუქრებს უძღვნიდნენ, მაგრამ თავადი მაჭუტაძე, რომელიც მთავრის შვილებს გვერდიდან არ შორდებოდა, ამ საჩუქრებს უკანვე აბრუნებდა. ამით მას იმის გამოხატვა სურდა, რომ გურიელის ძესა და ასულს არც უცხო ქვეყანაში აკლდათ საკუთარი საარსებო წყარო. საჩუქრებსა და დახმარებაზე უარის თქმა, თავის მხრივ, იმ თავადებისა და აზნაურების დრტვინვას იწვევდა, რომლებიც თავიანთი საყვარელი მთავრის ობლებს კი ახლდნენ, მაგრამ ცხოვრების სახსრის გარეშე იყვნენ დარჩენილნი. თუმცა ისინი მაჭუტაძეს თავიანთ მეთაურად აღიარებდნენ, მის ჭკუასა და გამოცდილებას ენდობოდნენ და ამიტომაც უკიდურესი გაჭირვებით გამოწვეული შფოთვა და უკმაყოფილება გურულთა ამაღლის ვინრო წრეს არ გასცილებია.

გურულებს არ უღალატიათ თავიანთი ღირსებისათვის, ბოლომდე შეინარჩუნეს ობლებისადმი ერთგულება და ამით აღასრულეს ის მოვალეობა, რომელიც მათ მაჭუტაძემ, როგორც მეთაურმა, დააკისრა. ამასთანავე, ეცადნენ ზედმინვენით შეესრულებინათ მეთაურის კიდევ ერთი მოთხოვნა – მთავრის ასულს გაკვრითაც კი არ უნდა გაეგო სულთნის განზრახულობის შესახებ და დაეფარათ ეკატერინე ყველა ისეთი შემთხვევისაგან, რომელიც მას პირდაპირ თუ ირიბად მიახვედრებდა კონსტანტინოპოლში ჩასვლის მიზანს.

ძღვეამოსილი სულთნისა და ეკატერინეს დაქორწინებისაგან მაჭუტაძე უზარმაზარ სარგებელს გამოელოდა, მაგრამ, იმავდროულად, ეკატერინეს ხასიათიც კარგად იცოდა და იმის გაფიქრებაც კი ზარავდა, რომ მთავრის ასულს შეეძლო რაიმე მიზეზით ეს უმნიშვნელოვანესი საქმე ჩაეშალა.

ყოველმხრივმა სიფრთხილემ მაინც ამაოდ ჩაიარა: კონსტანტინოპოლში ჩასვლამდე ეკატერინემ როგორღაც გაიგო იმ ხვედრის შესახებ, მისთვის რომ ჰქონდათ გამზადებული, ეს მიიღო თავს დამტყდარ ზარდამცემ უბედურებად და ამ უბედურების გახსენებაც კი მას ადგილზე აქვავებდა.

თუ არ გავითვალისწინებთ ეკატერინეს აღზრდას, ძნელად გასაგები და ბევრისათვის გასაკიცხიც კი იქნებოდა მისი შემდგომი საქციელი.

მთავრის ასული ისე იყო აღზრდილი, როგორც ზრდიან (უფრო ზუსტად – ზრდიდნენ) კეთილშობილი ოჯახის ქალიშვილებს ამიერკავკასიის ქრისტიანულ მხარეებში. რელიგია იყო ის ქვაკუთხედი, რომელსაც უნდა დაფუძნებოდა კეთილშობილი ასულის ყველა გრძნობა, ფიქრი თუ წარმოდგენა. ხშირად ასეც მოხდებოდა, რომ ამა თუ იმ მიზეზით რომელიმე დოგმატისაგან გადახვევა მის წარმოდგენაში აძლიერებდა სხვა დოგმატს და, უნდა ითქვას, აძლიერებდა ფანატიზმამდე!

როგორც კი კეთილშობილ ასულს ბავშვობიდანვე წერა-კითხვის შესასწავლად დასვამდნენ, მაშინვე ხელში მისცემდნენ დავითის ფსალმუნებს, სამოციქულოს, კურთხევანს, ბიბლიასა და სხვა წმინდა წიგნებს. დროთა განმავლობაში იგი ამ წიგნებს ისე საფუძვლიანად შეისწავლიდა, რომ მასთან გაპაექრება თვით კარგად განსწავლულ სასულიერო პირებსაც კი უჭირდათ ხოლმე. საერო აღზრდა კი მხოლოდ ხელსაქმით შემოიფარგლებოდა.

კეთილშობილი ოჯახის ასულს უნდა შეძლებოდა ნათესავეებისა თუ მეგობრებისადმი ბარათის მიწერა, ოჯახური თუ სხვა ამბების წერილობით გადმოცემა, კითხვა ჰეროიკული პოემებისა, რომლებიც აღამაღლებენ და აკეთილშობილებენ ადამიანის სულს, ამასთანავე – მამისა თუ ქმრის შეხედულებისამებრ ოჯახური საქმეების წარმართვაც.

ერთი სიტყვით, აღზრდითა და განათლებით დიდგვაროვანი ოჯახის ასული აღმატებული უნდა ყოფილიყო მამაკაცზე, რომელსაც, თავის მხრივ, სიმარდე და მეომრული სიმხნევე მოეთხოვებოდა.

თავისთავად ცხადია, აღზრდის შედეგები სხვადასხვა ხარისხისა აღმოჩნდებოდა ხოლმე, მაგრამ ერთი რამ შეურყეველ წესად იყო დამკვიდრებული – კეთილშობილი ასულის არსებაში აღმოუფხვრელად იყო შთანერგილი ერთგულება მამათა რჯული-

სადმი და უკიდევანო სიძულვილი ყოველივე იმის მიმართ, რაც კი ქრისტიანულ წარმოდგენებს ეწინააღმდეგებოდა.

არაფერი იყო კეთილშობილ ასულთათვის იმაზე უფრო საშინელი, ვიდრე გათხოვება სხვა რჯულის მამაკაცზე, მით უმეტეს – იძულებითი შეცვლა სარწმუნოებისა. ქრისტიანული რწმენა მათ დედის ძუძუთი ჰქონდათ შეთვისებული, სულსა და ცნობიერებაში იმთავითვე ჰქონდათ შთაბეჭდილი.

და რა უნდა ვთქვათ ამ მხრივ ეკატერინე გურიელზე – ქრისტიანული პროვინციის მთავრის ასულზე?! მხოლოდ დედისადმი განუსაზღვრელ ნდობას შეეძლო ასეთ ყმანვილურ ასაკში მისი ფიქრისა და წარმოსახვისათვის ვითარების შესაფერისი გეზის მიცემა, მაგრამ დედა აღარ იყო ცოცხალი!

ეკატერინემ კარგად იცოდა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა თურქისა და სპარსელისათვის ქართველი ქალის სილამაზეს და მით უფრო მკაფიოდ ხედავდა თავს დამტყდარი უბედურების გარდაუვალობას. საკუთარი სილამაზის ფასიც იცოდა: ახსენდებოდა დედისა და მეგობრების თავმეუკავებელი ქება და მისი მშვენიერებით აღფრთოვანება; ახსენდებოდა მამია გურიელის მამობრივი ალერსი და ისიც, თუ რა სასიქადულოდ მიაჩნდა მამას ქალიშვილის მომაჯადოებელი სილამაზე.

მთავრის ასულის ერთი მხლებელთაგანი, აზნაური იესე დოლიძე, რომელზეც ქვემოთ კიდევ გვექნება საუბარი, მოგვითხრობს, რომ იმ დროისათვის ეკატერინე უკვე 16 წლისა იყო. მიუხედავად გურიიდან წამოსვლის შემდეგ გადატანილი გაჭირვებისა, ქალწულის სხეულში სიცოცხლე ჩქეფდა. უჩვეულოდ მომხიბვლელი პირისფერი და უნაზესი კანი, სქელი და ლამაზად მოყვანილი წარბები, გრძელი წამწამები, ბრიალა შავი თვალების ციმციმი წარმოაჩენდა მის კეთილშობილურ წარმომავლობასა და პირველი შეხედვისთანავე აჯადოებდა ადამიანს. აშოლტილი ტანი ეკატერინეს ანიჭებდა არაჩვეულებრივ დიდებულებას და მნახველში ძალაუნებურად რიდსა და მოწინებას აღძრავდა.

ასე აღწერს კონსტანტინოპოლში ჩასული ეკატერინეს სილამაზეს იესე დოლიძე. ყველა, ვინც დღესაც კი ნახავს მთავრის

ასულს, ადვილად დარწმუნდება, რომ დოლიძის ნაამბობში მაინც ადამაინც არაფერი ჩანს გადაჭარბებული.

გურულ ყარიბებს ესქი-სარაიში გამოუყვეს საცხოვრებელი და, ამას გარდა, მთავრის ობლებს სარჩოც უხვად დაუნიშნეს.

კონსტანტინოპოლში ჩასვლის მეორე დღესვე მათი საცხოვრებლის ეზოში მდიდრულად განყობილი ეტლები გამოჩნდა და თავად მაჭუტაძეს ყაფიჯი-ფაშას წარმომადგენლებისაგან ეცნობა: სულთანი დავით გურიელისა და მისი დისათვის მოიღებს ნყალობას, მისი დიდებულების წინაშე წარდგომის უფლებას მიანიჭებს და საამისოდ მათთვის ეტლებიც გამზადებულიაო. ამასთანავე, ფაშას წამომადგენლებმა მაჭუტაძეს მთავრის ობლებსათვის ნაბოძები საჩუქრებიც გადასცეს.

დავით მაჭუტაძე თითქოს ახლოს იყო ტრიუმფთან, მაგრამ ეკატერინეს მტკიცე ხასიათს შეეძლო ნაცარტუტად ექცია მისი ყველა იმედი. ვერც შეშფოთებულმა დავითმა, ვერც ამალის სხვა წევრებმა ვერ გაბედეს, ეკატერინესთვის შეეცდომინებინათ მოსალოდნელი აუდიენციის შესახებ, მით უმეტეს, იმ დროს მთავრის ასული ლოცულობდა. ეკატერინეს თან ჰქონდა დედისაგან ნაჩუქარი ღვთისმშობლის ხატი და მამისაგან ნანადერძევი ჯვარი – ძელი ჭეშმარიტი, რომელთა წინაშეც მხურვალედ და განუწყვეტილად ლოცულობდა.

წარმოთქვა თუ არა მთავრის ასულმა ლოცვის უკანასკნელი სიტყვები: „ყოვლად წმიდაო ღვთისმშობელო, მეოხმეყავ და დაიცევ სული ჩემი“, კარიც გაიღო და ოთახში შემოსული ძმისაგან ეკატერინემ სულთანთან ვიზიტის შესახებ შეიტყო.

– ჩვენ დავიღუპებით, ძმაო! – წარმოსთქვა ეკატერინემ და, სულ ერთიანად აცახცახებულმა, ძმა გულში ჩაიკრა.

უცებ ეკატერინეს აზრად მოუვიდა, თავი დაეუშნოებინა და როგორმე ამით მაინც დაეღწია თავი განსაცდელისათვის: სახე მოითხუზნა ფერუმარილით, ჩაიცვა უწესრიგოდ და უგემოვნოდ, თავზეც რაღაც საშინელება მოიხვია და ძმასთან ერთად ასე გაეშურა სულთანთან შესახვედრად.

სასახლის სიმდიდრემ და დიდებულებამ დავითზე გამაოგნებელი შთაბეჭდილება დატოვა, ხოლო ეკატერინე თავდახრილი და აჯაბაჯა სიარულით წარუდგა სულთანს.

– რა მშვენიერი ყმანვილი ყოფილა?! – სულთანმა დავითს თავზე ხელი გადაუსვა, – მშვიდად იყავი, პატარა გურიელო, ჩემი წყალობა არ მოგაკლდება! მგზავრობამ ხომ არ შეგანუხა? როგორ გრძნობს თავს შენი და?

სულთანი დავითს თან ამას ეკითხებოდა და უკმაყოფილო სახით შიგადაშიგ ეკატერინესაც აკვირდებოდა. შემდეგ დავითს საკუთარი ხელით უბოძა საჩუქრები, მათ შორის, ოქროს წვრილი ფული და საპატიო სტუმარს კეთილგანწყობის დასტურად ხელზე მთხვევის უფლებაც მისცა, რაც იმავდროულად კეთილად გამომშვიდობებასაც ნიშნავდა.

ამის შემდეგ ობლები გაიყვანეს, ხოლო სულთანმა მათზე ზრუნვა-მეურვეობა ერთ თავისთან დაახლოებულ პირს დააკისრა. ეკატერინე გამარჯვებას ზეიმობდა და თავსაც უკვე უსაფრთხოდ გრძნობდა.

რაც შეეხება ტრაპიზონის ოსმან-ფაშას, მას პატრონის რისხვა და მეხთატეხა არ უნდა ასცდენოდა, მაგრამ მანამდე სულთანმა ინება, ოსმან-ფაშას მიერ მიწოდებული ცნობა სასწრაფოდ კიდევ ერთხელ გადაემოწმებინათ.

მზრძანებლის სურვილის აღსასრულებლად ეკატერინე მეორე დღესვე ხოსროვ-ფაშას სასახლეში გადაიყვანეს და სამეურვეოდ ფაშას პირველ ცოლს ჩააბარეს. ეკატერინეს თვალთმაქცობა მაშინვე გამომჟღავნდა – აღმოჩნდა, რომ ის იყო ულამაზესი ქალწული და თავისუფლად შეეძლო ჰარამხანის მშვენებად ქცეულიყო.

ხოსროვ-ფაშას ცოლს მთავრის ასულის ნდობისა და სიყვარულის მოპოვება დაევალა – მას ეკატერინე უნდა ეცდუნებინა იმ ზღაპრული სიმდიდრითა და ფუფუნებით, რომელიც სულთნის ჰარამხანაში ელოდა, დაერწმუნებინა, რომ მაჰმადის რჯულის მიღებით იგი, ულემთა კანონების თანახმად, სულთნის ყველაზე საყვარელ ცოლად იქნებოდა აღიარებული და, ამასთანავე, საკმა-

რის ძალასა და გავლენასაც შეიძენდა საიმისოდ, რომ ძმისათვის დაკარგული სამემკვიდრეო ტახტიც აღედგინა და ოტომანთა იმპერიის წარჩინებულ დიდკაცადაც ექცია. იმავდროულად, მაცდუნებელს სულთნის სასახლიდან ეკატერინესათვის გადასაცემად უძვირფასესი საჩუქრებიც მოსდიოდა, მაგრამ მთავრის ასული ამას ყველაფერს გულგრილად ეკიდებოდა და განუწყვეტლივ ლოცულობდა. მიუხედავად ამისა, ეკატერინე ერთი კვირის შემდეგ მაინც გადაიყვანეს ჰარამხანაში, ხოლო დავითსა და მის ამაღლას ქალაქის განაპირას მიუჩინეს საცხოვრებელი.

ასე და ამრიგად, ეკატერინესა და მის ახლობლებს შორის ყოველგვარი კავშირი განწყდა, ხოლო ცოტა ხანში დავითს მოუტანეს ჯვარი, რომელსაც ეკატერინე მკერდიდან არ იცილებდა და უთხრეს, რომ მთავრის ასულს ეს ჯვარი უკვე აღარ სჭირდებოდა. ამ ამბავმა ყველა შეაშფოთა. მაჭუტაძე დაბნეული იყო, სხვები კი ფიქრობდნენ – ჩანს, მთავრის ასული გამაჰმადიანდაო. მაჭუტაძემ და იესე დოლიძემ უკეთ იცოდნენ ეკატერინეს ხასიათი და ამიტომაც იმის შიში უფრო ჰქონდათ, იყო თუ არა იგი საერთოდ ცოცხალი.

ერთი სიტყვით, ყველა ავი წინათგრძნობით იყო შეპყრობილი, თუმცა თავ-თავიანთ ეჭვებს ერთმანეთს არ უმხელდნენ.

ორი დღის შემდეგ ჯვარი უკანვე მოითხოვეს და ამ ამბავმა ყველა გაახარა, თუმცა მათი იმედები არ მართლდებოდა – გავიდა ერთი კვირა და ეკატერინეს შესახებ არსაიდან არაფერი ისმოდა. კიდევ ერთი კვირის შემდეგ გურულები ცოტათი გამოცოცხლდნენ:

– რომელია თქვენ შორის იესე დოლიძე? – იკითხა ყიზილალას ხელქვეითმა და შემდეგ იესეს უთხრა: – შენ გეძლევა მთავრის ასულის ნახვის უფლება და, თუ შეიძლება, სადმე გურული საჭმელი იშოვე და ღვინის შეტანის ნებაც კი გეძლევაო.

დოლიძე ჰარამხანაში საიდუმლო შესასვლელით შეიყვანეს. იგი მთავრის ასულის ყველაზე ერთგული მსახური და მისთვის თავგადადებული იყო და ამიტომაც სიხარულისაგან მიწას ფეხს არ აკარებდა, მაგრამ როდესაც მას ეკატერინეს სადგომი უჩ-

ვენეს და როდესაც ამ სადგომიდან რალაც მოჩვენების მსგავსი აჩრდილი გამოვიდა, იესე ადგილზე გაქვავდა:

– დოლიძე! ერთი კვირაა, არაფერი მიჭამია!

– ჩემი ქალბატონი სადღაა? – იკითხა იესე დოლიძემ.

– შენ მე უკვე ველარა მცნობ, დოლიძე? – იკითხა აჩრდილმა.

– ხმით ვიცანი, – ყვებოდა შემდეგ იესე დოლიძე, – ჩონჩხად ქცეული მთავრის ასული მკვდარივით იყო გადაფითრებული. გასაკვირი იყო, საერთოდ როგორ ედგა სული და კიდევ უფრო გასაკვირი ის იყო, თუ როგორ შეიძლებოდა ასეთ მოკლე ხანში მომაჯადოებელი სილამაზის ასული ამგვარ საფრთხობელად ქცეულიყო?

– დოლიძე! ხომ მომიტანე ჩემი სამშობლოს პური? – ჰკითხა ეკატერინემ თავის უბედურ მსახურს და ამანაც, საშინელი სანახაობით გულდათუთქულმა, ცოტაოდენი გურული საჭმელი და ღვინო მიანოდა.

– მარგალიტები დამაყარეს, – უყვებოდა იგი დოლიძეს, – ოქროთი და ალმასებით ამავსეს, მაგრამ ჩემი ჯვარი კი მომპარეს! ვაიმე, როგორ ვენამე!! ორი დღე ისე ვიყავი გახელებული, არც გამიგია, ჯვარი როდის დამიბრუნეს! ხომ გავლამაზდი და გავმშვენიერდი მე აქ, ჩემო იესე? კი, საშინლად გავლამაზდი და გავმშვენიერდი! მაგრამ მარხვაც ხომ შევინახე? პურის ნატეხიც კი არ მიჭამია, წვეთი წყლისა არ ჩამსვლია პირში! აქ ყველაფერს ისეთი ცოდვის სუნი ასდის... სულთანიც როგორი საზარელია?! როგორ მეზიზღება!.. უნდა, რომ ჩემზე ძალა იხმაროს... უფალო, შემინყალე მე!!.. უფალო, შემინყალე მე!!.. კი, სულთანი ძლიერია, მაგრამ მე ხომ უფრო ძლიერი ვარ, სანამ უფალი ჩემთანაა? ხომ ასეა, ჩემო იესე? მაგრამ მე ვინა ვარ? მომიტევე, ჩემო უფალო, რომ ვერ შეისმენ დრტვინვასა ჩემსა! იყავნ ნება შენი!..

ერთგული იასე უსმენდა მთავრის ასულის მისუსტებულ ხმას, მის არეულ-დარეულ ლაპარაკს და ქვითინს ვერ იკავებდა:

– მე მამიასა და სოფიოს შვილი ვარ და წარვსდგები მათ წინაშე, როგორც ღირსეული ასული და ქრისტიანი!.. იესე, ჩემო ერთგულო მეგობარო, ჩემო ერთგულო ძმაო, ილოცე ჩემი სული-

სათვის... მხურვალედ ილოცე ჩემი სულისათვის!.. უთხარი ჩემს ძმას, ილოცოს ჩემი სულისათვის... უთხარი ყველას, ილოცონ ჩემი სულისათვის... მე მტრების ხელში ვარ ჩავარდნილი!..

ჰარამხანიდან დაბრუნებული და მწუხარებისაგან განადგურებული იესე დოლიძე გულამოსკვნილი ქვითინებდა დავითთან ერთად.

მერე და მერე იესეს უფლება მისცეს, ხანგამოშვებით ენახა თავისი ქალბატონი. გურულმა საჭმელმა ცოტათი მოალონიერა მთავრის ასული. რამადანის დღესასწაულზე, როდესაც თურქებისათვის დღე ღამედ გადაიქცევა ხოლმე, იესე დოლიძე ყოველ დილით ნახულობდა ეკატერინეს. იესეს ოქროს მთებს ჰპირდებოდნენ, ოღონდ როგორმე მთავრის ასული დაეყოლიებინა, ის კი, პირიქით, ამხნევებდა ეკატერინეს, იმედს აძლევდა, რომ ამსოფლიური ტანჯვით ზეცაში სამუდამო სასუფეველს მოიპოვებდა.

– შენ წარმოგიდგენია, ჩემო იესე? – ეუბნება ერთხელ მთავრის ასული დოლიძეს, – ჩემმა თანშეზრდილმა, სახელსაც კი ვერ გავიმეორებ მისას, ჩემმა საყვარელმა მოახლემ, მაჰმადის რჯული მიიღო. თანაც, ეგ ბილწი მოღალატე მეც იმას მიჩვენდა, რომ ქრისტიანობის სიტკბოს განვმორებოდი! ხომ საშინელებაა, ჩემო იესე?! ამ ამბავმა შეიძლება ჭკუაზე შემშალოს!.. გავაძვევ აქედან, იმათ კი დიდ პატივში ჰყავთ. ერთადერთ ნუგეშად ჩემი ყრუ-მუნჯი მოახლე დამრჩა, მაგრამ, შენც ხომ იცი, ვერ დაველაპარაკები – სამარესავით უტყვია. გუშინ სულთანი კიდევ ერთხელ შემოვიდა აქ. საალერსო სიტყვებს მეუბნებოდა, მაგრამ მე მეშინოდა. მკითხა: ჩემო ჰურიავ, ქრისტიანად რომ მოვინათლო, მაშინაც უარს იტყვი ჩემს ცოლობაზეო? მე ვუპასუხე: მაშინ შენი მხევალი გავხდები-მეთქი! კიდევ მკითხა: თუ ამას არ ვიზამო? მე ვუპასუხე: ჩემს გაციებულ გვამს თუ მოეხვევი-მეთქი. თავი მრისხანედ გადააქნია და გავიდა. რა საშინელი ვინმეა, ჩემო იესე!

რამადანის შემდეგ დოლიძეს ეკატერინესთან სიარული აღუკვეთეს. მთავრის ასულთან ისევ შეწყდა ყოველგვარი კავშირი და ამჟამად ეს უკვე რამდენიმე თვე გაგრძელდა.

ერთხელაც დოლიძეს ვილაც უცნობმა დაწერილი ქალღმერთი მიანოდა და მყისვე გაუჩინარდა. ეს აღმოჩნდა ეკატერინეს წერილი, რომლითაც მთავრის ასული, ვითარცა რუსეთის გენერლის ქალიშვილი, რუსეთის დესპანს დაცვასა და მფარველობას სთხოვდა. მაგრამ დოლიძეს არ ჰქონდა არავითარი საშუალება, მთავრის ასულის თხოვნა ადრესატისთვის მიეწოდებინა. ამიტომაც აიღეს და წერილი დაწვეს.

ეს იყო 1831 წლის შუახანებში. იმავე წლის 9 ნოემბერს საქართველოს მთავარმართებელმა, გენერალ-ადიუტანტმა, ბარონმა როზენმა სამხედრო მინისტრის მეშვეობით ხელმწიფე-იმპერატორს თხოვნა წარუდგინა იმის თაობაზე, რომ უცხოეთში გადახვეწილი გურულებისათვის, მათ შორის, მთავრის შვილებისათვის, სამშობლოში დაბრუნების უფლება მიეცა. 1832 წლის იანვარში უმაღლესი ბრძანებით ბარონ როზენის თხოვნა დაკმაყოფილდა.

ამის შემდეგ ბარონმა როზენმა უკვე ტრაპიზონში რუსეთის კონსულ გერსის მიმართა, რათა მას გადახვეწილი გურულების მდგომარეობა გამოერკვია. მიიღო რა პასუხი, როზენმა ამჯერად საგარეო საქმეთა მინისტრს, გრაფ ნესელროდეს, სთხოვა, კონსტანტინოპოლში რუსეთის ელჩ ბუტენიოვის მეშვეობით სულთანსაგან მამია გურიელის შვილების სამშობლოში დაბრუნების ნებართვა გამოეთხოვა.

ამ გზითა თუ კიდევ სხვა საშუალებებით ეკატერინესთან კავშირის გაწყვეტიდან რამდენიმე თვის შემდეგ დავით გურიელი სულთანს წარუდგინეს. სულთანმა დავითი ალერსიანად მიიღო და ჰკითხა – დარჩებოდა თუ არა იგი კმაყოფილი, დას თუ დაუბრუნებდნენ?

დავითმა სიხარულისაგან ხმა ვერ ამოიღო და იმავე კითხვის დასმამ მოგვიანებით ხოსროვ-ფაშასაც მოუწია. გავიდა კიდევ რამდენიმე თვე, მაგრამ ეკატერინეს შესახებ არსაიდან არაფერი ისმოდა. დავითმაც იმაზე დაიწყო ზრუნვა, რასაც ადრე დაჰპირდნენ და სცადა გაერკვია, მისცემდნენ თუ არა კონსტანტინოპოლიდან გასვლის უფლებას, ხოლო მიზეზად იმას იღებდა,

რომ სხვა გურულებივით მასაც ავადმყოფობა აწუხებდა. ბოლოს და ბოლოს, დავითს შეატყობინეს, რომ ყველას ეძლეოდა ტრაპიზონში გამგზავრების ნება და რომ მათთან ერთად ეკატერინეც გაემგზავრებოდა. სიხარული მათი იყო ენით აუწერელი და განსაკუთრებით დავითისა და დოლიძისა. მაჭუტაძე კი ყველაზე მაღლა სამთავრო სახლის ინტერესებს აყენებდა და ახლა იმის ფიქრი ტანჯავდა, რომ ტახტის მემკვიდრისათვის კანონიერი უფლებების აღდგენის გეგმა ჩაუფუშეს.

გურულები უკვე აბარგებულები იყვნენ, როდესაც მათთან ერთი მოხელე გამოცხადდა და აუწყა – ერთ საათში მთავრის ასულს მოიყვანენო. მალე ეტლიც გამოჩნდა და იქიდან ეკატერინე გადმოვიდა, ერთი წუთით შედგა, შემდეგ ველური მზერით უკან მიიხედა და სასწრაფოდ ოთახში შევარდა.

– შენ ვინა ხარ? – დაუყვირა ეკატერინემ ძმას.

– დაო, საყვარელო, შენი ძმა ვარ, დავითი!

– დავითი?!.. განა ხონთქარიც დავითი არაა?.. არა, შე უკეთურო!.. ჰა, ჰა, ჰა!.. ვერ შესძელ, განა?.. ვერ შესძელ, განა?.. ჩემს გაციებულ გვამს მოეხვევი!.. რაო? არ გესმის, განა?..

იქ მყოფნი ამ საშინელებას გაშტერებული უყურებდნენ. ბედკრული ასულის სახე სულიერ ტანჯვას ძლიერ დაემახინჯებინა. ცოცხალ-მკვდარი გურულები თავიანთ ქალბატონს გარს შემოეხვივნენ.

– წარვედ ჩემგან, სატანავ, ხონთქართან წარვედ!.. მე ქრისტიანი ვარ!.. დიახ, ქრისტიანი!.. გესმით ჩემი, ეშმაკის მოციქულნო?!.. ცოცხალი თავით არ დაგნებდებით!.. მე თვითონ დავიგლეჯ ჩემს ხორცს!..

გულისპირი ჩამოიფხრინა, მკერდიდან ჯვარი მოიგლიჯა და თავის გაუბედურებულ თანმხლებთ ესროლა:

– განჰქრით წინაშე ჯვარისა წმიდისა!.. ჰა, ჰა, ჰა, ჰა!..

სანახაობა იყო თავზარდამცემი. დავითი შიშისაგან ბლაოდა და მაჭუტაძე იმას დასტრიალებდა. მთავრის ასული შეშლილი იყო და მისი თოკებით შეკვრა გახდა საჭირო.

უბედური ობლები ტრაპიზონის საფაშოში ჩავიდნენ და ტრაპიზონიდან ორი საათის სავალზე, დაბა პლატანაში, დადგნენ, ცოტა ხანს იქ იწრიალეს, სანამ სერასკირმა ოსმან-ფაშამ ბრძანება არ მიიღო, ექსორიაში მყოფი გურულებისათვის ნება დაერთო, რუსეთის საზღვარი გადაეკვეთათ.

კონსულმა გერსიმ მთავრის შვილები ინგლისელების ხომალდ „სირენაში“ ჩასვა და სამშობლოში გამოისტუმრა. დავითსა და მის უბედურ დას ამ უკანასკნელი მგზავრობის დროსაც, რასაკვირველია, თავიანთი ამაღა ახლდათ: 7 თავადი, 16 აზნაური, არქიმანდრიტი, მღვდელი, დავითის 40 მსახური; აგრეთვე, საკუთრივ ეკატერინეს თანმხლებნი: ერთი თავადის ქალი, სამი აზნაურის ქალი და 4 მოახლე. ესენი ყველანი გაამგზავრეს წმ. ნიკოლოზის სიმაგრეში,⁵ სადაც მათ 1832 წლის 15 სექტემბერს ჩამოაღწიეს; იქ ისინი ერთხანს კარანტინში ამყოფეს, შემდეგ ეკატერინე ოზურგეთში ნათესავთან დატოვეს, დავითს კი ტფილისისაკენ უქნეს პირი. დავითს ახლდა მაჭუტაძეც, რომელიც არ შეუშინდა მოსალოდნელ სასჯელს და არაფრით მთავრის ძეს არ მოშორდა. ესენი ტფილისში 30 ოქტომბერს ჩამოიყვანეს.

ბარონ როზენის მიერ იმავე წლის დეკემბერში ჩატარებულ საქმის გამოძიებასა და პეტერბურგში გაგზავნილ მოხსენებას 1833 წლის 3 თებერვლის უმაღლესი განკარგულება მოჰყვა: „მთავრის მცირეწლოვანი ძე დავითი აღსაზრდელად გამწესებულ იქნეს პაჟთა კორპუსში, სახელმწიფო ხაზინიდან სიცოცხლის ბოლომდე დაენიშნოს პენსია – 5 000 მანეთი ვერცხლით. ეს თანხა პაჟთა კორპუსში სწავლის დამთავრებასა და სამსახურის დაწყებამდე მის სახელზე პროცენტული სარგებლით ჩაირიცხოს კომერციულ ბანკში. დავითის დას, მთავრის ასულ ეკატერინეს, უფლება მიეცეს, იცხოვროს თავის რომელიმე ნათესავთან, ამასთანავე, ცხოვრების მოსაწყობად მიეცეს ერთდროული დახმარება – 3 000 მანეთი ვერცხლით და სიცოცხლის ბოლომდე დაენიშნოს ყოველწლიური 1 500 მანეთი ვერცხლით. სახელმწიფო ხაზინის ხარჯზევე დაენიშნოს ჯამაგირი მთავრის ძის თანმხლებ პირებსაც“.

ხელმწიფე-იმპერატორის ეს განკარგულება, რასაკვირველია, მაშინვე შესრულდა, ოღონდ დაჯილდოებულთა რიცხვში ვერ მოხვდა იესე დოლიძე; უნდა ვიფიქროთ, იმის გამო, რომ იგი არ ეკუთვნოდა წარჩინებულ ოჯახს. თუმცა, შესაძლებელია, მთავრის ოჯახისადმი გადამეტებული ერთგულების გამო იგი არაკეთილსაიმედო პირადაც ყოფილიყო მიჩნეული.

1833 წლის მაისში დავითი სანქტ-პეტერბურგის გზას გაუყენეს და იქ პაჟთა კორპუსში ჩარიცხეს, საიდანაც 1838 წელს ოფიცრის ხარისხით გამოუშვეს, ხოლო შემდეგ კავკასიის მთიელთა წინააღმდეგ გაჩაღებულ ომში განაწესეს და 1839 წელს იგი ჩრდილოეთ დაღესტანში იქნა მოკლული.⁶

თავადი მაჭუტაძე, რომელსაც საზღვარგარეთ გაქცევამდე მილიციის მაიორის ჩინი ჰქონდა, 1838 წელს აფხაზეთის მხრიდან ჩრდილოკავკასიელ მთიელთა წინააღმდეგ განხორციელებულ ექსპედიციაში მონაწილეობდა, იქ თავი გამოიჩინა და ჯილდოდ პოდპოლკოვნიკობა ებოძა. ამჟამად იგი გურიის დროებითი მმართველობის წევრია.

მთავრის ასული ეკატერინე სამკურნალოდ ტფილისში ჩამოიყვანეს. აქ იგი რამდენიმე თვე ნამდვილ სამოქალაქო მრჩეველ პრიბილთან ცხოვრობდა და მასთანვე მკურნალობდა, თუმცა უშედეგოდ. ამის შემდეგ კონსილიუმის (მათ შორის, პრიბილის) რჩევით 1834 წელს იგი გაათხოვეს – ჯვარი დასწერეს მეგრელ თავად ლევან ჩიჩუაზე, რომელსაც ეკატერინე ახლოს არ იკარებდა და რომელიც ჯვრისწერის შემდეგ მალევე გარდაიცვალა. დაქვრივებული ეკატერინე სამეურვეოდ და საპატრონოდ წაიყვანა მისმავე ნათესავმა, სამეგრელოს მთავრის ან განსვენებულმა მეუღლემ მართა ზურაბის ასულმა.⁷ იქ ცხოვრობდა ეკატერინე 1840 წლის მაისამდე.

ეკატერინეს კიდევ ერთი ნათესავის, იმერეთის უკანასკნელი მეფის, სოლომონ II-ის, მეუღლის, მარიამ კაციას ასულის, სურვილით⁸ 1840 წლის მაისში მთავრის ასული ჩამოიყვანეს ტფილისში, აქედან კი გაგზავნეს პეტერბურგში,⁹ სადაც მისთვის სპეციალური მეურვეობის დაწესებაა განზრახული. პეტერბურგში ეკატერი-

ნემ უნდა იცხოვროს თავის დასთან – ტერეზიასთან, რომელიც ერთადერთი ცოცხლად დარჩენილია იმ სამი დიდან, 1830 წელს რომ გაიყვანეს იმერეთიდან პეტერბურგში.¹⁰ ეკატერინეს თან გაჰყვნენ მისი ერთგული იესე დოლიძე და ყრუ-მუნჯი მოახლე.

პეტერბურგში ეკატარინე ჩიჩუას გამგზავრებამდე, 1840 წლის მაისსა და ივნისში, წინამდებარე მოთხრობის ავტორს შემთხვევა მიეცა ტფილისში რამდენჯერმე ენახა გურიის უკანასკნელი მთავრის ბედკრული ასული: მართალია, მის გარეგნობასა და სახის იერზე აღბეჭდილია ძველი დიდებულება და კეთილშობილება, მაგრამ იმავდროულად იგი მნახველში სიბრაღულსა და თანაგრძნობასაც იწვევს. იგი ტანმაღალია, გამხდარი, ერთიანად გადაფითრებული და უგრძნობელი. მეტისმეტად გამხდარი სახის ფონზე თვალში გეცემათ დიდი ცხვირი. ერთ დროს მშვენიერ, მშვილდივით მორკალულ წარბებს სწორი ფორმა მიუღია, რაც, უნდა ვიფიქროთ, შედეგია იმ მძიმე და მტანჯველი შფოთისა და ფორიაქისა, იშვიათად რომ ქრება მისი შუბლიდან. მის ფართო, შავ-შავ თვალებში უღრმესი მელანქოლია და გულგრილობა დასადგურებული. თუმცა არც ისე იშვიათად იგი მოიკრებს ხოლმე გონებას, გამოცოცხლდება და საუბრობს დალაგებულად. ამ დროს მის თვალებში კრთის უანგარო სიკეთე, ის ხალისი და წყურვილი სიცოცხლისა, რომლებითაც ერთ დროს სავსე იყო მისი არსება. ამ დროს მისი თვალებიდან გამოსჭვივის სიმტკიცე ნებისა, რომლითაც იმთავითვე იყო აღბეჭდილი მისი ხასიათი და რომელიც დროთა განმავლობაში ერთიანად მოსპო და შემუსრა ცხოვრების მძიმე განსაცდელმა.

ეკატერინე ჩიჩუას ამჟამად აღარ მოუვლის ხოლმე სიშმაგე, თუმცა ზოგჯერ ისტერიკაში ვარდება – ხმამაღლა იცინის უმიზეზოდ ან კიდევ კრთის და ცახცახებს მოუხელთებელ მოჩვენებათა წინაშე.

დეკემბერი. 1840.

ტფილისი

ამ მთისა, იმ მთისა და სხვათა შორის წოდებრიობისათვის ამიერკავკასიაში

თქვენ ალბათ გახსოვთ, ძვირფასო მკითხველებო, ბავშვობის-დროინდელი გაკვეთილებიდან, რომ ბუნებისმეტყველების ისტორიაში საგნები ძველად ასე განისაზღვრებოდა:

ქვები – ცოცხლობს.

მცენარეები – ცოცხლობს და იზრდება.

ცხოველები – ცოცხლობენ, იზრდებიან და მოძრაობენ.

ადამიანები – ცოცხლობენ, იზრდებიან, მოძრაობენ და ენაწყლიანობენ.

არ იფიქროთ, ამ საკითხზე ტრაქტატს გთავაზობდეთ. არა! თუმცა საჭიროა ამთავითვე შევთანხმდეთ ქვის თაობაზე. რა არის იგი:

ა) ცოცხალი არსება?

ბ) გამკვდარებულ-გახევებული საგანი?

გ) ისეთი სუბიექტი, რომელზეც *mortus est*¹ ითქმის და სხვა არაფერი?

თანახმა ვართ, არ მივიჩნით ქვა ცოცხალ არსებად, რათა ჩვენ თვითონ, ცოცხალ ადამიანს, რომელიმე პამპულამ შარი არ მოგვდოს – კაჟი ან კირქვა ბრძანდებო. აღმასს ჩვენ, რასაკვირველია, არავინ გვინოდებს, რადგანაც აღმასი, მართალია, უახლესი თეორიის მიხედვით იგივე კაჟი კი არის, მაგრამ კაჟი კეთილშობილი, მშვენიერი. იმაზეც თანახმა ვართ, აღმასთან დაკავშირებით არ ვიხმართ ლათინური სიტყვები სამედიცინო *dictionary*-დან,² რათა დავიცვათ ზრდილობის წესი და არ შევცოდოთ სათუთი ნერვებისა და სათუთი წარმოდგენების წინაშე.³

ქვებთან დაკავშირებულ ზემოხსენებულ პირველ და ბოლო მოსაზრებებზე ვინც როგორ ინებებს, ისე იფიქროს, ჩვენ კი იმ იმედს დავხარით, რომ შუათანა შეხედულებაზე საკუთარი თვალსაზრისის ჩამოყალიბების ნებართვას მოვიპოვებთ, თუნდაც თქვენი ზრდილობიანობის გამო და ასეთ შემთხვევაში დაბეჯითებით ვიტყვით – ქვა გამკვდარებულ-გახევებული საგანია.

მადლობას გწირავთ ნებართვისათვის და ამგვარ გულმონყალებას განსაკუთრებული მადლიერებით იმიტომაც მივიღებთ, რომ იგი – ამაში თავადვე დარწმუნდებით – ეჭვმიუტანელი აუცილებლობითაა ნაკარნახევი.

ჩვენი... ისევ დაბრკოლება! საკუთარ თავზე როგორღა ვილაპარაკოთ? როგორც სამხრეთელებზე, რადგანაც თითქმის ყველა ჩვენი მკითხველი დაბადებით ჩრდილოელია? თუ, როგორც აღმოსავლელებზე, რადგანაც ევროპელები, და მათ შორის ჩვენი მკითხველი ევროპელებიც, ყველა აზიელს აღმოსავლეთის შვილს ეძახიან? ჩვენ ხომ წარმომავლობით სწორედ აზიას მივეკუთვნებით?

როგორც ირკვევა, ეს უკანასკნელი მოსაზრება უფრო საფუძვლიანია და, საერთოდ, საკითხის დაყენების მიზანშეუწონლობის გამო სახელდახელო ბოდიშს ვიხდით.

მაშასადამე – ჩვენი აღმოსავლური წარმოდგენები! ანუ წარმოდგენები ჩვენი აღმოსავლელი წინაპრებისა, ამ თავისებური, გამოუსწორებელი ტურისტებისა, რომელთაც ფანტაზიის სამყაროში უყვარდათ ნავარდი და ამიტომაც იქ გაცილებით უფრო ხშირად დამოგზაურობდნენ, ვიდრე რეალურ გარემოში.

იმათ დროს ის მსოფლიო მეტისმეტად მჭიდროდ იყო დასახლებული და მოსახლეობას მართავდა – აბა, როგორ გითხრათ – რა ძალა მართავდა? მერწმუნეთ, ნებისმიერი ძველი დასავლელი პოეტი, რომლის სახელიც მისი დიდად ნიჭიერი გარდასახვების წყალობით უშორეს შთამომავლობაშიც კი ქუხს, მორცხვად დახრიდა თავს აღმოსავლელ მწერალთა გარდასახვების წინაშე. თუმცა ამ უკანასკნელთ მაინც ვერ შეძლეს საკუთარი ვინაობის შთამომავლობისათვის გადაცემა, ვითარცა ეს ოვიდიუსმა შეძლო.

დიახაც რომ არაერთხელ აღგვინიშნავს ჩვენი მკითხველების დელიკატურობა და ისინიც, რასაკვირველია, არ მოგვაყენებენ შეურაცხყოფას და არ გაიფიქრებენ – ნეტა ამ გარდასახვებზე ლაპარაკ-ლაპარაკით სინამდვილეში რა მიზანი ამოძრავებსო?

მიზანი ჩვენი ისაა, რომ აღმოსავლური გარდასახვანი არ აგვერიოს დასავლურ გარდასახვებში. იქ, დასავლეთში, ავტორი ამას წინასწარგანზრახულად, მიზანმიმართულად სჩადიოდა და საბოლოოდ ხელთა გვაქვს ან ზნეობრივ-მორალისტური ხასიათის აზრები, ანდა ბუნებრივი მოვლენები წარმოჩენილია ერთობ უცნაური, მაგრამ წარმოსახვაზე ძლიერმოქმედი ფორმებით.

ჩვენთან კი, აღმოსავლეთში, გარდასახვა ხდებოდა თავისთავად და მიზანი მხოლოდ ის იყო, რომ მკითხველს აღმოხდენოდა აღტაცების გამომხატველი ათასგვარი შორისდებული, მის სულს აღფრთოვანება უნდა დაუფლებოდა. სულ ესაა და აქ არ უნდა ვეძებოთ სხვა, უფრო გონივრული განზრახულებანი.

თუ თქვენ ისურვებთ, გაეცნოთ ამ ტიპის ძველი აღმოსავლური ენამზეობის მაგალითს, ალაღბედად მოგიყვანთ ერთ-ერთ ნიმუშს, ხოლო თუკი ამას არ ისურვებთ, კეთილინებეთ და გამოტოვეთ რამდენიმე ფურცელი.

საქმე აი, როგორაა:

ამირანი იყო მთელს მსოფლიოში ყველაზე ლამაზი, ახოვანი, ვაჟკაცური, მამაცი.

გულნარა იყო მთელს მსოფლიოში ყველაზე მომხიბლავი, ტანკენარი, ნაზი, კდემამოსილი.

ყველა ზოგადი კანონისა თუ იშვიათი გამონაკლისის მიხედვით, ამ მამაკაცური და ქალური სრულყოფილების განსახიერებებს უცილობლად და უსათუოდ უნდა შეექმნათ სანატრელი წყვილი, თუნდაც ბუნების ამგვარ ქმნილებათა კვლავწარმოებისათვის. მაგრამ იმავე კანონთა თანახმად, ერთმანეთის ნატრული ამირანი და გულნარა დაბრკოლებებსაც უნდა გადაჰყოფდნენ, თანაც, რაც უფრო ძლიერი იქნებოდა ერთმანეთისკენ ლტოლვა – უფრო მეტსა და მეტ დაბრკოლებას. ეს კი თუნდაც იმიტომ იყო საჭირო, რომ მერმე ერთმანეთის ფასი უკეთ გაეგოთ.

თქვენ, რასაკვირველია, ნებას მომცემთ დასაბამიდან ძირით-
ძირობამდე გაიმბოთ, თუ რაგვარად გამოიკვანდა ეს რომანი,
რამ დახლართა იგი, რა შემზარავი სიგრძე-სიგანის წინააღობები
აღიმართა იმთავითვე ჩვენს გმირთა შორის. აკი აღმოსავლური
გარდასახვის მაგალითი გაინტერესებდათ! ხოლო ნახსენები რო-
მანის კვანძის გახსნაში ღირსსაცნობ როლს სწორედაც რომ გარ-
დასახვები ასრულებს.

ადამიანთა მოდგმის ორივე ნახევრის ეს ყოვლად სრულყო-
ფილი ქმნილებანი – ამირანი და გულნარა – ინვოდნენ და იდაგე-
ბოდნენ ერთმანეთის სიყვარულით. საბედნიეროდ, სატრფიალო
წვასა და დაგვას შესაფერისი ცრემლთა ფრქვევაც თან ახლდა.
ვნებათა ხანძარი იმდენად ძლიერი იყო და ყოვლის შემმუსრავი,
რომ, თუ არა მეტრფეთა შესატყვისი ცრემლიანობა, ეს ხანძა-
რი ცოტა ხანში ირგვლივ ყველაფერს გადაბუგავდა ამ სიტყვის
პირდაპირი მნიშვნელობით: მოსპობდა და გაანადგურებდა იმაზე
ათჯერ მეტ ხომალდს, უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში,
როგორც აქ ამბობენ, ჩრდილოეთის გზის პრობლემის გადაჭრას
რომ დასჭირდა.⁴ რაიმე ძალას რომ შესძლებოდა ამ აგიზგიზე-
ბული ცეცხლის ენების მიმართვა პირდაპირ კასპიის ზღვისაკენ,
მაშინ აღარც ეს ალიაქოთი ატყდებოდა – არ გახდებოდა საჭირო
არც სამეცნიერო ექსპედიციების მისვლა-მოსვლა წყლის დონის
დასადგენად,⁵ არც ამ საკითხის წამოჭრა, არც მისი გადაჭრა,
რაც, ბოლოს და ბოლოს, გამარჯვებული დასავლური მეცნიერე-
ბის ზარ-ზეიმში გადაიზარდა; მეცნიერების იმ მიმართულები-
სა, ჩვენი წინაპრების აღმოსავლეთს სიზმარშიც რომ არ მოლანდე-
ბია.

ერთი სიტყვით, ვნებათა ეს ცეცხლის აღმური, რომელსაც
დანარჩენი კაცობრიობის საბედნიეროდ ამირანი და გულნარა
საკუთრად ინახავდნენ, დღითი დღე ძლიერდებოდა და ძლიერდე-
ბოდა და არა იმიტომ, რომ ცეცხლს სანვავი ემატებოდა, უფრო
პირიქით, სანვავის დიდი ნაკლებობის გამო – მათ შორის გა-
დაიჭიმა ისეთი სივრცე უერთმანეთობისა, რომელსაც, როგორც
იტყვიან, კიდე არ უჩანდა.

და მაინც – კიდევ არსებობდა!⁶

ჩვენს მსოფლიოში დასახლებული ადამიანური ელემენტებისადმი, აგრეთვე, ჰაერის, მიწის, წყლისა და ცეცხლისადმი მტრულად განწყობილი ძალები: დევები, ჯინები, ქაჯები, ალები და სხვა მათი მსგავსი ნაირ-ნაირი უბედურებანი, ყველა უკლებლივ, უსიტყვოდ და ულაპარაკოდ ემორჩილებოდა ბაყბაყს, დევთა შორის უხუცესსა და უძლევეამოსილესს.

ამ ბაყბაყმა, მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ადამიანური ნატურისადმი ბოროტ შურს ჰყავდა შეპყრობილი, ერთ ყოველად უკაცრიელ ალაგას, ფრიალო კლდეზე აღმართა ციხე-დარბაზი, გარს შემოარტყა ყოველგვარი თავზარდამცემი თილისმები თუ სხვა ათასგვარი ჯადოქრობანი, მისივე სახლიდან გაიტაცა დედამინის დამამშვენებელი ქალწული გულნარა და იგი ციხე-დარბაზში გამოამწყვდია, თვითონ კი თავს იდვა როლი ყველაზე ავი ქოფაკისა იმ ქოფაკთა შორის, რომელიც კი ოდესმე თივაზე მჯდარა.⁷

აი, კიდევ იმ თვალუნვდომელი სივრცისა, რომელსაც უნდა მისდგომოდა ტრფობის ხანძარში გახვეული ამირანი!

აბა, რა იმედი უნდა ჰქონოდა ადამის ძეს, რომ ასეთ ციხეში შეაღწევდა? კარგი, ვთქვათ, შეელწია – რა იმედი უნდა ჰქონოდა, რომ ამ უხორცო უწმინდურისაგან მომაჯადოებელ ხორციელს გამოიხსნიდა?

მაგრამ იმჟამად შხამთან ერთად შხამსანინაალმდეგო საშუალებებიც არსებობდა, რაც, სხვათა შორის, ახლაც ასეა. თუმცა ძველსა და ახალ დროებას შორის ერთი განსხვავება კია: ადრე ადამიანებს ისე დიდებულად არ მარხავდნენ, როგორც ამ ცოტა ხნის წინ ორფილა დაფლეს.⁸

ერთი სიტყვით, მაინც აღმოჩნდა ღონე, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელი ხდებოდა ციხე-დარბაზში შეღწევა და იქიდან მზეთუნახავის გამოხსნა.

ადამიანის მოდგმისადმი კეთილგანწყობილ გრძნეულთა გუნდს იმ ხანებში მეთაურობდა ვინმე Miss⁹ მაჯლუმი. „Miss“-ო იმიტომ ვამბობ, რომ, ჯერ ერთი, არ დაგვჭირდეს ხსენება მისი

მამის სახელისა, რომელიც უმადურმა შთამომავლობამ დავინყე-
ბას მისცა. მეორეა-და, ჩვენ ვერ დავინყებთ მტკიცებას – მა-
ჯღუმისა და დასავლური დემონოლოგიის ერთ პერსონას, Miss
მაგის, შორის არანაირი ნათესაური კავშირი არააო; და მესა-
მეც – გვსურს მოხერხებულად ავუაროთ გვერდი ჩვენს უვიცო-
ბას მაჯღუმის ტიტულთან დაკავშირებით, რომელიც მას, უნდა
ვიფიქროთ, ნაბოძები ექნებოდა ოჯახურ გარემოებათა გამო და
აგრეთვე ამოშლილია შთამომავლობის მეხსიერებიდან.

მაჯღუმს ყველა წამონყების ხორცშესხმაში ეხმარებოდნენ
ამ პროფესიის აღიარებული მეტრები, ე. ი. ადამიანთა კეთილ-
მოსურნე გრძნეულები:

მაჯღუმს ემორჩილებოდა ყველა ეს აიერი, უჩინარი სულები,
წინასწარ განსაზღვრული მიზნები რომ არა ჰქონდათ და მოქმე-
დებდნენ დროებისა და გარემოების შესაბამისად.

ყველა გარდანქემანი, ეს უზენაესი ავტორიტეტები ისეთ სა-
ქმეებში, რომლებშიც უდახვეწილესი ეშმაკობა და გონების არაჩ-
ვეულებრივი მოქნილობაა საჭირო. ეს პირნავარდნილი მეფისტო-
ფელები აღმოსავლური დემონოლოგიისა.

ყველა ჯინი, ვინც სიკეთის სამსახურში დარჩა მას შემდეგ,
რაც ჯინთა თემში ერთი დიდი განხეთქილება მოხდა. განხეთქი-
ლება კი წარმოშვა ამათი ამქრის იმჟამინდელი უსტაბაშის –
სხვათა შორის, ბაყბაყის ერთ-ერთი წინამორბედის – ხეპრულმა
საქციელმა.

დასასრულ, ყოველგვარი მადლიანი სამაშველო საქმეებისა-
თვის გამზადებულნი ეახლებოდნენ ხოლმე მაჯღუმს ფერიები –
ზეცის საყვარელი ბინადარნი, ანუ მობინადრეები, როგორც კან-
ცელარიებში იტყოდნენ. ეს უნაზესი არსებანი ადრე ანგელოზთა
დასში ირიცხებოდნენ, მაგრამ ერთხელ სიბრალულის ცრემლი
გადმოუვარდათ იმ საძმოს ხვედრის გამო, უზენაესის წინააღმ-
დეგ ამბოხებისთვის ჯოჯოხეთში რომ უკრეს თავი. და აი, ამის
შემდეგ ემპირიიდან გამოძევებული ფერიები დღენიდაგ დაქრიან
ზეცაში იმედიანი წადილით, ცოდვილთ სულში ჩაუგდონ სინდი-
სის ნაპერწკალი, ცეცხლად უქციონ იგი, დაანთხევიონ მხსნელი

ცრემლები მონანიებისა, მოკრიბონ ეს ცრემლები ოქროს ფიალაში, ფიალა ზეცად აიტაცონ, რამეთუ მხოლოდ ამ შემთხვევაში განიხვნება გარდაცთომილთა წინაშე კარიბჭე ედემისა.

ვინაიდან უყვარდა ადამიანთა მოდგმა საერთოდ და განსაკუთრებით კი ამირანი – განსაკუთრებით, შესაძლოა, იმიტომაც, რომ ამირანი მისი ძმისწული გახლდათ – მაჯლუმ მამიდა ღრმად ჩაეფლო თავის წიგნებში. შემდეგ კი თათბირად დასხა სახელმობვეჭილი გრძნეულები: საყვარელი ფერიები, ორპირი აიერები, პლუტი და გაიძვერა გარდანქეშანები, სტაროვერი ჯინები და, საბოლოოდ, დამაკმაყოფილებლად ჩათვალა საბჭოს გადაწყვეტილება, რომელიც, მართალია, *de jure* უცნობია, მაგრამ, ამას ქვემოთ დავინახავთ, ცნობილია, როგორც *de facto*:

1. ბაიყუში ბაყბაყის კლანჭებიდან გულნარას გამოსახსნელად ყოვლად აუცილებელია მოძალადის ნეკიდან შავალმასიანი (ჩანს, მაშინ უკვე იცოდნენ ამგვარი კაჟის არსებობა) ბეჭდის ნაძრობა. ეს ბეჭედი შემდგომი განკარგულებისათვის თვით კეთილმოსურნეთა საბჭოს ღრმად პატივცემულ თავმჯდომარეს, მაჯლუმს, საკუთარ ხელში უნდა მიერთვას.

2. დავალების შესრულება დაეკისროს ამირანს. ჯერ ერთი, უხორცო არსებას ამგვარ დავალებას ვერ მისცემენ. მეორეა-და, მოკვდავთაგან ამირანი უმამაცესად ითვლება და საერთოდ ამ საქმით ყველაზე უფრო დაინტერესებული პირი სწორედაც რომ იგია.

3. ღრმად პატივცემულმა მაჯლუმმა ამირანი უნდა აღჭურვოს სათანადო დამცავი საშუალებებითა და ჯეროვანი რჩევა-დარიგებებით.

რჩევა-დარიგებების აუცილებლობას შემდეგი გარემოებები განაპირობებდა:

ბაყბაყი საერთოდ ერთობ ენამჭევრი ვინმე გახლდათ და იშვიათად დაეჯაბნებოდა ლაპარაკში ისეთ მოუშორებელ არსებასაც კი, დასავლეთში მორფევს რომ უწოდებენ. ბაყბაყი წელიწადში ერთადერთხელ ყრიდა ფარ-ხმალს მორფევსის წინაშე

და ისიც წლის ზუსტად მეცხრე თვეს, თუკი ათვლას ჩვენებური ნოემბრიდან დავიწყებთ.

ბაყბაყის ციხე-დარბაზში შეღწევა, თვინიერ პატრონის ძილის ჟამისა, არავის და არაფერს შეეძლო არც ბუნებრივი და არც ზებუნებრივი გზებით.

ზუსტად ასე იყო ბეჭედთან დაკავშირებითაც – მისი მოხსნა ნეკიდან არავის და არანაირად არ შეეძლო, თუ ბაყბაყისავე ნება არ იქნებოდა. ხოლო უდრეკი ნება მისი იშვიათად თუ მოდრკებოდა და ისიც გულნარას მომხიბვლელობის წინაშე, მაგრამ, სიმართლე რომ ითქვას, ამით ბაყბაყი ვერანაირ ხეირს ვერ ნახულობდა მათივე ბუნების სხვადასხვაობის გამო.

თუკი ვინმე მაინც განიზრახავდა ბაყბაყის ციხე-დარბაზში შეღწევას, მზად უნდა ყოფილიყო აურაცხელი და უსაშინლესი განსაცდელისათვის, ნაირგვარი ხიფათისათვის, რისი მოფიქრებაც კი შეუძლია ჭკვიან მტერს და რაც, თავის მხრივ, სრულ წინააღმდეგობაშია ადამიანისათვის ნიშანდობლივ თვითგადარჩენის ინსტინქტთან.

აუხსნა რა ეს ყოველივე თავგამეტიებულ ამირანს, განსაცდელისგან დასაცავად მაჯღუმმა იგი იდუმალი ბაირალითაც აღჭურა. განსაცდელზე რომ ვლაპარაკობთ, ჩვენ აქ ვგულისხმობთ საკითხის მაინცადამაინც მატერიალურ მხარეს, ანუ გმირის ფიზიკურ აგებულებას და არავითარ შემთხვევაში – მის ზნეობრივ ფიზიონომიას. მამიდამ ძმისწულს გადასცა აგრეთვე ანდამატის ზარდახშა და ამას უკანასკნელი რჩევა-დარიგებაც მოაყოლა:

– გამოსტყუებ თუ არა ბეჭედს, მყისვე ზარდახშაში ჩაკეტე. ზარდახშა არ მოიშორო; ხოლო თუ გამოსავალი არ იქნა, ნუთის მეოთხედზე მეტხანს არსად დატოვო და მაშინაც ყოველ მიზეზს გარეშე მარჯვენა ხელის ცერა თითით წრე შემოუხაზე. თუკი უკან დაბრუნებისას ბაყბაყი დაგენია, რა სახითაც არ უნდა გამოგეცხადოს იგი, ასეთივე წრე შენს გარშემო წარმოიდგინე და ახსენე ის სულიერი ანდა საგანი, მტრისაგან დასხლტომაში რომ გამოგადგება. მაგრამ ხელში თუ ჩაუვარდები, შენგან ხსოვნაღა დარჩება.

თუმცა რა ფასი აქვს ამგვარ ოხრობებს ახალგაზრდა კაცი-სათვის, რომლის გულშიც ყოვლის შთანთქმელი ხანძარი გიზგიზებს?

არავითარი, სრულიად არავითარი!

მამიდამ ძმისწულის ხელის აქნევასლა შეასწრო თვალი და კიდევ მტვრის ბულს, ამირანის ქედფიცხმა რაშმა რომ დააყენა.

და აი, უკან დარჩა ყოველგვარი ხიფათი და ყველა ჯადო ციხე-დარბაზისაკენ მიმავალ გზაზე. დღეს-ხვალ აღარც მოხუცის გაღვიძებაა სავარაუდო.

გულნარა გამოცოცხლებულია და დარწმუნებულიცაა უმაღლესი მიწიერი ნეტარების შესაძლებლობაში.

– ადამიანის სუნი მცემს, – დაიღრიალა გამოღვიძებულმა ბაყბაყმა.

მაგრამ აბა რა შეუძლია თუნდაც ბაყბაყის გულისწყრომას იმ ქალის სილამაზისა და ჭკუის წინაშე, რომელიც თავის ერთადერთ საუნჯეს, თავის სიყვარულს დაჰკანკალებს?

გულნარამ არა მარტო დაარწმუნა დაჩაჩანაკებული ბებერი, ადამიანის მსგავსიც კი ჩემთან არავინააო, არამედ სანუკვარი ბჭედიც კი დასტყუა – დაღამებამდე ამით ვითამაშებო.

ნანატრმა ნივთმა მაშინვე ანდამატის ზარდახშაში გადაინაცვლა, ანდამატის ზარდახშა კი დაუყოვნებლივ ამირანის მკერდზე იქნა დადებული.

სტყორცნეს რა ერთმანეთს ტკბილ-ალერსიანი მზერა, ამირანი მყისვე მოახტა თავის რაშს, რომელშიც ელ-რაშიდის ზოგიერთი მემკვიდრე ნახევარ ხალიფატს არ დაიშურებდა, და უდაბურ სივრცეს მისცა თავი.

იყნოსა თუ არა, ბოლოს და ბოლოს, რაშიც იყო საქმე, ბაყბაყის გული ძველებურად აღინთო ჭაბუკური აღტყინებითა და სასტიკი მძულვარებით, რისი გამონწვევაც კარგა ხანია არავის გაუბედავს.

ამასობაში ამირანი მიარღვევს მინდორ-ველს გრიგალივით, მიქრის ისარივით, მიფრინავს მერცხალივით, დაულალავად, შესვვენებლივ.

ივლისის ხვატი კი ქანცს გაცლის შენ, ჭაბუკო! მცხუნვარე მზე სწავს და მსჭვალავს შენს სხეულს, სისხლი შენი დულს და თუხთუხებს! შეისვენე, ჩრდილს შეაფარე მცირე ხნით თავი – სულ მცირე ხნით, სამი დღე-ღამის ქროლა-ჭენების შემდეგ, თორემ დადნები, ვითარცა ყინული ცეცხლისაგან და ნოტიო მტვერიც კი არ დარჩება შენს ნატერფალზე. აი, კორომიც! აი, ცივ-ცივი ნაკადულიც მოჩუხჩუხებს! შეისვენე!!

ღიადი ვინმე კია ადამიანი, მაგრამ იგი მოკვდავიცაა, ხოლო ქანცგანყვეტილ მოკვდავს ხანდახან სულის მოთქმის დაუძღვეელი სურვილი შეიპყრობს ხოლმე.

მიაჭენა ამირანმა რაში კორომთან, ჩრდილში ჩამოხტა და აბობოქრებული მკერდი გადაიღელა. ზარდახშა გადმოუვარდა, მაგრამ მხარქვეშ ამოიღო და მცირე ხნით წამოწვა, რათა ოცნებისათვის მიეცა თავი.

შორიახლოს ტოტზე ყვავი ჩამოჯდა. იგი ხანდახან მანამდეც გამოჩნდებოდა ხოლმე ამირანის თავზე, თითქოს მას დევნილობაში ახლავსო. მაგრამ საოცარი, აი, რა არის! ყვავი ტოტიდან ქედფიცხი რაშის თავზე გადაფრინდა და უშიშრად კორტნა დაუწყო. ტუტუცი ფრინველი რომ დაეფრთხო, ამირანმა კენჭების, ფიჩხის, კომტების სროლას მიჰყო ხელი, მაგრამ არაფერი აქედან არ გამოვიდა.

წამოვარდა მაშინ ამირანი, მიიჭრა თავის გატანჯულ მეგობართან და ის იყო, მოქნეულ მახვილს ორად გაჭრილი ფრინველი ძირს უნდა ჩამოეგდო, რომ აფრინდა ყვავი, იქ გადაფრინდა, სადაც წელან ამირანი იყო წამოწოლილი, ზარდახშა აიღო და საიდანაც მოფრინდა, იქითვე აიღო გეზი.

ზარდახშისათვის წრე არ შემოუხაზავთ!

– აქ დამელოდე, ჩემო რაშო! – უთხრა უზარდახშოდ შთენილმა ამირანმა თავის მეგობარს, – სამ დღეს მიცადე და მეოთხეზეც თუ არ გამოვჩნდი, შინისკენ გასწი და აღაპში ახსენონ ჩემი სახელი!

– არწივად მინდა ვიქცე! – და არწივი მეფური იერით გაექანა ყვავისკენ. კიდევ ერთი გაშლა მძლავრი ფრთებისა და იგი

შენს ბრჭყალებშია! მაგრამ... ყვავე ტყვიასავით დაასკდა მიწას და კვალიც კი გაქრა მისი. დააპყრო გამჭოლი მზერა არწივმა დედამიწას და რას ხედავს? ქვემოთ, მზისგან გადამხმარ, ხრიოკ ვაკობზე თავმომწონეობს ერთი, ერთადერთი მცენარე – მინდვრის ყაყაჩო.

დედამიწისკენ, დედამიწისკენ ადამის შვილო!.. და იმ ადგილზე, სადაც არწივი დაემხო, მყისვე ადამიანი ჩაიღუნა ფაფუკი ყვაველის მოსაწყვეტად, მაგრამ ირგვლივ ყაყაჩოს თესლი მიმოიბნა – რომელშია დუშმანი? გაფიქრებაც და აი, ამპარტავანი სირაქლემმა თავგამოდებით კენკავს ყაყაჩოს თესლს სულ მარცვალ-მარცვალ. ერთი მათგანი მოშორებით გადავარდნილა და, როგორც კი სირაქლემამ ეს შეამჩნია, იმ ადგილას ლეოპარდმა ამოყო თავი. სირაქლემმა ცაში აიჭრა და, უზარმაზარ კლდედ ქცეული, თავზე დაემხო ლეოპარდს, მაგრამ კლდის ძირიდან ნაცარი გამოცვივდა და ირგვლივ მიმოიფანტა. ლეოპარდი თითქოს არცა ყოფილა!

სად იყო და სად არა, უცებ წვიმა გაჩნდა, კოკისპირული, ტროპიკული და ირგვლივ ყველაფერი დატბორა, ხოლო გამჭვირვალე წყალში ნაცარი ყრია და იქ ოქროს თევზი დაცურავს დაფეთებული. უკანასკნელი წვეთი წვიმისა პელიკანად ქცეული ვარდება წყალში. პელიკანს თავი რომ ვერ დააღწია, თევზი ამოსხლტა წყლიდან და აი, ფეხმარდი ქურციკი მიხტის, მიფრინავს და შორეთს ერთვის; უცებ იგრძნობს, რომ საცაა ვეფხვი დააცხრება და, ჯაფარად ქცეული, მყისვე უსიერ ტყეს მოექცევა თავზე, მაგრამ უკვე ესმის შავარდნის ფრთათა შხუილი და უღრან ტყეში მოადენს ტყაპანს.

რატომ მიენდო იგი ამ უსიერ და უგზო-უვალ ტყეს? ამას დაფიქრება უნდა, მაგრამ ფიქრი და განსჯა ახლა მტრისათვის დროის ჩუქებას ნიშნავს და... ტყე ყოველ კუთხივ მენამული ცეცხლის ალში გაეხვია. სკდება, იღწება, ძირს ზათქით ეხეთქება საუკუნოვანი ხეები. ტყის ბინადართა მოთქმა-ვაება ზეცას სწვდება: ერთნი ბლავიან, სხვანი ყმუიან, ხავიან, წივიან, სისინებენ... ამათგან ერთი, რომელიც, წესით, გაშმაგებული უნდა ბრდღვინავდეს, კი არა ბრდღვინავს, დგას და მრისხანედ აბრია-

ლებს თვალებს. იგიზგიზე ცეცხლო, დაწვი, დაბუგე, მოსრე ყველა და ყოველივე, მეტადრე ეს გოროზი ლომი. მალე, მალე!!!.. თორემ... მაგრამ ეს რა დგრიალი ისმის?! ღმერთო! დედამინა ხომ არ გადაყირავდა?! ზღვებმა ხომ არ გადმოხეთქა?! ვაი, რომ ყოველივე წაილეკა, ყოველივე წყალში დაინთქა! აბრიალებული ხანძრისაგან ნაპერწკალიც აღარ დარჩა. თუმცა იქ, შორს, ერთი კი ციმციმებს, თანდათან ქრება და... იქიდან საზარელი, ყოვლის შემემუსვრელი ქარიშხალი შხუილით მოქრის. წამიც და აღიგავა ყოველივე პირისაგან მიწისა: არც წყალია, არც ცეცხლი, არცა უღრანი. წარღვნისაგან შხეფები დარჩა, ქარიშხლისაგან – შიშის ზარი.

კიდევ არაერთი ამგვარი გარდასახვა და აი, პეპელა ილტვის შოშისაგან. იგი მიისწრაფვის მდინარისაკენ, რათა იქ პოვოს საიმედო თავშასაფარი, აღწევს ხიდამდე და ღონემიხდილი იქვე ეცემა. ხიდიდან კი ჰაეროვანი პეპლის ნაცვლად სიპი ქვა ეშვება წყალში.

ჭემმარიტად! ერთმა სულელმა წყალში ქვა ჩააგდო და ათმა ჭკვიანმა ვერ ამოათრიაო.

იქ, სადაც ქვა ჩავარდა, რკინის საგუბარი ჩაეშვა, რამდენიმე წუთში მდინარეს კალაპოტი შეუცვალა და ფსკერი ხელისგულივით გამოუჩინა. ნაპირზე კი, თითქოს მიწიდან ამოიზარდაო, ზღვა ხალხი გაჩნდა და რიყის ქვების მოჩხრეკა ისე გულდაგულ დაიწყო, რომ, წესით, შლამში ჩაფლული კენჭიც კი არ უნდა გამორჩენოდათ. ვიდაცამ ერთ-ერთ კენჭს რაღაც არაბუნებრივი ძვრა შეატყო და წადგა თუ არა ბიჯი მის ასაღებად, უცებ მიწის პირი გადაიხსნა და ყველა და ყოველივე შიგ ჩაინთქა.

მიუხედავად მაჯლუმის საბჭოს წევრთა მრავალმხრივი სიბრძნისა, თავიდან ვერც ერთმა ვერ ივარაუდა, კიდევ არაერთგზის რომ მოუწევდა ამირანის სვე-ბედზე მსჯელობა. მას შემდეგ, რაც რაში შინ უმხედროდ დაბრუნდა, მაჯლუმი სხდომას სხდომაზე ინვევდა საბჭოს სრული შემადგენლობით, რათა როგორმე ყმანვილის ადგილსამყოფელი დაედგინა. საქმის სირთულე ადვილი წარმოსადგენი გახდებდა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამირანსა

და ბაყბაყს ერთმანეთი წუთითაც არ უნდა გაეშვათ მხედველობიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთმანეთის კვალს სამარადჟამოდ დაკარგავდნენ.

მაგრამ, ეს გაჭიანურებული თხრობა რომ მოვამთავროთ, მოდით, იმ ველობზე გადავინაცვლოთ, სადაც უკანასკნელი მეტამორფოზა უნდა განხორციელდეს:

ქვესკნელიდან ცად მიქრის ვეებერთელა გველეშაპი, რომელსაც ადამიანი ჰყავს ჩაბლუჯული. ადამიანი, თუმც ცდას არ აკლებს, ვერაფრით ახერხებს, ურჩხულს ჯვარდნის მახვილი აძგეროს გულში. ველობის გარშემო, სრულ მდუმარებაში, როცა იქიდან გველეშაპი ამოიჭრა, მყისიერად „ვაი“-ს მაგვარი წამოკივლება გაისმა და მერე ისევ სამარისებური სიჩუმე ჩამონვა. წამოკივლებაზე წამით ურჩხულმაც მოიხედა და ადამიანმაც, მაგრამ საყურადღებო ვერც ვერაფერი შენიშნეს და თავ-თავიანთი საქმე გააგრძელეს: ერთმა ცისაკენ სვლა, მეორემ წარუმატებელი მცდელობანი დუშმანის გულში მახვილის ძგერებისა. ისინი სულ უფრო მალლა და მალლა მიიწვედნენ (უნდა ითქვას – უფრო სწრაფად, ვიდრე ჩვენი აეროსტატები) და მალე თვალუწვდომელ სიმაღლეს მიაღწიეს. და გველეშაპმა აი, იქ კი გაათავისუფლა ადამიანი თავისი ჯოჯოხეთური გარემოცვისგან.

ელვის სისწრაფით უბრუნდება დედამიწას ბედკრული ყმანვილი ბზრიალ-ტრიალით. წამიც და დედამიწა აღუფხავს მის ტანჯულ სხეულს. მაგრამ... ეს რა ხდება? იგი უკვე ნება-ნება, წარწარად ეშვება ძირს! აჰა! მწყაზარი, მაგრამ უხილავი ფერიები შუა გზაზე დახვდნენ ყმანვილს და, თავიანთ ფაფუკ, ხავერდოვან ხელებზე დასვენებული, ფრთხილად დაანვინეს მინაზე.

ხანგრძლივი, ქანცის გამწყვეტი ბრძოლა-ხეთქებისა და აეროლითური ქროლა-ფრენის შემდეგ, სანამ ხელმეორედ დააცხრებოდნენ, უბედური მოკვდავისათვის ძნელი უნდა ყოფილიყო მყისვე გონს მოსვლა; და ასეც მოხდა:

ბაყბაყმა, ჩანს, ამირანის სიკვდილ-სიცოცხლის თაობაზე ჩემს გამოთვლებში რალაც შეცდომა გაიპარაო, კვლავ აიტაცა თავისი

მსხვერპლი – ამჯერად ადრინდელზე კიდევ უფრო მაღლა და მაღლა და ხელი კი არ უშვა, გაშმაგებით დაიქნია დედამინისკენ.

უხილავი ფერიები კვლავ შუა გზაზე დახვდნენ ქაბუკს და ძირს ბატონკაცურად ჩამოაბრძანეს (საუცხოო ხერხი, რომელზეც ძმებ მონგოლფიებსა და მათს მიმდევრებს წარმოდგენაც კი არ ჰქონიათ). ამ ჯერზე ამირანი იმდენად კი მოსულიერდა, რომ მორიგ ჰაერნაოსნობას მომზადებული შეხვედროდა. ზეციდან მიწამდე მესამე ბზრიალ-ტრიალს უკვე წამოკივლება კი არა, აღტაცებული კისკისი მოჰყვა – ძირს დამხობილი სხეულის პატრონი გველეშაპი გახლდათ! ურჩხული, ცხადია, ამირანზე ბევრად უფრო მძიმე იყო. შესაბამისად, ვარდნისას სიჩქარეც გარდამეტებული განავითარა და ვერც სხეულის მოძრაობას აკონტროლებდა, რადგანაც მკერდში გარჭობილი მახვილი ზურგზე ჰქონდა გამოშვერილი. ამირანი კი ფერიებმა ფერებ-ფერებითა და უტკბესი გალობით ნაიყვანეს.

ამასობაში ბაყბაყმაც ძირს გაადინა ზღართანი და სანუკვარი ზარდახშაც გაუვარდა. მოხედვაც ვერ მოასწრო და... ზარდახშა უკვე მაჯლუმის ხელში იყო, ხოლო საკითხი, თუ საიდან გაჩნდა აქ მაჯლუმი, ჯერჯერობით გამორკვეული არ არის! ის კი დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ წამოკივლებაც, კისკისიცა და ის სამაშველო ხასიათის სამსახურიც, ფერიებმა ყმანვილს რომ გაუნიეს, შემთხვევის ადგილზევე მაჯლუმის გარჯის, ანდა მისი უშუალო განკარგულების შედეგი იყო.

ბაყბაყმა მყისვე განჭვრიტა ვითარება და, ეჭვი არაა, უკბილო რომ არა ბრძანებულყო, კბილთა მისთა ღრჭიალი იქაურობას გააყრუებდა, მაგრამ ზემორე ხსენებული მიზეზისა გამო ჩქამიც კი არ გავარდნილა. ხოლო იქ, სადაც გველეშაპი დაასკდა, კურდღელი გაილანდა და მაშინვე ჩირგვებში ისკუპა, თუმცა არც არავინ გამოსდგომია და, კაცმა რომ თქვას, არც იყო ამის საჭიროება.

აღბათ არ არის აუცილებელი იმის აღნიშვნა, რომ ყველა ამ გარდასახვის ბედნიერმა დასასრულმა მისცა დასაბამი იმ გენეალოგიას, უკლებლივ ყველა თანამედროვე მზეთუნახავი თუ ლა-

მაზთა შორის ულამაზესი მამაკაცი რომ ეკუთვნის. ისინი ამირანისა და გულნარას პირდაპირი თუ არაპირდაპირი შთამომავალნი გახლავან.

იმედია, კეთილინებებთ და გაიხსენებთ, რომ ეს ამბავი აქ მკითხველთა იმ ნაწილის სურვილით მოხვდა, ვინც სწორედ ამგვარი რამის წაკითხვა მოისურვა.

ხოლო რაც შეეხება გარდასახვებს, ამაზე საერთოდ ორი მიზეზის გამო წამოვიწყეთ საუბარი:

ჯერ ერთი, ჩვენ აღმოსავლეთის შვილები ვართ და რეალური მოვლენებისადმი მონივრული დამოკიდებულება გვახასიათებს. მაგრამ რეალობა ჩვენს თვალში დაკარგავს ყოველგვარ მომხიბვლელობას, ზოგჯერ ჩვენებურად თუ არ გავაფერადებთ, ფანტაზიის სფეროდან აღებული სასწაულებით თუ არ მოვრთავთ და მოვკაზმავთ და ამ გზით, მსგავსად ჩვენი წინაპრებისა, საკუთარი წარმოსახვის ტკბილ ბურუსში არ გავხვევთ.

მეორეა-და, მეტამორფოზები ხდება როგორც რეალურ, ისე იდეალურ სამყაროში. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ სადაც ეს მეტამორფოზა შესაძლებელია და საჭიროც, ვერ ვამჩნევთ, ხოლო სადაც შეუძლებელია, იქ გვსურს, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ვიპოვოთ და, თქვენ წარმოიდგინეთ, ვპოულობთ კიდეც.

თქვენ ბრძანებთ: თუ რეალური ცხოვრებისეული პროცესებიდან მხოლოდ ცალკეულ ფაქტებს ამოვკრებთ, გამოვრიცხავთ მათ შორის განოლილ წლებსა და საუკუნეებს და ამ სახით ფაქტებს ერთ ხაზზე, ერთმანეთის მიჯრით გავანწყობთ, მოვლენათა ისეთ გარდასახვებს მივიღებთ, ოვიდიუსსაც კი შეშურდებოდაო; და მაინც, ეს ამბავი არავის აოცებს, რადგან თვითონ ამ მოვლენათა რაობა თანადროულობის შინაარსითაა განპირობებულიო.

სავსებით გეთანხმებით! აქ საკამათო არაფერია და, მაშ, გადავიდეთ იმ გარდასახვებზე, საზოგადოებრივ ცხოვრებაში რომ ხდება. აქ კი თავი უნდა დავანებოთ ყოველგვარ სასწაულებს და დავასაბუთოთ, რომ ეს უკანასკნელი გარდასახვანი აღგზნებული გონების ნაყოფი კი არ არის, არამედ შედეგია გაცნობიერებული

ნებისა, გაცნობიერებული სწრაფვისა ცუდიდან კარგისაკენ, კარგიდან უკეთესისაკენ.

ამიტომაც გადავწყვიტეთ, მოგიტხროთ ზოგი რამ კავკასიაზე.

და აი, პირისპირ აღმოვჩნდით ადრევე დასმული სამი კითხვის წინაშე, რომელთაგან მაშინ მხოლოდ შუათანას გაეცა ჩვენ მიერ პასუხი.

თუკი თქვენ სწორედ ზემორე ხსენებული პასუხის ქრილში გნებავთ თხრობის გაგრძელება, მაშინ საუბარი მოგვინვეს გაქვავებულ ანუ გამკვდარებულ-გახევებულ კავკასიასა და მის შემადგენელ ნაწილებზე. ხოლო ესენია: გრანიტი, ევრიტი, ავგიტი, ტრაქიტი, აფანიტი, ბერეზიტი, ნეგმატიტი, გნაისი, ფიქალი, შპატი, ლაბრადორი, პორფირი, ქვიშაქვა, კონგლომერატი და ა. შ. და ა. შ.

მაგრამ, ვფიქრობთ, თქვენთვის გაცილებით საინტერესო უნდა იყოს საუბარი ცოცხალ კავკასიასა და მის შემადგენელ ნაწილებზე, მეტადრე, კავკასიის მეტყველ ელემენტებზე. ეს ბუნებრივიცაა! მაგრამ ამგვარი ნაწილებიც რომ უშტია და უშქარი? მარტო სახელწოდებათა ჩამონათვალი ნახეთ: გლეხი, რაიათი, რეჩბარი, ყმა, ყაზახი, მსახური, ალა, სულთანი, მელიქი, ბეგი, უზდენი, ხანი, აზნაური, თავადი, მოქალაქე, კარისკაცი, მთავარი და ა. შ. და ა. შ. აი, ეს კეთილმეტყველნი არიან დაუფლებულნი იმ სივრცეს, რომელიც, თავის მხრივ, ისტორიულ და არაისტორიულ სახელწოდებათა მქონე ტერიტორიებადაა დაყოფილი: საქართველო,¹⁰ იმერეთი, სამეგრელო, სომხეთი, ყარაბაღი, შექი, შირვანი, თალიში, დაღესტანი, ჩაჩნეთი, აბჟუა, ყაბარდო, ბელაქანი (დიახ: ბელაქანი და არა ბელოქანი), გურია, აფხაზეთი, ლეჩხუმი, ხუნძახი, ყაზიყუმუხი, ოდიში და ა. შ. და ა. შ.

ჩვენ არ მოვყვებით ახლა ტრაბახს – ყველაზე და ყველაფერზე გაიმბობთო. ეს იმ ზღაპრული ყარამანის საქციელს ემგვანებოდა, რომელმაც – ასე ამბობენ – ჩაყო თურმე მძლავრი მკლავები მიწის ქვეშ, ასწია მთელი კავკასია თავზემით (ეს თავი, სხვათა შორის, ერთობ ზორბა მხრებზე იდგა), ასე ეჭირა სამი დღე-ღამის განმავლობაში და ქვეშ თავისი მრავალმილიონიანი

ლაშქარი გაატარა (დიდებული რამ კი იქნებოდა, თქვენ თვითონ სადმე შორიხლოს მდგარიყავით და ამ შთამბეჭდავი მსვლელობის ცქერით დამტკბარიყავით). მაგრამ ყარამანები აღარ არიან და კავკასია ამის გამო სულაც არ დაპატარავებულა.

ამიტომაც, ნება მიბოძეთ, ამჯერად ამიერკავკასიით შემოვიფარგლოთ ან, უკეთ ვთქვათ, ამიერკავკასიის იმ ნაწილით, რომელიც მართლმადიდებელი ხალხითაა დასახლებული. დანარჩენზე სხვა დროსაც შეიძლება საუბარი.

1849 წლის აგვისტოში ტფილისიდან ახალციხეში მივემგზავრებოდით. ჩვენ არც ისე ბევრნი ვიყავით, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ მწერალს უფლება აქვს, საკუთარ თავზე თქვენობით ილაპარაკოს.

ბორჯომამდე, რომელიც თქვენთვის, ცხადია, ცნობილია, ოციოდ კილომეტრში, იქ, სადაც ქართლის ვაკეს ვახანისა და ახალციხის ქედები კეტავს, დიდებული შეხვედრა გველოდა.

დიდად სამწუხარო კი იქნება, თუ თქვენ ეს ადგილები არ გინახავთ. მათი აღწერა ახლა ვერ მოხერხდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფეხის ყოველ ნაბიჯზე მოგვინევდა შეჩერება წარმტაცი ხედების დასათვალიერებლად. ამჟამად იმასლა ვიტყვით, რომ ხელმარჯვნივ, ტყით შემოსილი ვახანის ქედის ფერდობზე, ჯგუფ-ჯგუფადაა მიმოხეული მცირე-მცირე ქართული სოფლები. ხელმარცხნივ კი აღმართულია „სწრაფვა მიწისა ზეციერისკენ“,¹¹ როგორც პოეტი იტყოდა და ისიც შემოსილია ტყით, ამ „ბუნების საუკეთესო სამკაულით“, როგორც ერთხელ ითქვა, ოღონდ ამჯერად არა ბენედიქტოვის, არამედ ერთი ჩვენი ამიერკავკასიელი მეცნიერის მიერ.

ეს პეიზაჟი, ეს ბორჯომის ხეობაში შხუილით მომდინარე მტკვარი, რომელიც შუაზე წყვეტს ერთმანეთს გადახვეულ ორ მთაგრეხილს, ეს ქროლა ჩრდილო-დასავლეთის ქარისა, თითქოს მუდმივი დარაჯიაო, მტკვარს რომ მოსდევს ხევდახევ, ეს ჩურჩული, შრიალი, ფაჩუნი გარეშემობურვილი ტყისა, ეს ხმათა ჰარმონია საამოდ გვაყურებდა და თვლემის ტკბილ ბურუსში გვითრევდა. მოულოდნელად ბუნების სიმღერას ადამიანთა ხმები

შეერია – ასობით წკრიალა, მოქნილი, ომახიანი ბგერა უცნაური მშვენიერებით იყო შერწყმულ-შეზავებული და, თითქოს მდინარის ტალღებს მოჰყვებოდა, თანდათან გვიახლოვდებოდა.

ნამიც და... წმინდა წყლის კავკასიური კავალკადა – ცხენებზე ამხედრებული ას ორმოცდაათამდე მამაკაცი და მანდილოსანი მწყობრად მოქრის ჩვენკენ.

მანდილოსანთა ცხენების აღკაზმულობა ოქრო-ვერცხლითაა მოჭედილი, ოქრო-ვერცხლითვეა მოსირმული ასალები... კავალრები, მიუხედავად სრული უსაფრთხოებისა, თოფ-იარაღში სხედან, თავები კი ამ თაკარა ზაფხულში ყაბალახებით აქვთ წაკრული.

აჰა! ყველაფერი ცხადია – ჩვენ შევხვდით გურულ და იმერელ დიდგვაროვნებს. ისინი ბორჯომის წყლებიდან ბრუნდებიან!

მათ შორის ჩვენი ძმობის წევრიც მოაჭენებდა ცხენს – ერთი ყველასთვის ცნობილი ჩინოვნიკი. სწორედ მისი მყისიერი მზერა გახდა საკმარისი და კავალკადას მეც შევუერთდი. დიდად მაინტერესებდა მისი შემადგენლობა და არც დროის ნაკლებობას ვუჩიოდი – მარაგში სამიოდე თავისუფალი დღე მქონდა.

ერთი სიტყვით, ცოტა ტრიალი ზერე-ქვერე, დაახლოებით 50 საჟენის შემდეგ წინბიჯი და მარჯვნისააკენ! და აი, მივარღვევთ მთაზე შეკიდულ თემშარას ბორჯომის წინახეობის უკანასკნელი ქართული სოფლისაკენ.

მაშ, მივულოცოთ მასპინძელს დილის 11 საათზე ას ორმოცდაათამდე ფრიად საპატიო ცხენოსნის სტუმრობა, ცხადია, სადილისათვის. არადა, ყოველგვარი ენამახვილობის გარეშე საქმე მართლაც მისალოცადაა – ამგვარი რამ აქ ღვთის წყალობად ითვლება.

მაინც ვინაა ეს მოკვდავთაგან ყველაზე ბედნიერი? თუმცა პასუხის გაცემისაგან თავის შეკავება მოგვიწევს – ქართული ანდაზებიდან ერთ-ერთი მაღალ სტუმართა გამასპინძლების თემაზე ხუმრობას გადაჭრით კრძალავს: „აზნაურთა სტუმრობაო, ნუ გგონია ხუმრობაო“.

თავანყვეტილი და ხმაურიანი ჰომეროსული ნადიმის წესი ჯერ კიდევ ცოცხლობს ამიერკავკასიაში. იგი აქ, ეტყობა, იაზონმა შემოიტანა 3150 წლის წინათ.

მაგრამ, მოდით, ამჯერად ნადიმს თავი დავანებოთ და სხვა თემაზე გადავიდეთ. ქართველი აზნაურის ოჯახში გამართულ ამ სახელდახელო, მხიარულ, მაგრამ იმავდროულად დარბაისლურ პურობაზე ჩვენ უმაღლესი წოდების სამი ფენა გამოვარჩიეთ:

ბატონიშვილი.

თავადი.

აზნაური.

დაბალი წოდება, როგორც შევიტყვეთ, ასე დაიყოფა:

მსახური.

მოჯალაბე.

ყმა.

ხოლო ამ უკანასკნელი სამი ფენის საერთო სახელწოდებაა გლეხკაცი ანუ ყაზახი.

ამის შემდეგ გადანყვეტილი გვაქვს, თქვენი მზერა ძველისძველ ამბებს მივაპყროთ. ძნელია შეუიარაღებელი თვალთ წარსულის წყვილიადმი შეღწევა. ასე რომ, თუ გსურთ მანდ მოვლენათა თუნდაც გარეგნული მოხაზულობა იხილოთ, უნდა სათანადოდ შეიარაღდეთ კიდევაც: ქართველ ხალხში მაღალი წოდებრივი ფენის ჩამოყალიბების პირველი ნიშნები თითქმის წინარეისტორიულ ხანაში იკვეთება. ესენი იყვნენ აზნაურები – თავისუფალი, პრივილეგირებული ადამიანები.

ეს იყო – არც მეტი, არც ნაკლები – 300 წლის წინ ქრისტეს დაბადებამდე. სანახაობა, როგორც ატყობთ, საკმაოდ ძველია!

მხარის ცალკეულ ნაწილებს მაშინ მართავდნენ მამასახლისები – უხუცესნი, ნამდვილი grave¹² შუა საუკუნეების დასავლეთისა.

ეპოქაში, რომელსაც ახლა ვეხებით, მამასახლისები იმ წესრიგს ემორჩილებოდნენ, რომელიც აქ ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრის გენერალმა (შესაძლოა, სულაც პოლკოვნიკმა) აზონმა დაადგინა. სახელი ამ აზონისა თითქმის უცნობია დასავლეთისათვის, მაგრამ საქართველოს ისტორიაში იგი დიდად სახელგანთქმული პირი გახლავთ.

ადრიატიკის, როგორც ვარაუდობენ, ნახევარკუნძულიდან აქ მოხვედრილი სახელოვანი კოჰორტის წინამძღოლ აზონს დროის

მცირე მონაკვეთი – სულ რაღაც ათასწლეული – აშორებს იაზონისაგან, პელოპონესიდან ანუ მორეადან მოსული არგონავტების მეთაურისაგან. ოქროს საბადოებზე დაგეშილი ამ ორი უხუცესი მონადირიდან ერთი, იაზონი, ქრისტეს დაბადებამდე 1300 წლით ადრე ცხოვრობდა, მეორე კი, აზონი – 300 წლით ადრე.

აზონის მიერ დადგენილი პატრიარქალური სამამასახლისო მართვა-გამგეობის წესმა, ასე თუ ისე, საკმაო ხანს გაუძლო დროის გამოცდას. მით უმეტეს, იგი იმდენად ფიზიკურ ძალას არ ეყრდნობოდა, რამდენადაც ზნეობრივს – აზონის 300 მეომარს! ამ მეომრებს კი უწოდებდნენ აზონაურებს, ე. ი. აზონელებს, აზონიანელებს, აზონისებრებს.

იაზონი, აზონი, 1300 წელიწადი, 300-იოდე წელიწადი, 300 მეომარი! რაღაც უცნაურობები კი გამოდის, მაგრამ რას იზამთ – ასე წარმოგვიდგება დღესდღეობით ჩვენი ისტორია.

ერთ მშვენიერ დღეს ფარნავაზ ქართლოსიანს ანუ ქართლოსელს, ქართლოსის ძეს, ქართლოსიდას თუ გნებავთ, ერთი ყოვლად სასიკეთო აზრი გაუჩნდა: განკერძოებული, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ქართული სამამასახლისოებისაგან ერთი მთლიანი ორგანიზმი შეეკრა და უცხოტომელთა ზეგავლენაც აღმოეფხვრა. და აი, მან თავი ქართლის მეფედ გამოაცხადა, ახალ სამეფოში წესრიგიც ახალი განაჩინა და იქ აზონელებს ადგილიც ფრიად საპატიო მიაკუთვნა. საქმე ისაა, რომ ფარნავაზი დიდად აფასებდა აზონელთა ვაჟკაცობას, ხოლო ვაჟკაცობა, მოგეხსენებათ, განუყოფლადაა შერწყმული კეთილშობილებასა და სულგრძელობასთან, რის გამოც უცხოტომელებს ხალხის ღრმა პატივისცემა ჰქონდათ მოპოვებული.

300 ასეთი ადამიანის განთავსება ახალშექმნილი სამეფოს იერარქიაში, ღმერთმა უწყის, რას გამოიწვევდა და ამიტომაც, თავი ქვეყნის შვილებად რომ ეგრძნოთ და არა წესიერი ყოფა-ქცევის სტუმრებად, ისინი სამყოფი პრივილეგიებითაც იქნენ აღჭურვილნი.

აქედან მოკიდებული სიტყვა „აზონაურმა“ თითქმის 22 საუკუნის განმავლობაში ერთადერთი რამ – ასო „ო“ – დაკარგა, ისიც

ცოცხალი სასაუბრო ენის ახირებულობით, და დღეს ეს სიტყვა ქართველებში ოფიციალურ ენაზე სოციალურ ფენას, აზნაურს, ნიშნავს,¹³ ხოლო ქართულ ლიტერატურაში კეთილშობილებას ან, უკეთ ვთქვათ, თავისუფლების კეთილშობილურ ბუნებას გამოხატავს: თავისუფალი მეცნიერებანი, მშვენიერი ხელოვნებანი აზნაურულად იწოდებიან. ასე, მაგალითად, ენის თეორია (რომ არაფერი ვთქვათ გრამატიკაზე) – შესაძლოა, იმიტომაც, რომ იგი მხოლოდ უმაღლესი განათლების პროგრამაში შედიოდა – იწოდებოდა თავისუფალ ხელოვნებად ანუ აზნაურულ მოძღვრებად.

საჭიროდ მიგვაჩნია იმის აღნიშვნაც, რომ სამეფოს დაარსებისა და აზნაურთა ფენის ჩამოყალიბების პარალელურად ფარნავაზ I-მა ქართული დამწერლობაც შექმნა. ლამის პირველი მცოდნენი ახალი დამწერლობისა იყვნენ აზონის მეომრები – იმ დროის ერთადერთი *ex-professo*¹⁴ სამხედროები. ჩანს, ამიტომაცაა, რომ ფარნავაზის მიერ ქრისტეს დაბადებამდე სამი საუკუნით ადრე შექმნილი ქართული საერო ანბანის სახელწოდება სამხედრო საქმეს უკავშირდება – მას მხედრულს უწოდებენ. მხედრულს არაფერი აქვს საერთო საეკლესიო ანბანთან, ხუცურთან, რომელიც, როგორც წერენ, სომხური აიბ-ბიმის, ანუ ალფაბეტის, შემქმნელ წმ. მესროპს V საუკუნის დასაწყისში შეუდგენია.¹⁵

ასე და ამგვარად, ქართველი აზნაურობა სათავეს შორეული წარსულის დანისლულ წყვდიადში იღებს – იქ, საიდანაც ყოვლად ჩვეულებრივი ხატებანი გაზვიადებულ-გაბუმბერაზებული სახით წარმოსდგება თვალთა ჩვენთა წინაშე. ამ წყვდიადის გასარღვევად, თქვენ წარმოიდგინეთ, მზის სხივი კი არ არის საჭირო, არამედ ღრუბელი – მტვრის გამომშრალი ღრუბელი, ძველისძველ მათიანეთა დაბერტყვის შემდეგ რომ წარმოიქმნება ხოლმე, სანამ ამ მათიანეთა ჩხრეკად დავესხდებით. ეს საქმე საკმაოდ მოსაწყენი რამ კია, მით უფრო, იმის ცდა-ლოდინში, თუ როდის გაასრულებს ღრმად პატივცემული აკადემიკოსი მ. ი. ბროსე¹⁶ ვახუშტი ბატონიშვილის მათიანის გამოცემას.¹⁷ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნახსენები შრომის დასრულება უთუოდ გამოიწვევს ჩვენი ისტორიის მიმოფანტულ ღრუბელთა ერთ ალა-

გას მოქუფვრას. გამოდარებით კი მაშინ გამოიდარებს, როცა ამ მოქუფრულ-მოქურუმებულ ღრუბელს კრიტიკის ჭეჭა-ქუხილი და მეხთატეხა გაფანტავს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სულ მოღრუბლულ-მოჟამული ამინდი იქნება.

მანამდე კი (ე. ი. სანამ მეხთატეხა არ ამტყდარა და საერთოდ არც ღრუბლები მოქუფრულა), ამაო გარჯა იქნებოდა რაიმე სამეცნიერო-საისტორიო დასკვნების გამოტანა. უკიდურეს შემთხვევაში, საწყის მდგომარეობად წარმოგვიდგებოდა ისევ ის ბუნდოვნად მოხაზული წინაპლანი სურათისა – მკრთალი სილუეტი ფარნავაზ I-ისა, მისი აზონაურებისა, მათ მიერ მშრალზე დატოვებული მამასახლისებისა, მხედრული ანბანისა. სურათის სიღრმეში გამოსახული საგნების გარჩევა უკვე ყოვლად შეუძლებელი ხდება.

შეუძლებელი ხდებაო, რომ ვამბობთ, ვგულისხმობთ ადამიანის ბუნებრივ შესაძლებლობებს. მაგრამ ახლო წარსულში იყო ერთი ასეთი პიროვნება, სულხან-საბა ან ვინმე მისი მსგავსი, რომელსაც წადილი ისტორიის შეცნობისა ისე ჰქონდა მოჭარბებული, რომ ამ საკითხზე ათასგვარი გამოკითხვით გამვლელ-გამომვლელსაც კი არ ასვენებდა, მთელს მსოფლიოში დახეტილობდა და, როგორ გგონიათ, ვის გადააწყდა? სვედენბორგს! დიახ, სვედენბორგს! ამ სახელმთხვეჭილ სპირიტისტს! და, მიუხედავად ამ უკანასკნელის გულწრფელი აღიარებისა, არაფერია უფრო ჭმუნვის აღმძვრელი, ვიდრე ცოცხალი ადამიანის კავშირ-ურთიერთობა ცოცხალყოფილ ადამიანთანო, გადაეკიდა და მოსვენება არ მისცა: ამიხსენი და გამარკვიეო, ყველა შენი ან გარდაცვლილი თანამოსაუბრის სულის სარგოდო, მაინც როგორი იყო წოდებრივი ვითარება ქართლოსიანთა ან კიდევ ნებროთიანთა დროსო?

ზებუნებრივ საშუალებათა გამოყენებით ცნობისწადილის მოკვლამ სულხან-საბა ისეთ მდგომარეობაში ჩააგდო, რომელიც ჩინებულად გამოიხატება ერთადერთი სიტყვით – ქართულ ენაზე: „**გაცრუვდა**“, რუსულ ენაზე კი – „**Опростоволосился**“.¹⁸ და მართლაც, იგი სამშობლოში, როგორც ამბობენ, პარიკით დაბრუნდა, რისთვისაც თანამემამულეებმა კათოლიციზმში დაა-

დანაშაულებს და ანათემას მისცეს. მიზეზი კი ამგვარი კატასტროფისა გახლდათ სვედენბორგის წინაპართა ყოვლად უბრალო პასუხში გამოხატული განსაცვიფრებელი სიბრძნე:

„ისროლე წყალში ქვა და დააკვირდი, საიდან გაიშლება წრები: ნაპირიდან ქვის ჩავარდნის ადგილისკენ თუ ქვის ჩავარდნის ადგილიდან ნაპირისკენ?“

დამეთანხმებით, ამაზე მარტივი პასუხი რაღა უნდა იყოს. ასეთი რამ ჩვენც შეგვეძლო გვეთქვა, თქვენც, ყველას... მაგრამ საქმე ისაა, რომ აქედან სულხან-საბამ შემდეგი სიბრძნე გამოიყვანა: ადამიანმა საკუთარი შემეცნება ბუნებრივი წესით უნდა განავრცოს – ახლომდებარე საგნებით დაიწყოს და ნაბიჯ-ნაბიჯ წავიდეს სიღრმისაკენ, რადგანაც ხტომა-ჭენება გაჭირვებისაა და ასეთ რამეებს მეცნიერება ვერ იტანს.

ამ სიბრძნე-სწავლებამ ისეთ საგონებელში ჩააგდო საბა, მარტივი ჭეშმარიტების გამონაშუქმა ისე გაუცხელა თავი, რომ საბოლოოდ სახელთან ერთად განიძარცვა თმებისგანაც, რომლებიც, სხვათა შორის, ქარმა წაიღო და ამგვარსავე მდგომარეობაში მყოფი ოიდიპოსის კვალს გაუყენა.

ახლა საქმეზე:

თამარის-, დავით აღმაშენებლის-, გორგასლის-, მირიანის-დროინდელ მოვლენათა გამოუძიებლად არ უნდა ჩავუხტეთ ამაზე უფრო ძველსა და, ამდენად, უფრო ჩანისლულ-ჩაქურუხებულ ეპოქებს. რა ძალა გვადგას, ამგვარ წყვედადში არ შევეყოთ თავი? ამიტომ სასწრაფოდ უნდა დავბრუნდეთ შინ და იმ საგანთა მოხილვა დავიწყოთ, საკუთარ თვალთა მზერის არეში რომ გვიძევს.

აი, თუნდაც აზნაურთა ეს ფუსფუს-ფუთფუთი თავადთა გარშემო, ან კიდევ თავადებისა (აზნაურებითურთ) – ბატონიშვილთა გარშემო! და, საერთოდ, არც ისე შორეულ წარსულში ასე იყო: მდაბიო ხალხი დაფუთფუთებდა თავისი ბატონის – თავადის, გარშემო; თავადი, საკუთარი აზნაურებითა და მისი ხალხით თავისი ბატონის – ბატონიშვილის, გარშემო; ბატონიშვილი საკუ-

თარი თავადებით, იმათი აზნაურებითა და ა. შ. თავისი ბატონის – მეფე-მბრძანებლის, გარშემო.

ხომ მართალია, რომ ეს ყოველივე აშკარად გვაგონებს ან გარდასულ, X-XIV საუკუნეების, ე. წ. ფეოდალიზმის პერიოდის ამბებს, წიგნებში რომ გვაქვს წაკითხული?

და, რადგან სიტყვამ მოიტანა, ბარემ ესეც ვთქვათ: ყველა ზემოხსენებულ აზნაურსა და თავადს, სახელწოდებაში მისხალიც რომ არ ურევიათ რაიმე ფეოდალიზმზე მიმანიშნებელი, ჩვენი წარმოსახვა სწორედაც რომ ფეოდალურ ურთიერთობათა ჩარჩოებში სვამს.

ასე და ამგვარად, ან უკვე დროა, ფეოდალიზმზე გადავიდეთ, თანაც ყველაზე ბუნებრივი ხერხით – უმოკლესი სასოფლო შარაგზით. მაგრამ საკითხავი, აი, რა არის: როდის და რაგვარ ვითარებაში შემოაღწია აქ ფეოდალიზმმა? ჩვენში იგი შემოვიდა დასავლეთიდან და, რასაკვირველია, XIV საუკუნის მიწურულიდან,¹⁹ როცა დასავლეთის საზოგადოებებმა, განავითარეს და გააუმჯობესეს რა თავ-თავიანთი სამოქალაქო დანყობილობა, საბოლოოდ გადაიგდეს უღელი ფეოდალიზმისა და იგი აღმოსავლეთს გადაულოცეს უშურველად.

სამკვიდრებლიდან გამოძევებული ფეოდალიზმი ამიერკავკასიაშილა მოეგო გონს და აქვე დარჩენა მოიგუნება. უკან დასაბრუნებელი გზა მისდამი ესოდენ მტრულად განწყობილი ახალი პოლიტიკური წყობილების მიერ მას ისედაც სამუდამოდ ჰქონდა მოჭრილი. არც წინ შეეძლო ბიჯის წადგმა: ადათის უმკაცრესად დამცავ-შემნახავმა, უხსოვარი დროიდანვე უთვალავ წვრილ-წვრილ თემებად დაშლილ-დაფანტულმა კავკასიის პირქუშმა მთიელებმა იოტისოდენა კეთილგანწყობაც კი არ გამოამყლავნეს ასეთი სტუმრის მიმართ. მართალია, აქეთ თურქეთი იყო და იქით სპარსეთი, მაგრამ ამ ქვეყნებში მთელი იერარქია პირწმინდად იყო განსახიერებული ერთ პიროვნებაში – ალაჰის ჩრდილში²⁰ – და მოსახლეობაც დიდინ-პატარიანად იმ ჩრდილში ითქვამდა სულს.

ევროპაში ოთხსაუკუნოვანი ბატონობის დაკარგვით დამ-
ნუხრებულმა ფეოდალიზმმა დაკვირვებით მიმოიხედა ირგვლივ
და, დარწმუნდა რა მდგომარეობის გამოუვალობაში, უნდა ვი-
ფიქროთ, ერთი ღრმად ამოიხვნეშა და მიიღო გადანყვეტილება,
მცირედით დაკმაყოფილებულიყო და თავი ადვილად მიმნდობი
ქართველი ხალხისათვის შეეფარებინა.

თუკი სუსტმა და უღონო გულნარამ ქალური ეშმაკობებით
თვით ბებერი ბაყბაყის სიფხიზლის მოდუნება შეძლო, ცხადია,
მრავალმილიონიან ხალხთა ოთხასწლოვან მმართველ-მამოძრავე-
ბელ ძალას სულაც არ უნდა გაძნელებოდა ერთი მუჭა ხალხის
გაბრუნება და მისი ყველა საზოგადოებრივი ფენის გამსჭვალვა
სასურველი სულისკვეთებით.

ასეც მოხდა! ფეოდალიზმმა ალღო აუღო ახალ პირობებს,
ზურგი აქცია ბარონის, გრაფის, ჰერცოგის ტიტულებს და აქაურ
ხალხში დამკვიდრებულ წესებს წოდებრიობის ახალი ფორმები
დაამყნო. ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, თუ რა მკაფიო მოხაზულო-
ბა მიიღო თანდათან ქართულ მოსახლეობაში ფენებად დაყოფის
პროცესმა, როგორ განვითარდა ოჯახურ ცხოვრებაზე, თუ შეიძ-
ლება ასე ითქვას, მაქსიმალური კონცენტრირების ტენდენცია,
როგორ მომრავლდა საკუთარი ციხესიმაგრეები თუ ციხე-დარ-
ბაზები, რამაც, სხვათა შორის, შემდეგ ლერმონტოვს ათქმევინა
– საქართველო დაშლილ-დაქცეულ გოდოლთმაგვართა ნანგრევე-
ბითაა სავსეო,²¹ როგორ გადაიზარდა თანამდებობრივი წოდებები
მემკვიდრეობით კუთვნილებაში, როგორ მიეჯაჭვა საბოლოოდ
მინათმოქმედი მინას და, ბოლოს და ბოლოს, როგორ გამოიკვეთა
ცხადად და თვალნათლივ წოდებრივი ნიშან-თვისებები თავადისა,
აზნაურისა, მსახურისა, გლეხისა. ფეოდალიზმის სრულიად უეჭ-
ველი დამსახურება, ერთგვარი ანდამატის ზარდახშა ისაა, რომ
მისი წყალობით ჩვენ თვალის ერთი შევლებითვე – განსაკუთრე-
ბით, ამიერკავკასიის შავიზღვისპირა ნაწილებში – შეგვიძლია
განვასხვავოთ აზნაური მდაბიოსაგან, თავადი – აზნაურისაგან...

თუ სადმე გადაეყრებით მხედარს, რომელსაც გულ-მკერდი
ვერცხლის შიბით აქვს დამშვენებული,²² შეღებილი აქვს უღვაშები

და დეზებიც უკეთია, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ – თქვენს წინაშე ბაჯალლო აზნაური დგას. თან, გვარსაც რომ ადრიატიკის სურნელი ასდის: რატიანი, ჯაიანი, მამიანი, ჟორჟოლიანი, ჟორდანი, აქირთავა, ჩაჩიბაია, ჭობატაძე და ა. შ. და ა. შ. მდაბიოს ანუ გლახს უფლება არა აქვს ან შიბი ატაროს, ან დეზები აისხას და ვერც უღვაშებს შეილება.

ხოლო თუ ისეთ მხედარს შეხვდებით, ვისაც ორი-სამი ზემოაღწერილთა მსგავსი ცხენოსანი რაინდი ახლავს, უღვაშებიც შეღებილი აქვს (ვთქვათ, ალისფერი ან ყარაჩი უღვაში ამშვენებს), უფრო გრძელი და მასიური ვერცხლის (უიშვიათესად შეიძლება ოქროც შეგვხვდეთ) შიბი ჰკიდია და დეზებიც ვერცხლისა აქვს ასხმული, ე. ი. თავადს შეხვედრიხართ. მას მრავლად ჰყავს აზნაური, აგრეთვე, მრავლადვე: მსახური, მოახლე, მოჯალაბე... იგი ფრიად პატივისცემი გვამი გახლავთ, მაგრამ ღმერთი არ გაგინყრეთ და მისალმების ნიშნად პირველმა არ დაუკრათ თავი! ჯერ მას აცალეთ თავის დაკვრა და მერმე თავის დაკვრითვე უპასუხეთ, თორემ ხეპრედ ჩაგთვლიან, იმ ჩინელისა არ იყოს, პატივისცემი ანდა რანგით ტოლ თანამოსაუბრეს თავისი უგული-სყურობით უ მ ც რ ო ს ძმად რომ მოიხსენიებს.

ერთხელაც ქართლიდან იმერეთში მივემგზავრებოდით. იმერლები სულ რაღაც ათიოდე წლის წინ ჯერ კიდევ დიდებულ ტრადიციათა შესატყვისად ცხოვრობდნენ. სიმონეთის სადგურს 2-3 კილომეტრით რომ გავცდით, წინ შემოგვეყარა ამაღლა, რომელიც თხუთმეტოდე ცხენოსნისა და ქვეითისაგან შედგებოდა. საუცხოო, უაღრესად მამაკაცურმა გარეგნობამ და იმგვარმა მოკაზმულობამ, ზემოთ რომ აღვწერეთ, მყისვე დაგვარწმუნა წინამავლის თავადიშვილობაში. მდაბლად თავის დაკვრა და გამარჯობის თქმა დავაპირეთ იმ წესით, ქართლ-კახეთში რომაა მიღებული, – კნიაზს გაუმარჯოს! – მაგრამ, კიდევ კარგი, ერთმა ჩვენმა თანამგზავრთაგანმა პიჯაკის კალთაზე დაგვქაჩა და გაგვარჩერა. ყველანი შევჩერდით – ჩვენც, ისინიც. თავადმა შეგვათვალა და თვალთ ჩვენს შორის ყველაზე პატივისცემი პირები მოინიშნა.

– სალამი ბრძანეთ, ბატონო! – გვითხრა მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ.

იმერლებს თავის დაკვრის ჩვევა, ეტყობა, მანამ არ ჰქონიათ, სანამ აქ თურქულმა ზნე-ჩვეულებებმა არ შემოაღწია. ყოველ შემთხვევაში, „სალამი“ თურქული სიტყვაა²³ და თავის დაკვრით გამოიხატება. ერთი სიტყვით, თავადი ჩვენგან სალამს ელოდა.

– ასე როგორ გავკადნიერდებით, კნიაზო! ჯერ თქვენ გვიბრძანეთ სალამი!

– აჰ! რასა ბრძანებთ! დაგვაფასეთ, ბატონო, სალამი გვიბოძეთ!

– ჩანს, ჩვენი გაბრიყვება გინებებიათ, კნიაზო! თქვენს მზესა ვფიცავთ (მტკიცეზე მტკიცე ფიცია), ასეთ უზრდელობას ჩვენ ვერ ვიკადრებთ!..

ვინაიდან ჩვენი ტიტულები არ იცოდა, თავადი „ბატონო“-თი მოგემართავდა. მიმართვის ეს ფორმა კი ყველა რიგიან-პირიან კაცზე მიდის, როგორც, ვთქვათ: *monsieur* ან *signore*.²⁴

– ის თქვენი პატიოსანი მამა ნუ მოგიკვდებათ, ნუ ჩაგვყრით მწუხარებაში, სალამი, ბატონო, სალამი გვიბოძეთ!

– არა და არა, კნიაზო! არაფრის დიდებით! თქვენ, ჯერ თქვენ ინებეთ სალამი!

– რა გაეწყობა, ბატონო! ეტყობა, ღვთის წყრომაა ჩვენს თავს, თქვენს სალამს რომ ვერ ველირსეთ! ისე როგორ გავკადნიერდებით, ჯერ ჩვენ მივესალმოთ თქვენისთანა წარჩინებულ ადამიანს და ამით უფლის წყრომას წყრომა დაგუმატოთ! ეი, ხოსია, დავბრუდეთ უკან!

და მართლაც, ამალითურთ უკან გაბრუნდა, ჩვენ კი თავაზიანობის ნიშნად ერთხანს იქვე დავრჩით. თავადი ორიოდე კილომეტრით დაგვცილდა და შემდეგ გვერდზე გადაუხვია, ხელმეორედ რომ არ შეგვხვედროდა.

ეს ნამდვილი ამბავია და ნამდვილია, სხვათა შორის, კიდეც ორი შემთხვევა, რომლებსაც, თუკი მოისურვებთ, გიამბობთ კიდევაც მათი, ცოტა არ იყოს, საჩოთირო ხასიათის მიუხედავად. სიმართლე გითხრათ, ამ ამბების მოყოლისაგან ჩვენ ისედაც ვერ

შევიკავებდით თავს, ვინაიდან ისინი კარგად გამოხატავს იმერელთა და გურულთა მეტიხმეტ წესიერებასა და სულის სიფაქიხეს.

ლაპარაკია უღვაშებზე და კიდევ ერთ რამეზე, რომელიც მართლაცდა იმდენად საჩოთირო რამ არის, რომ ვერაფრით ვიკისრებთ, აქ იგი პირდაპირ ვახსენოთ.

მაშასადამე, ჯერ უღვაშები!

შემჩნეული გექნებათ, რომ უღვაში ყველა ქართველში,²⁵ იმერელში, მეგრელში, გურულში საგანგებო პატივიზია: საგულდაგულოდ აქვთ მოვლილი, ვაჟკაცურად აპრეხილ-დაპრეხილი, ზოგიერთს – ნამეტანი წმინდად შეღებილ-შეფეროვნებულიც.

და მაინც, თქვენ წარმოდგენითაც კი ვერ წარმოიდგენთ, რა ზომამდეა მისული აქაურებში უღვაშისადმი უკიდურესად გამახვილებული ყურადღება.

ჩვენ ამჟამად აღარას ვიტყვით იმ რაჭველზე, რაღაც თხოვნით მისულმა, ცხოვრებაში პირველად რომ იხილა ადგილობრივი ჩინოვნიკი და თვალის შესწრებისთანავე თოფნაკრავივით უკან გამოვარდა – ჩინოვნიკს უღვაში არ ჰქონდა, რაც რაჭველის თვალში იმავდროულად ნამუსის არქონასაც ნიშნავდა. არა, ჩვენ სხვა შემთხვევაზე გვსურს თქვენი ყურადღების შეჩერება:

ერთხელ გურიის საზღვარზე თურქეთში გადახვენილი იმერელი დაიჭირეს²⁶ და მართებლობას მიჰგვარეს. დაკითხვაზე მან განაცხადა: „თორმეტ წელიწადს დაეძრნოდი აჭარაში, ლაზეთში, ქობულეთში და ჩემს სირცხვილსა და თავის მოჭრას ვერსად დავემალე. ბოლოს სამშობლოს ნატვრას ველარ გავუძელ და ახლა ამ გზით ვაპირებდი შემოდწევას, რათა, სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ცოლ-შვილისათვის ცალი თვალით მაინც დამეხედა. ჩემი დანაშაული... არა, დამნაშავე მე ნამდვილად არა ვარ, მაგრამ მაინც ასე ვამბობ. ჩემი დანაშაული ესაა: ვილაც კეთილმა ხალხმა პირწმინდად გამქურდა, ოჯახი დამემშა და უკიდურესმა გაჭირვებამ ებრაელ შავლობას მიმაყენა – იმ ქრისტეს გამყიდველს ყურძნის შემოსვლამდე თხუთმეტი მანეთი ვესესხე. ოქტომბერში კი ვალის ანგარიშში უნდა მიმერთმია ათი საპალნე

მაჭარი, რომელიც ბარემ ოც მანეთად დაფასდებოდა. იმ უწმინდურმა კი გირაო მომთხოვა. რა მქონდა და რას მივცემდი? – ულვაში მომპარსე-მეთქი, – ვეუბნები, – თუ ვალი არ დაგიბრუნო! ის კიდეც: – რას მემუქრებიო, – მეუბნება („ულვაში მომპარსე“ მუქარასაც ნიშნავს), – ფულს კი არ გიჭერო. მე ხომ ვიცი შენი კეთილი გულის ამბავი. შენ რომ ფულს მოგცემ, გინდ საკუთარ ჯიბეში მდებიაო, მაგრამ წესი, რაც არ უნდა იყოს, მაინც წესიაო. ღმერთი ხომ ხედავს, ისეთს არაფერსა გთხოვ. ცოტა კი გეტკინება, მაგრამ ბავშვიც აღარა ხარო. ამოიძრე ულვაშის ღერი, ერთადერთი ღერი და გირაოდ დამიტოვე. რომ გავსწორდებით, შენს ულვაშს უკანვე მოგართმევო.

ახლა კი ვნანობ, იმ თახსირს იქვე რომ არ ვაძგერე ფერდში ხანჯალი, მაგრამ რალა დროსია! წინ ჩემი საბრალო ჯაჯიკის შავ-შავი, დარდიანი თვალები დამიდგა, ჩემი ბუჩუელასა და შოშიტელას ტირილ-სივილი ხომ ყურებიდან ისედაც არ გამომდიოდა: საქმელი იმათ არ ჰქონდათ, ჩასაცემელ-დასახურავი იმათ არ ჰქონდათ... ვიფიქრე, ვიფიქრე, მერე ავიღე ეს ჩემი ულვაშის ღერი და ურიას ხელში ჩავუდე. ტყუილად არ გადმოცვენია მაშინ ცრემლები. ღვინო არ მოგვივიდა იმ წელს და ვალი ვერ გავისტუმრე. ახლა შავლობამ რა ქნა?! ღმერთო, შემინყალე! აბა, როგორა ვთქვა?.. მაშინ ხომ დავისხი თავზე ლაფი და თქვენ წინაშეც იმავეს ხომ არ ვიზამ? შავლობამ მაშინ მითხრა: – არ მიბრუნებ ხომ ვალს? კარგი! აი, ესეც შენ! დააძრო ჯიბიდან რალაც ჭუჭყიან-ტურტლიანი ქალაღდის ნაგლეჯი, გაშალა, ამოიღო იქიდან ჩემი ბედკრული ულვაშის ღერი და... და... ამოიღო...”

და აქ ჩვენების მიმცემმა ერთი ხელი დრამატულად აიფარა თვალებზე, მეორე ხელის საჩვენებელ თითს კი ჰაერში იქნევდა და ცდილობდა, ძაღლის კუდის ქიცინისთვის მიეზაძა.

გლეხი ქვითინებდა, კანცელარიის გულქვა მწერლები კი ჩვენების ჩანანერებს აწესრიგებდნენ.

იმ უბედურის ხვედრით დაინტერესებულთათვის მოკლედ ვიტყვი:

როცა იგი, ასე უმოწყალოდ შერცხვენილი და თავლაფდასხმული, თურქეთში გადაიხვეწა, მეზატონემ მისი ოჯახი თავის სასახლეში გადაიყვანა; გლეხი ლტოლვილებში კიდევ ორიოდე თვე რომ დარჩენილიყო, ოჯახი სხვა მეზატონის ხელში გადავიდოდა, მაგრამ საცოდავმა სულზე მიუსწრო და, ვინაიდან მინათმოქმედ გლეხთა კლასს ეკუთვნოდა და არა მოჯალაბისას, ცოლიც დაიბრუნა და წამოჩიტული შვილებიც. საქმე ისაა, რომ მისთვის, როგორც მინათმოქმედისთვის, ოჯახურ უფლებათა ჩამორთმევა დარღვევა იქნებოდა დებულებისა, ე. ი. ადგილობრივი ადათისა.

ურიას რაც შეეხება, იგი სწორედ იმ საბედისწერო ანგარიშსწორების მეთორმეტე წლისთავზე, როცა გაუბედურებულ იმერელს თავისი მოქნილი თითით ჰაერში ფიგურები გამოჰყავდა – სავაჭრო საქმეებზე ქალაქ ონს გაემგზავრა. რამდენიმე დღის შემდეგ შქმერის უღელტეხილზე, ონსა და საჩხერეს შორის, ხეზე ჩამოკიდებული სამი ებრაელის გვამი იპოვეს. ამათგან ერთ-ერთი შავლოხა აღმოჩნდა. ვალის გაცემიდან 13 წლის შემდეგ კი ჩამოხრჩობილის ცოლ-შვილმა 10 საპალნე ღვინო მიიღო ვიდაც იმერლისაგან, რომელიც თვალითაც კი არ ჰყავდა ნანახი. ეს საქციელი უბრალო იმერლის მიერ ყოვლად მარტივი მსჯელობით იქნა დასაბუთებული:

„ურიას ჩემი შეურაცხყოფისათვის თვითონ ღმერთმა გადაუხადა სამაგიერო. ახლა ჩვენ ბარიბარში ვართ, მაგრამ ვალი ხომ მაინც ჩემს კისერზე რჩება. და მაინც, 10 საპალნეზე მეტი საჭირო არ არის“.

ჯაჯიკი, ბუჩუელა და შოშიტელა ამ გადაწყვეტილებას სრული გაგებით შეხვდნენ.

ახლა გადავიდეთ სხვა შემთხვევაზე.

საერთოდ, როცა რამეზე ვამბობთ – საჩოთიროაო, ცხადია, ვგულისხმობთ ზრდილობის წესის მეტ-ნაკლებ უგულებელყოფას, მეტ-ნაკლებად კადნიერ საქციელს. მაგრამ ესეც კია – თუ ერთი და იგივე კადნიერება ერთში ღმილს იწვევს, ხოლო მეორეში ხარხარს, მესამე მყისვე ხანჯალს იშიშვლებს.

ყველაფერი შეფარდებითია, ყველაფერი პირობითია, როგორც მართებულად განსჯიან თანამედროვე ბრძენკაცნი.

1838 წელს შორაპნის, ე. ი. სტრაბონისეული სარაპნის, გავლით ერთი წარჩინებული მანდილოსანი მგზავრობდა. მანდილოსანი სამთავრო ოჯახის წევრი იყო და, შესაბამისად, ამაღლაში მრავლად ახლდა თავადები, კიდევ უფრო მრავლად – აზნაურები, და ამათზე მრავლად – სხვადასხვა დასახელების მსახურნი. მათ შორის იყო მაზრის უფროსიც, რომელსაც თან რამდენიმე ხელქვეითიც წამოეყვანა.

ერთმა ხელმოკლე აზნაურმა, რომელსაც ამ ქარავნის მიღება-დაბინავების პატივი ერგო, მეტად სასურველი და წარჩინებული სტუმრების ერთ ვახშამს პირწმინდად მიაფშვნა თავისი წლიური ბიუჯეტი, გაუთავისუფლა მათ წაბლის სახლი, რომელშიც თვითონ ცხოვრობდა სახლეულობით, წაბლისვე მეორე, სასტუმრო სახლი და კიდევ მუხის ორი სადგომი, ამ სადად მონყობილი კარმიდამოს მომვლელ-მოსამსახურეებისათვის რომ იყო განკუთვნილი. მთელი იმერეთი, მოგეხსენებათ, მსგავსი დასახლებებისაგან შედგება და ისინი, სულ ცოტა, 2-3 კილომეტრითაა ერთმანეთს დაშორებული. მართალია, იმერეთის სხვადასხვა აღწერილობებში მრავალი ისეთი დაბა-სოფელია მითითებული, რომელთაც დღეს დიოგენის ფარნითაც კი ვერ იპოვით, მაგრამ 2-3 ისეთი დასახლება მაინც მოიპოვება, ქალაქებად რომ იწოდება; ეტყობა იმიტომ, რომ პარასკეობით აქ თავს იყრიან ორივე სქესის ახლომახლო მცხოვრებნი, რათა ჭორ-მართალი შეინოვონ და ცოტა რამ მიმოივაჭრონ კიდევც.

ერთი შეხედვით, ის ხელმოკლე აზნაური დიდად უნდა შევიწროებულიყო, მაგრამ არაფერიც! იგი ბედნიერად გრძნობდა თავს, ამდენი მოულოდნელი სტუმარი რომ ეწვია. იქაურებს სტუმარი მეგობარს ურჩევნიათ; ანდაზაც კი აქვთ ასეთი – სტუმარი მეგობარზე ძვირფასიაო.

ერთგან ოცამდე გურული და იმერელი მოასვენეს. ხალიჩებით მოფენილ სახლს კრიალი გაუდიოდა, ხოლო წარჩინებულთათვის

განკუთვნილი საწოლები გაქათქათებული თეთრეულითაც იყო განწყობილი.

ბოლოს და ბოლოს, მინელდა ლაპარაკის ხმა, ნაჩურჩულ-ნა-მოჩურჩულელებაც შეწყდა და ყველამ ღრმა ძილს მისცა თავი.

მაგრამ, ბატონებო, იქნებ ნება მიბოძოთ, ეს ამბავი დაწვრი-ლებით სხვა დროს გიამბოთ, მოცალოების ჟამს, თორემ ამ საუ-ბარ-საუბარში უკვე შუალამეს გადასცილდა. ამჟამად მხოლოდ ამბის დაბოლოებას გაგაცნობთ; ხოლო დაბოლოვდა იგი იმით, რომ სრულიად უბრალო, მართალია, საკმაოდ ნატურალური, მაგრამ მაინც მცირეოდენი ფამილარობის გამო გურულებმა და იმერლებმა კინალამ ერთმანეთი ამოჟლიტეს. ამოჟლიტდნენ კი-დეც, მაზრის უფროსს სულზე რომ არ მიესწრო და მოშულარნი შემდეგი სიტყვებით არ დაემოშმინებინა:

„იფიქრეთ, ბატონებო, ერთი კაცის უსაქციელობის გამო, რომლის ვინაობა არ იცით და ვერც ვერასოდეს გაიგებთ, შეიძ-ლება 19 სრულიად უდანაშაულო ადამიანი მოკვდეს“.

მადლობა ღმერთს, რკინის ჭახაჭუხი მაშინვე იქნა აღკვეთი-ლი, მაგრამ ამასობაში გურულებს ძილიც გაეპარათ იმ ღამეს, მეორე ღამეს, მესამე ღამეს...

„თავლაფი დაგვასხეს, ლაფსა და ნუნუნუხში ამოგვთხვარეს!“ – იღრინებოდნენ ისინი იმ ერთი გამოუცნობის მისამართით და თითოეული მათგანი ყოველი ძალით ცდილობდა, როგორმე აბო-ბოქრებულ გულშივე ჩაეკლა ღირსების ძირფესვიანი შელახვით გამოწვეული აღშფოთება.

ფეოდალიზმზე ამდენ ლაპარაკში ჩვენ უნებურად ზოგიერთ ისეთ ზნე-ჩვეულებას შევხვით, რომლის წარმოშობაშიც – პირუ-თვნელად უნდა ითქვას – მას საერთოდ არავითარი ბრალი არ მიუძღვის.

ახლა მივუბრუნდეთ წოდებათა შორის არსებულ კერძო თუ საზოგადოებრივ ურთიერთობათა გამორკვევას. ვნახოთ, რაგვა-რი მეტამორფოზების ნაყოფია ამ მხრივ ქართველთა მოდგმაში დღეს არსებული წოდებრივი ვითარება და რა როლი აქვს შესრუ-ლებული ფეოდალიზმს ზემოხსენებულ მეტამორფოზებში.

მართალია, დღეს ქართველებად მხოლოდ ტფილისის გუბერნიის მოსახლეობა იწოდება, მაგრამ ამათში უნდა ჩაირიცხონ იმერლებიცა და გურულებიც. ფარნავაზამდელი დროიდან მოკიდებული ისინი ყველანი ლაპარაკობენ ერთსა და იმავე ენაზე, აღიარებენ მართლმადიდებლობას, რომელიც აქ წინომ იქადაგა IV საუკუნეში, ხოლო VI საუკუნეში²⁷ საძირკველი განუმტკიცა იოანე ზედაზნელმა თავის 12 თანამოსაგრესთან ერთად, მისდევნენ ერთსა და იმავე სანყისებზე აღმოცენებულ სამოქალაქო ცხოვრების წესს. აქვე უნდა ჩაირიცხონ აგრეთვე: მეგრელები, აფხაზები, სვანები და ამჟამად გამაჰმადიანებული ქობულეთლები, აჭარლები, ლაზები და ჭარ-ბელაქნელი ინგილოები. დასახელებულ ტომთა ისტორიულ სვე-ბედზე ზერელე დაკვირვებაც კი დაადასტურებს ჩვენი მოსაზრების უცილობელ სისწორეს. სამწუხარო კია – წინამდებარე სტატიის ხასიათი არ იძლევა ამ საკითხზე საფუძვლიანი, გამონვლილვითი სჯა-ბაასის საშუალებას.

რადგან ამდენ ხანს თქვენთვის დამახასიათებელი კეთილგანწყობით გვისმენდით, ცხადია, იმასაც შენიშნავდით, რომ ჩვენ ყოველმხრივ ვცდილობთ, არ დაგტვირთოთ ციტატებით, წყაროებზე მითითებებით... წინააღმდეგ შემთხვევაში, მოგვინევდა ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეჩერება. ეს მაინცადამაინც გამართლებული არ იქნებოდა, მით უმეტეს, სულაც არა გვაქვს პრეტენზია, მეცნიერის პოზაში წარმოგიდგეთ. ჩვენი მიზანია, ისე მოგანოდოთ გარკვეული ცოდნა, რომ განსაკუთრებული შრომა არ დაგჭირდეთ, თუმცა ჩვენ მიერ ეს ცოდნა უშრომლად არაა მოპოვებული. მოჩვენებითი მოკრძალების გარეშე ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ყველაფერი, რასაც ასე დაბეჯითებით ვამტკიცებთ, ან წაკითხული გვაქვს, ან საკუთარი თვალთა ნანახი, ან კიდევ ჩვენ მიერვეა შევსებულ-გამთლიანებული შედარებითი თეორიის გამოყენებით. თუ იმდენ სამართლიანობასა და პირუთვნელობას გამოიჩინოთ, რომ ეჭვს არ შეიტანთ ჩვენს მონათხრობში – ხომ კარგი! თუ არადა, მით უკეთესი მეცნიერებისათვის.

ოდინდელი **მამასახლისები**, ეს ძლიერი და დამოუკიდებელი ტომობრივი ბელადები, ფარნავაზ I-ის ერთმმართველობის

პერიოდში სოფლის უბრალო თავკაცებად ჩამოქვეითდნენ. მართალია, თავ-თავიანთი საგანმგებლოს ფარგლებში ისინი ინარჩუნებდნენ მსაჯულ-მოსამართლეთა ფუნქციას, მაგრამ აქაც ანგარიშვალდებულნი იყვნენ ქვეყანაში საერთო-საყოველთაო წესრიგის ახალ დამცველთა – აზნაურთა – წინაშე. ხოლო **აზნაურობა**, თავის მხრივ, მეფესა და ხალხს შორის განსაკუთრებულ შუალედურ ფენად ჩამოყალიბდა. თუმცა დრომ და გამოცდილებამ ახალი სახელისუფლებო საფეხურების შექმნა-გადანაწილების აუცილებლობა წარმოშვა და შედეგმაც არ დააყოვნა – ნებროთიანებისა და არშაკიანების მეფობისას ხან აქ, ხან იქ ილანდებოდა და თანდათან იკვეთებოდა, იზრდებოდა, ფართოვდებოდა **ერისთავთა** აჩრდილები.

ამ უკანასკნელთა მართო სახელწოდება მეტყველებს, რომ ძალაუფლების ეს ახალი ფორმა უფრო ძლიერი და უფრო ფართო უფლებამოსილებისა იყო, ვიდრე ძალაუფლება **მამასახლისები-სა**; აღარას ვამბობთ აზნაურობაზე, რომელმაც მაშინდელ სახელმწიფო სისტემაში ისედაც ვერ მოასწრო მკაფიო სახით ჩამოყალიბება. საქმე ისაა, რომ **მამასახლისი** სიტყვასიტყვით ნიშნავს სახლის უფროსს ან ოჯახის თავს, გვარის მეთაურს, ერისთავი კი – **ხალხის წინამძღოლს**.

ასე და ამგვარად, გადაისროლეს რა აზნაურები უკანა საფეხურზე, ერისთავები მეფის წინაშე წარსდგნენ როგორც ქვეყნის ცალკეულ მხარეთა სრულუფლებიანი მმართველები. აზნაურები კი, როგორც უკვე მეორეხარისხოვანი მოხელეები, თავიანთი ხელქვეითი მამასახლისებითურთ დაექვემდებარნენ უფრო მაღალი რანგის მოხელეებს იმ საერისთავოების მიხედვით, რა საერისთავოებადაც საქართველო დაიყო.

ჩვენი მატინანების ჩვენებით, ქველობა-სიმაშაცით გამორჩეულ გვარის მეთაურებს აზნაურებად აწინაურებდნენ, აზნაურებს კი – ერისთავებად.

ამ სამი წოდებიდან (მამასახლისი, აზნაური, ერისთავი) შთამომავლობით მემკვიდრეობად ჯერ მხოლოდ აზნაურობა გადადიოდა, მაგრამ შემდეგ თანდათან მომრავლდა ერისთავობის

მემკვიდრეობით გადაცემის შემთხვევები. ასე რომ, არა ერთმა და ორმა ერისთავმა დაკარგა ნამდვილი გვარი და საკუთარ შთამომავლობას ტიტული გვარად დაუმკვიდრა. ამის მაგალითებია დღევანდელი დადიანები, გურიელები, ერისთავები ქსნისა, არაგვისა, რაჭისა, გურიისა და ა. შ.; ყველა ეს დღევანდელი გვარი წარმომდგარია ტიტულისგან, რომელმაც გადაფარა და დავიწყებას მისცა პირვანდელი გვარები: კახაბერი, ჩიქოანი, ბიბილური, სიღამონი და ა. შ.

ასე და ამგვარად, გვარის სავსებით დამოუკიდებელი მეთაურებისაგან წარმოიშენენ სოფლის სხვაზე დამოკიდებული თავკაცები, აზონის მემომრებისაგან – თავისუფალი ხალხი, თავისუფალი ხალხისაგან – შთამომავლობითი აზნაურები, შთამომავლობითი აზნაურებისაგან – ხალხთა წინამძღოლები, ხოლო ხალხთა წინამძღოლებისაგან – ერის თავადები ან, უბრალოდ, თავადები, ანუ ერისთავთა მემკვიდრეები, ერისთვისნულები. ამ უკანასკნელთაგან დროთა განმავლობაში წარმოიშვა მეექვსე, მეფის ხელისუფლებასთან ყველაზე ახლოს მდგომი, ნოდება **მთავრისა**, არქიტავადისა. მთავართა შვილებს, ისევე როგორც მეფისნულებს, ქართველები უწოდებენ ბატონიშვილებს, რათა განასხვავონ ისინი თავადიშვილებისაგან, აზნაურიშვილებისაგან (თავადიშვილებისა და აზნაურიშვილების შესახებ ჩვენ ქვემოთ კიდევ გვექნება საუბარი).

ისე არ გაიგოთ, თითქოს ხსენებული გარდასახვები ისეთივე სისწრაფით ხორციელდებოდა, როგორც გარდასახვანი ამირანისა და ბაყბაყისა. აქ ჩვენ 22-საუკუნოვან ისტორიას მოგითხრობთ; ისტორიას, რომელიც დასაბამს იღებს 300 წლის წინ ქრისტეს დაბადებამდე!

ერთი სიტყვით, ხანგრძლივ თუ ხანმოკლე დროთა განმავლობაში ამგვარმა შიდაძვრებმა ცალკეულ კლასებში, გადასვლამ ერთი მდგომარეობიდან მეორეში თანდათანობით მკაფიო კონტურები შეიძინა. და რაც უფრო ძლიერი იყო თვისებრივი ცვლილებები, მით უფრო მკვეთრი ხდებოდა კლასთა დანაწევრების პროცესი.

და აი, თამარის ბრწყინვალე მეფობის შემდეგ, ხანგრძლივი და უძძიმესი განსაცდელის ხანაში, თავადთა და აზნაურთა უფლებრივმა ურთიერთმიმართებამ უფრო მკაფიო სახე მიიღო, ხოლო თავადის ტიტულმა, რომელიც ყოველთვის არ გადადიოდა მემკვიდრეობით – მიუხედავად იმისა, ჰქონდა თუ არა ერისთავის თანამდებობრივი წოდება – გამოკვეთილი უფლებამოსილება მოიპოვა უმაღლეს სახელისუფლებო ფენაში.

სახელმწიფოში კლასთა ამგვარი ურთიერთმიმართება თავის-თავად წარმოშვა მმართველ ფენათა შორის მტკიცე კავშირის აუცილებლობამ. საქმე ისაა, რომ სწორედ ამგვარი კავშირი უზრუნველყოფდა თვით არსებობასაც კი იმ სახელმწიფოსი, რომელიც გამძვინვარებულ უცხოტომელთა განუწყვეტელ თავდასხმებს განიცდიდა და, ამდენად, დღენიდაგ დამხოზა-გაცამტვერების საშიშროების წინაშე იდგა. მარტო თემურლენგისა ხუთი გამანადგურებელი შემოსევა განიცადა საქართველომ.²⁸

ამ დროს თავადთაგან ის ითვლებოდა სუსტად და არასაიმედოდ, რომელსაც თავისი სამფლობელოს საუკეთესო სტრატეგიულ პუნქტებში აღმართული არა ჰქონდა მტკიცე ციხე-გალავნები, მიუვალი ციხე-ბურჯები.

აზნაურთა შორის ის ითვლებოდა სუსტად და არასაიმედოდ, რომელსაც თავის სამფლობელოში არა ჰქონდა კარგად დაცულ-გამაგრებული ციხე-კოშკები.

მაგრამ მას შემდეგ, რაც საყოველთაო საშიშროება მინელდა და ქვეყანაში შედარებითმა სიმშვიდემ დაისადგურა, დაიწყო და თანდათანობით გახშირდა შინაური დრტვინვა-აშლილობანი. თავადთა და აზნაურთა ურთიერთმიმართების სავალდებულო პირობები მართვა-გამგეობის ერთიან სისტემაში უკვე რყევებს იწვევდა და, ამდენად, ქვეყნისათვის საზიანო ხდებოდა. თანაც, რაც უფრო შეზღუდული იყო ამა თუ იმ კლასის ესა თუ ის უფლება, მით უფრო ძლიერდებოდა საერთო წესრიგის მოშლის ზემოაღნიშნული პროცესი.

ხან აქ, ხან იქ თანდათანობით გახშირდა შემთხვევები – როგორც ეს ერთ ოფიციალურ საბუთშია მითითებული – როცა რო-

მელიმე ერისთავი აუჯანყდებოდა მეფეს და მეფეც, თავის მხრივ, იძულებული ხდებოდა, ან რკინის ხელით მოეგრიხა კისერი კრამოლური ხელქვეითისათვის, ან კიდევ დიდი მსხვერპლით უკუქცეულიყო. ხანაც ერთი ერისთავი მეფის უცნობლად და მისი ნების წინააღმდეგ აღიძვრებოდა მეორე ერისთავის დასათრგუნად, აზნაური აუმხედრდებოდა თავადს ანდა სხვა აზნაურს მიუხედავად, უმეტესად კი ერთი თავადიდან მეორესთან გარბოდა, მას ექვემდებარებოდა ან, კიდევ უარესი, თავის ადგილ-მამულიანად, რომელიც იმავდროულად სამეფისწულოც იყო, განუდგებოდა მეფეს და ძლიერ და გავლენიან ერისთავს მიეკედლებოდა, თანაც ისე, რომ არც ერთ შემთხვევაში საკუთარ სამოქალაქო უფლებებს არ კარგავდა.

აი, ასეთ დაუსტებულ-დაძაბუნებულებს მოგვისწრო ჩვენმა დასავლურმა კონტრაბანდამ – ფეოდალიზმმა. მან აქ სწრაფად და ადვილად დაამყარა წესრიგი, რომლის მიხედვითაც *de jure* გლეხი გადავიდა აზნაურის სრულ მფლობელობასა და მორჩილებაში, აზნაური – თავადის, თავადი – ერისთავის, ერისთავი კი – მეფის განკარგულებაში, ხოლო მეფეს, როგორც სახელმწიფოში ძალაუფლების დასაბამს, ოდენ სტიქიური ძალები თუ შეზღუდავდა.

ძველი და საპატიო ნოდება მამასახლისისა სოფლის თავკაცის თანამდებობამდე ჩამოქვეითდა, იქვე გაიყინა და საბოლოოდ გლეხურ ცხოვრებას შეერწყა. აზნაურთა ფენა თავადებს, ერისთავებსა და მეფეებს ამარაგებდა დროშისმტვირთველებით, წვრილი მოხელებითა და შინამეურნეობაში წესრიგის დამცველებით. თავადები კი ინიშნებოდნენ უმაღლეს სახელისუფლებო თანამდებობებზე და, ავსებდნენ რა ერისთავთა, სარდალთა, სახლთუხუცესთა ანუ ჰოფმარშალთა და სხვა ნაირგვარ უხუცესთა რიგებს, საბოლოოდ მოურავობამდე აღწევდნენ. „მოურავი“ ნაწარმოებია სიტყვიდან „ურვა“, რაც მოცემულ შემთხვევაში ზრუნვას, ზედამხედველობას, გაძლოლას ნიშნავს. მოურავმა თავისი უფლებამოსილებით ჯერ გაუსწრო ერისთავს, შემდეგ კი საერთოდ შეცვალა იგი ხელისუფლებაში. მას მერე, რაც ერის-

თავმა დაკარგა თანამდებობრივი დანიშნულება და იგი მოურავს გადაულოცა, თვითონ კი საგვარეულო სახელწოდებად იქცა, თავის მხრივ, იწყება მოურავის ინსტიტუტის დამცრობა-პროფანაციის პროცესი. ამ უნარჩინებულესმა სახელმწიფო მოხელეებმა თანდათანობით დაკარგეს თანამდებობრივი ღირსებები და საბოლოოდ წვრილ-წვრილ სამაზრო, საუბნო და სასოფლო მოხელეებად იქცნენ. და როცა ფეოდალიზმმა დაიწყო რეალური მოქმედება, რათა მხარის მოსახლეობის ფართო ფენებში შეეღწია და იქ შეძლებისდაგვარად ხელსაყრელი სულისკვეთება დაემკვიდრებინა, მხოლოდ მოურავის წოდებალა გამორიცხავდა პიროვნულ-ინდივიდუალურ თავისებურებებს და მთლიანად თანამდებობრივ მდგომარეობას გამოხატავდა.

XV საუკუნიდან წოდებათა უფლებრივი ურთიერთმიმართება ცვლილებებს განიცდის და მკვიდრდება საკუთრების ახალი ფორმები. ერთი პიროვნების სხვა პიროვნების მფლობელობაში ყოფნის საკითხი თავისი გარეგნული თუ შინაგანი თავისებურებებით გადაეჯაჭვა მიწის საკუთრების საკითხს: დაბალი ფენის მოსახლეობის ესა თუ ის ნაწილი უკვე მიწიანად გადადის აზნაურის ან თავადის საკუთრებაში სყიდვის ან წყალობა-ბოძების წესით. თავის მხრივ, აზნაური უკვე ხალხიან-მიწიანად გადადის თავადის მფლობელობაში საკუთარი არჩევანით ან უზენაესი მმართველის – მეფის – განჩინებით. ერთი სიტყვით, ფარნავაზისდროინდელ აზნაურობასა და იმ ეპოქას შორის, როცა ალექსანდრე I-მა საქართველოს სამეფო ქართლის, იმერეთისა და კახეთის ცალკეულ სამეფოებად დაშალა,²⁹ განსხვავება ისაა, რომ **XV** საუკუნიდან აზნაურებს შენარჩუნებული კი ჰქონდათ განსაზღვრული თავისუფლება და შთამომავლობითი კეთილშობილება, მაგრამ სახელმწიფო სისტემაში უსათუოდ ვინმეს უნდა დაქვემდებარებოდნენ და თავიანთი ბატონების უახლოესი თანამებრძოლები და თანამოაზრეები ყოფილიყვნენ საომარ თუ სამშვიდობო საქმეებში; თანაც იმ საერთო წესის დაცვით, რომლის მიხედვითაც, თითოეული წევრი ამა თუ იმ გვარეულობისა, აზნაური იქნებოდა იგი თუ თავადი, უნდა დამორჩილებოდა ამავე გვარეუ-

ლობის ყველაზე წარჩინებულ პირს – გვარეულობის თავკაც-წინამძღოლს. ეს ინსტიტუტი გვარის უფროსისა, როგორც ვხედავთ, კვლავ აღმოცენდა, თუმცა რაიმე სპეციალური სახელწოდება არ მიუღია და იგი პოლიტიკურ სცენაზე გარკვეულმდეგ პოლიტიკურმა ვითარებამ გამოიყვანა; ოღონდ არა იმან, რომელიც შემდეგი დევიზითაა „გაფორმებული“: *diviser pour régner*,³⁰ არამედ სულ სხვა ვითარებამ, რომლის სიტყვიერი გამოხატულება ასეთია: „გააერთიანე, რათა მართო!“

თავადური და აზნაურული გვარეულობანი მრავლად წარმოშობდნენ გამორჩეულ პიროვნებებს – მამაც მეომრებს, მრავალმხრივ ღირსეულ შვილებს, მაგრამ ამა თუ იმ საგვარეულოს თითოეული წევრის საქციელზე ღვთისა და მეფის წინაშე პასუხისმგებლობა ერთ პიროვნებას ეკისრებოდა. იგი იყო გვარის უფროსიცა და საერთო საკუთრების ერთპიროვნული გამრიგებელ-მომწესრიგებელიც. თავადურ გვარეულობებს, როგორებიცაა ციციშვილი, ამილახორი, ერისთავი და ა. შ., ან კიდევ აზნაურულ გვარეულობებს, როგორებიცაა შაბურიშვილი, ზედგინიძე, კორინთელი და ა. შ., თითო უფროსი და საერთო საქმეებში რიგის მიმცემი ჰყავდათ და სწორედ ასეთ პირს ჰქონდა ხმა სახელმწიფოში; ის იყო საქვეყნო საქმეებში გარკვეული უფლებამოსილების მქონე მოქალაქე, როგორც, ვთქვათ, რომაელთა *civis optimo jure*.³¹ მოცემული გვარეულობის სხვა წევრებს სპეციალური სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი უფლებამოსილებანი არ გააჩნდათ და ისინი, უბრალოდ, თავადიშვილებად, აზნაურიშვილებად იწოდებოდნენ.

ქართულ კანონებში გარკვევით ჩანს დასავლეთის სამივე ძირითადი ეპოქის კანონმდებლობათა გავლენის კვალი. ესენია: ეპოქა იმპერიისა, ეპოქა ბარბაროსებისა და ეპოქა ფეოდალიზმისა. კერძოდ, ჩვენი სამართლის იმ ნაწილში, რომელიც წოდებათა საკითხს ეხება, ღირსება-პატივის ხარისხი მნიშვნელოვანწილად მატერიალურ-ქონებრივი მდგომარეობით განისაზღვრება. ასე, მაგალითად: ბაგრატიონი – მეფისწული და მფლობელი მუხრანისა, ერისთავი – მფლობელი ქსნისა, ორბელიანი, შორეული აღმო-

სავლეთიდან აქ მოხვედრილი ეს ძველი და საპატიო ემიგრანტი³² – მფლობელი ორბეთისა; აგრეთვე: ციციშვილი, ამილახვარი და სხვ., პირველი ხარისხის ანუ დიდებულ თავადებად ითვლებოდნენ.

მაგრამ საკმარისი იყო რომელიმე მათგანი საკუთრების თანამფლობელებს გაჰყროდა, ყოველი გაყრილი მაშინვე მეორე ხარისხის ანუ შუა თავადად ჩამოქვეითდებოდა. შუა თავადი გაყრის შემთხვევაში მესამე ხარისხის ანუ დაბალი თავადის საფეხურზე ჩამოინაცვლებდა. აზნაურებისთვისაც იგივე წეს-კანონები იყო დადგენილი.

ასეთი პირობები, თავის მხრივ, პირდაპირ კავშირში იყო სახელმწიფოს მართვის მძლავრ ბერკეტებთან, აგრეთვე, პიროვნების პატივსა და ღირსებასთან და, ამდენად, შეუძლებელია მას სახელისუფლებო ძალთა რღვევა არ შეეჩერებინა.

სამართალდარღვევის შემთხვევაში დიდებული თავადის სისხლის საზღაური იმდენად დიდი იყო – 1536 თუმანი – რომ მისი გადახდა არავის შეეძლო საწარმოო ურთიერთობათა მაშინდელი ჩანასახოვანი მდგომარეობისა და ასეთი თანხის სესხად მოპოვების სრული უპერსპექტივობის გამო. შესაბამისად, დიდებული თავადის ხელყოფას ვერავინ ბედავდა, ხოლო თუ ანალოგიური რამ შუა თავადს შეემთხვეოდა, იგი ზემოდასახელებული თანხის ნახევარს უნდა დასჯერებოდა, კერძოდ – 768 თუმანს.

დაბალ თავადზე დადგენილი იყო 384 თუმანი.

პირველი ხარისხის აზნაური ანუ დიდაზნაური მიიღებდა დაბალი თავადისთვის დადგენილი თანხის ნახევარს – 192 თუმანს.

მეორე ხარისხის ანუ შუა აზნაური – 96 თუმანს.

მესამე ხარისხის ანუ ცალმოგვი აზნაური – 48 თუმანს.

მსახური – 24 თუმანს.

გლეხი – 12 თუმანს.

ამ ნიშნით ასევე 8 კატეგორიად იყო დაყოფილი სასულიერო წრეებიც:

1. მთავარეპისკოპოსი და მიტროპოლიტი.
2. ეპისკოპოსი.

3. არქიმანდრიტი.
4. ილუმენი ანუ მონასტრის წინამძღვარი.
5. მღვდელ-მონაზონი.
6. მღვდელი.
7. მთავარდიაკონი.
8. ეკლესიის მსახური.

გარდა ამისა, მეხუთე კატეგორიაში ირიცხებოდნენ უმდიდრესი ვაჭარ-მოქალაქეები ანუ დიდვაჭრები.

მე-6 კატეგორიაში – მეორე ხარისხის ანუ შუა ვაჭრები.

მე-7 კატეგორიაში – მესამე ხარისხის ვაჭრები.

მე-8 კატეგორიაში – მეოთხე ხარისხის ვაჭრები.

დანაწილების ამგვარი სისტემა ჩამოყალიბებულია ვახტანგ მეფის სამართლის წიგნში, როგორც ფარული იდეა ნათესაური საწყისების შენარჩუნებისა, როგორც სამფლობელოთა დაშლის შემაკავებელი უმთავრესი საშუალება. და თუ დაშლა მაინც გარდაუვალი გახდებოდა, ამ შემთხვევაშიც საკუთრების გაყოფის დადგენილ-დაკანონებული წესები არსებობდა. ასე, მაგალითად, გაყრის დროს გასაყოფი საკუთრების ერთი ნაწილი, რომელსაც **გასამყრლო** ეწოდებოდა, უშუალოდ მეფის მფლობელობაში გადადიოდა. გაყრილ ძმებს შორის უფროსი პირველ რიგში ღებულობდა მეკომურ გლეხთა საუკეთესო ნაწილის მეოცედს საკუთარი არჩევანით, რასაც ემატებოდა უარესი ნაწილის მეოცედი ძმების სურვილისამებრ. უმცროსი ძმა ღებულობდა მეოცედს უარესი ნაწილისას და მასვე რჩებოდა მამისეული სახლ-კარი. რაც შეეხება შუათანა ძმებს, ისინი, ყველა ერთად აღებული, ღებულობდნენ მეკომურ გლეხთა მეოცედს. რაც დარჩებოდა, ის უკვე თანაბრად ნაწილდებოდა უკლებლივ ყველა ძმაზე.

ქალიშვილებს უძრავი ქონებიდან წილი არ ერგებოდათ, რათა გვარის საკუთრებას გარეშე მოწილე არ გასჩენოდა. იმავე მოსაზრებითვე ამათში ითვლებოდნენ საგვარეულო ოჯახის წევრი ქვრივი ქალებიც.

საერთოდ, ქართული სამართლებრივი ნორმების შეკრება-სისტემატიზაცია და ამ სახით მათთვის საყოველთაო ხასია-

თის მინიჭება XVIII საუკუნის დასაწყისში მოხდა. აქ მკაფიოდაა ასახული ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნული სამივე ეპოქის ცალკეული საკანონმდებლო მიმართულებები, თვით ისეთი უკიდურესდასავლურის ჩათვლით, როგორებიცაა სალიკური და ბურგუნდთა სამართლის წიგნები, წინარეშუასაუკუნოვან ევროპაში რომ იწყებენ მოქმედებას. დასავლეთევროპული გავლენის კვალი ჩვენს სამართალში განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს იმ მეთოდებში, რომლებითაც დამნაშავის გამოამკარავება ხდებოდა. მდულარე, შანთი და ხმალში გატანება სასტიკი იურიდიული მტკიცებულებანი კია, მაგრამ ამან ნაწილობრივ ალაგმა მემამულეთა ის თვითნებური მოქმედებები, რომლებითაც ისინი თავ-თავიანთ სამფლობელოებში სამართალს აღასრულებდნენ.

საშინაო საქმეების მართვისას უმთავრესი ამოცანა ის იყო, რომ დაუშლელ-დაუნანვერებელი ძალაუფლების სადავეები მცირერიცხოვანი დასის ძლიერ ხელში ყოფილიყო თავმოყრილი. და მათი მცირერიცხოვნობის გამო ამა თუ იმ სახელმწიფო პირის გარშემო იყო ათასი კაცის ფუსფუს-ქოთქოთი და ათასგვარი ვნებათა ღელვანი. ეს უკანასკნელი გარემოება, ისევე, როგორც სასამართლო განაჩენთა გამოტანის წესი, მოითხოვდა მართვა-გამგეობის სისტემაში რაიმე ფორმით საერთო განაწესის აუცილებელ დამკვიდრებას.

ასე და ამგვარად მოხერხდა მმართველისა და მისდამი დაქვემდებარებულის უფლებრივი ურთიერთობებისა და ბეგარა-გამოსაღებთა მოწესრიგება.

მთავარ N-ის სამფლობელოში ოდესღაც ცხოვრობდა 50 ათასი კომლი ანუ ორივე სქესის 250-ათასიანი მოსახლეობა. მათ შორის, ცხადია, თავადთა და აზნაურთა ოჯახებიც იყვნენ. უმაღლესი თანამდებობები – სამხედრო საქმე იქნებოდა ეს, თუ პრივილეგირებული გვარეულობების წევრთა სასამართლო საქმეების გარჩევა – სწორედ თავადთა და აზნაურთი ხელში იყო. ხოლო სამთავროს ცალკეულ მამულებში შინაგანი წესრიგის დაცვა გვარის უფროსებს ეკისრებოდათ.

განცალკევებულ სამფლობელოდ ითვლებოდა ის მამულიც, რომელიც N-ის პირდაპირ და უშუალო საკუთრებაში შედიოდა და რომელშიც, ვთქვათ, 10 ათასი კომლი ცხოვრობდა.

მთავრის კარზე დღენიადაგ ირეოდნენ საკუთარი საგვარეულოს უფროსის ხელში ასპარეზს მოკლებული თავადიშვილები და აზნაურიშვილები. ისინი მთავრის, თავიანთი ბატონისა და პატრონის, მხარდამხარ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდნენ ბრძოლის ველზე, მშვიდობიანობის დროს კი მასთანვე გამაგებით ღრეობდნენ და ქეიფობდნენ. ხოლო ღრეობა – ომში სისხლიანი, მშვიდობიან დღეებში კი დიდხორაგიანი – მთავრის უპირველესი საზრუნავი იყო.

და აი, ამ უკანასკნელი ნადიმ-ქეიფის გასტუმრება იყო ძირითადი თავსატეხი სამთავრო მამულის მოსახლეობისა, ე. ი. იმ გლეხებისა, თავიან-ავლა-დიდებიანად მთავრის საკუთრებას რომ შეადგენდნენ.

ნესისა და რიგისამებრ, მათი მოვალეობა ასე იყო განაწილებული:

900 ოჯახს ხორცეულით უნდა უზრუნველყო მთავარი – თითოეულ მათგანს წელიწადში უნდა მიერთმია ორი ძროხა, თითო-თითო ირემი, გარეული ღორი, ჯეირანი ან სხვა რამ მსხვილი ნანადირევი.

50 ოჯახს მიჰქონდა წვრილ-წვრილი ნანადირევი.

50 ოჯახს მარხვის დღეებში მიჰქონდა ცოცხალი.

25 ოჯახს – კალმახი წელიწადში სამჯერ: ლაზარეს აღდგინების დღეს, 25 მარტისთვის და 6 აგვისტოსთვის.

50 ოჯახი გამოყოფილი იყო შეშისა და წყლისათვის.

50 ოჯახი – შინამსახურებისათვის.

50 ოჯახს თითო წელიწადს თითო წევრი უნდა გამოეყო შორეულ გზებზე გასაგზავნ-გამოსაგზავნად.

20 ოჯახი იძლეოდა თითო მზარეულს.

ამდენივე – ხაბაზს და ა. შ. და ა. შ.

ერთი სიტყვით, მთავრის უშუალო მფლობელობაში მყოფი 10 ათასი სახლობიდან ასე 2-დან 4 ათასამდე ზემოაღნიშნული

წესით ემსახურებოდა ბატონს. დანარჩენი 6 ათასი მიწათმოქმედებას მისდევდა, ე. ი. პური და ღვინო მოჰყავდა და ამით იხდიდა ბეგარას, ზოგჯერ კი – ფულითაც.

და ცხოვრებაც წესითა და რიგით მიედინებოდა, ყველაფერი თავსაყრელად იყო და ნადიმ-წვეულებებიც დღენიდაგ იმართებოდა. მაგრამ ეს ყოველივე მანამ, სანამ მამული გაუყოფელი იყო.

ამ დაწყობილ-დალაგებულ ვითარებაში დიდი ფორიაქი შეჰქონდა სამფლობელოს გაყოფა-დაქუცმაცებას. უცბად აღმოაჩინდნენ, რომ გაყრის შემდეგ, ვთქვათ, მზარეულები და ხაზაზები აღარ ჰყოფნიდათ ან საერთოდ აღარა ჰყავდათ. უარესიც! ახალ ბატონ-პატრონთა მფლობელობაში გადანაწილების პროცესი ან კიდევ ერთხელ შეთვისებულ-შესისხლხორცებულ ვალდებულებათა შეცვლა, თუნდაც ეს ცვლილება მისთვის სასარგებლო ყოფილიყო, მოსახლეობისათვის ჯერ ძნელი აღმოჩნდა, შემდეგ კიდევ უფრო ძნელი, სანამ, საბოლოოდ, შეუძლებელი არ გახდა, ე. ი. სანამ არ იქუხა სიტყვამ – **დებულება!**

დებულება იგივეა, რაც კანონთა კრებული – დაუნერელი, მაგრამ არანაკლებ მტკიცე და შეუვალი, ვიდრე დანერვილ-დაფიქსირებული კანონებია. და დღეს, როდესაც აღარც წინანდელი უშველებელი სამფლობელოებია და აღარც თავის მტვერევაა საჭირო მის გაუყოფლად შენარჩუნებაზე, ზემოთ აღნიშნული დებულება არა ერთი და ორი სასაცილო გარემოების წყარო ხდება.

ჯერ წარმოიდგინეთ ასე 150-200 წლის წინანდელი ამბავი: მთავარი სიმონ N, რომელსაც იმ დროისათვის ტიტულიდა ჰქონდა შერჩენილი და სინამდვილეში იმერეთის მეფის ხელქვეითი იყო, მბრძანებლობდა სამთავროში, რომლის უმეტესი ნაწილიც, სხვათა შორის, მერე და მერე დაკარგა კიდევაც. გარწმუნებთ, რომ აგამემნონის თანამეინახეები სულაც არ ითაკილებდნენ, ხანდახან ამ სიმონ N-თანაც წაექეიფათ.

ახლა წარმოიდგინეთ მისი შთამომავალი ზურაბ N, რომლის სამთავრო ძალაუფლებასაც, ვთქვათ, 1820-იან წლებში მოელობოლო და მას ადრინდელ სამფლობელოთა მცირეოდენი ნაწილი-

ლა შემორჩა. ამ შემორჩენილ მამულში სულ რაღაც 5 ათასამდე კომლი ცხოვრობს და იქიდანაც უშუალო სამთავრო საკუთრებაში 1000 კომლი თუ იქნება.

ზურაბ N-ის პურობა სიმონ N-ის ნადიმ-ქეიფებთან შედარებით სხვა არა იყო, თუ არა **ფხე**, როგორც ერთი კავკასიელი მწერალი იტყოდა.³³

დასასრულ, წარმოიდგინეთ ექვსი განცალკევებულ-განკერძობებული ოჯახი, რაღაც ზურაბ N-ის ჯალაბი დაიშალა და რომელთაგან თითოეულს ყოფილი საერთო-სამთავრო საკუთრებიდან 200-300 კომლი გლეხობა თუ მოექვევებოდა იმ ყოვლად საბედისწერო დებულებითურთ!

– ეი, შენ, ჩხატარაიშვილო, ცხენი შემეკაზმე! – ეუბნება ერთ-ერთი ბატონიშვილი გლეხს.

– არ შემეძლია, ბატონო! მაშინ თქვენს წერილებს ვილა ატარებს?

– რას მიედ-მოედები! ჩემი წერილები ფოსტას დააქვს!

– მომკალით, ბატონო, და არ შემეძლია! მომეცით წერილი და თუნდაც სტამბოლში წავიღებ, თუნდაც მოსკოვში წავიღებ. ჩემი დებულება ესაა! ცხენს ვერ შევკაზმავ, მე მეჯინიბე არა ვარ!

– მომისმინე, სალუქვაძე! – ეუბნებიან მეორე გლეხს, – რას დაათრევ ამ შეშას ზურგით? არ გირჩევნია, ხარს აჰკიდო და ერთი დღის სამყოფი ერთ ჯერზე ამოიტანო?

– ხარი მე ცოტა მყავს, ბატონო!

– კარგი, ერთ ხარს მე გაჩუქებ!

– ღმერთმა თქვენი წყალობა ნუ მომიშალოს, ჩემო ბატონო და პატრონო ჩემო!

– მაგრამ, იცოდე, საპალნე მსუბუქი არ გამოგივიდეს!

– არა, ბატონო, ამას ვერ ვიზამ! თქვენ ჩემი ბატონი ბრძანდებით, ჩემი მბრძანებელი! თქვენ შეგიძლიათ ერთი კი არა, ათი ხარი მიწყალობოთ. თქვენ შეგიძლიათ მიბრძანოთ ყველაფერი, რასაც მოიგუნებებთ. მე თქვენი მონა ვარ და მორჩილი – ყველაფერს შევასრულებ! მაგრამ, აი, შეშა კი უსათუოდ ზურგით უნდა ვზიდო. ასეთია დებულება!

– კარგი, კარგი! მაშინ წერილი მაინც ჩაუტანე ჩემს ძმას სოფელში!

– როგორ, ბატონო, წერილი მე უნდა წავიღო? მე შეშა მომაქვს, ბატონო, წერილი ჩხატარაიშვილმა უნდა წაიღოს!

– ჰმ! ჩიბუხი მაინც მომანოდე!

– ახლავე გიტუას ვეტყვი და ის მოგანვდით.

– გიტუა შინ არ არის, შენ თვითონ მომანოდე!

– აჰ, ღმერთო ჩემო, მე როგორღა მოგანვდით ჩიბუხს? მე, ბატონო, შეშა უნდა მოვიტანო! არ შემეძლია, ნამდვილად არ შემეძლია. მომკალით, ბატონო, მე თქვენი ყაზახი ვარ და შეგიძლიათ მომკლათ კიდევ, მაგრამ ისე როგორ გავკადნიერდები, ჩიბუხის მიწოდება გაგიბედოთ!

„წარმოიდგინეთ, რა ზომის სიკერპემდე მიდის ჩვენი გლეხის საქციელი, როცა საქმე დებულებას ეხება, – მეუბნება ერთხელ ზურაბ N-ის ერთ-ერთი მემკვიდრე, – 1845 წელს თავად-აზნაურთა დრუჟინასთან ერთად დარღოს ექსპედიციამი ვიყავი.³⁴ თან წავიყვანე ერთი გლეხი, რომელიც დებულების მიხედვით ფეხით უნდა მხლებოდა. თავიდან მართლა მინდოდა, გლეხს საკუთარ თავზე ეწვინა დღევანდელ ვითარებაში ძველი დებულების სრული უაზრობა. არადა, გულიც მენვოდა იმ ბედკრულის ხვედრზე, რომელმაც ცხენზე ამხედრებულს დარღომდე ფეხდაფეხ მდია და, ამგვარად, რამდენიმე ასეული კილომეტრი დაფარა. დარღოში ერთ-ერთი მსახური მომიკლეს და მისი ცხენი უპატრონოდ დარჩა. ავიღე და ეს ცხენი ამ ჩემს ფეხოსანს ვაჩუქე, მაგრამ არ გაჭრა არც თხოვნამ, არც მუქარამ – ზედ ვერაფრით შევსვი. – არაო, – მეუბნება, – ფეხით უნდა გდიოთო! – და თქვენ წარმოიდგინეთ, უკან დაბრუნებისას ის უშორესი და უძნელესი გზა მართლაც ფეხით გადმოლახა!“

ცხოვრება კი მიდის და მიედინება. ერთ საჭიროებას მეორე ცვლის, ერთ ვითარებას – სხვა ვითარება. არა ერთი და ორი ჩვეულება ამოიშალა სამუდამოდ ადამიანთა მეხსიერებიდან, მაგრამ დებულებას არაფრის გაგონება არ უნდა! ერთს წილად ათობით მეჯინიბე ერგო, არადა სულ ორიოდვე ცხენი ჰყავს.

მეორეს ათობით მზარეული შეხვდა, სინამდვილეში კი ერთიც სავსებით ეყოფოდა. ამას – ათობით მალემსრბოლი, რომელთა საჭიროება საერთოდ აღარ არსებობს. იმას – ცხენზე ამხედრებული ბატონის ქვეითად მდევნელნი, თუმცა ეს ბატონი უკვე საფოსტო თუ საკურიერო ეტლებით დაქრის... როდესაც ერთი რამ გადამეტებულ-გადაჭარბებულად გვეძლევა, მეორეში დიდ ხელმოკლეობას განვიცდით ხოლმე, მაგრამ თქვენ უნდა გენახათ ბორჯომის წინახეობის ერთ-ერთ სოფელში, ქართველი აზნაურის ოჯახში თავშეყრილი ბატონიშვილებისა და თავადების მოლხენა!

ვინ იფიქრებს, რომ იმ თითქმის ას ორმოცდაათი მონადიმიდან, ან უკვე უფლებადაკარგულ მის უგანათლებულესობას თვალელებში რომ შესცივინებდა, დიდი უმეტესობის სიმდიდრეს თითო ღონიერი ცხენი აიკიდებს!

ვინ იფიქრებს, რომ ეს თავადიშვილები, რომლებიც თავიანთი წინაპრების დოვლათიანობასთან შედარებით არას მქონენი არიან, ისე მიგიღებენ და გიმასპინძლებენ, იმ ყელამდე სავსე წინაპრებსაც კი ეამებოდათ!

ერთიცა და მეორეც ჩვენ საკუთარი თვალთა გვაქვს ნანახი და საკუთარ სტომაქზე გამოცდილი.

თავად-აზნაურთა სამფლობელოებზე საუბრისას ჩვენ არ გვიხსენებია მფლობელობის კიდევ ერთი ფორმა, რომელიც უცილობლად უნდა აღმოცენებულიყო იმ ქვეყანაში, რომელშიც, მიუხედავად უაღრესად მტრული გარემოცვისა, 15 საუკუნის განმავლობაში დაცულ იქნა მართლმადიდებლობის სინმინდე; რომელშიც საეკლესიო იერარქიის სათავეში უმეტესწილად მეფის ძმები ან მეფისწულები იდგნენ; რომელშიც მღვდელმთავრები თითქმის ყოველთვის უმაღლესი წოდებიდან იყვნენ გამოსულნი; რომელშიც ღვთის ტაძართა კეთილალმკობა ადგილობრივ მებატონეთა გულმოდგინებაზე იყო დამოკიდებული. უმაღლეს სასულიერო და საერო ფენათა შორის ნათესაური კავშირები, ძალაუფლების მქონე პირთა კეთილგანზრახული მეტოქეობა ხელს უწყობდა ხალხში რწმენის შეურყევლობას, ამასთანავე, აძლიე-

რებდა ეკლესიის მატერიალური უზრუნველყოფის სურვილს. ასე ჩამოყალიბდა საეკლესიო საკუთრება.

ეკლესია დასახლებულ მამულებს საკუთრების საერთო-საქვეყნო პრინციპების საფუძველზე ფლობდა. აქედანვე მივიღეთ აზნაურთა სამი ფენა: სამეფო, საეკლესიო და სათავადო. ამ აზნაურთა უფლებრივ მეტნაკლებობას განსაზღვრავდა არა ვინმესადმი მიკუთვნილობა, არამედ თითოეული მათგანის ქონებრივი მდგომარეობა. ასე რომ, სასამართლო წესით დადგენილი სისხლის საზღაური საეკლესიო ან სათავადო აზნაურისა შეიძლება ორი ხარისხით მაღალი ყოფილიყო, ვიდრე მეფის აზნაურისა.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა უკანასკნელ ხანს განკერძოებულ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ორ სამეფოდ და სამ სამთავროდ დაიშალა, წოდებათა ურთიერთმიმართება სავსებით ერთგვაროვანი იყო ამიერკავკასიის მხარის მთელ ქართულ მოსახლეობაში. გამონაკლისი იყო მხოლოდ კახეთი, რომელიც ერეკლე მეორემდე მესამე ქართულ სამეფოს წარმოადგენდა (კახეთი და ქართლი სწორედ ერეკლეს დროს გაერთიანდა) და რომელშიც სხვას დაქვემდებარებული აზნაურები საერთოდ არ არსებობდნენ.

ერეკლე II იყო საქართველოს ერთი უმამაცესი მეფეთაგანი. 50 წელიწადზე მეტხანს ებრძოდა იგი მტერს და თითქმის ყოველთვის იმარჯვებდა. 50 წელიწადს რწყავდა ეს სახელოვანი მეფე მტრის სისხლით თავისი უძველესი სამეფოს დამოუკიდებლობას, მაგრამ რაც დრო გადიოდა, თანდათან რწმუნდებოდა, რომ მისი წინამორბედი უსაფუძვლოდ როდი მიმართავდნენ დახმარებისათვის რუსეთის მართლმადიდებელ მონარქებს. რუსეთთან კავშირ-ურთიერთობა, რომელიც ბორის გოდუნოვის დროს დაიწყო და ინტენსიური ხასიათი ალექსი მიხეილის ძის, პეტრე დიდისა და ეკატერინე II-ის მეფობისას მიიღო, უფრო და უფრო არწმუნებდა ერეკლეს, რომ რუსეთის პირდაპირი და უშუალო მფარველობის გარეშე საქართველო შეიძლება სამუდამოდ შესწირვოდა იმ პოლიტიკურ ქარიშხლებს, ექვსი საუკუნის განმავლობაში რომ მძვინვარებდა ჩვენი ქვეყნის თავზე და მის

შიგნით. და აი, 1783 წელს ერეკლე II შევიდა ეკატერინეს ქვეშევრდომობაში, ხოლო ერეკლეს შვილმა, გიორგი XIII-მ,³⁵ 1800 წელს თავისი სამეფო საბოლოოდ ანდო რუსეთის ხელმწიფის უშუალო მართვა-გამგეობას.³⁶ იმერეთის რუსეთთან შეერთება დასრულდა 1810 წელს, მას შემდეგ, რაც სოლომონ II თურქეთში გაიქცა, ხოლო გურიისა – 1829 წელს, მამია II-ის სიკვდილის შემდეგ.³⁷

მონარქიულ წყალობათაგან ერთი ისიც იყო, რომ საქართველოს თავადაზნაურობა უფლებრივად მაშინვე გაუთანაბრდა რუსეთის დიდგვაროვნებს. მარტო ამ უკანასკნელი გარემოების გამო უძველეს ქართულ იერარქიას საფუძვლიანი ცვლილებები უნდა განეცადა და ეს რთული საქმე – ახალი უმაღლესი ხელისუფლების მიერ ქართველ თავადთა და აზნაურთა წოდებრივი უფლებების გაცნობა-დამტკიცება – 1818 წელს დაიწყო, ხოლო დასრულდა იგი 1850 წელს და დასრულდა ისე, როგორც ადგილობრივი თავადაზნაურობის ინტერესთა პატივისცემასა და ხელისუფლების ღირსებას ეკადრებოდა. ასე დაგვირგვინდა ეს საქმე საქართველოში: ქართლსა და კახეთში, იმერეთსა და გურიაში.

ამჟამად მხარის ამ ნაწილში სამი წოდებაა, რომელთა ადგილი და მნიშვნელობა იმპერიაში მოქმედი საერთო წესების მიხედვითაა დადგენილ-დაკანონებული:

სამღვდელოება, რომელიც ემორჩილება საერთო მართლმადიდებელ ან სომხურ-გრიგორიანულ ან კიდევ რომაულ-კათოლიკურ ეკლესიებს.

თავადაზნაურობა, რომელიც თავადთა და აზნაურთა ორი ფენისაგან შედგება.

გლეხობა, რომელიც, თავის მხრივ, სახაზინო, საეკლესიო და ყმაგლეხთა ფენებადაა დაყოფილი.

ამათ გარდა, არსებობს აგრეთვე ტფილისის **მოქალაქეთა** წოდება, მაგრამ ამათი პიროვნული უფლებები ჯერჯერობით არ არის განსაზღვრული.³⁸

მართალია, მეზატონეთა და გლეხთა ურთიერთობებში ჯერ კიდევ არსებობს ზოგიერთი ბუნდოვანი, გაურკვეველი გარემოებები – მაგალითად, **დებულება** იმერეთსა და გურიაში და მისი

არარსებობა ქართლ-კახეთში – მაგრამ მათი მოგვარება დროის დინებას უნდა მიენდოს და ამჟამად ეს ასეცაა.

საქართველოსგან ჩამოშორებულ ტერიტორიებზე სავსებით ნაშლილია წოდებრივი განსხვავებულობანი და ქრისტიანობისადმი მუდამ მტრულად განწყობილი ისლამის უღელქვეშ მათ თავიანთი მართლმადიდებლობაც დაკარგეს: აჭარლები, ლივანელები, ლაზები, ქობულეთლები, მართალია, დღემდე ინარჩუნებენ ქართული ხასიათისთვის ნიშანდობლივ თვისებებს, ქართულ ენას, მაგრამ თავს მაინც თურქებად მიიჩნევენ. ინგილოები, რომლებიც დიდხანს გმინავდნენ დალესტნელთა უღელქვეშ, ჩვენს დროში თანდათან უბრუნდებიან მართლმადიდებლურ წიაღს. მაგრამ დასახელებულთაგან უკვე არც ერთში აღარ არსებობენ არც თავადები, არც აზნაურები, აღარც გლეხები.

ნახევრად ქრისტიან, ნახევრად გამაჰმადიანებულ აფხაზთა და სამურზაყანოელთა, აგრეთვე, გაგარეულებულ სვანთა მეხსიერებაში წოდებრიობა შემორჩენილია, როგორც წარსულის ღირსშესანიშნაობა. სამეგრელოში კი, რომელსაც დანარჩენი საქართველოსაგან ისლა განასხვავებს, რომ წინაპართა ენა აქვთ გარკვეულწილად შეცვლილი, წოდებრივი ვითარება უცვლელად არსებობს ოდინდელ ჩარჩოებში.

ამ თხზულების ბეჭდვისას³⁹ ჩვენი მისამართით არაერთი ქების სიტყვა მოვისმინეთ. თუ ეს ქება-მკობანი არ არის საფუძველს მოკლებული და მართლაც შევძელით რუსული ენის მეშვეობით მკითხველამდე სათქმელის მიტანა, შეგიძლიათ ეს გარემოება ერთ-ერთ იმ მეტამორფოზად ჩათვალოთ, უკანასკნელმა 50 წელმა რომ გამოიწვია ჩვენში. კომპლიმენტებზე კი ყაბულსა ვართ და იმასაც დავსძენთ, რომ გარდასახვანი მართლაც თვალსაჩინოა და საამისოდ ჩვენ, იმ დროს უმნიშვნელო სახსრების პატრონთ, 1810-იან წლებამდე სწავლის ქირას თვეში 25 მანეთს გვიხდიდნენ ვერცხლით, 1830-იანი წლებისათვის – 5 მანეთს, ამჟამად კი ფულს იქით ვიხდით, რათა ვისწავლოთ. ეჭვი არაა, რაიმე ძალას საფლავებიდან ჩვენი წინაპრების წამოყენება რომ შესძლებოდა, არც ერთი არ დაიჯერებდა, მათი შთამომავალნი

რომ ვართ. ჩვენ ხომ ამჟამად რეგულარულ ჯარში გამოწვრთნილ-გამოჯეკილი ყოჩალი მეომრები გახლავართ, ან კიდევ შრომაში დაუზარელი ჩინოვნიკები.

არ იფიქროთ, თითქოს ჩვენი წინაპრები ისე იყვნენ უმეცრეების წყვდიადში ჩაფლულნი, რომ ამ წყვდიადიდან მათი გამოყვანა მხოლოდ ფულის სატყუარათი ყოფილიყო შესაძლებელი. ეს სატყუარა იმისთვის იყო საჭირო, რომ თავი დაგვეღწია ცხოვრების მხედრული წესისათვის და ახალ ცხოვრებას შევედგომოდით – მშვიდობიანს, სამოქალაქოს.

ჩვენს წარსულში მწიგნობრობა, წიგნური განათლება რამდენიმე კლასის კუთვნილება იყო: მდივან-მწიგნობართა, სასულიერო პირთა და, დასასრულ, ქალთა სქესისა.

ქალი ყველა კეთილშობილ ოჯახში უთუოდ და უცილობლად განსწავლული უნდა ყოფილიყო და კარგადაც განსწავლული. უსტამბობამ, ცხადია, არაერთი დიდებული მწერლის სახელი მისცა დავიწყებას. ხოლო მწერალ ქალებს რაც შეეხება, ისინი საქართველოში ყოველთვის უხვად მოიპოვებოდნენ. ამათ მეტ-ნაკლებად ლექსებიც ჩინებული გამოსდიოდათ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ლექსთა თხზვა ქართულად არც ისე ძნელია. ენა რბილია და მოქნილი, როგორც ლაიკა, როგორც კაუჩუკი; ატრიალეთ და წელეთ, რამდენიც მოგეპრიანებათ – არც სილბოს დაკარგავს, არც სიმწყობრეს, არც სახიერებას.

მამაკაცი განუწყვეტილად უნაგირზე ტრიალებდა და მტერს იგერიებდა: ან ტყვიას აძგერებდა შუბლში, ან სატევარს – ფერდში. მომხდურს რომ უკუაგდებდა, შინ ბრუნდებოდა და „ვეფხისტყაოსნისა“ და „ყარამანიანის“ კითხვაში ტკბილად იძინებდა ან სარაინდო ზღაპრებს ისმენდა, ან კიდევ დის, ცოლის, ქალიშვილის მიერ წინაპართა საგმირო-სავაჟაკო საქმეებზე შეთხზულ ამბებს, თვითონ კი მწიგნობრულ საქმიანობას ვერ ახერხებდა – არც იყო ეს მიღებული და არც საამისო დრო მოეპოვებოდა.

მაგრამ რაც იყო, იყო და მადლობა ღმერთს!

ორ დღე-ღამეს ვიქეიფეთ მაშინ ბორჯომის წინახეობის სოფლებში გურულებთან და იმერლებთან ერთად და საბოლოოდ და-

ვრწმუნდით და დავიჯერეთ – გურიას, თუ იქაურ ქალთა სიტურფის მიხედვით ვიმსჯელებთ, ტყუილად არ უწოდებენ მუჰამადის სამოთხეს. ხოლო მესამე დღეს ჩვენ ამ ქალებს გულის სიღრმიდან წამოსული ოხვრის გარეშე არ გამოვმშვიდობებივართ.

გზაში სამხრეთული, მოულოდნელი თქეში დაგვატყდა და ღამის გათევა ერთი სააზნაურო გლეხის სახლში მოგვიხდა. გლეხი სიღარიბეს უჩიოდა, არადა, ვახშმად გემრიელი ჩიხირთმა, დიდებულად შემწვარ-შებრანული, მრგვლად მოხარშული, ბრონეულის წვენში ჩადებული დედლები, თუნგი ანუ 5 ლიტრა შუშხუნა ღვინო და ხორბლის გემრიელი პური მოგვართვა; თანაც ეს ყველაფერი მკვირცხლად, სახელდახელოდ! სანყალი გლეხი!! რა ბედსვიანად იგრძნობდა თავს ჰენრიხ IV, მისი ქვეშევრდომები ჩვენი იმდღევანდელი მასპინძელივით ღარიბები რომ ყოფილიყვნენ! ქართველი გლეხი ნადირობისას თუ დაიმშევა, თორემ საკუთარ სახლში – არასოდეს! ცოლი აბრეშუმითა ჰყავს, თვითონაც ცოტაღა აკლია, აბრეშუმშია გამოპრანჭული და საფულეშიაც ზოგი რამ მარაგად მოეძვეება.

ამის მერე საუბარი ამიერკავკასიის მხარის მუსლიმურ ნაწილებზე გვექნება, მაგრამ ახლა და ამწუთას კი არა – სამომავლოდ.⁴⁰

[1853]

ჩემო გულითად საყვარელო თეიმურაზ!

რომ აღარ მომისვენე და – თუ მართლა მეგობარი ხარ, ერთი კარგი ანბავი კიდეც მითარგმნე რამეო, რისთვის ჩამცივებინხარ, ერთი შემატყობინე ღვთის გულისათვის? – ვჰსთქვათ – მეც აღვასრულე შენი სანადელი: გითარგმნე და, აჰა, გიგზავნი კიდეცა! ახლა შენ რასა იქ? ადგები და „ცისკარში“ გაგზავნი დასაბეჭდათა განა?¹ დიად კარგი და პატიოსანი, მაგრამ რა გამოვიდა? ვინა კითხულობს მაგ შენს „ცისკარსა“?

როგორ თუ ვინა კითხულობს? ჩვენა ვჰკითხულობთო, მეტყვი.

თქვენ დიალა კითხულობთ: გრიგოლ, კიდეც გრიგოლ, კიდეც გრიგოლ, დავით, ალექსანდრე, დიმიტრი, ბიძინა, ვახტანგ... ეგ შენი კრიალოსნის მარცვლები რომ ჩათვალო, სულ გამოვა ასთვრამეტი კაცი!!! მთელს კახეთში, ქართლში, იმერეთში, გურიას, სამეგრელოს და აფხაზეთს გამოვიდა 118 კაცი, რომ შარშან „ცისკარზედ“ ხელი მოწერილი ჰქონდათ და წლეულაც მოაწერენ თუ არა, ესეც არავინ იცის. – ესენი ხართ „ცისკრის“ წამკითხველები, სხვანი ხომ არა ვინა?!

მართალი ნუ გენწყინება, ჩემო თეიმურაზ! არას გზით არ შეიძლება, რომ სადაც კაცს ასთვრამეტის მეტი წამკითხველი არ ეგულება, იქ ადვილად კარგი დაინეროს, ან ითარგმნოს რამე; იმათშიაც ზოგი ხელს იმიტომ აწერს „ცისკარზედა“, არა ჰსთქვანო, რომ ამა და ამ კაცმა ხელი არ მოაწერაო; ზოგი ანბობს, მქონდეს, რა მენაღვლება და როცა იქნება ან მე წავიკითხავ, ან სტუმარი მომივა და იმას წავაკითხებო; ზოგი – ძილი მიტყდებაო და იმისთვის ვიბარებ, ეგების ძილი მომგვაროს ხოლმეო; ამასო-

ბაში ოციოდეც აღარ დარჩება, რომ გულდასმითა კითხულობდნენ. ყოვლად შეუძლებელია, რომ ამ ფიქრმა ბევრს ნიჭიერს მწერალს კალამი არ შეუყენოს; ყოვლად შეუძლებელია, რომ ჟურნალი წარმატებაში შევიდეს. ამას რა შეუდგება, მე და შენ კარგათ არ გვესმის ჩემო თეიმურაზ და არცა ვინ დაჰკვირვებია ამ ფიქრსა, თორემ რა დამაჯერებინებს – ქართულის მოლაპარაკემ წელიწადში შვიდიოდ მანათი ქართულის ჟურნალისათვის დაიშუროს? გუშინწინ ერთს წიგნში ამოვიკითხე და შენ გეტყვი ახლა, რაც შეუდგება.

ხომ გაგიგონია, ჩვენში რომ კაცი გადმოვარდნილა სიღამემ და თავისი ენა გადავინყებია, გადარჯულებულიაო, იმისას იტყვიან; – და გადარჯულებული მთელს ქვეყანაზედ ისე მიაჩნიათ, არა ვინ რას დაჰსდევს, ყურს არა ვინ ათხოვებს და თუ ხმა ამოიღო სადმე, ეს ვილა ოხერიაო, იტყვიან. – ვისაც თავისი ენა არ ახსოვს, იმას აღარც მამა გააჩნია, აღარც დედა, აღარც ნათესაობა და აღარც ტომობა, რომ გულის შემატკივარი ეგულებოდეს სადმე; გამოყრუებულებით, გამორიცხულებით არის ქვეყანაში და თუ ლუკმასა ჰსჭამს, მწარეა ეს ლუკმა, ამიტომ რომ ან მოწყალებისა არის, ან ჭირისა და ოფლისა. აღარც სად იმისთვის საოჯახო სიხარული, აღარც სად ბინა თავის შესაფარებელი, აღარც სად სიამოვნება მამაპაპის ანბებზედ ლაპარაკისა. თუ დაღონებულსა და გულჩათუთქვილს შეჰხვდა ვინმე, საწყალიო, იტყვიან და მხარს აუქცევენ; იცხოვრებს როგორც იქნება, იღანღალებს, ილოღავს, ჩაკვდება სადმე უპატრონოთა და სახსენებელი ისე აღარა დარჩებარა იმისი, როგორც მათში ჩვენს ქვენატკოცას კაცი ველარასა ჰნახავს ყინულზედ დაწერილსა.

რაც ამ ერთს კაცზედ ითქმის, ის მთელს ხალხზედაც ითქმის, მაგრამ ყოველივე უფრო საზარელი, უფრო გულის შემადრწუნებელი, უფრო სულის აღმაშფოთებელი: რომელიც ხალხი თავისს ენას გადივინყებს, იმას ხალხის სახელი აღარა ჰქვია რა, მნიშვნელობა და პატივი სრულიად აღარა აქვს რა და ქვეყნიერებაში ისე გამოწყდება, რომ იმისი სახსენებელიც აღარა დარჩესრა, – და არათუ მარტო თვითან გამოწყდება ეს ხალხი, – თავისს სასიქა-

დულოს მამაპაპათ ხსენებასაცა ისე გააქრობს, რომ ქვეყანაზედ აღარავინ იცოდეს აღარც იმათი სარწმუნოებისათვის მოღვაწეობა, აღარც იმათი ხან მტერთაგან წამება და ხან მტრებზედ ძლევაშემოსილი გამარჯვება, აღარც იმათი კეთილი ზნეობა და სათნოება, სრულიად აღარაფერი, რაც რამ სულის გამწმენდელი და აღმამაღლებელი არის კაცისათვის, გულის გამაპატიოსნებელი, ღვთის სარწმუნოებაზედ და ხელმწიფის ერთგულებაზედ მტკიცედ დამაყენებელი. იქნება ერთხელ, მომავალს დროებში, ძველის წიგნების ამომკითხველს შეჰხვდეს როდისმე იმათი მიწიწეული ანბავი; მაშინ ის მკითხველი იტყვის: „ეტიჟობა მეტისმეტი სინუნკით დამართვიათ, რომ ხსენება აღარა არისრა იმათი ქვეყანაზედა; დამბადებელსაც იმ მიზეზით აულია იმათზედ ხელი, რა მიზეზითაც უფალმა მსახური განაგდო, ერთის ტალანტის დამმარხავიო“.²

ასე დაემართება უსათუოდ ხალხსა, რომელიც თავისის ენისათვის არასა ჰზრუნავს.

– ღმერთმა გვაშოროს, რომ ჩვენზედ ეგ ითქმოდესო, შენ იტყვი, განა? – მეც ვიტყვი:

– ღმერთმა გვაშოროს, ჩვენმა დამბადებელმა და ყოვლად მონყალემ. მაგრამ – მხნედ იყავით და განძლიერდითო, ესეცკი გვიწერია. მხნეთ ახლა, როგორც მოგახსენე, მთელს საქართველო-იმერეთში ასთვრამეტნი ვართ,³ რომ წელიწადში შვიდ-შვიდ მანათსა ვჰხარჯავთ ენისათვის; და მთელი ამოდენი ქვეყანა ამ ასთვრამეტმა კაცმა უნდა გაგვიტანოს? რა სათქმელია!

საუბარი წერას დაჰბადებს და წერა საუბარს განაღვიძებს. სადაც წერა და მწიგნობრობა არ არის გაცხოველებული, იქ რომ საუბარიც არ დადუმდეს, არ შეიძლება. და რაკი ერთხელ საუბარი დადუმდება, იქ ენაც უსათუოთ გადავარდება. ამას თქმა აღარ უნდა.

იოთამს ვეუბნებოდი გუშინ ამასა: – მამაჩემი არ წამიწყდება, უთუოთ მეც მომეკითხება ესაო და, – ღარბია, როგორც მოგეხსენება, მაგრამ მაშინვე ამოიღო შვიდი მანათი და კერესელიძეს გაუგზავნა,⁴ „ცისკარი“ მეც მომდიოდეს ხოლმეო.

შვიდი მანათი!! ან ვის გაალარიბებს თქვენი 7 მანათი, ან ვის გააკეთებს? მაგრამ შენ, ის, მეხუთე, მეასე, მეათასე რომ აღარ დაიშურებთ ამ შვიდ-შვიდ მანათსა, – მაშინ მწერალნიც გავმხნე-ვდებით, ჟურნალიც განმშვენიერდება, თქვენც ყველანი ისიამო-ვნებთ, განათლდებით, ქვეყნის ანბავს შეიტყობთ და ამ ჩვენს ქართულს ენასაც ფეხზედ წამოაყენებთ, ამ ჩინებულსა, უხვსა, მდიდარსა და საგანგებოდ გამოქნილს ენასა, ამ პატიოსანს ბერი-კაცსა, ჩვენის უმაღურებით, დაუდევნელობით და ყურუგდებლო-ბით რომ დასუსტებული არის ახლა, დაღონებული და წარბებ-ჩამოშვებული.

– ნუ, ჩემო სახიერო ბერიკაცო! ნუ, ჩვენო მაცოცხლებელო! ისე დაგვემართა როგორღაცა, რომ პატარახანს არა დაგდიეთრა; თორემ ნურას დროს ნუ იფიქრებ, მამაო, რომ შენმა ქართველე-ბმა,⁵ იმერლებმა, გურულებმა და მეგრელებმა შენი ამაგი დავი-ვიწყოთ როდისმე, შენგან მონიჭებული მამაპაპათ საქმეები აღარ მოვიგონოთ და, შენგან რომ სული გვიდგია, შენგან რომ ვჰსცო-ცხალვართ, შენის სიცოცხლისა და დღეგრძელობისათვის შვიდ-შვიდი მანათი დავიშუროთ. ურიები ხომ არა ვართ. სირცხვილი დაგვწვავს, სხვა არა იყოსრა.

– აბა თუ ახლა ჩემი შვილები სულ წამხდარნი არა ხართ და ვნახავთო, – წამომჩურჩულა ბერიკაცმა.

– ოჰ!.. როგორა გგონია, თეიმურაზ?..

შენი **ბაქარ ქართლელი**⁶
ქვენატკოცა. 1860.

თავად ანჩაბაძისა და თავად ინალიშვილის ქალის ანგაპი

ერთი 19 წლის ყმანვილი კაცი, სამურძაყანოელი თავადი ანჩაბაძე, ყოფილა სტუმრათ აფხაზეთში ერთს იქაურის თავადის ინალიშვილის სახლში, რომელსაც ჰყოლია ერთი 15 წლის გასათხოვარი ლამაზი ქალიშვილი; ამ ქალს და ანჩაბაძეს ერთმანეთი შეუყვარებიათ და შეკრულან ჭემმარიტის პირობით, რომ იგინი შეერთებულიყვნენ ცოლ-ქმრათ და ამ პირობით ნამოსულა იქიდან ანჩაბაძე წარსულის 1861-ის წლის ნოემბრის თვეში.

ანჩაბაძემ, რა რომ მოვიდა თავის სახლში, გაუგზავნა მოციქული ინალიშვილს და მისი ქალი სთხოვა ცოლად, მაგრამ მისი მოციქული ინალიშვილს გამოებრუნებინა უარით, რომ ჩემს ქალს უკეთესი თავადიშვილი მთხოვს და ანჩაბაძეს ცოლად არ მივსცემო; ამ ამბის მიმღები ანჩაბაძე, რასაკვირველია, საკმაოდ შეწუხებული შეიქმნა და შემდგომ ათიოდ დღისა თვითვე წავიდა და ინალიშვილისას სტუმრათ მივიდა ჩვეულებისამებრ, სადაც ქალსა და ვაჟს ერთმანეთი ენახათ და ქალს დაერწმუნებინა, რომ მე შენს მეტი საქმროთ არავინ მინდაო, მაგრამ მამა ჩემი კი ჩემს თავს შენ არას გზით არ გაძლევსო, მამ მე ასე ვჰფიქრობ – დღეისწორს ღამეს ნავახშმევს რომ ყველას დაეძინება, გარეთ გამოვიპარები და ამა და ამ ხის ქვეშ მოგიცდო და თუ მართლა შენაც ჩემი თავი გინდა, მაშინ იქ მოდი ცხენით და თუ ნამუსი გაქვს და შენს ცოლათ გინდივარ, წამიყვანე, თორემ თავს მოვიკლავო.

ანჩაბაძემაც დაუთქვა ამის პირობა და შინ წამოვიდა, მაგრამ, რა რომ მოახლოვდა დრო იქ წასვლისა, ანჩაბაძე მძიმე ავადმყოფ-

ფი შეიქმნა, რომ ცხენზედ ჯდომა სრულიად აღარ შეეძლო. – რასაკვირველია, წარმოიდგენდა ხშირად, რომ მის საყვარელს საცოლოს ქალს მთელი ღამე გარეთ სიცივეში მისთვის უნდა ეცადნა და ეს მასთან ვერ მივიდოდა. – ბოლოს მის მეტი ველარა იფიქრა რა, რომ ამ ყმანვილმა კაცმა ორი თავისი ძმა გააგზავნა და ერთიც მარქაფათ ცხენიც გაატანა მის მოსაყვანათ, რომელნიც მივიდნენ ღამე ინალიშვილის მახლობლად და დანიშნულის ხის ძირში ნახეს თავისი სასძლო, მომლოდინე თავის საქმროისა, რომელიც მაშინათვე შეაჯღინეს ცხენზედ და წამოიყვანეს თავის ძმასთან. –

განთიადისას ინალიშვილმა ნახა, რომ მისი ქალიშვილი თავის ლოგინში აღარ იყო, გამოვიდა გარეთ ეზოში, მიიარ-მოიარა და უძახა, მაგრამ ველარსად ველარ ნახა, – და რადგან ინალიშვილმა იცოდა, რომ გული მისი ქალიშვილისა ანჩაბადისკენ მიდრეკილი იყო, ამისათვის მაშინათვე შეჰსწამა იმასთან წაყვანა და დაუყოვნებლივ გამოუდგა რაოდენისამე ცხენოსნით და ერთს ადგილს გზაში მოენია ანჩაბადეებს, რომ მისი ქალიშვილი მიჰყავდათ და მიახლოებისთანავე ინალიშვილმა მათ თოფი ესროლა, ერთი ანჩაბადე მოკლა და მეორე მძიმეთ დაჰსჭრა და თავისი ქალიშვილი უკანვე წამოიყვანა თავის სახლში.

მეორე დღეს – ნაცვლად მისსა, რომ თავისი საყვარელი საცოლო ენახა – ერთი ძმა მკვდარი და მეორე ძმა მძიმეთ დაკოდილი მიიყვანეს. აქედგან იგრძნობთ, თუ რანაირი შესაწუხარი იქმნებოდა ეს ამბავი ანჩაბადისათვის; ამ შეწუხებულს მდგომარეობაში ნახა, რომ ერთს საღამოს მოვიდა მასთან მისი საყვარლისგან გამოგზავნილი ძიძიშვილი მისი და უანბო მის მაგიერათ, რომ ჩემი თავი მამა ჩემმა ერთს თავადიშვილს მარშანიას საცოლოთ გადაუწყვიტაო, რომელიც დღეის სწორს უნდა მოვიდეს, ნიშანი მოიტანოს და მეც ჯვარის დასაწერათ თავის სახლში უნდა წამიყვანოსო, მაგრამ მე, თუნდ თავიც მამჭრან, შენს გარდა სხვის თანხმობას არ განვაცხადებო და არც ქმრათ შევირთამო და თუ ღმერთი გწამს ანუ წამუსი გაქვს, მოდი და მიშველე რამე, ეგები შენვე წამიყვანო. –

ანჩაბაძემ მოციქულის პირით შეუთვალა თავის საყვარელს: შენ ნურაფერს უთანხმოებას ნუ აჩვენებ და ნურც არას იჭვს ააღებინეფო და მე თავის დროზედ მოვალ და ღვთით იმედი მაქვს, რომ გიშველოო. – ამასობაში ანჩაბაძეც ავადმყოფობისაგან უკეთ შეიქმნა და იმ შემთხვევის წინა დღეებში სამის ცხენოსნით ინალიშვილისას მივიდა ათს საათზედ ღამით, სწორეთ მაშინ, როდესაც მარშანია მოსულიყო თავის მაცრებით და სეფაში ვახშამს ემზადებოდნენ. –

ანჩაბაძემ თავისი ცხენები და ბიჭები ეზოს კიდეზედ დააყენა და თვით ყაბალახით პირმოზუნული სეფაში შევიდა, ყველანი დაათვარიელა, მერე მივიდა მეორე სახლის კარებთან, რომელშიაც მისი საყვარელი მომზადებული ჰყავდათ, კარებიდგან შეუჭვრიტა და დაინახა, რომ მისი საცოლო იჯდა ღრმა ფიქრში ჩავარდნილი და თვალებზედ ხშირად მომდინარე ცრემლს ინმენდდა, მერე გამობრუნდა და ისევ სეფაში შევიდა და მასპინძლის მხრით დაიწყო სამსახური სტუმრებისა; შუალამის ჟამს ანჩაბაძე მიახლოვდა მარშანიას წინ და გააგონა, რომ დრო არის ახლა სასძლოს ნახვისაო. ამის გამგონე ადგა სამეფო რამოდენისამე თავის მახლებლებით და დედოფლის სადგომში წავიდენ მის სანახავათ. ანჩაბაძე სასიძოს უკან მიჰსდევდა და, როგორც მარშანია ქალის სადგომში შევიდა, ანჩაბაძე მიჰყვა და კარებში მეკრეთ ჩადგა და სხვა, სასიძოს მეტი, შინ აღარავინ შეუშვა. –

მარშანია ქალის პირდაპირ დასვეს და, რა რომ მოიმზადა ნივთები ნიშნათ მისართმევად, ამ ქალმა კარებისაკენ შემოიხედა და დაინახა, რომ მისი საყვარელი ანჩაბაძე კარებში დგას დაღონებული. ამის დამნახველმა მომეტებით ხმა მალლა ტირილი დაიწყო. –

მარშანია ხედვიდა მის ტირილს და გაოცებით კითხულობდა მიზეზს მისი ტირილისას. ამასთანავე ანჩაბაძემაც შეაბიჯა სახლს შიგნით ფეხი, შიგნიდგან დაჰკეცა იმ სახლის კარები, მიიქცა მარშანიასაკენ და გამოუცხადა მარშანიას: ადექ ზეზედ და მე და შენ ერთმანეთი უნდა მოვჰკლათო.

მარშანია, ვითარცა სწრაფი ყმანვილი კაცი, მაშინათვე წამოხტა ზეზედ, მოისვა იარაღს ხელი და მიმართა ანჩაბაძეს, მაგრამ შეხედა ანჩაბაძეს, რომ თუმც ფიშტო კი ხელთ უჭირავს ზედაფეხზედ შემოსმული, მაგრამ მარშანიას სიკვდილს პირველი არ ცდილობს და გულ მკერდი მარშანიასკენ მიპყრობილი აქვს. მარშანია აქ უცებვე შეჰსდგა და ჰკითხა ანჩაბაძეს: ნება მომეცი ჯერ შევიტყო, ვინ ხარ შენ და ჩვენ ერთმანეთს რისთვისა ვჰკლავთო და ან რაოდენი არის შენი საუბატივო სისხლიო?¹ ანჩაბაძემ უპასუხა, რომ მე ვარ ესა და ეს კაციო და ეს ქალიც საცოლოდ მე მეკუთვნისო და მე ჩემის ცოცხალის თავით ამას ვერავის დავანებებფო. – ისიც კი უთხრა მოკლედ, რომ ამის თავობაზედ ერთი ძმა მკვდარი მყავს და მეორე მძიმეთ დაკოდილიო და ეს ქალიც მისთვის სტირისო, რომ ჩემთან ისეთი მტკიცე პირობა აქვს მოცემული ცოლქრობისა, რომ როგორც ჩემს მეტი სხვა ვინმე წაიყვანს, მაშინათვე ამანაც თავი უნდა მოიკლასო. – მაშ ამის მომსწრე რომ მეც უნინ მოვჰკვდე, ის მირჩევნიანო.

მაშინ მარშანიამ სთხოვა ანჩაბაძეს – ერთი მინუტი მომიტმინე და ამ საქმეს ახლავე რიგიანათ დავაბოლავებფო. მერე მიბრუნდა ქალისაკენ და ჰსთხოვა, ეს საქმე შენ განგვიმარტეო. – ქალმა მაშინათვე გულის ჭეშმარიტებით წარმოჰსთქვა და გამოაცხადა, რომ ჩემი სული და გული ანჩაბაძეს ისე ეკუთვნის, რომ მას გარდა მე მკვდარს თუ ვინმე წამათრევს, თორემ ცოცხალის სულით მე მის მეტი სხვას ვერ ვის წავჰყვებო. მაშინ მოიქცა ისევე ანჩაბაძისაკენ და უთხრა, შენ ამ საქმეში სრულეებით მართალი კაცი რომ ყოფილხარ, მე რათ უნდა მოგკლაო და მეც რომ დანაშაულობა არაფერი მაქვს, ანუ მე, დაუნაშავარს კაცს,² სიკვდილს რას მერჩიო, და სთხოვა: დაჯექ, გული დაიმშვიდე და ამ საქმეს ახლავე მე დავაბოლოებფო. ორთავემ ერთმანეთის სასიკვდილო იარაღი ქვედა ფეხზედ ჩამოსვეს და წელშივე გაირჭვეს. –

მარშანიამ იმ ქალის მამა ინალიშვილი შემოაყვანინა, იქ დააყენა და ჰსთქვა მათთან: ეს ქალი ჩემი საცოლო არა ყოფილა და დღეიდგან ჩემი შვილი იყოსო. – ერთათ ამასთანავე აიღო თავისი სანიშნო ნივთები და ანჩაბაძეს აჩუქა და წინ დაუ-

დო, რომ ეს ნივთები შენის მხრით ამ ჩემს შვილს ნიშნათ მიართვიო და კიდევაც აღასრულებინა და მას გარდა რომ ოცდახუთი ცხენი ინალიშვილისთვის საჩუქრათ მოყვანილი ჰყავდა, ისინიც ამ ანჩაბაძეს და მისს ცოლს აჩუქა და ყველამ ერთმანეთი დაჰკოცნეს. ინალიშვილიც აქ რაღას იტყოდა და მეორეს დილასვე ქალი შესვეს ცხენზედ და ანჩაბაძეს გამოატანეს და მარშანიაც დიდზედ თავის მაყრებით გამოჰყვა და გამოისტუმრა თავის სახლში, სადაც ჯვარი დაინერეს გახარებულთა წარსულის წლის ნოემბრის თვეს.

დაბრუნებულმა მარშანიამ ინალიშვილს უთხრა, რომ ამ ჩემის აბიდისათვის³ შენ რაც გეკადრება, მე ვიცი, მაგრამ შენს სახლში რა უნდა გკადროო. – ამ მუქარით ნასულმა გაიარა ერთს მის სოფელში, აყარა შვიდი კომლი მოჯალაბე ინალიშვილთა⁴ და მარშანიამ თავის სახლში წაიყვანა. ინალიშვილს სხვა ღონისძიება აღარ ჰქონდარა მათი ამოგებისა, წამოვიდა თავის ქალსა და სიძესთან და მათვე სთხოვა საშუალობა⁵ მათზედ, რადგან მისი ქალი მარშანიასი შვილობილი შეიქმნა და, რასაცა ჰსთხოვდა, უარს არ ეტყოდა.

პირველ ანჩაბაძემ და ქალმაც ბევრი უსაყვედურეს წარსულის შემთხვევის მიზეზებზედ, მაგრამ შემდგომ კი ანჩაბაძე და მისი ცოლიც წავიდნენ ორივე მარშანიასთან და ორმოცი ცხენი ძღვნათ მიჰგვარეს და სამაგიერო საჩუქრათ ჰსთხოვეს დაბრუნება ინალიშვილისადმი მისი მოჯალაბეებისა, რაიცა მან დიდის კმაყოფილებით შეუსრულა და მოჰგვარეს მას ყველანი უკლებლად.

ახლა ამ ამბის გამგონეთ ბევრი ბაასი აქვსთ და დავა, – ზოგნი ანბობენ, ანჩაბაძის მხნეობა და გაბედულობა სჯობიაო, რადგან ეს 19 წლის ყმანვილს კაცს გაუბედავსო და ზოგნი კი მომეტებით ანბობენ, რომ მარშანიას მოთმენა და მსჯელობა ჰსჯობიანო.

[1862]

თურქმენული ცხენი

(ანბავი)

მართლა დიდი ხანია ერთმანერთს აღარ გამოვლაპარაკებივართ, ჩემო თეიმურაზ! შენ, კარგი ყმა და მამულის პატრონი, სასოფლო მომჭირნეობაში გართულხარ და წელიწადში ერთხელ ძლივს მომანვდენ შენს ამბავსა; – მე, სანყალი აზნაურშვილი, ნებსით თუ უნებლიეთ, ხან ერთს საქმეს წავანყდები სხვისას და ხან მეორეს. შენ, შენის კეთილ-მდგომარეობით ყოვლადავ დამშვიდებული, სხვა და სხვა სამეცნიერო წიგნების კითხვით შენს გონიერებას ამდიდრებ და შენს გრძნობას ასახიერებ; – მე, მართალია მოყვასთათვის, მაგრამ მაინც უცხოთათვის მაშვრალი, ველარცა რასა ვჰკითხულობ გონების მომასვენებელსა, ველარცა რასა ვჰსწერ გამოსადევს ან შენთვის საამოსა. შენ ამ ორს წელიწადში შენი საოჯახო ეკონომიის საქმეები ყოველივე ისე კეთილად წარგიმართავს, რომ გულ-დამშვიდებული მოელი შენს მომავალსა; – მე, ტანჯული კაცი რომ იტყვის, „წისქვილი არ დაბრუნებულა ჩემს თავსა, თორემ სხვა არა დამკლებიარაო“, მეც ისე ათასნაირს გაჭირვებაში ვჰტრიალებდი და ახლაც იჭვენულობით შევჰყურებ ამრეზილს მომავალსა. მაგრამ შენ მაინც არ მომშვებიხარ, – ამბავი, ამბავი რამე ღვთის გულისათვის, ამბავი მომწერე რამეო.

რადგან ველარ მომითმინე, რადგან გეტყობა ჩემი მონათხრობი მართლა ისე გწყურებია, რომ „მოამბის“ გამოსვლასაც აღარ აცალე,¹ მეც მოვაკელ ჩემს მოუცლელობას რამდენიმე საათი და, აჰა! მომირთმევია ერთი ამბავი. ვიცი, არც აცივებ, არც აცხელებ

და მაშინვე „ცისკარში“ უკრავ თავს² ამ ამბავსა, აქაო და „ცისკარს“ საქმე უჭირს და ეგების ხელი გაუმართოთ როგორმე, რომ არ წაიქცეს, არ დაეცეს ეს ჩვენი ძველი სვინდისიანად ნაღვანი ჟურნალიო, მაგრამ რადგან გამოცდილი მყავხარ და რასაც ერთხელ ამოიყინებ, ვიცი, იმას აღარა ეშველება რა, – მეც ვეღარ გაგინაზდი, შენტვის დაეჰსწერე ეს ამბავი და სრული ნება გაქვს, როგორც გინდა ისე მოიხმარო. თუ დააბეჭდინებ, იქნება წასაკითხავად გამოდგეს და იქნება ზოგმა საქმითაც გამოიყენოს; ესკი იცოდე, რომ თუ ამისს ბეჭდვაშიაც იმდენი შეცთომა შეეპარა სტამბასა და იმდენი სიტყვის გადასხვაფერება გამოვიდა, როგორც, მაგალითად, „ღარიბი ყმანვილი კაცის რომანში“ „გაფთხილების“ მაგიერად ზოგან „გაფლიდება“ გამოსულა³ და სხვანი, პირობას გაძლევ, რომ დასაბეჭდად მე შენ აღარა გამოგიგზავნო რა ახალი ამბავი.

1. ნასრ-ულლა

სამარყანდი, მოგეხსენება, განკერძოებული სახანო არის თურქისტანში, ან თურქმენტ ქვეყანაში, როგორცა, ვთქვათ, იმერეთია ქართველთ ქვეყანაში; და, მართალია, მზე იქ უფრო ჰმგზნებარებს, არდადეგების პაპანაქება იქ უფრო გაუსაძლისად მიაჩნია კაცსა; – მაგრამ ადგილ-მდებარებითაცა, ნაყოფიერებითაცა და კაცის გამსჯელობითაც მშვენივრად არის ის ქვეყანა შემკობილი, მეტადრე ქალაქი სამარყანდისა. სათათრო ქვეყნებში მთა-მინდორი რაც უნდა მწირი და განხრეკილი იყოს, სოფლებისას და მეტადრე ქალაქებისას მაინც იტყვის კაცი, ბალებში ყოფილან ჩაფლულნიო. ტრიალს მინდორში ნამგზავრისათვის მეტად სასიამოვნოა აქა-იქ დანახვა ამ შეჯგუფებულისა და გაზქელებულის მწვანობისა. მაშვრალს თვალს მეტად ანებივრებს ეს მოჭირებული ზურმუხტისფერი; საჩალთუსო ჭაობებისაგან შენუხებულს საყნოსველს⁴ მეტად ამხნეებს, მეტად ატკობს სუნნელება სამარყანდის ყვავილებისა და თუ მართლ-მორწმუნე მაჰმადიანმა, – ხომ მოგეხსენება, რომ მართლ-მორწმუნობას

ითვისებენ მაჰმადიანნი, – და თუ მართლ-მორწმუნე მაჰმადიან-მა იქაურს გათქმულს ვარდებში ქალსაც მოჰკრა ვისმე როგორმე თვალი, – სამოთხე თუ არის სადმე, სწორეთ აქა ყოფილაო, ასე იტყვის.

მშვენიერია, სწორეთ მშვენიერია ბუნება სამარყანდისა, გარე-განი შესახედაობა მაინცა! შიგნით შეხედვა ხომ, – ეგების სადერეფნო ამბავიც არის შევიტყოთ რამეო, – არას გზით არ შეიძლება უცხო კაცისათვის: ყორულ-დურ, დესტურ დეგულ!⁵

მაგრამ ამ მშვენიერს ბუნებას ისეთის მშვენიერებისათვის არსად უალერსებია, როგორიც მშვენიერება ნურ-ალა იყო, პირმო-შო ქალი ერთი იქაური ვაჭრისა.

აღმოსავლეთის მხარეზედ სათათრო ქვეყნებში, ქალები შეკე-ტილში ჰსცხოვრებენ, ან უფრო სწორე ვთქვათ, ტალავერ-ქვეშ მცენარებენ; თუ არ უმახლობელესი ნათესავისათვის, დიდად გასაჭირია ნახვა იმათი, მაგრამ ნასრ-ულლამ როგორღაც მოჰკრა თვალი ნურ-ალასა და მას აქეთ აღარც სად ნეტარება ჰრწმენია ნასრ-ულლასა, აღარც სხვა სად სურვილი ჰქონია რამე; ასე გაჰსინჯე, ქეიფსაც აღარც სად მიჰნებებია, ამ ტკბილს სულისა და ხორცის მილულებასა, ამ საქმითსა და გონებითს უქმობასა, ამ ვნებითს ჩვეულებას, სადაც ყოველს მსოფელიო ზრუნვას, ჭმუნვას და მწუხარებას დროებით მაინც მიივიწყებენ ხოლმე ეს საჰა-ტიო მართლ-მორწმუნენი.

ნასრ-ულლა იყო წარმოსადეგი ყმანვილი კაცი, თვალ-ტანადი და გონიერი; გონიერება იქამდინ მიუწვდებოდა, რომ, ბედს რომ იმისთვის ხანობა განენესებინა, არაფერში არ ჩამოუვარდებოდა იმ თავისს სეხნია ნასრ-ულლა-ხანსა, მაშინ რომ იქ სახელოვანად ჰხანობდა; მაგრამ ღარიბი იყო ნასრ-ულლა და სიღარიბე დიდ-რადმე ნაკლულევანებად მიაჩნდათ ნურ-ალას საქმროსათვის.

ამ მიზეზით სხვას გააჭრევინეს ქებინი,⁶ ერთს შეძლებულს ვილასაც აბრეშუმის მოვაჭრე ყიზილბაშს ალლაიარსა, მზადებაში იყვნენ და ქალს ისტუმრებდნენ.

იმდენი სიცოცხლე მოგეცეს, რამდენმა ცრემლმა ნურ-ალას გასტუმრების დღეს იმისს სამშობლოში იდინა! ვინ იცის, იქნება

სხვაგანაცა ჰსტიროდნენ სადმე; მაგრამ ალლაიარი, კანონიერი მეულლე ნურ-ალასი, თვითან ბედნიერი და სანეტარო ტვირთით შინისაკენ გასამგზავრებელი, დედაჩემს მალე მივჰგვარო ეს მშვენიერი ვარდიო და ამისი განმასახიერებელი კეთილ-სუნნელება ჩემს სახლში ვაკემო სახელითა მაჰმადისათაო, – ვის რაღას დასდევდა ალლაიარი; ან რა ენაღვლებოდა, ჰსწუხს სადმე ვინმე თუ არაო!

სასიქადულო არაბულს ტაიჭზედ შემოისვა თავისი საუნჯე, თავისი არვათი⁷ ნურ-ალა და ადრბაჯანის გზას დაადგა რეშტისაკენ.

იმას წინეთ, იმავე დღეს გამგზავრდა სამარყანდიდამ ნასრულლაცა და შინ ამბავი დაუგდო, ხივას მივალო. ამათი მგზავრობა სწორეთ ისე გამოდიოდა, როგორც ვჰთქვათ, ქალაქიდან ერთი ერევანს მიდიოდეს და მეორე ქუთაისსა.

ალლაიარს ახლდნენ ერთი მეჯინიბე და ერთი ნოქარი. ერთი დღის გზალა რომ დაჰრჩათ, საფიქრებელი აღარა ეგულებოდარა და ეს კაცები წინ გაისტუმრა, თვითანაც კი არც ისეთი იყო ალლაიარი, რომ ადვილი შესაბედავი ყოფილიყო ვისთვისმე, ძალიანაც რომ მოენდომებინა ვისმე შოვნა ან იმისი ფულისა, ან იმისი ცოლისა.

მართალია, ეს ახლად შეძინებული საკუთრება იმისი ისეთი რამ იყო, რომ ბევრს აფიქრებინებდა წინდაუხედავს გამბედაობასა; მაგრამ ალლაიარმაც კარგად იცოდა, რომ მეტად სატრფო რამ ჰყავდა ცოლი და სადაც საფიქრებელი ადგილი ეგულებოდა რამე, ან სადაც თხრილი და რუ დაჰხვდებოდა ხოლმე, ისეთი სიფთხილით მიჰყავდა და ისეთი მზრუნველობითა, რომ მგზავრობაში ამის უკეთესი გამოცდილება კაცს არა ჰქონიაო, ასე იტყოდით.

აქ რუ ვახსენეთ, – სპარსეთში და ყოველს აღმოსავლეთის მხარის ქვეყნებში მრავალია რუ. მზე ისე ჰმგზნებარებს და ისე ჰსწვავს იქაურს ნიადაგსა, რომ კაცს თუ სარწყავი წყალი არა აქვს, ჯაფა სულ ამოდ ჩაუვლის და ჭირნახულს სულ ველარას მოიყვანს; წყალია იმ ქვეყნის მაცოცხლებელი და გამანაყოფი-

რებელი. სარწყავი რუ, რასაკვირველია, ისეთი განიერი არ იქნება, როგორც ევროპიული რუები არის, ნავების სავლელად და გზის შესამოკლებლად გაყვანილი; მაგრამ აქაცკი გასაჭირი არის ხოლმე ხანდახან რუებს გასვლა. ხიდები და ბოგირები ზოგან სულ არ არის; გადახტომა აუცილებელია ხოლმე და ეს გადახტომა ზოგჯერ არაბულს ცხენსაც გაუჭირდება.

ერთს ამისთანა რუს მიატანა ალლაიარმა; ბოგირი რომ აშლილი დაჰხვდა, განს თვალი გადაავლო, ახლაკი დრო არისო, ჰსთქვა და გადააყარა ცხენს ალვირი. ალვირის გადაყრა და იმნამსვე ფრინველივით გადაფრენა ამ ცხენისაგან თხრილზე თუ რუზე ერთი იქნებოდა ხოლმე; მაგრამ აქ როგორღაც ცოდვა ეკითხა და ნაპირს რომ წაადგა, თითქო იქავე დაჰლურსმნესო; ცოტას განყდა, ცოლ-ქმარიც კინალამ რუში გადაცვივდნენ. ცხენოსნობაში რომ ალლაიარი ცოტა ნაკლებად ყოფილიყო გავარჯიშებული, – შენი მტერი ნუ შემაგრებულა, როგორც ის ველარ შემაგრებოდა. შერჩნენ ცხენზედ და ცხენიცკი შერჩა გამოლმა ნაპირზედ გაჩერებული, მუხლებათართოლებული. გაიხედეს გაღმა და ვილაც ცხენოსანი დაინახეს იქიდან მომავალი, თურქმენულს ცხენზედ მჯდომი.

– ვნახოთ ერთი, ეს რაღასა იქსო, – ჰსთქუა ალლაიარმა თავისს გუნებაში.

მოატანა იმანაც იქითა ნაპირსა და სულაც არ შეფერხებულა, რომ რუს ქარივით გადმოეცლო.

– სალამ ალეიქუმ!⁸

ალლაიარ გაშტერებული, თავბრუდასხმული შეჰყურებდა ამ თურქმენულს ცხენსა და, თვითან კარგი ცხენოსანი, განცვიფრებული იყო იმის სიმარდისაგან.

– ალეიქუმ სალამ!⁹ – უპასუხა თურქმენელსა; – ვალლაჰი, ბილლაჰი,¹⁰ ჩემს სიცოცხლეში არსად მენახოს ამისთანა ცხენი! სალამი შენდა, კაცო პატიოსანო!

– სალამ ალეიქუმ! – უთხრა კიდევ თურქმენელმა, – გეტყობა, ამ გადმოხტომით გაგაკვირვა ჩემმა გრივალმა, მაგრამ ეს რა

არი? ალლაჰსა ვჰფიცავ, უფსკრულმაც ვერ შეაფერხოს, გინდ ოთხი ამ რუს სიგანე ჰქონდეს!

– ჩემო სულის უფალო! მე რომ ვჰზივარ, ეს არაბი პირველი ჯინშისაა. ამას მოგცემ და ათას ბაჯალლუს კიდევა, ოღონდ მე დამითმე ეგ შენი თურქმენი, შენი მამა-პაპისა და ყოველი შენი წინაპარის სულის საოხათა. სანი ჯანი იჩუნ, სანი ალლაჰ იჩუნ!¹¹

– ამ ჩემ გრიგალს აგრე ადვილად როგორ გავჰსცემ, ბაშნ-ლადონიმ!¹² შვილივით გამომიზდია, დუნიას მირჩევნია. მაგრამ, გეტყობა, კაი კაცი ხარ და შენი ნება იყოს, დაგიტომობ, თუ ფასი მეტად არ დაგიძიმდა, რასაცა გთხოვ.

ალლაიარის ცოლი ამ სიტყვაზედ თითქო როგორღაც შეთრ-თოლდაო; მაგრამ ქმარს იმისი აღარა ჰსცხელოდა, თურქმენული ცხენისაგან ისე იყო აღტაცებული, რომ აღარა გაეგებოდარა.

– მითხარ, რა გნებავს და, ინშალლაჰ! იქნებ შევიძლო!

– ვერა, ვერ შეიძლებ! მე შენი ვიყო, ვერც მე შევიძლებდი. ამ ცხენს, უნდა გითხრა, სხვა ცხენი ჯერ წინ არსად უნახავს; დაბრკოლება გზაზედ ჯერ არსად რა შეჰხვედრია; დაღალვა რა არის, არ იცის, გინდ ქვიშიანი არაბეთის მინდვრები მოარბენინო. მაგრამ ფასი შენ მაინც ძვირად გეჩვენება და მე კი სხვა ფასად ვერ გავჰსცემ, თუნდა ნახევარი სპარსეთიც შემომადლიონ, ისპა-ჰანი და შირაზიც რომ ზედ დაადვან.

– მახლასი! რა უნდა იყოს, რას ითხოვ, რა გინდა?

– მე ვითხოვ... მე მინდა... ერთი, ერთად ერთი კოცნა მაგ ქალისა!

სისხლი თავში ეტაკა ალლაიარს; მარჯვენა ხელი ხანჯალს იტაცა და თურქმენელი ამ ფოლადს სწორეთ ველარ გადურჩე-ბოდა, თუ რომ ერთს ჩაფიქრებას უეცრად არ შეეყენებინა ალ-ლაიარი.

„გასაბრაზებელი ვითამ რა არის აქაო, იფიქრა. ჩვენს მეტი სხვა ხომ არა ვინ არის აქა! ეს ჩვენ ვერ გვიცნობს, ჩვენ ამას ვერ ვიცნობთ; ვინ რას გაიგებს!.. ჩემი ცოლი?.. მაგრამ ცოლი რა?.. რა უნდა გაბედოს?.. ერთი იმისი კოცნა და ეს საოცარი ცხენი, ეს საზღაპრო რაში!.. ერთი კოცნა!.. ვითამ რა უნდა იყოს

ერთი კოცნა!.. რა უნდა გამოვიდეს ცალიერი კოცნიდამ?.. ვისი უნდა მრცხვენოდეს!.. ერთი ამ კაცისა, და ეს კაცი ხომ, ინშალ-ლაჰ! მე ამას იქით აღარსად შემხვდება... ეჰ! აკოცოს და მერე ჯაჰნაბამდინაც უვლია!“

– აგრე იყოს, აკოცე და გადმოჰხტი მაგ გრიგალიდამი!

– უბძანე პირბადე გადიხადოს, თორემ შალის კოცნაზე ხომ არ გაგრიგებოვარ.

ცოლს უბძანა ალლაიარმა, პირბადე გადიხადეო და ისევ შეაქცია ზურგი, თვალით მაინც არ დავინახო ჩემი სირცხვილიო!

თურქმენელი დაუახლოვდა; გადაჰსწვდა ქალსა; აი, ჰკოცნის მგონია.

ალლაიარმა რომ იფიქრა, ახლაკი მივხედოო, ამ დროს ცხენები შეჰხტნენ, შეჭიხვინდნენ და მანამდისინ ქმარი გაიგებდა, რა მოჰხდაო, ცოლი თურქმენელმა გადიტაცა და თავისი გრიგალით თხრილს იქითვე გადაეველო. ამ საქმეს თვალის დახამხამებაც აღარ მოჰნდომია.

ალლაიარ დარჩა აქეთ ნაპირზედ მარტო, უაზრო, უგონო; პატარა ხანს ისა და იმისი არაბი სულდგმულეებს აღარა ჰგავდნენ; – გადისვა მერე თვალეზზედ ხელი და იგრძნო თავისი მწყლულავი მდგომარეობა. რომ შეჰსძლებიყო, აჰკუნავდა თურქმენელსა; რომ შეჰსძლებიყო, დაჰფშვნეტდა, დაჰფლეთდა და გაანიავებდა ნურ-ალას, რატომ თუ არ ენინაემდეგა თავისს მომტაცებელსაო; რომ შეჰსძლებიყო, მთელს ქვეყანას დაამსხვრევდა, რატომ თუ ეს ზენაარსისაგან ნყეული და სასონარსაკვეთად კრულვილი არის აქ ჩვენშუაო.

წყალნაღებული ჩალას ეკიდებოდაო, ალლაიარიც ისევ თავისს არაბს ატანდა ძალასა, მაგრამ, რა შენი საკადრისია, ყურიც ველარ გაანძრევინა. გადმოხდა გამწარებული და ამას წინეთ რომ თურქმენელი გადურჩა, ის ხანჯალი ორჯელ-სამჯერ შიგ მკერდში ჩაუფლა ამ ბედკრულს ოთხფეხსა, თითქო განზრახვით დაეშავებინა რამეო.

დარჩა ალლაიარ ნაპირზედ მარტოდ-მარტო, უცოლო, უცხენო. მომგესლავი, მომწამლავი იყო ახლა ეს წამი ალლაიარისათვის.

გაღმა ნასრ-ულლა და იმასთან იმისი სანეტარებელი ნურ-ალა, ამ ერთს წამს წინეთ ცოლი ალლაიარისა, ზნეობითად დათრგუნვილისა და ყოვლად გაუქმებულისა, იქავე იდგნენ, იმ საჯოჯოხეთო თხრილის ნაპირზედ და იქიდან შემოჰყურებდა ნასრ-ულლა მკვდარივით დადუმებულს, სისხლ-გამშრალს ალლაიარსა.

– რაო, ალლაიარ!.. ცუდ გუნებაზედა ხარ, განა? ვერც მე ვიყავ უკეთესს გუნებაზედ, ყარდაშ!¹³ სამარყანდიდამ რომ ეს შენ მოგყავდა. თქვენსავე საადის უთქვამს, რაც მე მაშინ მემართებოდა:

„კაცი რომ ჰკვდება, ვერა ჰგრძნობს,
ხორცისგან სულის განსვლასა;
უგონოდ მყოფი ყოვლად ჰსთმობს
სიცოცხლეს თვისსა მაშვრალსა.
მეკი თვით ვჰხედავ ჩემს სულსა,
მიამგზავრებენ, მტაცებენ,
და მე ცოცხალსა, ბედ-კრულსა
აღარც მკვლენ, არც მინყალებენ“.¹⁴

შენ თვითან იფიქრე, ყარდაშ, როგორ შეიძლება, რომ უსულოდ იცოცხლოს კაცმა? ჩემი სული აქამდინ შენს ხელში იყო და ახლა ჩემთანვე არის. შენთან საქმე აღარა მაქვს რა. – ინშალ-ლაჰ! იმედი მაქვს, მე ეს სხვას არა ვის დავაკოცნინო.

– იყავნ ნება უფლისაო, – მიუგო ალლაიარმა სიმწარით, ყოველს სიმწარეზედ უარესითა, რადგან ცხადათა ჰხედავდა, რომ აღარა ეშველებოდა რა, – იყოს, შენი იყოს!... მაგრამ ერთი ვედრება, ერთი ვედრება გამაბედვინე... ეგ ცხენი როგორ გამოგიზღია მითხარი და... იქნება ცოლი დაგილოცო კიდეცა.

– ოჰ! ეგ დალოცვა ისეთი რამ ახირებული დალოცვა იქნება, რომ სწორეთ უნდა აგისრულო სურვილი. მაშ, ყური დამიგდე:

„როგორც კაცი, ისე ცხენია მრავალი ქვეყანაზედ, რომ პირველის შეხედულობით თითქო მარდიც იყოს და ფიცხელიცა; სიცოცხლე და ღონე ამაში ყოფილაო, რომ ითქმოდეს; და რა რომ საქმით გამოჰსცდი, უღონოც გამოდის და არც ხანგრძლი-

ვი ჯაფის ატანა შეუძლია. მაგრამ შეიძლება ვარჯიშით ჯაფას შეაჩვიო, სიმარდე ასწავლო, სიფიცხეც შეიძლება დაუნყნარო. კვიცი რომ ორი კვირისა იყო, დედას მოვაცილე და ერთ კვირას ზროხის ძუძუ ვაწვინე. ამითი მგზნებარე სისხლი დაუნყნარდა. – როდესაც დაიბადა, ესეცა და ამისი დედაც ბალახზედ გავიყვანე; ერთი პატარა ადგილი შემოვჭფარგლე და ჩალა გადავჭხურე, რომ ნვიმაში შესაფარებელი ჰქონიყოთ; სიგრილისათვის კი არ მომირიდებია; ამ მოფარგლულ ადგილს პატარა თხრილი შემოვავლე; ჭაკს ხან შიგნით დავაბამდი, ხან გარეთა; კვიცი, რასაკვირველია, გამოჰხტოდა და დედასთან მისასვლელად ამ ვინრო თხრილზედ ადვილად გადაჰხტებოდა ხოლმე; – ამ თხრილს განს თითქმის ყოველდღე ცოტ-ცოტას ვუმატებდი; წლის თავზედ ისევ ისე ადვილად გადაახტებოდა ხოლმე კვიცი, როგორც პირველ კვირეში, თუმცა დედისათვისკი გასაჭირი შეიქნა. ამ რიგად თხრილს სიგანე ემატებოდა და ემატებოდა ხუთწლამდინ; ბოლოს ისეთი განი მიეცა, რომ, სულ რო ცოტა ვჰთქვა, ერთი ოთხად მაინც მეტი იქნებოდა ამ რუზედა, შენი მაღალ-ჯინშიანი არაბი რომ აგრეთი მოწინებით შეუშინდა. – მაგრამ თხრილზედ გადახტომა ჯერ მაგდენი არა არის რა. საქები ცხენი ის არის, რომ მალლობზედაც შეჰხტებოდეს და დაბლობსაც დაეშვებოდეს. ესეც გაუადვილდეს მეთქი, თხრილს შიგნიდამ ხარისხები შემოუვლე და ცოტცოტად იმდენს სიმაღლეზედ ავჰსწიე, რომ სამ ადლამდინ ავიყვანე. რამდენიც თხრილის განს ემატებოდა, თითქმის იმდენი ბაკის სიმაღლესა და ეს გრიგალი ბაკსაცა და ბაკს გარეთ თხრილსაც დაუფიქრებლად გადაეკვებოდა ხოლმე. ხუთ წელიწადს იყო ამ ვარჯიშში ჩემი გრიგალი. ახლა იმის ჯანისა და სიმარდისა უნდა გითხრა კიდევა:

იმთავითვე პატარა ჩული გადავჭხურე, ჯერ ძალიან მსუბუქი და თხელი ნაბადი, – მერე უფრო და უფრო ზქელი და მაგრად მოთელილი, მანამდისინ მეოთხე თუ მეხუთე გამოცვლაზედ კარგა მძიმე ქეჩის ნაბადი არ გადავაფარე. ამ ჩულს ხანდახან ვასველებდი, რომ სიმძიმე მოჰმატებიყო; მერე უფრო დასამძიმებლად ქვიმას ვაყრიდი და ბოლოს ქვებსაც შევუნყობდი ხოლმე. ასე

რომ, მეხუთე წელიწადში რომ ჩადგა ორი კაცის სიმძიმე ტვირთი ჰქონდა ყოველთვის ზურგზედა, მაგრამ მაინც ისე მსუბუქად იყო და ისე ადვილად დაჰხტოდა და დააჭენებდა, თითქო ზედ არა ჰქონიყო რა. ასე გამოიწურთნა ეს ჩემი გრიგალი, უღალავი და უშიშარი“.

– ბარეჟ-ალლაჰ!¹⁵ ახლა დაგილოცოს ეგ ჩემი ნაცოლარი. თუ ვიცოცხლეთ, ალბათდა, მაგიერსაც გადაგიხდით, – უთხრა ალ-ლაიარმა. დაუკრეს ერთმანერთს თავი და გაჰშორდნენ.

ნასრ-ულლამ გასწია სამარყანდისაკენ თავისი ახალი ნაშო-ვნი ცოლითა; ალლაიარ, მარტო, დაადგა რეშტის გზასა; მაგრამ ბევრითად კი ვერ ვიტყვით, შინ მივიდა – თუ არა.

ეს მოხდა ჩყკ-სა [1820] ზოგი სპარსეთში და ზოგი თურქის-ტანში. ახლა ამ მოთხრობაში მეორე კარია შესაღები. მანამდისინ ამ კარს შევალბდეთ, როგორ მოითმინოს კაცმა, რომ პატარა ხანს არ შეფიქრდეს. ასაღებდასაღები, გამოსარკვევი და კაცო-ბრივის მსჯელობით შესანონი საგანი ყოველს საქმეში ურიცხვი არის ხოლმე და ამ მოთხრობაშიაც არის, რასაკვირველია. ამბავი რაც უნდა შემოკლებული იყოს, კაცი თუ ყოველსავე გამოსაკი-დებელს გამოეკიდა, შეიძლება ყარამანიანის ოდენი წიგნი დაინე-როს. მაგრამ მე რომ შენი ხასიათი ვიცი, აქ შენს ყურადღებას მარტო ორს საგანზედ მოვითხოვ:

უფლება და სამართალი არის რამე იმ ქვეყანაში თუ არა? რომ ალლაიარის მდგომარეობაში მყოფმა კაცმა მთავრობას მიჰ-მართოს და იმისგან ითხოვოს სამართალი ამ გვარის მტაცებლო-ბისა? – ეს ერთი.

ნურ-ალასაგან რომ იქ კრინტი არ ამოღებულარა, სხვა ქალე-ბიც ამ მდგომარეობაში არიან იქა, თუ მარტო ამას დაემართა, რაც დაემართა? – ეს მეორე.

დიად მართალია, რომ ამ ორი საგნის გამოძიება მაგდენად არაფრად არის საჭირო არც შენთვის, ჩემო უძვირფასესო თეი-მურაზ, და არცა ჩემთვისა; მაგრამ ცოდნა ვის მოჰსჭარბებია და აქ რომ ცოტაოდენი ვილაპარაკოთ რამე, ზარალი მაინც ვის რა მოუვა.

მართვა და მსჯელობა, უეჭველია, ყოველს ქვეყანაში არის, მაგრამ იმდენ-ნაირი, რამდენ-ნაირიც ხალხი და საზოგადოებაა ქვეყანაზედ, სხვა და სხვა ტომისა და სხვა და სხვა ჰსჯულისა.

აღლაიარს სპარსეთში მოსტაცეს ცოლი და თურქისტანში გაიყვანეს. სპარსეთში და თურქისტანში, მოგეხსენებათ, თემის მმართველნიც არიან, მაზრისაცა და სოფლისაცა; იმათი დაწყობილებაც ისე არის შეთანხმებული იქაურს ადგილ-მდებარეობასთან, ქვეყნის ჩვეულებასთან და საზოგადო მსჯელობასთანა, როგორც ყოველგან სხვაგანა. იმათი ხელმწიფობითი წესდებულება და იმათი სამართლის კანონები ქართულს ენაზედ რომ გადმოთარგმნილი წინ გედვას და გულისყურით წაიკითხო, ასე იტყვი, რას ემართლებიან იმ ქვეყნებსა, ყოველივე დაწყობილება დიად კარგი ჰქონიათო. მაგრამ საქმით კანონი უღონოა და ბოროტ-მოქმედება იქაურის მმართველობის მოსამსახურეებისა იქამდინ არის გავრცელებული, რომ თვითმნებლობა უძევს საფუძვლად ყოველს მმართველსა და მსაჯულსა. ქვეყნის სიკეთისა და მშვიდობიანობისათვის რომ იქ გულით ჰზრუნავდეს ვინმე, თვითანვე იტყვის: „ერთი კაცმა მკითხოს, მე რაღაზედ ვიცვივებ თავსაო“. – ასე იტყვის კაცი, თუ რომ სვინიდისი, ეს ზეციერისაგან მიჩენილი მოსამართლე, არ დაჰსდუმებია და გული არ გაჰქვავებია. მანამდისინ საზოგადო თვისება არ მოგვაგონდება ადამიანის ხასიათისა, ასე უნდა ვიტყოდეთ: ქვეყანაზედ არა იქნებარა არც სახიერება და სათნოება ისეთი, არცა სიპილნე და სიმყრალე ზნეობითი, რომ კაცს იმისი შერვევა გაუჭირდებოდეს. საოცარი ქმნილება არის კაცი: მფლობელი არის აუარებელის ნიჭისა და, თუ მოინადინა, შეუძლია ძლიერება უძლეველი და სინმინდე ანგელოზის შესადარებელი შეიმოსოს. თუ არა და შეუძლია დამდაბლდესცა სულითა და ხორცით უმდაბლეს ყოვლად საზიზღარის ქვენარ-მავალისა.

თურქისტანშიაც ისეა ხალხი შერვეული მმართველების უსვინდისობასა და ბოროტ-მოქმედებასა, რომ, ზემოთ რო ვჰთქვით, – „მე რაღაზედ ვიცვივებ თავსაო“, – ამასკი აღარავინ იტყვის, სხვა რასმე ღონისძიებას მოიხმარს თავისის წადილის შესასრუ-

ლებელსა, ისეთს ღონისძიებასა, რომ საზოგადო ზნეობითს გარყვნილებას შეეფერებოდეს.

ალლაიარს რომ თურქისტნის მთავრობისათვის მიემართა, მოურავებისა, დივანბეგებისა, ბეგლარ-ბეგებისა, მსაჯულებებისა და მსაჯულთ უხუცესების კარებების ცვეთას მოუნდებოდა თვითანაცა და ყოველი იმისი საცხოვრებელიცა; ამიტომ რომ, – აღორძინდით და განმრავლდითო, – ამის მაგიერად სხვა სიტყვა არის ჩვეულებით ჰსჯულად დადებული იქაურს მოხელეებში: „ისარგებლეთ და იცხოვრეთ, გვასარგებლეთ და გვაცხოვრეთო“.

– ალლაიარმა კარგათ იცოდა ეს ჩვეულება ჰსჯულთუმტკიცესი და მიანება დრომდის თავი გულის დამჩაგვრელს თავისს საქმესა.

ახლა, ნურ-ალამ რატომ ხმა არ ამოიღო, ნასრ-ულლა რომ იტაცებდაო.

ნურ-ალა, ნუ დაივიწყებთ ამასა, ქალი იყო და სადაც კი კაცის ბუნებაზედ ყარამანიანის ოდენი წიგნი დაიწერება, იქ ქალის თვისებასა და ქალის მნიშვნელობას არც ოთხი წიგნი ეყოფა ასანერად და განსამარტებელად.

რაც ამაზედ სხვა და სხვა საქვეყნო ჩვეულებაში სხვა და სხვა აზრი არსებობს, რამდენსამე უმთავრესს აქ მოგახსენებ და იმედი მაქვს, რასაც აქ სხარტულად გამოგიხატავ, ისიც საკმაო იყოს ფილოსოფიურის მსჯელობის შესაფიქრებელად.

სადაც წარმართება და კერპთ-თაყვანის-ცემა არსებობს, იქ ქალისას იტყვიან, იმისთვის არის გაჩენილიო, რომ გულის-თქმა მამრისა, ან ასე ვთქვათ, ბუნებითი მიზიდულება სქესებრი მოიოხებოდეს და შესრულდებოდესო. სხვა არცარა მნიშვნელობა აქვს იმათში ქალსა და არცარა ღირსება კაცობრივი. ზოგან ისეა ქალი ჰსჯულით დამდაბლებული, რომ დაქვრივებული ცოლი სახ-მილში თან უნდა ჩაჰყვეს ცოცხალი მიცვალებულს ქმარსა და იმასთან ერთად უნდა დანაცრდეს.

მაჰმადიანები ცოტა უფრო მაღალს ხარისხზედ აყენებენ ქალის მნიშვნელობასა. მართალია, ქალს იმათში არც საზოგადო საუბარში გარევა შეუძლია, სამსჯელო თუ სამეცნიერო ბაასში, და არცარა ქვეყნის გამოსადეგი მოქმედება რამე, რადგან ჭკუა

მოკლე აქესო, ასე ამბობენ და ჰსჯერათ კიდეცა, რასაც ამბობენ; მაგრამ შინაობაში სახლის მართვა და ბატონის ქმრის სიამოვნება ქალსა აქვს მითვისებული. კანონი აღიარებს ქალსა საშინაო მომსახურედ და მემცხედრედ ქმრისათვის, ან ასე ვჰსთქვათ ცოლად (თანანოლად, თანმწოლად) და კაცს ნება აქვს სამი ერთად იყოლოს ამ გვარი ცოლი კანონიერად და რამდენისაც რჩენა შეეძლოს, იმდენი უკანონოდ. არც კანონიერთაგანსა და არც უკანონოთაგანს ქმართან ხმა სულ არა აქვს არც შინ და არც გარეთ; ბძანება ქმრისა უცვალებელი არის.

ქრისტიანენი, სწორეთ ღვთიურის ჰსჯულის აღმსარებლები, ვამბობთ, რომ სული ქალისა თანაჰსწორ არიანო ღვთისა წინაშე. ქალი არის მეუღლე, შეტოლებული მეგობარი კაცისა, იმდენად პატივცემული, რომ ზოგიერთს საქვეყნოს ჩვეულებაში უნინ ისინი იხსენიებიან: დედ-მამა, ცოლ-ქმარი, ცოლ-შვილი, ქალ-ვაჟი. აღვიარებთ, რომ ქალის ნიჭიერება ხან და ხან გადააჭარბებს კიდეცა კაცის ნიჭიერებასა, და ქალი არის ის ქვა ოთხკუთხედი, რაზედაც ეფუძნება ამ წუთის სოფელში სიამოვნება და ბედნიერება კაცისა და მეგობრობითად წარიმართება ხელი სათნოდ ცხოვრებისათვის.

ქალებზედ ეს არის უმთავრესი მოძღვრება ჩვენი სარწმუნოებისა და სარწმუნოებაზედ დამყარებულის ჩვეულებისა და სხვას არას ჰსჯულში არ არის ქალის მნიშვნელობა ამ სიმაღლემდის აყვანილი.

მაგრამ ჩვენს ქრისტიანობაშიაც რამდენ-ნაირად არის შეიწროებული თუ გაჰვრცელებული კაცობრივი სამართალი ქალისა, ამას ვინ მოჰსთვლის.

ზოგან პატივი შესაბამი ჰსძევს ქალსა; მაგრამ წრე იმის მოქმედებისათვის არის სახლი, გათხოვებამდინ სამშობლო და გათხოვების შემდეგ საქმრო.

ზოგან გათხოვებამდინ სრულიად არაფერი ნება არა აქვსრა ქალსა და რა რომ ქმარს შეირთავს, მაშინ კი თავისუფალია და წევრი საზოგადოებისა.

ზოგან გათხოვებამდინა აქვს სრული თავისუფლება ქალსა; როგორც ჩვენში საცოლო ყმანვილი კაცები, ისე იქ გასათხოვარი ქალები თავისუფლებით ჰმსვლელიობენ და პატივი ჰსძევთ ისეთი, რომ, მაგალითად, მრთელი ამერიკა რომ მარტო შემოიაროს ერთმა ქალმა, ყოველი კაცი მოსამსახურეა იმისი და ხელის გამმართავი და დიად ძვირად მოჰხდება შეგინება იმის პატიოსნებისა ან დარღვევა იმის კეთილ ზნეობისა, თუ არ შეამცნიეს გავარდნილთაგანი არისო; და რომ ეს ქალი, თავის ნებით და აღრჩევით, ქმარს შეირთავს, იმ დღეიდან მოკიდებული, თითქმის სულ ხელ აღებუღია ქვეყნიერებაზედაცა და საზოგადოებაზედაც. ყოველი ზრუნვა და ყურადღება შინაურს საქმეებზედა აქვს მაშინ მიქცეული და შვილების აღზრდაზედ. ევროპიულმა განათლებამ მხოლოდ ამერიკაში დააყენა ქალი ამ საპატიო ხარისხზედ.

ახლა მგონია ადვილათ დავიჯეროთ, რომ ნურ-აღა ვერცა რას იტყოდა და ვერცა რას გაჰბედავდა, სადაც ერთის მხრით ქმარი ეგულებოდა სრულის უფლების მექონი და მეორის მხრით მეტოქე ქმრისა, კაცი, რომლისაგან, ვინ იცის, იქნება უფრო მეტს გამოელოდა აღერსსა და ფუფუნებასა.

კარგად დაემართა თუ ავად, ამას ახლა შევიტყობთ.

2. ნაზიმათ

საპოლიტიკო ქვეყნის დაწყობილება კაცის საქმე არის და კაცის საქმე სრული ჯერ არსად რა გამოჩენილა. ბუნება ქვეყნისა და ფიზიკური მოწყობილება არის შემოქმედის საქმე, ყოვლად და ყოვლითურთ სრული, იქამდის სრული, რომ ქვეყნის დაარსებითგან კაცობრივს გონიერებას ჯერ ვერსად განუცდია და ამ მიზეზით ზოგიერთი ქვეყნის თვისება ზოგს მეტად მოგვწონს და ზოგიერთს ზოგნი დიდად ვინუნებთ.

ავად შენი მტერი, ავი რამ სამყოფი ზაფხულში სამარყანდი იყოს.

და ნუ მოგიშალოს ღმერთმა ისეთი საცხოვრებელი, როგორც გაზაფხულზედ ის არის. ნუ მომაგონებინებ, ნუ შემეყვან იქაური გაზაფხულის დაწვრილებითს აღწერაში, თუ არ გინდა, რომ გული დაღონდეს იქ არ-მყოფობითა; იქაური მარტი, აპრილი და მაისის აქაური მარტი, აპრილი და მაისის შედარებითა! – ცა მოცინარი; ქვეყანა მოლხინარი; მზე ცხოველ-მყოფელი; მდელო, მცენარე, ყოველი არსი და სულდგმული, ხელახლად შემომავალნი ბუნების დღეობის ლხინში, სადაც მხიარულებით მაშვრალნი ჯგუფად და ჯგუფად, წყვილად და წყვილად, ზოგნი აქ განისვენებენ, ზოგნი იქ მუსაიფობენ და ისევ ირევიან საერთო ფუფუნებაში, სიამოვნებაში და დაუცხრომელს სამეფლიშო მოძრაობაში... როგორ გამოჰსთქვას კაცმა თვისება იქაურის გაზაფხულისა!!.. ხმოვანი ჰხმობს, მაგალობელი ჰგალობს, ჰმეტყველი ჰმეტყველებს, მღალადებელი ჰღალადებს, – მდელონი ჰბიბინებენ, მდინარენი მჩქეფარებენ, ცხოველნი ჰმქშენარებენ, ჰსისინებენ, ჰსნიწინებენ, ჰსჭრიჭინებენ, ჰყიყინებენ, ჰყაყანებენ, ჰფრიალებენ, ჰშრიალებენ, ღრუტუნებენ, ჰბუტბუტებენ, ჰგრგვინვარებენ და ასე შეათანხმებს ყოველი ქმნილი და გაჩენილი ერთს საორატორიო ხმოვანებას ღვთის სადიდებელსა და ჯერეთ საოცნებელსა მოცარტისათვისაც, ჰეიდენისათვისაც და სხვათა ყოველთა საკვირველ-ნიჭიერთა მოსაკრავეთათვისცა!!!..

ასე გაშინჯე, ერთმა იქაური გაზაფხულის მოგონებამ ისე წარმიტაცა, რომ თითქმის სამწიგნობრო კილოთი ამაღაპარაკა შენტანა.

„ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა უჰსჯულოთასა“.¹⁶

ურჯულოს ვეძახით თათრებსა, თუმცა იქნება ჩვენზედაც უფრო მტკიცედ ადგნენ თავისს ჰსჯულსა და იქნება ზნეობითაც ბევრი იმათგანი ბევრს ჩვენგანსა ჰსჯობდეს. მაშ იმ აზრით მივიღოთ ეს მეფსალმუნე წინასწარმეტყველის ლექსი, რა აზრითაც უთქვამს იმ უსჯულოებაზედ, რომელთაც კეთილი, ჭეშმარიტი და აღსაარებელი არა ჰსწამთ-რა, – და თუნდა ნუ მივალთ, ისე გაუარეთ, შევხედოთ და ყური დაუგდოთ აიმ ოთხიოდე კაცის

საუბარსა, ცაცხვ-ქვეშ რომ დამსხდარან და თითქო ქვეყნის საქმეებს არჩევნო.

მოგეხსენება, ახლანდელს მწერალს, მოამბეს, დიდი რამ უფლება აქვს მითვისებული: სადაც უნდა შეგახედებს, როდინდელიც უნდა იმ დროინდელს საქმეს თვალწინ წამოგიყენებს, რაც სივრცე უნდა, ერთს წამს მოგატარებს. შეუძლია ახლავე, ამ ერთს წამს პეკინი გაჩვენოს, დედა ქალაქი ცას ქვეშეთის იმპერიისა; იქიდან ლონდონს გადაგასკუპოს, სადაც რაც მთელს კავკასიას ხალხი ახვევია, იმდენი მარტო იმ ქალაქში ჰსცხოვრებს, და იქ სამრთელქვეყნო ბაზარი მოგატაროს; ამერიკას გადაგაფრინოს და იქაური უმაგალითო ჩხუბები გაჩვენოს,¹⁷ სადაც ათიათასობითა ჰსწყდება განათლებული ხალხი, რომელიც ერთის მხრით იძახის – თავისუფლება უნდა მიეცეს თქვენს ნასყიდს არაბებსაო¹⁸ და მეორეს მხრით – უიმათოთ თავი რალათ გვინდა ცოცხალიო; მოგაფრინოს და რკინის გზით მოგახრილოს პეტერბურღს და გაგაცვიფროს ამ მყინვარეს ქვეყანაში და საფლობს ჭაობზედ აშენებულის ქალაქის ნახვითა; აგიყვანოს დაგიყვანოს, სტამბოლს ხვანთქრის (ხუნქიარ) სანოლში შეგახედოს, მართლა ერთი ცოლის მეტი აღარა ჰყავს, თუ ისევ ასეულად უსხედანო; თეერანში ყეენის ყალიონი მოგანვეინოს, შირაზის ღვინო გასვას, იქაური ქალებისათვის გააღერსებინოს, – ნუ გენაღვლება, რომ ძვრისაგან არის შირაზი დანგრეული,¹⁹ – და ისევ ისე მიგიყვანოს სამარყანდსა, თითქო აინუმშიაც არა ვყოფილვარო. მეც, ეს ყარიბი ლიტერატორი, მაგრამ ამ საოცარის უფლებით მოსილი, თვალწინ წამოგიყენებ და შენის ყურით გაგაგონებინებ, რასაც ის ოთხი თათარი ცაცხვ-ქვეშ ლაპარაკობდნენ, ნელსა 1828-სა, თვესა მაისის დამლევსა.

– რა ვჰქნა, როგორღაც იმ ყიზილბაშს მომაგონებს ეს ჰაჯი-ისქენდერა, ამ ხუთს-ექვს წელიწადს წინეთ რომ აქ იყო და მაჰმად-უსეინას რომ აბრეშუმს ევაჭრებოდა.

– რომელ ყიზილბაშსა? აი, ქელბალაი-ჰასანას ქალი რომ ითხოვა, რა ერქვა, აღარ მახსოვს, ალღავერდის ეძახდნენ თუ ალღაიარსა... – ალღაიარსა, მგონია!

- დიად, მგონია ალლაიარსა ეძახდნენ სწორეთ იმას!
- დიდ არს ალლაჰი და მაჰმად თვინიერ წინასწარმეტყველი მისი. აკი ხმა იყო მოკვდაო, გველმა უკბინა თუ ცხენმა დასწიხლა, მაგრამ მაინცკი მოკვდაო, ამბობდნენ. რომ არ მომკვდარიყო, იმის ცოლს ეს ჩვენი ნასრ-ულლა როგორ შეირთამდა?
- ეჰ! ვინ იცის, რამდენი რა მოხდება დუნიაზედა. ჩვენი ნასრ-ულლასი არ იყო: რა დიდი ხანია ისე ღარიბი იყო, რომ ზედაც არავინ შეაფურთხებდა!
- მახლას! მაშინ არავინ შეაფურთხებდა და ახლა? მე გითხრა, იმისი სახლი და ბალი ხანს არ შეშვენის! მე გითხრა, დუქნები არა აქვს სამარყანდში გამართული!
- კურთხეულ-არს ცხრაასოთხმოც და ცხრამეტი სახელი ალლასი და მაჰმად მხოლოდ ფეხამბარი მისი!²⁰ ფულიჰ? მამლებიც ველარა ჰკენკენ, იმდენი ექნებაო!
- ფული რა ფული! შენ სახელი თქვი იმისი, ხმა თქვი სად არ არი გავარდნილი? მოყვრობა იკითხე, ვის დაემოყვრა!
- ვის დაემოყვრა? ეგ არა შემიტყვია რა!
- როგორ არა! ხიველმა ულლუ-ბეგმა არ მიჰსცა თავისი ქალი, თავისი მზითუნახავი ნაზიმათი! საკვირველს რასმე ამბობენ ამ ქალის მშვენიერებასა; ამ მხარეზედ ჯერ იმისთანა არა დაბადებულარაო. ნურ-ალა იმას მოახლეთაც არ ეკადრებაო.
- ბაი, ბაი! ნეტა თუ აგრეთი რამ იყოს.
- ასე გამიგონია, იმისთანა ქვეყნიერი მნათობი ჯერ ცასქვეშეთში არა ნახულაო. ალბათდა, ბედნიერი კაცი ყოფილა ნასრ-ულლა, ამას თქმა აღარ უნდა.
- საბრალო ნურ-ალა კი დაჩაგრული თურმე ჰყავთ!
- მაგასაც ამბობენ, ვითამ ნასრ-ულლას ებძანებინოს ნაზიმათს უნდა ემსახურებოდე ხოლმეო და ამსახურებს თურმე კიდევცა. მაგრამ, ეჰ! რა ჩვენი საქმეა ამისი ლაპარაკი! გვეტყობა ცოლებიანები ვყოფილვართ ჩვენცა. დაჰსწყევლოს!.. თითქო სუნით შეიტყობენ ხოლმე ჩვენი ცოლები ამისთანა საქმეებსა.
- მე ისევ იქა ვარ, იმ ყიზილბაშთანა! ეტყობაკი, ალლაიარი არ არის; ალლაიარი რომ ყოფილიყო, ამ ქალაქში ნაცნობი რო-

გორ არავინ ეყოლებოდა! სწორეთ ახალი მოსულია ვილაც არის; ან აგრე რამ გაალარიბა! ნასრ-ულლას ამბავსკი უფრო კითხულობს თურმე.

– ეგ რა გასაკვირველია! ვინ არის ახლა, რომ იმის ამბავს არა კითხულობდეს.

– დიად არავინ! კარგათ კი ჩამოცხა დღესა, თუ თქვენც იტყვიით.

– რა მაგისი პასუხია და ახალი ანბავი შეგიტყვიათ თუ არა? გურჯისტანი სულ დაუპყრიათ ყიზილბაშებსაო!

– ფუჰ! იქნება მართლა?

– მართალია თუ არა, სწორე არავინ იცის. ამბობენ, ვითამ ერთი ვილაც იარმალოუ მჯდარიყოს ბეგლარ-ბეგათაო²¹ და იმის მაგიერათ ურუსთ ფაჰდიშას²² სხვა ვილაც ფესქოუჩი გამოეგზავნოსო.²³ აბბას-მირზას რომ ეს შეუტყვია, დრო ახლა არისო უთქვამს, ფეთ-ალი-შაჰს მაშინვე გამოსთხოვებია, გაუნევია და სამასიათასი რაზმი ჯარით თავდაჰსხმია იმ ფესქოუჩსაო. ჩვენს დოსტ-მუჰამედს არაფრად თურმე მოსწონებია ეს ანბავი; ერთი კაცი იშტარხნისაკენ უფრენია,²⁴ მეორე შაქი-შირვანისაკენა, სწორე შემიტყეთ რამეო და ჯერ კი არც ერთი არ დაბრუნებულაო.

– ნეტა იმ დოსტ-მუჰამედს რა ჰსცხელა, ან ჩვენა! მე ეს ვიცი, რომ თუ ყიზილბაშებმა ჩვენ ვერა დაგვაკლესრა, ვერცა გურჯებს დააკლებენ და ვერცა რა ურუსებსა.

ჩვენ რაღა გვცხელა, ჩემო თეიმურაზ, რასაც ესენი მიედ-მოედებინან – ეს ხომ ვიცით, რომ სწორე ამბავი არა ჰსცოდნიათ და დავანებოთ თავი; ახლა სხვაგან შევიხედოთ სადმე.

აგერ, ქალაქის ბოლოს რომ ბაღებია, იქ ერთ ბაღში, კარების პირდაპირ, ვილაც ქალი და კაცი სხედან ჩდილში და მუსაიფობენ. მოდი, ახლოს გაუაროთ და თუ გინდა შევჰხედოთ კიდეცა.

აცა-აცა! ეს ხომ ჩვენი ნასრ-ულლაა! ქალიჰ? ოჰ, ღმერთო! რა მშვენიერი რამ არის!! ღმერთო! შენ დაგვიხსენ განსაცთელი-საგან! არა ძმაო, წამოდი, აქეთ წამოდი, თორემ რა ხუმრობაა! ვერ უყურებ? ნასრ-ულლა ხომ ქმარია იმისი, მაგრამ თითქო

ჭკუაზედ შემცთარიანო, თითქო გაგიჟებულიანო, ისე უალერსებს. გამოვეცალნეთ, თორემ აქაურს ჰაერს რალა ეს უნდა, რომ სისხლი უდუღს კაცსა და გულის თქმა ცეცხლად ედება.

აგერ, ვილაც გლახა მოდის ჩათლახი ცხენითა²⁵ და იმას ვადევნოთ თვალი, ესა ჰსჯობია! უყურეთ ერთი; ესეც იქით იცქირება, იმ ქალისაკენა. ვაი! შენი ბრალი საცოდავო? მოდი ახლა და ნუ გაგიკვირდება, რომ ღვთის გაჩენილი ჰქვია იმასაც და ამასაც.

– ღვთის გულისათვის, ბატონებო, ერთი წყალი მასვით გლახაკსა და მაშვრალსა, თქვენის ღვთის გულისათვისსაო, – მიაძახა ბაღში ამ სანყალმა.

– მაცალე, ნაზიმა, წყალს მიუტან გლახასა და იმავ წამს მოვალ. მაგრამ არა! შენ მიუტანე ჩემო სალოცველო, შენ გაკურთხოს, ჩემო კურთხევალ!

და ნაზიმათი, ეს საოცარი მშვენიერება, ეს ნეტარსაყნოსი ყვავილი აღმოსავლეთისა, სასუფევლური ოცნება მართალის მაჰმადიანისა, – ეს წარჩინებული მხატვრობა უზესთაესის მხატვრისა, მივიდა კართან, გაალო და მიაწოდა წყლის საცივი ქაშანური გლახაკსა. ბედნიერი ქმარი ნეტარების თვალით შეჰყურებდა ამ ღვთის სათნო საქმესა.

– შენ გაკურთხოს ყოვლად-ძლიერმა ბედნიერებითა და ქმრის სიყვარულითაო, – უთხრა ქალს მთხოვარმა და დაჰსწვდა ლიტრის გამოსართმევად. დაჰსწვდა და ლიტრა ბაღის პატრონს შეჰსტყორცნა; დაჰსტაცა ნაზიმათს ხელი და უეცრად შეშინებული, გულწასული, ცხენს შემოიგდო.

– სალამ-ალეიქუმ! ნასრ-ულლა-ალა! გმადლობ სწავლებისთვისაო, – მიაძახა და... აბაჰა!!..

ნასრ-ულლას აღარა უნახავსრა.

რა გუნებაზედ დარჩებოდა, შენ იფიქრე. ქვეყნიერი ბედნიერება აღარა აკლდარა და მყისად შეემუსრა, შემოებსხურა ყოველივე. შენს მტერსამც დამართია, რაც იმას დაემართა მეთქი, ვიტყოდი, წყევლა რომ ჩვენი შესაფერი ყოფილიყო.

იმისი თოთხმეტ-თხუთმეტის წლის თურქმენული ცხენი სა-
დღა მოენევიდა ალლაიარის ექვსიოდე წლის ცხენსა, თურქმე-
ნულად განვრთნილსა!

ალლაიარი ხომ, რალა თქმა უნდა. სად ნურ-ალა, სად ნაზი-
მათ! როგორ იფიქრებდა ნურ-ალასთან იმ ბედნიერებასა, რაც
ნაზიმათთან მიეცა.

ეს რომ 1828-ში მოჰხდა, 1838-ში ვიყავით რეშტსა და იქ
ვნახეთ სამი ვაჟი და ერთი ქალი, სპარსეთის მარგალიტები. ალ-
ლაიარისა და ნაზიმათის შვილები იყვნენ.

ის დაუფასებელი ცხენიკი აღარ ჰყავდა მაშინ. უპირველეს
სამეფინიბოში ება იმ ქვეყნისაში.

კარგი, რომ სხვა მაინც აღარ წაართვეს რა ალლაიარსა და
საშინაო ყოფაცხოვრებაში მაინც არავინ წაეცილა ძლიერთაგანი!

ამ დარიგებით ცხენის გამოზდა მართლა ადვილი უნდა იყოს;
მაგრამ ამ დარიგებით ცოლის შოვნაც ყოველთვის ასე შეიძლება
თუ არა, ამისიკი რა მოგახსენო; ანკი რაში გვეკითხება ეს ჩვენა,
ქრისტიანებსა?!

ნოემბერი 1862.

სოფ. სვიმონჭახუ

უცნაური ნაღირობა

გახსოვს? თეიმურაზ! სანადიროთ რომ ვიყავით და შენ წამოიძახე – ახავაითასა! გავეშურნეთ, თორემ წამოგვალამდა ეს არისო?.. ჩვენც მოვაფრინდით მაშინვე ცხენებსა და – აბა, ჰა! სულ ოთხით გამოვსწიეთ; – ხომ გახსოვს?

რომ მოვაჭენებდით მაშინა მკითხე, ის ჩუმათ რომ ჩაგეცინა, რაზე ჩაგეცინა, მითხარი თუ გიყვარდებო, – ესეც გახსოვს, განა?

ბინაზედ რომ ძალიან დაღალულები მოვედით, ამბვისათვის ვილასა გვცხებოდა. მეორე დღეს, ირიჭრაჟა თუ არა, მე და შენ მაშინვე სხვა და სხვა გზას დავადექით და ეს ამბავიც ასე მიგვავიწყდა.

ახლა მოგიყვები რაზედაც ჩამეცინა მაშინა.

დილა ადრინ კურდღლობას რომ გავერთეთ და შუადღემდინ შეფერხება ველარსად მოვახერხეთ, გაუწყვეტელმა ქაქანმა და წაღმა-უკულმა სირბილმა ისე დამალა, რომ ჩდილს დაუწყე ძებნა და იმ ჭალის პირის ცაცხვს რომ მივატანე, თოფ-იარაღი ზედ მივაყუდე და ცოტა სული მოვიბრუნო-მეთქი, მეც იქვე წამოვსწიე, და საამოდ დასვენებულმა ფიქრებს მივანებე თავი... ხან რა წამომიდგა თვალწინ, ხან რა, და...

– ოჰ, შენდობა მამაო! საიღამ საით?

– კურთხევა უფლისა შენზედ! ლაშხეთის სასამართლოში ვარ დაბარებული და იქ ვიხსენებ.

საიღამ ეს მღვდელი და სად ლაშხეთი და იმის სასამართლო?..

– მღვდელი ხარ და უნდა გემთხვიო ხელზედა, თორემ შენა? შენ არა ქართველისაგან ხმის გამოსაცემი და შესაწყნარებელი არა ხარ. გამოტეხილი უნდა გითხრა, მამაო, რომ ჩემი მოძღ-

ვარი რომ არა ყოფილიყავი (ჩემს სიცოცხლეში კი არ მახსოვს, რომ ამისთვის აღსარება მეთქვას სადმე) – ჩემი მოძღვარი რომ არა ყოფილიყავი, არ ვიცი რას გიზამდი. ხმალში გამოგიტხოვდი, საქვეყნოდ გაგაბეაბრებდი, – ერთის სიტყვით, ისე გამოგიმეტებდი, როგორც... როგორც...

– ბეჩა, ბეჩა! რა მოჰხდა მაგისტანაო? – გაცუბითა მკითხა ამ ჩემმა მოძღვარმა.

– როგორ-თუ რა მოჰხდა? იმდენი ნამუსი აღარ შეგრჩენია, რომ მაგასაცა მკითხავ?

– ჩვენი სხდომა კი არ იყოს მიზეზი?

– მამა-ჩემი არ წამინყდება და ჩემი კარგი ძმები არ დამეხოცებიან სწორეთ მაგ სხდომისათვისა ხარ ისე ავათ მოსაპყრობი, რომ ყოველმა კაცმა, – ვისაც კი ცოტაოდენი პატიოსნება გააჩნია და ერთი ნაპერწკალიც არის, მშობელი ქვეყნის სიყვარული გულში ჩარჩენია, – თითო ქვა არავინ არ უნდა დაიშუროს შენთვის. ან მე რაღა მიშლის არ ვიცი, რომ წამოვდგე და ისეთი საქმე დაგმართო, რომ შენი შვილის შვილის შვილის შვილის შვილის-შვილებსაც სახსენებლათა ჰქონდეს.

– ბაქარ და აგრე ახირებული გაუკითხავი აპრიალეა სად გაგონილაო, ისეთი დაწყნარებული და ღმობიერი ხმითა თქვა მღვდელმა, რომ იმ წამსვე ფრთები ჩამოვჰყარე და ყური დაუგდე, ვნახოთ ერთი, როგორ იმართლებს თავსა-მეთქი.

– შვილო ბაქარ! გეტყობა შენც იმათ წარუტაცნიხარ, ვინც, მართალია, შესაბრაღისნი არიან, რადგან არ იციან, რასა იქმონენ, მაგრამ დიდად კი აშავებენ ქვეყნის წინაშე.

– ნეტა რა ვჰქნა? ვინა? როგორ? ჯერ შენი სთქვი, შენი; შენ რითი მართლულობ თავსა და მერე სხვებს დასწამე დანაშაული, რომ დაგეჯერებოდეს.

– მერწმუნე, ბაქარ! და ამ წვერს ენდე...

წვერზედ რომ ხელი დაიდვა, მაშინ შევჰხედე და ამ მოკლე დროში შავი წვერი თითქმის სულ გასთეთრებიყო; – გამიკვირდა, ეს საოცარი ცვლილება რატომ პირველშივე ვერ შევამჩნიე მეთქი და რაღაც მკბენავი სიბრაღული ჩამივარდა იმისი გულში.

ის კი მე ისე შემომყურებდა, თითქო მე ვიყავ შესაბრალისი და არა ისა.

– შენი მამა-პაპეული მშვენიერი სასახლე დიდად ძველი სასახლეა, სულიერო შვილო ჩემო ბაქარ! მრავალ გზის დიდი და დიდთა მეინახობა მსხდარა იმ სასახლეში; მრავალ გზის უნახავთ კედლებსა მისსა დიდებულთ ნადიმობა, თათბირი, სანოვაგობა...

– ვინ თქვენ, მამაო, და ვინ ჩვენს ძველებურს სამწიგნობრო კილოზედ ლაპარაკი?

– ახლანდელი თქვენი მწერლების ენით გენბავს გელაპარაკო, განა? მეც ეგ მნადია; მაგრამ ჯერ რასაც შენს სასახლეზედ გეუბნებოდი, ის გამათავებინე: – იმ შენს სასახლეს, ძალიან ძველსა, ძალიან საპატიოსა, დიდს მოამაგეს და საგანგებო ზომითა და მოყვანილობით აგებულს, ახლა რომ გარს შემოეხვივნენ სვანელები, მეგრელები, ლეჩხუმლები, იმერლები, გურულები, აჭარლები, შავშელები, ჭანელები, ქართლელები, კახელები, ქიზიყელები და ინგილოები, და ზოგმა წალკაპით, ზოგმა წერაქვით, ზოგმა ლომით, ცულით, წალდით, ნაჯახით, ეჩოთი, ერთის სიტყვით, ვისაც რა მოეხერხება, მიადგენ და ამ საპატიო კედლებს, ვინც როგორ იცის, ისე კაკუნი და კორტნა დაუნყონ, – აქაოდა და ყველანი ქართველთ ტომისანი ვართო და გვინდა ეს შენობა ჩვენებურათ განვაახლოთ, – შენ რას იტყვი მაშინ, ჩემო კარგო ბაქარ?

ეს რა საკითხავია მეთქი, ჩემს გუნებაში გავიფიქრე და მღვდელს ვეღარ ვუთხარი რა.

– შენ იტყვი: დაანებეთ ღვთის გულისათვის თავი მაგ საბრალო სასახლესა და თუ მაინც-დამაინც მაგისი განახლება გნადიათ, ჯერ კალატოზობა და ხუროობა ისწავლეთ და მერე დაინყეთ ძველს შენობაზედ თქვენი ვარჯიში! ასე ეტყვი ამ ხალხსა განა, თუგინდ მცოდნენიც ერივნენ? მაგრამ, რომ არ გაგიგონონ, მაშინ?..

– მაშინ სულ დამინგრევენ, რალა თქმა უნდა!

– ჰოო! ჩემი დანაშაულიც სწორეთ ეგ არის; და როგორც ეს ხალხი შენ აგიყაყანდებოდა, სხდომა მეც სწორეთ ისე ამიყაყანდა, როგორ თუ გაბედე და ხმა მაღლა სთქვი, ქართული...

– ნეტა რა ლობე-ყორეს ედები შენცა, მამაო! ქართული ენის სწავლება ნუ იქნებაო, ეს არ წამოროშე იმ ყრილობაში შენა, შე სულწაწყმ...

– მოითმინე, ბაქარ! სიმართლე თუ შენსკენ არის, გაჯავრება რის მაქნისია.

მომავონდა, იუპიტერს რომ შეჰბედეს: იუპიტერ! – რომ ჯავრობ, მტყუანი ყოფილხარო და დავეშვი.¹

– კარგი, მოვითმინე!

– მამ ახლა გულდამშვიდებულსა გკითხავ: ხურობა და კალატობა, ან ასე ვსთქვათ, ქართული ენა, შენ იცი, ალფეზმა იცის; დარისპანმაც იცისო, ამბობენ; – მაგრამ თქვენ არც ერთი არ შემოხვალთ ქართული ენის მასწავლებლათ; ამიტომ რომ თქვენ თქვენს საქმეს თავს ვერ დაანებებთ და ბობოლაებიც მეტად დიდები ბძანდებით, რომ უჩიტლობა იდვით თავსა. – თუ ვერც თქვენა და ვერც კიდეც, ამისთანავე მიზეზით, მიხაილ, ჯიბრაილ და ოქროპირ მოჰკიდებენ ხელსა, – სხვა ვინ გეგულება, ერთი მიბძანე, რომ ქართული ენის სწავლება შეეძლოთ? – აი, ახლა, დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ცხვედაძე, იაკობ გოგებაშვილი, რაფიელ ერისთავი, ივანე მაჩაბელი და ალექსანდრე სარაჯიშვილი შეყრილან და შკოლების გახსნას აპირებენ აქა-იქა,² რომ ჯერ ქართული ასწავლებინონ იმ შკოლებში და მერე შეძლებისდა გვარად, რუსული! იესო ძემ ღვთისამ მოუმართოს იმათ ხელი ამ საღთოს საქმეში! – მაგრამ მასწავლებლები ან იმათა ჰყავთ? ჯერ მასწავლებლები მოამზადონ, თორემ აი, მისმა მადლმა და შენმა სიცოცხლემ, ქართულ ენასაც ისეთი საქმე დაემართება, რაც შენს სასახლეს დაემართებოდა, მართლა რომ იმდენი ჭრელი ხალხი დახვევიყო; სულ ძირს დაუშვებდნენ.

მღვდელმა რომ ეს სიტყვები მაყარა და მაყარა, მე ამის მეტი ველარა მოუხერხე რა, რომ ვჰკითხე: თუ აგრე გგონია, მამაო, მამ გეტყობა, შენ არც დროებასა კითხულობ, არც ივერიასა? არც ქართული მოამბე გიკითხავს, არც კრებულები და არც მნათობი?³

– მიკითხავს და ვჰკითხულობ, შვილო, ვჰკითხულობ, – და იმიტომ ვამბობ ახლა, რასაც ვამბობ, რომ მიკითხავს და ვჰკითხულობ.

შენს მტერსა და ორგულს გაუგონია ის ჭაჭა ჭუჭი, რაც ახლანდელი ზოგიერთი მთხზველების ხელში ქართულს ენას გააქვს!

– მე არა გამიგონია რა!

– ყური არ გიგდია და იმიტომ, თქვე დალოცვილებო! გამხდარხართ, ქეიფს ეწევით, და ვისაც ხმის ამოდება შეგიძლიათ, ყურსაც არა ვინ იბერტყავთ; – და თუ ჩვენ გავბედეთ რამე, მოგვაფრინდებით და შიგ ხახაში ჩავგვჩრით ხელსა.

რა ვჰქენა? – ვამბობ ჩემს გუნებაში; – ეს პავლიაშვილი მღვდელი და ქართული ენისათვის ასეთი მხურვალე ლაპარაკი!!⁴ აქ რალაც ამბავია! მოდი ერთი ვჰკითხო, რას იწუნებს ახალი მთხზველებისასა?

– მაინც რას, რას იწუნებ, მამაო, ახალი მთხზველებისასა?

– იმას ვიწუნებ, შვილო ბაქარ, რომ ქართული საფუძვლიანად არსად უსწავლიათ, – ან კი სად უნდა ესწავლათ საცოდავებსა, რომ აღარსად ასწავლიან, – ძველებური არა უკითხავთ რა; – საპატიო საზოგადოობის ქართულ საუბარს თუ შესწრებიან სადმე, ყური არ უგდიათ; – ხალხის ლაპარაკისათვის არა დაუდევნიათ რა; – და ჰსწერენ კი, მთხზველობენ კი. ქართულათა ვსწერთო, ქართულს მწიგნობრობას ვაცხოვლებთო, გულითა ჰსჯერათ; – მაგრამ ვინ არის ახლა იმათი დამჯერებინებელი, რომ კი არ აცხოვლებენ, – ჰრყვნიან, აფუჭებენ ენასა; მერე რა ენასა, ბაქარ! ენასა?!.. შენსას ამბობენ, ათი თუ თორმეტი ენა ზედმინეწით იცისო და – შენ და შენი ღმერთი, შენ და შენი განწმენდილი სვინდისი, მითხარი, რომელი ენა გეგულება, რომ ან წერა-კითხვა ჰქონდეს ქართულზედ უფრო განმარტივებული და განვითარებული; ან ლექსთწყობა და შენება ჰქონდეს უფრო მოქნილი და გაადვილებული; ან აზრის გამოსათქმელი მასალა ჰქონდეს უფრო მოხერხებით შეზავებული, – ან სიტყვებითა და გრამმატიკული სახეებით იყოს უფრო მდიდარი?

– ეგ, ვთქვათ, ყველა მართალია, მამაო; მაგრამ ამ ენას აფუჭებენო, რომ ბძანებ, – როგორ აფუჭებენ, ეს გამაგებინე, დაჰ?

– ახლა მაგალითებსა მთხოვ, თუ რა გნებავს?

– მაგალითებსა გთხოვ, მაგალითებსა, თორემ ეს ჩვენი ლაპარაკი ტყუილ უბრალო მიდებ მოდებაში გადადის როგორღაცა და რა ჩვენი საკადრისია!

– ახლავე, ჩემო ბატონო! მაგრამ რომელი ერთი მოგიტვალო! ერთი ამბობს:

„სტუმარი შინ შემოვიდა, მაგრამ ისევ გარეთ გამოვიდაო“.
ქართულია ესა?

– რასაკვირველია.

– მაშ, ამისი მთქმელი თვითონ სადღა ბძანდებოდა, ეს მიბძანე? ხომ მოგეხსენება, კაცი რომ ამბავს ამბობს რასმე, თვითან სად არის, ან იმ ამბავის დროს სად იყო, უთუოთ უნდა თავისთავად იგულისხმებოდეს, ლაპარაკში თავის-თავად უნდა გამოდიოდეს, ცასა და ქვეყანას შუა ხომ არ იქნება ჩამოკიდებული. შემოვიდაო თუ ამბობს, ცხადია, რომ თვითონ შინა ყოფილა და მაშინვე, გამოვიდაო, თუ ქართველია, ვეღარ იტყვის. – ან თუ თვითან გარეთ იყო, იტყვის – შევიდა, მაგრამ მაშინვე გამოვიდაო. ერთის სიტყვით: თუ შემოვიდა, გავიდა; თუ შევიდა, გამოვიდა; თუ ჩავიდა, ამოვიდა; თუ ამოვიდა, ჩამოვიდა; თუ წამომყვა, ჩემთან წამოვიდა; თუ წაჰყვა, იმასთან წავიდა. ქართულად ყოვლად შეუძლებელია, რომ ორს ერთმანერთის წინააღმდეგს შემთხვევაში ზმნა ერთითა და იმავე სახით იხმარებოდეს.

– ეგ მართალია; მაგრამ არ დაჰფიქრებია და იმიტომ უთქვამს აგრე, ვისაც უთქვამს.

– მეორე ამბობს: ჯერ იარაღს დავინწყებ წინა და მერე საქმეს დავინწყობო.

– ეგ რა! მაგისთანა შეცტომა ვის არ მოუვა: იარაღს დავინწყობ და მერე საქმე დავინწყობო, ასე უნდა ეთქვა, რა თქმა უნდა.

– ჰო, არც ეს დაჰფიქრებია! ერთი ამბობს კიდევ: აქ მდებია რე მინდორიო.

– ეგ არ შეიძლება: მდებია რე ითქმის ავათ-მყოფზედ. უძრავს საგანზედ ითქმის: მდებარებს; მდებარება, მდებარეობა და არა მდებია რება.

– გადღეგრძელა ღმერთმა! სჩანს, მთქმელი არც მაგას დაჰფიქრებია. ახლა: „სიკვდილს მორჩა, ხიფათს მორჩა“, ქართულია?

- რატომ არა?
 - იმიტომ არა, რომ „მორჩა“ ჰნიშნავს „გაათავა, შეასრულა“.
- სიკვდილს შეასრულა, ხიფათს გაათავა?
- მართალია, ეგ არ შეიძლება! მაგრამ როგორ უნდა?
 - „სიკვდილს გადარჩა, ხიფათს გადარჩა, ან გადურჩა“.
 - სწორეთ არც ამას დაჰფიქრებინ.
 - ვერ მინდა, არ ვიშოვნე, - არც ეს არის ხომ ქართული?
 - დიალ არა. მაგაზედ მეც გემონმები, რომ ახლანდელი ჩვენი მწერლები უკუთქმითს სიტყვის ნაწილებს მეტად წინდაუხედავათა ხმარობენ. მე კარგათ მესმის, რომ სადაც მოქმედება ნებაზედ არის დამოკიდებული, იქ უარი ითქმის სიტყვითა - არა: არ მინდა და არა ვნახავ, არ ავიღებ, არ წავიკითხავ, არ შევირთავ. - და სადაც მოქმედება ნებაზედ კი არა, ღონეზედ არის, შეძლებაზედ არის დამოკიდებული, და ეს ღონე, ან შეძლება კი არ არის, იქ უარი ითქმის სიტყვითა - ვერა: არ შემიძლია, ესე იგი, ღონე, შეძლება არ მაქვს და იმიტომ ვერა ვნახავ, ვერ ავიღებ, ვერ წავიკითხავ, ვერ შევირთავ და სხვ. და სხვ.
 - არ დაუფიქრდებიან ხოლმე.
 - ერთი ამბობს კიდევ: იმან თავის პირით აღვიარა; ან - „იმას თავის პირით უღვიარებიაო“.
 - მართალია, ერთი კი არა, ბევრნი ამბობენ აგრე; მაგრამ უნდა გამოგიტყდე, მამაო, რომ აღარც მე ვიცი, როგორ უნდა; აღარ ვიცი მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ კარგათ მახსოვს, როგორ გამიკვირდა, პირველად რომ გავიგონე: „იმან აღვიარა“, „იმას უღვიარებიაო“; ჰსჩანს, რომ ჩემს ნახსოვრობაში შემოულიათ აგრე ლაპარაკი; მაგრამ როგორ უნდა, აღარ მახსოვს.
 - იმან აღვიმალლა, უღვიმალლებია; ან აღვიშენა, უღვიშენებიაო - ხომ არავინ იტყვის? არა. ერთნაირი ზმნა კანონსაც ერთს უნდა ემორჩილებოდეს. აი მაგალითი:

აღვიმალლებ	აღვიშენებ	აღვიარებ.
აღვიმალლე	აღვიშენე	აღვიარე.
აღვიმალლებია	აღვიშენებია	აღვიარებია.
აღვიმალლებია	აღვიშენებია	აღვიარებია.

ამას ცოტაოდენი დაფიქრების მეტი ხომ არა უნდარა; მაგრამ არ უფიქრდებიან, იმიტომ, რომ უვიცნი არიან და მსწავლულად კი მიაჩნიათ თავისი თავი.

– როგორაო, როგორაო? უვიცნი და მსწავლული რალა არის?

– მაგ სიტყვებს, ჩემო ბაქარ, ისეთები ხმარობენ, რომ თქვენ მეცნიერად მიგაჩნიათ. უმეცარი, უცოდინარი, უსწავლელი, ნასწავლი, სწავლული, მეცნიერი, – ამისთანა წმინდა ქართულ სიტყვებსა სწუნობენ და შემოაქვთ უვიცი, – მსწავლული.

– ჰსწუნობენ კი არა, არ უფიქრდებიან. დამმორჩილებელი ხელმძღვანელობა არა აქვთ რა და მიტომ არიან უმორჩილო.

– უმორჩილო სადაურიდაა? ქართული ურჩი არ მოსწონთ? თუ აქაც არ უფიქრდებიან?

– ეგ რა? აი კიდევ რაებს ამბობენ: უფროსთან მუნდერში მივიდა, მერე კი სერთუკში იყო. ავათ-მყოფი მოვლაში ჰსაჭიროებს და მშიერი საჭმელშიო?

– ეგ ხომ ზედგამოჭრილი რუსულია. ქართველი იტყვის: ალბათ ის მუდრეგი მუნდერი ისეთი რამ ყოფილა, რომ უფროსიცა და უმცროსიც ორნივე შიგ თავსდებოდნენო. ქართულად კი ასე ითქმის: მუნდრით მივიდაო, სერთუკით იყოო; – ავათ მყოფს სჭირდება მოვლა, მშიერს საჭმელი.

– არ უფიქრდებიან, არა!

– ჩვენს დიდებულს თამარ მეფეს თამარ დედოფლად იხსენიებენ, აქაო და სხვა ენაზედ მამრის წოდება მდებდრს არ ეკუთვნისო და ჩვენი ენის თვისებას კი არას დასდევენ და, ამას გარდა, იმასაც ივიწყებენ, რომ თამარს მეფე იმიტომ ეწოდება, რომ თვითან იყო მეფედ ნაკურთხი; ცოლი რომ ყოფილიყო მეფისა, მაშინ დედოფალი იქნებოდა. – მთელს კავკასიაში და ყოველს ჩვენს საისტორიო წიგნებში ამ მიზეზით მეფედ იხსენიებენ და ჩვენი ახლანდელი მწერლები კი დედოფლად. მაშ შეგვატყობინონ, მეფე ვილა იყო მაშინ. – წყლის იქით, მთის იქით, სახლის უკან, ამის გარდა, ამის შემდეგ, ამის იქით და სხვა და სხვა. ვითომ და კლასიკური ენის კილო იყოს ესა, ან საღმთო წერილის! კლასიკური, სამწიგნობრო, საღმთო წერილის გრამმატიკული

კანონით არსებითი სახელი ნათესავობით ბრუნვას მოჰყვება თუ თანდებული წინ მიუძღვის; მაგალითად: წინაშე სახლისა, იმიერ მთისა, გარეშე სოფლისა, გარდა ამისა, შემდეგ ამისა და სხვა. – და ახლანდელი სასაუბრო ენის კანონი თუმცა ჯერ დაწერილი არ არის, მაგრამ მკვიდრად არის ხალხში ფეხ გადგმული. ამ კანონით თანდებული უფრო ხშირად სახელს კი არ მიუძღვის, თან მიჰყვება და მაშინ ნათესავობითი ბრუნვა გადაიცვლება მიცემითად. ამ მიზეზით ვამბობთ: წყალს იქით, მთას იქით, სახლის უკან, სოფელს გარეთ, იმას იქით, ამას გარდა და სხვა. და სხვა.

– სწორეთ მართალია! არ უფიქრდებიან.

– სპილო მძლავრი პირუტყვიაო, ხილის ნაყოფი უყვარს და ხორციელს არა სჭამსო; ესე გამიგონია სასამართლოს მწევრებისაგანაო. – მძლავრი ქართულად რასა ჰქვია? მედიდურს, ამაყს, განუკითხავს, მჩაგვრელს, ულმობელს. სპილო მძლავრი კი არ არის, – ძალოვანია, ძალუნი, დიდ ღონიერი. ხილის ნაყოფი არის მეტის მეტი პლეონაზმო, რადგან ხილი არის ნაყოფი და ნაყოფი არის ხილი. არ ვიცი, იქნება ხის ნაყოფი უნდოდა ეთქვა ამისს მთქმელსა; მაშინ ნურას უკაცრავად. – ხორციელს არა სჭამსო, აქაც იქნება ხორციული უნდა ეთქვა და ბოდიში მეორედ დაგვჭირდეს? ხორციული სხვა და სხვა ხორცსა ჰქვია, და ხორციელი – ხორცშესხმულს, ცოცხალ სულიერს. ახლა მწევრებისა უნდა მოგახსენოთ: მწევრები (მხოლოობითად მწევარი) მონადირეს ეყოლება და არა სასამართლოს. სასამართლოსა ჰყავს წევრები (მხოლოობითად წევრი), ან სხვაფრივა ვჰსთქვათ: მეინახენი, მოსამართლენი, მსაჯულნი, დიამბეგნი (დივან-ბეგნი). ასე გამიგონიაო! როგორა? ეს გაგიგონიათ, თუ ასე გაგიგონიათ? ერთი არის ნაცვალსახელი: ესე, ეს; ეგე, ეგ; ისი, ის; და მეორე არის ზმნის ზედა: ესე, ამ ნაირად, ამ გვარად. – ერთი სიტყვის ნაწილის ხმარება მეორეს მაგიერად, აქაო და ჰგვანან ერთმანერთსაო, თუ უკაცრავად არ გახლდები, დიდი უვიცობაა, როგორც იტყოდა ერთი ჩვენთაგანი და მე კი ვიტყვი, დიდი უმეცრებაა მეთქი. – ზღვის შუაში, ქალაქის შუაში, თვალის შუაში, ცეცხლის შუაში და სხვა. კარგი ქართულია?

– დიად არა, თქვენმა მადლმა! ქართული არის: შუა ზღვაში, შუა ქალაქში, შუა ბაზარში, შუა თვალში, შუა ცეცხლში. ცოტა დაფიქრების მეტი კი არა უნდარა!

– ვერ დავინახავ, თვალი თუმცა ახილული მქონდესო.

– არც ეს არის ქართული. ან ასე უნდა: ვერ დავინახავ, თვალი თუმცა ახილული მაქვს; ან – ვერ დავინახავ, თვალი თუნდა ახილულიცა მქონდეს.

– იმოვნის რასმეს; მივა ვინმესთან, ან ვისმესთან; ისეხებს ვინმესგან, ან ვისმესგან და სხვა, და სხვა. უფრო სომხურია ესა თუ უფრო იმერული, ამისი რა მოგახსენო, მაგრამ ქართული კი არ არის.⁵

– მაშ, როგორ უნდა?

– ვინმე, რამე, რომელიმე – ნაცვალსახელებია უპირო. აი ამათი ქართული ბრუნვა:

ვინმე	რამე	რომელიმე
ვისიმე	რისიმე	რომლისამე
ვისმე	რასმე	რომელსამე
ვისგანმე	რისგანმე	რომლისგანმე
ვითიმე	რითიმე	რომლითამე
ვინმე	რამმე	რომელმამე
ვისშიმე.	რაშიმე.	რომელშიმე.

ყოველს შემთხვევაში მარცვალი **მე** ბოლოს უნდა დაჰყვებოდეს ხოლმე.

– მართალია! ჭემმარიტია! აახ! არ უფიქრდებიაან!!

– გაცივდა და ცხვირის ცემა დაიწყო! ბნელა ღამეში ხეს ბევრჯელ მივხვედრილვარ და მაგისთანა აზრს კი ვერასგზით ვერ მივხვედრივარ.

– აქ ცხადია, რომ ის ცხვირი საცემი არ არის, რომელსაც ხან და ხან აცემინებს ხოლმე. ცემა და ცემინება, ან დაცემინება! და რაც ხეზედ და აზრზედ იყო სათქმელი, ის მთქმელს ერთი მეორის მაგიერად უთქვამს. მივხვედრილვარ, ან მივმხვედარვარ, – ეს ითქმის აზრზედ; და მივხვედრივარ, ვჰტაკებვივარ, ვჯახებვივარ, – ეს ითქმის ხეზედ. არა ფიქრობენ, განა?

– ჰო! დაჰ? მეც მაგას არ ვამბობ!

– მცენარი რომ გადასჭრა, წვენი გადმოვავ. ქვებს რომ ცეცხლი (შეშა) ბევრი შეუკეთო, აქაც წვენი გადმოვავ. ქვებზედ ითქმის ესა და მცენარეზედ კი არა. მცენარე (და არა მცენარი) რომ გადასჭრა, წვენი გამოუვა, გამოედინება.

– ოიმეე! არ უფიქრდებიან ხოლმე და რა ვქნა!!

– ამბობენ – კაცს შეუძლია ყოველი თავისი ასო ამოაძროსო.

– საიდამაო?

– საიდამ კი არა, ვითამ ამოძრაოსო, მოძრაობა მისცესო.

– ამბობენ – ძრიელი, ქრმიანი, წყრული, ცარიელი, მადრიელი და სხვა. წერთაც ასე უნდა სწერდნენ?

– მაშ?

– ქართული მართლწერა რა აგრე ძნელია, რომ ათასში ერთხელ მაინც არ დაუფიქრდეთ ერთ წამს, სიტყვას ძირი კი არ მოეშალოს, საძირკველი არ შეერყესო. ყოველი მნიგნობრობის უმთავრესი მისაღწევი საგანი არის ორი: 1. დაახლოვება, რამდენათაც შეიძლებოდა, სასაუბრო ენასთან, მაგრამ დაახლოვება იმ განზრახვით, რომ თვით ეს ენა გასუფთავდეს, დაშვენდეს და დაწმენდილ იქნეს ყოველი უგვანი და უშვერი ლექსისაგან და ადვილი გასაგონი იყოს ყველასთვის; 2. მართლწერა ისეთი იყოს, რომ: სიტყვის ძირეული დასაწყისის გამოცნობა არას დროს არ გაჭირდეს, ეს დიდად საჭიროა; – და წამკითხველს საქმე არ გაუჭირდეს. მე, სწორე მოგახსენოთ, ახლანდელი ქართული სტამბა მეტად მიჭირებს საქმეს. – ძალიან მიყვარს ახალი ამბვების კითხვა: მაგრამ თვალს მოსვენება კი არა აქვს, და მეტადრე, როდესაც „ივერიაში“ ვჭკითხულობ რასმე: ფურცელზედ თავი-დამ ბოლომდინ სულ ლარათ გაყვანილი გარანდული სტრიქონებია, თითქო ხშირი ხაზებით არის ქალაღდი დახაზულიო! – თქვე ღვთისაგან დალოცვილებო, რაც ჩვენს ენას ამახინჯებს, ის კი უხვად შემოგაქვთ სხვა ენებიდამ, ყოველნაირი გალლიციზმო, ლათინიზმო, გერმანიზმო, პლეონაზმო, იდიოტიზმო⁶ და სხვა, და სხვა; და რაც ჩვენს წერასა და მეტადრე სტამბას გამოაკეთებს, დააშვენებს და წასაკითხათაც გაგვიადვილებს, იმის შემოღება

კი არა გნებავთ; თითქო მარტო ამაში იყვნეთ გაკერპებულნი!.. რატომ ნანილ-ნანილად არა ჰყოფთ ხოლმე თქვენა უშველებელს პერიოდებსა?.. რატომ ასომთავრულებს აღარა ხმარობთ, რისთვის გადაადგეთ ეს ასომთავრულები?.. ევროპიული, ქრისტიანური მართლწერა გეთაკილებათ თუ უფრო თათრულსა და არაბულს ამჯობინებთ?.. თქვენი თხუზულების კითხვაში იქნება რა გაჭირება დამადგა, რომ ერთ წამს თვალი მოვაცილო და სხვაგან მივიხედო; მაგრამ სად შევაცენო აქა, რომ მსხვილი ასო მთელს გვერდზედ ერთიც არსად არის და წერტილი არსადა ჰსჩანს?.. უნდა ან ფჩხილი გაუსვა, ან კარანდაშით დაენიშნო! ვიშ! ვიშ!.. წიგნს ნუ უფთხილდებითო რალა? უფრო ბევრს გავასაღებთო? ეს ხომ მერკანტილიზმო, ლიტერატურაში!!!⁷ კარგი, აღარ გაუფთხილდები, მაგრამ თუ კი დაგვაბრმავებთ, ვილამ უნდა იკითხოს თქვენი ნაჯღაბი და ნაკანრი? ვილა ეშმაკებში გაასაღებთ?..

– ცოტა არ არის, შენც კი შემოიფუცხუნდი, აი, მამაო!

– მართლა, კინალამ პათოსს მივატანე. ქართულს მართლწერაზედა გვქონდა ლაპარაკი, განა? დიალ! ზემო მოყვანილი სიტყვების დასაწყისი არის: ძალი, ქმარი, ძმარი, წყალი, ცალი, მადლი. – ამათგან ნაწარმოები სიტყვები იქნება: ძლიერი, ქმრიანი, ძმრიანი, წყლული, ცალიერი, მადლიერი.

– ეჰ, შე დალოცვილო! წერა ერთი და გამოთქმა სხვა? ეგლა გვაკლია.

– უფრო შენ დალოცვილო და კურთხეულო! ეს ოთხიოდ-ხუთი რამ შემთხვევა რა გაიოცე, როდესაც სხვა ენებში, რომელიც ბევრათ უფრო გაცხოველებულნი არიან და განვითარებულად თვითან შენ მიგაჩნია, იწერება, მაგალითად: ბეისოუპ და გამოითქმის ბოკუ; იწერება – ლოუგჰინგ და გამოითქმის – ლაჰინ; იწერება – სალლისბიური და გამოითქმის – სესბრი და ათასი ამ გვარი. თვითან შენგანა მაქვს ეს გაგონილი.

– მაშ, ძლიერი, ქმრიანი, მადლიერი, ჰა? მართალია, სწორეთ ასე უნდა! ან მე რალას ვაზამბარავებდი, კაცმა მკითხოს? არ დაუფიქრდებით ხოლმე, არა.

– ზევიდამ დაგყურებენ და ქვევიდამ დაგცქერნიანო.

– ეს რაღა მესმის!

– შენს მზესა ვჰფიცავ! მოთევზავემ თავისი ნაწილი მიიღო და საძილე ოთახიდან გავიდა, რომ სამი საათის სასიარულო გაიაროსო. აბა, ერთი, შენ როგორ იტყოდი ამებზეა?

– მე ვიტყოდი: ქვევიდამ შემოგვეყურებენ, შემოგვეცქერიან, ან – ამოგვეყურებენ, ამოგვეცქერიან. მეთევზემ – და არა მოთევზავემ – თავისი წილი – და არა ნაწილი – მიიღო და სანოლიდამ – არა საძილე ოთახიდან – გავიდა, რომ სამი საათის სავალი – და არა სასიარულო – გაიაროს. სამი საათის სასიარულო ქართულად ის ადგილია, სადაც სამმა საათმა უნდა იარონ, ისეირნონ, ბოლთა ჰკრან!!!..

– სწორეთა ბძანებ, ჩემო ბაქარ! მაგრამ რათ ჩადიან მაგასა?

– რათა და იმიტომ, რომ არ უფიქრდებიან ხოლმე, არა!

– მაშ, არც ამას უფიქრდებიან, რომ გიჯერებ სხვა არის, გენდობი სხვა და გერწმუნები სხვა?

– სწორეთ არც ამას უფიქრდებიან. რამდენჯერ წამიკითხავს, რომ სწერენ: შენ სიტყვას ვერწმუნებო, სადაც უნდა ეთქვათ მნამსო ან მჯერაო; გერწმუნებო, სადაც უნდა ეთქვათ – გიჯერებო, და გიჯერებო, სადაც უნდა ეთქვათ – გენდობო.

– არ უფიქრდებიან, ჰა? – მაშ, არც იმას უფიქრდებიან, თუ იმ ძალს რა დაარქვან, რომელსაც ზღვაში ცეცხლის გემები დაჰყავს და ხმელეთზედ – რკინის გზის მატარებლები? – ზოგი ორთქლს ეძახის, ზოგი – ოხშივარსა და ზოგი – ბულსა. მართალია, რასაც რუსულათა ჰქვია **პარ**, ქართულად იმას სხვა და სხვა სახელი ჰქვია, როგორც, მაგალითად – კალესო – ქართულად ექვს თუ შვიდნაირი არის, რომ ყველას თავთავისი სახელი აქვს. – მაგრამ რაო? ჩვენი ენის სიმდიდრე დანაშაულად მიგაჩნიათ, თუ რა არის?..

– შენმა მადლმა, მამაო, მე ეგ ფიქრათაც არას დროს არ მომსვლია! მაინც როგორ უნდა, განმიმარტე ბარემ.

– მდულარე წყალი რომ რაღასაც კვამლს უშვებს ზევით, იმას ჩვენებურათ ჰქვია ბული, – ბული აუშვაო; – რუსულს აბანოში რომ გახურებულ ქვებზედ წყალს შეასხმენ და ცხელი კვამლი

დადგება, იმასაც ბუღი ჰქვია, ძალიანაც უყვართ, რომ იმ ბუღში იცოცხებოდნენ – ძვალსა და ხორცს გვიღობოსო; ჭენჭყობს ან წყლიან ადგილს რომ ცხარე მზე კვამლს აადენს, იმისას ვიტყვი: ორთქლი აუშვავო; – და გახურებულს მადნეულს რასმე, რკინას, სპილენძს რომ წყალი დაასხან, დიდის შიშხინით ისვრის კვამლსა, რომელსაცა ჰქვია ოხშივარი. – კალესოზედ თუ მკითხავ, ჩვენში არის თვალი, ურმისა მაგალითად; ბორბალი, ჩვენებური წისქვილისა; ჩარხი ან ჩალხი, რუსული წისქვილისა, ან წყლის გამყვანი; – გოგორა, – კროების პატარა ურმის თვალი; და კიდევ რამდენიმე სხვა, კარგათ აღარ მახსოვს. რუსულად ყველას კალესო ჰქვია და ჩვენებურად კი სულ სხვა და სხვა არის.

– არ დაუფიქრდებიან ხოლმე. არა, არა!

– დაგიჟინიათ, არ დაუფიქრდებიან ხოლმე, – შემომიტირა მრისხანედ პავლიაშვილმა. – რომ არ უფიქრდებიან, მაგითი ხომ გათუთხნეს ჩვენი მშობელი დედა ენა, ხომ წაპილნ...

ამ დროს უცბად იჭექა რალამაც და წამოგჭხტი. მივიხედე, – იქვე კურდღელი აფართხალებდა ფეხებს. მოვიხედე, მოვისვი თვალებზედ ხელი: სადღა შენი პავლიაშვილი, სადღა სხვა ვინმე.

წამძინებიყო თურმე და სიზმარში მქონიყო ეს ლაპარაკი.

შენ რომ მაშინ კურდღლისთვის თოფი არ გეკრა, ჩემო თეიმურაზ და მსწრაფლად არ გაგელვიძებინე, რამდენს რასმე კიდევ შევიტყობდი, ვინ იცის.

ამის კითხვაში ორიოდეჯერ შენც გაგეცინება. მეც ის მომაგონდა მაშინა და იმაზე ჩამეცინა.

[1879]

ქვენატკოცა

სასატილო ლაპარაკი

ამას წინათ „დროებას“ უჩივოდით, ქართული ენა იგვემებაო, მოთავენი იმერლები არიან და იმათ გაზეთში უფრო იმერული კილო ჰსუფევსო.¹

რედაქციასაც ესმოდა რასაკურველია ეს ჩვენი ამირანული გულში მღერა და დაეტყო კიდეც, რომ დაუახლოვდა ქართულს ენასა; – მაგრამ რომ შევიტყუეთ, ახალი გაზეთი უნდა გამოვიდესო² და მოთავეობას ესა და ესენი კისრულობენო, ზოგმა რა სთქვა, ზოგმა რა; ზოგი შეჰხტა და შემოტრიალდა სიხარულითა, ახლა ვიკითხავთ სწორე ქართულს გაზეთსაო; – ზოგი დაფიქრდა, ერთი გაზეთი მოგოგმანებს როგორც არის,³ და მეორეც რომ გამოდიოდეს, ვაი თუ ერთმანეთის ნაკიდებას მოუნდნენ და აქლემებში კოზაკი გამოიჭყლიტოსო, ეს ჩვენი საბრალო ენაო.

– ახალი გაზეთისა რა გესმის, თეიმურაზ?

– ბაქარის მზემ, ბეჯითი არა შემიტყვიარა; ჯერ რომ არა ვის რა **გამოუცხადებია**, სიღამ რას გვეიგებდით.

– ამბობენ, იანვარში **გამოაცხადებენო**.

– გამოაცხადებენ და ჩვენც ხელს მოვანერთ. რედაქტორობა თუ ილია ჭავჭავაძემ ითავა, ეს ხომ ყველამ ვიცით, რომე დიად კარგი მწერალია. მართალია, იმის ნაწერს ზოგან და ზოგან სომხური კილო დაჰყვება ხოლმე, ვისმესი და ვინმესიო, მაგალითად; მარა, – მახლას, როგორც ყიზილბაშებმა გვასწავლეს,⁴ – ამისთანა განტეხილება მას ყველაზედ უფრო ცოტა შემოაქვს დედა ენაში და რა თქმა უნდა, რომ მესხის გაზეთს მისი გაზეთი ემჯობინება.⁵

ამით დაიმედებულნი ველოდით, ჩვენებურის მოთმინებით, **გამოცხადებას**, და მოვანიეთ ამ დღემდისაც, როგორც იყო.

დღეს შემოგვიტანეს **განცხადება**, და ბაქარიც თან დაედევნა.

– იმე, იმე! **განცხადება** რავა? თუ სასამართლოში შესატანი ქალაღია, ან მთავრობის მისართმევი, აქ რასთვის მოიტანეს, – ნამოიძახხა თეიმურაზმა.

– აგრე თუ ამ თავითვე გამოეკიდე, ვაითუ სულ ველარაფერი მოინონო, ჩემო თეიმურაზ.

– არა, მამაშენი არ ნაწყდება, მართალს გკითხავ: **გამოცხადება** და **განცხადება** ერთია თუ სხვა და სხვაა?

– აწი, **გამოიცემო!** უი ჩემს თავს, გამოიცემო რავა იტყვი. გაზეთი გამოვავო, უნობდენ და აწი გამოიცემო? ვიშ!

– მაცალე, ადამიანო, რიგიანად წავიკითხოთ.

– გაცალე, მარა: **წინამძღომელი** წერილები, – დედავ!! რომ-**ლებშიაც** გამოითქმება – წავხდი! – განხილვა ყოველის **გვარის** საგნისა – რავა, მოორედ უნდა განიხილონ ყოველი ჩვენი გვარის საგნები თუ? რაც შეეხება **მთავრობითსა წარმოებასა**, – არა, რაია ეს, თუ გიყვარდე! – **სასამართლოების განაჩენის** ბეჭდვა, თუ სასამართლოს განაჩენების? – ეღირება **ექვსი მანეთი**, ეს თუ სომხური არაა, აბა რა ეშმაკია. ხელისმონერა **მიილება**, ტფილის-სღს გარედ-**დაიბარება**. მამაჩემი არ ნაწყდეს, მინდღეჩი არ გამე-გონოს გაზეთის **დაბარვა**. მე მოგიკვდე, თუ ეს ჰგავდეს რასმე.

– საოცარი გულსწრაფი ხარ ყოველს საქმეში, ჩემო თეიმურაზ. ყური დამიგდე, როგორ აგიხსნა, რასაც იწუნებ.

– მოგეცა სიცოცხლე, მარა სვიმონჭახუს რომ მომივა გაზე-თი, სად გდიო შენ მის ასახსნელად. – იცის გულთა მხილაგმა, მინდოდა დამებარებია, მარა, აჰ!.. შენ არ მოუკვდე ჩემს თავს! – ვესტნიკს დავლეჭავ რავარც იქნება,⁶ – და ამ განცხადების დაღეჭვა რომ სრულებით არ შეიძლება, ამისას რას მეტყვი!

– მაშ ეგ არის, არ დაიბარებ, ხელს არ მოანერ, არ გამოიწერ?

– წავხდი. მთლათ სუნელი ხომ არ გგონივარ შენ!

ჩემთან მოხდა ეს სასაცილო ლაპარაკი და ვსწუხვარ ჭეშმა-რიტად. – მოდი და კეთილს საქმეს მიჰყავ რასმე ხელი.

[1876]

თარგმანები

ორი პერონელი აზნაური

შექსპირის დრამა

გადმოთარგმნილი ანგლიურიდან

დომ. ყიფიანისაგან

ნარმოღბენილნი არიან:

მილანის დუკი,¹ მამა სილვიასი.

ვალენტინ პროტეოს } ვერონელი აზნაურიშვილები.

ანტონიო, მამა პროტეოსისა.

თურო, მოსულელო რაყიფი ვალენტინისა.

ეგლამურ, სანდო კაცი სილვიასი.

მარდი, მოხუმარო მსახური ვალენტინისა.

ლაუნსი, მსახური პროტეოსისა.

პანთინო, მსახური ანტონიოსი.

მასპინძელი, პატრონი სახლისა, სადაც ჯულია არის ჩამომხდარი მილანს.

ჯულია, ვერონელი ქალი, სატრფო პროტეოსისა.

სილვია, სატრფო ვალენტინისა.

ლუჩეტა, მუახლე ჯულიასი.

მუახლეები 4, მუზიკანტები 4, თული კაცები² 6.

სცენა არის ხან ვერონას, ხან მილანს, და მანტუას საზღვარზედ.

აკტი I

სცენა 1. სალაცხო ქალაქს ვერონას.

შემოვლენ ვალენტინ და პროტეოს.

ვალენტინ

კარგია ახლა, ჩემო პროტეოს; –
როგორ იქნება, რომ სულ შინ ჯდომა კაცს არ დააჩნდეს!
რომ არ ვიცოდე, რომ შენი სიყრმე საყვარლის ქალის
თვალების ეშხით არის დაბმული, –
დიდათა გთხოვდი წამოსულიყავ, ერთათ გვემგზავრნა,
უცხო ქვეყნების საკვირველება ერთათ გვეშინჯა,
ოლონდ-კი შენი ყმანვილ-კაცობა
აქ უსარგებლოდ და მცონარებით არ გავლილიყო.
მაგრამ – ქალს ეტრფი, და რალა ითქმის! – ბედნიერ იყავ! –
ისე მსურს შენთვის ბედნიერება, როგორც რომ ჩემთვის.
მეც თუ როდისმე გამიჩნდა გრძნობა სიყვარულისა! –

პროტეოს

მაშ, აღარ იშლი? – მიხვალ ეგ არის, ჩემო ვალენტინ?
მშვიდობით, ძმაო! და თუ შემთხვევით ჰნახავდე სადმე
შენს მგზავრობაში იშვიათს რასმე, ან საკვირველსა,
მომიგონებდე და ფიქრით მაინც მიზიარებდე
შენს სიხარულსა; – გასაჭირში კი, – თუ გაჭირვება
მოგადგა რამე, ჩემს წმინდა ლოცვას მოენდობოდე;
გულით მლოცველი ვიქნები შენთვის, ჩემო ვალენტინ!

ვალენტინ

შენი ლოცვანი? – წიგნი იქნება ტრფობისა, განა?

პროტეოს

ისეთის წიგნით ვილოცავ შენთვის, რომ სხვას მერჩივნოს.

ვალენტინ

რალა თქმა უნდა, წიგნი იქნება –
ღრმა რამ მოთხრობა ტრფიალებაზედ,
როგორც ლეანდრმა – ზღვა გასცურაო,³
რომ საყვარელთან მისულიყო!

პროტეოს

ეგ მოთხრობაა მართლად რომ დიდის სიყვარულისა,
რადგან ლეანდრი წელამდინ ფლულა ტრფიალებაში.

ვალენტინ

სწორეთ! და შენ ხომ წელს ზევითაც ხარ, –
თუმცაკი ზღვაში არსად გიცურავს!

პროტეოს

წელს ზევითა ვარ? მაშ სულ მაშიშვლებ, ეგ არის, რალა?

ვალენტინ

მაგას არ ვამბობ; არცა რასა გხდი, არცა რას გაცმევ!

პროტეოს

მაშ რალას ამბობ?

ვალენტინ

მე ამას ვამბობ, რომ არშიყობა სასაცილოა.
ოხვრის სანაცვლოდ დაგცინვენ, გკიცხვენ;
სადაც შენ სწუხხარ, იქ ამაცობენ; – წამის სიხარულს
ოცს ღამის ტეხის ფასად დაგისმენ. ისე დაგტანჯვენ. –
თუ გაიმარჯვე, ეგეც ვინ იცის, რა ბედს ეწევი?
და თუ ვერა, ხომ მსხვერპლი შეიქენ მწუხარებისა!
ბოლოს რა გახდა? უგუნურებას ჭკვა ანაცვალე, –
ან თუნდ ასე ვსთქვათ, ჭკუა უმონე უგუნურებას.

პროტეოს

მაშ შენის ფიქრით სულელათა მხდი, – ეს არის რალა?

ვალენტინ

მე ჩემის ფიქრით ამას ვიძიშვი, – მართლა არ გახდე!

პროტეოს

ტრფიალებზედ ამბობ მაგასა, ჩემზედ ხომ არა!

ვალენტინ

ტრფიალებაა შენი ბატონი, შენი მფლობელი,
და ამას გეტყვი, – უგუნურებას ვინცა ჰყმობია, –
იმაზედ, ვგონებ, აღარ ითქმოდეს, ბრძენი არისო.

პროტეოს

მნიგნობრებიკი ასე იტყვიან: როგორც ყვავილში
ჭია ჰბუდობსო, უბრწყინვალესსა გონიერებას
ტრფობის სურვილიც ისე იპყრობსო.

ვალენტინ

ასეც იტყვიან: როგორც რომ ჭია კოკორს არ აცლის,
რომ გაიშალოს და აჰყვავდესო, – ისე ტრფობაცა
ახალს, ნორჩს ჭკუას ჰლრღნის და ახმობსო; გაზაფხულზედვე
წამხდარი ჰსჭკნება, ჰხმება, ჰყვითლდება და ჰკარგავს ყოველს
სიყრმის იმედსა, რომ კაცად გაჰხდეს გამოსადეგათ; –
რომ განამართლოს, რასაც მოყვასნი მისგან ელიან.
მაგრამ მეც ერთი აქ კაცმა მკითხოს, შენთან ბაასით
დროს რათა ვჰკარგავ, მონა რომა ხარ ტკბილის ტრფობისა?
მშვიდობით კიდევ! ნავთ-საყუდელებზედ მამა მიმელის,
რომ გემში ჩამსვას და გამისტუმროს.

პროტეოს

მეც გამოგყვები, გამოგაცილებ, ჩემო ვალენტინ!

ვალენტინ

არა, ნუ! ჩემო კარგო პროტეოს! აქ გეთხოვები!
შენის წიგნების მოლოდინება მილანს მექნება.
შენს ტრფიალებას რაც დაჰყვებოდეს, ან რაც საჩინო
რამ მოჰხდებოდეს ამ ვერონაში, მატყობინებდე, –

მანამდის შენი ვალენტინ გარეთ გეგულებოდე!
ჩემის მხრით მეცკი ჩემს ამბავს ხშირათ გაცნობებ ხოლმე.

პროტეოს

ბედნიერ იყავ ყოვლითურთ მილანს, ჩემო ვალენტინ!

ვალენტინ

აქ შენც აგრეთვე, ჩემო პროტეოს, – და გამარჯვებით!
(ვალენტინ გავა)

პროტეოს

ეს სახელს მისდევს, – მე სიყვარულსა;
ესა ჰსცილდება თავისს მეგობრებს, მე ვაჯობო, –
და მე ვჰსცილდები სხვებსაც, ჩემს თავსაც, საყვარლისათვის.
შენი ბრალია, მშვენო ჯულიავ, რომ შეცვლილი ვარ;
სწავლას არ დაესდევ, დროს ვჰკარგავ, რჩევას არვისას ვისმენ
და ქვეყანასაც არაფრათა ვრაცხ; გონებას ვღალავ
უსაქმობითა; სულ შენს ფიქრში ვარ და გულს ვიმტკივნებ.
(შემოდის მარდი)

მარდი

ბატონო პროტეოს! თუ მოგეხსენებათ, ჩემი ბატონი ხომ არ
გინახავთ?

პროტეოს

ეს არის ახლა წავიდა აქედამ, რომ გემში ჩაჯდეს და მილა-
ნისაკენ გასწიოს!

მარდი

ვისაც უნდა დავენაძღვევები, თუნდ ერთზედ ოცი იყოს, რომ
ის ახლა გემში ჰზის და მეკი რიყეზე დავრჩი მოსხლეტილი ცხვა-
რივითა!

პროტეოს

მართლა რომ ცხვარი ადვილად მოსხლტება ხოლმე, რა რომ
მეცხვარე მოსცილდება.

მარდი

ბარემ ასე ბძანე, ჩემი ბატონი მეცხვარე იყოს და მე ცხვარი რალა?

პროტეოს

მანც აგრე ვამბობ.

მარდი

მაშ მძინავს თუ მღვიძამს, ჩემი რქები იმისი რქებია?

პროტეოს

თოხლური პასუხი თუ გინდა, სწორეთ ეგ არის.

მარდი

მაგითი კიდევ ამასა ბძანებ, რომ ცხვარი ვიყო.

პროტეოს

სწორეთ. და შენი ბატონი არის შენი მეცხვარე.

მარდი

ღიას არა; მე შემიძლია დაგიმტკიცოთ, რომ არა.

პროტეოს

ვერა მგონია; მეც-კი დაგიმტკიცებ, რომ შენ ეგ მე ვერ დამიმტკიცო.

მარდი

მეცხვარე ეძებს ხოლმე ცხვარსა; ცხვარი ხომ არ ეძებს მეცხვარესა; და მე, – მე ვეძებ ჩემს ბატონსა, ის ხომ მე არ მეძებს; მაშ ეტყობა ცხვარი არა ვჰყოფილვარ.

პროტეოს

საძოვრისათვინ ცხვარი მისდევს მეცხვარესა, – მეცხვარე ხომ ცხვარს არ მისდევს. შენ შენი ჯამაგირისთვინ მისდევ შენ ბატონსა, ის ხომ არ მოგდევს, ჯამაგირი გამომართვიო. მაშ გეტყობა, ცხვარი ყოფილხარ.

მარდი

ერთი მაგისტანა პასუხი კიდევა და უნდა დავიბლავლო კიდეცა, რალა?

პროტეოს

აგრე ქენი, მაგრამ შენ ჩემი წიგნისას რატომ არას მეტყვი; მთავარი ჯულიასა თუ არა?

მარდი

დიახ, ბატონო! დაკარგულმა ცხვარმა წიგნი მთავარი დაჭერილ ბატკანსა და იმ დაჭერილმა ბატკანმა დაკარგულ ცხვარს გასამრჯელოკი არა მიბოძარა.

პროტეოს

იმის საძოვარზედ მაგდენი ცხვარი სად დაეტევა

მარდი

საცა ვინროობაა, იქ ცოტა მიწვევ-მონწევა უნდა.

პროტეოს

აკი გითხარი, გავარდნილი თოხლი ხარ მეთქი და სწორეთ ამანათივით შენახვა გინდა შენა.

მარდი

ღმერთს ენდე, უკეთესი იქნებოდა, რომ გეძახებინა: ა! მანათი! ვითამ შენი გასამრჯელოთაო.

პროტეოს

შემცდარი ხარ, მე გეუბნები, შენახვა გინდა ამანათივითა მეთქი.

მარდი

შენახვა მაგ მანათივითა? მე მაგასა ვჩივი, რომ შენახულია თქვენი მანათები და რაც წიგნის მისატანი მერგებოდა, იმისი მესამედიც არა გამოდისრა.

პროტეოს

მაინც რაო, რა გიპასუხა? *(მარდი თავს იქნევს)* თავი დაგიქნია?

მარდი

დიახ!

პროტეოს

დიახ?! ნეტავი რას მიედ-მოედები?

მარდი

მე მოგახსენეთ, თავი დამიქნია მეთქი; – თავი კი დაგიქნიაო? კიდევა მკითხამთ და მოგახსენებთ, დამიქნია მეთქი.

პროტეოს

მანდ სულ არა გამოდისრა, თუ არ შენი სისულელე.

მარდი

ვსთქვათ, აქედამ ჩემი სისულელე გამოდის; – ახლა თქვენი ქისიდამაც გამოდის რამე, თუ არა?

პროტეოს

არა! ჩემი ქისიდამ არა გამოვარა, თუ არ წიგნის მისატანი.

მარდი

რა გაეწყობა! ყველა უნდა მივილო თქვენგანა!

პროტეოს

რაო? რა უნდა მიილო ჩემგანა?

მარდი

ეგ წიგნის სამაგიერო ბატონო, შესაფერი სამაგიერო.

პროტეოს

შენ როგორღაც ჭკუას ძალას ატან, მგონია.

მარდი

თქვენ ქისას მაინც ვერ მოვახსნევივინე პირი, არა მეშველარა.

პროტეოს

კარგია, ბევრს ნუ მიჰქარავ! ჯერ ეგ შენი პირი მოხსენ და შემატყობინე, რა გითხრა?

მარდი

ბარემ თქვენი ქისაც მოხსენით, რომ აქედამ პასუხი და მანდე-დამ პასუხის სამაგიერო ერთათ გადვიდ-გადმოვიდნენ.

პროტეოს

აჰა, ესეც შენი სამაგიერო! ახლა, რა გითხრა?

მარდი

სწორე მოგახსენოთ, ბატონო, მგონია ადვილათ იშოვნოთ ისა.

პროტეოს

ნეტა რა ვქნა! რატომ აგრე გიცვინია, მერე?

მარდი

არა ბატონო! მე ის სულაც არ მიცვინია; ისე არ მიცვინია, როგორც ერთი ოქროც არ მიცვინია იმისი, თქვენი წიგნის მისატანი. და თქვენი ამბის მიმტანთან თუ აგრე ხელ-მოჭირებულისა, თითონ თქვენთანაც რომ აგრე იყოს, მერე? – თქვენ იმასთან ქვის მეტი არა დაგჭირდებათრა, თითონ რომ ფოლაღვიით მაგრა არი!

პროტეოს

მაინც რაო! სულ არა გითხრა რა?

მარდი

ესეც არ მითხრა, – აჰა, შენი გასამრჯელოო. თქვენ რომ მიბოძეთ ახლა, მე იმის მაღლობის მოსახსენებლად ამას გირჩევთ, რომ დღეის იქით თქვენი წიგნი თქვენვე მიუტანოთ ხოლმე. ახლაკი მშვიდობით, ბატონო, და თუ მიბძანებთ, ჩემს ბატონს თქვენ მაგიერად მოკითხვას მოვახსენებ.

პროტეოს

გასწი, გასწიე, მარდათ ირბინე; ეგება გვემას გადაარჩინო თქვენი ხომალდი! შენ თუ ზედა ხარ, ფიქრი არ არის; თოკით დასარჩობს ზღვა ვერ დაარჩობს. შენ მაგიერი სხვა უფრო სანდო თუ არ ვიშოვე, ჯუღია პასუხს მე არც ერთ სტრიქონს აღარ მალირსებს, რაც უნდა ვსწერო.

(გავლენ)

სცენა 2. ვერონაშივე. ჯულიას სახლის ბაღი.

შემოვლენ ჯულია და ლუჩეტა.⁴

ჯულია

მითხარ, ლუჩეტა! მარტო ვართ ახლა!
მაშ, სწორეთ მირჩევ, რომ ტრფიალებას გული მივანდო?

ლუჩეტა

ოღონდაც, მაღამ! მაგრამ რიგითკი, მგრძნობელობითა.

ჯულია

ყმანვილ-კაცების ბრწყინვალე დასში, მე რომ მეტრფიან,
მუდმად ყოველ-დღე პატივისცემას რომ მიცხადებენ,
ვინა გგონია, უფრო ღირს იყოს, რომ მე შევიტროფო?

ლუჩეტა

დამისახელეთ ერთი კიდევა, რომ მოვიგონო,
და სწორეს გეტყვით, ვისას რას ვჰფიქრობ.

ჯულია

მშვენიერს ყმანვილს ეგლამურზედა, – აბა, რას იტყვი?⁵

ლუჩეტა

ტანადი, სუფთა, ტკბილ-მოუბარი; მაგრამ მე თქვენი
რომ ვიყო, იმას საყვარლად სულაც არ ავირჩევდი.

ჯულია

მაშ იმ შეძლებულს მერკუციოზედ რაღასა ჰფიქრობ?

ლუჩეტა

იმას შეძლება – დიად კეთილი; მაგრამ თითონკი...

ჯულია

იმ კეთილშობილს პროტეოსზედა ვნახოთ, რას იტყვი?

ლუჩეტა

ოჰ, ღმერთო, ღმერთო! რა სულელი ვარ, ვინ გამიკითხავს?!

ჯულია

რა იყო, მერე? იმის ხსენება გულში რათ მოგხვდა?

ლუჩეტა

გთხოვთ მომიტევეთ, თქვენი ჭირიმი; დამნაშავე ვარ, მე უგუნური, ასე ვახსენებ ამისთანა ღირსს ყმანვილ კაცებსა; ჩემგან განკითხვა არ ეკადრებათ.

ჯულია

თუ სხვებზედა ჰსთქვი, პროტეოსზედკი რატომ აღარა?

ლუჩეტა

მაშ, მოგახსენებთ: უკეთესებში ის უფრო მომწონს.

ჯულია

მაგის მიზეზი? რა მიზეზი გაქვს?

ლუჩეტა

სხვა რა მიზეზი, თუ არ ქალური: იმიტომ მომწონს, რომ... მომწონს, რა ვჰქნა?

ჯულია

გეტყობა მირჩევ, რომ ის შევიტრო!

ლუჩეტა

დიად, თუ რომ სხვა არავინ არის უფრო სატროფობი!

ჯულია

ეგ კარგი, მაგრამ, თუ მომწონს ვინმე, ის უფრო ნაკლებ.

ლუჩეტა

იმას კი სხვებზედ უფრო უყვარხართ.

ჯულია

სულ ჩუმათ არის, და ამითი ჰსჩანს, რომ გულგრილია!

ლუჩეტა

დაფლული ცეცხლი უფრო დიდხანს სძლებს ანთებულზედა.

ჯულია

ვინც ვერ წარმოსთქვამს, იმის გრძნობისა არა ვიცირა.

ლუჩეტა

ვინც რომ ბევრს ამბობს, იმისი გრძნობა მე სულ არა მწამს.

ჯულია

ნეტავი ერთი იმისი გრძნობა შემატყობინა.

ლუჩეტა

ამ წერილიდამ ამოიკითხეთ.

ჯულია

ეგ ვისი არის?

ლუჩეტა

თითონ ეს წიგნი შეგატყობინებთ.

ჯულია

მითხარი მეთქი, ვინ მოგცა ეგა?

ლუჩეტა

ვალენტინისმა... მსახურმა... მგონი... პროტეოსისა...
თქვენთან მოჰქონდა, მაგრამ მე შევჭხვდი და გამოვართვი.
თუ დავაშავე, გთხოვთ მომიტევოთ.

ჯულია

ეგ შენ ძალიან კარგი ხელობა დაგიჭერია!
მაგ საარშეიყო წიგნების ზიდვას როგორ მიბედავ?
შენ მოლალატედ შემოსდგომიხარ ჩემს სიმშვიდესა?
ახლავ წაიდე და დაუბრუნე, ვინც გამოგზავნა, –
თუ არა თვალთ არ დამენახო!

ლუჩეტა

ტრფიალის ქომავს უფრო კეთილი პასუხი ჰშვენის.

ჯულია

გახვალ თუ არა?

ლუჩეტა

გიახლებით, რომ, იქნება უფრო კარგა იფიქროთ.
(გავა)

ჯულია

კარგსკი ვიქმოდ, თვალი ჩამეგლო იმ წიგნისათვის.

ისევ მოვიხმომ? სირცხვილს რა ვუყვო, მევე რომ ვჰკითხო,
რისთვისაც აგრე მძიმეთ დავტუქსე საბრალო გოგო?
რა სულელია! ხომ იცის, რომ ვარ ყმანვილი ქალი?
ვერ მოახერხა, რომ წიგნი ჩემთვის ძალად მოეცა?
ყმანვილი ქალი მორცხვობით იტყვის, „არა, არაო“,
სადაც რომ გული ეჩურჩულება, ჰსთქვი „დიალაო“.
ეჰ! სიყვარულო! რა კაპასი ხარ და უგუნური! –
ჩჩვილი ძუძუსა რომ კიდეცა ჰსწოვს და კიდეც ჰკანწრავს,
ტრფიალებაში ყმანვილი ქალიც სწორეთ ისეა.
რა განრისხებით გავაგდე გარეთ ჩემი ლუჩეტა. –
როდესაც მსურდა, რომ ისევ ჩემთან აქ ყოფილიყო.
რა გულის წყრომით დავუპრიალე სანყალს თვალები,
როდესაც გული მიტრიალებდა სიხარულითა!
ჩემი სასჯელი ეს თუ იქნება, რომ დავუძახო
და ტკბილათ დავჰხვდე, რომ სხვა ბოდიში აღარ დამჭირდეს.
ქალო ლუჩეტა! ლუჩეტა!

ლუჩეტა

ბძანეთ! აგერ გახლავარ!

ჯულია

სადილის დროა, თუ არა ჯერა?

ლუჩეტა

ნეტავი იყოს თქვენის სიცოცხლით:
ჯავრს საჭმელებზედ ამოიყრიდით
და მე ამითი გადაგრჩებოდით.

ჯულია

რა იყო ეგა, რას დასწვდი მანდა?

ლუჩეტა

ოჰ! არაფერსა.

ჯულია

რა იყო მეთქი, რომ დასწვდი მანდა?

ლუჩეტა

ქალაღდი გახლდათ და ის ავიღე.

ჯულია

მერე ქალაღდი არაფერია?

ლუჩეტა

ჩემთვის ოღონდაც, არაფერია!

ჯულია

მაშ გდებუღიყო, რაღა გინდოღა.

ლუჩეტა

რომ გდებუღიყო, ვაი თუ ცუღათ ეთარგმნა ვისმე,
და მართალიც ხომ გამტყუნდებოღა!

ჯულია

მაშ უსათუოთ შენა გნერს ვინმე ტკბიღ შაირებსა!

ლუჩეტა

თუ აგრე არის, მაშ შეიძღება, რომ დავამღერო
და ხმა მასწავღეთ.

ჯულია

მაგეებისა არა ვიცირა.
თუნდ ამ ხმაზედ სთქვი: „სიყვარუღის მნათობო!..“

ლუჩეტა

ამ შაირისთვის ეგ ხმა არ ვარგა, – მღაბაღი არის.

ჯულია

როგორ მღაბაღი? მაშ ეგ მაღალი ყოფიღა რამე?

ლუჩეტა

მაღალი, მაგრამ ხმა დიად ტკბიღი, თქვენ თუ დაჰმღერებთ.

ჯულია

რატომ შენ არა?

ლუჩეტა

მე ამისს კიღოს სულ ვერ მივაგნებ.

ჯულია

მაჩვენე ერთი!.. მაჩვენე მეთქი!..

ლუჩეტა

მიირთვით, მაგრამ კილოს ნუ შეჰსცვლით. მე კი ჩემ თავათ მაგისი კილო არაფრად მომწონს.

ჯულია

რატომა მერე?

ლუჩეტა

მეტად ძნელია, აწევა უნდა!

ჯულია

შენ მანდ, მგონია, ჰბოდავ რალასაც.

ლუჩეტა

აკი ვიცოდი, კილოს შეცვლიდით.

ბანი და კილო სულ აირია.

ცხადათა ვჰხედავ, რომ კილოს მთქმელი გვაკლია აქა.

ჯულია

შენვე გვაცრუებ ბოხის ბანითა.

ლუჩეტა

მე პროტეოსის ბანს ვამბობ აქა.

ჯულია

კიდევა? კმარა! მეტათ მომწყინდა *(ნიგნსა ჰფხრენს)*

შენი ბრიყვული მიდებ-მოდება! გაეთრი გარეთ!

გაეთრი მეთქი! მაგ ნაფხრენებთან რალა საქმე გაქვს?

რომ გამაჯავრო, ის გინდა განა?

ლუჩეტა

(ცალკე) ძალიან წყრება; მაგრამ გულით კი უნდა კიდევა, ახალის ნიგნით რომ ვანყენინო. *(გავა)*

ჯულია

ნეტავი, მართლა, ერთი ამ გვარად კიდევ შემბედოს!

საზიზლო ხელო! როგორ დაგლიჯე ტრფობის სიტყვები!
 კრულო ტრაზანავ, თაფლსაც რომ სწუნნი და ყვავილსაც ჰკლავ
 გესლიანისა შენის ნისკარტით. მე ამით დაგსჯი,
 რომ ამ ნაგლეჯებს აგაკრეფინებ და გადავჰკოცნი! –
 აქა სწერია: გულნაზო ჯული? – კაპასო ჯული!
 შენი უგვანი უმადურების სამაგიეროდ
 ქვებზედ მივაგდებ ამ შენს სახელსა
 და ფეხით გავსრეს შენს სიამაყეს! –
 აქა სწერია: გულ-დაკოდილი პროტეოსიო!
 ტკბილო სახელო დაღონებულო! აქ განისვენე,
 ამ გულზედ, მანამ სულ მორჩებოდე; და ნება მომეც,
 რომ ამბორს გიყო; მაგრამ ორჯელა! ორჯელ სწერია
 ხომ ეს სახელი! ქარო არ გაჩნდე, კეთილო ქარო!
 და ეს ფურცლები არ მოიტაცო, მანამ ავჰკრეფდე
 ყველას, ყველასა, ჩემს სახელს გარდა; – და ეს სახელი
 თუნდ ქარიშხალმა კლდეზედ შეაგდოს, შავზედ, საზარზედ,
 და იქიდანაც გადასცეს ზღვასა აღელვებულსა. –
 აქ ერთს სტრიქონში იმის სახელი ორჯელ სწერია:
 პროტეოს წყლული, პროტეოს გულით,
 გრძნობით ტრფიალი,
 სათაყვანებელს ჩემს ჯულიასა! ამას კი მოვჰხევე;
 მარამ რისთვისა? ორივ სახელი კარგათ არიან
 შეტოლებულნი! მაშ ისე დავჰკეცე, რომ ერთათ იყვნენ,
 ჰკოცნეთ, ეხვიეთ, ისიამოვნეთ, რაცა გნებავდეთ!

ლუჩეტა

მადამ! სადილი მზათ გახლავთ ახლა და მამა გელისთ.

ჯულია

კარგი, ნავიდეთ!

ლუჩეტა

ესენი დარჩეს? ავჰკრეფე, რომ არა წამოროშონ რა.

ჯულია

გასაფრთხილებლად თუ მიგაჩნია, დიად აკრიფე!

ლუჩეტა

ისიც გადამხდა, ხელიდამ წიგნი რომ ძირს გამვარდა, თუ აქ გავუშვი, ხომ უარესი, გაცივდება.

ჯულია

მე ვჰხედავ, დიდათ აფასებ შენთვის მაგ ნაფლეთებსა.

ლუჩეტა

დიალ, ვჰხედავო, კარგათა ბრძანებთ; მაგრამ მეც ვჰხედავ ზოგიერთ საქმეს, თუმცა გგონიათ, რომ სულ ბრმა ვიყო.

ჯულია

ნავიდეთ, კარგი! მოხვალ თუ არა? *(გაკვლენ)*

სცენა 3. იმავე ქალაქში. ოთახი ანტონიოს სახლში.

შემოვლენ ანტონიო და პანტინო

ანტონიო

პანტინო! ჩემი ძმა რომ რაღასაც გეუბნებოდა, მითხარ, რა იყო? რა საქმეებზედ ლაპარაკობდი?

პანტინო

თავისს ძმის წულზედ ლაპარაკობდა, თქვენს პროტეოსზედ.

ანტონიო

მაინც, რაზედა?

პანტინო

უკვირდა, რომ თქვენ შვილს ნებას აძლევთ შინ-ყოფნისასა, როდესაც ბევრით თქვენზედ მდაბალნი სხვაგან გზავნიან თავისს შვილებსა, რომ დახელოვნდნენ და განვითარდნენ: ზოგნი საომრად, რომ ისახელონ თავისი თავი; – ზოგნი რომ ზღვაში ახალს კუნძულებს აღმოაჩენდნენ; ზოგნი – სწავლისთვის, უნივერსიტეტს, სამეცნიეროდ. ამას ბძანებს, რომ თქვენს შვილს ყოველგან შეუძლიაო გამოჩენაო, და მე მიბძანა

თქვენ მოგახსენოთ, შინ რათ იჭერთო; ნება მიეცით
სხვაგან წასვლისა; თორემ როდესაც მოხუცდებო,
ბევრს იწუხებსო ყმანვილობაში შინ ჯდომასაო.

ანტონიო

ბევრი თათბირი არ უნდა აქა; – თვე მეტი არის,
რომ მეცა ვჰფიქრობ და ვარჩევ მაგას. კარგათა ვჰხედავ,
რომ ჰკარგავს დროსა და არ ივარგებს, თუ სხვა ქვეყნებში
მიხედ-მოხედვას არ შეუდგება. გამოცდილება
დიდი რამ არის; და თუ არ საქმით, ხომ არ იქნება;
დროც თუ არ შესწევს, არც ეს ივარგებს. ახლა მითხარი
საით გგონია სამჯობი იყოს, რომ გავისტუმროთ?

პანტინო

ვჰგონებ, ბატონო! მოგეხსენებათ, რომ თან შეზრდილი
და მეგობარი თქვენის შვილისა, ის... ვალენტინი,
იმპერატორთან არის ამ ჟამად!

ანტონიო

როგორ არ ვიცი!

პანტინო

თქვენი რისხვა მაქვს, თუ არა სჯობდეს, რომ პროტეოსიც
იქით გაჰგზავნოთ; ცხენოსნობასა და ჯირითობას
კარგათ ისწავლის ხალხში ყოფნასა, კარგს საუბარსა,
სუ ყველაფერსა, რაც რომ შეჰშვენის იმის ასაკსა
და გვარ-შვილობას.

ანტონიო

ეგ აზრი მომწონს; რიგიანია! მე დაგიმტკიცებ,
რომ მიჯერია, და რასაც ვიტყვი შევასრულებცა.
როგორც შემთხვევა გაჩნდება რამე, მაშინვე ვგზავნი
იმპერატორთან.

პანტინო

თუ რომ ინებებთ, დონ ალფონსო და ორი თუ სამი
სხვა საპატიო მოქალაქენი ხვალ მივლენ მილანს.

ანტონიო

სხვა რალა გვინდა. მაშ პროტეოსიც იმასთან წავა.
აგერ, ისიცა! შენ გაგვეცალე. *(შემოვა პროტეოს. წიგნი უჭირავს ხელში. მამას ვერ ჰხედავს)*

პროტეოს

ტკბილო სატრფოო! ტკბილო წერილო! ტკბილო სიცოცხლე!
აჰ, იმის ხელი და მოციქული იმის გულისა!
თავის სიყვარულს ამით მარწმუნებს და მეფიცება.
ჩვენს სიყვარულზედ ჩვენი მშობლებიც რომ დაგვეთანხმენ
და ნება მოგვცენ ჯვარის წერისა!! ოჰ, ნეტარება!
ოჰ, ზეციერო მნათო ჯულიავ!

ანტონიო

რა არის ეგა, რასა კითხულობ?

პროტეოს

(შეკრთომით) ეს გახლავს ორი თუ სამი სიტყვა ვალენტინისა;
მგზავრი უნახავს აქ მომავალი და ინერება –
კარგათა ვარო.

ანტონიო

მაჩვენე ერთი, აბა, რასა გწერს ახალს ამბავსა?

პროტეოს

მაგდენს არაფერს, ბატონო მამა! ამას მწერს, რომა
კარგათა ვარო, ვმხიარულობო, იმპერატორი
დიდათ მწყალობსო; – ჰსურს მეც იქ ვიყო, რომ თავის ბედი
გამიზიაროს.

ანტონიო

მაგ სურვილისას შენ რალას იტყვი?

პროტეოს

რასაც თქვენ ბძანებთ, იმას ვადგევარ, ბატონო მამა!
მეგობრის სურვილს თქვენს ბრძანებასთან რა ხმა ექნება?

ანტონიო

რაც იმასა ჰსურს, ჩემი სურვილიც სწორეთ ეგ არის.
ნუ გიკვირს, შვილო! ეს მოწყვეტილი ჩემი პასუხი.
რასაცკი ვიტყვი, ხომ კარგად იცი, შევასრულებცა.
მე ეს ვარჩიე, რომ შენც იქ დაჰყო რამდენსამე ხანს
ვალენტინესთან იმპერატორის სასახლეშია:
სახარჯავათ ფულს იმდენს გაგიჩენ, რასაც ვალენტინს
მამა უგზავნის. მამ ხვალ მზათ იყავ, რომ გზას დაადგე; –
აქ ლაპარაკი არა უნდარა; ვჰსთქვი და გათავდა.

პროტეოს

ბატონო მამა! აგრე საჩქაროთ როგორ იქნება!
ერთი-ორი დღე მაინც მაცალეთ, რომ მოვემზადო.

პროტეოს

აბა რილასთვის! თუ დაგაკლდა რამ, იქ მოგაშველებთ.
მაშასადამე დაგვიანება რის მაქნისია!
ხვალვე სჯობს წასვლა. აქ მო, პანთინო! მე შენ მოგანდობ,
რომ ყოვლის ფრითა ხელი შეუწყო და მოამზადო.
(ანტონიო და პანთინო გავლენ)

პროტეოს

ერთს ჭირს გავექეც, ახლა მეორეს უარესს შევჰხვდი.
ცეცხლს მოვერიდე, არ დამწვას მეთქი; და მაგიერად
წყალში ჩავვარდი და ვიღუპები! ვერიდებოდი,
რომ აქ მამაჩემს ჯულიას ნიგნი არ წაეკითხა,
ჩემს სიყვარულზედ არ გამწყრალიყო და ამის ნაცვლად,
თვითან მე ვუთხარ, რისაც უარესს ის ვერ მეტყოდა.
ოჰ! როგორა ჰგავს ეს ტრფიალება აპრილის დღესა!
ერთს წამს უყურებ, მზე ჰბრწყინავს, გვათობს; გამოიხედავ,
ისევ დაჰღრუბლა და დააბნელა ცა და ქვეყანა.
(შემოვა პანთინო)

პანთინო

ბატონო პროტე! მამა გიბძანებთ, ეხლავ მოდიო;
ნუ იგვიანებთ, რომ არ გაჯავრდეს.

პროტოს

რას ჰნიშნავს ესა? დამორჩილდიო, გული მომძახის;
არა, არაო, – ამასაც მითქვამს?.. უნდა წავიდე!

ა კ ტ ი 2.

სცენა 1. მილანი. ოთახი დუკის სასახლეში.

შემოვლენ ვალენტინ და მარდი.

მარდი

ბატონო! აგერ, თქვენი თათმანი!

ვალენტინ

ჩემი თათმანი ხელზედ მაცვია.

მარდი

ცალია და მაშ ვისი იქნება?

ვალენტინ

რაო? მაჩვენე! ჩემია, ჩემი! მომეცი აქა! ოჰ, სამკაულო! რო-
მელი ეცმი ღთიურსა ხელსა! ო! სილვია! სილვია!!

მარდი

მადამ სილვია! მადამ სილვია!

ვალენტინ

რა გაღრიალებს, რა მოგეჩვენა?

მარდი

არ ესმის, ბატონო და მაშაჰ!

ვალენტინ

მერე ვინ გითხრა, დაუძახეო?

მარდი

თქვენ არ უძახდით? იქნება ისე მომესმა?

ვალენტინ

კიდევ არ იშლი შენს სისწრაფეს?

მარდი

გუშინ არ იყო, მიჯავრდებოდით, ზარმაცი ხარო!

ვალენტინ

კარგი! მითხარი! მერე – სილვია იცი ვინ არის?

მარდი

თქვენ რომ გიყვართ, ბატონო, ის არ არი?

ვალენტინ

მერე რა იცი, რომ მიყვარს ვინმე?

მარდი

აი, მოგახსენებ, როგორ შევიტყე: ჯერ ერთი ესა, რომა, პროტეოსივით ხელების მტვრევა გისწავლიათ, თითქო სუყველაფერზე გაჯავრებული იყოთო; – მერე ყვითელი ჩიტივით დასტვენთ, თითქო არშიყობას იმღერდეთო. – ხალხს ერიდებით, თითქო სნეზა სჭირდეს ვისმეო, – ახლა ისე ოხრავთ და ხვნივით, როგორც შაგირდი, ანაბანა რომ დაუკარგავს; – ყმანვილი ქალივით იცინგლებით, თითქო ბებია მოგკვდომოდეთ; – არასა სჭამთ, თითქო ავანტყოფი იყოთ და ფარეზობდეთ;⁶ არ იძინებთ, თითქო ქურდისა გეშინოდეთ; – მერე დღეობის მთხოვარივით ჩაცივება დაგჩემებიათ. – უნინ რომ იცინოდით ხოლმე, მამლის ყვილსა ჰგავდა თქვენი კასკასი; – უნინ რომ დადიოდით ხოლმე – ლომს მიგიგავდათ სიარული; – თუ მარხულობდით როდისმე, ისევ სადილთ უკან თუ; თუ დაგაღონებდათ რამე, ისევ უფულობა თუ; ახლა კი თქვენ საყვარელ ქალს ისე გამოუტყვლიხართ რომა, მე რომ გიყურებთ, ძლივლა გცნობთ ჩემ ბატონათა.

ვალენტინ

რაც მანდ მოთვალე, ყველა ეგ ჩემში არის ვითამა?

მარდი

სულ ზედ გაჩნიათ.

ვალენტინ

როგორ თუ ზედა?

მარდი

ზედა მეთქი? დიად, სწორეთ. სხვა ვინ იქნება ისეთი, რომ ამდენ ნაირი სისულელე გარედამაც აჩნდეს. თქვენში კი ისე არის გამჯდარი, რომ როგორც სტაქანიდამ... სულ ისე გამოჩანს; – ვინც კი შემოგხედავთ, აქიმიც რომ არ იყოს, მაინც მაშინვე შეგატყობთ, რაცა გჭირთ. –

ვალენტინ

ერთი მითხარი, შენ სინიორა სილვიას იცნობ?

მარდი

აიმასა, როცა ვახშმათა ხართ, თვალს რომ არ აცილებთ ხოლმე?

ვალენტინ

ჰო, იმას! ეგეც შეგიმჩნევია?

მარდი

ვერა, ბატონო, ვერ ვიცნობ.

ვალენტინ

ნეტა რას მიჰქარამ; თვალს რომ არ ვაცილებ ეს შეგიმჩნევია და ვისაც არ ვაცილებ, იმას კი ვერ იცნობ?

მარდი

მეტათ რაღაც რამ უჟმური რომ არის, ის ხომ არ არის?

ვალენტინ

როგორ თუ უჟმური! ისე მშვენიერი ვერ არის, როგორც სანდომიანია. –

მარდი

ეგ ხომ მეც ვიცოდი.

ვალენტინ

რა იცოდი?

მარდი

რომ ისე ლამაზი ვერ არის, როგორც სანდომიანია, თქვენის ჭკუით.

ვალენტინ

მე ვამბობ, რომ იმისი მშვენიერება გასაოცარია და გულის სიკეთე იმისი – დაუფასებელი.

მარდი

ეგ იმიტომ, რომ ერთი არის ნახატი და მეორე უფასო.

ვალენტინ

როგორ ნახატი? როგორ უფასო?

მარდი

ისე ნახატი და ისე უფასო, რომ იმის სილამაზეს სულაც არაფრად ჩააგდებენ.

ვალენტინ

მაშ შენ მე როგორ მიცნობ, იმის მშვენიერებას რომ ვეტრფი.

მარდი

რა რომ წახდა, მას აქეთ ხომ ჯერ არ გინახავთ.

ვალენტინ

როდის წახდა, მერე?

მარდი

არშიყობა რომ დაუნყეთ, მასუკან.

ვალენტინ

რაც ერთხელა ვნახე, სულ ის არის, ყოვლად მშვენიერი.

მარდი

დაინახეთ თუ არა, მაშინვე თუ გაუარშიყდით, როგორღა გაშინჯავდით?

ვალენტინ

ნეტა რა ვქნა?

მარდი

ხომ მოგეხსენებათ, სიყვარული ბრმა არისო, ჩემი თვალები მაინც გქონიყოთ, ან ისევ ის თვალები, ნათლათ რომ იხედებოდით, როდესაც პროტეოსს აყვედრებდით, უწვივსაკრავოდ რად დადიხარო?⁷

ვალენტინ

რომ გამეშინჯა, რა უნდა შემეცყო?

მარდი

თქვენი ახლანდელი გონების ნაკლებობა და იმ ქალის სიგონჯე. პროტეოსი ქალის სიყვარულით ველარა ჰხედავდა, რომ უწვივსაკრავოდ გამოდიოდა და ახლა ველარც თქვენა ჰხედავთ ამასა.

ვალენტინ

ბიჭო, მაშ ამ ანგარიშით შენც უნდა გიყვარდეს ვინმე; ამიტომ, რომ დღეს დილას ველარა ჰხედავდი, რომ ჩექმებს გაუნმენდელს მაცმევდი.

მარდი

ეგ მართალია, ბატონო! ჩემ ქვეშაგებს ვეტრფოდი მაშინა. მადლობას მოგახსენებთ, რომ დამტუქსეთ და ჩემს საყვარელს მომაცილეთ. ამის სამაგიეროდ ახლა მე გიბედავთ, რომ თქვენც გაყვედროთ თქვენი საყვარელი.

ვალენტინ

ბოლოს გამოდის, რომ მე ჩემს მგზნებარე სიყვარულს მაინც მოუცილებლად ვადგივარ.

მარდი

რომ ჩაგსვამდნენ სადმე, მალე არ ჩაქრებოდა ეგ თქვენი მგზნებარე სიყვარული.

ვალენტინ

წუხელის ერთ კაცთან წიგნის მიწერა დამსაქმა, ჩემი მეგობარიო.

მარდი

მერე? დაუნერეთ?

ვალენტინ

რასაკვირველია.

მარდი

აბა, ეგ ნიგნიკი არ გამოვიდოდა უთავბოლო, მე მოგახსენო.

ვალენტინ

სულაც არა; როგორცკი შემეძლო, ისე კარგათ დავუნერე. – ჩუმათ! აგერ თვითანაც მობძანდება. *(შემოვა სილვია)*

მარდი

ერთი ამ კუკების თამაშობას უყურეთ!⁸ როგორ მოუხერხებია და? თავის მაგიერათ ამასვე ალაპარაკებს ნიგნითა.

ვალენტინ

ბატონო მადამ! დილა ნებისა ათას გზის!

მარდი

(ცალკე) ღამე ნებისა არ ერჩინა! მაგრამ ერთი ერთმანერთს ვინ რამდენაირათ მოიკითხავს – ვინ იცის.

სილვია

ჩემო მხლებელო სინიორ ვალენტინ! აგრეთვე თქვენცა ორი ათას გზის!

მარდი

(ცალკე) სარგებელი ამას უნდა ეძლია და ის აძლევს; უყურეთ ერთი!

ვალენტინ

თქვენ რომ წუხელის ნიგნი მიბძანეთ, დავსწერე უცნობს თქვენს მეგობართან. მე ვერ გავსწევდი ამ შრომას, თუ არ თქვენის სურვილის აღსასრულებლად.

სილვია

დიდათა გმადლობთ, კეთილშობილო ჩემო მხლებელო! ძალიან კარგათ დაგინერიათ.

ვალენტინ

მერნმუნეთ, მადამ! მაგისი წერა მეტად მიჭირდა,
რომ არ ვიცოდი ვისთანა ვსწერდი.

სილვია

ხომ არ შესწუხდით მაგ ჯაფისაგან?

ვალენტინ

ოჰ, არა, მადამ! ათასსაც დავსწერ,
თუ რომ ინებებთ და მე დამსაქმებთ. მე მზად გახლავარ; –
მაგრამ მაინც კი.

სილვია

კარგი სიტყვაა! მესმის ეგ აზრი; მაგრამ მაინც კი –
სახელს არ გეტყვი; – მაგრამ მაინც კი – მე არა ვსწუხვარ;
მაგრამ მაინც კი – თქვენთანვე დარჩეს; მაგრამ მაინც კი –
დიდათა გმადლობთ, – და ამას იქით არ შეგანუხებთ.

მარდი

(*ცალკე*) მაგრამ მაინც კი შეგანუხეფო, – და კიდევაც სხვა,
მაგრამ მაინც კი, – მაგრამ მაინც კი.

ვალენტინ

რას ბძანებთ, მადამ! იქნება წიგნი არ მოგეწონათ?

სილვია

ოჰ, როგორ არა! მშვენივრად არის, დიად მშვენივრად.
მაგრამ რადგანაც თქვენს უნებურად დაგანერინეთ, –
თქვენთვისვე დარჩეს.

ვალენტინ

თქვენთვის ნაწერი ჩემთვის რათ დარჩეს?

სილვია

აგრე არ არის; ჩემგან ნაწერი და არა ჩემთვის
მე რომ მენერა, უფრო საგრძნობლად გამოვიყვანდი.

ვალენტინ

მაშ სხვას დაგინერო, თუ რომ ინებებთ.

სილვია

კარგი იქნება! და რომ დასწეროთ, ჩემმაგიერად
თქვენ წაიკითხეთ. თუ მოგეწონათ – დიად კეთილი;
თუ არა – მაინც დიად კეთილი.

ვალენტინ

ვსთქვათ, მომეწონა; მერე რა უყო?

სილვია

თქვენთანვე დარჩეს თქვენს გასამრჯელოდ.
ახლა – მშვიდობით, ჩემო მხლებელო! (გავა)

მარდი

(ცალკე) ეს მოხერხება სად გაგონილა, ვისგანა თქმულა,
არსად ნახულა, როგორც რომ ცხვირი კაცის სახეზედ,
როგორც მამალი სამრეკლოზედა. ჩემი ბატონი
იმისთვინ კვდება; ის კი ამბობს, რომ მხლებელი ხარო,
და თითქო შაგირდს თითონ ასწავლის, ასე უნდაო!
ვინ იფიქრებდა ამისთანასა? მწერლათ დაუსვამს
და თავის თავთან წიგნს აწერინებს.

ვალენტინ

მანდ რას ბუტბუტებ?

მარდი

ისე ვბუტბუტებ, თქვენ კაი რჩევა გმართებთ ახლა.

ვალენტინ

რაზედა?

მარდი

მადამ სილვიას მოციქულობაზედა.

ვალენტინ

ვისთანა?

მარდი

თითონ თქვენთანა; თავისი სიყვარული რომ ეშმაკობით შეგატყობინათ.

ვალენტინ

როგორ? რით შემატყობინა?

მარდი

რითი და წიგნითა.

ვალენტინ

ჩემთვის იმას წიგნი არა მოუწერიარა!

მარდი

რაკი თქვენვე დაგანერინათ, თითონ რაღათ მოგწერდათ. კიდევაც ვერ მიმხვდარხართ, მგონია.

ვალენტინ

ვერა, მერწმუნე.

მარდი

იმისი ფიქრი რა იყო, ვითამ ვერ მიუხვდით?

ვალენტინ

ზოგიერთ მკვახე სიტყვას გარდა იმას ჩემთვის არა უთქვამსრა.

მარდი

ნეტა რა ვჰქნა! წიგნი რომ მოგცათ, ის რა იყო?

ვალენტინ

ეს წიგნი იმის მეგობართან არის მიწერილი.

მარდი

საქმეც ეგ არის, რომ ეგ წიგნი თქვენ მოგცათ.

ვალენტინ

ღმერთმა ინებოს, რომ უარესი არა იყოსრა!

მარდი

მე თქვენ გარწმუნებთ, რომ უკეთესი არ შეიძლება!
თქვენ წიგნის წერა დიახ არ გიჭირთ; მაგრამ იმას კი, –
მორცხვობითა თუ, ჩემს გულის პასუხს
არ მიმიხვდნენო, ეს უფიქრნია: ჩემს საყვარელთან,
ჩემმაგიერად, თითონ იმანვე დამინეროსო.

მე ამას ბეჯითად ვამბობ, რადგან ვიცი რომ სწორეთ ასეა...
ახლა რალასა ჰფიქრობთ, ბატონო! სადილის დრო გახლავთ.

ვალენტინ

მე ნასადილევი ვარ.

მარდი

ეგ დიახ კარგი; მაგრამ ერთი რამ უნდა გიამბოთ. სიყვარული
ისეთი რამ გველემბაპია, რომ ცარიელი ჰაერიც რომ ჰყლაპოს,
საკვებავთ ისიც ეყოფა. მეკი ჩემი ულუფა მეჭირვება და სწორე
მოგახსენოთ, ძალიანაცა მშია. თქვენს სიყვარულს ნუ მიჰხედავთ
ახლა და ჩემთვისაც გასძარით ხელი, გაანძრით ერთი. *(გავლენ)*

სცენა 2. ვერონა. ოთახი ჯულისას სახლში.

შემოვლენ პროტეოს და ჯულია.

პროტეოს

მოთმენა გვმართებს, ნეტარებაო ჩემო, ჯულია!

ჯულია

სხვა საშველი რომ არა არისრა, რა გაენყობა?

პროტეოს

დროს რომ ვიხელებ, მაშინვე მოვალ.

ჯულია

თუ რომ შენ გული არ შეგეცვალა, მალე იქნება.
აჰა! სახსოვრად გქონდეს ეს შენის ჯულიასაგან.

(ბეჭედს აძლევს)

პროტეოს

უნდა შევსცვალოთ. აი, ეს ჩემგან!

ჯულია

და ეს კავშირი აღვბეჭდოთ ჩვენში წმინდა ამბორით.
(ერთმანერთს აკოცებენ)

პროტეოს

აჰა, ხელს გაძღვევ ამ ჩემის ალთქმის დასამონმებლად:
თუ რომ საათი ისე გავიდა ერთხელ როდისმე,
რომ ჩემს ჯულიას გულ-მონყვეტილი არ ვიგონებდე,
მეორე საათს უზენაესის რისხვა მომადგეს, –
საქენჯნავისა და წარმწყმედელის დავინყებისთვის. –
სხვას ნულარ ვიტყვით; დრო არის ახლა; მამა მიმელის!
შენი ჭირიმე ნუ ატირდები, დამაგვიანებ.
ახლა მშვიდობით! *(ჯულია გავა)* როგორ? გავიდა?
ხმაც არ გამომცა? მაგრამ რაღა ხმა? თუ სიყვარული
ჭეშმარიტია, იქ ლაპარაკი რის მაქნისია?
ნამდვილი გრძნობა საქმით მოქმედებს და არა სიტყვით.
(შემოვა პანთინო)

პანთინო

ბატონო პროტე! გარეთ გელიან!

პროტეოს

მოვალ, მოვდივარ! ეჰ! რაღა გვეთქმის.
ოდეს ტრფიალნი ერთი ერთმანერთს განჰშორდებიან,
სიტყვა უწყდებათ და მუნჯდებიან.
(გავლენ)

სცენა 3. ვერონა. ქუჩა.

შემოვა ლაუნსი და თავისი ძალღი შემოჰყავს ბანრით.

ლაუნსი

არა! მე ერთი საათიც არ მეყოფა, რომ თვალები შევიშრო! ასე გვჭირს ყველა ლაუნსებსა. როგორც უძლებ შვილსა, მეც შემხვდა ჩემი რიგი – და ახლა ბატონს პროტეოსს უნდა გავჰყვე, იმპერატორთან რომ მიბძანდება. მე მგონია, ამ ჩემი კრაბის-თანა უგულო ძალღი მთელ ქვეყანაზედ არსად იპოვებოდეს. აბა თქვენი ჭირიმე: დედაჩემი ქვითქვითებს; მამაჩემი იცინგლება; ჩემი და ღრიალებს; ჩვენი გადია ტირილითა სკდება; ჩვენი კატა ხელებს იმტვრევს მწუხარებითა; – მთელი ოჯახი სულ გადმო-ბრუნებულია ალიაქოთითა, და ამ წყეულმა ძალღმა აბა თუ ერთი ცრემლი გადმოაგდოს! ქვა არის ეს ტიელი; ტალია, და როგორც ძალღს არა აქვს შებრალება,⁹ ისე ამასა. ურისასაცკი ამოუჯდებოდა გული, ჩვენი გამოსალმება რომ ენახა! მაგრამ ურია რა? ასე გაშინჯეთ, ჩვენმა ბებერმა გადიამაც კი დაითხარა თვალები ტირილითა! აი, ეხლავ გიჩვენებთ, როგორ იყო! ეს ბაშმაკი არის, ვსთქვათ, მამაჩემი!¹⁰ – მაგრამ არა; მამაჩემი ეს მარცხენა ბაშმაკია! – ოჰ, არა, არა! დედაჩემია ესა! თუ არც დედაჩემია? დიად! როგორ არა, სწორეთ დედაჩემია; ძირი ამას უფრო გაცვეთილი აქვს! – ეს ძირგაცვეთილი ბაშმაკი დედაჩემია და ეს მეორე – მამაჩემი. ცუდი კაცი ვიყო, თუ ეს ასე არ იყოს! ახლა, ბატონებო! ეს წკეპლა ჩემი და არის, ამიტომ რომა, უნდა მოგახსენოთ, ჩემი და ისეთი თეთრია, როგორც ზამბახი და ისეთი წვრილია, როგორც ლატანი, – ლატანი რას ჰქვია, – როგორც წკეპლა. – ეს ქუდი არის ნენე, ჩვენი გამდელი. მე ვარ ძალღი. ნნ, ნნ! ძალღი ეს არის და მე ძალღი ვარ. ოჰ! არა! ის ძალღი არის მე და მე ვარ მე. დიახ! ასე, ასე! ახლა – მივდივარ მამაჩემთან: „გზა დამილოცე, მამაჩემო!“ და აი, ბაშმაკი ხმას ვერ იღებს, სულ იცინგლება. ვესალმები და ვკოცნი მამაჩემსა, მაგრამ გულამამჯდარი მაინც ვერ იღებს ხმასა. ახლა მივალ დედაჩემთან. (ოჰ! ეს ბაშმაკიც რომ გამწარებული დედაკაცივით ალაპარაკებოდეს!)

კარგი! მივალ, გადავხვევი და კოცნას დავუწყებ, აი, სწორეთ ასე. ეს სწორეთ იმისი ქშენაა აქეთ-იქიდამ? ახლა მივალ ჩემ დასთან. გესმით, გესმით თქვენი ჭირიმე, როგორა ღრიალებს? და ეს წყეული, ეს შეჩვენებული ძალღი, ისე შეკრული დგას, რომ ცრემლი არ გადმოუგდია, კრინტი არ ამოუღია, – და მე ხომ მხედამთ, ცრემლებით ეხლაც რომ მინას ვატალახებ.

(შემოვა პანთინო)

პანთინო

ლაუნს, გასწიე, ახლავ გასწიე! შენი ბატონი გემშია ახლა და შენ ნავითლა თუ მოენევი. მაგრამ, რა დამართვია, რას ხვიხვინებ მანდა? გაიქე მეთქი, თორემ, თუ ერთი წამი კიდევ დაიგვიანე, სულ დაჰკარგავ...

ლაუნსი

ოჰ, ოჰ, ოჰ! მართალია, თავს მოვიკლამ, თუ ამისთანა შეუბრალებელი დავჰკარგე.

პანთინო

ვინაა, მერე, შეუბრალებელი?

ლაუნსი

ვინა და ეს ჩემი ძალღი!

პანთინო

რამ გამოგაშტერა, კაცო! მე გეუბნები, რომ ზღვა გაბრუნდება¹¹ და შემთხვევას დაჰკარგამ მეთქი, რომ გემსლა მოენიო; თუ ეს შემთხვევა დაჰკარგე, გზასაც დაჰკარგავ; თუ გზა დაჰკარგე, ბატონსაც დაჰკარგავ; თუ ბატონი დაჰკარგე, სამსახურსაც დაჰკარგავ; და თუ სამსახური დაჰკარგე... რაო? რაზე მაფარებ პირზე ხელსა?

ლაუნსი

შენ ეგ ენა არ დაჰკარგო!

პანთინო

ენას როგორ დავჰკარგავ, რას ამბობ?

ლაუნს

როგორა და ლაქლაქითა.

პანთინო

როგორ თუ ლაქლაქითა?

ლაუნს

დროს დაჰკარგამო, გზასაო, ბატონსაო, სამსახურსაო და ადგილსაო. გამიგონე შენ, ეი! მდინარე რომ სულ გაშრებოდეს კიდეცა, ჩემი ცრემლებით ვადენდი; ქარი რომ სულ დადგებოდეს, ნავს ჩემი ვაითა და უით ვარბენინებდი.

პანთინო

გეყოფა, კაცო! გამოსნი მეთქი. შენ დასაძახებლად გამომგზავნეს მე აქა.

ლაუნს

დამიძახე და რალას უყურებ?

პანთინო

მოდისხარ თუ არა?

ლაუნს

მოვდივარ, მაშა? *(გავლენ)*

სცენა 4. მილანი. ოთახი დუკის სასახლეში.

შემოვლენ ვალენტინ, სილვია, თურიო და მარდი

სილვია

ჩემო მხლებელო!

ვალენტინ

ბატონო!

მარდი

ბატონო! უფალი თურიო როგორღაც იბღვირება.

ვალენტინ

ტრფიალია და იმიტომა.

მარდი

თქვენი – არა მგონია.

ვალენტინ

ჩემი კი არა, ჩემი ქალბატონისა.

მარდი

შეაქცევდით ერთი; ურიგო არ იქნებოდა.

სილვია

ჩემო მხლებელო! გატყობთ, როგორღაც მონყენილი ხართ.

ვალენტინ

მეცა მგონია, ჩემო ბატონო!

თურიო

თქვენ რაც არა ხართ, ისა გგონიათ?

ვალენტინ

ეგეც იქნება აგრე იყოს.

თურიო

მაშა, ჰსჩანს, ყალბობთ?

ვალენტინ

დიაღ, თქვენსავით.

თურიო

მე როგორა ვჰყალბობ?

ვალენტინ

ვითამ ჭკვიანობთ.

თურიო

რაში მეტყობა?

ვალენტინ.

მაგნაირს დაუხედაობაში.

თურიო

მერე აგრეთი რა შემამჩნიეთ?

ვალენტინ

ეგ მორთულობა.

თურიო

უსარჩულოა? თქვენა გგონიათ.

ვალენტინ

თქვენვე ამტკიცებთ. თქვენი სირეგვენე ორკეცი ყოფილა.

თურიო

როგორა, რაო?

სილვია

ჯავრობთ, თურიო? სახე გეცვლებათ.

ვალენტინ

არა უშავსრა; ქამელეონის გვარისა არის.

თურიო

მე ბევრით მიჯობს, თქვენს სისხლსა ვსვამდე, ოღონდ კი თქვენთან არ ვიქნებოდე.

ვალენტინ

გითქვამთ, გახსოვდეთ.

თურიო

მითქვამს და მახსოვს; ამით გათავდა.

ვალენტინ

მე კარგათ ვიცი, რაც არ გინყვიათ, იმას ათავებთ.

სილვია

საუცხოოთ ესვრით ერთმანერთს სიტყვებსა! ძალიან ფიცხ-
დებით!

ვალენტინ

დიალ! მადლობა ცეცხლის გამჩენს.

სილვია

ვინ არის, მერე, ცეცხლის გამჩენი?

ვალენტინ

თქვენა ბძანდებით, ყოვლად სანატრო! თქვენ გვიჩენთ ცეცხლსა!
თურიო თავის მჭერმეტყველებას მაგ თვალებიდან
სესხულობს აქა და ნასესხს უხვად აქავე აბნევს, –
თქვენ წინაშევე.

თურიო

სინჰორ ვალენტინ!¹² თუ აგრე ჩემთან სიტყვების ხარჯვას
თქვენ არ მოიშლით, მე მალე დავსცლი თქვენს ჭკუის კოლოფს.

ვალენტინ

მე კარგათ ვიცი ეგა, უფალო! თქვენი ხაზინა
სულ სიტყვებია, სხვა არაფერი. თქვენს მსახურებსაც
აჩნიათ ეგა, რომ ჯამაგირი სხვა არა აქეთრა.

სილვია

ახლა კი კმარა; ეგეც გეყოფათ. ა! მამაჩემი!

(შემოვა დუკი)

დუკი

შვილო სილვია! გეტყობა, მედგრად შემოგჩენიან!
ჩემო ვალენტინ! მამი თქვენისა – კარგი ამბავი! –
რას იტყვით, რომ მე მეგობრებისაც კარგი ამბავი შეგატყობინოთ?

ვალენტინ

თქვენი უგანათლებულესობა რასაც კარგს ამბავს
მიბძანებთ ხოლმე, წრფელის მადლობით მე ვარ აღვსილი.

დუკი

დონ-ანტონიოს იცნობთ თუ ვერა, თქვენის ქვეყნისას.

ვალენტინ

ძალიან კარგათ, ჩემო მეუფევე: კეთილშობილსა,
პატივცემულსა და შეძლებულსა, სამსახურითაც
გამოჩენილსა.

დუკი

შვილი ჰყავს იმას?

ვალენტინ

დიალ! ბატონო! ყოვლითურთ ღირსი თავისი მამის
იმედისაცა და სახელისაცა.

დუკი

იმასაც იცნობთ?

ვალენტინ

როგორც ჩემს თავსა! სიყმანვილითვე ერთათ ვიყავით.
და მე კი თუმცა, – აქ აღვიარებ, – ზარმაცი ვიყავ, რომ
ჩემს ძვირფას დროს ფუჭად ვაბნევედი, განვითარებას
არა ვჰფიქრობდი; მაგრამ პროტეოს, სახელი გახლავთ
იმ ყმანვილისა, – დროს არ კარგავდა, რომ შეეძინა
ყოველი სწავლა. ხნით ყმანვილია; მაგრამ სწავლითა,
გამოცდილებით, თითქმის მოხუცი, მსჯელობით სრული.
რომ შევამოკლო (რაც უნდა ვაქო, იმისს ღირსებას
მაინც ვერ აღვსწერ), ყოვლად სრულია ზნეობითაცა
და გონებითაც; ყოვლის თვისებით ყოვლად მდიდარი,
რაც კი შეჰშვენის კეთილშობილურს შთამომავლობას.

დუკი

ეგ თუ აგრეა, როგორც თქვენ ამბობთ, – იმპერატორთან
თანამზრახველად რომ განანესონ, იქაც ივარგებს.¹³
დიალ კეთილი! ეს ჩინებული ყმანვილი კაცი
აქ არის ახლა. სხვანიცა მწერენ იმისს ქებასა
საპატიონი და ღირსნი პირნი, – და აქ აპირებს
რამდენისამე ხნის გატარებას. ვჰგონებ გიამოთ
თქვენ ეს ამბავი.

ვალენტინ

მაგის უკეთესს მე სხვას ვერაფერს ვერ ვინატრებდი.

დუკი

მაშ იმედი მაქვს, ისე მიიღებთ, როგორც შეჰშვენის.

შენ გეუბნები ამას, სილვია! და თქვენ, თურო! ვალენტინისას მე არას ვიტყვი. ნავალ და ახლავ გამოგიგზავნით. (გავა)

ვალენტინ

ის გახლავთ, მე რომ მოგახსენებდით, რომ უსათუოდ მე მომყვებოდა, იმის თვალეზი საყვარლის თვალეზს რომ არ დაეზა.

სილვია

სხვა რამ საწინდარს დასჯერებია, ეტყობა, ქალი, რომ ტყვეობიდამ აგრე ადვილად გამოუშვია!

ვალენტინ

არა მგონია; საწმუნოდ ვჰვიქრობ, ისევე ტყვედ იყოს.

სილვია

თუ თავის ნებით მოსცილებია, მაშ ბრმა ყოფილა; და თუ ბრმა არის, როგორ იარა, როგორ მოგაგნოთ?

ვალენტინ

რატომ? ამბობენ, ტრფიალსა აქვსო ოცი თვალისო.

თურო

აგრე კი არა, სულ არა აქვსო ტრფიალს თვალისო, ასე ამბობენ.

ვალენტინ

თქვენებრ ტრფიალსა – დიად, თურო! უეჭველია, თუ ტრფიალებამ საზარელს საგანს შეჰხედა სადმე, იმავე საათს თვალეზს დაჰხუჭავს.

(შემოვა პროტეოს)

სილვია

კმარა, გეყოფათ! აგერ, აქ მოდის ის ყმანვილიცა.

ვალენტინ

პროტეოს ჩემო! ჩემო პროტეოს!.. დიდად გთხოვთ, მადამ!

კეთილ ინებოთ და თქვენის მხრითაც სასიამოვნო
სიტყვა უბძანოთ ჩემს მეგობარსა!

სილვია

თუ მართლა თქვენი მეგობარია, ეს თქვენი სიტყვა
თვითვე გვიმონწმებს, რომ საამოა მაგათი მოსვლა.

ვალენტინ

სწორეთ ის გახლავთ; და გვედრებით ნება უბოძოთ,
რომ ესეც იყოს თქვენი მხლებელი, ერთად ჩემთანა.

სილვია

მე რომ მაგგვარი მსახური მახლდეს, როგორა ვჰღირსვარ?

პროტეოს

ოჰ! რასა ბძანებთ; მე ვარ უღირსი თქვენის ხლებისა.

ვალენტინ

უღირსობაზედ ნულა რას ვიტყვით; ნეტარო ლედი!
გულს მოდგინეთ გთხოვთ – თქვენად მხლებელად მიიღოთ ესე!

პროტეოს

დავიქადებკი, რომ მტკიცეთ ვადგე თქვენს სამსახურსა.

სილვია

ერთგულსა მსახურს მარად ექნება თავისი ჯილდო.
რა რომ ასეა, – მოგესალმებით, ჩემო მსახურო, –
მე ქალბატონი, თქვენი უღირსი!

პროტეოს

ეგ რომ სხვას ეთქვა, სწორეთ მოვჰკლავდი.

სილვია

რა? მოსალმება?

პროტეოს

არა! რომ ღირსი არ ბძანდებოდეთ.

(შემოვა მსახური)

მსახური

მადამ! ბატონმა – აჲ მობძანდითო!

სილვია

ახლავე, ამავე წამს ვეახლები. *(მსახური გავა)*
თურიო! ჩემთან! ერთათ წავიდეთ! განმეორებით,
კეთილი იყოს თქვენი აქ მოსვლა, ჩემო ახლო
მოსამსახურე. ახლა თქვენ თქვენთვის ილაპარაკეთ.
და მერე კი ეს არ დაივინყოთ, რომ აქ მოგელით.
(გავლენ სილვია, თურიო და მარდი)

ვალენტინ

ახლა, პროტეოს, ჩემო პროტეოს! მითხარ ვერონას
ვინ როგორ არის?

პროტეოს

კარგათ ყველანი და მეგობრები
თავს გიკვრენ შენა.

ვალენტინ

შენნი, როგორლა?

პროტეოს

ისინიც აგრე, ძალიან კარგათ.

ვალენტინ

შენი ჯულია? თქვენს ტრფიალებას დაბოლოება
მიეცა რამე?

პროტეოს

მაგის ამბავი შენ ხომ ყოველთვის
გეჯავრებოდა და რათა მკითხავ, თავს არ მოგანყენ.

ვალენტინ

ახლა სულ სხვა ვარ, ჩემო პროტეოს! ის აღარა ვარ.
მძიმედ გარდამხდა მე ტრფიალების შეურაცხება!
იმისმა ძალმა, ყოვლად ძლიერმა, მეტად დამსაჯა:
მარხულობითა, სინანულითა, ცრემლის ფრქვევითა,
ოხვრით, კვნესითა; რალა არა მჭირს, რომელი გითხრა?
აღარსად ძილი, არც მოსვენება; სულ ტანჯვა, ვნება!

ცხადათა ვჰხედავ, რომ ტრფიალებას დიდი უფლება
ჰქონია ჩვენზედ! კარგათ ვჰგრძნობ ახლა, ჩემო პროტეოს,
რომ ქვეყანაზედ იმაზედ მეტი არა არისრა,
არც მწუხარება, არც ფუფუნება! რა რომ ეს ვიგრძენ,
სალაპარაკო აღარა მაქვსრა; სულ ტრფიალება,
სულ სიყვარული. ესლაა ჩემთვის ახლა საუზმეც,
სადილ-ვახშამიც, მოსვენებაცა და ღამის თევაც.

პროტეოს

ეჰ! ბედნიერი ხომ მაინცა ხარ! თვალეში გატყობ,
რომ შენც გეტრფიან. ახლა რომ ვნახეთ, ის არის შენი
თაყვან საცემი?

ვალენტინ

ზეციერია, ანგელოზია, განა პროტეოს?

პროტეოს

სრულებით არა. ქვეყნიერია, სხვა არაფერი!

ვალენტინ

ღვთიურიათქო, ასე მითხარი.

პროტეოს

მაგას ვერ გეტყვი; პირმოთნეობას ვერც იმას ვჰკადრებ.

ვალენტინ

მე მითხარ ეგა. საყვარლის ქება სიყვარულს ატკობს
ხომ კარგათ იცი.

პროტეოს

როცა მე ვიყავ მაგით ვნებული, შენ მაყლაპებდი
მწარე აბებსა; – ნუ გაიკვირვებ, რომ შენებურად
მეც გაიქიმო.

ვალენტინ

ნება შენია, რა გამენყობა;
მართალი მაინც ილაპარაკე. დედოფალია
სხვა ქალებისა; ყველას სჯობია, ეს მაინცა ჰსთქვი.

პროტეოს

ჩემს სატრფოს გარდა.

ვალენტინ

ნუ, ნუ! ნურავის

ნუ გამორიცხავ, მე თუ გიყვარდე. ჩემს გულის გრძნობას
თუ აწყენინე, მე მანყენინებ.

პროტეოს

რათა გგონია,

მეკი არ მწყინდეს, ჩემს გულით სატრფოს თუ მიმდაბლებენ.

ვალენტინ

შენის საყვარლის აღმატებაში მე შეგენევი:

იმას ექნება ერთი ღირსება ყოვლად სანატრი, –
რომ ჩემის სატრფოს სამოსის ბოლო ეჭიროს ხელში
და თან მისდევდეს, რომ იმის კაბას მინა და მტვერი
ვერ ეხებოდნენ; თორემ მაშინვე დაივიწყებენ,
რომ იმათ ჰმართებთ აღმოცენება ყვავილებისა.

ეს ვალდებობა თუ დაივიწყეს, მაშინ ზამთარი
გაგვიმუდმდება და გაზაფხულს სულ ველარა ვნახავთ.

პროტეოს

ნეტა, რას ამბობ, ჩემო ვალენტინ!

ვალენტინ

მე რაც უნდა ვჰსთქვა, გამოუთქმელი დარჩება

მაინც იმის ღირსება,

ის არი მხოლო, უდარებელი!

პროტეოს

მხოლო თუ არის, თავისთვის იყოს. შენ რაღა გინდა.

ვალენტინ

მთელი ქვეყანა მე რომ დამითმონ, მაინც ვერ დავსთმოვ.

ის ჩემი არის, საკუთარია და ოცს ზღვაზედაც

უმდიდრესი ვარ იმის პატრონი, თუნდ რაც ქვიშაა,

სულ მარგალიტად გადიქცევოდეს, წყალი ნეკტარად და ქვა ოქროთა! – მაგრამ, პროტეოს! გთხოვ მომიტევე! მე ჩემსას ვბოდავ და საშენო კი ველარა ვთქვირა. – სილვიას მამას ჩემი სულელი რაყიფი მოსწონს, მდიდარიო, – და ისინი რომ ერთად წავიდნენ, – მეც მივაშურებ, თორემ, ხომ იცი, რომ სიყვარული ეჭვიანია.

პროტეოს

ქალს კი, მგონია, შენ ურჩევნიხარ.

ვალენტინ

ეგ მართალია. დანიშნულნი ვართ და ჯვარის წერაც მალე გვექნება. მაგრამ რადგანაც ამას არ ჰნებავს, – პირობა დავსდეთ: მე ბანრის კიბით ფანჯრიდამ შევალ, ძირს ჩამოვიყვან და მოვიტაცებ. რაცკი შემდგომში ბედნიერებას მოეხერხება, მოფიქრებული გვაქვს ყოველივე. ახლა, პროტეოს, ჩემსა წავიდეთ და მეგობრულად ხელი შემინყე ამ ჩემს საქმეში.

პროტეოს

ჯერ ჩემი ბარგი უნდა მოვნახო და მალე მოვალ!

ვალენტინ

ხომ მალე მოხვალ?

პროტეოს

უეჭველია. *(ვალენტინ გავა)*

როგორც რომ ცეცხლსა ცეცხლივე აქრობს, როგორც ლურსმანი ლურსმანსვე გააქვს, – ისე ახალმა ამ სიყვარულმა მე პირვანდელი გამიქრო გულში და დამავინყა! მაგრამ ამ ლალატს რა მაბედვინებს? მშვენიერება ამ ქალისა, თუ ვალენტინისგან მხურვალე ქება? ვსთქვათ, მართალია, მშვენიერია; მაგრამ ჯულიაც მშვენიერია, და დიდად მიყვარს! – არა! მიყვარდა; – ასე უნდა ვსთქვა, რადგან ჩემს გულში ეს სიყვარული

ისე გამქრქალდა და ისე დადნა, როგორც რომ ცეცხლზედ
სანთლის ტიკინი. ასე მგონია, რომ ვალენტინიც
ალარ მიყვარდეს. და სილვიაკი, ოჰ! მეტად მიყვარს.
პირველის ნახვით ასეთი ცეცხლი თუ მომეკიდა, –
დაახლოვებით როცა გავიცნობ, მაშინ ხომ უფრო
განძლიერდება ეს სიყვარული! თუ გარეგანმა
შეხედულობამ ასე შემცვალა, – იმისი გული;
კეთილ-ზნეობით ყოვლითურთ სრული, სულ დამაბრმავებს!
მოჰხდეს რაც მოჰხდეს. თუ შევიძელ და უმაგალითო
გრძნობა დავთრგუნე, მეც ხომ გადავრჩი; და თუ ვერ ვსძლიე,
მაშინ სილვია, რაც უნდა იყოს, უნდა ვიმოვო.
(გავა)

სცენა 5. მილანი. ქუჩა.

შემოვლენ მარდი და ლაუნსი.

მარდი

ღმერთმანი, სანატრელი სტუმარი ხარ, ლაუნს, ამ მილანში.

ლაუნს

ნეტავი არ მიჰქარამდე. რათ ვიქნები სანატრელი! მე სულ
ამას ვამბობ, რომ მანამ კაცი ან არ დაკარგულა, ან არ ჩამოუხრ-
ჩვიათ, სანატრელი არავისთვის არ იქნება, თუ რომ ანგარიში
არავისთანა აქვს რამე გასანმენდი, ან თუ მასპინძელი არ მიე-
გებება და არ ეტყვის, შვიდობა თქვენს მობძანებასაო!

მარდი

აი, სულელი! ამ სასტუმროში შევიდეთ და თუ ხუთიოდე
აბაზის ანგარიშს გაუნმენდ, თუნდა ხუთი ათასჯერ გეტყვიან,
შვიდობა თქვენს მობძანებასაო! მაგრამ, – ერთი ეს მითხარი, –
მადამ ჯულიას როგორ მოსცილდა შენი ბატონი?

ლაუნს

რალა როგორ მოსცილდა! ჯერ ძალიან ხუმრობა გაშვებით
შეიყარნენ, და მერე კი ხუმრობით გაიყარნენ.

მარდი

მერე, ქალი ხომ ირთამს შენს ბატონსა?

ლაუნს

არა.

მარდი

როგორ არა? შენი ბატონი ხომ თხოულობს?

ლაუნს

არა, არც ისა.

მარდი

მაშ მოეშალათ?

ლაუნს

სულაც არა; ისევ ისე არიან, როგორც იყვნენ.

მარდი

მაშ რა დამართვიათ?

ლაუნს

რა უნდა დამართვიყოთ, არაფერი; თუ ეს კარგათ არი, – ისიც კარგათ არი.

მარდი

ოჰ, რა ვირი ხარ. მე შენი ვერა გამიგიარა.

ლაუნს

ოჰ, რა ჯირკი ხარ. მე ამ ჯოხსაც კი გავაგებინებდი.

მარდი

ნეტავი აგრე არა ჰფქვამდე და სხვა არა მინდარა.

ლაუნს

აბა მიყურე, რასა ვშვრები. ჰხედამ, ჯოხზე ვეყუდები?

მარდი

რაო, მერე?

ლაუნს

რაო და ისა, რომ უჭირავარ; ეტყობა, რომ გამიგონა!

მარდი

კარგია, ერთი! ნუ მიედ-მოედები. სწორე მითხარი, ქორნილი იქნება თუ არა?

ლაუნს

ამ ჩემ ძაღლსა ჰკითხე. ჰოო – თუ გითხრა, იქნება; არაო – თუ გითხრა, იქნება. კუდი თუ გაიქნია და არა გითხარა – იქნება.

მარდი

მაშ იქნება, რალა.

ლაუნს

მაგისტანა საქმეს, თუ არ იგავით, შენ სიცოცხლეშიაც კი ვერ ნამომათქმევენებ.

მარდი

როგორც უნდა იყოს, ოღონდ კი შევიტყო. შენ ეს იფიქრე, რომ სიყვარულს ახლა ჩემი ბატონიც გამოუშტერებია.

ლაუნს

ეგ მე დიდი ხანია ვიცოდი.

მარდი

რა იცოდი?

ლაუნს

გამოშტერება, როგორც ამბობ.

მარდი

ვერ გაიგე, მე რა გითხარი.

ლაუნს

სულელო! შენსას ხომ არ ვამბობ, შენი ბატონისას ვამბობ.

მარდი

მე ამას გეუბნები, ქალისტვინ ახლა ჩემი ბატონიცა კვდება მეთქი.

ლაუნს

არა, მე რას ვინაღვლი, მართლათაც რომ მოკვდებოდეს. აი, თუ გინდა აქ შევიდეთ და დავლიოთ. არ შემოხვალ-და ურია იქნები, რომ ქრისტიანობა არ გერქვას.

მარდი

რატომა მერე?

ლაუნს

იმიტომა, რომ იმდენი გულიც არა გქონია, რომ მეგობრობის გულისთვინ ქრისტიან კაცს დუქანში შეჰყვე; ვილასთვინ მოკვდები შენა? მოეთრევი თუ არა?

მარდი

მოვალ, მო! *(გავლენ)*

სცენა 6. ოთახი დუკის სასახლეში.

შემოვა პროტეოს.

პროტეოს

ჩემს ჯულიაზედ ხელის აღება – ხომ ღალატია!
სილვიას ტრფობა, რაც უნდა ითქვას, – ხომ ღალატია!
მეგობრის გმობა, უფრო და უფრო – ხომ ღალატია!
რომელიც ძალა მე აქამდინ ფიცს მადებინებდა,
ახლა მადგია, რომ სამნაირად გამატეხინოს!
ის სიყვარული მაიძულებდა ფიცით აღთქმასა;
ეს სიყვარული მაიძულებს მე იმისს გატეხას.
ოჰ! განუცდელი ტრფობისა გრძნობავ! თუ შემცოდველ მქმენ,
შენვე მამხილე, შენს მმონებელსა, რითი გავმართლდე!
მე ჯერ ვეტრფოდი მოკამკამესა ერთსა ვარსკვლავსა,
და ახლა ვეტრფი ცხოველ-მყოფელსა მზესა მნათობსა.
მაგრამ მაინც რა? უანგარიშოდ ფიცის დადებას
თუ დაუფიქრდით, რატომ იქნება, რომ ველარ გატყდეს?
უგუნურია, ვინც ვერ გაბედავს, რომ ცუდი რამე

სამჯობინართ გამოიცვალოს! – ტფუ, ჩემო ენავ!
როგორ წარმოსთქვი, რომ ცუდი იყოს, რომლისაც ქებით
არა ჰსცხრებოდი და სულ ჰფიცავდი, რომ უკეთესი
არ იქნებო!!! როგორ იქნება, რომ საყვარელზედ
ხელი ავიღო! მაგრამ ვიღებ კი! მერე სად ვიღებ?
სადაც ვალია, უფრო მიყვარდეს!! ვუშვებ ჯულიას,
და ვალენტინსაც! – მაგრამ, ვიკითხო, შეიძლებაა,
რომ არ გაუშვას? მაშ, ჩემი თავი უნდა განვსწირო.
და თუ გაუშვი, ამ ვალენტინის სამაგიეროდ
თვითან მე ვრჩები; ჯულიას ნაცვლად – სილვია მრჩება.
მე ჩემი თავი უნდა მერჩივნოს, ამ მიზეზით, რომ
თავ-მოყვარება სჭირს სიყვარულსა; და სილვია ხომ,
ეს ღმერთმა იცის, რომელმაც შეჰქმნა აგრე მშვენივლად,
არაბის ქალად გარდააქცია ჩემი ჯულია!¹⁴
ჩემი ჯულია ცოცხალი თუა, სულ აღარ მახსოვს.
იმისი ტრფობა აღარა ჰსცოცხლებს ახლა ჩემს გულში.
ვალენტინისა რაღა უნდა ვჰსთქვა, – მტერია ჩემი;
და მეგობარი, ყოვლად ძვირფასი, არის სილვია.
მაშასადამე, ასე გამოდის, რომ მე უნდა ვჰგმო
ან ჩემი თავი, ან მეგობრობა ვალენტინისა.
ამალამ ბანრის კიბით აპირებს ფანჯრიდამ შესვლას
სილვიას სახლში, – და მე გამიტყდა, თავისს რაყიფსა,
რომ გზის გადგომას განვიზრახავთო. განრისხებული
დუკი განაგდებს ხომ ვალენტინსა – თურიოსათვის
უნდა სილვია; და რა ვალენტინს ჩამოვიცილებ,
იმის სულელი რაყიფის გაცლა რაღა ძნელია!
ოჰ! სიყვარულო! მომასხი ფრთები, რომ ეს განზრახვა,
შენისვე ძალით შეგონებული, დაუყოვნებლად
შესრულებულ-ვჰყო!

სცენა 7. ვერონა. ოთახი ჯულიას სახლში.

შემოვლენ ჯულია და ლუჩეტა.

ჯულია

მიშველე რამე, მირჩიე რამე, ჩემო ლუჩეტა,
თუ რომ გიყვარდე! ჩემი ამბავი ხომ კარგათ იცი,
შენგან ფარული მე არა მაქვსრა, და როგორც წიგნში,
ისე კითხულობ ყოველს ჩემს ფიქრსა,
ყოველს ჩემს გრძნობას; მითხარი ერთი, გზას დამაყენე,
რა როგორა ვქმნა, რომ კადნიერად დაუახლოვდე
ჩემს გულის მფლობელს, ჩემს პროტეოსსა?

ლუჩეტა

ეჰ! შორე გზაა! და სად შეიძლებო!

ჯულია

მართლ-მორწმუნენი რომ სალოცავად მიდიან ხოლმე,
რამდენს ქვეყანას შემოივლიან თავის ფეხითა;
და ვისაც ტრფობა აფრენს, ის რატომ ვერ შესძლებს იმდენს,
მეტადრე, თუ რომ იმისი სატრფო არის ისეთი
ყოვლითურთ სრული და სანატრელი, როგორც პროტეოს?

ლუჩეტა

მოცდა ჰსჯობია, რომ პროტეოსი თითონ მოვიდეს.

ჯულია

თითქო არ იცი, ჩემო ლუჩეტა, რომ ამ გულისთვის
სიცოცხლის წყარო არა არისრა, თუ არ იმისი
მოუწყვეტელი თვალეში ცქერა. ამითი მაინც
შემიბრალე, რომ ამდენს ხანს ჰშია ჩემს სულს ეს საზრდო!
შენ რომ იცოდე, რა უფლება აქვს ტრფიალებასა,
მაგას კი არა, ამას იტყოდი, თოვლით იქნება
დაენტოს ცეცხლი, – და სიყვარულის სიტყვით გაქრობა
კი არასოდეს არ იქნებაო.

ლუჩეტა

მე სულ ფიქრათაც არა მქონია გაქრობა თქვენის
სიყვარულისა. ცოტათ როგორმე შემცირებაკი
კარგი იქნება; თორემ გადივლის გონიერების
წრესა და მაშინ?

ჯულია

რამდენსაცკი შენ – იმისს დამცრობას მოინადინებ,
იმდენათ უფრო განძლიერდება, ხომ კარგათ იცი;
პატარა წყარო რომ დააგუბონ, ისიც გადივლის
და თუ გაუშვეს, წკრიალ-ჩქრიალით ივლის თავისთვის
სიპს კენჭებზედა და უაღერსებს, თავის გზის მდენი,
რაც შემოჰხვდება, ქვასა, მდელოსა, და ასე გარბის
განუსაზღვრებელს ოკეანემდის. –
მაშ მეც გამიშვი, ნუ დამაბრკოლებ; ისე მომთმენი
ვიქნები მეცა, როგორც ის წყარო; ხალისით ვივლი,
დაუცხრომელად და რომ მივანევ ჩემ საყვარელთან,
იქ დავისვენებ, როგორც სამოთხეს მართალთა სულნი
განისვენებენ.

ლუჩეტა

ეგ დიალ კარგი; მაგრამ ეს ბძანეთ
მაგ მგზავრობაში ტანისამოსი რა უნდა გეცვათ?

ჯულია

ქალური არა! კაცებისაგან თავხედობას მე
უნდა ვერიდო. მაშ ერთი კარგი ბიჭური რამე
ტანთ ჩასაცმელი შენ მომიხერხე, ჩემო ლუჩეტა!

ლუჩეტა

თქვენი გრძელი თმა უნდა შეიჭრათ?

ჯულია

რათა? ზონრებით ისე შევიკრავ, რომ ვერ მიმიხვდნენ,
ქალი არისო.

ლუჩეტა

ქვეშ ჩასაცმელსა? როგორს ინებებთ?

ჯულია

ეგ ამასა ჰგავს, რომ კაცსა ჰკითხონ, ქვედა ტანისთვის რამდენი განი მოგინდებაო. მე ამ საქმეში შენ მოგენდობი, ჩემო ლუჩეტა! რასაც შენ არჩევ, იმის უკეთესს მე ვერასოდეს ვერ მოვახერხებ. ყველა იქნება მოსახდენიცა და შესაფერიც. ახლა ეს მითხარ, ამ ჩემს მგზავრობას რომ შეიტყობენ, რას იტყვიან, ჰა? ვაჰ თუ დამძრახონ!

ლუჩეტა

მაშ დაძრახვისა თუ გეშინიათ, შინვე იყავით.

ჯულია

ეგ არ იქნება.

ლუჩეტა

მაშ დაძრახვისას ნულარ რას იტყვით და შეუდექით თქვენს მგზავრობასა. თუ რომ პროტეოსს ესიამოვნა, სხვების ლაპარაკს თქვენ რაღას დასდევთ? მაგრამ, ვაი თუ იმას ენყინოს?

ჯულია

ეგ როგორა სთქვი? მაგისი ფიქრი მე სულ არა მაქვს. ათასი ფიცი, ცრემლით ტირილი, რამდენ ნაირი დამონმება მაქვს მე იმისგან სამარადისო სიყვარულისა! როგორ იქნება, რომ არ იამოს?

ლუჩეტა

ეგ რაცა ბძანეთ, მცბიერებითაც მოჰხდება ხოლმე.

ჯულია

ცუდ კაცობითა, – დიახ მოჰხდება. მაგრა პროტეოსს ისეთს რამ ეტლზედ დაბადებულა, რომ იმის სიტყვა დაპირებაა; იმისი ფიცი – ღვთიური აღთქმა;

იმისი ტრფობა – გულის სიმტკიცე; იმისი ფიქრი –
სულის სინმინდე; – იმისი ცრემლი – სულის და გულის
მოენეობა, და იმის გრძნობა ისე შორს არის
სიცრუისაგან, როგორც ცა არის ქვეყანისაგან.

ლუჩეტა

ღმერთმა ინებოს, რომ აგრე იყოს.

ჯულია

არა, ლუჩეტა! მე თუ გიყვარდე, ნუ ჰკადრებ იმას
ნუ რას ეჭვებსა; და თუ გინდა რომ გულით მიყვარდე,
ისიც გიყვარდეს! – მაშ ჩემს ოთახში შევიდეთ ახლა
და სულ ავნეროთ, რაც საჭიროა მგზავრობისათვის.
ჩემს საცხოვრებელს სულ შენ მოგანდობ: სახლსაც, მამულსაც,
და ჩემს სახელსაც; – შენგან ამის მეტს სხვას არას ვითხოვ, –
რომ მომამზადო, გზას დამაყენო, ისე საჩქაროდ,
როგორც შეგეძლოს. – გათავდა ახლა; ნულარას მეტყვი.
მე ამდენის ხნის დაგვიანებაც სანუხრათა მაქვს.

(გავლენ)

აკტი 3.

სცენა 1. ოთახი დუკის სასახლეში

შემოვლენ დუკი, თურიო და პროტეოს.

დუკი

სინჰორ თურიო! გთხოვთ პატარა ხანს გარეთ გახვიდეთ;
ჩვენ საიდუმლო საქმე გვაქვს აქა. ერთათ სარჩევი.

(თურიო გავა)

ახლა, პროტეოს! მითხარით რა გაქვთ ჩემთან სათქმელი?

პროტეოს

თქვენო უგანათლებულესობავ! რისიც გამხელა
მნადს მე თქვენთანა, მეგობრობითი კანონი მანვეს,

რომ სულ დავჭვარო. მაგრამ რაც რომ მე თქვენი წყალობა მომაგონდება და ყურადღება ჩემ-უღირსზედა, არ შემძლია არ მოგახსენოთ ისეთი საქმე, რომ იმის თქმასა მრთელს ქვეყანაზედ სხვა ვერაფერი მაიძულებდა. ასე იცოდეთ, ბატონო დუკო! რომ ვალენტინი ჰფიქრობს ამაღამ ქალი მოგტაცოთ; ამ განზრახვაზედ თვით მე გამიტყდა. – მე კარგად ვიცი, რომ თქვენა გნებავთ თურიოს მისცეთ, ქალს კი თუმცა ჰსძულს; და ესეც ვიცი, რომ მოტაცება თქვენის ქალისა გულს დაგიჩაგრავთ. ამ მიზეზით მე ვარჩიე, ჩემის მოვალეობით, შეგატყობინოთ, რომ ჩაეშალოს მეგობარს აზრი, ოღონდ თქვენთვის კი ამის უეცრად გაგონებაი არ გარდაიქცეს მიზეზად, თქვენის ხნიერებისა შემმოკლებელად და უდროობით საფლავს დამყვანად.

დუკი

გმადლობ, პროტოს, შენის კეთილის მზრუნველობისთვის. სამაგიეროდ – ჩემს სიცოცხლეში შენდა საკუთრად გეგულებოდე. უნდა გაგიტყდე, რომ მეც ვამცნევდი იმათ ტრფობასა, თუმცა ეგონათ, რომ ვერ ვამცნევდი. ბევრჯელ კიდევაც განვიზრახე, რომ სულ დამეთხოვნა ვალენტინი ამ სასახლიდამაც, და ქალისგანაც; – მაგრამ ვამბობდი, ვაი თუ ჩემის დაუხედავის იჭვენეულებით უბრალო სული დავსაჯო მეთქი, – და ჩუმათ ვიყავ. ისევ ისეთის ყურადღებითა და მონყალებით ვეკიდებოდი ვალენტინს, ეგებ ამითი უფრო კარგად შემეტყო, რაც რომ ახლა შენ მე ამიხსენი. დასამონმებლად, რომ ფრთხილად ვიყავ, – რადგან ვიცი, რომ სიყმანვილეში დიად ადვილად ჰსცდებიან ხოლმე, – ამას მოვიყვან, რომ მე სილვია დიდ-მალალს კოშკში დავაბინავე და გასაღები თან დამაქვს ხოლმე. იქიდან აგრე ვერ მომტაცებენ, როგორც ჰგონიათ.

პროტეოს

მაშ მოიხსენეთ, ბატონო ღუკო! რომ კოშკში შესვლა არ უჭირდება; ბანრის კიბე აქვს, იმითი ავა და ჩამოიყვანს; კიბეც მზათა აქვს; ეხლა ნავიდა მოსატანათა; უეჭველია აქ გამოივლის და თუ ინებებთ, კარგათ შეიძლებთ, აქვე უნახოთ. მაგრამ, ბატონო! ერთს გევედრებით: ასე ინებეთ, – რომ ჩემზედ ეჭვი არ იქონიოს აქ ვალენტინმა. მოგახსენეთ, რომ იმისი შეთქმა გამოგიცხადეთ საკუთრად თქვენის ერთგულებითა, და არა იმის სიძულვილითა, რომ სათნო ქალი ველარ მოგტაცოს.

ღუკი

მაგას ნუ სწუხარ! ფიცით აღვითქვამ, რომ თავის დღეში სულ ვერ აიღოს ეჭვი შენზედა.

პროტეოს

აგერ აქ მოდის! – მე გეთხოვებით. *(გაგა).*
(შემოვა ვალენტინ)

ღუკი

სად მიაშურებ აგრე საჩქაროდ, ჩემო ვალენტინ?

ვალენტინ

ოჰ! უკაცრავად, ჩემო ბატონო! წიგნები მიმაქვს შინ გასაგზავნი. წამსვლელი მიცდის და ვეშურები.

ღუკი

ეგ წიგნებიკი საჭირო არის?

ვალენტინ

მე ვატყობინებ შინაურებსა, რომ კარგათა ვარ, თქვენის წყალობით უხვად აღვსილი და ბედნიერი.

ღუკი

ეგ არაფერი! მაშ თუ აგრეა, ნება მომეცი ცოტას რასმე ხანს აქ შეგაყენო. საქმე მაქვს ერთი

და დიდად მინდა, რომ რჩევა გკითხო. ჩვენშიკი დარჩეს,
და შენც ხომ იცი, ჩემის მეგობრის თურიოსათვის
მინდოდა ჩემი ქალი მიმეცა.

ვალენტინ

დიაღ, ბატონო! როგორ არ ვიცი! თურით არის
დიაღ მდიდარი, პატივცემული, კარგის გვარისა;
კარგის გულისა, ყოვლითურთ სრული, რომ თქვენს მშვენიერს
ქალს შეჰფერობდეს. დავიჯერო, რომ თქვენ თქვენი ქალი
ვერ დაითანხმეთ, რომ ქმრად ინებოს?

ღუკი

საქმეც ეგ არის, ჩემო ვალენტინ, რომ ვერ ვითანხმე.
თავისნებაა, შეუპოვარი, ამპარტავანი,
დაჟინებული. შვილი თუ ვარო, ამას არ ჰფიქრობს;
ალარც ეს ახსოვს, მამის უფლებით თუ შემიძლია,
რომ ჩემს ნებაზე დავიყოლიო. გული მომიკლა
თავის ურჩობით. მე რომ მეგონა, ჩემს სიბერეში
ჩემი ნუგეში, მაცოცხლებელი ის იქნებოდა,
სრულად მიმელო მე ეს იმედი და ახლა ვამბობ,
ჰსჯობდეს მგონია ცოლი ვითხოვო. იმას რადგანაც
არც მე უნდევარ და არცარა სხვა ჩემი შეძლება, –
მე რაღას დავდევ, როგორც ერჩიოს, ისე გათხოვდეს, –
მარტო თავისის სილამაზითა და ჩემის მხრით კი
ყოვლად უმზითვოდ.

ვალენტინ

მე როგორ უნდა, აქ გამოგადგეთ ჩემო ბატონო?

ღუკი

მე გეტყვი როგორ! ამ ჩვენს მილანში ერთს ქალს ვიცნობ მე
და დიდად მომწონს; მაგრამ, ვსწუხვარ, რომ გულგრილი არის
და მეტის მეტად შეუგნებელი; არა იქნარა,
ვერ ვაგრძნობინე ჩემი სურვილი, ვერ დავითანხმე
და შენ იმისთვის მოგატანე მე, რომ მომეხმარო,

(დიდი ხანია, რაც მე ქალების არშეყოფასა როგორ რა უნდა, არა ვიცი რა, და რაც ვიცოდი, ახლანდელს დროში რაღას ივარგებს) და შენ მითხარი, რა მოუუხერხო, ტრფიალის თვალით რომ გადმომხედოს?

ვალენტინ

თუ თქვენი სიტყვა არ შეისმინა, საჩუქრით ჰსცადეთ. ხშირად მოხდება, რომ ქალის გული თვალ-მარგალიტმა უფრო მოიგოს, მინამ ცხოველმა მჭევრ-მეტყველებამ.

დუკი

ეგეცა ვჰსცადე; მაგრამ არ იქნა, სულ არ მიიღო.

ვალენტინ

ეგეც მოხდება, რომ ზოგმა ქალმა ის საჩუქარი არ გამოგართვასთ, რომელიც გულით კი დიდათ ჰსურდეს. სხვა გაუგზავნეთ, ნუ მოეშვებით. პირველ ნათქვამი უარის ყოფა, შემდგომში უფრო განაძლიერებს ტრფიალებასა. ქალი თუ ჯავრობს, კი არ იფიქროთ, რომ სძულდეთ თქვენა; – იმას ის უნდა, რომ სიყვარული უფრო და უფრო განგიცხოველდეთ. თუ იგინება, ეს არ იფიქროთ, რომ მოცილება უნდოდეს თქვენი, – არ გაუგონოთ, თორემ მართლათაც განგირისხდებათ. რაც უნდა გითხრათ, ნუ შეწუხდებით. ნადი იქითა; რომ გითხრათ კიდევ, ჯერ ხომ არ ამბობს – გამეცალეო. უაღერსებდეთ; ქებას უთხზავდეთ; მშვენიერებას აღუმატებდეთ; ბნელს ღამეზედაც რომ შავი იყოს, – მაინც ეტყოდეთ, დღესა სჯობხარ თქო! ვისაც ენა აქვს, რა კაცი არის, თუ კი რომ ქალსაც ვერ დაითანხმებს.

დუკი

მე რომ ქალს ვამბობ, ნათესავები ერთ კაცს აძლევენ, ყმანვილს, მდიდარსა, კეთილშობილსა, და შინ ისე ჰყავთ გამოკეტილი, რომ მრთელ-დღეს წამსაც ვერ მოვახელებ, რომ ხმა გამომცეს.

ვალენტინ

მე თქვენი ვიყო, ღამით ვნახავდი.

დუკი

ეგ დიად კარგი, მაგრამ კარების გასაღებები
თან დააქვთ ხოლმე, რომ სულ ვერავინ შეუვიდესო.

ვალენტინ

ფანჯრიდამ შესვლას ვინლა დაგიშლისთ?

დუკი

მეტად მაღლაა; კედლებიც ისე გალესილია,
რომ კაცი უფრო კისერს მოიტეხს, მანამ ზედ შესვლას
მოახერხებდეს.

ვალენტინ

კარგი მაგარი ბანრის კიბითა და ორი ჩანგლით,
როგორ იქნება, რომ არ მოხერხდეს, თუ კი გაბედავთ!

დუკი

მართლა, ვალენტინ! ეგ აზრი მომწონს; ახლა ეს მითხარ,
ეგ ბანრის კიბე როგორ ვიშოვო?

ვალენტინ

თქვენ ეს მიბძანეთ, როდისა გნებავთ?

დუკი

ახლავ, ამალამ. სიყვარული ხომ, შენც კარგათ იცი,
ყმანვილივითა რასაც მისწვდება, ხელსაცა ჰსტაცებს.

ვალენტინ

ამ ერთს საათზედ გიშოვით კიბეს.

დუკი

ესეც უნდა ვჰსთქვათ: ხომ მარტო ნავალ და ვინ მომიტანს
იქ მაგ კიბესა?

ვალენტინ

კიბე ისეთი მსუბუქი გახლავთ, რომ შეიძლება
თქვენვე ნაილოთ, ნამოსასხმელქვეშ რომ იქონიოთ.

დუკი

ეგ რომ გასხია, მაგისტანა ხომ კარგათ ივარგებს?

ვალენტინ

დიალ კარგათა!

დუკი

მაშ აბა ერთი ეგ გამაშინჯე, რომ მაგისტანა მეც მოვიმზადო.

ვალენტინ

მაგ საქმისათვის ყველა ივარგებს.

დუკი

ჯერ ეგა ვჰშინჯოთ, რა გენალვლება.

(მოხდის და ვალენტინს წიგნი გავარდება)

ეგ რა წიგნია? ერთი უყურეთ: სილვიასაო!

ილლიაშიაც სწორეთ ის კიბე, როგორსაც ვეძებ!

ახლა კი იმდენს ვიკადნიერებ, რომ ამ წიგნს გავჰხსნი.

(კითხულობს)

„ჩემი ფიქრები ღამეს ათევენ ჩემს სილვიასთან;

მე რატომღა ვერ მოვახერხებდე იმათთან შესვლას?

შენ განუსვენებ მსახურთა ამათ შენს სპეტაკს მკერდზედ, –

და მე კი ვჰკრულავ, ჩემმაგიერად რომ ნეტარებენ!

ბედსაც ვინყველი, რომ ფიქრებს ვჰგზავნი, სადაც თვით მე მსურს

ვიმყოფებოდე!..“ ეს რაღა არის? – „ჩემო სილვია!

მე გამოგიხსნი შენ ამავე ღამეს“. – ჰო! ესეც კიბე!

ეჰე! თავხედო! კარგათა ჰბედავ! რა რომ ვარსკვლავნი

შენც დაგნათიან, ცას გინდა შეჰსწვდე? გაეთრი გარეთ,

ბოროტო სულო, ამბოხო მონავ! შენი ტოლობა

სადაცა ჰპოვო, იქ იმაცთურე შენის ღიმილით!..

თუ დაუსჯელად გახვედ აქედამ, ჩემს მოთმინებას

დაუმაღლიდე და არა სხვასა ჩემს წყალობასა,

რომელიც გაქენდა უღირსსა, ფლიდსა! და თუ რომ შენ აქ,

რაც საჭიროა, იმაზედ მეტი დაიგვიანე,

ღმერთს გაძლევე მონამად, რომ ჩემი რისხვა იმ სიყვარულსაც

გარდაემატოს, რომლისაც ღირსად ჩემს ქალსა ვხადდი! –
შენს გამართლებას ყური ვათხოვო, ნუ განიზრახავ.
სიცოცხლე თუ გნადს, ნულარ აყოვნებ.

(დუკი გავა)

ვალენტინ

ამას სიკვდილი რატომ არა სჯობს?! სიკვდილი არის
ხელის აღება თავის თავზედა; და ჩემი თავი
არის სილვია, რომელიც მე ვარ. იმას მოვჰშორდე, –
სიკვდილით მოვჰკვდე, – ეს არის, სხვა რა ჩემი გაგდება
ამ სახლიდამა. ჩემთვის სინათლე სადღა იქნება,
სადაც სილვიას ველარა ვნახავ? ჩემთვის ნუგეში
რაღა იქნება, სადაც სილვია არ მეგულება
და სადაც უნდა უსაგნო ლანდად ვიარებოდე?!
ღამით თუ იმას ველარა ვნახავ, რაღასა ვნახავ?
დღისით თუ იმას ველარ შევჰხედავ, რაღას შევჰხედავ?
ჩემი სიცოცხლე სილვია არის. თუ ის არა მზრდის,
ის არ მინათებს, ის არ მაცოცხლებს, რაღამ მაცოცხლოს?
დუკის სამართალს ცოცხალის თავით თუ გადავურჩი, –
რა სიცოცხლეა? მკვდარი ვარ მაინც! და თუ გავექეც,
რას გავექევი? სიკვდილს კი არა, სიცოცხლეს ისევ!

(შემოვლენ პროტეოს და ლაუნსი)

პროტეოს

როგორც შეგეძლოს, ისე ირბინე! ეგების შეჰხვდე სადმე იმასა.

ლაუნსი

აგერ! შენ ეი!

პროტეოს

ვინ ნახე მანდა?

ლაუნსი

ვისაც ჩვენ ვეძებთ; არ აბადია არც ერთი ბენვი, რომ ვალენ-
ტინი არ ეთქმოდეს.

პროტეოს

ვალენტინ! შენა?

ვალენტინ

არა!

პროტეოს

იმისი ლანდი?

ვალენტინ

არა.

პროტეოს

მაშ, ვინა ხარ, რა ხარ?

ვალენტინ

არაფერი.

ლაუნსი

არაფერიო და ხმას კი იღებს! ბატონო, მოდი – დაურთოთ ერთი.

პროტეოს

ვისა?

ლაუნსი

ამ არაფერსა.

პროტეოს

ჩუმათ სულელო!

ლაუნსი

არაფერია, ხომ გაიგონეთ, არაფერია!

პროტეოს

გეუბნებიან, აღარ გაბედო! ჩემო ვალენტინ! სიტყვა მაქვს ერთი...

ვალენტინ

მე ცუდის ამბით ყური ისე მაქვს გამოჭედილი, რომ კარგს სიტყვასაც ვერ გავიგონებ.

პროტეოს

მაშ, გავჩუმდები: ჩემი სათქმელი ცუდი რამ არის, დიდად
საწყენი, შესაწუხარი!

ვალენტინ

სილვია მოკვდა?

პროტეოს

არა, ვალენტინ!

ვალენტინ

მაგრამ, ჰო, მართლა! ვალენტინი ხომ აღარსად არის
იმ ზეციერის სილვიასათვის! მაშ – მილალატა?

პროტეოს

არა, ვალენტინ!

ვალენტინ

ვალენტინ, გითხარ, აღარსად არის, სილვიამ იმას თუ ულალატა.
რა ამბავი გაქვს ჩემთვის სათქმელი?

ლაუნსი

თქვენი გაგდება გამოაცხადეს, ჩემო ბატონო.

პროტეოს

შენი განდევნა ამ ქვეყნიდანა, სილვიასაგან
და ჩემ-შენისა მეგობრისაგან.

ვალენტინ

კარგათ გამაძლო მე მაგ ამბავმა; ახლაკი კმარა,
ჩემი გაგდება იცის სილვიამ?

პროტეოს

როგორ არ იცის; შესწირა კიდეც თავისი მსხვერპლი
განუკითხავსა ამ განჩინებას. ზღვა დააქცია
მარგალიტისა, რომელსაც ეთქმის ცხარე ცრემლიო.
ამაო იყო, უწყალს მამას რომ შესტიროდა
მუხლმოდრეკილი და მკრთალის ხელით გულში იცემდა,

არც მუხლთ მოდრეკა, არც ხელთ აპყრობა, არცა გოდება,
შეუბრალებელს იმის მამასთან არა გაჰხდა რა.
„ვალენტინს მოჰკვლენ, თუ მოასწრესო!“ არათუ ესა, –
ქალის ვედრებით ისე განრისხდა იმის მშობელი,
რომ საპყრობილეს ჩაასმევიანა და დაემუქრა,
სამარადისოდ მანდ იქნებო.

ვალენტინ

აღარა ჰსთქვა რა, თუ რომ სათქმელმა მაშინვე სული
ვერ ამომართვა; და თუ მომკვლელი სიტყვა გაქვს რამე,
რადას უყურებ, დამიტკბე ყური, მომეცი კილო
უკუნითადის მწუხარებისა.

პროტეოს

მაგვარი შენი სულ-მოკლეობა რის მაქნისია, –
სადაც რომ საქმეს ვერრას უშველის! ის არა ჰსჯობს, რომ
არჩიო, საქმეს რა მოევლება. ყოვლის სიკეთის
დედა და მზრდელი – დრო არის მხოლოდ; და ტრფობის კვერთხი
სასოებაა; ამ ორივეთი ხელი შეინყე
და გზას დაადეგ! ვჰთქვათ, სხვაგანა ხარ. მიწერ-მოწერიო
აქვე იქნები! მე მიგზავნიდე და მე გადავსცემ
დაუყოვნებლად შენს საყვარელსა.
ლაპარაკისთვის დრო აღარა გვაქვს; ნავიდეთ ახლა!
გარეთ კარამდინ მე გამოგყვები. გზაზე ვთქვათ ყველა
შენს სიყვარულზედ რაც კი რამ ითქმის.
თუ არა შენთვის, სიღვიასათვის მაინც განშორდი
ამ განსაცდელსა.

ვალენტინ

ლაუნს! ეგების ჩემი მსახური შემოგხვდეს სადმე,
უთხარ, მაშინვე იქ მომამუროს, გარეთ კარებთან; –
ცოტას მოუცდი.

პროტეოს

ეხლავ მოძებნე! ჩვენ კი ნავიდეთ, ჩემო ვალენტინ!

ვალენტინ

სილვია! ვაი, შენს ვალენტინსა.

(გავლენ)

ლაუნს

უნდა მოგახსენოთ, სულელს მეძახიან, მართალია, მაგრამ იმდენს კი მივჭზვდი, რომ ეს ჩემი ბატონი მეტის მეტი რაღაც რამ გაქნილი ყოფილა; და ეს ხომ სულ ერთია, თუნდ რომ სიფლიდეც შემენამებინოს. ჩემსას კი გაბედვით ვიტყვი, ჯერ კაცია არ დაბადებულა, ჩემი თქვას, ამას მე ვიცი, უყვარს ვინმეო! აბა, თუ კაცია და იტყვის ვინმე! – მიყვარს კი; მაგრამ ვინ მიყვარს, ამას ღვედითაც ვერა ვინ გაიტანს ჩემგანა. ვერცა რა ვინ იმისს სახელს მათქმევინებს, ვინც მიყვარს. ჩემი საყვარელი დედაკაცია, ვთქვათ; მაგრამ როგორი? ამას ჩემს თავსაც ვერ გაუტყდები. რატომ? იმიტომ, რომ ჯერ ისევ გოგო არის; გაუთხოვარია, მართალია, მაგრამ ნათლობა კი გადახდილი აქვს; მანც კი გოგოა ისევა, ამიტომ რომ გოგოთ არის ერთ ოჯახში და ჯამაგირს იღებს. ღირსებას თუ იტყვით, ერთ კარგ მეძებარზედ უფრო მეტი ღირსება აქვს, და სანყალის ქრისტიანის სულისაგან, მოგეხსენებათ, ეს ბევრიც არის. *(ქალაღდს ამოიღებს)* აი, აქ არის ყველა იმისი ღირსება ანუსხული, თავდაპირველათ – შეუძლია იშოვოს კიდეცა და კიდეც შეიძინოსო. ღმერთს ენდე, ამაზე მეტი ცხენსაც არ შეუძლია; მაგრამ ცხენი რა სათქმელია? ჯერ ერთი ესა, რომ ცხენს შოვნა სულაც არ შეუძლია. მაშ რაღა ჩიჩინი უნდა, ერთ კარგ ჩათლახს ბევრითა სჯობნებია!¹⁵ მერე – მონველა შეუძლიაო! ხუმრობაა? გოგოსთვინ ძალიან ღირსებაა, მეტადრე, თუ ხელებიც სუფთათა აქვს.

(შემოვა მარდი)

მარდი

რას იტყვი ახალს, სინიორ ლაუნს? ახალი რა იცის შენმა უფლებამ?

ლაუნს

ჩემმა უფლებამ? ვინ მამცა მერე ეგ უფლებაი?¹⁶

მარდი

ძველ ჩვეულებაზედ კიდევ არ იღებ ხელსა, რომ კაცს მაშინვე პირში ეტაკები ხოლმე, განა? მაგ ქალაღდში მაინც რა არის ახალი.

ლაუნს

ისეთი შავი რამ არის, რომ შენს სიცოცხლეშიაც არ გაგეგონოს.

მარდი

როგორ თუ შავი?

ლაუნს

როგორც მელანი.

მარდი

აბა, მაჩვენე, ნავიკითხო!

ლაუნს

წიგნი რა იცი მერე, რო წავიკითხო.

მარდი

რას ამბობ, წიგნი როგორ არ ვიცი.

ლაუნს

აბა, ვნახავ, თუ იცი: ჯერ ერთი მითხარი, შენ ვინ ჩაგსახა?

მარდი

ვინ ჩამსახა და – პაპის ჩემის შვილმა.

ლაუნს

აბა, რა გკითხო, წიგნი ვიციო, დაგიჟინია. პაპისშენის შვილმა კი არ ჩაგსახა, ბებიაშენის შვილმა ჩაგსახა! რალა თქმა უნდა, რო წიგნი არა გცოდნია.

მარდი

შენ ეგ ქალაღდი მაჩვენე აქა და ნახავ, მცოდნია თუ არა.

ლაუნს

აჰა, ვნახოთ ერთი, როგორ რას ამოიკითხამ.

მარდი

თავდაპირველათ – მონველა შეუძლია.

ლაუნს

ეგ რა? დიად შეუძლია.

მარდი

მერე – ლუდს აკეთებს კარგათა.

ლაუნს

კიდეც მაგიტომ იტყვიან: თუ გინდ თაროზე დამსვიო, ოლონდ კი ლუდი მასვიო.

მარდი

მერე – ჰკერამს.

ლაუნს

მაშ, დაკერებაც ეცოდინება.

მარდი

მერე – ჰქსოვს.

ლაუნს

შინ ფეხშიშველა არა ვინ დარჩება.

მარდი

მერე – რეცხვა და დაჯანდვრა იცის.¹⁷

ლაუნს

რასაც არ გარეცხს, დაჰჯანდრავს მაინცა.

მარდი

მერე – ჯარაზე დართვა იცის.

ლაუნს

ართე, ართე, ჩემო ჯარა, ჩემო ჯარის ტარო.

მარდი

მერე – სხვა ბევრი უსახელო ღირსება აქვს.

ლაუნს

უსახელო! ვითამ უკანონო და უგვარო. თავანკარი საიღამ იქნება.

მარდი

ახლა იმისი ნაკლულეგანება.

ლაუნს

ღირსებას კვალში უდგია, რაღა თქმა უნდა.

მარდი

თავდაპირველათ – უზმით იმისი კოცნა არ ვარგა, პირი უყარს.

ლაუნს

მაგისი წამალი საუზმე და იმისი ჯანი! მერე?

მარდი

მერე – გაუმადლარი არის.

ლაუნს

მაშ რას მიჰქარვენ. პირის სიმყრალეს რაკი თითონვე იქარვებს, რაღას ემართლებიან!

მარდი

მერე – ძილში ლაპარაკი იცის.

ლაუნს

ლაპარაკში არ იცოდეს ძილი, თორემ მაგითი რა უშავს!

მარდი

მერე – ლაპარაკი ეზარება.

ლაუნს

ამისთანა სისულელეც გაგიგონიათ? ჩუმათ ყოფნა უყვარსო, თითქო დანაშაულს ეწამებოდნენ რასმე. დედაკაცისათვის მაგაზე უკეთესი ღირსება რაღა იქნება, რასა ლაცობენ! წაშალე მანდა და ზევით ჩანერე, იმის ქებაში.

მარდი

მერე – ცოდვილობა უყვარს.

ლაუნს

ეგეც ნაშალე. დედაკაცი ისეა დაბადებული, რომ თავის დღე-ნი უნდა იცოდვილოს და მაგას რა მოაშლევინებს?

მარდი

მერე – უკბილო არის.

ლაუნს

ეგ უკეთესი; ქერქი მე მიყვარს.

მარდი

მერე – სიკაპასე ჰსჭირს.

ლაუნს

უკბილო თუა, მაგითი რა უშავს! კბილით ხომ ვერავის ჩააფრინდება და სხვას რასა იქს!

მარდი

მერე – ღვინის ქება უყვარს.

ლაუნს

ნეტა რა ვქნა! კარგი თუა, რატომ არ აქოს? მე ვაქებ, თუ იმან არ აქო; კარგი ყოველთვინ უნდა აქოს კაცმა; მამ როგორ იქნება!

მარდი

მერე – აყოლა იცის.

ლაუნს

ლაპარაკში ვერავის აპყვება; ზევითა ჰსწერია, ლაპარაკი ეზარებაო; – ფულის ხარჯვაში ვერავის აპყვება, – ქისას მე ჩავიდებ ჯიბეში. სხვა რა? დაყოლა თუ იცის, მაგას ვერა მოაშლევინებს რა? მერე?

მარდი

მერე – თმა უფრო ბევრი აქვს ქკუაზედა; ნაკლებობა უფრო ბევრი აქვს თმაზედა და გულის სიკეთე უფრო მეტი აქვს ნაკლებობაზედა.

ლაუნს

მოიცა, მოიცა! მე ის ჩემთვის მინდა ვითხოვო და რამდენჯერაც მანდ მოვატანე, ხან მიჯდება ჭკუაში, ხან არა; და რას დავადგე არ ვიცი. აბა ერთი კიდევა, როგორაო?

მარდი

თმა უფრო ბევრი აქვს ჭკუაზედა.

ლაუნს

თმა უფრო ბევრი აქვს ჭკუაზედაო? ეგ შეიძლება; – აი რატომ: სამარილის სარქველი ხომ მარილს აფარია! მაშ მარილზე მეტი ყოფილა. თმაც ჭკუას აფარია, მაშ მეტი ყოფილა ჭკუაზედა. ამას რა თქმა უნდა, რომ მეტი ნაკლებსა ჰფარამს. მერე რაო?

მარდი

მერე – ნაკლებობა უფრო მეტი აქვს თმაზედა.

ლაუნს

ეგ საზარელია! ოჰ! ნეტავი ეგკი არა ყოფილიყო და სხვა არა მინდოდარა!

მარდი

და გულის სიკეთე უფრო ბევრი აქვს ნაკლებობაზედა.

ლაუნს

ეგ ხომ ყველა ნაკლებობას აშვენებს. გათავდა! უნდა შევიერთო, და თუ შევიერთე, რადგან შეუძლებელი არა არისრა...

მარდი

მერე?

ლაუნს

მერე და შენი ბატონი რომ გარეთ კარებთან გელის, ამაზე რას იტყვი?

მარდი

მე მელის?

ლაუნს

შენა, ჰო! ვითამ შენ ვინა გდიხარ! სხვა უკეთესს ელოდეს ვისმე, არ ეკადრება თუ?

მარდი

მეც იქ მისვლა მიბძანა?

ლაუნს

ირბინე მეთქი, გეუბნები! შენ ამდენ ხანს ეგდე აქა, რომ იქნება სირბილითაც ვეღარ მოეწიო.

მარდი

მერე რატო აქამდინ არ მითხარი? ჯანაბამდინაც უვლია შენს საარშიყო წიგნებსა!

(გავა)

ლაუნს

აცა, თუ ჩემი წიგნის ღეჭა არ გადაგხდეს! რა გინდოდა? სხვის საქმეში რად ეჩრებოდი! გავჰყვე ერთი, ვნახოთ რა დაემართება!

(გავა)

სცენა 2. სხვა ოთახი დუკის სასახლეში.

შემოვლენ დუკი, თურიო და მერე პროტეოს.

დუკი

ნუ გეშინიათ, სინიორ თურიო! რადგან ვალენტინ განდევნილია, უეჭველია თქვენ შეგითვისებთ.

თურიო

ის რომ გააგდეთ, მასუკან უფრო ცუდათ მიყურებს; თითქმისა ჯავრობს, როდესაც მხედავს; დასაციწრათაც აღარა მზოგავს. არა მგონია, რომ მე შემირთოს.

დუკი

სიყვარულისგან ცოტა რამ წყენა და ანაბანის ყინულზედ წერა, ორივ ერთია; გათბა და გადნა,

წყლად გადაიქცა. ბევრი არ უნდა, რომ მალე გადნეს ჩემი სილვიას მყინვარებაცა და დაივიწყოს ის საძაგელი, ფლიდი ვალენტინ. აგერ, პროტეოს თქვენ რალას იტყვით! განშორდა ხომა ამ ქვეყანასა ჩემის ბძანებით თქვენი ვალენტინ?

პროტეოს

დიალ! გიახლათ, თქვენო უგანათლებულესობავ!

დუკი

იმისს გაგდებას დიდად თურმე ჰსწუხს ჩემი სილვია.

პროტეოს

მალე გაუვლის ეს მწუხარება და დამშვიდდება.

დუკი

მეც აგრე ვჰფიქრობ; მაგრამ თურიოს ეგ არა სჯერა. პროტეოს! შენი კეთილი გრძნობა, რომელიც საქმით დამიმტკიცე მე, იმედს მაძლევს რომ, რასაცა გკითხავ, კარგს რჩევას მომცემ.

პროტეოს

მეც გამპატიჟეთ, თუ წრფელის გულით არ აღვასრულო ჩემი თქვენ წინა ვალდებულება.

დუკი

დიდად მსურს, იცი, რომ ჩემი ქალი თურიოს მივსცე.

პროტეოს

დიახ, ბატონო!

დუკი

და ესეც იცი, რომ სილვია კი უარზედა დგას და ჩემს ნებასაც არაფერს დასდევს.

პროტეოს

აქ რომ ვალენტინ ეგულებოდა, ეგ მაშინ გახლდათ.

ღუკი

მაშინაც, ახლაც, სულ ისევ ისე უარზედ არის.
რა მოვახერხოთ, რომ ვალენტინზედ აღარ იფიქროს
და ეს თურით შევართვევინოთ?

პროტეოს

მგონია ჰსჯობდეს, რომ ვალენტინი უძაგოთ ხოლმე;
შესწამოთ იმას – სიცრუე, სიმხდლე, მდაბალ-გვარობა,
ეს სამი ბინი, ქალებისაგან რომ უფრო მეტად დასაწუნია.

ღუკი

მაშინ იფიქრებს, ცილსა ჰსწამებენ, უგონებენო.

პროტეოს

იმის მტრისაგან თუ გაიგონა, უეჭველია.
დიდი სიფრთხილე გმართებთ თქვენ აქა; კაცი გინდათ, რომ
იმის მეგობრად მიაჩნდეს ქალსა.

ღუკი

მაშ ისე თქვენვე თუ მოახერხებთ, თორემ სხვა ვინა?

პროტეოს

როგორ? მაშინ ხომ ცილის წამება უნდა ვიხმარო;
ცილის წამება ვიზედა მერე? ჩემს მეგობარზედ!
აზნაურობას ეს არ შეჰშვენის, ჩემო ბატონო!

ღუკი

სადაც მეგობარს კეთილი სიტყვა ვერას უშველის,
და ცუდი სიტყვა ვერას დააკლებს, იქ, მე მგონია,
ეს მოხერხება ვერ შეაგინებს თქვენს ღირსებასა.
და ეგეც ვისთვის იქნება თქვენგან? მეგობრისთვისვე!

პროტეოს

სწორეთ დამძლიეთ! სჩანს, რომ მე უნდა ველაპარაკო,
რომ შევაძულო! მაგრამ ასე ვჰსთქვათ, მე ვალენტინი
გამოვიყვანე იმის გულიდამ; თურითს მაგით
ხომ ვერ შეიტრფობს?

თურიო

იცით რა ქენით! თქვენ რომ იმათი ტრფობის გორგალი ხელში გექმნებათ, რასაც იქიდან ძაფს გამოახვევთ, – სულ რომ არ დანყდეს, არ დაიკუნოს, მე დამახვიეთ, – მე დამახვიეთ. თქვენ ხომ ეს სულ არ გაგიჭირდებათ, რომ მე მაქებდეთ, რამდენსაც იმისს დაგებას ეტყვით.

ღუკი

ჩვენ ამ საქმეში თქვენ მოგენდობით, ჩემო პროტეოს. ვალენტინისგან ვიცით, რომ თვითან თქვენც ტრფიალი ხართ და იმედი მაქვს, რომ თქვენს სიყვარულს არ უღალატებთ. მე ამ მიზეზით დამშვიდებული თქვენ ნებას გაძლევთ, რომ სილვიასთან იართო ხოლმე და თავისუფლად ილაპარაკოთ. ახლა ჰსწუხს ისა, მონყენილია, დაღონებული, და რა თქმა უნდა, რომ იამება თავის საყვარლის მეგობრის ნახვა. სხვის უკეთესად თქვენ შეაგონებთ, რომ დაანებოს ვალენტინს თავი და ჩვენს თურიოს გამოუბრუნდეს.

პროტეოს

რასაც შევიძლებ, დიდად ვეცდები. მაგრამ, თურიო! თქვენის მხრითაც კი ნურას დაჰზოგავთ. მახე გაუბით ქალის სურვილსა; ხან დაუმღერეთ, ხან ქება ასხით და რასაც ეტყვით, წრფელის ფიცითა და წმინდის გულით დაუმონმებდეთ, იმისი გრძნობის აღსატაცებლად.

ღუკი

ოლონდაც, მართლად, დიდი რამ არის ეს საღმთო ძალი პოეზიისა!

პროტეოს

მისწერდეთ ხოლმე, რომ იმის სრულის შვენებისათვის მსხვერპლად გინირავთ სული და გული; მისწერდეთ ხოლმე, მანამ მელანი გაგიშრებოდეთ და თუ გაგიშრათ, თქვენის ცრემლებით გაჰხსნიდეთ ისევ. და რასაც მისწერთ,

ისე მისწერდეთ, რომ ეტყობოდეს, მართალს ამბობსო. ორფეოსი რომ უკრავდა ქნარსა, სიმები ჰქონდა პოეტებისა და ამით იყო, ქვასა და რკინას რომ არბილებდა, – ვეფხვსა და ფოცხვერს რომ ამშვიდებდა; ზღვის უფსკრულიდამ დიდი ვეშაპი რომ ამოჰყავდა და ზღვის ნაპირზედ ათამაშებდა. კარგად შენმანხილს, შემადრწუნებელს შაირებს გარდა, მოსაკრავეთაც შეჰყრიდეთ ხოლმე, – დაღამების დროს იქ მიიყვანდეთ და ფანჯარასწინ საკრავების ხმას თქვენს დამღერასაც ააყოლებდეთ მგრძნობელობითა. თუ რომ ასე იქთ, არ შეიძლება დროზედ არ დაგყვეთ.

ღუკი

ეგ თქვენი რჩევა ცხადად ამტკიცებს, რომ თქვენც ყოფილხართ მართლად ტრფიალი.

თურიო

მაგ დარიგებას მე შეუდგები თუნდ ამაღამვე. მხოლოდ უფალო პროტეოს, გთხოვთ, რომ მუზიკანტების შეგროვებაზედ თქვენც მომეხმაროთ. ამ შემთხვევისთვის ლექსიც მზათა მაქვს.

ღუკი

მაშ შეუდევით, დროს ნულარ ჰკარგავთ!

პროტეოს

ვახშამთ უკან თუ ნებას გვიბოძებთ...

ღუკი

ვახშამს რათ უცდით; ბარემ ახლავე! გზა მშვიდობისა!
(გავლენ)

აკტი 4.

სცენა 1. ტყე, მანტუას მახლობლად.

შემოვლენ გავარდნილი თული კაცები.

I თული

ამხანაგებო! აქ მოდით ჩქარა! მე მგზავრსა ვჰხედავ!

II თული

თუნდ ათიც იყოს, ნუ გენაღვლება, დავსცემთ მაშინვე.

(შემოვლენ ვალენტინ და მარდი)

III თული

შედექით მანდა! და რაც გაგაჩნდეთ, ახლავ მოგვეცით;

ნებით მოგვეცით, თორემ ძალათაც კარგათ წაგართმევთ!

მარდი

გაგვცარცვენ ბატონო, ბატონო! ეს სწორეთ ის ავკაცები არიან, ამ გზაზედ რომ თულობენ.

ვალენტინ

ჩემო მეგობრებო!

I თული

აქ მეგობარი არავინ არის; მტერი ვართ თქვენი.

II თული

გაჩუმდი ერთი, ვნახოთ რას ამბობს!

III თული

ამ ჩემმა წვერმა, კაი კაცსა ჰგავს, ვნახოთ რას ამბობს!

ვალენტინ

მაშ, ეს იცოდეთ, ბევრი სიმდიდრე მე არა მაქვს რა.

კაცი ვარ ერთი, შავის ბედისგან შეწუხებული;

რაც რა მაცვია, მეტი სულ არა გამაჩნია რა;

ეს თუ წამართვით, სულ ეს იქნება, რასაც წამართმევთ.

II თული

სად მიხვალთ თქვენა?

ვალენტინ

ვერონას მივალ.

I თული

საიღამ მოხვალთ?

ვალენტინ

მილანიღამა.

III თული

მერე მილანში დიდხანს იყავით?

ვალენტინ

თექვსმეტიოდ თვეს. მეტსაც დავჰყოფდი, –
მუხთალი ბედი რომ არ შემცვლიყო.

I თული

რა იყო მერე, გამოგაგდეს თუ?

ვალენტინ

ჰო, გამომაგდეს!

II თული

რა საქმისათვის?

ვალენტინ

გული მიკვდება, რომ მოვიგონებ: იქ ერთი კაცი
შემომაკვდა და დიდათა ვჰსწუხვარ იმისს სიკვდილსა.
მუხანათობით კი არ მომიკლავს, ან ღალატითა;
ხმალში გავვედით და შემომაკვდა!

I თული

მერე მაგისტვის რალა განუხებს? მაგისტვის იყო
რომ გამოგაგდეს? დიდი რამ საქმე არ დაგმართვია.

ვალენტინ

კიდევაც კარგი, უფრო სასტიკად რომ არ დამსაჯეს!

I თული

ერთი მითხარი, უცხო ენები იცი, თუ არა?

ვალენტინ

ჩემს მგზავრობაში მაგაზე მეტი რა მიშოვნია!
სხვა სიმდიდრესკი ნულა რას მკითხავთ.

II თული

იმ რობინ-ჰუდის ბერის¹⁸ ცხონებამ, ეს კაცი ჩვენთან
რომ იქნებოდეს, ჩვენთვის მეფობის ღირსი იქნება!

I თული

მართლა, აქ მოდით, ამხანაგებო!
(ჩუმათ ლაპარაკობენ)

მარდი

მოდი, ბატონო! გაუხდით ამათ ამხანაგათა;
ეტყობათ, მართლა, ცუდი კაცები არა ყოფილან!

ვალენტინ

ჩუმათ! სულელო!

II თული

ერთი გვითხარით; ამ ქვეყანაში კიდევ შეგტკივათ
რისთვისმე გული?

ვალენტინ

სულ არაფრისთვის.

III თული

მაშ ეს იცოდეთ, ზოგნი ჩვენგანნიც აზნაურნი ვართ,
სიყმანვილეში თავხედობისთვის გამოგდებულნი
მშვიდობიანის ხალხისაგანა. მე თვითანა ვარ
ვერონადამა, ქალს ვიტაცებდი, დუკის ნათესავს
და მემკვიდრესა; ამისთვისა ვარ გამოვარდნილი!

II თული

მე მანტუაში, გაანჩხლებულმა, გულში ვაძგერე
ჩემი ხანჯალი ერთს აზნაურსა და გამოვვარდი.

I თული

მეც მაგისთანა შემემთხვა რალაც, მაგრამ საქმე ვჰტყვათ:

დამნაშაავობა თუ მოგვედევს რამე, იმისთვის ვამბობთ,
რომ ეხლანდელი ყოფა-ცხოვრება გაცნობოთ ჩვენი.
მაგ თქვენს მოხდენილს თვალ-ტანადობას რომ შემოვჰყურებთ,
და ამას გარდა უცხო ენებიც რომა გცოდნიათ,
ჩვენ ამასა ვჰგრძნობთ, რომ თქვენ გვაკლიხართ.

II თული

მართლათაც, რადგან თქვენც კი ისე ხართ გამოვარდნილი, –
აქ ბევრი რჩევა რა საჭიროა; – ჩვენ ამას გკითხავთ;
მოთავეობა რომ მოგცეთ ჩვენი, გინდათ თუ არა?
ჩვენს გაჭირვებას თქვენც დაეჩვიოთ და ამ ყრუ ტყეში
ჩვენთან იცხოვროთ?

III თული

გვითხარ: თანხმა ხარ, თუ არა? თუ ხარ, ჩვენი უფროსი
შენ შეიქნები და ჩვენც პირობას დაგიდებთ აქა,
რომ გემორჩილნეთ! პატივსა გცემდეთ, და როგორც ბატონს,
როგორც ჩვენს მეფეს, ისე გმონებდეთ სიყვარულითა!

I თული

თუ უარს გვეტყვი, იცოდე ბარემ, რომ უნდა მოგკლათ.

II თული

რომ სატრაბახოთ ველარსადა ჰსთქვათ, რაც აქ გითხარით.

ვალენტინ

მე თანახმა ვარ თქვენს სიტყვაზედა, და აქა ვრჩები;
ამ პირობით კი, რომ გასაცრცველად ხელი არ ახლოთ
თქვენს სიცოცხლეში არც ქალსა ვისმე, არც ღარიბს კაცსა.

III თული

გაძლევთ პირობას, მაგგვარი საქმე ჩვენც გვეჯავრება.
მაშ ეს გათავდა! ახლა წავიდეთ! ჩვენს ქვაბს მიგიყვანთ,
და რაც საუნჯე შეგვიკრებია, შენ ჩაგაბარებთ;
როგორც გერჩიოს, ისე იხმარე და მოგვახმარე.

(გავლენ)

სცენა 2. მილანი. სასახლის ეზო.

შემოვა პროტეოს.

პროტეოს

მე ვალენტინს ხომ მტრულად მოვექეცე; ახლა მოვიდა თურის რიგი; ვითამ იმისთვის უნდა ვსცდილობდე და ჩემს საქმეს კი უფრო ვადგევარ, მაგრამ სიღვია მეტად წმინდაა, მეტად უბინო, შეუხებელი! ჩემის საზიზლის ყოფაქცევითა როგორ შევიძლებ, რომ დავითანხმო? ერთგულებაზედ მერწმუნე მეტქი, თუ შევეხვენი, – მაშ შენს მეგობარს რად უმუხთლეო, ამას მომარტყამს. სიყვარულზედ თუ ფიცს მოუყვევი, ჩემს სიცოცხლეში არა ვჰგმო მეტქი, – მაშ შენს საყვარელს რაღათ ჰღალატობ, ჯულიასაო, მაშინვე მეტყვის. მაგრამ რაც უნდა გულის საკოდი სიტყვა მაყაროს, ჩემს გარდა რომ სხვას იმედს უწყვეტდეს უკანასკნელსა; მე მაინც ვიტყვი, რომ ჩემი გრძნობა უფრო და უფრო ისე ჰმატულობს და ისე ვეტრფი, როგორც გოშია უფრო და უფრო ელაქუცება თავისს პატრონსა, რაც უნდა ჰსტუესონ და ჰსცემონ ხოლმე. აგერ თურიოც! უნდა წავიდეთ და ფანჯარას წინ ჩვენის მუზიკით ყური დაუტკბოთ.

(შემოვლენ თურიო და მოსაკრავენი)

თურიო

როგორ, პროტეოს! თქვენ დაგვასწარით?

პროტეოს

დიად, თურიო! ვინც ტრფიალებას ემსახურება, სადაც რომ ცხადათ ვერ გამოჩნდება, იქ ჩუმათ მივა.

თურიო

ეგ მართალია; მაგრამ ვჰგონებ კი, თქვენი საძებნი აქ არსად იყოს.

პროტეოს

დიალ, თურო! სხვა ხომ იქნება?

თურო

ვინა, სილვია?

პროტეოს

დიალ, სილვია, და ისიც თქვენთვის.

თურო

დიდათა გმადლობთ. მუზიკანტებო! აბა მოაწყეთ;
მხიარული რამ!

*(შემოვლენ მოშორებით მასპინძელი და ჯულია,
ბიჭურად მორთული).*

მასპინძელი

რაო, რათა ხართ აგრე, ჩემო ყმანვილო სტუმარო? თითქო
დაღონებული იყოთ, რა მიზეზია?

ჯულია

მგონია მიზეზი ეს იყოს, რომ მხიარულათ ვერა ვარ.

მასპინძელი

მე მინდა გაგამხიარულოთ; აქ ახლოს მუზიკას გაიგონებთ და
იქნება ვისაცა კითხულობთ, ისიცა ნახოთ.

ჯულია

იმისს ხმასაც გავიგონებთ, თუ ვერა?

მასპინძელი

რასაკვირველია.

ჯულია

აი, მუზიკა. *(მუზიკა ისმის)*

მასპინძელი

ყური დაუგდეთ, ყური დაუგდეთ!

ჯულია

ისიც ამათში არის?

მასპინძელი

დიად, მაგრამ ჩუმათ! გავიგონოთ!

ს ი მ ლ ე რ ა :

ეგ თქვენი სატრფო რომელი არის?
რომ აქაური ყმანვილ-კაცები მაგას შესტროფიან?
სილვია არის; მშვენიერია;
გონიერია; ზეციერია;
ყოველს სიკეთეს მჯობიერია;
ამ გვარად არის ღვთისგან ნაკურთხი;
ამისთვის არის, რომ ყმანვილები თავს ევლებიან.

ლამაზი თუა, გულიც კარგი აქვს?
სიმშვენიერე, გულის სიკეთე ერთად ჰსცხოვრებენ.
სიყვარულს თვალი ასტკივებო;
სილვიას თვალი მოსწონებო;
განსაკურნავად იქ შესულიყო;
მას აქეთ ბინა მუდმივად იქ აქვს;
სიყვარული და სილვიას თვალი ერთარსოვნებენ.

მაშ ჩვენც ამავე ქალს შევსწიროთ ქება
გულს-მოდგინებით, მონადინებით, რაც შეგვეძლება,
რომელი არის უდარებელი;
ყოვლის მოკვდავის მაცოცხლებელი;
ამავე ქვეყნისა მსასოვებელი;¹⁹
რომელსა ჰშვენის ქება დიდება
და რომლის მსგავსი მრთელს ცას ქვეშეთში არვინ იქნება!

მასპინძელი

რა დაგმართვიათ, ყმანვილო! ახლა უფრო მოგინყენიათ? რა მიზეზია? იქნება მუზიკა არ მოგწონდეთ?

ჯულია

მუზიკა კი არა, მომღერალია, რომ არ მომწონს.

მასპინძელი

რატომ, ჩემო პატარა სტუმარო?

ჯულია

ძალიან ცუდათ ამბობს და იმიტომ.

მასპინძელი

ხმას ვერ აყოლებს თუ?

ჯულია

არა, ეგ არა; მაგრამ მაინც ისე ამბობს, რომ გულს უკლავს კაცსა.

მასპინძელი

გეტყობათ, ყურთა სმენა ძალიან წმინდა გქონიათ.

ჯულია

ნეტავი ყრუ ვჰყოფილვიყავ; გული უფრო დამშვიდებული მექნებოდა.

მასპინძელი

გეტყობათ, საკრავების ხმა არა გყვარებიათ.

ჯულია

სულაც არა, მეტადრე, როცა აგრე შეუნყოფრად უკვრენ.

მასპინძელი

დაუგდეთ, ყური დაუგდეთ, რა მშვენიერი ხმა არის ესა!

ჯულია

კიდევ ეგ მეჯავრება, რომ კილოს ეგრე ადვილათა ჰსცვლიან.

მასპინძელი

მაშ ის გირჩევენიათ, რომ სულ ერთი ხმა იყოს?

ჯულია

ის მირჩევენია, რომ სულ ერთს კილოზედ უკრავდნენ. ერთი მითხარით, ეს პროტეოსი, ჩვენ რომ ვახსენებდით, ხშირათ დაიარება ამ ქალთანა?

მასპინძელი

რაც მე იმისმა მსახურმა ლაუნსმა მითხრა, მეც იმას გეტყვით, რომ უზომოთ თურმე უყვარს ეს ქალი.

ჯულია

ლაუნსი სად არის?

მასპინძელი

თავის ძაღლს ეძებს; ხვალ, ბატონის ბძანებით, იმ ქალს უნდა მიჰგვაროს საჩუქრათა.

ჯულია

ჩუ! იქით გავიდეთ! იმლებიან.

პროტეოს

ნუ გენაღვლებათ, სინჰორ თურიო! ისე დაუნყებ მე ლაპარაკსა, რომ თქვენც გიკვირდეთ.

თურიო

ახლა სად ვნახავთ ჩვენ ერთმანერთსა?

პროტეოს

ნმინდა გრიგოლის წყაროს ნაპირზედ.

(თურიო და მოსაკრავენი გავლენ.

სილვია გადმოდგება ფანჯარაში)

პროტეოს

მშვიდობა თქვენდა!

სილვია

დიდათა გმადლობთ მუზიკისათვის. ვინა ხართ მანდა?

პროტეოს

მე ის გახლავარ, რომელსაც ხმაზედ მალე მიცნობდით, ჩემს გულს რომ ჰსცნობდეთ! უკიდურესად ერთგულსა თქვენსა.

სილვია

სინჰორ პროტეოს! თუ არა ვჰსცდები!

პროტეოს

სინჰორ პროტეოს, ჩემო ბატონო! თქვენი მსახური.

სილვია

რა გნებავთ მერე?

პროტეოს

თქვენი მონება, თაყვანისცემა.

სილვია

მაშ მე გიბრძანებთ, ახლავ ნახვიდეთ და დაიძინოთ!
სულო მცბიერო, ფიცის გამტეხო, ყალბო, უსჯულოვ!
ისე უაზრო, ისე სულელი როგორ გგონივარ,
რომ დაუჯერო კაცის სიტყვასა, რომელსაც ფიცი
არაფრათა ჰსწამს და რამდენჯერმე გაუტეხია?
ნადი, ნაბძანდი, და შენი საქმე იქ გაასწორე,
სადაცა გმართებს. მე კი ჩემის მხრით, ვინც ეს მნათობი
ცა გააჩინა, იმის მადლს ვჰფიცავ, ისე შორსა ვარ,
რომ შენს ვედრებას ყური ვათხოვო, როგორცა მძულხარ
შენის საძაგლის ყოფაქცევისთვის. მე ჩემი თავიც
მეჯავრება, რომ ამ ლაპარაკით შენთან დროს ვჰკარგავ!

პროტეოს

მე აღვიარებ, მნათობო ლედი! რომ სხვა მიყვარდა, –
მაგრამ – მომიკვდა.

ჯულია

(*ცალკე*) ეგ რომ მე მეთქვა, ხომ ვიცრუებდი; რადგან
ჯერ, ვიცი, არ დაუმარხავთ.

სილვია

ვჰტქვათ აგრე იყოს; ვალენტინი ხომ ცოცხალი არის!
ხომ კარგათ იცი, რომ მე იმისი დანიშნული ვარ!
არა გრცხვენია, მეგობარს რომ ჰგმობ და იმისს
სატრფოს შემომჩენიხარ?

პროტეოს

გსწუხვარ, მაგრამა იმისს სიკვდილსაც სწორეთ ამბობენ.

სილვია

მაშ ეს იცოდე, რომ მეც მკვდარი ვარ, და ჩემი გულიც
იმასთან არის განუშორებლად დამინებული.

პროტეოს

ნება მიბოძე, შენი ჭირიმე, მე ამოვილო!

სილვია

ის ამოიღე, თუ არ დაიშლი, ვინაც გიყვარდა;
თუ არა, იქვე შენც დაემარხე.

ჯულია

(ცალკე) ეგ ლაპარაკი ამას არ ესმის.

პროტეოს

თუ თქვენი გული აგრე საოცრად გამაგრებულა,
თქვენი სურათი მაინც მიბოძეთ, მანდ თქვენს ოთახში
რომ გიკიდიათ. იმას შევეტრფი, ჩემს მწუხარებას
იმას შევჰსჩივლებ, იმას შევჰსტირებ. თქვენი ღვთიური
არსება სხვისთვის რომ შეგინირავთ, მე გაგიხდევართ
უსაგნო ლანდად, და თქვენსავე ჩრდილს შევსწირავ მეცა
ჩემს ტრფიალებას.

ჯულია

(ცალკე) თვითან არსება რომ ყოფილიყო, შენ ხომ იმასაც
შეაცდენდი და ჩრდილათ გახდიდი, როგორც რომ მე ვარ.

სილვია

დიდათა მძაგს მე, რომ თქვენგან ვიყო თაყვანსაცემი.
მაგრამ რადგანაც ფუჭის ჩრდილისა და ცრუ ოცნების
თაყვანის ცემა სწორეთ შეჰშვენის თქვენს უსჯულობას,
ნაალებინეთ, – ხვალა, – ახლა კი ღამე ნებისა!

პროტეოს

ამისი მსგავსი ღამე ნებისა იმას თუ ეთქმის,
ვისაც დილაზე სიკვდილი ელის გადანყვეტილი!

(პროტეოს გავა. სილვია ფანჯარას მოსცილდება)

ჯულია

მასპინძელო, ნავიდეო!

მასპინძელი

ღმერთმანი, დამძინებია!

ჯულია

ერთი მითხარი, სადა დგას ეს პროტეოსი?

მასპინძელი

აქავე დგას, ჩემს სახლში. თითქო თენდებაო, ჰა?

ჯულია

ჯერ არა! რაც ძილი გამკრთალი მაქვს, მას აქეთ მე ამის-
თანა დიდი ღამე არსად მინახავს.

(გაველენ)

სცენა 3. იქვე.

შემოვა ეგლამურ.

ეგლამურ

მე რომ სილვიამ დრო დამინიშნა, სწორეთ ეს არის.

უეჭველია, დიდი რამ საქმე ექნება ჩემთან!

ვნახოთ რას მეტყვის! აბა! სილვია!

(სილვია იმავ ფანჯრიდამ)

სილვია

ვინა ხარ მანდა?

ეგლამურ

თქვენი მსახური და მეგობარი, რომელიც ველი

თქვენს ბრძანებასა.

სილვია

ათიათასჯერ დილა ნებისა, ჩემო ეგლამურ!

ეგლამურ

აგრეთვე თქვენცა, ჩემო ბატონო! თქვენის ბძანების

მორჩილი, ველი, რა გნებავთ ჩემგან, რომ აღვასრულო!

სილვია

ეგლამურ! შენ ხარ კეთილშობილი (ჭეშმარიტება

პირმოთნეობად არ ჩამომართვა); ხარ გონიერი,

გულით კეთილი, შემბრალებელი, პატიოსნებით
ყოვლითურთ სრული! და კარგათ იცი, თუ როგორ მიყვარს
მე ვალენტინი; ესეცკი იცი, რომ მამას ჰნებავს
თურიოს მიმცეს, რომელიც არის ფუჭი, სულელი
და მძაგს სულითა. ერთხელ როდისმე შენც გყვარებია!
მე კარგათ მახსოვს, შენ რომ ამბობდი, ჩემს სიცოცხლეში
ისე არაფერს დაუჩაგრავარ, როგორც რომ ჩემის
დანიშნულისა გარდაცვლასაო! იმისს საფლავზედ
დაგიფიცნია სამარადისოდ უცოლოდ ყოფნა!
ჩემო ეგლამურ! მე ვალენტინი მინდა მოვნახო!
ამბობენ, ვითამ მანტუას იყოს; და რადგან გზაზედ
შიში არისო, მე მოვმართე შენს პატიოსნებას
და ერთგულებას, და გვედრები, შენ გამაცილო!
ნუ მეტყვი, მამა გაგინყრებაო! გახსოვდეს მხოლოდ,
რომ უბედური ყმანვილი ქალი უზომოდ ვჰსწუხვარ
და უსაცილოდ საჭირო არის, რომ განვეშორო
აღმაშფოთებელს, საზიზღარს კავშირს, კაცთაც და ღმერთსაც
რომ ეწყინებათ. გთხოვ ვედრებითა, მომაპყარ ყური
ჩემს შეწუხებულს და დატანჯულს სულსა და მიპატრონე,
თან გამომყევი! – თუ უარს მეტყვი, გაფიცებ ღმერთსა, –
რომ რაც აქ გითხარ, არ გამამხილო, თავის დაღწევა
არ დამიბრკოლო!

ეგლამურ

მადამ! ეგ თქვენი მწუხარება როგორ განვჰკიცხო!
აღმსარებელი თქვენის გრძნობისა, მზათა ვარ გულით
და გიახლებით. თუ მომეკითხა, ამისს ზრუნვასა
ნატვრა აქარწყლებს, რომ ბედნიერად აღსრულდეს თქვენი
განზრახულება! ახლა მიბძანეთ, როდის ინებებთ,
რომ გავემგზავრნეთ?

სილვია

ამ საღამოსვე.

ეგლამურ

სად შევიყარნეთ?

სილვია

მამა პატრიკის სენაკის ახლოს. აღსარებისთვის
მივალ იმასთან.

ეგლამურ

მე იქ დაგხვდებით. ახლა მშვიდობით!

სილვია

მშვიდობით, ჩემო კარგო ეგლამურ! *(გავლენ)*

სცენა 4. იქვე.

შემოვა ლაუნსი თავისი ძაღლით.

ლაუნსი

როდესაც ადამიანის მსახური თავისს პატრონს ქოფაკი ძაღლივით ეკიდება, უნდა მოგახსენოთ, მეტათ ძნელი რამ არის. მე ეს პანანა ლეკვი გამომიზდია; – მე ეს სიკვდილს გადამირჩენია, სწორეთ მაშინ, როდესაც ამისი და-ძმანი, სამი თუ ოთხი, ერთათ დაახრჩეს. ისე გამიწვრთნია, რომ ყოველი კაცი იტყვის, სწორეთ მეც ასე გავსწვრთნიდიო. – ჩემმა ბატონმა მიბძანა, სინიორა სილვიას მიჰგვარე და ჩემმაგიერად საჩუქრათ მიართვიო; მეც, რასაკვირველია, მივართვი. სასტუმროში შევედი თუ არა, ეცა მაშინვე სუფრასა და ყვერულის ბარკალსა სტაცა პირი! – აბა, რა საქციელია თქვენი ჭირიმე? როგორ, საძაგელი არ არის, რომ გაზდილმა ძაღლმა არ იცოდეს, ქვეყანაში როგორი ყოფაქცევა უნდა, თავი როგორ უნდა ეჭიროს. მე სულ ამას ვამბობ, თუ რომ ძაღლმა, ასე ვთქვათ, კაი ძაღლობა დაიჩემა, ბარემ გაატანოს კიდეცა. თორემ ეს სადაურია? მე რომ უფრო ჭკვიანი არა ვყოფილვიყავი, მე რომ ზოგიერთი ამისი ავძაღლობა ჩემ თავზედ არ გადმომეტანა, თქვენი მტერი მოუკლავთ, როგორც ამას მოჰკლავდნენ, ჩამოახრჩობდნენ, თავი ცოცხალი არ მინდა, თუ სწორეს

არ ვამბობდე! აბა იფიქრეთ, თქვენი ჭირიმი: სამ თუ ოთხ კარგათ გაზდილ ძაღლებთან ესეც შეიპარა დუკის სასახლეში და მაშინვე სტოლქვეშ ამოყო თავი. არ გამოსულა იმდენი ხანი, რაც ცხვირის მოხოცას მოუხდებოდა, რომ მაშინვე ცხვირში იტაცეს ხელი, ვინცავენ იქ იყვნენ. „ძალღი გააგდეთო“, – ერთმა თქვა. „ვისი რა ძაღლიაო?“ – იკითხა მეორემ; „გააგდეთ გარეთაო“, – წამოიხროლა მესამემ; „ახლავე ჩამოახრჩობინეთო“, – წამოიძახა დუკმა. რასაკვირველია, მაშინვე მენიშნა, რომ ჩემი კრაბის საქმე იყო ესა. და გავსწიე იმ კაცთან, ვისაც ეს ბძანება უნდა აესრულებინა. დაუფლრიჭე და მოვახსენე: იქნება მართლა ეს ძაღლი უნდა გალახოთ მეთქი? – სწორეთ უნდა დავსაჯოო, – მითხრა. – ეგ საშინელი უსამართლობა იქნება მეთქი, მე უთხარი. – როგორაო, ახლა იმან მკითხა. – როგორა და ისე მეთქი! რომ... ეგა... რაღა დაგიმალოთ... მე დამემართა მეთქი! – სტაცა მათრახს ხელი და ორიოდ სამი ისეთი გამანნა, რომა, გარეთ თუ არ გამოვარდნილ-ვიყავი, თქვენი მტერი, ჩემი საქმე იქნებოდა. არა, გამიკითხეთ ერთი, ბევრია ქვეყანაზედ ისეთი ბატონი, რომ თავისი მსახური ასე გადაარჩინოს? მაგრამ, ეს კიდევ რა? მე შემიძლია ფიცით დაგარწმუნოთ, რომ ერთხელ ფეხებში ხუნდი მეყარა, ამან რომ ძეხვი მოიპარა იმისთვის; თორემ ვილა აცოცხლებდა. – ერთხელ კიდევ ბატი მოიპარა და ისიც რომ მე დავიბრაღე, რაც მე ამაზე გადამხდა, ამას ნულარ მათქმევიებთ. სუყველაფერი დაგივიწყნია შე მყრალო, შე საძაგელო? – მე ერთი საქმე კიდევაც მახსოვს შენი! სინიორა სილვიას რო ვესალმებოდი, ის რა ქენ მაშინა, ჰა? რამდენჯერ მითქვამს, მე მიყურე და რასაც მე ვიქმოდე, შენც ისე იქმოდე მეთქი და შენ რა ჰქენი? არა, შე მამა პატიოსანო, აბა ერთი მითხარი, ფეხაშვერილი როდის გინახავარ? მერე სადა, ჰა? მერე ვისთანა? როდის გინახავარ მეთქი, რომ ზედ პატიოსანის ქალის კაბაზე?.. ავილო ერთი და...

(ამ დროს შემოვლენ პროტეოსი და ჯულია)

პროტეოს

სებასტიანე გქვია სახელად? მომწონხარ შენა და მიმიღიხარ; და ერთს საქმესაც ახლავ დაგსაქმებ.

ჯულია

რასაც მიბძანებთ, მე აღვასრულებ, თუ შევიძელი.

პროტეოს

იმედი მაქვს, რომ კარგათ შეიძლებ. *(ლაუნსს)*
აჰა, შე ნუნკო! ეს ორი დღეა სად დაეთრევი?

ლაუნს

თქვენ არ მიბძანეთ, სინიორა სილვიას ძალღი მიაღწევით?

პროტეოს

რა გითხრა მერე, ჩემი პანანკუნა გოშია რომ ნახა?

ლაუნს

ასე ბძანა, საძაგელი ძაღლიაო და ძაღლურ მადლობათაც არა ღირს თქვენი საჩუქარიო.

პროტეოს

გამოგართვაკი?

ლაუნს

რა ბძანებაა! ისევ უკან მოვიყვანე; აი, აქ გახლავს.

პროტეოს

როგორ? იქნება ჩემმაგიერად შენ ეს მიჰგვარე?

ლაუნს

დიალ! თქვენი პატარა გოშია ვილამაც სალახანამ მომპარა მეიდანზედა და მეც იმის მაგიერად ჩემი ძაღლი მივგვარე. ეს ათი იმოდენაც გამოვა და საჩუქრათაც ხომ ერთი ათათ ეღირებოდა.

პროტეოს

ოჰ! შე უვარგისო, შენა! გაეთრი, ახლავე იპოვე ჩემი გოშია, თორემ თვალთ აღარ დამენახო. რაღას უდგებხარ, გასწიე მეტქი, გეუბნები. ყოველთვის უნდა მარცხვენდე ხოლმე, შე საძაგელო! მაგაზე მეტი ღირსება არა გაქვსრა.

(ლაუნსი გავა)

სებასტიანე! შენ რომ ამყავხარ, უფრო იმისთვის, რომ მეჭირვება კარგი მსახური; რასაც დავსაქმებ, რომ რიგიანად დაადგეს ხოლმე. არ შეიძლება, რომ მე ამ სულელს მივანდო რამე და არ არიოს. შენ კი მომწონხარ. თუ არა ვსცდები, ზედვე გეტყობა გაზდილობაცა, გონიერებაც და ერთგულებაც. ეს მიზეზია, რომ აგიყვანე! აჰა, ნაილე ეს ბეჭედი და, ჩემმაგიერად, მადამ სილვიას თვითან მიართვი. – მე ქალმა მომცა, რომელსაც ერთხელ დიდად ვეტრფოდი.

ჯულია

არ გყვარებიან, თუ იმისს ნიშანს ახლა სხვას აძლევთ. მაგრან ვინ იცის, იქნება მოკვდა?

პროტეოს

არა მგონია; ცოცხალი არის.

ჯულია

ვაი.

პროტეოს

რა იყო ეგ ვაი!

ჯულია

მებრალეა და – როგორ იქნება, არ შევიბრალო?

პროტეოს

მიზეზი ვითამ რა უნდა გქონდეს, რომ შევიბრალო?

ჯულია

ასე მგონია, რომ თქვენ იმ ქალსაც ისე ძლიერად ეყვარებოდით, როგორც ახლა თქვენ სილვია გიყვართ. ის უნდა იყოს ახლა თქვენს ფიქრში და თქვენ კი სულ სხვას ეტრფიალებით, რომელიც, ვჰგონებ, თქვენ არას დაგდევთ; მე ეს ვიფიქრე, რომ მეტად ძნელი იქნება მეთქი შეუგნებელი სიყვარული და – ამოვიოხრე.

პროტეოს

მაგ ბეჭედთან ეს წიგნიც მიართვი; იმის ოთახი აი, აქ არის და ჩემს სანატრელს ეს მოახსენე, რომ სურათს ველი დაპირებულსა. ამ დარიგებას რომ შეასრულებ, მე შინ ვიქნები დალონებული და იქ მომნახე.

(პროტეოს გავა)

ჯულია

ნეტა ვიცოდე, ბევრი იქნება ისეთი ქალი, რომ ამისთანას საქმეს დაადგეს, როგორც მე ახლა? საბრალო პროტე! ბატკნებისათვის რომ მწყემსად მელა მიგიჩენივარ!! შენ ჩემო თავო! რაღათ ვიბრალებ კაცსა, რომელიც ჩემს ტრფიალებას აღარას დასდევს? რაღა თქმა უნდა, რადგან სხვა უყვარს, მე უკუმაგდებს. და მე რომ მიყვარს, მე კი მმართებს რომ მებრალებოდეს. – ჩემი ბეჭედი!.. რომ მოდიოდა მე მივეც ესა, გახსოვდეს მეთქი, და ახლა ხედავთ, როგორ ვახსოვარ? იმის გულისთვის უნდა თავს ვიდვა მოციქულობა მე უბადრუკმა და ისეთს რასმე უნდა ვევედრო, რომ უარის თქმა მიამებოდეს; – ისეთი რამე უნდა მივართვა, რომ არ მიღება გამახარებდეს; პირიანობას ისეთს ვუქებდე და ვუდიდებდე, რომ გაცრუვება მე უფრო მსურდეს. ჩემის ბატონის სარწმუნოდ მტრფობი როგორ ვიქნები სანდო მსახური, თუ თვითან ჩემს თავს არ ვუღალატე? მმართებსკი მაინც შუა-მდგომლობა, ვისთანაც მგზავნის; მაგრამ როგორი? ღმერთმან ხომ იცის, გულს-მოდგინებით არ შემიძლია, რადგამ მე ისე არა მინდარა, როგორც უარი. –

(შემოვა სილვია მუახლეებით)

დილა ნებისა, მნათობნო ქალნო! გთხოვთ, რომ მიბძანოთ, მაღამ სილვია სად როგორ ვნახო?

სილვია

რა გნებავთ მერე? ვთქვათ, რომ ის მე ვარ!

ჯულია

თუ თქვენ ბძანდებით, ნებას მოვითხოვ, რომ მოგახსენოთ, რისთვისაცა ვარ გამოგზავნილი.

სილვია

ჯერ ეს მითხარით, ვინ გამოგზავნათ?

ჯულია

სინჰორ პროტეოს, ჩემმა ბატონმა.

სილვია

ჰო! სურათისთვის გამოგზავნიდათ?

ჯულია

დიალ, ბატონო!

სილვია

ურსულა! შედი, ჩემი სურათი გამოიტანე.

(ურსულა გამოიტანს)

აჰა, მიეცით ეს თქვენს ბატონსა! ჩემმაგიერად ასე უთხარით, რომ ეს აჩრდილი იმისს სახლს ისე ვერ დააშვენებს, როგორც რომ მართლად დავიწყებული იმის ჯულია დააშვენებდა.

ჯულია

ესეც ინებეთ და წაიკითხეთ, ჩემო ბატონო.

(წიგნს აძლევს)

ოჰ, მომიტევეთ, სხვისა მოგართვით! თქვენი ეს გახლავთ!

სილვია

მიჩვენეთ ერთი, ეგ ვილასია?

ჯულია

არ შემიძლია, თქვენს მზესა ვჰფიცავ, და მომიტევეთ.

სილვია

ესეც წაიღეთ; სულაც არ მინდა რომ წავიკითხო იმისი წიგნი; ბეჯითად ვიცო, რაც ენერება:

რწმუნება, თხოვნა, ვედრება, ფიცი, რომელსაც დაჰხევის,
როგორც მე ამას.

(წიგნსა ჰხევის)

ჯულია

მაგასთან ესეც მოგართვათ თქვენა!

(ბეჭედს აძლევს)

სილვია

მაგითი უფრო იმდაბლებს თავსა. ათასჯერ უთქვამს,
რომ ეგ ბეჭედი ჯულიასია, – იმისგანა აქვს.
პროტეოსმა თუ იმ სიყვარულის ეგ საღმრთო წინდი
უსვინიდისოდ შევინებულ-ჰყო, მე აღარა ვიქ, –
მაგის შეხებით რომ შეურაცხ-ვჰყო ჯულიას გრძნობა!

ჯულია

ის გმადლობთ თქვენა!

სილვია

რაო? რას ამბობთ.

ჯულია

მე გმადლობთ, მადამ! იმ ჯულიას რომ აგრე იბრალებთ.
საბრალო ქალი! არ ემართლება ჩემი ბატონი.

სილვია

იცნობთ იმ ქალსა?

ჯულია

როგორც ჩემს თავსა! რამდენჯერ კიდევ მიტირნია მე, –
რომ მიფიქრნია, როგორ მნუხარედ იქნება მეთქი.

სილვია

პროტეოსისგან ხელის აღება იცის იმ ქალმა?

ჯულია

ვჰგონებ იცოდეს და საბრალო გულს ეს უმუხრავდეს.

სილვია

სახით ჯულია როგორი არის?

ჯულია

როგორც იყო, რაღათ იქნება ახლა ისეთი!
როდესაც ჰსწამდა, რომ ამ ჩემს ბატონს სწორეთ უყვარდა,
ისე ჰშვენოდა, როგორც რომ ახლა თქვენა ბძანდებით,
მაგრამ მასუკან, რა რომ სარკეში არ იხედება
და აღარც მზის შუქს არიდებს პირსა, ღანვებზედ ვარდი
აღარ უყვავის, და გამკრთალი აქვს ზამბახის ფერი.
მე რომ მიყურებთ, ისეა ახლა.

სილვია

ტანადი არის?

ჯულია

თითქმის ასეთი, როგორც მე მხედავთ.
ნააღდგომევს რომ ბედნიერ დღეებს ვსასწაულობდით
და ვთამაშობდით, მე ქალს ვადგენდი და ისე მოჰხდა,
რომ იმის კაბა უნდა ჩამეცვა; რა რომ ჩავიცვი,
სწორეთ მეგონა, ჩემია მეთქი, ისე მომიხდა.
ამითი ვიცი, რომ თითქმის ჩემის ტანისა არის.
არიადნას როლს მე ვჰთამაშობდი, თეზის ღალატს
და განშორებას რომ მისტიროდა; – ისეთნაირად
წარმოვადგინე, რომ, მოტირალი რომ დამინახა, –
თვითანაც ცხარის ცრემლით ატირდა; და ღმერთსა ვჰფიცავ,
რომ მაშინ დიდად მებრალებოდა.

სილვია

საბრალო სული! აგრე უღმერთოდ დავიწყებული!
შენმა ამბავმა მეც ამატირა. აჰა, ეს ქისა!
ეგ სიბრაღული რადგან გქონია, იმისთვის გაძღვევ.
ახლა მშვიდობით.

(სილვია გავა მოახლეებით)

ჯულია

ამის მაღლობას კიდევაც გეტყვის, როცა გაცნობა
შეგხვდებათ სადმე. გაკურთხოს ღმერთმან, სულთ კეთილო!

ჩემს სიყვარულს თუ ასე პატივს სცემს, იმედი არის რომ ამ ჩემს ბატონს აღარ დაჰყვება! ოჰ! სიყვარულო! რისგან არის, რომ თვითან შენს თავსვე შენვე დასცინი? აბა, გავშინჯოთ ჩვენ ეს პორტრეტი! მეც რომ ამგვარად თავს ვიკაზმიდე, მგონია, რომ მეც ისე მომიხდეს, როგორც ამასა. მხატვარს კი ცოტა უფრო ლამაზად გამოუხატავს, თუ ჩემი თავი მეტად ლამაზი არა მგონია. – ამას ჰქონია თმა ნაბლისფერი, და მე მაქვს ქერა. ამაზე მეტი თუ სხვა მიზეზი არა არისრა, რომ მე გამცვალა, – ამისს ფერს ფარუქს ვიშოვი სადმე²⁰ და გავიკეთებ. მაშინ რას იტყვის? თვალების ფერი მინის ფერი აქვს და მეც აგრე მაქვს; – შუბლი კი უფრო მე მაღალი მაქვს. მაშ რა აქვს ამას იმისი გულის მიმტაცებელი, რასაც ჩემშიაც ვერ იპოვიდეს? თუ სიყვარული მართლა ბრმა არის? ჩემო აჩრდილო! შენვე რომ მიგაქვს შენს საყვარელთან ეს მტრის აჩრდილი, შენც ხომ იცი, რომ ტრფიალებასა, ფუფუნებასა, ხვევნა-კოცნასა, თაყვანის-ცემას ამას დაუნყებს, – მაშინ, როდესაც შენ იქნებოდი თაყვან-საცემი, ცოტა გაგება რომ ჰქონებოდა!

მაგრამ, სურათო! ვისიც სახე ხარ, იმის მადლობით მე ვერ გიმტერებ; და თუ ეს არა, ღმერთმან ხომ იცის, ამ ნახატს თვალებს სულაც მოვთხრიდი, ოღონდ კი ამით იმისი ტრფობაც ამომეშალა!

(გავა)

აკტი 5.

სცენა 1. იქვე. მონასტრის ეზო..

შემოვა ეგლამურ.

ეგლამურ

აგერ! აყვითლებს მზე დასავლეთსა! ამ დროსო, მითხრა,
მამა პატრიკის სენაკს მოვალო! არა მგონია
დაიგვიანოს. ტრფიალისაგან დაგვიანება
რა სათქმელია? მოუთმელობა უფრო იციან
და დანიშნულს დროს რომ არ დაესწრონ, ძვირათ მოხდება.

(შემოვა სილვია)

აგერ ისიცა! მშვიდობა თქვენდა, ჩემო ბატონო!

სილვია

დიდათა გმადლობ, ჩემო ეგლამურ, რომ აქ დამიხვდი,
ნუ ვიგვიანებთ; პატარა კარით გავიდეთ, ჩქარა;
თორემ, ვინ იცის, რომ მოგვენივინენ?

ეგლამურ

ნუ გეშინიათ, სულ არ იქნება ტყემდინ ორი თუ
სამიოდ მილი. რა ტყეს მივანევთ, მერე რა გვიშავს.

(გავლენ)

სცენა 2. იქვე. ოთახი დუკის სასახლეში.

შემოვლენ თურიო, პროტეოს და ჯულია

თურიო

აბა, პროტეოს! რაო სილვიამ ჩემს განზრახვაზედ?

პროტეოს

ეტყობა, ახლა უფრო და უფრო ლმობიერდება.
მაგრამ კიდევა ჰპოვეებს რალასაც თქვენს ნაკლებობას.

თურიო

გრძელი ფეხები აქვსო, ამითი ხომ არ მიწუნებს?

პროტეოს

არა, ჰგონია, კანჭები გქონდეთ როგორღაც ნვრილი!

თურიო

მაშ, თუ აგრეა, ჩექმებს ჩავიცვამ, მსხვილი ეგონოს.

ჯულია

(*ცალკე*) თუ არ უყვარხართ, მაშ დეზებიითაც ვერას გააწყობთ.

თურიო

პირის სახეზედ, რაო, რას მამჩნევს?

პროტეოს

როგორღაც მეტად თეთრი არისო.

თურიო

სტყუის მაგასა; შავი უფრო ვარ.

პროტეოს

მარგალიტი ხომ დიად თეთრია; ანდაზად ითქმის: თუ შავგვრიმანი უყვართ ქალებსა, მარგალიტის ფრად მიაჩნიათო.

ჯულია

(*ცალკე*) მარგალიტები თვალს გვიტყუებენ; მე დავჰხუჭავდი, რომ ამისთანა სულ არ მენახა.

თურიო

ლაპარაკს მაინც ხომ არ მიწუნებს?

პროტეოს

არ მოსწონს მაშინ, როდესაც ამბობთ ჩხუბის ამბავსა.

თურიო

ტრფიალებაზედ და მშვიდობაზედ რომ ვლაპარაკობ, ეტყობა, მაშინ კი არ მიწუნებს.

ჯულია

(*ცალკე*) მგონია, მაშინ უფრო მოსწონდე, ჩუმათ როცა ხარ!

თურიო

ჩემს ვაჟკაცობას როგორ აფასებს?

პროტეოს

მაგისი ეჭვი სულ არა აქვსრა.

ჯულია

(*ცალკე*) რადგან იცის, რომ ქალაჩუნა ხარ.

თურიო

გვაროვნობისას რას ამბობს ჩემსას?

პროტეოს

თურიოს გვარი შესამცნებელად ძველი არისო.

ჯულია

(*ცალკე*) და სისულელეც გასაოცებლად შესამცნევიო.

თურიო

რაც მამულების მფლობელი მე ვარ, ხომ იცის ესა?

პროტეოს

როგორ არ იცის; მაგრამ სწუხს დიდად...

თურიო

რაო, რასა სწუხს?

ჯულია

(*ცალკე*) რომ მაგისთანა მხეცს დაგრჩენია.

პროტეოს

რატომ თვითანვე არა მართავსო.

ჯულია

დუკი!

(*შემოვა დუკი*)

დუკი

რაო პროტეოს? რაო თურიო? ამ ცოტას ხანში ეგლამური ხომ არსად გინახავთ?

თურიო

მე არ მინახავს.

პროტეოს

არც მე მინახავს.

დუკი

არც ჩემი ქალი?

პროტეოს

არც თქვენი ქალი.

დუკი

მაშ ვალენტინთან გაუწევია, თქმა აღარ უნდა;
და ეგლამურიც თან გაჰყოლია, უეჭველია.
მამა ლორენცოს უნახავს ტყეში. ეგლამური კი
იმ წამს უცვნია და ქალს კი პირზედ მასკა ჰფარვია,
მაგრამ სილვიას მივამსგავსეო. ამ სალამოზედ
გასანდობელად წასულა თურმე პატრიკოსთან, –
მაგრამ იმასთან არა ყოფილა. ამით ჰმტკიცდება,
რომ გაქცეულა. ახლა გთხოვთ თქვენა,
დროს ნულარ ვჰკარგავთ, –
ცხენებს მოვასხდეთ და გამოუდგეთ. მე იმ გორაზედ
მოგიცდით თქვენა, მანტუასაკენ რომ გადაჰყურებს.
იქითკენ არის იმათი გზაცა. აბა საჩქაროდ!

(გავა)

თურიო

უყურეთ ერთი ამ კერპ გოგოსა! ბედს გაჰქცევია!
გამოუდგები, მაგრამ იმისი ტრფობით კი არა,
ამ იმედითა, ეგებ ეგლამურს გარდავუხადო!

(გავა)

პროტეოს

მე ეგლამურის ჯავრით კი არა, თვით სილვიასთვის!

(გავა)

ჯულია

და მე სილვიას ჯავრით კი არა, ეგებ შევჭშალო
ეს სიყვარული პროტეოსისა!

(გავა)

სცენა 3. ტყე მანტუას საზღვარზედ.

შემოვლენ სილვია და თულები.

I თული

გასწი, გასწიეთ!

ნუ გეშინიათ. ჩვენს კაპიტანთან უნდა მივიდეთ.

სილვია

ათასგზის მეტი უბედურება გამომივლია,
და ამას რაღას შეუშინდები.

II თული

რატომ არ მოგყავთ, რაღას შედექით?

I თული

ის რაღა იქნა, აზნაურშვილი რომ მოჰყვებოდა?

III თული

გაგვექცა, მაგრამ მოსე და ვალერ გამოეკიდნენ.
შენ ეგ მიჰგვარე ჩვენს ატამანსა; დასავლეთის მხრის
ბოლოზედ არის ამ ტყეში, და ჩვენ იმავ გაქცეულს
გამოუდგებით. ვერსად წაგვივა. რაც აქ გზა არის,
სულ შეკრული გვაქვს.

I თული

იარეთ, კარგი! ატამანს უნდა მიგვგვაროთ თქვენა.
ნუ გეშინიათ. კარგი კაცია, კეთილშობილი,
და ქალის წყენას ის არასოდეს არ მოინდომებს.

სილვია

ჩემო ვალენტინ! შენი გულისთვის ვითმენ ამასა.

(გავლენ)

სცენა 4. სხვა ადგილი იმავე ტყეში.

შემოვა ვალენტინ.

ვალენტინ

რას ვერ შეიძლებს, ვერ შეეჩვევა ადამიანი?
ახლა მე ეს ტყე, ჩუმი, წყვილი და უდაბური, –
თითქმის რომ მიჯობს დიდსა და ხალხით სავსეს ქალაქსა.
კაცთაგან მარტოდ და უხილავად რომ ვარ მე აქა, –
არა მიშლისრა, რომ ჩემს კვნესასა და ჩემს ვაებას
ბუღბუღის ყეფას ავაცოლებდე და მეც მოვსტქმიდე.
ჩემს გულს მსუფევო! ნუ განუტევებ ამ შენს ბინასა,
თუ არა გნებავს, რომ მოიშალოს და ისე გაჰქრეს,
რომ რაც ყოფილა, იმის ხსენებაც არა დარჩესრა!
განმაცხოველე შენის სუფევით, ჩემო სიღვია!
მოვედინ ჩემდა, კეკლუცო ნიმფავ და ნუგემ-ეცი
შენსა უბადრუკს თაყვანის მცემსა!.. რა ისმის ესა?
როგორი ხშირი ხმიანობაა ახლა ამ ტყეში!
უთუოთ ჩემი ამხანაგები დასდევენ ვისმე
საბრალოს მგზავრსა. რაც არა ნებავთ,
ან რასაც თვითან არ დაიშლიან, სხვა არა სწამთრა!
მე პატივს მცემენ, მაგრამ მეც მიჭირს, რომ ზოგიერთი
ავაზაკობა მოვაშლევინო. – აქეთ მორბიან!!
დავიმალეები.

(ხეს ამოეფარება)

შემოვლენ პროტეოს, სიღვია და ჯულია

პროტეოს

მადამ! თუმც თქვენთან ჩემგან სამსახურს
ფასი არა სძევს, მაგრამ მე მაინც გადაგარჩინეთ
ამ განსაცდელსა; თავის განწირვით გამოგიხსენით
იმ კაცისაგან, რომელიც თქვენსა უპატიობას
და დამონებას განიზრახვიდა. სამაგიეროდ
სხვას არასა გთხოვთ, მხოლოდ ერთს
ტკბილად შემოხედვასა!
ამის ნაკლები ან მე რა გთხოვთ, ან თქვენ რა გეთქმით?

ვალენტინ

(ცალკე) მღვიძავს, თუ მძინავს? რა მესმის ესა და რასა ვჰხედავ.

ოჰ! სიყვარულო! ორიოდ წამი მომათმენინე!

სილვია

ოჰ! უბედურო შენ ჩემო თავო!

პროტეოს

თქვენ უბედური მაშინ იყავით, მანამდისინ მე მოგენოდით; რომ მოგენიეთ, მერე რა გიშავთ?

სილვია

რომ მომენიე, კიდევ ეგ არის ჩემი წამება.

ჯულია

(ცალკე) აგრეთვე ჩემი.

სილვია

მე რომ დამშეულს ლომს დავეჭირე, იმის საუზმედ ვჰყოფილვიყავი, ის მერჩინიყო და ცრუ პროტეოს კი არ მენახა. გულთა მხილველო! თვითან შენ უწყი, თუ როგორ მიყვარს მე ვალენტინი, რომლის სიცოცხლე ჩემს სულზედ ნაკლებ არ მიმანია; – ამოდენათვე, უმეტესად რომ აღარ იქნება, მძაგს მე პროტეოს, ყოვლითურთ ყალბი, გაუტანელი. დამეხსენ ახლა, აიღე ხელი შენს ურცხვობაზედ!

პროტეოს

თქვენის გულისთვის რაც უნდა დიდი რამ განსაცდელი გამოვიარო, განურისხებლად შემოხედვასაც აღარ მაღირსებთ? რა არის ესა, თუ არა კრულვა სიყვარულისა; – ქალს არ უყვარდეს კაცი, რომელსაც ის დიდად უყვარს?!

სილვია

კაცს არ უყვარდეს, როგორც პროტეოსს, ქალი, რომელსაც ის დიდად უყვარს. წარმოიდგინე ჯულიას გული, –

პირველი შენი სათაყვანები, რომლისათვისაც
ათასჯერ მაინც შეგიფიცნია და იმდენჯერვე
ეგ შენი ფიცი გაგიტეხია ჩემის ტრფობისთვის!
სადა გაქვს გული, თუ კი რომ ორი არა გქონია?
და ორგულობას ბევრით სჯობია სულ უგულობა!
შენა ჰლალატობ შენს მეგობარსაც.

პროტეოს

ნეტა რას ამბობთ? ტრფიალებაში ვინ დასდევს მერე
მეგობრობასა?

სილვია

ყოველი კაცი, პროტეოსს გარდა.

პროტეოს

რა კი აგრეა, თუ ტკბილის სიტყვით ვერას გავხდირა
და სიბრალული ვერ გაგრძნობინე, – მე მოგეპყრობი
როგორც სალდათი და ისე შევცვლი ტრფობის ბუნებას,
რომ თუ არ ნებით, ძალათ გიშოვნო!

სილვია

შენ დამიფარე ყოვლად-ძლიერო!

პროტეოს

მოჰხდეს, რაც მოჰხდეს! ძალას მოვიხმარ!

ვალენტინ

იქითა! მხეცო! ააღე წმინდას გასვრილი ხელი;
შენ, მეგობარო, ყოვლად მცბიერო!

პროტეოს

ოჰ! ვალენტინი!!!

ვალენტინ

დაუნდობელო და უგრძნობელო ცრუ მეგობარო,
ყოვლის სიმართლის გამცრუებელო, საღმრთო კავშირის
დამარღვეველო! როგორ უნდა ვთქვა, რომ მეგობარი
მყოლოდეს მეცა? ხომ გამამტყუნებ! როგორღა ენდოს
კაცი კაცს, როცა მარჯვენა ხელი ჰლალატობს გულსა?

ვსწუხვარ, პროტეოს, რომ ამას იქით ველარ გენდობი
და ქვეყანასაც შენის მიზეზით უნდა განვმორდე!
მეტად მკვლელია ეს შენმიერი ჩემი წყლულება.
ოჰ! რა დრო არის, საზარელი დრო, რომ ყოველს მტერზედ
მეგობარია უმძვინვარესი!

პროტეოს

სულ დამარღვია მე ამ სირცხვილმა, ამ საზარელმა
დანაშაულმა! სულგრძელო ძმაო! გულშემმუსვრელი
მწუხარება და სულის დატანჯვა სინანულისთვის
თუ რომ იკმარებს, ვინანი მწარედ! და ენდე ლმერთსა!
ეს აღსარება ისე მძიმეა, როგორც მძიმეა
ჩემი უზომო დანაშაული.

ვალენტინ

კმარა! გენდობი. ვინც რომ სინანულს არ შეინყნარებს,
არც ცას ეკუთვნის, არც ქვეყანასა. უზენაესის
რისხვაც წარივლის, სადაცკი ჰნახავს წრფელს სინანულსა!
შეგინდობ გულით, ძმაო პროტეოს, და ამის ნიშნად
შენ გითმობ ყველას, რაც სილვიასი მე მეკუთვნოდა!

ჯულია

ვაჰ! მე უბედურს... *(გული შეუწუხდება)*

პროტეოს

ამ ბიჭს უყურეთ!..

ვალენტინ

რა იქნა, ბიჭო! რა დაგემართა? გააღე თვალი,
ხმა გამოგვეცი!

ჯულია

ოჰ! მომიტევეთ, თქვენი ჭირიმე! ჩემმა ბატონმა
ამ სინჰორასთან ოქროს ბეჭედი გამატანა და
დამვიწყებია, – არ მიმიცია!

პროტეოს

სადა გაქვს ახლა შენ ეგ ბეჭედი?

ჯულია

აი, აქ გახლავს.

(აძლევს ბეჭედს)

პროტეოს

მაჩვენე ერთი! ამას რას ვჰხედავ? ჩემი ბეჭედი,
მე რომ ჯულისას ვაჩუქე, ისა?!

ჯულია

ოჰ! ღმერთო ჩემო! რა მემართება? ეგ ის არ გახლავს!
აი, სილვიას რომ გაუგზავნეთ.

(სხვა ბეჭედს აძლევს)

პროტეოს

ეს ვიღამ მოგცა? მე რომ ჯულისას სანინდრად მივეც
სწორეთ ის არის! ვინ მოგცა შენა?

ჯულია

თვითან ჯულიამ. თვითან ჯულია გიბრუნებთ ახლა.

პროტეოს

როგორ ჯულია?

ჯულია

ვინც შენის ტროფობის საგანი იყო, ვინც შენი ფიცი
ამოუფხვრელად გულს დაინერგა, – თუმცკი ცდილობდი
შენის ლალატით ამოგეგლიჯა, აქა დგას ახლა!
ამ ჩემს ტანსაცმელს რომ ჰხედავ, უნდა შესწუხდებოდე;
სირცხვილი უნდა შეგანუხებდეს ამ გვარად მოსილს
მე რომ მიყურებ. შეუსაბამოს მორთულობაში
განსაკიცხავი თუ არის რამე, ისევე შენის
სიყვარულითა, – და შენვე გმართებს, რომ სწითლდებოდე.
მე სვინიდისი სულ ვერ დამქენჯნის. ტანისამოსის
გამოცვლით ქალი იმდენათ მაინც ვერ დამდაბლდება,
როგორც რომ კაცი გრძნობის ცვლილებით
იმდაბლებს თავსა!

პროტეოს

„როგორც რომ კაცი გრძნობის ცვლილებით?!“
ოჰ! მართალს ამბობ! ღმერთო ძლიერო! კაცი რომ სიტყვას
მტკიცედ იცავდეს და არა ჰსცვლიდეს, ყოვლითურთ სრული
გამოვიდოდა. ახლაკი მარტო ეს ნაკლებობა
გვავესებს ყოველის ბინიერებით, დაუდგრომლობა
თვითანვე არის თავისი მტერი. კაცმა რომ მკითხოს, –
რასა ვჰპოვებდი მე სილვიაში, რომ ჯულიასაც
არა ჰქონიყო, ჩემს გრძნობაზედ რომ მტკიცედ ვმდგარვიყავ?

ვალენტინ

მაგას თუ ამბობ – მაშ თქვენი ხელი! ბედნიერებას
ნუ მომიშლით, რომ ეს სახიერი თქვენი კავშირი
მე დაგილოცოთ.

პროტეოს

ღმერთმან ხომ იცის, ახლა ამიხდა უნეტარესი
ჩემი სურვილი.

ჯულია

და მეც აგრეთვე. *(შემოვლენ თულები, დუკი და თურიო)*

თულები

საშოვარი! საშოვარი! საშოვარი!

ვალენტინ

იქით დადექით! ვერა ჰხედავთ, რომ დუკი ბძანდება? თქვენო
უგანათლებულესობავ! მე უბედური და განდევნილი ვალენტინ
მრავალს თაყვანის ცემას მოგახსენებთ.

დუკი

სინჰორ ვალენტინ?

თურიო

აგერ სილვიაც, ჩემი სილვია!

ვალენტინ

იქითა, თორემ – მოგკალ ეს არის. ხელის შეხება
როგორ შეჰბედე. ჩემს გულის-წყრომას გირჩევ განშორდე.

ვერონას ნახვა თუ კიდეც გინდა – ჩემი არისო,
აღარ გაბედო; ხელი რომ ახელ, მაგით გათავდეს,
და მაგას გარდა სულის შეებრვაც აღარა ჰკადრო!

თურიო

სინჰორ ვალენტინ! მე სულაც არა, სულაც არ ვჭზრუნავ
მე მაგისთვისა. ისე სულელი არა ვარ მე, რომ
იმ ქალისათვის თავი გავსწირო, რომელსაც რომ მე
სულ არ უნდივარ. მე რას დავეძებ, რა მენაღვლება!
ისევ შენ დაგრჩეს.

დუკი

სწორე უნდა ვჭსთქვა, მე არ მეგონა, რომ შენს მხურვალეს
ვედრების მერმეთ, ხელს აიღებდი აგრე ადვილად
და აგრე ცოტა მიზეზისათვის. შემცთარი ვიყავ
და აღვიარებ. – და შენ, ვალენტინ! კაცური კაცი
შენა ყოფილხარ და სიყვარულიც შენა გქონია.
ახლა იცოდე: რაც რამ გვწყენია, რაც რამ სანუხრად
გექონია ჩვენა, მე აქ ვივწყებ და ისევ გინვეც
ჩემს სასახლეში. და რადგან შენის ღირსების ჯილდოდ
ეს არ იკმარებს, – სინჰორ ვალენტინ! ქალსაც შენ გაძლევ!
შენა ხარ ძველის შთამომავლობის კეთილშობილი, –
თვითან შემკული მრავალნაირის სათნოებითა.
მაშასადამე, ჩემი სილვაც შენზედ უკეთესს
ქმარს ვერ იშოვის.

ვალენტინ

მგზნებარეს გულით გმადლობთ, უფალო! ამაზედ მეტი
ბედნიერება, ღმერთმა თვით იცის, მე არ მენატროს.
მაგრამ ერთი სხვა ვედრება კიდეც გამაბედვინეთ
თქვენის ასულის სადღეგრძელოთა.

დუკი

თვითან შენთვისაც გაგაბედვინებ, რაც უნდა იყოს.

ვალენტინ

ჩემს ამხანაგებს რომ ჰხედავთ აქა, დევნილ-არიან კანონიერად, მართალი არის; მაგრამ ღირსებაც ბევრი აქვსთ ამათ; და მიუტევეთ ამათაც მათი დამნაშავეობა! ნება უბოძეთ, რომ შინ დაბრუნდნენ. რაც მე აქა ვარ, ვჰხედავ, კეთილად გამოიცვალნენ, – კარგნი არიან, გულით კეთილნი, სასარგებლონი და შეუძლიათ თქვენის წყალობის დამსახურება.

დუკი

სწორეთ მაჯობე! შეგინდობთ ყველას, შენც და მაგათაც და რადგან ამათ შენ უკეთ იცნობ, დაბინავებაც შენვე იზრუნე. ახლაკი მილანს! იქ გავათავოთ ეს ჩვენი საქმე ნადიმობითა, ლხინითა და სხვა საყოველთაო მხიარულებით.

ვალენტინ

ჩვენს მგზავრობაში, მაქვს მე იმედი, ზოგი ამბავით არ მოგანწყინოთ. ამ პატარა ბიჭს როგორა ჰპოვებთ?

დუკი

უცხო ბიჭია! რათა ჰსწილდებო?

ვალენტინ

იმიტომ, რომ ისე ბიჭი არ არის, როგორც უცხოა.

დუკი

მე ეგ არ მესმის!

ვალენტინ

გზაზედ გიამბობთ. ბევრს გაიკვირებთ. წამო, პროტეოს! შენს დასასჯელად, შენც გაგაგონებ მოთხრობას შენის ტრფიალებისას; – და მერე ჩვენი ქორწინების დღე ქორწინების დღედ თქვენთვისაც იყოს, რომ შევაერთოთ სიამოვნება, ბედნიერება და მოსახლობა. –

დასასრული

ცოლის შერთვევინება

Le Mariage forcé

მოლიერის კომედია

ერთ-მოქმედებად

დიმიტრი ყიფიანისაგან

გადმოთარგმნილი ფრანცუზულიდან

12 დეკ. 1861.

პირნი:

სგანარელ

ჟერონიმო

დორიმენ, ყმანვილი კეკლუცი ქალი, სგანარელის დანიშნული.

ალკანტორ, მამა იმ ქალისა.

ალსიდას, ძმა იმ ქალისა.

ლიკასტ, მოარშიყე ამ ქალისა.

პანკრას, დოკტორი არისტოტელის ფილოსოფიისა.

მარფურიოს, დოკტორი პირონელთ ფილოსოფიისა.

ორი ბოშის ქალი

საქმე სწარმოებს გარეთ.

ბამოსკლა 1.

სგანარელი. *(სახლიდამ გამომავალი შინაურებს მიალაპარაკებს)* მე ეხლავ მოვალ! სახლს კარგათ მოუარეთ, რომ ყველა თავისს რიგზედ იყოს. ვინიცობაა, თუ ფული მომიტანა ვინმემ, მაშინვე ჟერონიმოსას მომძებნეთ, და თუ სათხოვნელად მოვიდა ვინმე, ჩემი უთხარით, შინ არ არისთქო და დღეს სულ არ შემოვა შინათქო.

ბამოსკლა 2.

შემოვა ჟერონიმო

ჟერონიმო. *(ყური მოჰკრა უკანასკნელს სგანარელის სიტყვებსა)* გაფრთხილებული ბძანება თუ გინდა, ეს არის.

სგანარელი. აჰ! უფალს ჟერონიმოს გაუმარჯოს! დროზედ მოსვლაც სწორეთ ამასა ჰქვია; – ეს იყო, თქვენთან მოვდიოდი.

ჟერონიმო. რა მიზეზისათვის, ნებას თუ მიბოძებთ ვიკითხო?

სგანარელი. ერთი საქმე მინდა გაცნობოთ, თავში რომ მიტრიალებს, და გთხოვოთ თქვენი აზრი შემატყობინოთ.

ჟერონიმო. სრულის ნებაყოფლობით. დიდათ მოხარული ვარ, რომ აქავე შეგხვდით. შეგვიძლია აქ თავისუფლად ვილაპარაკოთ.

სგანარელი. მაშ, შეუდგეთ, თუ თქვენი ნებაც იქნება. ჩემი სათქმელი ერთი ისეთი რამ საქმეა, რომ მეგობრების დაუკითხავად კაცი არ უნდა შეუდგეს ამისთანა საქმესა.

ჟერონიმო. დიდად გმადლობთ, რომ მაგისტრის მე მომაცანეთ. მაშ ახლა თქმის მეტი აღარა დაგჭირდებათრა.

სგანარელი. მართალია, მაგრამ გაფიცებთ, არაფერში არ მომეფეროთ და სწორედ მითხარით თქვენი აზრი.

ჟერონიმო. რადგან აგრე გნებავთ, უთუოთ სწორეს გეტყვი.

სგანარელი. ისე არა მეჯავრებარა, როგორც მეგობარი, რომელიც სწორეს არ იტყვის.

ჟერონიმო. მართლადაც საჯავრელია.

სგანარელი. და ამ დროში დიად ძვირადლა იპოება სარწმუნო მეგობარი.

ჟერონიმო. მართალია.

სგანარელი. მაშ პირობასა გთხოვთ, უფალო ჟერონიმო, სრულებით დაუფარავად მელაპარაკოთ.

ჟერონიმო. გაძლევთ პირობას.

სგანარელი. მაშ დაიფიცეთ.

ჟერონიმო. მეგობრობას გეფიცებით. ოღონდ თქვენი საქმე მითხარით, რა არის?

სგანარელი. მე მინდა თქვენგან ვიცოდე, კარგსა ვიქ თუ არა, ცოლი რომ შევიერთო?

ჟერონიმო. ვინა, თქვენა?

სგანარელი. დიად მე. თვითან მე. რას იტყვი ამაზედა?

ჟერონიმო. მე გთხოვთ, ჯერ ერთი რამე შემატყობინოთ.

სგანარელი. რა?

ჟერონიმო. რამდენის ხნისა იქნებით ახლა თქვენა?

სგანარელი. მეე?

ჟერონიმო. დიად!

სგანარელი. მე რა ვიცი, მაგრამ კარგათ კი ვარ.

ჟერონიმო. როგორა! როგორ იქნება თქვენი ხანი არ იცოდეთ.

სგანარელი. რატომ არა! ვინ ანგარიშობს მერე მაგასა.

ჟერონიმო. მაშ, თუ შეიძლებოდეს ეს მაინც მითხარით: ჩვენ რომ ერთმანერთი გავიცანით, მაშინ რა ხნისა იქნებოდით?

სგანარელი. ახა, ღმერთო? მაშინ... მაშინ ოცის წლისა თუ ვიქნებოდი.

ჟერონიმო. მერე რომში რამდენს ხანს ვიყავით ერთათა?

სგანარელი. რვა წელიწადი.

ჟერონიმო. ანგლიაში რამდენი წელიწადი დაჰყავით?

სგანარელი. შვიდი.

ჟერონიმო. მერე, ჰოლანდიაში რომ გამოხვედით, იქა?

სგანარელი. იქა ხუთ წელიწად ნახევარი.

ჟერონიმო. ახლა რა ხანია, რაც აქა ხართ?

სგანარელი. მე მოველ აქა ორმოცდა ათში.

ჟერონიმო. ორმოცდა ცხრა და სამოცდა ერთი – ეს გახდა მგონია თორმეტი წელიწადი; ხუთიც ჰოლანდიაში – ჩვიდმეტი; შვიდი ანგლიაში – ოცდა ოთხი; რვა რომს რომ ვიყავით – ოცდა თორმეტი; ჩვენს გაცნობის დროს ხომ ოცისა იყავით: გახდა სწორეთ ორმოცდა თორმეტი. მაშ უფალო სგანარელო, თქვენისავე ანგარიშით, თქვენ იქნებით ახლა ორმოცდა თორმეტში ან ორმოცდა ცამეტში.

სგანარელი. ვინა? მეე? ეგ როგორ შეიძლება!

ჟერონიმო. ანგარიშითკი სწორეთ აგრე გამოდის და! რადგან ასეა, გულის სინრფელით გეტყვით და მეგობრულათა, როგორც პირობა დამადებინეთ, რომ ცოლის შერთვა თქვენი საქმე აღარ არის. ეს საქმე ისეთი საქმეა, რომ ყმანვილმა კაცებმაც ჯერ კარგათ უნდა იფიქრონ, მანამდისინ გაჰბედავდნენ და ჩვენის ხნის კაცმა ხომ სულაც არ უნდა განიზრახოს; ამას თუ ანბობენ, რომ ყოველს უგუნურებაზედ ცოლის შერთვა უფრო დიდი უგუნურება არისო, უარესი რალა იქნება, რომ ეს უგუნურება მაშინ დაგვემართოს, როდესაც გონიერება ვალია ჩვენის ხნიერებისა. რალა გავაგრძელო, გადაკვეთით გეტყვით ჩემს აზრსა: სრულიად არ გირჩევთ, რომ ცოლის შერთვასა ჰფიქრობდეთ და მრთელს ქვეყანაზედ თქვენზედ უფრო სასაცილოს ვედარავის დავიგულეებ, თუ რომ დღევანდლამდის თავისუფალმა კაცმა დღეს თქვენის ხელით ისეთი ბორკილი შეიყარეთ, რომელიც ყოველს ბორკილზედ უნამეტნავესია.

სგანარელი. მეკი ასე გეუბნებით, რომ გადანყვეტილიცა მაქვს, ცოლი უთუოთ უნდა შევირთო და არც სასაცილო ვიქნები, როგორცა ბძანებთ, – ის ქალი რომ ვითხოვო, რომელიც მინდა.

ჟერონიმო. ეგ სხვა არის, ეგ როდი გითქვამთ ჩემთვისა.

სგანარელი. ის ქალი ისეთი ქალია, რომ ძალიან მომწონს და გულითაც მიყვარს.

ჟერონიმო. თქვენ გიყვართ გულითა?

სგანარელი. დიაღ, მე, და კიდეცა ვჭთხოვე იმის მამასა. –

ჟერონიმო. გითხოვნიათ კიდეცა?

სგანარელი. დიაღ! ქორნილიც ამაღამ უნდა მოჰხდეს; სიტყვა მაქვს მიცემული.

ჟერონიმო. მაშ შეირთეთ და რაღას უყურებთ. მე რაღასა მკითხავდით!

სგანარელი. ჩემს განზრახვაზედ მე ავილო ხელი? თქვენა გგონიათ, რომ მე ცოლის შერთვის ფიქრი აღარ შემშვენოდეს? რატომ მერე? ჩემს ხნიერებაზედკი ნუ ვილაპარაკებთ, თვითან საქმეს დავჰხედოთ. აბა თუ ერთი ოცდა ათის წლის ყმანვილი გეგულებათ სადმე, რომ ჩემზედ მეტი სიმრთელე ჰქონდეს და ჩემზე მეტს შეჰსძლებდეს! ყოველი ჩემი აგებულების მოძრაობა და ხმარება ისევ ისე არ შემიძლია, როგორც შემძლება როდისმე თუ? მე მოგახსენოთ, ურემი დამჭირდება სიარულში ან ტახტრევანი! აბა თუ ამისთანა კბილები სხვასა აქვს ვისმე. *(კბილებს არვენებს)* მართალია, დღეში ოთხი ჯერი ჭამა მომწყინდება ხოლმე. აბა ვისა აქვს, ერთი მითხარით, ჩემისთანა ღონიერი სტომაქი? *(მუცელზედ ხელს დაიკრავს და სამჯერ მიძიმედ ჩაახველებს)* ჰა? რას იტყვით ამაზედა?

ჟერონიმო. მართალს ანბობთ, მართალს. შემცდარი ვიყავ. ძალიან კარგსა იქთ, ცოლი რომ შეირთოთ.

სგანარელი. უწინ უარს ვანბობდი, მართალია; მაგრამ ახლაკი ძალიან დიდი მიზეზები მაქვს. იმ სიხარულს გარდა, რომ ლამაზი ქალი მეყოლება, ათასნაირად რომ მიაღერსებს, მანეზიერებს, დაღალულს რომ ტკბილად ხელს დამისვამს და დამიყვავებს; იმ სიხარულს გარდა მეთქი, ამასაც კი ვანგარიშობ, რომ

ასე რო დავრჩე, როგორც ახლა ვარ, სგანარელების გვარი ხომ გაქრა მაშინ ქვეყანაზედა; და თუ ცოლი შევირთე, მაშინკი ხელახლად გაცხოველდება, რაკი ჩემგან სხვანი გაჩნდებიან. ამას რა სიამოვნება ემჯობინება: ჩემგან ჩამომავალს პატარაებს რომ ვუყურებდე, პანანკუნაებსა, გაჭრილი ვაშლივით¹ რომ მე მემგვანებიან, სახლში რომ იმათი ცელქობა და თამაშობა დაუცხრომელი იქნება; შინ რომ შემოვალ, მომეგებებიან და მამა, მამაო, მომადახებენ, და სხვა ათას ნაირს რალაც რალაცაებს რომ იტიკტიკებენ. უყურეთ ერთი: თითქო ახლაც იმათში ვიყო და თითქო ექვსიოდე გარს მეხვეოდნენო!!

ჟერონიმო. მაგახედ უსიამოვნესი სწორეთ არა არისრა და გირჩევთ, ისე მალე შეირთოთ ცოლი, როგორც შეგეძლოთ.

სგანარელი. მართლა? გულით მირჩევთ?

ჟერონიმო. სწორეთ. უკეთესს რასა იქთ.

სგანარელი. დიდად მოხარული ვარ, რომ ეგ მეგობრული რჩევა მესმის თქვენგანა.

ჟერონიმო. ახლა, ნება თუ მექნება ვიკითხო, ის ქალი რომელი არის, თქვენ რომ ირთავთ?

სგანარელი. დორიმენ!

ჟერონიმო. აი ის ყმანვილი დორიმენე, ისე რომ ირთვის და კეკლუცობს?

სგანარელი. დიალ!

ჟერონიმო. ალკანტორის ქალი?

სგანარელი. სწორეთ ისა.

ჟერონიმო. და იმ ალსიდის და, ხმლის კარგად ხმარებას რომ ჩემობს?

სგანარელი. დიალ, დიალ!

ჟერონიმო. (ცალკე) შენ ჩემო თავო!

სგანარელი. რაო, რას ანბობთ?

ჟერონიმო. არაფერს; ძალიან კარგი მოყვრობა იქნება მეთქი. შეირთეთ. – ახლავე შეირთეთ.

სგანარელი. არა თუ? კარგი საქმე განმიზრახავს განა?

ჟერონიმო. რასაკვირველია, ოჰ! რა ბედნიერება გემართებათ! ნეტა რაღას უცდით!

სგანარელი. ოჰ! რა მიხარია, რომ ეგ რჩევა მესმის თქვენგანა. სრულის გულითა გმადლობთ და ქორწილშიაც დამიპატიუნხართ ამაღამ.

ჟერონიმო. უთუოთ გიახლებით; და მასკითკი მინდა მოვიდე, რომ უფრო შნო მიეცეს ქორწილსა.

სგანარელი. მაშ ახლა გამარჯვებით.

ჟერონიმო. *(ცალკე)* დორიმენე, ყმანვილი ქალი და კეკელა ქალი, ალკანტორის შვილი, ცოლი უფალის სგანარელისა, ორმოცდა ცამეტის წლისა რომ ნაკლები არ არის!! ოჰ! რა ცოლქმრობაა, რა ცოლქმრობაა, რა ცოლქმრობაა! *(ამ ძახილით გავა გარეთ)*

ბამოსვლა 3.

სგანარელი. *(მარტო)* ეს ჩვენი ცოლქმრობა სწორეთ ბედნიერი უნდა იყოს; მთელს ქვეყანას უხარია და ყველა სიხარულით იცინის, ვისაცკი ამაზედ გამოველაპარაკები ხოლმე. მართლა რომ ბედნიერი ვარ ახლა, არა მგონია უფრო ბედნიერი იყოსლა ვინმე.

ბამოსვლა 4.

სგანარელი და დორიმენ

დორიმენ. *(შემოდის და იქვე ეტყვის პატარა ლაქიას, რომელსაც იმის კაბის ბოლო უჭირავს)* რიგიანად, ბიჭო! ბოლო რიგიანად გეჭიროს და აქეთ იქით პირღია ცქერასა და ცელქობას თავი დაანებე.

პატარა ბიჭი. საით უნდა ვიცქირებოდე; მე არსაით ვიცქირები! ეს თქვენი კუდი მომაქვს და მოგდევთ თანა.

დორიმენ. ჰო! კარგია, ხმა ჩაიწყვიტე!²

სგანარელი. (ცალკე, დორიმენს რომ დაინახავს) აგერ ჩემი ქალბატონიც მობძანდება. ოჰ! ერთი შეჰხედეთ და! რა სასიამოვნოა? რა ტანადია, რა შეხედულობა აქვს! ნეტა ისეთი კაცი იქნება ვინმე, რომ ეს დაინახოს და ჟინი არ მოუვიდეს ცოლად შერთვისა? (დორიმენს) საით მიბძანდები, მშვენიერო დოლიკო, მყოობადის მეუღლის მყოობადო მეუღლევე სანატრელო?

დორიმენ. რაგინდარაების სასყიდლად მივალ.

სგანარელი. ახლა? ჩემო მშვენიერო! ერთმანერთის ბედნიერების დრო მოგვიახლოვდა ხომა! ნება აღარ გექნებათ, რომ უარი მითხრათ რაშიმე და მეკი მექნება ნება ისე მოგექცე, როგორც მიაჩნება და საკიცხავიკი აღარავისგან რა იყოს, – ასე, რომ სხვას საქმე აღარავის რა ჰქონდეს. ჩემი იქნებით თავიდამ მოკიდებული ფეხებამდინა და ჩემი იქნება ყოველივე: თქვენი გახელილი თვალები, თქვენი პანანკუნა ცხვილი, თქვენი მადის მომყვანი ტუცები, თქვენი საარშიყო ყურების ბიბილოები, თქვენი ფუჩუნა ნიკაპი, თქვენი პატარა გასაფუჩქნავი დამრგვალებული კოკორები, თქვენი... სულერთიანად ჩემი იქნებით რალა? და თვითან მეც ისეთი საალერსებელი ვიქნები თქვენგანა, როგორც მენებება განა? თქვენკი არ გიხარიათ ასე გათხოვება, ჩემო ტიკინო-კუკუნო?

დორიმენ. დიად მიხარია, გეფიცებით, იმ სამწუხარის მდგომარეობისაგან რომ გამოვალ; სხვა არა იყოსრა, მამის მრისხანებისაგან ვიყავი დატყვევებული. რამდენჯერ კინალამ გავგიჟდი, რა ვიცი, რომ ერთნამცეცა ნებას არ მაძლევდა და რამდენჯერ მინატრია გათხოვება, ოლონდკი ყოველთვის ასეთს წინააღმდეგობას თავი დავალწიო მეთქი და ისეთ ყოფაცხოვრებაში შევიდე, რომ ჩემს ნებაზედ ვიმყოფებოდე მეთქი. ვმადლობ ღმერთსა, რომ თქვენი თავი მომივლინა და მეც ვემზადები ახლა, რომ თავი შექცევასა და სიამოვნებას მივაჩემო და ის დრო ამოვიგო როგორმე, აქამდინ რომ ტყუილად მეკარგებოდა. რადგან თქვენ დიად ზდილი და თავაზიანი ბძანდებით და იცით, რიგიანი ცხოვრება როგორ უნდა, მგონია, ჩვენზე უკეთ ვერავინ იცხოვროს. იმ გაუძლებელს ქმრებს კი არ მიემსგავსოთ, რომ ანბობენ, ჩვენი

ცოლები სულ დაკეტილში უნდა ისხდნენო. ახლავე აღმიარებია, რომ ამისთანა ყოფაცხოვრებას მე ვერას დროს ვერ შევეჩვევი; მარტოობას სულ იმედის გადანყვეტა ჰსჯობია; მე მიყვარს თამაშობა, ტანცაობა, ვიზიტები, ბალები, საჩუქრები, და სეირნობა; ერთის სიტყვით, რაც რამ მასიამოვნებელი არის, ის მიყვარს და თქვენთვისაც სასიხარულო უნდა იყოს, რომ ამისთანა მხიარული ცოლი გეყოლებით. ამას ჩვენ ვერა მოგვიშლისრა და არც არასდროს მე თქვენ გენინააღმდეგებით თქვენს საქმეებში, როგორც თქვენგანა მაქვს იმედი, რომ არც არაფერი თქვენ მე დამიშალოთ. ამიტომ რომა, მე ამას ვანბობ, ერთმანერთს თავაზას უნდა უწევდეთ ხოლმე; ცოლქმრობა იმისათვის ხომ არ არის გაჩენილი, რომ ერთი მეორეს მოთმინებას ვაკარგვინებდეთ და ჯავრში ვუდგებოდეთ ხოლმე! რალა გავაგრძელო, ჩვენ ისე ვიცხოვრებთ, როგორც შეჰშვენის კარგად ცხოვრების მცოდნეებსა. ჩვენს თავში შური და ეჭვი არა შემოვარა და ჩემს ერთგულებაზედ ისე იქნებით დანდობილი, როგორც თქვენზედ მე ვიქნები. მაგრამ რა იყო? აგრეთმა ფერმა რატომ გადაგკრათ?

სგანარელი. ეს არაფერია, ქარები ამივარდა თავში.

დორიმენ. ეგ ბევრსა ჰსჭირს ახლა! მაგრამ იმედი მაქვს, ჩვენს ცოლქმრობაში ადვილად განთავისუფლდეთ. ახლა მშვიდობით! მიგვიანდება; შესაფერი ტანისამოსი უნდა გავინყო, ამ ძენძების გამოსაცვალი. აქედამვე გავსწევ, რომ ვიყიდო, რაც საჭიროა და ვაჭრებს კი თქვენ გამოგიგზავნით.

(გავა)

ბამოსკლა 5.

ჟერონიმო. აა! უფალო სგანარელო! მოხარული ვარ, რომ აქავე გნახეთ: ერთი ოქრომჭედელი შემხვდა, გაეგონა, რომ კარგს ბეჭედს ეძებთ თქვენის დანიშნულის საჩუქრათა და დიდათა მთხოვა ახლავე გაცნობოთ, რომ ერთი ისეთი რამ მშვენიერი ბეჭედი აქვს იმას გასასყიდი, რომ უკეთესი არსად იშოვებოდეს.

სგანარელი. ნეტა აგრე საჩქარო რა არის მერე.

ჟერონიმო. როგორ რა არის? რას ჰნიშნავს ესა? მაშ ის თქვენი სიფიცხე სად არის, ამ ერთის საათის წინეთ რომ იჩენდით?

სგანარელი. ამ პატარა ხანში ცოტა რამ ეჭვები შემივიდა ცოლის შერთვაზედა. მანამდისინ ფეხს წინ წავსდგამდე, საქმე კარგათ მინდა გავშინჯო და ერთი სიზმარი ავახსნევინო ვისმე, ნუხელის რო ვნახე. სიზმარი, თქვენც მოგეხსენებათ, სარკეა ხოლმე ხან და ხან, რომელშიაც მომავალი ცხადად დაინახება. ვითამ გემში ვიჯექი აღელვებულს ზღვაზედა და...

ჟერონიმო. უფალო სგანარელო! მე ერთი პატარა საქმე მაქვს ახლა და ყურს ვერ დაგიგდებთ. სიზმრებისა მაინც არა გამეგებარა; და თუ ისევ ცოლის შერთვის ანგარიშში ხართ, ორი მეცნიერი მეზობელი გყავთ აქა, ფილოსოფოსები, და რაც რამ ამაზედ ითქმის, ყველაფრის აღხსნა შეუძლიანთ. რადგან სხვა და სხვა სეკტისანი არიან, შეიძლება ერთსაც დაეკითხოთ და მეორესაცა. მე კი, რაც არ გითხარით, სხვას იმაზედ მეტს ველარას გეტყვით და გეთხოვებით კიდევცა. (გავა)

სგანარელი. მართალს ანბობს. ჩემს იჭვენეულობაზედ ამათ უნდა დავეკითხო.

გამოსვლა 6.

პანკრას. (იქით მიბრუნებული, საიდანაც შემოვიდა და სგანარელს რომ ვერა ჰხედავს ისე) გამეცალეთ, თქვენ ხართ ბრიყვი, მეგობარო ჩემო, თქვენ ხართ კაცი უმეცარი ყოვლის სამნიგნობროს წესისა, განსადევნელი სამწერლოს უწყებისაგან.

სგანარელი. ოჰო! ეს ერთი კარგად შემხვდა აქა!!

პანკრას. (ისევ ისე, სგანარელს რომ ვერა ჰხედავს) დიალ! ცხადის საბუთებით დაგიდგებით წინა, არისტოტელით დაგიმტკიცებთ, რომელ-არს ფილოსოფოსთ ფილოსოფოსი, რომ შენ ხარ უმეცარი, უუმეცრესი, განმაუმეცრებელი და ყოვლადგანუმეცრებული, ყოველსა შინა შემთხვევასა, და ყოვლითა მოსაფიქრებელითა საქმითა.

სგანარელი. (ცალკე) ეს უთუოთ ნაჰსჩხუბებია ვისმე. (პანკრასს) უფალო...

პანკრას. (ისევ ისე) ჰსჯაში გარევა გსურს და არ იციკი არცა დასანყისი მსჯელობისა.

სგანარელი. (ცალკე) გაჯავრებულია და ველარა მხედავს. (პანკრასს) უფალო...

პანკრას. (ისევ ისე) ეგ არის ნარმოთქმა, გასამტყუნარი ყოველთა ქვეყანათაგან საფილოსოფიოთა.

სგანარელი. (ცალკე) ეტყობა ძალიან გაუჯავრებიათ. (პანკრასს) მე...

პანკრას. (ისევ ისე) *Toto coelo, tota via aberras.*³

სგანარელი. უფაღს დოკტორს ხელს კოცნას მოვახსენებ.

პანკრას. მშვიდობა თქვენდა.

სგანარელი. შეიძლება?..

პანკრას. (ისევ იქით მიბრუნდება) კარგად იცი, რაცა ჰქმენ? *Syllogismo in Balordo.*⁴

სგანარელი. მე თქვენ...

პანკრას. უპირველესი თქვენი არის უმსგავსოება, უკანასკნელი თავხედობა და დასასრული სასაცილოება.

სგანარელი. მე...

პანკრას. (ისევ ისე) თუნდა გავსქდებოდე, მაინც არ აღვიარებ შენსა ნათქვამსა, და მტკიცედ დავადგები აზრსა ჩემსა უკანასკნელს ჩემის მელნის წვეთამდე.

სგანარელი. შემიძლია?..

პანკრას. დიად, მე ვადგები სიტყვასა ამას, *pugnis et calcilus, unguibus et rostro.*⁵

სგანარელი. უფალო არისტოტელო! ნება გვექნება ვიკითხოთ, რისგან ბძანდებით აგრე განრისხებული?

პანკრას. ერთის საქმისაგან, რომელი გარდაემატება ყოველსავე.

სგანარელი. როგორ?

პანკრას. უმეცარმა განიზრახა დაემტკიცებინა აზრი შემცთარი, აზრი საშინელი, საზარელი.

სგანარელი. შეიძლება ვიკითხო, რა იყო?

პანკრას. ოჰ! უფალო სგანარელო! ან ყოველივე გადმობრუნებულ არს და ქვეყანა შთავრდომილ არს გარყვნილებასა შინა საზოგადოსა. საშინელი თვითმნებელობა ჰსუფევს ყოველგან და მოხელენი, რომელნი დადგინებულ არიან წესის დასაცველად ქვეყანასა ამას შინა, სირცხვილით უნდა ჰსწითლდებოდნენ ისეთის უნესოების გამგონნი, რომლის დათმობა არა შესაძლო არს და რომელი მესმა მე ამჟამად.

სგანარელი. რა იყო?

პანკრას. ნუ თუ საზარელი არ იყოს, ნუ თუ არა ჰღალატდებდეს ცად მიმართ სიბრიყვე და უმეცრება იგი, რომელი სახალხოდ იტყვის: ფორმაო ქუდისაო?!

სგანარელი. როგორაო?

პანკრას. მე ვამტკიცებ, რომ უნდა ითქმოდეს ფიგურა ქუდისა და არა ფორმა ქუდისა, რადგან ფიგურასა და ფორმას შორის განსხვავება ესე არს, რომელ ფორმა არს გარეგანი სახე პირისა, ანუ სულიერის სხეულისა და ფიგურა არს გარეგანი სახე ნივთისა, ანუ სხეულისა უსულოსი; და ვინაიდგან ქუდი არს სხეული უსულო, ამისგამო უნდა ვიტყოდეთ ფიგურა ქუდისა და არა ფორმა. *(მიბრუნდება ისევ იქით)* დიალ, უმეცარო, აი როგორ უნდა ითქმოდეს; თვით არისტოტელი განარკვევს სიტყვებსა ამას კარსა შინა თვისებათასა.

სგანარელი. *(ცალკე)* ყოველიფერი დაღუპულა მეთქი, მეგონა. *(პანკრასს)* უფალო დოკტორო, ნულარა ჰფიქრობთ მაგაზედა... მე...

პანკრას. ისე განრისხებული ვარ, რომ ჩემის თავისა აღარა გამეგებარა.

სგანარელი. დაანებეთ ახლა თავი ფორმასაცა და ქუდსაცა. მე ერთი საქმე მინდა შეგატყობინოთ. მე...

პანკრას. ოჰ! შენ უმეცართ უმეცარო.

სგანარელი. ღვთის გულისათვის, დამშვიდდით. მე...

პანკრას. უგუნურთ უგუნურო!

სგანარელი. ეჰ! ღმერთო ჩემო! მე...

პანკრას. მაგვარი სიტყვა გინდოდა ჩემთვის დაგეჯერებინებინა!

სგანარელი. დაუშავებია. მე...

პანკრას. სიტყვა, თვით არისტოტელის მიერ განკიცხული!

სგანარელი. დიაღ, სწორეთ! მე...

პანკრას. მერე რა სიტყვა? განზრახ მოგონილი!

სგანარელი. მართალსა ბძანებთ. *(ესეც იქით მიბრუნდება, საითაც პანკრასი მიალაპარაკებს ხოლმე)* დიაღ, სულელი ყოფილხართ მანდ ვილაცა ხართ, ამ დოკტორს რომ შეჰბაასებხართ, წერისა და კითხვის მეცნიერსა. საქმე აი რა გახლავთ: გთხოვთ ყური დამიგდოთ. მე მოველ თქვენთან რჩევის საკითხავად ერთ ჩემთვის მძიმეს საქმეზედ. მე ცოლის შერთვა მოვინადინე, რომ ოჯახობაში შემწე და ხელის შემწყობი ვიყოლიო; ქალი არის ლამაზი და კარგად მოყვანილი; მე დიდად მომწონს და იმასაც უხარია ჩემი შერთვა; მამა იმისი თანახმა არის, მაგრამ, ცოტა არ არის, მეშინია... რომ, მოგეხსენებათ, ის არ დამემართოს, ის მდგომარეობა, სხვას რომ არავის ენაღვლება და... ძალიან მინდა გთხოვოთ, რადგან ფილოსოფოსი ბძანდებით, თქვენი აზრი მიბძანოთ. ჰა? რას მეტყვით ამაზედ?

პანკრას. შესაძლებელია უფრო ამაზედ დავთანხმდე: რომ *datur vacuum in rerum natura*,⁶ ან რომ ყოვლითურთ უგუნური ვიყო და იმაზედ დათანხმებაკი არას გზით არ შემიძლია, რომ ფორმა ქუდზედ ითქმოდეს.

სგანარელი. *(ცალკე)* შავი ჭირი შენს თავსა და ვაგლახი. *(პანკრასს)* ეეჰ! უფალო დოკტორო, ერთი კაცსაც დაუგდეთ ყური, რა არის? მთელი საათი გელაპარაკებით და პასუხად ერთს სიტყვასაც არ მაღირსებთ.

პანკრას. ბოდიშს ვიხდი თქვენ წინაშე. სამართლიანის გულის წყრომითა ვარ ისე მოცული, რომ აღარა გამეგებარა.

სგანარელი. კარგია ახლა! თავი დაანებეთ მაგასა, ცოტა ჩემთვისაც გაისარჯეთ და ყური დამიგდეთ.

პანკრას. კარგი. რა გნებავთ მითხრათ?

სგანარელი. ერთს საქმეზედ მინდა მოგელაპარაკოთ.

პანკრას. რა ენა გინდათ იხმართ ჩემთანა?

სგანარელი. რა ენაა?

პანკრას. დიად.

სგანარელი. ნეტა რა ვჭქნა? ეს ენა, პირში რომ მიძევს; – მეზობელს ხომ არ დავესესხები, შენი ენა მათხოვე მეთქი.

პანკრას. მე გკითხავთ, რომელს ენაზედ აპირებთ ჩემთან ლაპარაკსა მეთქი!

სგანარელი. ჰოო! ეგ სხვა არის!

პანკრას. იტალიანურად ხომ არ გნებავთ ლაპარაკი?

სგანარელი. არა.

პანკრას. ისპანიურად?

სგანარელი. არა.

პანკრას. ნემეცურად?

სგანარელი. არა.

პანკრას. ანგლიურად?

სგანარელი. არა.

პანკრას. ლათინურად?

სგანარელი. არა.

პანკრას. ბერძულად?

სგანარელი. არა.

პანკრას. ებრაულად?

სგანარელი. არა.

პანკრას. სირიულად?

სგანარელი. არა.

პანკრას. ოსმანლურად?

სგანარელი. არა.

პანკრას. არაბულად?

სგანარელი. არა, არა, ფრანცუზულად, ფრანცუზულად, ფრანცუზულად!

პანკრას. ჰოო! ფრანცუზულად?

სგანარელი. დიად, დიად! ფრანცუზულად!

პანკრას. მაშ აქეთ გადმოიარეთ. ეს ყური სამეცნიერო და უცხო ქუეყნების ენებისათვისა მაქვს გამზადებული; სახალხო, სამშობლო ენისათვის ეს მეორეა.

სგანარელი. (ცალკე) ამ დარბაისლებთან ლაპარაკისათვის ძალიან თავდარიგის დაჭერა ყოფილა თურმე საჭირო და რას ვიფიქრებდი.

პანკრას. ახლა? რა გნებავთ?

სგანარელი. რჩევა მინდა გკითხოთ ერთს ჩემს დაბრკოლებაზედ.

პანკრას. ჰო, ჰო! საფილოსოფოსო საგანზედ, განა?

სგანარელი. არა, უკაცრავად, მე...

პანკრას. შეტყობა გნებავთ, არსება და შემთხვევა სინონიმი არიან თუ ეკივოკნი; ესე იგი, ერთაზროვნებას წარმოადგენენ თუ ორაზროვნებას მნიგნობრობაში?

სგანარელი. სულაც არა. მე...

პანკრას. მაშ, ლოლიკა ხელოვნება არის თუ ჰსწავლა?

სგანარელი. რა ბძანებაა. მე...

პანკრას. საგანი მისნი სამნივე მოქმედებანი არიან გონიერებისანი, თუ მხოლოდ ერთი მესამე?

სგანარელი. არა, მე...

პანკრას. კატეგორია ათია თუ მხოლოდ ერთი?

სგანარელი. რას მიქვია! მე...

პანკრას. არსება სილლოგიზმოსი დაბოლოვება არის თუ არა?

სგანარელი. რასა ბძანებთ? მე...

პანკრას. არსება კეთილისა მდებარებს თვისებასა შინა ნატურისასა თუ ოდენ შესაბამოსა შინა?

სგანარელი. არა! მე...

პანკრას. ურთი ერთარსობა არს თუ არა სიკეთესა და დაბოლოვებასა შორის?

სგანარელი. ეეჰ? არა! მე...

პანკრას. დაბოლოვებასა ძალუძს შერყევა ჩვენი ბუნებითა თვისითა ნამდვილითა თუ ოცნებითითა?

სგანარელი. არა, არა, არა, არა, არა, დასწყევლოს ღმერთმა შენი ეშმაკი! არა, ათასჯერ არა!

პანკრას. მაშ გამომირკვიე აზრი შენი, რადგან მე ვერ მიმხვდარვარ, რა გნადს.

სგანარელი. მეც ეგ მინდა, რომ გიამბოთ; მაგრამ ყურს რომ არ მიგდებთ? *(მანამდისინ სგანარელი ამას ანბობს)* მე რომ საქმე მაქვს, ეს ის საქმე გახლავს, რომ ცოლი მინდა შევიერთო და ერთს ქალსა ვთხოულობ ყმანვილსა და მშვენიერსა. მე ძალიან მომწონს და კიდევცა ვჰთხოვე მამასა; მაგრამ მეშინია, რომ...

პანკრას. *(იმავე დროს ლაპარაკობს და სგანარელს ყურს არ უგდებს)* სიტყვა მინიჭებული აქვს კაცსა გამოსათქმელად აზრისა და ვითარცა აზრი არს გამომხატველი ნივთისა, სიტყვა არს გამომხატველი აზრისა. *(ამ დროს სგანარელი, მოთმინებიდან გამოსული, დოკტორს პირზედ ხელს მიაფარებს და, რა რომ დოკტორი ამ ხელს მოიცილებს, იმავე წამს იწყებს ისევე იმავე ლაპარაკსა)* მაგრამე ეს გამოხატვა სხვა მხატვრობას განესხვავება მით, რომ სხვა მხატვრობა ცხადად გამოიყვანს დედანსა თვისსა, მაშინ, ოდესაც სიტყვა თვის შორისვე იცავს თვისსა დედანსა. ამაღ, რომელ არს მხოლოდ აზრი, გამოთქმული გარეგანითა ნიშნებითა; მაშასადამე, ვინაცა უკეთ ჰფიქრობს, უკეთესადცა იგივე გამოსთქვამს. მაშ, გამომითქვით თქვენი ფიქრი სიტყვითა, რომელ არს უნათლესი ყოველთა ნიშანთა.

სგანარელი. *(დოკტორს სახლში შეაგდებს და კარებს გამოუხურავს, რომ ველარ გამოვიდეს)* სწორეთ ჭირი ყოფილა ეს ოხერი.

პანკრას. *(შინიღამ)* დიალ! სიტყვა არს animi index, et speculum.⁸ სიტყვა არს მოენე გულისა და ხატება სულისა. *(შემოდგება ფანჯარაში და იქიღამ ანბობს)* სიტყვა არს სარკე, რომელი უზაკველად წარმოგვიდგენს უხვაშიადესსა საიდუმლოებასა ჩვენის ბუნებისასა; და რადგან თქვენ გაქვსთ ნიჭი მოფიქრებისა და მაშინვე გამოთქმისაცა, რისგან არის, რომ არ იხმართ სიტყვასა თქვენსა, რათა მამხილოთ აზრი თქვენი?

სგანარელი. მაშ მე რილასთვისა ვარ აქა; მაგრამ რომ არ დამაცალეთ.

პანკრას. აჰა! ყურს გიგდებთ, ჰსთქვით.

სგანარელი. აი, მოგახსენებ, უფალო დოკტორო, რომ...

პანკრას. გთხოვთ მონყვეტით ილაპარაკოთ, მოკლედ.

სგანარელი. აგრე ვიქ.

პანკრას. უსარგებლო დაწვლილებას ერიდებოდეთ.

სგანარელი. ეჰ! უფა...

პანკრას. აპოფთეგმათ⁹ განმინანილეთ საუბარი თქვენი, ლაკონიურად.

სგანარელი. მე თქვენ...

პანკრას. მიდებ-მოდება და მრავალსიტყვაობა არ იყოს. *(სგანარელი, სრულიად მოთმინებიდამ გამოსული, რომ ვეღარ ჰსტქვარა, ქვას დაავლებს ხელსა და შუბლში კვრას დაუპირებს)* როგორ! ცხადად ლაპარაკის მაგიერად ფიცხდებით? გამეცალეთ! თქვენ იმაზედ უფრო ბრიყვი და საძაგელი ყოფილხართ, რომ ჩამცივებიყო, ქუდზედ ფორმა უნდა ითქვასო; მე თქვენ ცხადად დაგიმტკიცებთ ყოველს შემთხვევაში, არგუმენტებითა in Barbara,¹⁰ რომ თქვენ ხართ და იქნებით მარადის მხოლოდ სულიერი პირუტყვი და მე ვარცა და ვიქნებიცა მარადის in utruque jure¹¹ დოკტორი პანკრასი.

სგანარელი. ოჰ! ეს რა გაუძლებელი რამ ყბედი ყოფილა!!

პანკრას. *(შემოვა ისევ სცენაზედ)* დაგიმტკიცებთ, რომ ვარ კაცი მნიგნობარი, კაცი მეცნიერი.

სგანარელი. კიდევა?

პანკრას. კაცი შემძლებელი, კაცი პატივდებული. *(გაივლის)* კაცი განვითარებული ყოველსა შინა სწავლასა ბუნებითსა, ზნეობითსა და საპოლიტიკოსა. *(გამოივლის)* კაცი მეცნიერი, უმეცნიერესი, per omnes modos et casus.¹² *(გაივლის)* კაცი, რომელმაც ვიცი ზედმინვნითა superlative¹³ არაკნი, მითოლოღია და ისტორია, *(გამოივლის)* გრამმატიკა, პოეზია, რიტორიკა, დიალექტიკა და სოფისტიკა. *(გაივლის)* მათემატიკა, არითმეტიკა, ოპტიკა, ონიროკრიტიკა,¹⁴ ფიზიკა და მათემატიკა. *(გამოივლის)* კოსმომეტრია,¹⁵ გეომეტრია, არხიტექტურა, სპეკულობა *(მინის მოქმედება)*. *(გაივლის)* სპეკულატობა,¹⁶ მედიცინა, ასტრონომია, ასტროლოგია, ფიზიონომია,¹⁷ მეტეოპოსკოპია,¹⁸ ხირომანტია,¹⁹ გეომანტია²⁰ და სხვა... *(გავა)*

ბამოსკლა 7.

სგანარელი. ჯაჰნაბამდინაც უვლია მეცნიერსა, რომელიც ყურს არ გვიგდებს. კარგათ მითხრეს, რომ ამისს არისტოტელს ყბედობის მეტი არა ჰსცოდნიარაო. არა, უნდა ნავიდე, მეორე მოვნახო; ის უფრო დამჯდარი არის და უფრო გონიერი. ეჭვი!!
(*კარს ურეკს*)

ბამოსკლა 8.

მარფურიოს. რა გნებავეთ ჩემგან, უფალო სგანარელო?

სგანარელი. უფალო დოკტორო! თქვენი რჩევა მეჭირვე-
ბა ერთს პატარა საქმეზედა და ამისთვისა ვარ მე აქ მოსული.
(*ცალკე*) ოჰო! საქმე ამასთან უკეთ მოდის; კაცს ყურს მაინც უგდებს.

მარფურიოს. უფალო სგანარელო! გთხოვთ შეჰსცვალოთ, თუ თქვენი ნებაც იქნება, ეგ რიგი ლაპარაკისა. ჩვენი ფილოსოფია კანონად გვიდებს, რომ არას დროს არ წარმოვსთქმიდეთ ჰაზრსა ბეჯითად; არამედ ვლაპარაკობდეთ ჰაზრსა იჭვენეულებითა, შე-
ვაყენებდეთ ყოველთვის გარდანყვეტილებასა ჩვენსა. ამისგამო არ უნდა იტყოდეთ – ვარ მოსულიო; არამედ – მე მგონია, რომ ვარ მოსულიო!

სგანარელი. მგონიაა?

მარფურიოს. დიაღ.

სგანარელი. ნეტა რა ვჰქნა! ოღონდაც რომ მგონია, ამიტომ რომ აქა ვარ.

მარფურიოს. ეგ ჯერ მიზეზი არ არის. შესაძლებელია ისეთი რამ გეგონოსთ, რომ მართალი არ იყოს.

სგანარელი. როგორ? მართალი არ არის, რომ აქა ვარ?

მარფურიოს. არც ეგ არის სარწმუნო; უნდა ყოველშვივე ეჭვი ვიქონიოთ.

სგანარელი. რაო! მე აქ არა ვარ და თქვენ მე არ მელაპა-
რაკებით?!

მარფურიოს. მე მეჩვენება, რომ თქვენ მანდა ხართ და მგონია, მე თქვენ გელაპარაკებოდეთ; მაგრამ მართლად ასეა თუ არა, სარწმუნო არ არის.

სგანარელი. ეს რაღასა ბოდავს! ჰხუმრობთ მგონია. აი მე და აი თქვენ, კარგა ბეჯითად; მე-მგონიას აქ რა ხელი აქვს, თავი დავანებოთ ერთი მაგისტანა უბრალო პასუხებსა, ღვთის გულისათვის, და ჩემს საქმეზედ ვილაპარაკოთ. მე იმისთვის გაიხელით, რომ შეგატყობინოთ – ცოლის შერთვა მსურს მეთქი.

მარფურიოს. მე ეგ რა ვიცი.

სგანარელი. მე გეუბნებით.

მარფურიოს. შესაძლებელია.

სგანარელი. მე რომ ქალსა ვთხოულობ, ძალიან ყმანვილია ის ქალი და ძალიან ლამაზი.

მარფურიოს. შეუძლებელი არ არის.

სგანარელი. კარგი იქნება თუ ცუდი, რომ შევიერთო?

მარფურიოს. ერთიც და მეორეცა.

სგანარელი. ეეჰუ! ეს სულ სხვა კილოზედ იმღერის. *(მარფურიოსს)* მე თქვენა გკითხავთ, კარგი იქნება თუ ცუდი მეთქი, ის ქალი რომ შევიერთო, რომელზედაც გელაპარაკებით?

მარფურიოს. შეხვედრაზედა ჰკიდია.

სგანარელი. ცუდი იქნება?

მარფურიოს. შემთხვევაზედა ჰკიდია.

სგანარელი. ღვთის გულისათვის, ერთი რიგიანი პასუხი მითხარით.

მარფურიოს. ჩემი განძრახვაც ეგ არის.

სგანარელი. გული დიდად მითქვამს ამ ქალისათვის.

მარფურიოს. შეიძლება აგრე იყოს.

სგანარელი. მამა მაძლევს.

მარფურიოს. იქნება.

სგანარელი. მაგრამ რომ შევიერთო, ვაი თუ, როგორც მოგეხსენებათ, ფეხი აირბ... ქვეყანაში ქუდი მომხადოს.

მარფურიოს. შეიძლება მოხდეს.

სგანარელი. რას ჰფიქრობთ ამაზედა?

მარფურიოს. მგონია შეუძლებელი არ იყოს.

სგანარელი. არა; თქვენ რომ ჩემი ყოფილიყავით, თქვენ რას იქმოდით?

მარფუროს. არ ვიცი.

სგანარელი. მე რალას მირჩევთ, როგორა ვქნა?

მარფუროს. როგორც გიამებოდეთ.

სგანარელი. ლამის ცეცხლი მომეკიდოს.

მარფუროს. მე ხელი დამიბანია.

სგანარელი. ცეცხლი და ნავთი შენს თავსა, გამოშტერებულო ბებერო!

მარფუროს. რაც მოხდება, ის იქნება.

სგანარელი. *(ცალკე)* შე ჯალათო, შეჩვენებულო! მე შენ გამოგაცვლევიანებ მაგ ხმასა, შე ქოფაკო ფილოსოფოსო. *(დაუშენს ჯოხსა)*

მარფუროს. ოჰ! ოჰ! ოჰ!

სგანარელი. ასე გინდა შენა, უმსგავსოდ რომ მიედ-მოედები! ჰე! ამოვიყარე შენი ჯავრი თუ ვერა?

მარფუროს. როგორ! როგორ გაბედე ჩემი ასე გაუპატიურება! ჩემებრ ფილოსოფოსის ცემა!..

სგანარელი. გთხოვთ შესცვალოთ, თუ თქვენი ნებაც იქნება, ეგ რიგი ლაპარაკისა; ყოველს საქმეზედ იჭვენულება უნდა იქონიოთ და არას დროს არ უნდა იტყოდეთ, რომ მე თქვენა გცემეთ; არამედ გგონიათ, ვითამ გცემეთ.

მარფუროს. პოლიციამი გიჩივლებთ ახლავე ჩემის გალახვისათვის.

სგანარელი. მე ხელი დამიბანია.

მარფუროს. ნაცემი ზედ მაჩნია.

სგანარელი. შესაძლებელია.

მარფუროს. ეს შენ მომაცენე ამისთანა შეურაცხება.

სგანარელი. არ არის შეუძლებელი.

მარფუროს. მაცალე, ბძანებას გამოვიტან შენზედა.

სგანარელი. მე არა ვიცი რა.

მარფუროს. სამართალი გადაგახდევინებს.

სგანარელი. რაც მოხდება, ის იქნება.

მარფუროს. დამაცალე?!.. *(გავა)*

ბამოსკლა 9.

სგანარელი. *(მარტო)* გაგონილა ეს ამბავი? ადამიანმა ერთი ბეჯითი სიტყვა ვერ გამოიტანოს ამ მკვდარ-ძაღლისაგანა და ბოლოსაც იმდენივე ცოდნა დაგრჩეს, რაც პირველში გქონდა. რა უნდა ვქნა ახლა, როგორ შევიტყო, რა შეუდგება ჩემს ცოლის შერთვასა? ოჰ! აგერ ბოშის ქალები! ამათ უნდა ვაკითხვი!

ბამოსკლა 10.

(ბოშის ქალები შემოვლენ სიმღერითა და მოთამაშობითა, ხელში თავისი პატარა დაირებით)

სგანარელი. უდარდონი ესენი ყოფილან! გამიგონეთ თქვენ – ეი! მკითხაობა შეგიძლიათ თუ არა?

პირველი ქალი. დიად, ჩემო კარგო და ლამაზო! აი ორნი ვართ და ორთავე ვიცით.

მეორე ქალი. შენ ხელის გული გვაჩვენე. ჯვარედინათ რომ არის, ვნახოთ და ჩვენ გეტყვით რასმე, რაც მოსავალია.

სგანარელი. აი, აჰა! ორივე ხელის გული, რასაც კითხულობთ იმითი.

პირველი ქალი. კარგი სახე გქონია შენა, ჩემო კარგო და ლამაზო, კარგი სახე.

მეორე ქალი. ჰო, ჰო! კარგი სახე, ისეთი სახე, რომ ერთხელ შენც გახდები რამე.

პირველი ქალი. ცოლს შეირთამ ცოტა არ არის მალე, ჩემო კარგო და ლამაზო, ცოტა არ არის მალე.

მეორე ქალი. შეირთამ მოხდენილს ქალსა, მოხდენილს ქალსა.

პირველი ქალი. დიად, ისეთ ქალსა, ქვეყნის საყვარელი რომ იყოს, ქვეყნის საყვარელი.

მეორე ქალი. ჰო, ჰო! ისეთ ქალსა, რომ მეგობრები ბევრი შეგძინოს, ჩემო კარგო, მეგობრები ბევრი შეგძინოს.

პირველი ქალი. ისეთ ქალსა, რომ ბარაქა შემოიტანოს შენს სახლში, ბარაქა შემოიტანოს.

მეორე ქალი. ისეთ ქალსა, რომ სახელი გაგითქვას, ჩემო კარგო და ლამაზო, სახელი გაგითქვას.

პირველი ქალი. შენი მაცურებელი იყოს, ჩემო კარგო და ლამაზო, შენი მაცურებელი იყოს.

სგანარელი. ეგ ძალიან კარგი. მაგრამ ერთი ეს მითხარით, ფიქრი ხომ არ არის, რომ ქუდი მომეხადოს.

მეორე ქალი. ქუდი მოგეხადოს?

სგანარელი. ჰოო!

პირველი ქალი. ქუდი მოგეხადოს?

სგანარელი. დიაღ, ფიქრი თუ არი, რომ გამიფერხბილდეს და ქუდი მომეხადოს? *(ქალები იმღერიან და თამაშობენ)* ერთი ამათ უყურეთ! ეგ რა ჩემი პასუხია მერე? აქეთ მოდი: მე თქვენ ორთავე გკითხავთ, თავს თუ არ მომჭრის, ქუდს თუ არ მომხდის?

მეორე ქალი. ქუდსა, თქვენა?

სგანარელი. ჰო, ქუდს თუ არ მომხდის?

პირველი ქალი. თქვენა, ქუდსა?

სგანარელი. ჰო, მომეხდება, თუ არა?

(ქალები სიმღერითა და თამაშობით გარეთ გაცვივდებიან)

გამოსვლა 11.

სგანარელი. *(მარტო)* ამ შეჩვენებულმა მანანნალებმაც აკი უპასუხოდ არ დამაგდეს?! როგორც იქნება კი უთუოთ უნდა შევიტყო, ჩემს ცოლის შერთვას რა დაჰყვება თანა, რა შეუდგება; უნდა იმ გამოჩინებულს მკითხავთან წავიდე, ქვეყანა რომ იმისს ქებას ანბობს. თვალით დაგანახვებს, რასაცკი ისურვებო. ერთი კაცმა მკითხოს, აქამდისინ რაღას უყურებდი და იმას არ დავეკითხე. თვალით დამანახვებს ყველაფერსა. –

ბამოსკლა 12.

(შემოვლენ დორიმენ და ლიკასტი. სგანარელი უკუდგება)

ლიკასტი. იქნება მართლა არა ხუმრობდეთ, მშვენიერო დორიმენ, რასაც ანბობთ?

დორიმენ. დიად არა ვჭხუმრობ.

ლიკასტი. მაშ ეგ არის თხოვდებით?

დორიმენ. სწორეთ.

ლიკასტი. ქორნილიც ამაღამვე გექნებათ?

დორიმენ. ამაღამვე.

ლიკასტი. მერე შეგიძლიათ, შეუბრალებლო, აგრე მალე დავიწყება ჩემის სიყვარულისა და დამავალუბელის აღთქმისა, მე რომ მომეცით?

დორიმენ. მე? ეგ როგორ იფიქრეთ? მე ისევე ისე მიმაჩნისხართ, როგორც უნინა და ჩემმა ქმრის შერთვამ სულ არ უნდა დაგალონოსთ. ქმარს რომ ვირთავ, სიყვარულით ხომ არ ვირთავ, მდიდარია და იმიტომა. მე არა გამაჩნიარა, თქვენ არა გაგაჩნიათრა და თქვენც ხომ იცით, რომ სადაც შეძლება არ არის, იქ არცარა სიამოვნება იქნება ქვეყნიერი და რათაც უნდა გვიღირდეს, უნდა ვსცდილობდეთ საცხოვრებელის შოვნასა. შემთხვევა მომეცა და ხელიდან არ გამომეცალოს მეთქი, მეც მაშინვე დავჭთანხმდი, იმ ანგარიშით, რომ თავის დაღწევაც მალე მელირსება ბერიკაციისაგანა მეთქი. იმ ჩემს კაცს დიდხანს გაძლება არ შეუძლია; სულ რომ ბევრი იცოცხლოს, ექვსის თვის სიცოცხლე თულა უდგია ტანში. პირობას გაძლევთ, რომ მეტი ვერ ილოლიალოს და დიდხანს არ მომინდეს ღვთის ხვენნა, სიქვრივე მომივლინე და ბედნიერ-მყავ მეთქი. *(ამ დროს დაინახავს სგანარელს და ეტყვის)* აა! ეხლა თქვენზედ ვლაპარაკობდით და რაცკი რამ კეთილი ითქმოდა, არა დაგვიზოგავსრა.

ლიკასტი. ეს ბძანდება უფალი?..

დორიმენ. დიად, ეს ბძანდება, მე რომ მირთავს.

ლიკასტი. ნება მიბოძეთ, უფალო, მოგილოცოთ განზრახული ქორნიება და ამასთან ჩემი უმორჩილესი პატივის-ცემაც

მოგახსენოთ. გარწმუნებთ, რომ ირთავთ დიალ თავდაცულსა და პატიოსანს გვამსა. და თქვენ, მადმუაზელ! გულითად მიხარის თქვენი რჩევა და გარდანყვეტილება. უკეთესს ვერ არჩევდით. უფალს ყოველი თვისება ეტყობა დიალ კეთილის მეუღლეობისა. დიალ, უფალო! მინდა დაგიმეგობრდეთ და დავაკავშიროთ ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა და დროს გატარება.

დორიმენ. მაგითი მომეტებულს პატივსა გვცემთ ორთავე. მაგრამ ახლაკი წავიდეთ, ნულარ ვიგვიანებთ. კვლავ უფრო სრული მოცალეა გვექმნება ერთმანეთთან საუბრისა. *(გაველენ)*

ბამოსკლა 13.

სგანარელი. *(მარტო)* ახლაკი ცხადათა ვჰხედავ, რომ საქმე დამლაშდა და ურიგო არ იყოს, მგონია, წავიდე და პირობა შეეუშალო. ფულიკი დამეხარჯა რამდენიმე მართალია, მაგრამ ისევე ფულის წაგება ჰსჯობია, ოღონდ სხვა უარესი არა გამომიამკარავდეს რა. მაშ, რიგიანად გავისარჯოთ, რომ თავი გამოვიხსნათ ამ განსაცდელისაგან. ეჰეი! *(კარს ურეკს ალკანტორს)*

ბამოსკლა 14.

გამოვა ალკანტორ

ალკანტორ. აა! ჩემო სიძე! მშვიდობა თქვენს მოსვლასა!

სგანარელი. თქვენი მონა და მოსამსახურე.

ალკანტორ. საქორწილოთ მობძანებულხართ?

სგანარელი. უკაცრავად გახლავართ.

ალკანტორ. გარწმუნებთ, რომ მეც ისე ვეშურები, როგორც თქვენა.

სგანარელი. მე სხვა საქმისათვის გიახელ.

ალკანტორ. მე ბძანება მიცემული მაქვს, რომ ახლავე ყოველივე მზათ იყოს, რაც რამ საჭირო არის.

სგანარელი. მე მაგაზედ არ მოგახსენებთ.

ალკანტორ. მუზიკანტები მზათ არიან, დასაპატიყებლნი ვინც იყვნენ, დაპატიყებულნი არიან და ჩემი ქალიც მზათ არის.

სგანარელი. მე მაგისტვის არ გხლებივარ. მე მინდა...

ალკანტორ. ერთის სიტყვით, კმაყოფილი იქნებით და თქვენს დაკმაყოფილებას ვერა შეაგვიანებსრა.

სგანარელი. ღმერთო ჩემო! საქმე სულ სხვა გახლავს.

ალკანტორ. მობძანდი, შინ შემობძანდი, ჩემო სიძე-ბატონო!

სგანარელი. ცოტა რამ სიტყვა მინდა მოგახსენოთ.

ალკანტორ. ახა, ღმერთო ჩემო! ჩვენში ბევრი თავაზა რა საჭიროა, შემობძანდით და რალა.

სგანარელი. არა-მეთქი; ჯერ უნდა მოგელაპარაკოთ.

ალკანტორ. სხვა სათქმელი გაქვსთ რამე ჩემთანა?

სგანარელი. დიად!

ალკანტორ. აბა რა?

სგანარელი. უფალო ალკანტორ! მე, მართალია, ქალი გთხოვეთ და თქვენც აღმითქვით; მაგრამ მე ვჰგრძნობ, რომ ხნიერებით ცოტა მეტად წინა ვარ და ვჰგონებ, იმისთვის სრულიად არ ვარგოდე.

ალკანტორ. სულაც არა! ჩემს ქალს აგრე კარგად მოსწონხართ, როგორცა ხართ და დარწმუნებული ვარ, რომ სიამოვნებით იცხოვრებს თქვენთანა.

სგანარელი. ვერა, ვერა. მე ხან და ხან საძაგელი ხასიათი მჭირს ხოლმე და, უეჭველია, დიდად შეჰსწუხდება, როდესაც ავგუნებაზედ შევიქნები.

ალკანტორ. ჩემი ქალი ძალიან თავაზიანი ქალია და ჰნახავთ, რომ თავისის მოთმინებითა და ზდილობთ ყველაფერში დაგყვებათ.

სგანარელი. ზოგიერთი ისეთი სხეულის ნაკლულევანებაცა მაქვს, რომ შეიძლება გული მალე აიცრუოს ჩემზედა.

ალკანტორ. ეგ არაფერია. პატიოსანი ქალი ქმარზედ გულს არასდროს არ აიცრუებს.

სგანარელი. ერთის სიტყვით, გინდათ, რომ მოგახსენოთ? მე არ გირჩევთ, რომ მომცეთ.

ალკანტორ. ხუმრობთ თუ! მე ჩემის პირობის გატეხას სიკვდილი მირჩევნია.

სგანარელი. ღმერთო ჩემო! მე გაძლევთ ნებასა და მე...

ალკანტორ. რა ნება, რის ნება? აღმითქვამს და უთუოთ მოგცემთ კიდევცა, სხვანი თუ გინდა ყველანი ჯავრით დაიხოცნენ იმის მთხოვნელნი.

სგანარელი. *(ცალკე)* დასწყევლა ღმერთმა!

ალკანტორ. მე, ჩემო სიძე, ისეთი განსაკუთრებითი პატივისცემა მაქვს თქვენი და სიყვარული, რომ თავადმაც რომ მთხოვოს, თქვენ მოგცემთ და იმასკი არა.

სგანარელი. უფალო ალკანტორ! დიდად დავალებული ვარ თქვენგან მაგ პატივისცემითა; მაგრამ ცხადად მომიხსენებია, რომ მე ცოლის შერთვა არ მინდა.

ალკანტორ. ვისა? თქვენა?

სგანარელი. დიად მე.

ალკანტორ. მიზეზი მაგისი?

სგანარელი. მიზეზი? მიზეზი ეს არის, რომ საცოლოდ ვერა ვჰგრძნობ ჩემს თავსა და მინდა მამა ჩემსა და ყოველს ჩემს წინაპართ მივბაძო, ცოლი რომ არას დროს არ შეურთავთ.

ალკანტორ. გამიგონეთ! ყოველი კაცი თავისუფალი არის თავის ნებაზედ. და მე ისეთი კაცი ვარ, რომ არავის არ ვენინააღმდეგები. თქვენ თვითან გამომელაპარაკეთ ჩემის ქალის ცოლად შერთვაზედა და ჩვენც ყოვლიფრით მოვემზადენით; ახლა რადგან თქვენ თქვენის პირობის მოშლა მოგინადინებიათ, მე წავალ, ვნახო, როგორ მოვიქცე და მალეკი გაცნობებთ ჩემს ანბავსა.

(გავა)

გამოსვლა 15.

სგანარელი. *(მარტო)* სჩანს, მე რომ არ მეგონა, ისე გონიერი ყოფილა და დამჯერებელი. უფრო გამიჭირდებოდა მეთქი მეგონა! ღმერთო, ღმერთო! მე რომ ვჰფიქრობ, ძალიან კარგათა ვჰქენი, რომ ეს საქმე თავიდან მოვიცილე, თორემ ვინ იცის, იქნება

ჩემს სიცოცხლეში სინანულისაგან ვედარცკი გამოვსულიყავი. ახლავი აღარა გვიშავსრა. აგერ იმისი შვილიც მოდის, უთუოთ პასუხი მოაქვს.

ბამოსვლა 16.

ალსიდას. *(ტკბილის ხმით)* უფალს სგანარელს უმორჩილესს სამსახურს მოვახსენებ.

სგანარელი. მეც აგრეთვე, უფალო, სრულის გულით.

ალსიდას. მამა ჩემმა მითხრა, უფალო, რომ ჩემის დის შერთვაზედ პირობის შესაშლელად ბძანდებით აქ მოსული.

სგანარელი. დიად, უფალო; დიდად ვჰსნუხვარ, მაგრამ...

ალსიდას. ოჰ! უფალო! რათა ჰსნუხართ? აქ სანუხარი სულ არა არისრა.

სგანარელი. ვჰსნუხვარ, ჭეშმარიტად; და გულითა მსურს...

ალსიდას. სრულიად არაფერია სანუხარი. დამიჯერეთ. *(მხარტმევს სგანარელსა ორს ხმალს)* გთხოვთ უფალო, შრომა გასწოთ და ამ ორში ერთერთი აირჩიოთ, რომელიც თქვენი ნება იქნებოდეს.

სგანარელი. ამ ორს ხმალში?

ალსიდას. დიად, უფალო! ამ ორს ხმალში, თუ თქვენი ნებაც იქნება.

სგანარელი. მერე რისთვის?

ალსიდას. უფალო, რადგან თქვენ ჩემს დაზედ ხელს იღებთ, შემდეგ პირობისა, იმედი მაქვს სანინალმდეგოდ არ მიიღებთ ჩემგან ამ განძრახულს მოკითხვასა.

სგანარელი. როგორა?

ალსიდას. სხვა რომ ყოფილიყო, ერთს ყოფას დაანევდა, ერთს ანბავსა; და ჩვენკი ისეთები ვართ, რომ საქმეს სიმშვიდითა და სინყნარით დავიწყებთ და ტკბილადაც დავაბოლოვებთ. მე გიახელ, დიდის თავაზით მოვახსენოთ, თუ თქვენცა ბძანებთ, რომ ყელეები უნდა გამოვსჭრათ ერთმანერთსა.

სგანარელი. დიად ცუდი მოკითხვა თუ არის სადმე, სწორეთ ეს არის.

ალსიდას. გთხოვთ ინებოთ და აირჩიოთ, უფალო!

სგანარელი. მე თქვენი მოსამსახურე გახლავარ, მაგრამ გამოსაჭრელი ყელიკი არ გახლავს. *(ცალკე)* ამისთანა ლაპარაკიც გაგონილა??

ალსიდას. ეს აუცილებელია, უფალო, თუ რომ თქვენი ნებაც იქნება.

სგანარელი. ეჰ! კარგი ერთი, უფალო! ჩააგეთ ისევა და ეგ თქვენი მოკითხვა რიგიანად გამოიბრუნეთ.

ალსიდას. ნულარ მაგვიანებთ, უფალო! სხვა საქმეცა მაქვს და მაგდენი არა მცალია.

სგანარელი. არ მინდა მეთქი, გეუბნებით.

ალსიდას. ჩემთან ხმალში გამოსვლა არა გნებავთ?

სგანარელი. დიაღ, არ მინდა, რათ მინდა.

ალსიდას. მართლა?

სგანარელი. მართლა.

ალსიდას. *(ჯოხით ცემას დაუწყებს და რომ გაათავებს)* ეს მაინცა, უფალო, რომ მიზეზი არ გექნებათ ჩივილისა: თქვენ თვითან ხედავთ, რომ საქმე, როგორც რიგია, ისე მომყავს. თქვენ პირობა გაგვიტყებთ. მე ხმალში გამოგითხოვეთ; თქვენ ხმალში გამოყოლის უარი მითხარით; მე ჯოხი დაგიშინეთ; ეს ასეა დაწესებული და იმედი მაქვს თქვენის პატიოსნებისაგანა თქვენც დამემონმით, რომ მე ჩემს ვალს სწორეთ ისე ვასრულებ, როგორც რიგია.

სგანარელი. *(ცალკე)* ეს თავხედი რალა ჭირში გამიტყვრა ახლა!

ალსიდას. *(წარუდგენს კიდევ თავისს ორს ხმალს)* კარგია ახლა, უფალო! თქვენც ზდილობით შეუდექით საქმესა, რომ ყურში ხელის ნავლება არ დამჭირდეს.

სგანარელი. კიდევ?

ალსიდას. უფალო! მე არავის ვანყენინებ და არცარავის ვენინაალმდეგები; მაგრამ ორში ერთი უსათუოდ უნდა აირჩიოთ: ან ხმალში გამომყვეთ, ან ჩემი და შეირთოთ.

სგანარელი. უფალო, მე გარწმუნებთ, რომ არც ერთი შემეძლია, არც მეორე.

ალსიდას. მართლა ბძანებთ?

სგანარელი. სწორეთ მართლა.

ალსიდას. მაშ, ნურას უკაცრავად, თუ თქვენი ნებაც იქნება...
(დაუნყებს კიდევ ჯოხით ცემას)

სგანარელი. ვაი, ვაი, ვაი!

ალსიდას. უფალო! მეტი არ შეიძლება ისე ვჰსწუხვარ, რომ იძულებული ვარ და ასე უპატიურებით გეპყრობით თქვენა; მაგრამ, არ შეიძლება, თავს ვერ დაგანებებთ, თუ რომ თქვენი ნებაც იქნება, მანამდისინ ან ხმალში არ გამომყვებით, ან ჩემს დას არ შეირთავთ. (ჯოხს აუშვერს კიდევ დასაკრავად)

სგანარელი. კარგია! შევირთამ, შევირთამ!

ალსიდას. ოჰ, უფალო! დიდად მიხარის, რომ გონიერებას დაადეგით და საქმე სიტკობებითა ჰბოლოვდება! ამიტომ რომ დიდი პატივისცემა მაქვს თქვენი, გეფიცებით, და მეტი შეწუხება არ შეიძლება, როგორც მე შევსწუხდებოდი, საქმე რომ გამჭირვებოდა და უფრო ცუდად მოგპყრობოდი. ახლაკი წავალ, მამაჩემს შევატყობინებ, რომ ყოველივე კეთილად დავაბოლოვებ.

(მივა და ალკანტორის კარს დარეკს)

ბამოსპლა 17.

ალკანტორი, დორიმენ, ალსიდასი, სგანარელი

ალსიდას. მამავ! აი უფალი, ყოვლითურთ გონიერებაზედ დამყარებული. საქმის დაბოლოვება დიდის თავაზითა და ზდილობით ინება და შეგიძლიათ ახლა ჩემი და მიათხოვოთ.

ალკანტორ. უფალო! აი ჩემი ქალი; თქვენს ხელში ჩამითვლია ამისი ხელი. კურთხეულ-იყავნ უფალო სახელი შენი, მე ჩემი ვალი მომიცილებია, ეს არის და ამისი ყოფაქცევა ახლა თქვენი საქმეა. წავიდეთ ახლა, ბედნიერი ქორწილი გადავიხადოთ და ქუდი ქერსა ვკრათ.

(სგანარელი უნებლიედ ქუდზედ ხელს იტაცებს)²¹

სიყვარული მკურნალობს

L'Amour Médecin

სამ-მოქმედებიანი კომედია მოლიერისა

ნამდვილიდან გადმოთარგმნილი,

დომ. ყიფიანისაგან

მოდმედნი პირნი:

ზგანარელი, ლუცინდას მამა.

ლუცინდა, ზგანარელის შვილი (ქალი).

ლიკანდრი, ლუცინდას მიჯნური.

ამინტა, ზგანარელის მეზობელი (ქალი).

ლუკრეცია, ზგანარელის დის-წული (ქალი).

ლიზა, ლუცინდას მოახლე.

გილიომე, ვაჭარი.

იოსსე, ოქრო მჭედელი.

ტომეზი
დეფონანდრი
მაკროტონი
ბაჰიზი
ფილრენი

} აქიმები.

ნოტარიუსი.

შამპანი, ზგანარელის მსახური.

ნარმომადგენელი:

კომედისა, მუზიკისა, ბალეტისა, თამაშობისა, სიცლისა და სიამოვნებისა.

მოქმედება პირველი

გამოსვლა პირველი

ზგანარელი, ამინტა, ლუკრეცია, გილიომე და იოსხე

ზგანარელი. ეჰ! რა არის ეს ჩვენი სიცოცხლე! მართალი უთქვამს იმ ვილასაც ფილოსოფოსსა: „უის გავეყარე და ვაის შევეყარეო; – ერთი ჭირი ისე არ მოვა, რომ მეორეც არ მოჰყვეს თანაო“. აი, მე! ერთი ცოლის მეტი არა მყავდა და ისიც მომიკვდა.

გილიომე. მერე – რამდენი გინდოდა გყოლოდა?

ზგანარელი. ის ერთად-ერთი მომიკვდა, ბატონო ჩემო მეგობარო და ისე არ მომაგონდება, რომ თვალები ცრემლებით არ ამევსოს. მართალია, ყოფა-ქცევა იმისი მაინცა და მაინც საქებარი არ იყო და ძალიან ხშირათ მოგვედიოდა ამაზედ ლაპარაკი, მაგრამ რა გახდა; სიკვდილი ყველას ასწორებს. ის მომიკვდა და მე ვტირი. ცოცხალი რომ ყოფილიყო, იქნება ჩხუბიცა გვექონოდა. ახლა შვილები? რამდენიც ღმერთმა შვილი მომცა, ერთი ქალის მეტი არ შემარჩინა და ისიც როგორი? ისეთი დაღონებული არის, ისეთი ჩაფიქრებული არის, რომ ვერას გზით ვერ შევიტყე, რისგან რა დაემართა, რომ ეშველებოდეს რამე. მე სულ ველარა მომიფიქრებია რა და ერთი მირჩიეთ რამე ღვთის გულისათვის. (*ლუკრეციას*) შენ დის-ნული ხარ ჩემი; (*ამინტას*) შენ ჩემი მეზობელი; (*გილიომს და იოსხეს*) თქვენ – ჩემი ნათლიები და მეგობრები; თქვენა გთხოვთ რჩევა გამიკეთოთ, რა ვქნა, რა ვარჩიო, როგორ მოვიქცე ამ საქმეში!

იოსხე. მე, ჩემის ფიქრით, ასე მგონია, რომ გასათხოვარ ქალს ისე არა ეხალისება რა, როგორც კაი გამოვლა, კაი გამოწყობა. მე რო შენი ვყოფილვიყავ, დღესვე ერთს კარგს რასმე სამკაულს ვუყიდდი, ბრილიანტისას, თვალ-მარგალიტისას, ზურ-მუხტ-იაგუნდისას...

გილიომე. სამკაულისა რა მოგახსენო და მე რომ შენი ვიყო, ახლავე ისეთს ნაირ-ნაირ საფენებს უყიდდი და ოთახს ისე შეუმკობდი, რომ თვალსაც იამებოდეს და გულსაც გაუმხიარულებდეს.

ამინტა. ჩემ თავათ მე მაგდენ თასლიბს კი არ გაუნევიდი,¹ ახლავე ჯვარს გადავსწერდი იმ პატიოსან კაცზედ, ამას წინათ რომ მაშვალი მოეგზავნა, როგორც ამბობენ.

ლუკრეცია. მე კი ამას ვადგივარ, ბიძაჩემო, რომ იმისი გათხოვება სულაც არ არის საფიქრებელი. მეტად სუსტი აგებულების პატრონია და მეტად უღონო, რომ შვილოსნობამ იმ გამოუბრუნებელს გზას არ გაუყენოს. ქვეყნიერება სრულებით არ არის იმისი საქმე და მე ამას გირჩევთ, რომ მონასტერში შეიყვანოთ; ისე ვერაფერს გაართობს გულსა, როგორც მოლოზნობას, მე ამაზე დარწმუნებული ვარ.

ზგანარელი. რაც რამ აქ ითქვა, ყველა საკვირველი კარგი რჩევაა, უეჭველია; მაგრამ ყველას თავისი მიზანი აქვს და რასაც მირჩევთ, თქვენთვისვე მირჩევთ. შენა ბძანდები, ბატონო იოსხე, ოქრო-მჭედელი და შენს რჩევას ისეთი კაცის სუნი სდის, რომელსაც თავისი სამკაულების გასაღება სწყურია. შენ, ბატონო გილიომე, ქეჩა-ორხოებსა ჰყიდი და სახეზე გეტყობა, ჩრჩილმა არ წამიხდინოსო, გინდა, თავიდამ მალე მოიცილო; შენ, ჩემო მშვენიერო მეზობელო, შენ რომ ერთს ადამიანზედ თვალი გიჭირავს, იმისას ამბობენ, ცოტა არ არის ჩემს ქალს ევლება თურმე გარსა და სულ არას ინალვლი, რომ ჩემი ქალი სხვას გაჰყვებოდეს ვისმე. შენი რალა ვთქვა, ჩემო საყვარელო დის-წულო! მე სულაც არა მაქვს განზრახვა, რომ ჩემი ქალი მივსცე ვისმე და ამისი მიზეზიც მე ვიცი; მაგრამ შენ რომ რჩევას მიკეთებ, მოლოზნათ შეიყვანე მონასტერშიო, ეს ისეთი ქალის რჩევაა,

რომელსაც თითქო ღვთის სათნო სურვილი აქვს, ეგების სულ მე დამრჩეს ბიძი-ჩემის ყოფა-ცხოვრებაო. ასე, ჩემო ვაჟბატონებო და ქალბატონებო, თუმცა თქვენს რჩევაზედ უკეთესი რჩევა არ შეიძლება, მაგრამ მგონია არ დამენუნებოდეს, რომ მე არც ერთს მაგ რჩევას არ დავადგე. (მარტო) რა რჩევა გამიკეთეს, და?!

ბამოსვლა მიორა

ლუცინდა, ზგანარელი

ზგანარელი. ოჰ, გარეთ გამოსულა ჩემი ქალი ჰაერის ჩასაყლაპავად! მე ვერა მხედავს. ოხრავს. ცას შეჰყურებს. (ლუცინდას) უფალმა გილხინოს, შვილო; ახლა? რასა იქ, როგორა ხარ? რაო? ისევ ისე მწუხარე ხარ, ისევ ისე დაღონებული? და მე კი არ გინდა მითხრა, რა გემიზეზება? აბა, აბა, ერთი; გამიღე ეგ შენი პანანკუნა გული; მითხარ, ჩემო საბრალო, მითხარ, მითხარ, მითხარ შენი ნამცეცა ფიქრი შენს ერთი ბენვა მამასა! ყოჩაღათ იყავი! გინდა გაკოცო? მოდი! (ცალკე) სულ ცეცხლი მედება, რომ ამ გუნებაზედა ვხედავ. (ლუცინდას) მითხარი, და, რატომ არას მეტყვი? თუ ჩემი სიკვდილი არ გინდა, მითხარი, რა არის, რომ აგრე გულ-ჩათუთქული ხარ? ოღონდ მიზეზი ამიხსენ და პირობას გაძღე, რასაცა მთხოვ, შეგისრულო. ოღონდ შენ გულ-ახსნით მითხარი, რისაგანა ხარ აგრე დაღონებული და ახლავე პირობას დაგიღებ, შემოგფიცავ თუ გინდა, რომ ყოველი შენი გულის ნადილი აგისრულო, – არა დავიშურო რა; ასე მითქვამს. იქნება შეგშურის ვისიმე, რომ შენზე უფრო მორთული გამოდიოდეს... ან იქნება სხვა ახალი რამ ფარჩა გინდოდეს, ან მატერიას საკაბეთა თუ ნამოსასხმელათა?.. არა! იქნება შენი ოთახის მონყობილობა არ მოგწონდეს და უკეთ მორთვა გინდოდეს საფენებით, შპალერებით, თუ მებლითა?² არც ესა. მამ იქნება სწავლა გინდოდეს რამე, ოსტატს გიშოვი თუ გინდა, ფორტეპიანო გასწავლოს? აღარც ესა. იქნება მიჯნური გყავდეს და შერთვა გინდოდეს იმისი?

(ლუცინდა თავს იხრის, პოოო!).

გამოსვლა მისამი

ზგანარელი, ლუცინდა, ლიზა

ლიზა. ახლა, ბატონო, თქვენ ქალს რომ ელაპარაკებოდით, შეიტყუეთ რამე თუ ვერა იმისი ნაღვლის მიზეზი?

ზგანარელი. ვერა, ისეთი კერპი რამ არის, რომ ლამის გამაანჩხლოს.

ლიზა. მამ ახლა მე დამანებეთ თავი, ჩემებურათ გამოგვი-თხო.

ზგანარელი. რა საჭიროა. უნდა მაგ გუნებაზედ იყოს და იყოს, ვის რა ენაღვლება.

ლიზა. მე დამანებეთ მეთქი თავი, გეუბნებით. იქნება მე უფრო ადვილად გამომიტყდეს. როგორა, ქალბატონო! არ გვეტყვი-ვით, რა გემიზეზებათ და ამით ქვეყანა უნდა შეაწუხოთ? მგონია სხვა არავინ ჩადიოდეს აგრე და, თუ მამასთან გაჩუმების მიზეზი გაქვთ, ჩემთან მაინც რა მიზეზი უნდა გქონდეთ, რომ თქვენი გულის პასუხი მე არ შემატყობინოთ. მამისაგან თუ გამოვლით რასმე, მე მითხარით. რამდენჯერ გამიგონია იმისაგანა, ჩემი ქალისათვის მე არაფერს არ დავიშურებო და ახლა ვითამ უარს ადგეს რასმე? იქნება ნებას არ გაძღვედეთ რაშიმე, გიშლიდეთ რასმე? გასეირნება სადმე, ან საჩუქარი რამე არა იამება რა თქვენს გულსა? ან იქნება ვისგანმე გწყენიყოთ რამე? იქნება თვალი გეჭიროთ ვიზედმე და იმისი შერთვა გენატრებოდეთ? – ჰო, ახლა კი მესმის! საქმე ესა ყოფილა. მერე ამას, დასწყევლა ღმერთმა შენი ეშმაკი, ამას მაგდენი გაბტყელება რათ უნდოდა? ბატონო! მიზეზი გამოცხადდა და...

ზგანარელი. გადი იქითა, უმადურო შვილო, შენი ლაპარაკი არ მინდა, ეგდე მაგავე სიკერპეში.

ლუცინდა. მამაჲ! რადგან გნებავს, რომ გამოგიტყდე...

ზგანარელი. სულ აღარა მაქვს მე შენი სიყვარული, რომ...

ლიზა. ბატონო? ამის მწუხარებას რაღა...

ზგანარელი. კერპია, კერპი, ჩემი სიკვდილი უნდა, სხვა არაფერი.

ლუცინდა. მამავ! მე გულითა მსურს...

ზგანარელი. მაგიერს მიხდი, რომ აგრე გამოგზარდე, განა?

ლიზა. ბატონო, ეგ რა...

ზგანარელი. ისე გულ-აშფოთებული ვარ, რომ მეტი არ შეიძლ...

ლუცინდა. მამა...

ზგანარელი. აღარ არის ჩემს გულში შენი სიყვარული, აღარა.

ლიზა. მაგას როგორა ბძა...

ზგანარელი. შეუპოვარია, მაცთუ...

ლიზა. როგორა ბძან...

ზგანარელი. უმადურია მეთქი, შეუგნებე...

ლიზა. ნეტა რასა ბძა...

ზგანარელი. კერპი, კერპი, ვერ ვათქმევინე, რა უნდა.

ლიზა. ქმარი უნდა, ქმარი.

ზგანარელი. (თითქო არ გაუგონია) ხელი ამიღია.

ლიზა. ქმარი...

ზგანარელი. დასანახავათ მეჯავრება.

ლიზა. ქმარი...

ზგანარელი. სულ აღარ მიმაჩნია ჩემ შვილათა.

ლიზა. ქმარი...

ზგანარელი. არა მეთქი, არა...

ლიზა. ქმარი...

ზგანარელი. ნუ მელაპარაკები.

ლიზა. ქმარი...

ზგანარელი. ნულარ მელაპარაკები მეთქი!

ლიზა. ქმარი უნდა, ქმარი, ქმარი... (ზგანარელი გავა).

გამოსვლა მეოთხე

ლუცინდა, ლიზა

ლიზა. სწორეთ არ უთქვამთ? ყველაზე უფრო ყრუ ის არის, ვინც თავს იყრუებსო.

ლუცინდა. აბა, ლიზა, ჰხედავ როგორ დავაშავე, რომ მამას არ გამოვუტყდი. ყველა რომ მეთქვა, ხომ აგრე არ გაჯავრდებოდა.

ლიზა. ამისთანა კაცი გაგონილა კიდევა? უნდა გამოგიტყდე, ქალბატონო, მე იმას ერთ რასმე ოინს რომ მოუხერხებდე, ძალიან მიამებოდა. მაგრამ ეს რისგან არის, რომ აქამდინ მიმალავდით მაგ თქვენს ნაღველსა!

ლუცინდა. ეჰ! რაში გამომადგებოდა, რომ ადრე შემეტყობინებინა, ან სულაც რომ არ გამომეცხადებინა, უარესი ვითამ რალა უნდა მომხდარიყო? იქნება გგონია, რომ რაც ახლა მოხდა, ადრევე არა მცოდნიყო, ან მამი ჩემის გაჯავრებაზე ეჭვი მქონიყო. ვინც მე მთხოულობდა, იმას რომ ცივი უარი შეუთვალა, ამან შეჰხუთა ჩემი გული და ყოველი ჩემი სიცოცხლის იმედი.

ლიზა. როგორ? ეგ ის არის, თქვენ რომ გთხოულობდათ, და რომლისათვისაც...

ლუცინდა. იქნება გასათხოვარი ქალისათვის რიგი არ იყოს ასეთი გამოტეხილი ლაპარაკი; მაგრამ სწორე გითხრა, თუ ნება მაქვს, რომ სურვილი ვიქონიო, მე იმას გარდა სხვისი სურვილი არავისი მაქვს. ერთმანეთისათვის ხმა არსად გამოგვიცია; იმის პირიდან ერთი სიტყვაც არა მსმენია ტრფიალებისა; მაგრამ სადაც კი მნახავდა, თვალს აღარ მომაცილებდა ხოლმე და ისეთის სინაზით და სინარნართ შემომყურებდა, და მამაჩემსაც სიტყვა ისეთის თავაზითა და ზდილობით გამოუტარა, რომ ჩემის მხრით უგრძნებელობა რალა საქციელი იქნებოდა. ახლა ხომ ხედავ, რომ მამიჩემის მრისხანებამ გამიქრო ყოველი იმედი.

ლიზა. აცა, მე მაცალეთ ახლა. მართალია, თქვენს სიყვარულს აქამდინ მიმალავდით, მაგრამ მე მაინც მინდა გემსახუროთ და, თუ გამბედაობას იმდენს იქონიებთ, რომ...

ლუცინდა. მერე ვითამ რა გინდა მამის უფლების საწინააღმდეგო ჩამადენინო? თუ რომ ჩემი სურვილი არ შეინწყნარა...

ლიზა. კარგი, კარგი; ადამიანის შვილი ჩიტივით ხელით სატარებელი კი არ უნდა იყოს. ოღონდ პატიოსნება არ დაირღვევოდეს, თორემ მამასთან ცოტათ საქმის წინ წაგდება რატომ არ

უნდა იყოს სალაპარაკო? რა ჰნებავს ახლა თქვენგანა? წლოვანებით არა ხართ ჯერ გასათხოვარი თუ? იქნება ეგონოს ვისმე, რომ ქვა იყოთ და არა ხორც შესხმული? კარგი ერთი! მინდა თქვენს სიყვარულს ხელი მოვუწყო. დღეის ამას იქით ყოველი ზრუნვა მე ჩემ თავზედ ამიღია და ჰნახავთ, როგორ გარს შემოუარო მე ამ საქმესა. მაგრამ აგერ მამათქვენი! შინ შევიდეთ და მერე მე დამანებეთ თავი.

ბამოსვლა მისუთი

ზგანარელი. *(მარტო)* ძალიან კარგათ მეყურება, რასაც ამბობენ, მაგრამ ურიგო არ არის, რომ ხან და ხან ყური მოიყრუოს კაცმა, თითქოს სულ არა ესმის რაო და მეც ძალიან კარგათ მომივიდა, რომ ვითამ სულ ვერ გავიგონე, რაც მე აქ ისეთი საქმე გამომიცხადეს, რომ ფიქრათაც არა მაქვს იმისი შესრულება. გაგონილა და სადმე იმისთანა უსამართლოება, რომ მამას ძალას ატანდნენ, დიდის გაჭირებითა და ვაი-ვაგლახით რომ შეძლება შეგიძენია და ქალი გამოგიზდია, გინდა თუ არა, ეგ ქალიცა და ეგ შეძლებაც ისეთ კაცს ჩაუგდე ხელში, რომ ჯერ თვალითაც არ გენახოსო? არა, არა, მე ეს ჩვეულება სულაც არაფრად მიმაჩნია და ჩემი ფულიცა და ჩემი ქალიც მე ჩემთვის მინდა, – ვის რა დავა აქვს.

ბამოსვლა მიეძვსა

ზგანარელი, ლიზა

ლიზა. *(გამწარებული შემორბის სცენაზედ და ზგანარელს თითქო ვერ ჰხედავს)* ოჰ, რა უბედურებაა; ოჰ, რა უბედურებაა; ოჰ, საბრალო ჩემო ბატონო; სად გიპოვო ახლა, სადა გნახო!

ზგანარელი. ნეტა რა აღრიალებს ამასა?

ლიზა. *(ისევ ისე)* ოჰ, უბედურო მამაო, რასა იქ, როცა შეიტყობ?

ზგანარელი. რაო, რა მოხდა?

ლიზა. თქვენი ქალი...

ზგანარელი. ვაიმე, შენ ჩემო თავო! ვაიმე!

ლიზა. ბატონო, აგრე ნუ ტირით, თორემ გამეცინება ეს-ეს არის!

ზგანარელი. მაშ თქვი მალე.

ლიზა. თქვენი ქალი, თქვენ განრისხებულ ლაპარაკსა და განწყომას ისე შეუპყრია, რომ თავისს ოთახში რომ ასულა და იმედ გადანყვეტილს ფანჯარა გაუღია, მდინარეს რომ გადა-
ჰყურებს...

ზგანარელი. მერე?

ლიზა. მერე ზევით აუხედნია და შეუძახნია, რა რომ მამა გამიწყრა, ჩემი სიცოცხლე როგორღა შეიძლებაო, თავი რალათ მინდა ცოცხალიო და...

ზგანარელი. და გადავარდნილა?

ლიზა. არა, ბატონო! ფანჯარა ისევ მოუხურავს და ქვეშაგებში ჩანოლილა. იქ მწარე ტირილს მოჰყოლია და ამასობაში უცებ გადაცრეცილა, თვალები გადმოზრუნებია, გული ნასვლია და...

ზგანარელი. ვაიმე! მომკვდარა?

ლიზა. არა, ბატონო! ლავინები იმდენი უსრისე და იმდენი ვანძრე, რომ მოვიყვანე გონზე როგორც იყო; მაგრამ მაინც წამ და უნუმ მისდის გული და არა მგონია, სალამომდინ მიანოს.

ზგანარელი. შამპანო, შამპანო, შამპანო!

გამოსვლა მუშვიდი

ზგანარელი, შამპანი, ლიზა

ზგანარელი. არიქა, ირბინე, აქიმები მომგვარე, ბევრი, რამდენიც შეიძლებოდეს. ახ, ჩემო შვილო, ჩემო შვილო!

(შამპანი გავარდება)

მოქმედება მეორე

ბამოსვლა პირველი

ზგანარელი, ლიზა

ლიზა. ოთხი აქიმი რომ დაგიბარებიათ, რათ გინდათ მერე ოთხი?

ზგანარელი. ჩუმათ იყავი! ოთხი რჩევა არა სჯობია ერთსა?

ლიზა. განა ამ ბატონებს რომ არ მოაკვლევინოთ თქვენი ქალი, თავისთავათ კი ვერ მოკვდება?

ზგანარელი. როგორა? აქიმები მოჰკვლენ თუ?

ლიზა. რასაკვირველია. მე ერთი კაცი ვიცი, რომელიც ბეჯითად ამბობდა: არასდროს არ უნდა ითქმოდეს, ესა და ეს ცხელეზით მოკვდა ან ანთებითაო. ასე უნდა იტყოდნენ, ერთმა აქიმმა მოკლა, ან ორმა, სამმა თუ ოთხმაო.

ზგანარელი. ჩუმათ! არ გაიგონონ და არ იწყინონ ამათა.

ლიზა. აი ამას წინათ ჩვენი კატა გადავარდა ბანიდამ და ძირს ისე დაეცა, რომ სამ დღეს უსმელ-უჭმელი ეგდო და ველარც ფეხს ანძრევდა, ველარც თავსა და ბედი იმისი, რომ კატებში აქიმობა არ იციან, თორემ მართალია, ბოლოს მალე არ მოუღებდნენ სასაქმებლებითა და სისხლის გაღებით.

ზგანარელი. გაჩუმდები თუ არა? უყურეთ ერთი ამასა! აგერ ისინიცა!

ლიზა. ფრთხილათ იყავით, თორემ კარგათ ავაშენებენ ეგენი. ლათინურად აგისხნიან, ქალი ავათა გყავთო.

ბამოსვლა მეორე

ტომეზი, დეფონანდრი, მაკროტონი, ბაჰიზი,

ზგანარელი, ლიზა

ზგანარელი. ახლა? ბატონებო!

ტომეზი. საკმაოდ გავშინჯეთ ავათმყოფი და უეჭველია უნდინდურება ბევრია იმაში.

ზგანარელი. როგორ? ჩემი შვილია უნდინდური?

ტომეზი. მე ეს მინდა ვთქვა, რომ ბევრი უწმინდურება უდგია ტანში, ესე იგი, ბევრი ბალღამი აქვს წამხდარი.

ზგანარელი. ჰო, ახლა კი მესმის.

ტომეზი. მაგრამ... უნდა ერთმანეთში მოვილაპარაკოთ, კონსილიუმი შევადგინოთ.

ზგანარელი. აბა, სკამები, სკამები!

ლიზა. *(ტომეზს)* ოჰ, ბატონო, თქვენც აქა ბძანდებით?

ზგანარელი. შენ როგორ იცნობ უფალსა?

ლიზა. ამას წინეთ თქვენი დის-წულის მეგობრისას გახლდი და იქა ვნახე.

ტომეზი. ახლა როგორ არის იმისი მეჯინიბე?

ლიზა. ძალიან კარგად. სულ განისვენა.

ტომეზი. მოკვდა თუ?

ლიზა. დიად.

ტომეზი. ეგ შესაძლებელი არ არის!

ლიზა. შესაძლებელი არის თუ არა, მე არ ვიცი, მაგრამ ეს კი კარგათ ვიცი, რომ მოკვდა.

ტომეზი. ვერ მოკვდებოდა მეთქი, მე გეუბნებით.

ლიზა. მე კი ამას მოგახსენებთ, რომ მოკვდა კიდეცა და და-მარხეს კიდეცა.

ტომეზი. შემცთარი ხართ.

ლიზა. მე ჩემის თვალთა ვნახე.

ტომეზი. ეს ყოვლად შეუძლებელია. ჰიპპოკრატი ამბობს, რომ ამ გვარი ავად-მყოფობა თავდება თოთხმეტს ან ოც-და-ერთს დღეზედ, და იმისი ავადმყოფობა ხომ ექვს დღეზედ მეტი არ არის.

ლიზა. იპოკრატმა რაცა ნებავს, ისა ბძანოს; იმ მეჯინიბეს კი ველარავინ გააცოცხლებს.

ზგანარელი. კარგი ახლა, დაანებეთ მაგას თავი, გავიდეთ აქედამ. ბატონებო, გვედრებით კარგათ არჩიოთ. წინათვე გასამრჯელოს შეძლევა ჩვეულებათ არ არის მიღებული, მართალია; მაგრამ, მეშინია არ დამავინწყდეს და აი, ამ თავითვე მომირთმევია *(ფულს ურიგებს, ისინი რომ მიიღებენ, ყველა თავ-თავისად შეინძრევა)*.

ბამოსკლა მისამი

დეფონანდრი, ტომეზი, მაკროტონი, ბაჰიზი

დეფონანდრი. მეტის-მეტად დიდი რამ ქალაქია ეს ჩვენი პარიჟი; აქიშს თუ კარგი ხმა გაუვარდა, ცოტა გზას კი არ გამოივლის!

ტომეზი. უნდა აღვიარო, რომ ამისთვის მე ისეთი საკვირველი ჯორი მყავს ერთი, რომ ადამიანი ვერ წარმოიდგენს, რასაც ის მუდამ დღე გზას გამოივლის ხოლმე.

დეფონანდრი. მე ცხენი მყავს საოცარი: იმისი დაღალვა ყოვლად შეუძლებელია.

ტომეზი. იცით, დღეს რა გზა გამომატარა ჩემმა ჯორმა? თავდაპირველად არსენალთან ვიყავი; არსენალიდამ სენ-ჟერმენის უბნის ბოლოს გავედი; – სენ-ჟერმენის უბნის ბოლოდამ შუაგულ მარეს მივედი; მარეს შუაგულიდამ ლა პორტ-სენტ-ონორეს ამოვჰყავ თავი; ლა პორტ-სენტ-ონორედან სენ-ჟაკის უბანში ჩამოვხტე; სენ-ჟაკის უბნიდამ რიშელიეს კარს მივადექი; რიშელიეს კარიდამ აქ მოვედი და აქედამ უნდა მივიდე კიდევ პლას-როიალს.

დეფონანდრი. ჩემმა ცხენმა ყველა ეს ადგილები გამოიარა დღესა და, ამას გარდა, რუელსაც ვიყავ ერთი ავათმყოფის სახახავად.

ტომეზი. მართლა, ვისი მხარე გიჭირავთ თქვენა თეოფრასტისა და არტემიოზის უთანხმოებაში? ჩვენი აქიმების გუნდი შუაზე გაჰყო ამ საქმემ.

დეფონანდრი. მე მიჭირავს არტემიოზის მხარე.

ტომეზი. მეცა; მაგრამ იმიტომ კი არა, რომ იმისმა აქიმობამ მოკლა ავათმყოფი, როდესაც თეოფრასტისას იქნება მოერჩინა; – მაინც კი უნდა ვსთქვა, რომ ზოგიერთს შემთხვევაში შემცთარი არის და სხვა აზრზედ არ უნდა დამდგარიყო, თუ არ თავისი უფროსი ამხანაგის აზრზედ. თქვენ რას იტყვიან?

დეფონანდრი. ეგ უეჭველია. რაც უნდა მოხდეს, რიგი არას დროს არ უნდა დაირღვეს.

ტომეზი. ოო! მე წესსა და რიგს ძალიან შეურყეველად ვადგევარ ხოლმე, თუ მეგობრებთან არა მაქვს საქმე. ერთხელ ერთ ავათმყოფთან შეგვეყარეს კონსილიუმზედ სამი ჩვენი და ერთი სხვა აქიმი. წესისა და რიგის ცოტა რამ გადადგომა მოინადინეს იქა, მაგრამ მე მოკლეთ მოვუჭერ სიტყვა. შინაურებიცა და თითონ ავათმყოფიც ძალიან ბევრს ეცადნენ, მაგრამ მე არას გზით არ დავჰყევი და ამასობაში ავათმყოფი ყოჩაღად მოკვდა, მანამ ჩვენ ბაასში ვიყავით.

დეფონანდრი. ძალიან კარგათ გიქნიათ. უნდა იცოდეს ხალხმა, ცხოვრება როგორ უნდა.

ტომეზი. მკვდარი კაცი არა არის რა, თუ არ მკვდარი კაცი; იმას სხვა ბოლო არა აქვს რა, და თუ დაწესებული რიგი დაირღვა, ამითი კი მთელი ჩვენი საზოგადოება გაიკიცხება.

გამოსვლა მეოთხე

ზგანარელი და ისევ ის აქიმები

ზგანარელი. თან-და-თან უფრო სწუხს ჩემი ქალი; გთხოვთ მალე მითხრათ, რას დაადექით.

ტომეზი. *(დეფონანდრს)* აბა, უფალო!

დეფონანდრი. არა, თქვენ იწყეთ, უფალო!

ტომეზი. ნუ ხუმრობთ.

დეფონანდრი. მე არ დავინწყებ.

ტომეზი. უფალო!

დეფონანდრი. უფალო!

ზგანარელი. ეჰ, მაგ ცერემონიას თავი დაანებეთ ღვთის გულისათვის; აქ განსაცდელი გვადგია.

ტომეზი, დეფონანდრი, მაკროტონი, ბაჰიზი. *(ერთად ამბობენ)*

ტომეზი. თქვენი ქალის ავათმყოფობა...

დეფონანდრი. ჩვენ ყველასი საერთო აზრი...

მაკროტონი. კარ-გათ რომ ა-ვიღ-და-ვი-ღეთ...

ბაჭიზი. ამის დასასკვნელად უნდა გადაწყვეტილი...

ზგანარელი. არა, ბატონებო, ღვთის გულისათვის, ცალ-ცალკე ილაპარაკეთ.

ტომეზი. ჩვენ ერთმანეთში მოვილაპარაკეთ თქვენი ქალის ავადმყოფობაზე და ჩემი აზრი ეს არის, რომ მიზეზი დიდი სიმშურვალეა სისხლისა და როგორც შეიძლებოდა, ისე საჩქაროთ უნდა სისხლი გააღებინოთ.

დეფონანდრი. მე კი ამას ვამბობ, რომ მიზეზი არის ბალღამის წახდენა სისხლის სიჭარბისაგან და უთუოთ პირ-საღებინებელი უნდა მიეცეს.

ტომეზი. მე ამას ვადგევარ, რომ პირ-საღებინებელი მოჰკლავს.

დეფონანდრი. მე კი ამას, რომ სისხლის გაღება მოჰკლავს.

ტომეზი. თქვენ ვითამ და უფრო გამოცდილი ბძანდებით.

დეფონანდრი. დიალ ვარ; და არას ცოდნაში არ ჩამოგიდგებით. ის კაცი გახსოვთ თუ არა, ამ დღეებში რომ ფეხები გააჭიმინეთ?

ტომეზი. თქვენ ამ სამი დღის წინათ რომ ერთი ქალი წინაპართ გაუყენეთ, ის გახსოვთ თუ არა? (*ზგანარელს*) მე ჩემი აზრი მოგახსენეთ. თუ ახლავე სისხლი არ გამოაშვებინეთ, თქვენი ქალი მკვდარია, იცოდეთ. (*გავა*)

დეფონანდრი. თუ სისხლი გამოაშვებინეთ, იცოდეთ, რომ ნახევარ საათსაც ველარ იცოცხლებს. (*გავა*)

გამოსვლა მიხუთი

ზგანარელი, მაკროტონი, ბაჭიზი

ზგანარელი. რომელ ერთს დაუჯეროს კაცმა, და ორს ასე ერთმანეთის წინააღმდეგს რჩევაში რომელს დაადგეს? გვედრებით, ბატონებო, გონებაზე მომიყვანეთ და უშფოთველათ მითხარით, რა უფრო მოუხდება ჩემ ქალსა?

მაკროტონი. ა-მის-თანა საქ-მე-ში დი-დი სიფ-თხი-ლე გვმარ-
თებს, თუ შეც-თო-მა მო-ვი-და რა-მე, მო-მა-კვდი-ნე-ბე-ლი იქ-
ნე-ბა, რო-გორ-ცა ბძა-ნებს ჩვე-ნი მოძღ-ვა-რი იპ-პო-კრა-ტი.

ბაჰიზი. (სხაპა-სხუპით) მართალია, აქ დიდი გაფთხილება
უნდა, რადგან აქ სათამაშო სულ არა არის რა; თუ ნახდა რამე,
ნურავისა ჰგონია, რომ გამოკეთებულა შეიძლებოდეს; *experimentum
periculosum*.³ ცდა ხან ბედის მონახევრეა, ხან სრული უბედურებაა,
ამისათვის დიდი მოფიქრება გვმართებს; უნდა ავილოთ, დავილოთ,
აგებულება განვიხილოთ, მიზეზი გამოვიკვლიოთ ავანტიურებისა
და კარგათ გავშინჯოთ, რა ნაირათ რა წამალი ვახმაროთ.

ზგანარელი. (ცალკე) ერთი კუს ვერ მოენევა და მეორე ფორ-
ტასაც გაუსწრებს.

მაკროტონი. საქ-მე საქ-მე-ზე რომ მი-ვი-ყვა-ნოთ, მე მგო-
ნი-ა თქვენ ქალს ქო-რო-ნი-კუ-ლი, ხან-გრძ-ლი-ვი, სნე-უ-ლე-ბა
ჰქონ-დეს და ძა-ლია-ან გა-უძ-ნელ-დე-ბა, თუ მა-ლე არ უშ-ვე-
ლეთ; ბუ-ლი სდის კვამ-ლე-უ-ლი და ისე ცხა-რე, რომ ტვინს უშ-
ფო-თებს. ეს ბუ-ლი ა-ნუ ქარი, ბერ-ძნუ-ლად რომ ატ-მოსს ვეტყ-
ვით, მოს-დის წამხ-და-რის ბალღ-მი-სა-გან, რო-მელ-იც ქვე-და
მუ-ცელ-ში უდ-გი-ა.

ბაჰიზი. და რადგან ამ ბალღამს დროთი უმატნია და უმატ-
ნია, შედუღებულა და ის თვისება დასჩემებია, რომ იმისი ბული
კვამლივით ტვინში ადის.

მაკროტონი. ახ-ლა რომ გა-მო-ვი-ლოთ, მო-ვა-ცი-ლოთ, გან-
ვა-შო-როთ ეს ბალ-ღა-მი, ერ-თი ძლი-ერი სა-საქ-მე-ბე-ლი უნ-
და მი-ე-ცეს; მაგ-რამ მე უფ-რო ა-მას ვამ-ჯო-ბი-ნებ და უფ-რო
შე-სა-ბა-მიც იქნე-ბა, რომ პა-ტა-რა ა-ნო-დი-ნი ვინ-მა-როთ,
ე-სე ი-გი დამ-ამ-შვი-დე-ბე-ლი ჯუ-ლა-ბი და სას-მე-ლი შა-რა-
ფი, ა-ნუ შარ-ბა-თი.

ბაჰიზი. მერე განსანმედელს სასაქმებელს მივსცემთ და
სისხლს გამოუშვებთ, თუ საჭირო იქნება – მეორეთაც.

მაკროტონი. ა-მას ვერ ვიტყვ-ვით, რომ ამ წამ-ლო-ბით თქვ-
ენი ქალი უ-თუ-ოთ მორ-ჩე-ბო-დეს; მაგ-რამ ნუ-გეშ-ად მა-ინც
გე-ქნე-ბათ, რომ ცდას არ აკ-ლებთ და, თუ მოკვ-და, რიგ-ით მა-
ინც მოკვ-დე-ბა.

ბაჰიზი. რასაკვირველია, კანონიერი სიკვდილი სჯობია უკანონო სიკვდილსა.

მაკროტონი. გუ-ლის სინ-მინ-დით გა-ტყო-ბი-ნებთ ჩვენს აზრ-სა.

ზგანარელი. *(მაკროტონს იმისებურათ)* მრა-ვალს მად-ლო-ბას მო-გახ-სე-ნებთ; *(ბაჰიზს. სხაჰი-სხუპით)* თქვენც გულითა გმადლობთ გარჯილობისათვის, ჩემო ბატონო.

ბამოსვლა მამქვსა

ზგანარელი. *(მარტო)* აბა, რა შევიტყე ეხლა მე ამათგანა? ამათ მოსვლამდინ თუ არა ვიცოდი რა, ახლა უფრო აღარა გამეგება რა. აი დასწყევლოთ... ერთი ფიქრი მომივიდა: ნავალ და ორვიეტულს თრიაქს ვიყიდი.⁴ ეს ისეთი წამალია, რომ ბევრისათვის ურგია. გამიგონე, შენ, ეი!

ბამოსვლა მუჰვიდე

ზგანარელი და ერთი მენვრიმალე

ზგანარელი. ერთი კოლოფი ორვიეტული თრიაქი მომეცი და ფულს ახლავე დაგიტვილი.

მენვრიმალე. აი, სულ ახალ-ახალი, ჩინებული. ისე სჭრის, რომ თითქმის მკვდარს წამოაყენებს.

მესამე მოქმედება

ბამოსვლა პირველი

ფილრენი, ტომეზი, დეფონანდრე

ფილრენი. როგორ არა გრცხვენიათ, ბატონებო, რომ მეც-ნიერნი და მერე თქვენის ხნისანი ისე წაკიდებულხართ, რომ ბიჭ-ბუჭებსაც არ შეეფერება? როგორ არ გესმით, რომ ამ გვარი ყოფა-ქცევა ქვეყანაში სახელს გვიტეხს ყველასა. ის არ გვეყოფა,

რასაც თითონ ჩვენ ჩვენი ძველების კარაბადინებში და სხვა სამკურნალო წიგნებში უთანხმოებასა ვპოვებთ, რომ ჩვენი ხელობის სიყალბე ხალხსაც არ დავანახოთ? მე ჩემ თავათ ზოგიერთი ჩვენი ამხანაგის ყოფა-ქცევა სრულებით არ გამეგება და ჩემსავით ყველამ უნდა აღიაროს, რომ ჩვენი ერთმანერთის წინააღმდეგობა ისე გვიტყვის ქვეყანაში სახელსა, რომ თუ ძალიან არ გავფთხილდით და გონიერებას არ დავადექით, მთელი აქიმობა შიმშილით უნდა ამოწყდეს. მე აქ ჩემი თავისას არას ვამბობ; მე ჩემი საქმე, ღვთის შეწევნით, კარგათა მაქვს დაჭერილი: თუნდ ქარი ჰქროდეს, თუნდ სწვიმდეს, თუნდ სეტყვა მოდიოდეს, ვინც ერთხელ მოკვდა, მოკვდა, და ვინც ცოცხალია, მე იმათი შემაყურებელი აღარა ვარ. მაგრამ მაინც ვიტყვი, – ყოველი ეს ჩვენი ერთმანერთის მტყუნება და დავა გროშათაც არა ღირს ჩვენი ხელობისათვის. რადგან ერთხელ ჩვენ ისეთი ზეციერი წყალობა მოგვევლინა, რომ რამდენიმე საუკუნოების მომდინარეობაში ქვეყანას ჩვენი რალაც სწავლა და ხელობა სჯერა და ნდობა აქვს ჩვენი, რა ჭკუაა ვითამ, რომ თვალი ავახილვინოთ და ჩვენი მხიბლაობა და მაცთურობა ცხადათ დავანახოთ? წყნარათ და თავაზიანათ გამოვრჩებოდეთ ამ ხალხის სისულელეს, ის არა ჰსჯობია? იქნება გეგონოთ, რომ ჩვენს მეტი სხვა არავინა ცდილობდეს ხალხის უგონრობა თავისათვის გამოიყენოს? თითქმის ყოველი სწავლისა და მეცნიერების მიმართულება ის არის, რომ კაცის უღონოებას და უგონრობას გამორჩეს რასმე. პირმოთნეებმა, მაგალითად, იციან, რომ ადამიანს ქება უყვარს და ამ სიყვარულიდამ გამოაქვთ თავისი სარგებლობა. ზოგნი ისე არიან ამაში დახელოვნებული, რომ დიდი სარგებლობა გამოაქვთ. ალქიმისტებმა იციან, რა დიდი სურვილი აქვს კაცს სიმდიდრისა და იმითი სარგებლობენ, რომ ოქროს მთებსა ჰპირდებიან ყველას, ვინც ყურს უგდებს და იმათს მეცნიერებას ენდობა. მკითხავები ამბობენ, ასტროლოლია ვიცითო, ჰოროსკოპში ვიყურებითო და რამდენია იმათი დამჯერებელი ქვეყანაზედ, ვინ მოსთვლის, და აქედამ მაცთურებს რამდენი სარგებლობა გამოაქვთ, ვინ აღრიცხავს. ყველა კაცობრივს გრძნობაზედ უძლიერესი გრძნობა არის სიცოცხლის სიყვარული, – ყველაზე უტკბესი არის

კაცისათვის სიცოცხლე; და ჩვენ დიდის მედიდურობით, დიდის პამპრაუქობით მოგვაქვს თავი,⁵ რომ ჩვენა ვართ სიცოცხლის გამაგრძობელნი, ჩვენი მეცნიერება არის ის განუზომელი მეცნიერება, რომელსაც სიკვდილის განშორება შეუძლიაო და სიკვდილის მოშიშარნი გვიჯერებენ, რასაც ვამბობთ და სწამთ ჩვენი ძლიერება. რათ გინდათ, ერთი შემატყობინეთ, რომ გადუდგეს ხალხი ამ სარწმუნოებასა და თითონ ჩვენგანვე შეიტყოს, რომ შემცდარი თურმე ყოფილა ჩვენს ძლიერებაზედაცა და ჩვენს მეცნიერებაზედაც? ის არა სჯობია, რომ ჩვენი ალაგი გვეჭიროს ავათმყოფობასთან და რაც ჩვენს სიყალბეს შეუდგება, რასაც ჩვენ დავაშავებთ, ის ბუნებას გადავაბრალოთ, ღვთის განგებასა. რათ დავარღვიოთ ჩვენი საზრდო ჩვენის ხელითა და ვინც ჩვენის მიზეზით მიწასა ჰბარდება, იმათი შეძლება იმათ მემკვიდრეებს ნუ დარჩებათო, ან ამათ რაღას ვემართლებით?

ტომეზი. სულ მართალია, რასაცა ბძანებთ, მაგრამ ძნელი ეს არის, რომ ხანდახან სისხლის სიმხურვალეს ველარ დავიმორჩილებთ ხოლმე.

ფილრენი. კარგია ახლა, ბატონებო, განუტევეთ ყოველი მიზეზი და გარიგება მოვახდინოთ თქვენი.

დეფონანდრე. მე თანახმა ვარ. აქ მე ჩემი სასაქმებელი მიმაცემინონ ამ ავათმყოფისათვის და იმან, რაც ჰნებავს, ის მისცეს პირველს სხვა ავათმყოფსა.

ფილრენი. უკეთესი სიტყვა აღარ ითქმის.

დეფონანდრე. საქმე გათავდა.

ფილრენი. აბა ხელი-ხელს ახლა მშვიდობით. ამას იქით იმედია უფრო ფთხილათ იქნებით.

გამოსვლა მეორე

ტომეზი, დეფონანდრე, ლიზა

ლიზა. როგორ, ბატონებო, თქვენ აქა ბძანდებით და თქვენს ხელობას სხვანი რომ გეცილებიან, ამას კი არას დასდევთ?

ტომეზი. რაო, რა მოხდა?

ლიზა. ერთმა ვილამაც თავხედმა თქვენს ხელობას ზედაც არ შეხედა და ეს არის ეხლა ხმლით გააყრევინა სული ერთ კაცსა!

ტომეზი. გაიგონე შენ, ეი! შენ ხუმრობ, მაგრამ დღე მოვა, რომ შენც ჩვენს ხელში გაიარო.

ლიზა. პირობას გაძლევთ, მე თითონ მოვიკლა თავი, მანამ თქვენ მოგმართავდეთ.

ბამოსკლა მისამე

ლიკანდრი (აქიმის ტანისამოსით), ლიზა

ლიკანდრი. აბა, ჩემო ლიზა, ამ ჩემს მორთულობაზედ რას იტყვი? ამ ტანისამოსით საპატიო კაცის თვალების ახვევა შეიძლება თუ არა, როგორა გგონია? მოგწონს?

ლიზა. ძალიან, ძალიან, უკეთესი არ შეიძლება; დიდი ხანია, მე აქ გელით. ღვთისაგან ისე ვარ დაბადებული, რომ ორი მიჯნური რომ ერთმანეთისათვის ოხრავდნენ, მე გული არ მომისვენებს, თუ არ მივეშველე და ყოვლისფრით ხელი არ მოუმართე, რომ თავის სანადელს ეწვივნენ; რითიც იქნება, მინდა გამოვიხსნა ლუცინდა მამის ხელიდამა და თქვენ მოგცეთ ხელში. ჯერ ერთი ესა, რომ მომეწონეთ; – ამ ნაირს საქმეში მე გაგება მაქვს, განა არა, და ვამბობ, რომ უკეთესს ვერავის შეეტრფოდა. სიყვარულს ბევრი ახირებული განსაცდელი ადგია და ჩვენ ისეთნაირათა გვაქვს საქმე მოყვანილი, რომ მგონია კარგათ დაბოლოვდეს. ზომები ჩვენს მიერ მიღებულია. არც კი კაცია ისე გამოქნილი, რომ იმასთან ამ საქმის დაჭერა გასაჭირი იყოს. თუ ამ დაწყობილობამ გვიმტყუნა როგორმე, სხვა ათასნაირი გზა იპოვება კიდევ, რომ ჩვენს საგანს მივანით. პატარა ხანს აიქ მამიცადეთ და მალე მოგნახავთ.

(ლიკანდრი მიეფარება)

გამოსვლა მეოთხე

ზგანარელი, ლიზა

ლიზა. ბატონო, მიხარება, მიხარება!

ზგანარელი. რაო?

ლიზა. გიხაროდეთ!

ზგანარელი. რა?

ლიზა. გიხაროდეთ მეთქი, მოგახსენებთ.

ზგანარელი. ჯერ გამაგებინე, რა არის და იქნება გავიხარო.

ლიზა. არა, მე ის მინდა, რომ ჯერ იხაროთ, იმღეროთ, ითამაშოთ.

ზგანარელი. რაზე?

ლიზა. ჩემ სიტყვაზე.

ზგანარელი. კარგი, რა გაეწყობა. *(მღერის და ცეკვავს)* ლა, ლერა, ლა, ლა, ლა, ლე, რა, ლა. არც ახლა იტყვი?

ლიზა. ბატონო, თქვენი ქალი მორჩენილია.

ზგანარელი. ჩემი ქალი მორჩენილია?

ლიზა. დიად! ერთი აქიმი მომყავს, მერე ისეთი აქიმი, ისეთი აქიმი, რომ მკურნალი არის საოცარი, და სხვა აქიმს ზედაც არავის შეჰხედავს.

ზგანარელი. სად არის?

ლიზა. ეხლავ შემოვიყვან. *(გავა)*

ზგანარელი. *(მარტო)* ვნახოთ ერთი, ეს სხვებზედ მეტსა იქს რასმე თუ ვერა?

გამოსვლა მესამე

ლიკანდრი, ზგანარელი, ლიზა

ლიზა. *(მოუძღვის ლიკანდრს)* აი!

ზგანარელი. სულ უწვერო აქიმი!

ლიზა. ცოდნა წვერით კი არ იზომება.

ზგანარელი. უფალო, გამიგონია, ერთი წამლობა თურმე იცით, რომ ყოველი სენის გამკურნავიაო.

ლიკანდრი. უფალო, ჩემი წამლობა სხვების წამლობას არ მიემსგავსება. იმათ აქვთ სხვა-და-სხვა დასალევინებელი თუ წასასმელი წამლები; იმათ იციან პირ-ღებინება, სისხლის გამოშვებინება, ოყნის მიცემა, ჯულაბის დალევინება; – მე მხოლოდ სიტყვით ვარჩენ, ხმით, წერილით და შეზავებული ბეჭდებით.

ლიზა. მე რაღა მოგახსენეთ?

ზგანარელი. კაცი ესა ყოფილა.

ლიზა. ბატონო, თქვენი ქალი ტან-ჩაცმული ზის თავის ოთახში და ბარემ აქ შემოვიყვან.

ზგანარელი. აგრე ქენი.

ლიკანდრი. *(ზგანარელს მაჯას უნახავს)* თქვენი ქალი მძიმე ავათმყოფი ყოფილა.

ზგანარელი. ეგ ამითი შეიტყეთ?

ლიკანდრი. დიად, იმ თანამგრძნობელობით, რომელიც მამასა და შვილში არსებობს.

გამოსვლა მთავრად

ზგანარელი, ლუცინდა, ლიკანდრი, ლიზა

ლიზა. *(ლიკანდრს)* აი, ბატონო, სკამი ავათმყოფთან. *(ზგანარელს)* ჩვენ თავი დავანებოთ.

ზგანარელი. რათაო მერე? მე აქ მინდა ვიყო!

ლიზა. ხუმრობთ თუ? უნდა მოშორდეთ. ვინ იცის, აქიმა ავათმყოფ ქალთან რამდენნაირი საკითხავი აქვს და სხვამ თუ ყური უგდო, როგორ შეიძლება, რაღას გაიგებს აქიმი! *(მოშორდებიან)*

ლიკანდრი. *(ლუცინდას ნელა)* ოჰ! რა დიდად სასიხარულოა ეს ჩემი აქ ყოფნა! არ ვიცი, საიღამ დავიწყო თქვენთან საუბარი. მანამდისინ, თუ არ თვალებით, სხვა გამოლაპარაკება არა მქონდა და რა თქვენთან, რამდენი რა მქონდა თქვენთვის სათქმელი; და ახლა კი, როდესაც შემთხვევა მაქვს თავისუფლად ლაპარაკისა, ენა აღარ მემორჩილება და სიხარულით აღტაცებამ სრულებით დამამუნჯა.

ლუცინდა. მეც ეგ მეთქმის; თქვენსავით მეც ისე ვარ სიხარულისაგან შეშფოთებული, რომ ენა მეკვებება.

ლიკანდრი. ღმერთო დიდებულო! რა ბედნიერი ვიქნებოდი, რომ მართლა თქვენც იმასა ჰგრძნობდეთ, რასაც მე ვგრძნობ, და ნება რომ მქონდეს ჩემი გული თქვენსას შეუწონო. მაგრამ ნეტავი ეს მაინც იყოს ჩემთვის დასაჯერებელი, რომ თქვენის აზრით არის მოხერხებული ჩემი ასე ახლოს თქვენთან ყოფნა და თქვენთან ლაპარაკი!

ლუცინდა. აზრი თუ ჩემი არ იყო, ნება-დართვა მაინც იყო ჩემი და დიდის სიხარულით მოწონება ამ აზრისა.

ზგანარელი. (ლიზას) როგორღაც მეტად ახლო უზის მგონია.

ლიზა. (ზგანარელს) მაშ როგორ იქნება, სახის მეტყველება თუ კარგათ არ გაუშინჯა?

ლიკანდრი. (ლუცინდას) რომ შესცვალოთ ეგ გულის ღმობიერება, რომელსაც ნეტარებითა ვხედავ?

ლუცინდა. თქვენა? თქვენ კი მტკიცედ დაადგებით მაგ თქვენს გადანყვეტილებას?

ლიკანდრი. ოჰ, სანატრელო! სიკვდილამდის. ამის უდიდესი სურვილი მე აღარა მაქვს რა, რომ თქვენი ვიყო და აქვე, ახლავე დაგმტკიცებოთ ამასა.

ზგანარელი. (ლიკანდრს) აბა, ჩვენი ავათმყოფი, მგონია, მართლა უფრო მოხედვით იყოს.

ლიკანდრი. ეგ იმისაგან არის, რომ ვინმარე ერთი იმ წამალთაგანი, რომელთაც ჩემი ხელობა მამცნევს. რადგან გონებას დიდი უფლება აქვს სხეულზედა და უფრო ხშირად იმისაგან სწარმოებს მრავალი ავათმყოფობა, ჩემი ჩვეულებაც ის არის, რომ ჩემის წამლობით ჯერ გონებას მივმართო და მერე სხეულის მტკივნეულობას. ამ ანგარიშით მე გავუშინჯე თვალები, სახის ასოები და ორივე ხელის გულის ხაზები; და ზეგარდმო მონიჭებულის ცოდნით მივაგენ, რომ გონებით იყო ავათ და ეს ავათმყოფობა სწარმოებდა შერყეულის ფიქრისაგან, განსაკითხავი სურვილისაგან, მალე გავთხოვდეო. მე თუ მკითხა კაცმა, ისე

უგუნური, ისე სათაკილო და საკიცხავი წადილი სხვა არა მეგულება რა, როგორც გათხოვების სურვილი.

ზგანარელი. *(ცალკე)* აი კაცური კაცი!

ლიკანდრი. მქონია და ყოველთვის მექნება ზიზი ამისთანა სურვილისა.

ზგანარელი. *(ცალკე)* აი დიდი აქიმი!

ლიკანდრი. მაგრამ რადგან ავათმყოფს ჯერ დაყვავება უნდა და რადგან მე ამ ქალში გონების შერყევა ვპოვე და აუცილებელი იყო, რომ საჩქაროდ მივშველებიყავ, მეც იმას მივადექ, რაცა სტკივოდა და ვუთხარ, იმისთვისა ვარ აქ მოსული, რომ უნდა გითხოვოთ მეთქი; – მაშინვე შეეცვალა სახის გამომეტყველება, ფერი მოუვიდა, თვალები გაუნათლდა და თუ თქვენი ნება იქნება, რომ რამდენსამე დღეს ამ აზრზედ ვამყოფოთ, თვალით დაინახავთ, რომ გამოვა იმ მდგომარეობიდან, რომელშიაც ახლა არის.

ზგანარელი. დიად არის ჩემი ნება, დიად არის.

ლიკანდრი. მერე სხვა წამალს ვახმარებთ, რომ სრულებით განიკურნოს თავის შერყეული ფიქრისაგან.

ზგანარელი. ეგ ხომ ყველაზე უკეთესი იქნება. ახლა, ჩემო შვილო! აი უფალი ამბობს, რომ შენი შერთვა სურს და მეც თანახმა ვარ მეთქი, ვეუბნები. შენ რას იტყვი?

ლუცინდა. იქნება მართლა?

ზგანარელი. სწორეთ.

ლუცინდა. ნამდვილად?

ზგანარელი. სწორეთ, სწორეთ!⁶

ლუცინდა. *(ლიკანდრს)* როგორ? თქვენ მართლა განიზრახავთ, მე შემირთოთ?

ლიკანდრი. უსათუოდ, ბატონო!

ლუცინდა. მამაჩემიც მართლა თანახმა არის?

ზგანარელი. მართლა, სწორეთ მართლა, შვილო!

ლუცინდა. ოჰ! ღმერთო! რა ბედნიერი ვარ, თუ მართალია.

ლიკანდრი. ეჭვი ნუ გაქვთ, ბატონო! დღევანდელი ამბავი არ არის, რომ მე თქვენ გეტრფით და სურვილით ვიდაგები, რომ

თქვენ მეუღლეთ ვიქნებოდე. სხვა არაფრისთვისა ვარ მე აქ მოსული, თუ არ ამისათვის; და თუ გნებავთ, რომ გადაწყვეტით მოგახსენოთ, ეს მკურნალის ტანისსამოსიც იმ განზრახვით მაცვია, რომ თქვენთან დავახლოვებულვიყავ და ეს ჩემი გულითადი ნადილი დაუბრკოლებლად ამესრულებინა.

ლუცინდა. და ჩემთვის დაგემტკიცებინათ ჭეშმარიტი ტრფიალება და სიყვარული! ჩემის მხრით მეც, როგორც შემძლია, ისე გითანაგრძნობებთ.

ზგანარელი. სულელი, სულელი, სულელი!

ლუცინდა. არა, მართლა გნებავთ მამაო, ამ უფალს მიმცეთ?

ზგანარელი. დიაღ! შენი ხელი მომეცი აქა. თქვენი ხელიც მომეცით, უფალო, ჩაგითვალოთ.

ლიკანდრი. აი, ბატონო, მაგრამ...

ზგანარელი. *(სიცილს ძლივს იმაგრებს)* არა, არა, ეს იმისთვის... იმისთვის... რომ გონება დაუშოშმინოთ. აბა მომეცით.

ლიკანდრი. საწინდრათ ეს ბეჭედი მიიღეთ ჩემგან. *(ზგანარელს ჩუმათ)* ეს ის შეზავებული ბეჭედია,⁷ შენძრეულს გონებას რომ თავის დონეზედ აყენებს.⁸

ლუცინდა. მაშ ბარემ კონტრაქტიც შევადგენინოთ, რომ ჯვარის წერას აღარა აკლდეს რა.

ლიკანდრი. მეც დიაღა მსურს ეგა, ბატონო. *(ზგანარელს ჩუმათ)* მინდა ჩემი მწერალი შემოვაცვანინო და ნოტარიუსია მეთქი, თქვენს ქალს დავაჯერებინო.

ზგანარელი. ძალიან კარგი იქნება.

ლიკანდრი. ვინა ხართ მანდა? მე რომ ნოტარიუსი მომყვა, აქ შემოიყვანეთ.

ლუცინდა. როგორ? ნოტარიუსიც მოგიყვანიათ?

ლიკანდრი. დიაღ, ბატონო!

ლუცინდა. ოჰ, ღმერთო, რა მიხარია!

ზგანარელი. სულელი, სულელი!

სურათი მეშვიდე

ნოტარიუსი, ლიკანდრი, ზგანარელი, ლუცინდა, ლიზა
(ლიკანდრი ნოტარიუსს ეჩურჩულება)

ზგანარელი. (ნოტარიუსს) დიად, უფალო, კონტრაკტი უნდა შეუდგინოთ ამათა. აბა დაუნერეთ. (ლუცინდას) აი, კონტრაკტსა სწერენ. (ნოტარიუსს) მე ვაძლევ მზითვად ოცი-ათას ოქროს. ასე დასწერეთ.

ლუცინდა. ოჰ, მამა! როგორა გმადლობ, რომ იცოდეთ?

ნოტარიუსი. აი, გავათავე. ხელის-მონერის მეტი აღარა უნდა რა.

ზგანარელი. რა მალე შეადგინა, ე!!

ლიკანდრი. (ზგანარელს) დიად, მაგრამ ეს მაინც...

ზგანარელი. არა მეთქი, გეუბნებით. ვინ რა იცის, რომ... (ნოტარიუსს) კალამი მიეცით, ხელი მოაწერონ. (ლუცინდას) მოაწერე და რალა, მოაწერე, მოაწერე. მიდი, მიდი, მოაწერე მეთქი. მერე მეც მოვანერ.

ლუცინდა. მე მინდა ხელში ვიქონიო ეგ კონტრაკტი.

ზგანარელი. გინდა და აჰა! (ხელს აწერს) ახლა? კმაყოფილი ხარ, თუ არა?

ლუცინდა. ოჰ, დიდათ კმაყოფილი, რომ მეტი არ შეიძლება.

ზგანარელი. მადლობა ღმერთსა, მადლობა ღმერთსა!

ლიკანდრი. მარტო ნოტარიუსი კი არ მომიყვანია აქა, მომღერალნი, დამკვრელები და მოთამაშეებიც მოვიყვანე, რომ ბედნიერ დღეს ვიხაროთ და ვისიამოვნოთ. აბა შემოიყვანეთ. ეგ ისინი არიან, ყოველთვის რომ თან დამყავს გულის გასართობათ და შესაქცევათ.

გამოსვლა მირვე

ზგანარელი, ლუცინდა, ლიკანდრი, ლიზა

შ ე მ ო ვ ლ ე ნ:

კომედია, ბალეტი, მუზიკა, თამაშობა, სიცილი, სიამოვნება

კომედია, ბალეტი და მუზიკა (ერთათ)

უჩვენოთ კაცნი
ავათ არიან,
ჩვენა ვართ მათნი
გამკურნავია.

კომედია

თუ გსურთ, რომ გაჰქრეს
ყოველი თქვენი
მტკივნეულობა,
იპოკრატს კი ნუ,
ჩვენ მოგვმართავდეთ.

სამნივ ერთად

უჩვენოთ კაცნი
ავათ არიან.
ჩვენა ვართ მათნი
გამკურნავია.

გამოსვლა მეცხრე

*ზგანარელი, ლიზა, კომედია, მუზიკა, ბალეტი, თამაშობა,
სიცილი, სიამოვნება*

ზგანარელი. სასიამოვნო აქიმობა სწორეთ ეს არის. ჩემი შვილი და აქიმი რა იქნენ?

ლიზა. ქორწილის დასაბოლოებლად წავიდნენ.

ზგანარელი. როგორ თუ ქორწილის?

ლიზა. მა რა? გაება ჩიტი მახეში. რაც თქვენ აქ ხუმრობა გეგონათ, სულ მართალი გამოდგა.

ზგანარელი. რაო, რაო! *(ინევს, ნასულეებს დავენიოო, მაგრამ სხვანი არ უშვებენ).* გამიშვით ერთი, გამიშვით მეთქი, გეუბნებით! *(მაინც არ უშვებენ)* ამათ უყურეთ ერთი! გამიშვით, თორემ მამა ჩემი არ წამინყდება...

(ფარდა დაეშვება)

მოლიერი

სიყვარული მხატვრობს

L'Amour Peintre

მოლიერის ერთ-მოქმედებიანი კომედია

ნამდვილიდამ ნათარგმნი

მოქმედნი პირნი კომედიასი:

დონ-პედრო, სიცილიელი აზნაური.

ადრასტ, ფრანცუზი, აზნაური.

იზიდორა, ბერძნის ქალი, დონ-პედროს ნაყიდი.

ზაიდა, ახალ-გაზდა ქალი, სხვისი ნაყიდი.

ერთი სენატორი.

ალი, თათარი, ადრასტის მსახური.

ორი სხვა მსახური.

ბალეტში:

მოსაკრავენი (მუზიკანტები).

მონანი მომღერალნი.

მონანი მოთამაშენი.

არაბნი და არაბის ქალები მოთამაშენი.

ბამოსვლა პირველი

ალი, მოსაკრავენი

ალი. ჩუმათ! აქეთ ნულარ მოხვალთ, მანდ იყავით, მანამდის მე დაგიძახებდეთ.

ბამოსვლა მეორე

ალი მარტო

ალი. თითქო ორმოში იყო, ისე ბნელა აქა. ცას ნაბადი წა-მოუსხამსო, კაცი იტყვის,¹ – ერთი ვარსკვლავიც აღარსადა სჩანს, რომ შუქზე ცხვირი მაინც გამოჩნდებოდეს ვისიმე. ეჰ! რა ყოფაა ეს ჩვენი ყოფა! შენი დღენი სულ იმას ადგე, რაზედაც ბატონმა დაგაყენა; შენი ნება არაფერში იქონიო, თუ არ იმისი; რა გუნე-ბაზედაც ის იყოს, შენც იმ გუნეებაზედ იყო; შენი თავისთვინ არა იზრუნო რა, თუ არ ბატონის ნაბძანები; რაც იმას უნდა, გინდა თუ არა, შენც ის გინდოდეს; – რალა გავაგრძელო, ის ბატონი და შენ ყმა. – აქაოდა მე ქალს ვეტრფიო, შენ ჩემთვის დღე და ღამე უნდა სტეხო და მოსვენება რასა ჰქვია, არ იცოდეო. ამის-თანა სიცოცხლესაც რა უთხრა? მაგრამ აგერ, სინათლე მოჩანს რალაცა, უთუოდ თითონ მოდის.

ბამოსკლა მისამი

ადრასტ, ორი მსახური,
რომელთაც ჟინჟლილები უჭირავთ, ალი

ადრასტ. ალი, შენა ხარ მანდა?

ალი. სხვა ვინ უნდა იყოს? ამ დროს თქვენს გარდა, ბატონო, და ჩემს გარდა ვის გაებედება აქაურ ქუჩებში გარეთ გამოსვლა და სიარული?

ადრასტ. არც მე მეგულება ვინმე, რომ სიყვარულის ცეცხლით ისე იყოს მოდებული, როგორც მე ვარ. მარტო დაუდევრობა რომ იყოს სატრფო ქალისაგან, ან მიუკარებლობა იმისი, ეს მაინც გექნებოდა კიდევ ნუგეშათა, რომ ბედს უჩივლებდი და ოხვრა-ხვნეშას მიანებებდი თავსა. მაგრამ ვერას გზით შემთხვევა ვერ იშოვო, რომ სატრფოს ხმა გამოსცე; ვერას გზით ვერ შეიტყო, მშვენიერმა თვალებმა რომ გულში სიყვარულის ცეცხლი ჩამოგიგდეს, იმ თვალების პატრონისათვის საამოა ეს შენი წვა და დაგვა, თუ არა, – ერთი მითხარით, ამ მწუხარებას რა მწუხარება უნდა უდრიდეს? მერე ვისგანა ვარ ამ გაჭირვებაში ჩავარდნილი? ერთი გადახწეული ბერი-კაცისაგან; პატრონია ჩემი სიცოცხლე ქალისა და ფეხს არ იცვლის, რომ თვალი მოაცილოს როგორმე.

ალი. მიჯნურების გამოლაპარაკება რამდენ ნაირად მოხერხდება, ვინ მოსთვლის! თქვენ და თქვენ სატრფოს მარტო თვალე-ბით რამდენი რამ შეგიტყობინებიათ ამ ორ თვეში ერთმანეთისათვის, მე რა ვიცი!

ადრასტ. მართალია, თვალეებით ბევრჯელ გვილაპარაკნია მე და იმასა, მაგრამ როგორ შევიტყო, სწორეთ ისე მივხვდი იმის ნალაპარაკევს, როგორცა მგონია, თუ არა? ან ის ჩემს ნალაპარაკევს ისე მიხვდა, როგორც ჩემი თვალეები ეუბნებოდნენ თუ არა, როგორ შევიტყო?

ალი. მაშ ისეთი გზა უნდა გამოძებნოთ რამე, რომ ლაპარაკი სხვა ნაირათაც შეიძლებოდეს.

ადრასტ. მოსაკრავენი მოიყვანე?

ალი. დიალ!

ადრასტ. აქ მოვიდნენ. *(მარტო)* მინდა გათენებამდინ ვაკვრე-
ვინო და ვამღერო აქა, ეგება ამ მუზიკაზედ ერთ-ერთ ფანჯარას
მოადგეს და გამოიხედოს.

გამოსვლა მეოთხე

ადრასტ, ალი, მოსაკრავენი.

ალი. აი, ბატონო! რა დაუკრან?

ადრასტ. რაც თითონ ერჩიოთ.

ალი. გუშინ წინ რომ უკრავდნენ, ის დაუკრან?

ადრასტ. არა, მე რომ მინდა, ეგ ის არ არის.

ალი. ოჰ, ბატონო! მშვენიერ ბეკარზეა.²

ადრასტ. მშვენიერი ბეკარი რაღა ეშმაკია?

ალი. ბეკარი ცოტა უფრო მაღალი ხმაა; ბეკარი ჰსჯობია, ბა-
ტონო! მოგეხსენებათ, რომ გამეგება მე ეს საქმე. ბეკარი ყურის
დამატკობია. მუზიკას უბეკაროთ რა საშველი აქვს! აბა, ცოტა
ყური დაუგდეთ ამ ტრიოსა.

ადრასტ. არა, მე ისეთი რამ მინდა, რომ ნაზი ხმა იყოს და
გულის წამტაცებელი; ისეთი რამ მინდა, რომ საამო ფიქრებში
და ოცნებაში შემეყვანოს.

ალი. ცხადია, ბემოლის მხარე გჭერიათ,³ მდაბალი ხმისა.
მაგრამ ესეც კი შეიძლება, რომ ორივე მხარეზე შეიჯეროს კაც-
მა გული. – უნდა ერთი პატარა კომედიდამ ერთი გამოსვლის
ხმა დავამღერებინოთ; შევატყვე, რომ ისინიც ამას აპირებდნენ.
ამისს მოკლე ამბავს მოგახსენებთ. – ორ მეცხვარეს მოსდებიათ
ტრფიალების ცეცხლი, ცალ-ცალკე ბემოლს უკვრენ და ასე მოს-
ტქმენ თავის მწუხარებას. ერთმანეთის ხმას რო გაიგონებენ, ერ-
თად შეიყრებიან და ერთმანეთს შესჩივლებენ თავ-თავის სატრ-
ფოს უგრძნობელობასა. ამასობაში სხვა ერთი მხიარული მწყემსი
მოადგებათ, საკვირველს ბეკარს უკრავს და ამათს სულმოკლეო-
ბას დასცინის.

ადრასტ. მაშ კარგი, ეგ დააკვრევიან, ვნახოთ ერთი.

ალი. აი იმ გამოსვლის წარმოსადგენად სწორედ ზედ გამოჭრილი ადგილი და ეს ორი ჟინჟილიც კარგად მიუნათებს.

კომედიის ნაკვეთი,

*რომელსაც ალი აკვრევენებს და ამღერებინებს.
ერთი დამკვრელი ადგენს ფილენს; მეორე – ტირცისს.*

ფილენ. თუ ჩემის ნაღველის მოთქმითა
ვარღვევ თქვენს მდუმარედ ყოფნასა,
ნუ მინყენთ, კლდენო, აქ მოსვლასა.
რომ გითხრათ ამ ჩემს გულს რაც სდაგავს,
თუმცა რომ ქვანი ხართ, მაგრამ მწამს,
თვითან თქვენც შეგებრალეზოდით.

ტირცის. რა რომ დღე ინათლებს, ფრინველები
ჰხარობენ, უსტვენენ, ჰგალობენ; –
მე კი ჩემს ოხვრას მოვჰყვები
და ტანჯვის გამოთქმას. ოჰ, ფილენ?

ფილენ. ტირცის, შენ?

ტირცის. გულ-წყლული.

ფილენ. მეც ვსტირი,
რომ ჩემთვის კლიმენი ყრუ არის.

ტირცის. მე ქლორმა სულაც არ მომხედა.

ორნივ ერთად. უმართლო კანონო! თუ ტრფობას
სატრფონი არ ემონებიან, –
მამ ნებას რათ აძლევ, რომ ჩვენს გულს
ჰსუფევდნენ უგულო, უგრძნონი.

ალი. ბატონო! შიგნიდამ რალაც ხმაურობა მომესმა.

ადრასტ. მაშ, დაითხოვე ეგენი; ჟინჟილები გააქრობინე.

გამოსვლა მესუთი

დონ-პედრო, ადრასტ, ალი

დონ-პედრო. *(შინიდან გამოდის საღამური თავსახურავით და ხალათით, ანთებულ სანთელზე ხელი აქვს მიფარებული და ილღიაში ამოღებული ხმალი უჭირავს)* რამდენიმე ხანია, რაღაც სიმღერის ხმა მომესმის აქა და ეს უმიზეზოთ არ იქნება. უნდა კი ამ სიბნელეში გავიგო როგორმე, ვის რა უნდა აქა?

ადრასტ. ალი!

ალი. ბატონო!

ადრასტ. ხმა აღარ მოგესმის?

ალი. აღარა. *(დონ-პედრო ამათ უკან მოექცევა და ჩუმათ ყურს უგდებს)*

ადრასტ. როგორ? ვერაფრით ვერ მოვახერხებთ, რომ ამ მშვენიერს ბერძნის ქალს ერთს წამს გამოველაპარაკო? და ამ წყეულმა ბერიკაცმა, ამ შეჩვენებულმა სიცილიელმა ყოველთვის გზა უნდა დამიფოლოს ხოლმე?!⁴

ალი. ეშმაკსაც წაუღია იმისი სული, იმ ჯალათისა, ამდენი ჩვენი დაღალვისა და ჯანის გაგდებინებისათვის. ნეტავი ერთი ხელში ჩამივარდებოდეს აქა და მაშინ ვაჩვენებდი, როგორ ამოვიყრიდი იმის ჯავრსა, რომ იმისი მიზეზით მოსვენება აღარა გვაქვს, – იმისი უმსგავსო ეჭვიანობის მიზეზით.

ადრასტ. მაინც უნდა ღონე ვიპოვოთ რამე, გამოვიგონოთ რამე, მოვაგვაროთ რამე, რომ ნადირი ხელში ვიგდოთ როგორმე.

ალი. ბატონო! არ ვიცი, რას ნიშნავს ესა, მაგრამ კარი ღიაა და თუ თქვენი ნებაც იქნება შევალ, ეგება შევიტყო რა მიზეზია. *(დონ-პედრო კარს უკან მოექცევა)*

ადრასტ. აგრე ქენი, მაგრამ ფთხილათ, არავინ რა შეიტყოს. მეც აქვე მოვიცდი; რა გახდება ღმერთი ინებებდეს, რომ იზიდორა იქნებოდეს.

დონ-პედრო. *(სილას გააწნავს ალის)* ვინა ხარ ეგა?

ალი. *(სილას შეუბრუნებს)* მეგობარი!

დონ-პედრო. არიქა, ეი! ფრანჩესკო, დომინიკე, სიმონ, მარტინ, პიეტრო, თომაზო, ჯორჯი, ბართლემი! არიქა! საჩქაროთ! ჩემი ხმალი, ჩემი ფარი, ჩემი ნაჯახი, ჩემი დამბაჩები, ჩემი თოფები, მალე, მალე! აბა ჰე, არიქა! არავინ დაინდოთ.

ბამოსვლა მიქსა

ადრასტ, ალი

ადრასტ. აქ ჩუჩუნებაც აღარავისია, ალი!

ალი. *(ერთს კუთხეში მიმალული)* ბატონო!

ადრასტ. სად იმალები?

ალი. აღარავინ არის ვითამ აქა?

ადრასტ. სულ აღარავინა!

ალი. მობძანდნენ, თუ კაცები არიან და ვნახოთ როგორ გაიტყიპებინან.

ადრასტ. არა, ყოველი ჩვენი ცდა სულ ასე უნდა ჩაგვეშალოს ხოლმე? ამ საძაგელი ეჭვიანისათვის ყოველთვის სამასხარაოდ უნდა გავხდეთ ხოლმე.

ალი. აქ მომდის სისხლი, რომ ჩემს ოსტატობას მიტრიზავებენ. არა! მოხერხებაში რომ მაჯობოს ვინმემ, ამას მე არავის ვათქმევინებ. ამდენი ხელის შეშლა მოთმინებას მაკარგვინებს და უნდა ახლა კი გამოვიჩინო, რა გაქნილობის ნიჭიცა მაქვს ღვთისაგან ნაბოძები.

ადრასტ. მე ამის მეტი არა მინდა რა, რომ ქალაღდით იქნება, თუ რითიმე, ქალს ჩემი გულის წადილი შევატყობინო და იმისი გულის პასუხიც გავიგო. სხვა ყველა ადვილია.

ალი. საქმე ჩემზე მოაგდეთ ახლა, მე იმდენ ხერხსა და ხრიკს ვიხმარებ, რომ ბოლოს ერთ-ერთიც არის გამოგვადგეს. ახლა აგერ თენდება კიდეცა, მე ჩვენებს მოვძებნი და აქ მოვიყვან; ბერი-კაცის გამოსვლას უდარაჯონ და მაშინვე შემატყობინონ.

გამოსვლა მეშვიდე

დონ-პედრო, იზიდორა

იზიდორა. ჩემი ასე ადრე გამოლვიძება რატომ ინებეთ, არ ვიცი. თითქო დღეისათვის ამბობდით, მინდა გადაგახატვინო და ჩემს გადახატვას სისხამ დილაზე ჩემი წამოგდება რაში უნდა გამოადგეს? ფერს მომიმატებს, თუ თვალების ელვარებასა?

დონ-პედრო. მე ერთი ისეთი საქმე გამიჩნდა, რომ შინიღამ ახლავე უნდა გავიდე.

იზიდორა. არა მგონია, მაგ საქმისათვის ჩემი გამოლვიძება მაინცა და მაინც ძალიან საჭირო ყოფილიყო; ხელს რაში შეგიშლიდათ, რომ დილის ტკბილი ძილი არ გაგეტეხინებინათ?

დონ-პედრო. დიალ, მართალია, მაგრამ მე მინდა ყოველთვის ჩემთან იყო! სიფთხილისაგან კაცს თავი არ ასტკივდებაო, არ გაგიგონია? აი, ამაღამაც, – მოსულიყვნენ ვილანიცა და ჩვენს ფანჯრის წინ იმღეროდნენ.

იზიდორა. დიალ, მართალია, რალაც მშვენიერი მუზიკის ხმა მესმოდა.

დონ-პედრო. შენთვის უკრავდნენ და იმღეროდნენ, განა?

იზიდორა. ნეტავი დამეფერებინა, რასაც ამბობთ.

დონ-პედრო. მერე იცი ვინ იყო, ეს სერენადა⁵ რომ გაგიმართა?

იზიდორა. რა ვიცი, ვინ იყო; მაგრამ ვინც უნდა იყოს, მაინც გულითა ვმადლობ.

დონ-პედრო. ჰმადლობ?

იზიდორა. რასაკვირველია! იმას არა ცდილობს ვინც არის, რომ მე მაამოს?

დონ-პედრო. მამ საამოთ მიგაჩნია, რომ გეარშიყებოდეს?

იზიდორა. დიალ, რატომ არა? სანყენი რა არის აქა?

დონ-პედრო. მერე გამარჯვება ყველასთვისა გსურს, ვინც მაგას ადგია?

იზიდორა. უეჭველად.

დონ-პედრო. ეგ კარგი გამოტეხილი ლაპარაკია!

იზიდორა. დამალვა რა საჭიროა? ვინც რა უნდა თქვას, ყოველთვის სასიამოვნოა, რომ ტრფიალებით გეკიდებოდნენ. ჩვენი სილამაზის ქება არას დროს არ არის ჩვენგან დასაწუნარი. რაც უნდა ითქმოდეს, ქალისათვის ისე თავის მოსაწონი არა იქნება რა, მე მერნმუნეთ, როგორც ის სიყვარული, რომელსაც გულში ავუნთებთ კაცსა. ეს არის ყოველი ჩვენი ზრუნვა და მეცადინეობა და ჩვენში არავინ იპოვება, რომ გულით არ უხაროდეს, ჩემმა თვალებმა სიყვარულის ცეცხლი მოსდეს ამა და ამ კაცსაო.

დონ-პედრო. შენ თუ მაგაში სიამოვნებასა ჰხედავ, შენა, რომ გეარშიყებოდნენ, ის კი აღარ იცი, რომ მე არაფრათ მეპრიანება ესა, მე, შენი არშიყი რომა ვარ.

იზიდორა. რატომ არ ვიცი. მაგრამ მე რომ მიყვარდეს ვინმე, ისე არა მიაძება რა, რომ სხვებსაც ყველას უყვარდეს. ამაზედ უკეთესი დამონმება რაღა იქნება, რომ მე შემცთარი არა ვყოფილვარ და ისიც სწორეთ ღირსი ყოფილა ჩემი ტრფიალებისა. უფრო არ მოვიწონებ თავსა, რომ ჩემი საყვარელი სხვებსაც მიაჩნდეს საყვარლათა?

დონ-პედრო. ყველამ თავისებურათ იცის სიყვარული; და მე თუ მკითხეს, ჩემთვის სასიხარულო უფრო ის იქნებოდა, რომ შენსას სხვა ვერავინ იტყოდეს ლამაზიაო; იძულებული ვიქნები, მგონია, გარეთ გასვლა დაგიშალო, რომ უცხოს აღარავის დაეხახებოდე.

იზიდორა. ვითამ მანდამდის ეჭვიანობდეთ?

დონ-პედრო. სწორეთ ვეჭვიანობ და როგორ ვეჭვიანობ, რომ იცოდე, როგორც ფოცხვერი, და თუ მეტი გინდა, როგორც ქაჯი. ჩემს სიყვარულს შენ მარტო ჩემთვის უნდისხარ. სხვისი ერთი გაღიმება, სხვისი ერთი შეხედვა შენი, ააშფოთებს ამ სიყვარულსა. ყოველი ჩემი სიფთხილე მარტო იმაზედ არის მიქცეული, რომ შენკენ ყველას ამოკვეთილი ჰქონდეს ფეხი და გული, იმაზე დავაჯერო, რომ სხვისი გასაზიარებელი შენში მე, ბენვი რა არის, ბენვიც არა მეგულებოდეს რა.

იზიდორა. გინდათ მართალი გითხრათ? სწორე გზაზე ვერა მდგარხართ. ვისაც სხვისი გულის მოგება უნდა, დიდად საეჭვო

იქნება ეს მოგება, თუ ძალასაცა ხმარობენ. ჩემთავათ მე ეს აღმიარებია, რომა, კაცი რო ვიყო და ისეთ ქალს ვეტროფოდე, რომელიც სხვის ხელთ არის, ყოველს ჩემს ჭკუა-გონებასა და გამოცდილებას იმაზე მოვიხმარებდი, რომ იმის პატრონისათვის ეჭვი ამეღებინებინა და დღე და ღამე თვალ-დაუხამხამებლად მედარაჯებინა, რომ ჩემთვის იმ ქალზედ ზედაც არ შეეხედებინა. საქმის წინ წასაყვანად ჩემთვის ამაზედ უკეთესი აღარა იქნება რა: ქალი აშფოთდება, გაჯავრდება, ჟინში ჩადგომა გულს განურისხებს და მაშინ რალა დაუშლის, რომ სიყვარული თავისს ბედნიერ დღეს ენოს?

დონ-პედრო. მაშ, შენ რო მაგ ყოფაში ეგულეობდე ვისმე, შენც მზა-მზარეულათ დახვდები, რომ ყური დაუგდო და გაამარჯვებინო?

იზიდორა. მაგაზედ მე არას გეტყვით, მაგრამ ქალებს არ უყვართ, რომ ანუხებდნენ და დიდი წინ-დაუხედავობა იქნება, თუ ეჭვიანობა შეამცნევენეს და კარი გამოუკეტეს.

დონ-პედრო. არაფერი სიკეთის დახსომებაა ეგა ნაყიდი გოგონასაგან, რომელიც განათავისუფლეს, ქალად გამოიყვანეს და ისე აფუფუნებენ, რომ ცოლათ უნდათ.

იზიდორა. ვითამ რა დავალება გგონიათ, რომ ქალი მონები-დამ გამოიყვანოთ, თავისუფლად ხელის განძრევის ნება კი არ მისცეთ და სამუდამოდ დატუსაღებული ამყოფოთ ოთხ-კედელ შუა.

დონ-პედრო. სიყვარულისაგან არის ეგა!

იზიდორა. თქვენბური სიყვარული თუ ეგ არის, ნეტავი მომიძულებდეთ.

დონ-პედრო. დღეს როგორღაც ამრეზილს გუნებაზედა ხართ და ეგ სიტყვები იმიტომ მოგეტევებათ, რომ დილის ძილის შემ-ლით განყენინეს.

გამოსვლა მერვე

*დონ-პედრო, იზიდორა, ალი (ოსმანლურად მორთული, მრავალს
სალამს აძლევს დონ-პედროს)*

დონ-პედრო. გაათავეთ ახლა ეგ სალამი! რა გნებავთ?

ალი. *(დონ პედროსა და იზიდორას შუა დგება. რასაც დონ-პედროს ეუბნება, ყოველს სიტყვაზედ იზიდორას მიუბრუნდება ხოლმე და თითქო ანიშნებს, თქვენთან სხვა საქმე მაქვსო)* ბატონო! თუ ქალ-ბატონის ნებაც იქნება, მე ამას მოგახსენებთ, ქალ-ბატონის ნებადართვით, რომ იმისთვის ვარ თქვენთან მოსული, თუ ქალ-ბატონიც ინებებს, რომ გთხოვოთ, თუ ქალ-ბატონმა გამაბედვინა, ერთი წყალობა მოილოთ, ქალ-ბატონის ნება-დართვით...

დონ-პედრო. ქალ-ბატონის ნება-დართვით – ცოტა აქეთ გადმოდით *(და თითონა დგება ალის და იზიდორას შუა)*

ალი. ბატონო, მე ერთი მუზიკაში დახელოვნებული დამკვრელი გახლავარ.

დონ-პედრო. ამ ჟამად ჯიბეში არა მაქვს რა, რო მოგცეთ და...

ალი. მე მაგას არა გთხოვთ. რადგან მუზიკისა და თამაშობის ზედ-მიწევნით ცოდნასა ვჩემობ, მე ეს საქმე რამდენსამე მონას ვასწავლე და ახლა იმათა ჰსურთ ისეთი ბატონი იშოვნონ, რომ ეს ხელობა მოსწონდეს, – და რადგან გაგონილი მაქვს, რომ დიდი კაცი ბძანდებით, ამასა გთხოვთ, ნახოთ ისინი და ყური დაუგდოთ, რომ მერე ან თქვენ იყიდოთ, თუ ინებებთ, ან თქვენი მეგობარი მიასწავლოთ ვინმე იმათი მყიდველი.

იზიდორა. ეგ სხვა არის. შემოაყვანიხეთ, ვნახოთ ერთი.

ალი. შალა-ბალა... სულ ახალ-ახალი სიმღერა გახლავთ; ყური დაუგდეთ კარგათა: შალა-ბალა!

ბამოსვლა მაცხრე

დონ-პედრო, იზიდორა, ალი, მონანი თურქნი
(ერთი მონა უმღერს იზიდორას)

მთელს ქვეყანაზედ ტრფიალი მისდევს
მხურვალის გულით თავის სატრფოსა
და თუ საძაგი იჭვნეულება
თვალს არ აცილებს მშვენიერებას,
რა ქნან ტრფიალთა, თუ არც თვალებით
უხმოვანად ილაპარაკონ.

(ახლა დონ-პედროს)

შირი ბირი და უჩ ალლა!
სადექ კაი თურქი ალლა!
შალა-ბალა და ექ ალლა,
შალა-ბალა და ბირ ალლა
შალა-ბალა, შალა-ბალა!⁶

ყმად არ გინდა, რომ მიყიდო,
დღე და ღამე მიმსახურო?
თუ ჩემთვის ფულს გადაიხდი,
კარგ საქმელებს მოგიმზადებ,
დილით ადრე წამოვდგები,
ოჯახს წაღმა ვატრიალებ.
ხმა გამეცი, მითხარ ჩქარა:
ყმად მიყიდი შენ, თუ არა?

ბალეტის პირველი გამოსვლა

მონების ცეკვა

მონა. (იზიდორას) სიყვარული ტანჯვა არის,
ჩამოადნობს მოტრფიალეს,
მაგრამ ქალის თვალებმა თუ
ერთხელ მაინც მოიცალეს,

ვაჟს ანიშნეს: ნულარ ჰფარავ –
ჩემთვის იწვი ნელა-ნელა...
ყრმა დასცინებს ეჭვიანს, რომ
მას სიფრთხილემ ვერ უშველა.

(დონ-პედროს)

შირიბირიდა უშ ალლა
კარგი თურქი ვარ, უფულო,
ყმად არ გინდა, რომ მიყიდო,
დღე და ღამე მიმსახურო?
თუ ჩემთვის ფულს გადაიხდი,
კარგ საჭმელებს მოგიმზადებ,
დილით ადრე წამოვდგები,
ოჯახს წაღმა ვატრიალებ.
ხმა გამეცი, მითხარ ჩქარა:
ყმად მიყიდი შენ, თუ არა?

ბალეტის მეორე გამოსვლა

(მონები კვლავ ცეკვავენ)

დონ-პედრო. (მღერის) სასაცილოა

სიმღერა თქვენი, –
ვერ დაითვალოთ,
მოგხვდეთ იმდენი!..
შირიბირიდა უშ ალლა,
გამეცალე, გიჯობს, ჩქარა,
სანამ გვერდებს ჩაგიმტვრევდე!
არ გიყიდი, არა, არა...
ნუ მანუხებ, გაიპარე,
თორემ ცემას არ გაკმარებ!

დონ-პედრო. ესენი, მე ვიცი, შემომელახებიან და დამრჩებიან ცარიელი. (იზიდორას) შევიდეთ, შინ შევიდეთ. იღრუბლება როგორღაცა და დღეს მე აღარსად წავალ. (ალის, რომელიც გამოჩნდება) აჰაი, შე მაცდურო, შენა!

ალი. მართალი გინდა და აი მართალიცა. ჩემ ბატონს გაგიჟებთ უყვარს ქალბატონი და თუ ქალბატონის ნებაც იქნება, ცოლათ უნდა ითხოვოს.

დონ-პედრო. დიალ, დიალ! სულ იმისთვის არ ვინახავ?

ალი. ნუ გენალვლება, მაინც ნავიყვანთ.

დონ-პედრო. რაო, რაო?

ალი. ნავიყვანთ მეთქი, ნა, რამდენიც უნდა აღრაჭუნო კბილები.

დონ-პედრო. ავილო ერთი...

ალი. ძალიან კარგად უდარაჯებ, მაგრამ დამიფიცნია, ნავიყვანთ მეთქი და ნავიყვანთ კიდეცა.

დონ-პედრო. მაცალე! ერთი მოგიმწყვდიო!

ალი. შენ ვერა და ჩვენ კი მოგიმწყვდევთ. ცოლათ გვინდა. საქმე გადაწყვეტილია. (*მარტო*) უნდა ან თავი მოვიკლა და ან ეს საქმე თავს მოვიყვანო.

ბამოსკლა მიათე

ადრასტ, ალი, ორი მსახური

ალი. ბატონო! მე ცოტა არ არის დავადექ საქმესა, მაგრამ...

ადრასტ. ნულარა სნუხდები. მე ალალ-ბედათ მივაგნე, რასაც ვეძებდი და ახლა პირ-და-პირ უნდა მივიდეთ იმათთან, რომ ჩემი სიცოცხლის ნახვით დავსტკბე. დამონ-მხატვარს შეეჭვდი, დღეს რომ იმისი ხატვა უნდა დაეწყო. ჩემი დიდი ხნის სარწმუნო მეგობარია და რასაკვირველია ჩემს მოხმარებას მოინდომებდა. ახლა თავის მაგიერად მე მგზავნის იქა; პატარა ბარათსაც მატანს, რომ ეჭვი არა აიღონ რა. შენ ხომ იცი, რომ მე ხატვა სიყრმითგანვე მიყვარს და სამხატვრო კალამიც ამიღია ხოლმე ხან-და-ხან ხელში, თუმცა საფრანგეთში კი არ მოსწონთ, რომ აზნაურიშვილი ამ გვარ ხელობას ადგეს რასმე. დღეს ეს შემთხვევა მეძლევა, რომ ჩემი სატრფო თავისუფლათა ვნახო. მაგრამ იმისი იმედი კი არა მაქვს, რომ საძაგელი ეჭვიანი ბერი-კაცი მოგვცილდეს

და ქალთან გამოლაპარაკებაში ხელი არ შემიშალოს. სწორე უნდა გითხრა და გამოგიტყდე, რომ მე უფრო სხვა ანგარიში მაქვს. ერთი მუახლე მოვიმხრე და იმის შეწვევით უნდა გამოვიხსნა ბერი-კაცის ხელიდამ მშვენიერი, თუ თითონაც დამყვა ამაზედ.

ალი. გამიშვით ერთი, მე ჩემებურად მოგეხმაროთ ქალთან გამოლაპარაკებაში. როდი მინდა, რომ ამ საქმეში მეც არ ვერიო. თქვენ როდის მიხვალთ?

ადრასტ. ახლავე; რაც საჭიროა, ყველა მზათა მაქვს.

ალი. მაშ მეც ახლავე მოვემზადები და წავალ.

ადრასტ. მე დროს აღარ დავჰკარგავ! გაიგონეთ, ეი! ნულარ ვიგვიანებთ!

ბამოსვლა მეთერთმეტი

დონ-პედრო, ადრასტ, ორი მსახური

დონ-პედრო. ამ სახლში რას ეძებთ, უფალნო?

ადრასტ. მე ვეძებ უფალს დონ-პედროს.

დონ-პედრო. აგერ გახლავარ!

ადრასტ. მაშ გაისარჯეთ და ეს ბარათი წაიკითხეთ.

დონ-პედრო. *(კითხულობს)* „თქვენ რომ იცით იმ სახის გადასაღებად გიგზავნი ამ ფრანგ აზნაურშვილს, რომელსაც დავალება ჰსურს საპატიო ხალხისა და სიამოვნებით მიიღო ჩემგან ეს დასაქმება. უეჭველია, პირველთაგანი არის ამგვარს ხელოვნებაში და თქვენ უმეტესად როგორ დაგავალეზბდით, რომ ამისთანა მხატვარი არ გამომეგზავნა. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენის სატრფოს პორტრეტი ყოვლითურთ სრული გამოვა. მაგრამ ამაზედ კი გაფთხილებთ, რომ შრომის სამაგიერო არა გაუხსენოთ რა, თორემ ისეთი კაცია, რომ დიდად იწყენს, რადგან გამოსარჩენად კი არა სწევს ჯაფასა, მხოლოდ სახელისათვის სწევს“.

დონ-პედრო. ბატონო ფრანცუზო! ეს დიად დიდი დავალება იქნება თქვენგან და დიდათაც დაგიმადლებთ.

ადრასტ. ჩემი სურვილი მხოლოდ ის არის, რომ ყოველს ღირსეულსა და სახელოვან კაცს ვემსახურო შეძლებისა და გვარად.
დონ-პედრო. ახლავე შემოვიყვან, ვიზედაც ლაპარაკია.

ბამოსვლა მითორმეტა

იზიდორა, დონ-პედრო, ადრასტი, ორი მსახური

დონ-პედრო. *(იზიდორას)* აი, კეთილშობილი ფრანცუზი, დამონის მაგიერი. შრომის განწევას აპირებს, რომ თქვენი სახე გადილოს. *(ადრასტს, იზიდორას რომ მისალმებაზედ გადაეხვია)* ეეჰუ! უფალო ფრანცუზო! მაგნაირი მისალმება სრულებით რიგი არ არის აქა.

ადრასტ. ეს ჩვენებური ჩვეულებაა, ფრანცუზული.

დონ-პედრო. თქვენებური ჩვეულება იქნება ვარგოდეს თქვენებური ქალებისათვის, მაგრამ აქაურებისათვის კი დიდი კადნიერებაა ეგა!

იზიდორა. ეს სალამი მე დიდის სიამოვნებით მიმიღია. შემთხვევა მაკვირვებს და სწორე უნდა ვსთქვა, რომ ასე სახელოვანსა და განთქმულს მხატვარს მე არასდროს არ მოველოდი.

ადრასტ. ქვეყანაზედ არავინ იპოვება, რომ ამისთანა საქმის ხელის მოკიდება ძალიან სასიქადულოდ არ მიაჩნდეს. მე მაგდენი გამოცდილება არა მაქვს, მაგრამ სადაც ამისთანა დედანი არის გადასალები, იქ უსათუოდ მშვენიერება რამ უნდა გამოვიდეს.

იზიდორა. დედანი არაფერია; საქმე მხატვრის ხელოვნებაა, რომ რაც დედანს ნაკლულევანება აქვს, დაჰფაროს.

ადრასტ. მხატვარი ნაკლულევანებას ვერასა ჰხედავს და სხვა იმას არა ენატრება რა, რომ გადასახატავი თვალების საოცარი ეშხი ისე გადაილოს, როგორც არის, რომ ქვეყანამა ნახოს და დაიჯეროს, მართლა ყოფილა ამისთანა დედანო.

იზიდორა. თუ თქვენი კალამიც ისეთი შემამკობელია, როგორიც ენა გქონიათ, თქვენ ისეთს რასმე დაჰხატავთ, რომ მე სულ არა მგავდეს.

ადრასტ. დედანი უზენაესს ისე შეუქმნია, რომ კიდევ მეტად შესამკობი აღარა გაუშვია რა.

იზიდორა. უზენაესს, რაც უნდა სთქვათ, არა...

დონ-პედრო. დავანებოთ მაგაებს თავი, ღვთის-გულისათვის. პირ-მოთნეობა გადავდვათ და ხატვას მივჰყოთ ხელი.

ადრასტ. *(მსახურებს)* აბა, შემოიტანეთ! *(შემოაქვთ, რაც ხატვაში მოსახმარისია)*

იზიდორა. *(ადრასტს)* სად გნებავთ დამსვათ?

ადრასტ. აი, აქა! ეს ძალიან კარგი ადგილია და საგანს სინათლე საკმაოდ მიადგება.

იზიდორა. *(რომ დაჯდება)* ასე კარგათა ვარ?

ადრასტ. დიალ! ცოტა აინიეთ, თუ თქვენი ნება იქნება. ცოტა აქეთ! ტანი ოდნავ ჩემსკენ გამოიბრუნეთ! თავი ცოტა მაღლა, რომ ყელის მოყვანილობა ჩნდეს. ეს ცოტა გადიხსენით. *(ყელს უფრო უჩენს)* კეთილი! ცოტა კიდევ! ერთი ბეწვა კიდევ!

დონ-პედრო. *(იზიდორას)* მეტად გაჭირდა ეგ თქვენი დასმა. ველარ მოახერხეთ, რომ რიგიანად გეჭიროთ თავი?

იზიდორა. ეს სულ ახალი ამბავია ჩემთვის, ამათი საქმეა, როგორც უნდა, ისე დამსვან.

ადრასტ. *(მჯდომარე)* უკეთესი აღარ შეიძლება, როგორც ახლა ხართ და თავიც საუცხოოთ გიჭირავთ. *(ცოტა თავისკენ გაიბრუნებს)* ასე, თუ თქვენც ინებებთ.

დონ-პედრო. კარგი და პატიოსანი.

ადრასტ. ცოტა აქეთ. თვალები ჩემსკენ, გთხოვთ, მე შემომაჩერეთ.

იზიდორა. მე სხვებივით არა ვარ, – ანგარიშით რომ ეხატვინებიან, მხატვრობაც დავინუნოთ და მხატვარიცაო, თუ პორტრეტი ნამდვილს ისე არ ემჯობინება, როგორც დღე ღამესაო. იმათი გულის შესაჯერებლად პორტრეტი ისეთი უნდა დაიხატებოდეს, რომ სახეს ფერი ზამბახისა ჰქონდეს და ვარდისა, ცხვირი სწორე და ღამაზათ მოყვანილი; პატარა წმინდა ტუჩები და დიდი ცოცხალი თვალები; მეტადრე პირის-სახე რომ მუჭზედ მეტი არ

გამოვიდეს, რაგინდ ფართეც იყოს. მე თქვენ ისეთ პორტრეტსა გთხოვთ, რომ მე ვიყო და ვისი არისო, არ იკითხებოდეს.

ადრასტ. ადვილი არ იქნება თქვენი პორტრეტისა, ვისიო, იკითხონ. ისეთი სახის-მოყვანილობა გაქვთ, რომ არა მგონია, თქვენს გარდა მსგავსება კიდეცა გამოვიდეს ვისიმე.

დონ-პედრო. ცხვირი, მგონია, ცოტა მსხვილი მოდის.

ადრასტ. კარგათ არ მახსოვს, სად წამიკითხავს, რომ აპელ-ლესს უხატავს ალექსანდრე მაკედონელის სატრფო ქალი, რომელიც ისეთი საოცარი მშვენიერი თურმე ყოფილა, რომ ხატვაში აპელესი გაგიჟებით შესტრფია; ალექსანდრეს კი ისეთი სულ-გრძელება თურმე გამოუჩენია, რომ დაუთმია მხატვრისათვის თავისი საყვარელი. *(დონ-პედროს)* შეიძლება, რაც აპელესს იქ დამართვია, აქ მე დამემართოს; მაგრამ თქვენ კი იმდენი სულ-გრძელება იქნება ვერ იქონიოთ. *(დონ-პედროს ეს არ მოეწონება)*

იზიდორა. ეს გვარ-ტომობის თვისებაა, ფრანცუზების ზდი-ლობა ისეა გათქმული, რომ ყოველგანა ვრცელდება.

ადრასტ. ამ გვარს საქმეში შეცთომა არ შეიძლება და თქვენ მეტად გონიერი ბძანდებით, რომ რაც გესმით, იმისს წყაროს ვერა ჰხედავთ. გარწმუნებთ, ალექსანდრე მაკედონელი რომ აქა ყოფილიყო და თქვენ იმისი სატრფო ყოფილიყავით, მე მაინც ვერა დამაშლევინებდა რა თქვენთვის ამის თქმასა, რომ ჩემს სიცოცხლეში ისეთი მშვენიერება არსად მინახავს, როგორსაც ახლა შევჰყურებ და რომელიც...

დონ-პედრო. უფალო ფრანცუზო! ლაპარაკი, მგონია, თქვენს საქმეს უშლიდეს და მაგდენს არ უნდა ლაპარაკობდეთ.

ადრასტ. არა, ჩვეულებათა მაქვს ლაპარაკი, როდესაცა ვხატავ და საჭიროც არის ამ შემთხვევაში საუბარი, რომ გადასახატავი მხიარულად იქნებოდეს და სახის-გამომეტყველებაც ცხოვლათა ჰქონდეს.

ბამოსკლა გიჯამეტი

ალი ისპანიელად მორთული, დონ-პედრო, ადრასტი, იზიდორა

დონ-პედრო. ამას რაღა უნდა და დაუკითხავათ აქ შემოსვლის ნება ვის მიუცია, ნეტავი?

ალი. (დონ-პედროს) დაუკითხავად შემოვედი მართალია, მაგრამ აზნაურობაში ეს კადნიერება ყოველგან არის მიღებული. უფალო! მიცნობთ მე, თუ ვერა?

დონ-პედრო. ვერა, უფალო!

ალი. მე გახლავარ დონ ჟილეს დ'ავალოს და ჩემი ღირსება ისპანიის ცხოვრებაში გექნებათ ამოკითხული!

დონ-პედრო. ჩემგანა გნებავთ რამე?

ალი. დიალ! რჩევასა გთხოვთ ერთს საქმეზედ, რომელიც ღირსებას შეეხება. ვიცი, რომ ამისთანა შემთხვევაში თქვენზე უფრო განვითარებული მსაჯული, თითქმის, არსად იპოვება; – მაგრამ გულსმოდგინებითა გთხოვთ, ამათ ცოტა მოვშორდეთ და ისე ვილაპარაკოთ; ყველას კი არ მინდა შევატყობინო.

დონ-პედრო. აი, ახლა კარგა მოშორებითა ვართ!

ადრასტი. (დონ-პედროს, რომელმაც თვალი მოჰკრა, რომ მეტად ახლო ეჩურჩულებოდა იზიდორას) ლურჯი თვალები ჰქონია.

ალი. (დონ-პედროს, რომელიც კიდევ იქით მიჰყავს, რომ ადრასტს და იზიდორას მოაცილოს) უფალო! საქმე ეს არის, რომ მე სილა გამარტყეს; ხომ მოგეხსენებათ სილა რაც არის: გაშლილი ხელის-გულით რომ ლანანს გაადენენ თქვენს ლოყაზედ? მე გამარტყეს ამისთანა სილა, და ახლა რა მმართებს არ ვიცი, ხმაღში გამოვითხოვო, თუ ისე მოვჰკლა?

დონ-პედრო. მოკვლა, რასაკვირველია, უფრო შეამოკლებს საქმესა. ვინ არის ეგ თქვენი მტერი?

ალი. ცოტა დაბლა ვილაპარაკოთ, თუ თქვენი ნება იქნება. (რომ ელაპარაკება, ისე აყენებს, რომ ადრასტი ვერ დაინახოს)

ადრასტი. (დაჩოქილი იზიდორას წინ, მანამდის დონ-პედრო და ალი ჩუმად ლაპარაკობენ) დიალ, მშვენიერო იზიდორა, აგერ ორი

თვეა, რაც ჩემი თვალები მოგახსენებენ ამასა. მიყვარხართ, რომ უმეტესი სიყვარული აღარ შეიძლებოდა, – და სხვა განზრახვა, ღმერთმა ხომ იცის, მე არა მაქვს რა, სხვა არა მნადია რა, და არა მენატრება რა, რომ სიკვდილამდინ თქვენი ვიყო, თქვენი ვიყო სამარადისოდ.

იზიდორა. არ ვიცი, გულით ამბობთ მაგასა თუ არა, მაგრამ მაჯერებინებთ კი.

ადრასტ. იქამდინ მაინც გაჯერებინებთ თუ ვერა, რომ ცოტაოდენი სიკეთე გინდოდეთ ჩემთვის?

იზიდორა. მე ამას უფრო ვერიდები, მეტად ბევრი არ მინდოდეს.

ადრასტ. გენდომებათ იმდენი, შეუდარებელი იზიდორა, რომ რაც ნატვრა მოგახსენე, იმისი ახდენა იცაბულოთ?

იზიდორა. მაგას ჯერ ვერ გეტყვით.

ადრასტ. რას ელით?

იზიდორა. ჯერ ვერ გადმინყვეტია.

ადრასტ. სადაც სიყვარულია, იქ გადანყვეტა ადვილია.

იზიდორა. მაშ აგრე იყოს, – მიყაბულნია.

ადრასტ. გნებავთ, რომ ახლავე შესრულდეს საქმე?

იზიდორა. სადაც ერთხელ საქმე გადანყდება, იქ შესრულება რაღამ უნდა შეაყენოს?

დონ-პედრო. *(აღის)* ჩემი რჩევა ეს არის და ახლა თქვენ იცით.

ალი. უფალო! ერთხელაც არი, თუ სილა თქვენც მოგხვდათ როდისმე, მეც რჩევის კაცი ვარ, მინახეობა მეც შემიძლია და სიამოვნებით გადაგიხდით მაგიერსა!

დონ-პედრო. მიხვალთ, მაგრამ მე ვერ გამოგაცილებთ; კეთილშობილთა შორის ეს კადნიერებაც არის მიღებული.

ადრასტ. *(იზიდორას)* არა, ისეთი არა იქნება რა, რომ ჩემი გულიდამ ამოფხვრა შეიძლოს... *(დონ-პედროს, რომელმაც თვალი მოჰკრა, რომ მეტათ ახლო უჯდა იზიდორას)* ნიკაპზედ პანანა ნაკენკს უმინჯავდი, შორიდამ რომ ხალი მეგონა. – დღეს ამითი

გავათავოთ და სხვა მერე იყოს. (დონ-პედროს, რომელიც მხატვრობის ნახვას ეტანება) არა, ჯერ ნურას გაშინჯავთ, გთხოვთ შემაკვრევინოთ. (იზიდორას) და თქვენ ამას გევედრებით, არ დაიზაროთ და გული მხიარულად იქონიოთ, რომ ეს ჩვენი საქმე კარგად დავაბოლოვოთ.

იზიდორა. მხიარულათ ვიქნები, რამდენიც შესაძლებელი იქნება.

გამოსვლა მითითებითა

დონ-პედრო, იზიდორა

იზიდორა. თქვენ რას იტყვით? ამისთანა ზდილობიანი კეთილშობილი მე არა მგონია სხვა იყოს სადმე და სწორე უნდა სთქვას კაცმა, რომ ფრანცუზებს ისეთი რამ განვითარება და ისეთი რამ მასიამოვნებლობა აქვთ ხასიათათა, რომ სხვა ხალხში არ იპოვება.

დონ-პედრო. მართალია, მაგრამ ცუდი ესა სჭირთ, რომ ყოველგან მეტად კადნიერათ არიან და ვისაც არა გგონია პირში ქებას უბედვენ.

იზიდორა. იციან, რომ ქალებს ამითი თავს აწონებინებენ.

დონ-პედრო. მაგრამ კაცებს კი სულაც არავინ მოუწონებს, რომ ცოლსა თუ საყვარელს პატრონის ცხვირ წინ ელაქუცუნებოდნენ.

იზიდორა. სულ გულის გასაყოლებლათ კი მოსდით, რასაც ამბობენ და რასაც სჩადიან.

გამოსვლა მითხუთებითა

ზაიდა, დონ-პედრო, იზიდორა

ზაიდა. დამიფარეთ, ბატონო, ღვთის გულისათვის, გაცეცხლებულ ქმარს გადამარჩინეთ, ღმერთი გადღეგრძელებთ! იმისი

ექვიანობა არ გამოითქმის და გაბრაზებულმა დანდობა აღარ იცის. პირ-ბადე მუდამ გეფაროსო და ერთი ბენვა გადახდილი რომ მნახა, ისე გაკაპასდა, რომ ხმალი იშიშვლა და გამომეკიდა; აქ რომ არ შემოვარდნილვიყავი, სწორედ დამჩეხდა. აგერა ჩანს! ოჰ! ღვთის გულისათვის გადამარჩინეთ.

დონ-პედრო. (ზაიდას იზიდორასაკენ ანიშნებს) აიქ შედით იმასთანა და ნულარაფრისა გემინიათ!

ბამოსვლა მითიქვსამეტი

ადრასტ, დონ-პედრო

დონ-პედრო. როგორ, უფალო! თქვენა ხართ ეგა, კეთილშობილი ფრანცუზი და აგრე ექვიანი? მე მეგონა, ექვიანობა მარტო ჩვენა გეჭირს მეთქი.

ადრასტ. ფრანცუზები ყოველ საქმეში აღემატებიან სხვებსა და ერთხელაც არის, თუ ეჭვი აგვალებინეს, სიცილიელებზედ ერთი ოცად უფრო ვეჭვიანობთ. რა რომ თქვენ შემოგეკელათ, იმ უპატიურსა ჰგონია, რომ ხელი ველარავინ ახლოს? თქვენ მეტად გონიერი ხართ, რომ ჩემი უფლება შეურაცხ-ჰყოთ. გთხოვთ გამიშვათ, ისე მოვექცე, როგორც შეჰფერის.

დონ-პედრო. ღვთის გულისათვის, დადექით! მაგისთანა უბრალო საქმეზედ აგრე გაანჩხლება თქვენგან არ მიკვირს?

ადრასტ. ამისთანა სანყენი საქციელი უბრალო საქმეზედ ჩაუდენიათ თუ ბრალიანზედ, ამითი კი არ გაიზომება; დანაშაული ბძანების დამრღვევი არის და ვინც ბძანებას არ ემორჩილება, განუკითხავათ არის დასასჯელი.

დონ-პედრო. იმის სიტყვით, რასაც თქვენ იმასა სწამებთ, განზრახვით კი არ უქნია, უნებურათ მოსვლია; დიდათა გთხოვთ აპატიოთ და ისევ შეირიგოთ.

ადრასტ. როგორ! იმისს მხარეს იჭერთ თქვენა, თქვენა, იმნაირ ყოფა-ქცევაზედ რომ თითონ თქვენა ხართ ძალიან გაფთხილებული?

დონ-პედრო. დიად, იმის მხარეს ვიჭერ და ჩემი დავალება თუ გინდათ, გული დაიმშვიდეთ და შერიგდით; ეს ერთი შემთხვევა ღმერთს დაამადლეთ, დიდათა გთხოვთ და ამ თხოვნას თუ შეინყნარებთ, იმ მეგობრობის დამონმებად მივიღებ, რომელიც მსურს ჩვენში არსებობდეს.

ადრასტ. მაგ პირობით მე უარი აღარ გამებედება და იყოს ნება თქვენი.

გამოსვლა მეჩვიდმეტი

ზაიდა, დონ-პედრო, ადრასტი კუთხეში

დონ-პედრო. *(ზაიდას)* აბა გამოდით აქა! თქვენი საქმე გავარიგე, უკეთესს ვერას იქმოდით, რომ აქ შემოხვედით.

ზაიდა. ისე ვარ თქვენგან დავალებული, რომ მეტი არ შეიძლება; მაგრამ პირ-ბადე დამრჩა იქა; როგორ შემიძლია უმისოდ დავენახო.

გამოსვლა მეთვრამეტი

დონ-პედრო, ადრასტ

დონ-პედრო. ეხლავ გამოვა ისევა. დიდად გაიხარა საბრალომ, საქმე გაგირიგე მეთქი, რომ ვუთხარი.

გამოსვლა მეცხრამეტი

იზიდორა (ზაიდას პირ-ბადით), ადრასტ, დონ-პედრო

დონ-პედრო. *(ადრასტს)* რადგან თქვენი გულის წყრომა მე მაპატიეთ, ნება მიბოძეთ ხელი-ხელს აქვე ჩაგითვალოთ და ორთავე შემოგვედროთ, რომ ამას იქით ერთობა და თანხმობა შეურყეველად იქონიოთ ჩემის პატივისცემისათვის.

ადრასტ. გაძლევთ პირობას, რომ თქვენის პატივისცემისათვის ისეთის თანხმობით ვიცხოვროთ, რომ მეტი აღარ შეიძლებაოდეს.

დონ-პედრო. საგრძნობელად დამავალეობთ და არც დავინწყებ ჩემს სიცოცხლეში.

ადრასტ. გაძლევთ პატიოსან სიტყვას, ბატონო დონ-პედრო, რომ თქვენი სიყვარულისათვის ისეთის პატივითა და ფუფუნებით შევინახო, რომ მეტი არ შეიძლებოდეს.

დონ-პედრო. დიდად, დიდად მავალეობთ! *(მარტო)* სასიამოვნოა ხალხის დამშვიდება და თანხმობის ჩამოგდება. იზიდორა! გამოდი აქა!

გამოსვლა მეოცე

ზაიდა, დონ-პედრო

დონ-პედრო. ეს რას ნიშნავს?

ზაიდა. ეს რასა ნიშნავს და იმასა, რომ ეჭვიანი კაცი გარეული მხეცივით ეჯავრება ყველასა და ქვეყანაზედ არავინ იქნება, რომ იმისი ზარალი არ იამოს, რაშიაც უნდა მოუვიდეს. კარს რაც უნდა ურდული უყარო, რაც უნდა კლიტე ადვა, მაგითი ვერავის დაამწყვდევ, თუ რომ გული არა გაქვს მოგებული. იზიდორა ახლა იმ კაცის ხელშია, რომელიც უყვარს, რომელსაც უყვარს და რომელმაც თქვენ ეს არის პირში ჩალა გამოგავლოთ.

დონ-პედრო. როგორ თუ? მერე დონ-პედრომ აიტანოს ესა? არა, არა! სხვა არა იყოს რა, სამართალი ხომ არის აქა. აი, აგერა დგას ერთი სენატორი. *(კარს ურეკს აშფოთებული)*

გამოსვლა მეოცდაერთე

სენატორი, დონ-პედრო

სენატორი. ოჰ! უფალს დონ-პედროს ვახლავარ! რა კარგს დროს მოხვედით!

დონ-პედრო. ერთს შეურაცხებაზედ მინდა შემოგჩივლოთ, ახლა რომ მომაყენეს.

სენატორი. ისეთი კარგი მასკარადი იმართება აქა, რომ სწორედ თქვენი მოსაწონი.

დონ-პედრო. ერთმა თავხედმა ფრანცუზმა თქვენს მტერს, რაც მე საქმე დამმართა.

სენატორი. გარნმუნებთ, რომ ამისთანა შექცევას არსად შესწრებიხართ.

დონ-პედრო. ნასყიდი ქალი მომტაცეს, რომელიც განთავისუფლებული მყავდა.

სენატორი. რამდენ ნაირს ტანსაცმელს აქა ნახავთ, რომელი ერთი მოგიტვალოთ.

დონ-პედრო. აი, ამისთანა საქმეებს ჩადიან აქა! სამართლის შემწეობასა გთხოვთ ახლა.

სენატორი. რაო, რასა ბძანებთ?

დონ-პედრო. შეურაცხება მომაყენეს და სამართალსა გთხოვთ მეთქი, ამას მოგახსენებთ.

სენატორი. მე მეგონა ჩემს მასკარადში მოსულხართ მეთქი.

დონ-პედრო. ჯავრით ლამის გული გამისქდეს და რას მიბძანებთ, რა მემასკარადება?

სენატორი. საქმე გქონიათ მაშა? უკაცრავად გახლდები, მაგრამ მე დღეს საქმისათვის არა მცალხია.

დონ-პედრო. მე გთხოვთ მართლმსაჯულებით მომეშველოთ ასეთი მოქმედების წინააღმდეგ.

სენატორი. მე მინდა, რომ თქვენ ყველაფერი ეს ნახოთ. ისინი ჯერ ივარჯიშებენ, რომ შემდეგ ხალხს გასართობი უჩვენონ.

დონ-პედრო. რაო! რაზე ლაპარაკობთ?

სენატორი. მე მასკარადზე ვლაპარაკობ.

დონ-პედრო. მე ჩემს საქმეზე გელაპარაკებით.

სენატორი. მე დღეს არავითარი საქმე არ მინდა, სიამოვნების გარდა. გავსწიოთ, ბატონებო! მობრძანდით. ვნახოთ, როგორ იქნება.

დონ-პედრო. ჭირმა წაიღოს ეს გადარეული თავისი მასკარადით.

სენატორი. ეშმაკმა წაიღოს ეს ბრაზიანი თავისი საქმით.

გამოსვლა მეოცდარე

სენატორი და მოცეკვავათა გუნდი

ბალეტის გამოსვლა:

*მავრულად გამოწყობილი მოცეკვავენი ცეკვავენ
სენატორის წინ.⁸*

კომედია თავდება

შენიშვნები და კომენტარები

ტექსტისათვის

თხზულებათა I ტომში შესულია დიმიტრი ყიფიანის პოეტური და პროზაული ნაწარმოებები, აგრეთვე, რამდენიმე თარგმანი. განზრახულია დიმიტრი ყიფიანის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემა, თუმცა ეს არ შეეხო თარგმანებს მათი რაოდენობიდან და მოცულობიდან გამომდინარე [დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია ცნობები მათ შესახებ (ბიბლიოგრაფიული მონაცემები, წყაროები, ლიტერატურა...)] იხილოს ტომისთვის წამოღვარებულ წერილში, აგრეთვე, წინამდებარე ტომში შესულ თარგმანებზე დართულ შენიშვნებსა და კომენტარებში]. რაც შეეხება დიმიტრი ყიფიანის მიერ თარგმნილი ტექსტების შერჩევას, იგი განაპირობა თვითონ ამ თარგმანთა ლიტერატურულმა ღირებულებამ (ჩვენი აზრით, ცხადაა).

დიმიტრი ყიფიანის თხზულებათა ერთი ნაწილისთვის („ჩემო გული-თად საყვარელო თეიმურაზ!“, „უცნაური ნადირობა“, „სასაცილო ლაპარაკი“) დამახასიათებელია მარტივი სიუჟეტის აგება და თხრობის წარმართვა დიალოგური ან ეპისტოლური ფორმით. ამ ტექსტებში ძნელია ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს ბელეტრისტული, პუბლიცისტური თუ მეცნიერული ტექსტებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ელემენტები, მაგრამ, ვინაიდან, როგორც ითქვას, მათ აქვთ პროზისთვის დამახასიათებელი არქიტექტონიკა (სიუჟეტურ-თხრობითი ხერხემალი), ჩვენ შესაძლებლად ჩავთვალეთ, ისინი პროზის განყოფილებაში მოგვექცია. დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას ტექსტზე „ამ მთისა, იმ მთისა და სხვათა შორის წოდებრიობისათვის ამიერკავკასიაში“, რომელიც თავისი ხასიათით საქართველოს ისტორიული ყოფისა და წეს-ჩვეულებათა მიმოხილვას წარმოადგენს და მასში შიგადაშიგ მკაფიოდ შეინიშნება მეცნიერული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი კვლევითი მომენტები (განსაკუთრებით,

სოციალურ-წოდებრივ ურთიერთობათა მოდელის კონსტრუირებისას), მაგრამ არცთუ იშვიათად თხრობა აშკარად ბელეტრიზებულია და ამიტომაც ეს ტექსტიც პროზის განყოფილებაში მოვაქციეთ.

დიმ. ყიფიანის ტექსტები ხშირად არ იბეჭდებოდა, ამიტომ „ნაბეჭდში“ მითითებული გვაქვს არა მხოლოდ პირველნაბეჭდი და ავტორის სიცოცხლეში გამოცემული ტექსტები, არამედ – ჩვენთვის ცნობილი პუბლიკაციებიდან უკლებლივ ყველა.

ამ ტომში შესულ ტექსტთა ავტოგრაფული ხელნაწერები, როგორც წესი, ერთადერთია და, შესაბამისად, აპარატში ვარიანტულად განსხვავებულ ტექსტებს ვერ წარმოვადგენდით. ხელნაწერში არსებული ავტორისეული სწორებები მითითებულია შენიშვნებსა და კომენტარებში.

ტექსტების ნაწილს ახლავს ავტორისეული დათარიღება. ასეთის არარსებობის შემთხვევაში კვლევით დადგენილ თარიღს ვიძლევიტ კვადრატულ ფრჩხილებში. დაწერის თარიღი კვადრატულ ფრჩხილებშია მამინაც, როცა საკითხის გარშემო არ მოგვეპოვება რაიმე ხელმოსაჭიდი მონაცემი და მას (ტექსტს) ვათარიღებთ პირველნაბეჭდის მიხედვით. სათანადო მონაცემები – ტექსტი პირველნაბეჭდის მიხედვით თარიღდება თუ თარიღი კვლევით დგინდება – შენიშვნებსა და კომენტარებშია მოცემული. თუ ავტორს თარიღთან ერთად ტექსტის დაწერის ადგილიც აქვს მითითებული, პასპორტში ორივე მონაცემი მოგვყავს.

დიმ. ყიფიანი 1860-იანი წლების ბოლომდე იყენებდა ძველ, ე. წ. ფუნქციადაკარგულ, ასოებს (ჭ, ჟ, ჯ, შ; აგრეთვე – უ). იგი მიიჩნევდა, რომ ეს ასოები ქართულ ენას მოქნილობასა და მუსიკალობას სძენდა, თუმცა საბოლოოდ დაემორჩილა ილია ჭავჭავაძის (ზოგადად „თერგდალეულთა“) მიერ განხორციელებულ ცნობილ რეფორმას და 1860-1870 წწ. მიჯნიდან ამ ასოებს უკვე აღარ ხმარობდა. **წინამდებარე გამოცემაში ძველი ასოები შეცვლილია და სიტყვები ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვითაა გადმოცემული** (წამკითხველები – წამკითხველები, მნიშვნელობა – მნიშვნელობა, ჯელი – ხელი, იტყვან – იტყვიან და სხვ.).

დიმ. ყიფიანის ტექსტებში ხშირად გვხვდება პარალელური ფორმები, დაკავშირებული: ა) პირის ნიშნებთან (მოუყვევი/მოვუყვევი, შეუ-

დექი/შევეუდექი...); ბ) ნაწილაკებთან (მოვიბრუნო-მეთქი, დაემართა მეთქი; იყოსლა, იყოს-ლა...); გ) ცალკეულ სიტყვებთან (ანბავი/ამბავი, საზოგადოება/საზოგადოობა, ბრძანება/ბძანება, ზრდილობა/ზდილობა...) და სხვ. ასეთ შემთხვევებში (და ზოგადადაც) უარს ვამბობთ ე. წ. ენობრივი უნიფიკაციის პრინციპზე და დიმ. ყიფიანის მართლწერასა და პუნქტუაციას ვტოვებთ უცვლელად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აშკარაა ლაფსუს კალამი ან კორექტურული ხარვეზი.

არქაული ან იშვიათად ხმარებული სიტყვები წინამდებარე ტომში შესულ თხზულებებში ხშირად არ გვხვდება. ამიტომაც მოიხსნა ტომისთვის ლექსიკონის დართვის საჭიროება, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში ასეთ სიტყვებს შენიშვნებსა და კომენტარებში განვმარტავთ.

შენიშვნებსა და კომენტარებში არ ვიძლევიტ მონაცემებს ტექსტში ნახსენებ პირთა შესახებ (გარდა ცალკეული აუცილებლობისა, როცა ესა თუ ის პირი ნახსენებია ან მხოლოდ სახელით, ან მხოლოდ გვართ, ან ინიციალით/ინიციალებით, ან კიდევ, როცა კონტექსტი მოითხოვს აუცილებელ განმარტებას). მონაცემები პირთა შესახებ გაგვაქვს პირთა ანბანურ-ანოტირებულ საძიებელში. ამით თავი ავარიდეთ ხშირ გამეორებებს, მნიშვნელოვნად განიტვირთა სამეცნიერო აპარატი და, ვფიქრობთ, მკითხველისთვისაც გაცილებით უფრო მოსახერხებელი უნდა იყოს, პირთა შესახებ მონაცემები აქა-იქ კი არ ეძებოს, არამედ ნახოს ანბანურ რიგზე დალაგებულ პირთა ანოტირებულ საძიებელში.

დასასრულ, დიმ. ყიფიანის შესახებ გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში დაცული მასალის მოძიება-კლასიფიკაციაში განეული დახმარებისთვის მადლობას მოვახსენებთ მარინე ყიფიანს – ხსენებული მუზეუმის მეცნიერ თანამშრომელს.

პ ო ე ზ ი ა

შედარება (გვ. 47-48)

ხელნაწერი:

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. H-253. ავტოგრაფი. უთარილო. ფ. 5-6.

ნაბეჭდი:

თ. ჯოლოგუა. დიმიტრი ყიფიანის გამოუქვეყნებელი ლექსი „შედარება“. ჟ. „ომეგა“, 2000, №3 (მარტი), გვ. 115 [დაბეჭდილია ტექნიკური ხარვეზით – ბოლო მონაკვეთში სვეტები გადაადგილებულია, რაც პრინციპულად ცვლის ლექსის კონცეფციასა და მიზანდასახულობას].

ქართული მწერლობა (ოცდაათ ტომად). შემდგენელი: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე. ტ. XX (ტომის შემდგენელი: ა. ბაქრაძე, თ. ჯოლოგუა). ტომის რედაქტორი თ. ჯოლოგუა, მისივე შენიშვნებითა და ბოლოსიტყვით. თბილისი: ნაკადული. 2003, გვ. 8-9.

„დიმიტრი ყიფიანი – 200“. პროექტის ავტორი და კრებულის შემდგენელი ბ. კობაძე. თბილისი: სვეტი. 2014, გვ. 804-806.

სათაური: შედარება (ურითმო ლექსი).

ხელმოწერა: დიმიტრი ყიფიანი.

ლექსი შესულია ხელნაწერ კრებულში (1856-1884 წწ., ფ. 22), რომელშიც სხვადასხვა ხელით შეტანილია აგრეთვე სვ. მაყაყვის (მაყაშვილის), ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის ლექსები, ნაწყვეტი „აბდულმესიანიდან“ (და არა „თამარიანიდან“, როგორც ეს „აღწერილობაშია“ მითითებული: „ქე ადამისი, მგზავსად ამისი, ვისაც ეხილვოს, მამცნოს სად არი...“) და სხვ. (კრებულის აღწერილობა იხ.: აღწერილობა 1946: 179-180).

„შედარება“ რომანტიკული სულისკვეთებით აღბეჭდილი ტექსტია (საზოგადოების ნაწილად მყოფი პიროვნებისთვის „შეგების კარდახშულობა“, სურვილი „ნალკოტოვანი სოფლისგან“ განშორებისა, თავისუფლების, სიმშვიდისა და წონასწორობის ძიება უკაცრიელ ბუნებაში...). ვფიქრობთ, ფორმითაც და შინაარსობრივადაც ეს ლექსი ქართული ლიტერატურული რომანტიზმის საგულისხმო ფურცელია.

რამდენადმე არქაიზებული ენა, ე. წ. „მოძველებული“ (ფუნქციონირებას დაკარგული) ასოების გამოყენება („ზღუა“, „ქუჭყანა“ და სხვ., რაც ჩვენ, საერთო პრინციპიდან გამომდინარე, თანამედროვე ფორმებით შევცვალებთ), ტექსტის ზოგიერთი გრამატიკულ-ორთოგრაფიული თავისებურება [მაგ., „ზედან“, რომელსაც დიმ. ყიფიანი მოგვიანებით თავის „ახალ ქართულ გრამმატიკაში“ სხვა თანდებულთა შორის კი ასახელებს (ყიფიანი 1882: 24), მაგრამ 1860-იანი წლებიდან პრაქტიკულად არ იყენებს], აგრეთვე, რომანტიკული სულისკვეთება, რომლითაც ტექსტია გამსჭვალული და ნიშანდობლივია 1847 წელს დაწერილი და წინამდებარე ტომში წარმოდგენილი დიმ. ყიფიანის კიდევ ერთი ლექსისთვის („ქვიშხეთის მთაწმინდა“) გვაფიქრებინებს, რომ **„შედარება“ 1840-1850-იან წლებში უნდა იყოს დაწერილი.**

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით.

¹ (გვ. 47) **„...საშუალს მყოფმან“** – „საშუალო ენოდების ყოველთა შუაობით მყოფთა, რომელი ორთავე საქმეთა შორის იყოს და არცა ერთი მოკლებულ იყოს...“ (ორბელიანი 1966: 67). აქ: **არჩევნის წინაშე მყოფმა.**

ძვიშხაეთის მთაწმინდა (გვ. 49-52)

ხელნაწერი:

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. H-1430. ავტოგრაფი. ფ. 22-23.

ნაბეჭდი:

გ. ყორანაშვილი. დიმიტრი ყიფიანი – ახალი დიმიტრი თავდადებულის. თბილისი: ინოვაცია. 2009, გვ. 392-395.

ქართველ წმინდანთა პოეზია. შემდგენელი ნ. ტარყაშვილი. თბილისი: სპეკალი. 2013, გვ. 82-86.

„დიმიტრი ყიფიანი – 200“. პროექტის ავტორი და კრებულის შემდგენელი ბ. კობაძე. თბილისი: სვეტი. 2014, გვ. 810-813.

სათაური: ქვიშხეთის მთაწმინდა.

თარიღი: 24 აგვისტო 1847 წელსა. სოფელი ქვიშხეთი.

ხელმოწერა: დიმიტრი ყიფიანი.

ლექსი შეტანილია დიმიტრი ყიფიანის მიერ (სავარაუდოდ) შედგენილ ხელნაწერ კრებულში, რომელშიც შესულია აგრეთვე დიმიტრი ყიფიანის მიერვე ქართულად თარგმნილი პიესა ალფრედ დე მიუსესი – „ბაბალეს თითის ტარი“ (*La Quenouille de Barberine*), ნიკ. ბარათაშვილის პოემა „ბედი ქართლისა“, თეიმურაზ ბატონიშვილის ლექსი „ჰსჭვრეტს ორიონით ნათელ-მკრთოლინა...“ და სხვ. (კრებულის აღწერილობა იხ.: აღწერილობა 1948: 369-370).

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით.

წმ. გიორგის სახელზე აგებული მთაწმინდის ეკლესია მდებარეობს ქვიშხეთიდან სამიოდ-ოთხიოდე კილომეტრზე, სოფლის სამხრეთით, მთაწმინდის სახელით ცნობილ მთაზე. ცნობა, თითქოს ქვიშხეთის მთაწმინდის ეკლესია XIX საუკუნეში იყოს აგებული (ძეგლთა აღწერილობა 1990: 451), მხოლოდ ნაწილობრივია სწორი. 1847 წელს, როდესაც დიმიტრი ყიფიანის წინამდებარე ლექსი იწერებოდა, ეს ეკლესია იყო „ცაგარდახსნილი / და სიძველითა აქ იქ ნგრეული“, რაც, ცხადია, იმაზე მიუთითებს, რომ იგი გაცილებით უფრო ადრეა აშენებული, ხოლო XIX საუკუნის ეკლესია, ჩანს, ძველის საძირკველზეა აგებული ან მის საფუძვლიან რეკონსტრუქციას წარმოადგენს. ქვიშხეთში „მთაწმინდობის“ ტრადიცია დღემდე შემორჩენილი და იგი ამალღების მომდევნო ხუთშაბათს აღინიშნება. გ. გელაშვილის ცნობით, ქვიშხეთის მთაწმინდა „აღდგენილია დიმიტრი ყიფიანის მიერ XIX საუკუნეში (არქიტექტორი, ვინმე კურტანიძე)“ (გელაშვილი 2014: 112), თუმცა ამის დამადასტურებელ წყაროს ჩვენ არ ვიცნობთ. ხოლო დოკუმენტურად რაც დასტურდება, ისაა, რომ ეგზარქოს ევსევის ნებართვითა და არქიტექტორ ე. ბელოის პროექტით 1860-1870-იანი წწ. მიჯნაზე დიმიტრი ყიფიანმა ქვიშხეთში, საკუთარ სახლთან, ააგო წმ. გიორგი მთაწმინდლის სახელობის კარის ეკლესია – ამჟამად მაცხოვრის აღდგომის დედათა მონასტერი (დიმიტრი ყიფიანის

მიმონერა ეკლესიის მშენებლობის შესახებ იხ. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №№779, 1637).

¹ (გვ. 49) **„მცირე, ოთხკუთხი, ცაგარდახსნილი“** – ამ სტრიქონში გადაშლილია სიტყვები **აქ იქ ნგრეული** და ზემოდან მიწერილია **ცაგარდაქსნილი**.

² (გვ. 49) **„წმიდა გიორგი ქვიშხეთის – მთელი“** – **„მრთელი“**: ესე არს შეუმუსრავი...“ (ორბელიანი 1965: 523; სულხან-საბასთან **მთელი** და **მრთელი** სინონიმებია – ორბელიანი 1965: 479).

³ (გვ. 49) **„...ყრუსა ტყესა, ამ ღართსა მთისას“** – **„ღართი: სან-ვიმარი ნაბადი“** (ორბელიანი 1966: 247). აქ: **სამოსელი** [ყრუ (უღრანი, უსიერი, უკაცრიელი) ტყე – მთის სამოსელი].

⁴ (გვ. 51) **„მთან კავკასიისა, ეს გმირთა დასნი, აღდგინებულ-ნი ჰაერთა მიმართ მიწის შფოთვისგან...“** – რემინისცენცია პოეტ ვლ. ბენედიქტოვის ლექსიდან „Горные выси“ („მთათა მწვერვალები“) – იხ. აქვე, კომენტარი ტექსტისა „ამ მთისა, იმ მთისა...“ (გვ. 401).

⁵ (გვ. 51) **„...ქართლის სამეზი“** – **სამეზი: სანახები (?)**.

ძველი მეგობრის პასუხი (გვ. 53-55)

ნაბეჭდი:

გაზ. „დროება“, 17 ნოემბერი, 1883, №231.

ქართული პოეზია (თხუთმეტ ტომად). ტ. 11 (XIX ს.-XX ს. დასაწყისი).

ტომი შეადგინა ს. ხუციშვილმა. თბილისი: ნაკადული. 1980, გვ. 138-141.

ქართული მწერლობა (ოცდაათ ტომად). შემდგენელი: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე. ტ. XX (ტომის შემდგენელი: ა. ბაქრაძე, თ. ჯოლოგუა). ტომის რედაქტორი თ. ჯოლოგუა, მისივე შენიშვნებითა და ბოლოსიტყვით. თბილისი: ნაკადული. 2003, გვ. 5-7.

„დიმიტრი ყიფიანი – 200“. პროექტის ავტორი და კრებულის შემდგენელი ბ. კობაძე. თბილისი: სვეტი. 2014, გვ. 801-803.

სათაური: ძველი მეგობრის პასუხი.

თარიღი: 12 ნოემბერი 1883. ს. ტკოცა.

ხელმოწერა: ბაქარ ქართლელი.

ვიმეორებთ პირველნაბეჭდს („დროების“ პუბლიკაცია).

ლექსი ავტორმა გამოაქვეყნა თავისი ძირითადი ფსევდონიმით „**ბაქარ ქართლელი**“ (დიმ. ყიფიანის ფსევდონიმებზე იხ. კომენტარები თხზულებისა „ჩემო გულითად საყვარელო თეიმურაზ!“ გვ. 415-416).

დიმ. ყიფიანის ეს თხზულება პასუხია ვახტანგ ორბელიანის ლექსისა – „ძველს მეგობარს“ (ორბელიანი 1883; ორბელიანი 1928: 90-91). დიმიტრის პასუხს მოჰყვა ვ. ორბელიანის კიდევ ერთი ლექსი „**ბაქარ ქართლელს**“ (ორბელიანი 1884; ორბელიანი, 1928: 92-93).

დიმ. ყიფიანისა და ვ. ორბელიანის ეს ერთგვარი ლიტერატურული „გაბაასება“ დიდად საინტერესო მასალას იძლევა როგორც ერთი, ისე მეორე ავტორის ლიტერატურული თვითშეგნებისა და პრინციპების გამოსარკვევად.

¹ (გვ. 53) „**ვინ-ონო**“ – იგულისხმება პოეტ ვახტანგ ორბელიანის ინიციალები „**ვ. ო.**“

² (გვ. 54) „**დაგვძახე შენებრ დიდ მოძახილი და ჩვენ ქართველნი**“ – სიტყვა „**ქართველნი**“ „დროების“ პუბლიკაციაში გამოტოვებულია. იგი ჩვენთვის უცნობ წყაროზე დაყრდნობით აღდგენილი აქვს სოლომონ ხუციშვილს (იხ. ზემოთ მითითებული ს. ხუციშვილისეული პუბლიკაცია).

³ (გვ. 55) „**...დიდმა ერეკლემ, პაპამან შენმა?**“ – ვახტანგ ორბელიანი იყო შვილი თეკლე (თეკლა) ერეკლე II-ის ასულისა.

⁴ (გვ. 55) „**სამშობლო ქვეყნის, სამშობლო ენის აღმაფრენისა**“ – სიტყვა „**აღმაფრენისა**“ „დროების“ პუბლიკაციაში გამოტოვებულია. იგი ჩვენთვის უცნობ წყაროზე დაყრდნობით აღდგენილი აქვს სოლომონ ხუციშვილს (იხ. ზემოთ მითითებული ს. ხუციშვილისეული პუბლიკაცია).

ქალი (გვ. 56-63)

ნაბეჭდი:

ჟ. „ქართული ბიბლიოთეკა“. 1883, №11-12 (ნოემბერ-დეკემბერი), გვ. 3-12.

სათაური: ქალი (ჩემს შვილს ელ...ს).

თარიღი: 27 ნოემბერი 1883.

ხელმოწერა: ბაქარ ქართლელი.

ჟურნალი „ქართული ბიბლიოთეკა“ ქართველ მოღვაწე ქალთა ინიციატივითა და ძალისხმევით 1883 წელს გამოდიოდა ქუთაისში (სულ გამოიცა 12 ნომერი. აქედან ბოლო ორი ნომერი გაერთიანებულია. რედაქტორ-გამომცემელი – ეკატერინე ლორთქიფანიძე). მისი დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და აქტიური თანამშრომელი იყო დიმიტრის ქალიშვილი ელენე ყიფიანი-ლორთქიფანიძე (გამოცემის შესახებ იხ.: ყიფიანი 1883; ტაბიძე 1986: 3-100). დიმ. ყიფიანის ეს ლექსი ჟურნალის მესვეურთა თხოვნით უნდა იყოს დანერილი.

¹ (გვ. 56) **„ჩემს შვილს ელ...ს“** – იგულისხმება დიმ. ყიფიანის ქალიშვილი **ელენე ყიფიანი-ლორთქიფანიძე**.

² (გვ. 57) **„შიშველ-მართალნი, ჭალაკეულნი, / ძველი კაცობა შორს ვერ დამნახი, – და მოთხრობანი ბანაკეულნი...“** – მოცემულია წინა სტროფის ბოლოს ნახსენები **„ველური ხალხის“** დახასიათება:

ა) **„შიშველ-მართალნი“** – **„შიშველ-მართალი: ველური კაცი“** (ჩუბინაშვილი 1984: 1522).

ბ) **„ჭალაკეულნი“** – **„ჭალა: ბუჩქნარი... ან მცირე ტყე“** (ჩუბინაშვილი 1984: 1702); **„ჭალაკი** იგივეა, რაც **ჭალა“** (ქეგელ 1964: 1222). **აქ: ველური, ტყიური (ტყიდან გამოუსვლელი) ადამიანები.**

გ) **„შორს ვერ დამნახი“** – უვიცი, განუვითარებელი, ახლომხედველი (ვისაც მომავლის განჭვრეტა არ შეუძლია) ადამიანი. მონაკვეთის აზრი: **ძველად, როცა ადამიანი განუვითარებელი იყო.**

დ) **„მოთხრობანი ბანაკეულნი“** – **„ბანაკი: მრავალი კრებული დედანულით მიმავალი...“** (ორბელიანი 1965: 97). მონაკვეთის აზრი: **ამბები იმ ძველი დროისა, როცა ადამიანი ბანაკურ (მომთაბარე, მოხეტიალე) ცხოვრებას ეწეოდა.**

³ (გვ. 59) **„...ვსთქვათ, თეკლე, ქეთევან, ნინო!“** – ვფიქრობთ, აქ ავტორს შეცდომა აქვს დაშვებული და მის მიერ „მშვენიერ მთხზველად“ დასახელებული **ნინო** სინამდვილეში არის **მარიამ ერეკლე II-ის ას. ბატონიშვილი** – და პოეტების, თეკლე და ქეთევან ბატონიშვილებისა, თვითონაც ჩინებული ლექსების ავტორი.

⁴ (გვ. 61) „დრკუსა და ნაზსა...“ – სიტყვა „დრკუ“ სხვადასხვა ვითარებაში სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება („...გახრილი, ღვლარჭნილი, მრუდე“ – აბულაძე 1973: 143; „...მრუდი“ – ორბელიანი 1965: 229; „...ურჩი, უარშიო, ვერაგი“ – ჩუბინაშვილი 1961: 206; „...არამართალი, ცრუ“ – ქეგლ 1953: 1223 და სხვ.). ვინაიდან ამ სიტყვას დიმ. ყიფიანი „ნაზის“ ანტონიმად ხმარობს, უნდა ვიფიქროთ, აქ ეს სიტყვა „უხემს“ ნიშნავს.

პ რ ო ზ ა

ეკატერინე ჩიჩუა – გურიის უკანასკნელი
მთავრის ასული (გვ. 67-86)

ხელნაწერი:

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი, საქმე №76.
უცნობი ხელით გადაწერილი. დიმ. ყიფიანის ხელით ალაგ-ალაგ
ნასწორები, ხელმოწერილი და დათარიღებული. რუსულ ენაზე.
ფ. 22.

ნაბეჭდი:

ბატონიშვილი ეკატერინე (ისტორიული ამბავი). მონაკვეთები გამო-
კრება და თარგმნა თ. ხუსკივაძემ. „კვალი“, 11 ივლისი, 1893,
№29, გვ. 10-12; 16 ივლისი, №30, გვ. 4-7; 25 ივლისი, №31, გვ.
5-7.

თ. ხუსკივაძე. ბატონიშვილი ეკატერინე (ისტორიული მოთხრობა).
ბათომი: კ. თავართქილაძის და მიქელაიშვილის წიგნის მაღა-
ზიის გამოცემა. 1895 [იმეორებს მოთხრობის წინა, „კვალისეულ“,
პუბლიკაციას].

Дж[ана]швили М. Княгиня Эк.Чичуа, дочь последнего владетельного
князя Гური. „Новое обозрение“, 31 იანვარი, 1896, №4152; 1 თე-
ბერვალი, 1896, №4153 [დაბეჭდილია შემოკლებულად].

ამბავი კნენა ეკატერინე ჩიჩუასი, გურიის უკანასკნელის მთავრის
ასულისა. თარგმნა დურმიშხან ჩოლოყაშვილმა. „მოგზაური“,
1902, №1 (იანვარი), გვ. 54-64; №2 (თებერვალი), გვ. 98-109.

გურიის ამბები. გურიის უკანასკნელი მთავარი მამია გურიელი და კნენა ეკატერინე მამია გურიელის ასული ჩიჩუასი. ამბები კონსტანტინეპოლ[სა] და საქართველოში. ჟურნ. 1900 წ. „მოგზაურ-რიდან“. თფილისი: სახელმწიფო სტამბა. 1919 [გამეორებულია „მოგზაურის“ პუბლიკაცია. ყდაზე შეცდომითაა მითითებული 1900 წელი. უნდა იყოს: 1902 წ.]

ეკატერინე ჩიჩუა. // ფ. დგებუაძე-ფულარია. მოღვაწე ქალები რევოლუციამდელ საქართველოში. სოხუმი: აფხაზეთის სახელგამი. 1957, გვ. 177-187 [ტექსტი არ მიჰყვება დედანს და უფრო გარდათქმაა, ვიდრე თარგმანი].

სათაური: Княгиня Екатерина Чичуа, дочь последнего Владетельного Князя Гурии.

თარიღი: Дек. [დეკემბერი]. 1840.

ხელმოწერა: Дим. Кипиани.

წინამდებარე ტომში იბეჭდება 1840 წლის დეკემბრით დათარიღებული ხელნაწერის ჩვენეული თარგმანი.

გარდა დასახელებული, 1840 წ. დეკემბრით დათარიღებული, ვარიანტისა, არსებობს ტექსტის არაერთი ხელნაწერი პირი:

ა) დაცული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, რაფიელ ერისთავის ფონდში (№1066. რუსულ ენაზე. ხელმოწერეული. დაუთარიღებული. ფ. 18).

ბ) 1840 წლის 30 ივნისით დათარიღებული ხელმოწერეული პირი, რომელიც ხელთ ჰქონდა თეოფილე ხუსკივაძეს, თარგმნა იგი და შემოკლებულად („გამოკრებით“) დაბეჭდა „კვალში“ (იხ. ზემოთ მითითებული ხუსკივაძისეული პუბლიკაცია. თავართქილაძისა და მიქელაიშვილის გამოცემაში თ. ხუსკივაძე ავტორადაა მითითებული, თუმცა სინამდვილეში ეს ასე არ არის; პუბლიკაციაში თვითონ თ. ხუსკივაძე მიუთითებს, უცნობი ავტორის ხელნაწერი ჩამივარდა ხელში და იმის „გამოკრებილ“ თარგმანს ვაქვეყნებო).

გ) პეტრე უმიკაშვილის მიერ „ქმნ-კგ საზოგადოებისათვის“ შეწირული ხელნაწერი, რომელიც ხელმოწერელია, ასევე 1840 წლის 30 ივნისითაა დათარიღებული და რომლითაც უსარგებლია მოსე ჯანაშვილს (იხ. ზემოთ მითითებული ჯანაშვილისეული პუბლიკაცია).

ცნობები ამ ხელნაწერის შესახებ იხ.: ჯანაშვილი 1902^ა, ჯანაშვილი 1902^ბ).

დ) 1840 წლის 30 ივნისით დათარიღებული („დანერილ-არს ტფილისს, 30 ივნისს 1840 წელსა“), ხელმოუწერელი პირი, „ქმნ-კგ საზოგადოებისათვის“ შეწერილი კახელი („ს. ლალისყურიდამ“) თავადის, დიმიტრი ჩოლაყაშვილის, მიერ [აღწერილობა 1967: 56; ხელნაწერში შემომწირველის გვარი სწორედ ამ ფორმითაა აღნიშნული – ჩოლაყაშვილი (და არა ჩოლოყაშვილი, როგორც ეს ტექსტის თარგმანის „მოგზაურისეულ“ ნაბეჭდშია)]. ამ ხელნაწერიდან თარგმანა ტექსტი ქართულად დიმ. ჩოლაყაშვილმა და გამოაქვეყნა ჟურნალ „მოგზაურში“ (1902, №№1, 2).

ე) საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ნიკო ნიკოლაძის არქივში, დაცული კიდეც ერთი პირი – რუსულ ენაზე. ხელმოუწერელი. დაუთარიღებელი. ფ. 16 (ნიკოლაძე 1954: 293).

პუბლიკატორებმა თუ მთარგმნელებმა არ იცოდნენ ავტორის ვინაობა (ისინი, როგორც ითქვა, სარგებლობდნენ 1840 წლის 30 ივნისით დათარიღებული ხელმოუწერელი პირებით) და ამიტომ მოთხრობას აქვეყნებდნენ ან თარგმნიდნენ, როგორც უცნობი ავტორის თხზულებას. ჟურნალ „მოგზაურის“ პუბლიკაციას ახლავს რედაქციის „შენიშვნა“: „ამბავი კნეინა ეკატერინე ჩიჩუასი, გურიის უკანასკნელის მთავრის ასულისა“, რედაქციამ მიიღო კახეთიდან, თავ. დიმიტრი დურმიშხანის ძის ჩოლოყაშვილისაგან. რადგანაც ხელნაწერი შეიცავს ბევრს საინტერესო ცნობებს შესახებ ჩვენის ქვეყნისა, ამიტომ ვბეჭდავთ მას უნაკლულად სრულის სისწორით დედანთან. ვინ არის ავტორი ამ საინტერესო ხელთ-ნაწერისა, არა სჩანს... თვით ჩოლოყაშვილი კი ამის შესახებ გვწერს შემდეგსა: „ხელნაწერის ხელი ნამდვილად განსვენებულის მამიჩემის ხელიაო, მაგრამ გადანერილია იგი, თუ მისგანვეა შეთხზული და შედგენილი, ამის შესახებ სწორეს ვერაფერს ვიტყვიო“. თუ ვინმემ იცის რამე ამ „ამბავის“ დამწერის შესახებ, ვსთხოვთ აცნობონ რედაქციას“ (მოგზაური 1902: 55).

მოგვიანებით (სხვადასხვა დროს) დიმ. ყიფიანის ავტორობა თ. ხუსკივაძეს დაუდასტურეს აკაკი წერეთელმა და კოტე ყიფიანმა (ხუსკივაძე 1902). მოგვიანებით მოსე ჯანაშვილმაც მოთხრობის ავტორად დიმ. ყიფიანი მიიჩნია (ჯანაშვილი 1902^ბ).

დღმ. ყიფიანის მოთხრობაზე დაყრდნობით კოტე ყიფიანს დაუწერია ორმოქმედებიანი დრამა „ეკატერინე ჩიჩუა“ (ხუსკვიადე 1902).

¹ (გვ. 67) **„სოლომონ II-ის ტფილისში წასვლასა და იქიდან თურქეთში გაქცევას...“** – სოლომონ II 1810 წლის მარტის ბოლოს მოტყუებით ჩამოიყვანეს ქართლში და დაატყვევეს, თუმცა იმავე წლის 10 მაისს (სხვა მონაცემით – 11 მაისს) სოლომონმა თბილისიდან გაქცევა მოახერხა და ახალციხეში გადავიდა (დუმბაძე 1957: 192).

² (გვ. 68) **„დაიწყო საკუთარ სასახლეში საღამოებისა და ბალების გამართვა“** – მამია V გურიელის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაზე (მათ შორის, „საღამოებისა და ბალების“ გამართვაზე) იხ. ბალახაშვილი 1940: 25-29 (სხვათა შორის, სანახაობებით გურიის მთავრის გატაცებაზე ყ. ფ. გამბას უწერია: „გურიის მთავარი ისე აღტაცებული იყო გერმანელ აკრობატთა წარმოდგენებით, რომ მისცა მათ რამდენიმე ქცევა მიწა და ხუთი კომლი ყმა, იმ პირობით, რომ კომედიანტები ვალდებული იყვნენ კვირაში სამჯერ მოეწყოთ წარმოდგენები მთავრის კარზე და მთავრის რამდენიმე ყმისათვის ესწავლებინათ თოკზე ჯამბაზობა“ – ბალახაშვილი 1940: 29).

³ (გვ. 69) **„მამია გურიელი გარდაიცვალა 1826 წლის 21 ნოემბერს...“** – სხვა ცნობით, მამია V გურიელი 1826 წლის 20 ნოემბერს გარდაიცვალა (ჩხატარაიშვილი 1983: 396).

⁴ (გვ. 69) **„ექვსკაციან საბჭოში სოფიოს ნების წინააღმდეგ ორი ერისთავიც იქნა შეყვანილი“** – იგულისხმებიან გურული ერისთავები: ვახტანგ და გიორგი, რომლებიც, წყაროების მიხედვით, გურიაში რუსეთის ინტერესების გამტარებლები იყვნენ (ხსენებული ერისთავების, ზოგადად გურიაში დაარსებული დროებით სამმართველო საბჭოს, მისი ფუნქციისა და მიზნების შესახებ და სხვ. იხ.: პაპავა 1990: 341-371; დუმბაძე 1957: 243-244).

⁵ (გვ. 84) **„ყველანი გაამგზავრეს წმ. ნიკოლოზის სიმაგრეში“** – იგულისხმება შეკვეთილის (გურია) წმ. ნიკოლოზის ციხესიმაგრე, რომელიც XVIII საუკუნიდან დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი სამხედრო პლაცდარმი და სავაჭრო ცენტრი იყო.

⁶ (გვ. 85) **„1839 წელს იგი ჩრდილოეთ დაღესტანში იქნა მოკლული“** – დავით მამია V-ის ძე გურიელი შამილის შეპყრობის მიზ-

ნით აულ ახულგოზე მიტანილი შტურმის დროს დაილუპა 1839 წლის 20 აგვისტოს.

⁷ (გვ. 85) „სამეგრელოს მთავრის ან განსვენებულმა მეუღლემ მართა ზურაბის ასულმა“ – მართა ზურაბ ნერეთლის ასული იყო მეუღლე სამეგრელოს მთავრის, ლევან V დადიანისა.

⁸ (გვ. 85) „ეკატერინეს კიდევ ერთი ნათესავის... მარიამ კაციას ასულის, სურვილი...“ – ეკატერინეს დედა, სოფიო გიორგი ნულუკიძის ასული, იყო ძმისშვილი ანა ნულუკიძისა, რომელიც, თავის მხრივ, იყო მეუღლე კაცია II დადიანისა, ოდიშის მთავრისა 1758-1788 წწ.

⁹ (გვ. 85) „აქედან კი გაგზავნეს პეტერბურგში...“ – ეკატერინე გურიელი (ჩიჩუა) პეტერბურგში მთავრის ოჯახის წევრის პატივით იქნა მიღებული, ხოლო მოგვიანებით მიენიჭა უგანათლებულესობის (Светлейшая княгиня) ტიტული. სოფიო და მამია V გურიელების შვილებიდან ბედმა ეკატერინეს ყველაზე ხანგრძლივი სიცოცხლე არგუნა, იგი 1880 წელს გარდაიცვალა – იხ. <http://nobility.pro/genealogy/individual.php?pid=I12765&ged=tree> – 7.IX. 2016).

¹⁰ (გვ. 86) „...იმ სამი დიდან, 1830 წელს რომ გაიყვანეს იმერეთიდან პეტერბურგში“ – გარდა დავით და ეკატერინე გურიელებისა, მამია V-ის შვილები იყვნენ კოჭიბროლა (დ. 1820), სოფიო (1823-1840) და ტერეზია (1825-1871) გურიელები, რომლებიც „იმერეთიდან გაყვანის“ შემდეგ პეტერბურგის ქალთა ინსტიტუტში მიაბარეს (კოჭიბროლა და სოფიო „პეტერბურგის მკაცრ ჰაერს“ ვერ გადაურჩნენო, წერს იონა მეუნარგია – მეუნარგია 1954^ა: 304).

ტერეზია გურიელი იყო სამეგრელოს სამთავრო ოჯახის წევრისა და „კოლხიდელის“ ფსევდონიმით ცნობილი პოეტის, გენერალ-ადიუტანტისა და ინფანტერიის გენერლის, გრიგოლ დადიანის, მეუღლე (ჯვარი დაიწერეს პეტერბურგში, 1845 წელს. ჯვრისწერასა და ქორნილს დაესწრო იმპერატორი ნიკოლოზ I. „გრიგოლის მხრით დედმამად იყვნენ ნინო დედოფალი, ბებია გრიგოლისა და მემკვიდრე ცესარევიჩი ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე. ჯვარი დასწერა ხელმწიფის მოძღვარმა ბაჟანოვმა სასახლის პატარა ეკლესიაში“ – მეუნარგია 1954^ა: 305; ტერეზია გურიელი-დადიანი გარდაიცვალა 1871 წელს; ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში – დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1937, ფ. 25 – დაცულია ქართველ მღვდელმთავართა [გაბრიელ იმერეთის

ეპისკოპოსი, გრიგოლ არქიმანდრიტი (შემდგომში – ეპისკოპოსი) და სხვ.] სიტყვები – წარმოთქმული ტერეზიას დაკრძალვაზე. ბიოგრაფიული მონაცემები მამია V გურიელის შვილების შესახებ იხ. <http://nobility.pro/genealogy/individual.php?pid=I12765&ged=tree> – 7.IX. 2016).

ამ მთისა, იმ მთისა და სხვათა შორის
წოდებრიობისათვის ამიერკავკასიაში (გვ. 87-138)

ნაბეჭდი:

გაზ. „Кавказ“, ოქტომბერ-ნოემბერი, 1853, №№79-81, 83, 84.

О том, о сѣм и между прочим о сословиях Закавказских. Тифлис: Типография Канцелярий Наместника Кавказского. 1853.

ქართული მწერლობა (ოცდაათ ტომად). შემდგენელი: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე. ტ. XX (ტომის შემდგენელი: ა. ბაქრაძე, თ. ჯოლოგუა). ტომის რედაქტორი თ. ჯოლოგუა, მისივე შენიშვნებითა და ბოლოსიტყვით. თბილისი: ნაკადული. 2003, გვ. 28-75.

„დიმიტრი ყიფიანი – 200“. პროექტის ავტორი და კრებულის შემდგენელი ბ. კობაძე. თბილისი: სვეტი. 2014, გვ. 725-763.

თ. ჯოლოგუა. დიმიტრი ყიფიანის ორი საისტორიო თხზულება. თბილისი: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2016, გვ. 21-68.

სათაური: О том, о сѣм и между прочим о сословиях Закавказских.

ხელმოწერა: Д. Кипиани.

ტიქსტი დაუთარილებელია. **თარიღად ვიღებთ პირველნაბეჭდს.**

აქ გადმოღებული გვაქვს ხელმეორედ, 1853 წელსვე კავკასიის მეფისნაცვლის სტამბაში ცალკე წიგნაკად დაბეჭდილი, ტიქსტი.

¹ (გვ. 87) **Mortus est** (ლათ.) – მკვდარი, გარდაცვლილი. აქ: **იმათათვე მკვდარი, მკვდრადნაშობი.**

² (გვ. 87) **Dictionary** (ლათ.) – ლექსიკონი.

³ (გვ. 87) „...დავიცვათ ზრდილობის წესი და არ შევცოდოთ სათუთი ნერვებისა და სათუთი წარმოდგენების წინაშე“ – ძველთაგანვე ითვლებოდა, რომ აღმასს სამკურნალო და მაგიური თვისებები

ჰქონდა და შველოდა მრავალ ავადმყოფობას, მათ შორის: შეშლილობას, შიზოფრენიას, სკლეროზს, აპოპლექსიას, ჭკუანაკლულობასა და სხვ.; იცავდა აგრეთვე მფლობელს მოჩვენებების, ცუდი სიზმრების, ბოროტი სულებისაგან და სხვ.; შესაძლებელია, აქ ავტორს სწორედ ეს გარემოება ჰქონდეს მხედველობაში.

⁴ (გვ. 90) „...**ჩრდილოეთის გზის პრობლემის გადაჭრას რომ დასჭირდა**“ – იგულისხმება „ჩრდილოეთის საზღვაო გზა“, რომელიც რუსეთის ევროპულ ნაწილს შორეულ აღმოსავლეთთან აკავშირებს. ამ საზღვაო გზის გაჭრა რუსეთმა პრაქტიკულად XVII საუკუნის დასაწყისში დაიწყო და დიდი ხარჯისა და მსხვერპლის ფასად ეს პროცესი XX საუკუნემდე გაგრძელდა.

⁵ (გვ. 90) „...**სამეცნიერო ექსპედიციების მისვლა-მოსვლა წყლის დონის დასადგენად**“ – XIX საუკუნის დასაწყისიდან მეცნიერებმა შენიშნეს, რომ წყლის დონე კასპიის ზღვაში პერიოდულად ხანმატულობდა, ხანაც – იკლებდა. შესაბამისად, ან იმის შიში ჩნდებოდა, რომ კასპიის ზღვა დროთა განმავლობაში თანდათანობით დაშრებოდა, ან იმის შიში, წყლის დონე იმდენად მოიმატებდა, რომ ზღვისპირა ტერიტორიებს დატბორავდა. ამის გამო ბაქოში რუსეთისა თუ უცხოეთის სამეცნიერო ექსპედიციების მისვლა-მოსვლა იყო გაჩაღებული (საკითხის გარშემო იხ. ფილიპოვი 1890).

⁶ (გვ. 91) „**და მაინც – კიდევ არსებობდა!**“ – სიტყვათა თამაშია – **Предел**: ა) კიდევ, ზღვარი, ფარგლები; ბ) მხარე, ქვეყნის განაპირა კუთხე.

⁷ (გვ. 91) „...**რომელიც კი ოდესმე თივაზე მჯდარა**“ – იგულისხმება ლოპე დე ვეგას პიესა „ძალი თივაზე“, რომლის სათაური დროთა განმავლობაში იქცა ფიგურალურ სიტყვა-თქმად და იხმარება ისეთი ადამიანის დასახასიათებლად, რომელიც სარგებელს ვერც თვითონ იყენებს და არც სხვას აძლევს მისი გამოყენების საშუალებას.

⁸ (გვ. 91) „...**როგორც ამ ცოტა ხნის წინ ორფილა დაფლეს**“ – **მატეო-ჟოზე ორფილა** (1787-1853), ესპანური წარმოშობის ფრანგი ქიმიკოსი და ტოქსიკოლოგი, ფუძემდებლური ნაშრომების ავტორი ტოქსიკოლოგიასა და სასამართლო მედიცინაში; იკვლევდა შხამთა თვისებებს. 1848 წელს დაუპირისპირდა საფრანგეთის მეორე რესპუ-

ბლიკის ხელისუფლებას და პროტესტის ნიშნად დატოვა ყველა სამეცნიერო თუ აკადემიური თანამდებობა. ამას საზოგადოებაში – განსაკუთრებით, მის მრავალრიცხოვან მონაფეთა შორის – დიდი აურზაური მოჰყვა და მეცნიერი საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. მ.-ჟ. ორფილა მრავალრიცხოვანი პროცესიითა და ხმაურით დაკრძალეს პარიზში, მონპარნასის სასაფლაოზე.

⁹ (გვ. 91) **Miss** (ინგლ.) – ქალიშვილი, გაუთხოვარი ქალი.

¹⁰ (გვ. 102) **„ტერიტორიებადაა დაყოფილი: საქართველო...“** – „საქართველოში“ აქ ქართლ-კახეთი იგულისხმება.

¹¹ (გვ. 103) **„სწრაფვა მიწისა ზეციერისკენ“** – ფრაზა ვლ. ბენედიქტოვის ლექსიდან „Горные выси“ („მთათა მწვერვალები“): „Земли могучие восстанья, / Побегу праха в небеса!“ (ბენედიქტოვი 1939: 49).

¹² (გვ. 105) **Grave** (ინგლ.) – მაღალი ტიტულის მქონე გავლენიანი პიროვნება.

¹³ (გვ. 107) **„სოციალურ ფენას, აზნაურს, ნიშნავს“** – „აზნაური“, ჩანს, დაკავშირებულია სპარსულ სიტყვასთან „აზნა“, რაც **„წარჩინებულს“** ნიშნავს და მას არაფერი აქვს საერთო „ქართლის ცხოვრებისეულ“ აზო/აზონთან („აზნაურის“ ეტიმოლოგიის შესახებ იხ. ჯანაშია 1975: 214).

¹⁴ (გვ. 107) **Ex-professo** (ლათ.) – საქმის მცოდნე, პროფესიონალი.

¹⁵ (გვ. 107) **„...ნმ. მესროპს V საუკუნის დასაწყისში შეუდგენია“** – საკითხის გარშემო მსჯელობისას დიმ. ყიფიანი გვერდს ვერ უვლის იმ დროს გავრცელებულ და მარი ბროსეს ავტორიტეტით გამყარებულ თვალსაზრისს, თითქოს ქართული ხუცური დამწერლობა მესროპ მაშტოცის მიერ იყოს შექმნილი. კერძოდ, მ. ბროსეს შეხედულებით, „ფარნაოზ მეფემ შეადგინა ივერიელებისათვის საერო ანბანი, ნოდებული მხედრულად... ეს ანბანი ისე მჭიდროდ იყო დაკავშირებული სპარსების სჯულზე, რომლიდანაც ის შემოდებული იყო, რომ ეჭვი არ არის, საქრისტიანო ივერიის სამღვდელთა მონადინებული იქნებოდა განთავისუფლებულიყო კერპთ-თაყვანისცემის ამ გვარ ნაშთისაგან. ბაქარ II დროს [დიმ. ყიფიანთან: „არჩილის მეფობის დროს“. სხვათა შორის, საეკლესიო დამწერლობის შემოღებას არჩილ I-ს უკავშირებს დიმ. ყიფიანის ერთ-ერთი წყარო, მიხ. ბარათაევი – ბარათაევი 1844: 87 – თ. ჯ.] მოვიდა ივერიაში ნმ. მესრო-

პი, რომელმაც სომხებისთვის გამოიგონა ასოები, გარეგანი სახით ადვილად გასარჩევი ბერძნულ, სირიულ და სხ. ენების ანბანთაგან. როდესაც მესროპმა ეს დიახ შესამჩნევი საქმე შეასრულა თავის ხალხისათვის, მან განიზრახა ანბანის შედგენა ივერიელებისათვის... მან გამოიგონა აქ ხუცური, ე. ი. სასულიერო ანბანი – ძლიერ მიმსგავსებული ახლად გამოგონილ სომხის ანბანზე – თუმცა ნამდვილად კი ის განსხვავდებოდა მხედრულ ფარნაოზის ანბანისაგან მხოლოდ მარტო სწორის და ოთხ-კუთხივ მოხაზულობით“ [ბროსე 1895: 65-66; უნდა ითქვას, რომ თვალსაზრისს – მხედრული წარმართული ხანის დამწერლობაა, ხუცური კი ქრისტიანულიო, ნიკო მარიც იზიარებდა. კერძოდ, იგი მხედრულს წარმართული ხანის ჩვენამდე მოუღწეველი დამწერლობის „გადმონაშთს“ („перезжиток“) უწოდებს – მარი 1925: 2; იმავე ნაშრომში ნ. მარი აღნიშნავს, რომ რუსულ ენაზე მხედრულის საერო (სამოქალაქო; гражданский) დამწერლობად მოხსენიება გაუგებრობაზეა დაფუძნებული და სინამდვილეში საქმე სულ სხვაგვარადააო: „*მხედრული* происходит от существительного *მჭედარი всадник, конный воин*, и буквально значит *всаднический*, реально же – военный... или рыцарский“ – მარი 1925: 1].

დიმ. ყიფიანიც, მიჰყვება რა მარი ბროსეს თვალსაზრისს, მხარს უჭერს „ქართლის ცხოვრების“ მონაცემს და ქართული დამწერლობის („მნიგნობრობის“) სათავესთან ფარნავაზ I-ს აყენებს, მესროპის სახელს კი ხუცურის წარმოშობას უკავშირებს, თუმცა საინტერესო ისაა, რომ იგი ამ შეხედულებისაგან ერთგვარ „დისტანცირებას“ ცდილობს – ერთ შემთხვევაში ამბობს: „...[ხუცური], *როგორც ნერენ* (კურსივი აქ და ქვემოთ ჩვენია – თ. ჯ.), სომხური აიბ-ბიმის, ანუ ალფაბეტის, შემქმნელ წმ. მესროპს V საუკუნის დასაწყისში შეუდგენია“ (ყიფიანი 1853: 21), ხოლო მეორე შემთხვევაში იმავე საკითხზე მსჯელობისას წერს: „საეკლესიო ანბანის შეთხზვა *მიენერება* (приписывается) წმ. მესროპს, რომელმაც V საუკუნეში სომხური ანბანი შექმნა“ (ყიფიანი 1854: 12).

შესაძლებელია, დიმ. ყიფიანი არ იცნობდა თეიმურაზ ბაგრატიონის ნაშრომს, რომლის ერთი ნაწილის ფრანგული თარგმანი მარი ბროსემ 1836 წელს პარიზში გამოაქვეყნა (ბროსე 1836: 395-397) და რომელშიც თეიმურაზი კატეგორიული ფორმით გამორიცხავს ქარ-

თული ანბანის შედგენაში რაიმე ფორმით მესროპის მონაწილეობას: „ქრისტეს მოსლვითგან მრავალთა წელთა განვლეს, მერმე ქმნეს სომეხთა წერილი თვისი, რომელსაცა იტყვიან იგინი მოძღვრისა მათისა მესროფისათვის, ვითარმედ, მან განაწესა და ქმნა ასონი მათნი, მსგავსნი ქართულის ხუცურის წერილისა ... სომეხნი ვიეთნიმე იტყვიან, რომ სომხური წიგნის ასოები და ქართულის წიგნის ასოები ხუცურიო მესროფმა გააკეთაო. მაგრამ ქართული ხუცური ასოები მესროფს არ გაუკეთებია, დიდი ტყუილი არის. მანამ მესროფ დაიბადებოდა და ამ სოფელში შემოვიდოდა, ადრევე ქართული ხუცური წიგნი იყო და მესროფზედ უწინ, საღმრთოს წერილის მთარგმნელნი ჩვენთა წმიდათა ქართველთა მამათაგანი მრავალნი იყვნეს, რომელნიც ებრაულისაგან და ბერძულისა და ასურულისაგან ქართულად სთარგმნიდნენ...“ (შარაძე 1972: 123-125).

ზოგადად ქართული ანბანის წარმოშობის დაკავშირება მესროპ მაშტოცის სახელთან, როგორც ცნობილია, სომხური წყაროებიდან მომდინარეობს [კორიუნის „მაშტოცის ცხოვრება“, მოვსეს ხორენაცის (მოსე ხორენელის) „სომხეთის ისტორია“...], თუმცა „ცნობა ქართულ-ალბანური ანბანის შედგენაზე მაშტოცის ცხოვრების თავდაპირველს რედაქციაში არ ყოფილა და მერმინდელი ჩანართია“ (ჯავახიშვილი 1996: 196] და, ამას გარდა, „ამავე ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ მესროპ-მაშტოცი თვით არ იყო დაუფლებული ქართულს, რაც სრულიად გამორიცხავს შესაძლებლობას მის მიერ ქართული ანბანის შექმნისას“ (გამყრელიძე 1989: 195; საკითხის გარშემო იხ.: ჯავახიშვილი 1996: 193-200; ალექსიძე 1968: 030-047; პატარიძე 1980: 18-29; მაჭავარიანი 1982 და სხვ.; ზ. ალექსიძის შეხედულებით, ივ. ჯავახიშვილისა და გ. წერეთლის პალეოგრაფიული კვლევების შემდეგ **„მაშტოცის საკითხი საერთოდ მოსწყდა ქართული დამწერლობის წარმოშობის პრობლემას და მხოლოდ ისტორიოგრაფიის საგნად დარჩა“** – ალექსიძე 1968: 033).

¹⁶ (გვ. 107) „...პატივცემული აკადემიკოსი მ. ი. ბროსე“ – მარი-ქსავიე ფელისიტე ბროსე რუსულ წყაროებსა და ლიტერატურაში უმეტესად მარი **ივანეს ძე** ბროსედ მოიხსენიება.

¹⁷ (გვ. 107) „...ვახუშტი ბატონიშვილის მატიანის გამოცემას“ – დიმი. ყიფიანს მხედველობაში აქვს „ქართლის ცხოვრების“ მარი ბრო-

სესეული გამოცემის პირველი ნაწილი (ბროსე 1849^ა; ბროსე 1849^ბ; ბროსე 1851; საკითხის გარშემო იხ. ხანთაძე 1966: 85-109; ბროსე 1999: 129-134).

¹⁸ (გვ. 108) „**Опростоволосился**“ – სიტყვათა თამაშია: ა) განზილ-და (ხათაბალაში გაეხვა); ბ) თმათაგან განიძარცვა.

¹⁹ (გვ. 110) „...**შემოვიდა დასავლეთიდან და, რასაკვირველია, XIV საუკუნის მიწურულიდან**“ – სინამდვილეში ფეოდალიზმს საქართველოში გაცილებით ძველი ისტორია აქვს: „ანტიკურიდან შუა საუკუნეებში გარდამავალ ეპოქაში ქართლში (აღმ. და სამხრ. საქართველო) სოც[იალურ] ურთიერთობათა სისტემამ განიცადა ტრანსფორმაცია – იგი ფეოდალურ ურთიერთობაში გადაიზარდა“ (მელიქიშვილი... 1986: 255).

²⁰ (გვ. 110) „...**ერთ პიროვნებაში – ალაჰის ჩრდილში**“ – „**ალაჰის ჩრდილში**“ იგულისხმება ძალაუფლების (ხელმწიფობის) სათავეში მდგომი პირი (შაჰი სპარსეთში, სულთანი ოსმალეთში).

²¹ (გვ. 111) „**ლერმონტოვს ათქმევინა... ნანგრევებითა სავსეო**“ – ავტორს აქ მხედველობაში აქვს ფრაზა მიხ. ლერმონტოვის პოემიდან „დემონი“ – „Стопосиразные руины...“ [ლერმონტოვი 1910: 4]; თუმცა უნდა ითქვას, რომ „დემონის“ უმეტეს (მათ შორის, აკადემიურ) გამოცემებში ეს ფრაზა ასეა წარმოდგენილი: „Стопосиразные раины [ალვის ხეები]...“ [ლერმონტოვი 1985: 180 და სხვ.].

²² (გვ. 111) „**შიბით აქვს დამშვენებული**“ – „**შიბი**: ყელის ჯაჭვი თვალ-მარგალიტისა (თვალ-მარგალიტითა)“ (ორბელიანი 1966: 299); „ნაქსოვი ან ჯაჭვი თვალ-მარგალიტებითურთ“ (ჩუბინაშვილი 1984: 1520).

²³ (გვ. 113) „**სალამი თურქული სიტყვაა**“ – სინამდვილეში „სალამი“ **არაბული** სიტყვაა („მშვიდობა“, „მშვიდობა თქვენდა“).

²⁴ (გვ. 113) **Monsieur** (ფრანგ.), **Signore** (იტალ.) – მამაკაცის ხსენების ან მისდამი მიმართვის ზრდილობიანი ფორმა საფრანგეთსა და იტალიაში: **ბატონი, ბატონო**.

²⁵ (გვ. 114) „**ულვაში ყველა ქართველში...**“ – აქ: „ქართველი“ – ქართლელი და კახელი.

²⁶ (გვ. 114) „**გურიის საზღვარზე თურქეთში გადახვენილი იმერელი დაიჭირეს...**“ – 1877-1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომამდე აჭარა ოსმალეთის საზღვრებში იყო მოქცეული. შესაბამისად, როცა

დღმ. ყიფიანის ეს ტექსტი იწერებოდა, საქართველოსა და ოსმალეთს შორის საზღვარი გურიანზე გადიოდა.

²⁷ (გვ. 119) „ხოლო VI საუკუნეში...“ – დედანში: „XIII საუკუნეში“, რაც, ჩანს, კორექტურაა, ან კალმისმიერი ლაფსუსი. ყოველ შემთხვევაში, სხვა თხზულებებში (მანამდელშიც, მერმინდელშიც) ავტორი ასურელ მამათა საქართველოში მოღვაწეობას სწორად – VI საუკუნით – ათარილებს.

²⁸ (გვ. 122) „მარტო თემურლენგისა ხუთი გამანადგურებელი შემოსევა...“ – წინამდვილეში საქართველომ 1386-1403 წლებში თემურლენგის რვა გამანადგურებელი ლაშქრობა განიცადა (ტაბაბაძე 1979: 651-652).

²⁹ (გვ. 124) „ალექსანდრე I-მა საქართველოს სამეფო ქართლის, იმერეთისა და კახეთის ცალკეულ სამეფოებად დაშალა“ (გვ. 47) – ალექსანდრე I (1412-1442) თემურლენგისა და თურქმანთა შემოსევებისაგან დაქცეული ქვეყნის აღდგენის, გაერთიანებისა და განვრცობის შემდეგ ბატონიშვილთა და დიდგვაროვანთა წინააღმდეგობას წააწყდა, დაიწყო პროცესი „დიდებულთა გახელმწიფებისა“, რამაც, თავის მხრივ, სახელმწიფოს დეზინტეგრაციას დაუდო სათავე. რაც შეეხება დღმ. ყიფიანის მიერ ნახსენებ „საქართველოს სამეფოს... ცალკეულ სამეფოებად დაშლას“, ეს უფრო გვიანდელი მოვლენაა (იხ. ასათიანი 1963: 111-112). დღმ. ყიფიანი ამ შემთხვევაში ეყრდნობა მარი ბროსეს, რომლის მიხედვითაც, „ალექსანდრემ დანიშნა ქართლის მეფედ ერთი თავისი შვილი ვახტანგი და შერთო მას სითიხათუნი ფანასკერტელის. მეორე შვილი დიმიტრი იმერეთის მეფედ დაადგინა, უმცროსი ძმა კი გიორგი კახეთში გაამეფა. შემდეგ ამისა ის გადადგა ტახტიდამ...“ (ბროსე 1895: 230).

³⁰ (გვ. 125) *Diviser pour régner* (ფრანგ.) – გათიშე და იბატონე!

³¹ (გვ. 125) *Civis optimo jure* (ლათ.) – უმაღლესი უფლებების მქონე მოქალაქე.

³² (გვ. 126) „ორბელიანი, შორეული აღმოსავლეთიდან აქ მოხვედრილი... ემიგრანტი...“ – იმ დროს, როდესაც დღმ. ყიფიანის ეს თხზულება იწერებოდა, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ტრადიციული წარმოდგენა, თითქოს ორბელიანთა შორეული წინაპარი ჩინეთიდან მოხვდა საქართველოში. იოანე ბატონიშვილს (ბაგრატიონს) უწერია:

„თავადი ჯამბაკურიანი [ორბელიანი – თ. ჯ.]. ესე ჯამბაკურ იყო ადგილით კერძოთ ჩინეთისა, რომელ არს კიტაია...“ (ბაგრატიონი 1997: 18; ცნობილია, რომ იოანე ბატონიშვილთან დაცულია შუა საუკუნეების ტრადიცია, მოძებნილიყო წარჩინებულ საგვარეულოთა უცხოური წარმომავლობა. ასე, მაგალითად, იოანე ბატონიშვილის მიხედვით, ამილახვრები საქართველოში მოსული არიან „იტალიიდგან“, ქსნის ერისთავები „თურქისტნის მხრიდგან“, ციციშვილები „ურიასტანიდგან“, აბაშიძეები „აბაშით, რომელ არს ეთიოპია“, თუმანიშვილები „კლიკიიდგან“ და ა. შ. – ბაგრატიონი 1997).

³³ (გვ. 131) „...**ფხე, როგორც ერთი კავკასიელი მწერალი იტყოდა**“ – იგულისხმება **მიხეილ ლივენცოვი (1825-1896)**, გენერალ-ლეიტენანტი, რომელიც 1840-1850 წწ. მონაწილეობდა შამილის წინააღმდეგ ბრძოლებში, აგრეთვე, ყირიმის ომში; ჰქონდა ლიტერატურული ინტერესები და თავის მხატვრულ თხზულებებს (პოეზია, პროზა, დრამატურგია) აქვეყნებდა კავკასიის რუსულ და რუსეთის პრესაში (ფსევდ. М. Л.). რაც შეეხება სიტყვას „**ფხე**“, მ. ლივენცოვს იგი გამოყენებული აქვს მოთხრობაში „**Михако и Нина. Грузинская идилия**“ („**За что буду я с тобой ссориться? Что сестру любиш? Пхе! Важность. Какого ей ещё мужа?**“ – ლივენცოვი 1852: 5). „**ფხე**“ განმარტებული აქვს მიხ. თუმანიშვილს: „**Нину влюблён молодой односелец ея, Михако, и открыв, что страсть его известна брату Нины, Давиду, сильно конфузиться и даже хватается за рукоят кинжала; но видя, что Давид к этому очень равнодушен, даже говорит пхе, что означает здесь эка важность, он ободряется...**“ (თუმანიშვილი 1852). სოლომონ ხუციშვილის თარგმანში: „**მიხაკო... ზოგჯერ ხანჯლის ვადასაც ნაავლებს ხელს, მაგრამ, რადგან ხედავს, რომ დავითი გულგრილია ამ ამბის მიმართ, „ფ ხ ე“-ო, ამბობს კიდევ, რაც ამ შემთხვევაში ნიშნავს – რა დიდი რამეა**“ (თუმანიშვილი 1954: 49).

³⁴ (გვ. 132) „...**დარლოს ექსპედიციაში ვიყავი**“ – იგულისხმება 1845 წლის მაის-ივლისის სამხედრო კამპანია შამილის რეზიდენციის, აულ დარლოს, დასამორჩილებლად. „კავკასიის ომების“ ისტორიაში ეს ბრძოლა, რომელსაც კავკასიის მთავარმართებელი მიხ. ვორონცოვი უშუალოდ ხელმძღვანელობდა, „დარლოს ექსპედიციის“ სახელითაა შესული.

³⁵ (გვ. 135) „...ერეკლეს შვილმა, გიორგი XIII-მ“ – ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე გიორგი XII ადრინდელ წყაროებსა თუ ლიტერატურაში მოიხსენიება როგორც გიორგი XIII. მიზეზი ამისა არის ის, რომ ქართლის მეფე გიორგი XI (1651-1709) ტახტზე ორჯერ ავიდა – 1676 და 1703 წლებში. ამის შესახებ „კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში“ ვკითხულობთ: „Грузинский царь Георгий XII часто называется писателями XIII, но ошибочно, так как в истории Грузии упоминаются только 12 царей под этим именем. Это произошло от того, что Георгий XI, сын Шах Наваза, воцарялся два раза, в 1676 и 1703 годах“ (აქტები 1866: 93; საკითხის გარშემო იხ. ა. განერელიას „ტექსტისათვის“ წიგნში – იოსელიანი 1936: 290).

³⁶ (გვ. 135) „...თავისი სამეფო საბოლოოდ ანდო რუსეთის ხელმწიფის უშუალო მართვა-გამგეობას“ – დიმ. ყიფიანს აქ მხედველობაში აქვს გიორგი XII-ის „სათხოვართა პუნქტები“, რომელიც ქართლ-კახეთის მეფემ თავის დესპან გარსევან ჭავჭავაძეს 1799 წლის სექტემბერში პეტერბურგში გაუგზავნა რუსეთის იმპერატორ პავლე პირველისთვის წარსადგენად. „სათხოვართა პუნქტების“ მიხედვით, გიორგი XII ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის უშუალო გამგებლობაში გადასცემდა: „უმსხვერპლეთ ყოველი სამეფო და სამფლობელო ჩემი უზაკველითა და ქრისტიანებრითა ჭეშმარიტებითა მსხვერპლებითა და დაუდევით არა თუ მფარველობასა ქვეშე უდიდებულესსა დიდსა რუსეთისა საიმპერატოროსა ტახტსა, არამედ დაანებეთ სრულსა ნებასა და მზრუნველობასა მათსა, რათა ამიერთგან დაიდვას სამეფო ქართლოსიანთა საიმპერიოდ რუსეთისად წესითა მით, ვითარცა სხვანი იგი რუსეთსა შინა პყრობილნი პროვინციანი სარგებლობენ“ (იოსელიანი 1936: 92; იხ. აგრეთვე: დუბროვინი 1897: 162-164); უფრო მეტიც, ქართლ-კახეთის მეფე რუსეთში მამულებს ითხოვდა – მომეცესო „რუსეთისა იმპერიასა შინა საშესაბამო აგარაკნი ჩემთვის და ძეთა ჩემთათვის საბოლოოდ და სამკვიდროდ, რომლისაცა ბოძება იქმნების ჩემთვის უმწვერვალესის შეკრულობის ნიშნად“ (იოსელიანი 1936: 92). იმავდროულად გიორგი XII არსებითად ფიქციად ქცეული ტახტის შენარჩუნებასაც ითხოვდა: „შემდგომად მსხვერპლებისა ყოვლად უმდაბლესად წარუდგინეთ იმპერატორსა დიდსა რუსეთისასა... ვითარმედ სახლსა შინა ჩემსა არა ალაყენოს მეფენი, გარდა ოდენ სამე-

ფოს მემკვიდრითი მემკვიდრე ვითარცა წინაპარნი ჩემნი“ (იოსელიანი 1936: 92; ნ. დუბროვინი წყაროებზე დაყრდნობით წერს: „გიორგის სურდა, რომ საქართველოს მეფის ტიტული ჯერ მას, შემდგომ კი მის მემკვიდრე შვილს დარჩენოდა შეზღუდული უფლებით – ხალხი მხოლოდ რუსეთის იმპერატორის მიერ დაწესებული კანონებით ემართა და იმის პირობასაც იძლეოდა, რომ ქართველი მეფე არავითარ ახალ კანონებს არ შემოიღებდა... მეზობელ „მანანალა“ მარბიელთაგან თავდაცვის მიზნით რუსეთს უნდა გამოეგზავნა ექვსიათასიანი ჯარი, რომელსაც საქართველოს ციხესიმაგრეებში ჩააყენებდნენ... ხდებოდა რა რუსეთის სრული (полное) ქვეშევრდომი, ამასთან, გიორგის სურვილი იყო, შეენარჩუნებინა თავისი გავლენა განჯისა და ერევნის ხანებზე, რომლებიც ადრე საქართველოზე იყვნენ დამოკიდებულნი. და თუ ამ ტერიტორიებს სპარსელები დაესხმებოდნენ, საქართველოს მეფე მათ რუსული ჯარის მეშვეობით უნდა დახმარებოდა“ – დუბროვინი 1897: 162-163).

პავლე I-ის პასუხი ის იყო, რომ მან 1800 წლის 18 დეკემბერს, გიორგი XII-ის სიცოცხლეშივე, ხელი მოაწერა მანიფესტს, რომლის ძალითაც უქმდებოდა ბაგრატიონთა სამეფო ტახტი და ქვეყანაში რუსეთის უშუალო მმართველობა მყარდებოდა (ტიქესტი მანიფესტისა გამოქვეყნდა გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ – 1801 წლის 18 იანვარს, თბილისში ჩამოიტანეს იმავე წლის თებერვალში და წაიკითხეს „სიონის ტაძარში ხალხის დაფიცებით რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე. მწირველი იყო თვით კათალიკოსი ანტონ II, რომელსაც აშკარად ეტყობოდა უგუნებოდ ყოფნა. ამ წაკითხვას დაესწრნენ აგრეთვე მემკვიდრე დავითი და მისი ძმები, გენ. ლაზარევი და სხვანი. მეორე დღეს მოხდა ასეთივე ზემოთ მანიფესტის წაკითხვა და ხალხის დაფიცება სომეხთა ვანქის ტაძარში“ – კაკაბაძე 1997: 59).

პავლე I-ის მანიფესტს მიიჩნევს რუსეთთან საქართველოს „შეერთების“ საფუძვლად დიმ. ყიფიანი თავის სხვა თხზულებაშიც: „...1800 წელს – ქართული სამეფოს შეერთება რუსეთთან“ (ყიფიანი 1854: 3); აგრეთვე:

ა) თბილისის გუბერნიაში ბატონყმობის გაუქმებასთან დაკავშირებით 1863 წლის აპრილში ხელისუფლებისათვის წარდგენილ მოხსენებაში („როდესაც საქართველო მეფის გიორგისა და ხალხის სურ-

ვილისამებრ შეერთებულ ექმნა რუსეთის იმპერიასა, მაშინ იმპერატორმა პავლე I-მა მანიფესტითა თვისითა 18-ს იანვარს 1801 წელსა წარმოსთქვა შემდგომი, სხვათა შორის, იმპერატორებითი აღთქმა თვისი...“ – ჩხეტია 1950: 198);

ბ) 1884-1885 წწ. დანერილ „მემუარებში“: „მეფე გიორგიმ უბრძანა თავის ელჩს პეტერბურგში, თ-დ გარსევან ჭავჭავაძეს, რომ ეშუამდგომლა იმპერატორთან – კეთილინებოს და მიიღოს საქართველო თავის უშუალო მმართველობაში და ამით მოასვენოს ქვეყანა გარეშე მტრებისგანაც და შინაური არეულობისგანაცაო“ (ყიფიანი 1930: გვ. 119) და სხვ.

პავლე I-ის მანიფესტი არ ყოფილა რატიფიცირებული და, შესაბამისად, არავითარი იურიდიული ძალა მას არ გააჩნდა (საკითხის გარშემო იხ.: იოსელიანი 1936: 92-113; ბერძენიშვილი 1965^ბ: 240-243; ბერძენიშვილი 1965^ბ: 248-251; კაკაბაძე 1997: 46-58; დუმბაძე 1973: 803-815; დუბროვინი 1897 და სხვ.). ხოლო რაც შეეხება დიმ. ყიფიანის პოზიციას, დიმიტრი ორთოდოქსი მონარქისტი იყო (იხ.: ჯორჯაძე 1989^ა: 424-425; ჯოლოგუა 1993) და, ამდენად, სახელმწიფოებრივ საქმეებში მისთვის ყველა სხვა გარემოებაზე მაღლა მირონცხებული ქართველი მეფის პოლიტიკურ ნება იდგა (ა. ჯორჯაძის მართებული შეხედულებით: „დიმიტრი ყიფიანის... თვალში მონარქის უფლების სისრულე არავითარის ტერმინით განსაზღვრული არ არის“ – ჯორჯაძე 1989^ა: 540).

რუსეთის შემადგენლობაში ყოფნას – დიმ. ყიფიანის მიხედვით, ქართლ-კახეთის კანონიერი მეფისა და ხალხის ნებით განხორციელებულს – ავტორი სხვა ტექსტებში ასეთი რაკურსით განიხილავს: რუსეთის სახელმწიფოებრიობის ფარგლებში ქართველთა ეროვნული თვითარსებობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნება და განვითარება არის არა მარტო **სამართლიანობის**, არამედ რუსეთის სახელმწიფოს **მოვალეობისა** და **პასუხისმგებლობის** საკითხი, ქართველთა მხრიდან კი – არა მარტო სურვილი და ნება, არამედ **უფლებაც**. სწორედ ეს არის დიმ. ყიფიანისათვის რუსეთის ასიმილაციური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის **ლეგიტიმური** და **ლეგალური** საფუძველი.

³⁷ (გვ. 135) „...**1829 წელს, მამია II-ის სიკვდილის შემდეგ**“ – უნდა იყოს: **მამია V გურიელი** (1789-1826). რაც შეეხება მამია II-ს, იგი გურიის მთავარი იყო XVII ს. პირველ მეოთხედში (გარდ. 1625).

³⁸ (გვ. 135) „ტფილისის მოქალაქეთა ნოდება...“ – „ტფილისის მოქალაქეთა“ ფენის ჩამოყალიბება შედეგი იყო ხანგრძლივი პროცესისა. „მოქალაქეებად იწოდებოდნენ მხოლოდ მკვიდრი თბილისელები, ძირითადად სამეფო-სახასო ვაჭრები და ხელოსნები, რომლებსაც ქალაქში ჰქონდათ უძრავ-მოძრავი ქონება და ამ ქონების ფლობის საფუძველზე ქალაქის დავთარში იყვნენ აღრიცხულნი“ (თბილისის ისტორია 1990: 370). არისტოკრატია, ცხადია, არ ირიცხებოდა მოქალაქეთა შორის, „რადგან მოქალაქეობა... მაღალი ფენისათვის შეურაცხყოფელ ნიშანს შეიცავდა. ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენდნენ მხოლოდ ის გააზნაურებული თუ გათავადებული დიდვაჭრები, რომლებიც კვლავ განაგრძობდნენ სავაჭრო საქმიანობას“ (თბილისის ისტორია 1990: 371).

³⁹ (გვ. 136) „ამ თხზულების ბეჭდვისას...“ – დიმ. ყიფიანის ეს თხზულება პირველად დაიბეჭდა გაზეთ „კავკაზში“ (ოქტომბერ-ნოემბერი, 1853, №№79-81, 83, 84).

⁴⁰ (გვ. 138) „ამის მერე საუბარი ამიერკავკასიის მხარის მუსლიმურ ნაწილებზე გვექნება...“ – „ამიერკავკასიის მხარის მუსლიმურ ნაწილებზე“ ამ ტიპის ტექსტი დიმ. ყიფიანს არ დაუწერია.

ჩემო გულითად საყვარელო თეიმურაზ! (გვ. 139-142)

ნაბეჭდი:

ჟ. „ცისკარი“, 1860, №1 (იანვარი), გვ. I-VII.

დიმ. ყიფიანი. რა ხალხია ქართველები? [სერია – „რჩეულთა ბიბლიოთეკა“]. შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, შენიშვნები და ბოლოსიტყვა დაურთო თ. ჯოლოგუამ. თბილისი: ლომისი. 1995, გვ. 3-9.

ქართული მწერლობა (ოცდაათ ტომად). შემდგენელი: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე. ტ. XX (ტომის შემდგენელი: ა. ბაქრაძე, თ. ჯოლოგუა). ტომის რედაქტორი თ. ჯოლოგუა, მისივე შენიშვნებითა და ბოლოსიტყვით. თბილისი: ნაკადული. 2003, გვ. 75-78.

დიმ. ყიფიანი. წერილები (სერია – „ილიას ბიბლიოთეკა. დემოკრატიული ღირებულებები ქართულ კულტურაში“). წინასიტყვაობა რ. ამალღობელისა. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2010, გვ. 13-17.

„დიმიტრი ყიფიანი – 200“. პროექტის ავტორი და კრებულის შემდგენელი ბ. კობახიძე. თბილისი: სვეტი. 2014, გვ. 798-800.

სათაური: ჩემო გულითად საყვარელო თეიმურაზ!

თარიღი: 1860. ქვენატკოცა.

ხელმოწერა: ბაქარ ქართლელი.

აქ გადმოგვაქვს პირველნაბეჭდი.

ტექსტს ახლავს (სქოლიოში: გვ. I) „ცისკრის“ რედაქტორის, ივ. კერესელიძის, შენიშვნა:

„თეიმურაზმა რომ ბაქარ ქართლელისაგან ახალი ნათარგმნი რომანი აღგვიტევა, კიდეც გამოგვიგზავნა და რედაქცია მომავალის ფებერვლიდამ იწყებს ამ რომანის ბეჭდვას. ბაქარს ამ რომანთან თეიმურაზისათვის ნიგნი მიუწერია და ამ ნიგნსკი აქავე ვბეჭდავთ შესავალის ნაცვლად ჩვენის „ცისკრის“ დასაწყისში. ქართული ენის შესახებია ეს ნიგნი და ვალად ჰრაცხს რედაქცია, რომ ყოველს ქართველს ახლავე ნააკითხოს. თუ ამ ნიგნის დაბეჭდვა ჩვენმა ბაქარმა გვიწყინა, ისევე თეიმურაზმა გასცეს პასუხი. – რედ. კერ.“

„ბაქარ ქართლელისგან ახალ ნათარგმნ რომანში“ იგულისხმება ფრანგი მწერლის ოკტავ ფეიეს (ფელიეტის) „ღარიბის ყმანვილი კაცის რომანი“, რომელიც ქართულად თარგმნა დიმ. ყიფიანმა და ბაქარ ქართლელის ფსევდონიმით გამოაქვეყნა ჟურნალ „ცისკარში“ (1860, №№2-5 – იხ. ფელიეტი [ფეიე] 1860^ა; იმავე წელს თარგმანი ნიგნადაც გამოქვეყნდა – იხ. ფელიეტი [ფეიე] 1860^ბ).

დიმ. ყიფიანის მიერ ეპისტოლარული ფორმით დაწერილი ეს ტექსტი არსებითად ლიტერატურული მისტიფიკაციაა და მას საინტერესო ისტორია აქვს:

1860 წლისთვის ივ. კერესელიძის „ცისკარს“ მხოლოდ 118 ხელის მომწერი ჰყავდა, რამაც ჟურნალს დახურვის საფრთხე შეუქმნა. ამგვარ ვითარებაში თითქოს იმერელი თეიმურაზ ვაკელი ჟურნალის რედაქციას უგზავნის ბაქარ ქართლელის მიერ მისთვის გაგზავნილ წერილს, რომელშიც „ცისკრის“ მდგომარეობის გამო გულისტკივილია გამოხატული (ეს ხერხი – მიმოწერა ბაქარ ქართლელსა და თეიმურაზ ვაკელს შორის – დიმ. ყიფიანს სხვაგანაც არაერთხელ აქვს გამოყენებული, მათ შორის, წინამდებარე ნიგნში შესულ ტექს-

ტებშიც). სინამდვილეში ეს ყველაფერი, როგორც ითქვა, ლიტერატურული ხერხია და „ბაქარ ქართლელიცა“ და „თეიმურაზ ვაკელიცა“ დიმი. ყიფიანის ფსევდონიმებია. მთელს ამ მისტიფიკაციაში **იმერელი** „თეიმურაზ ვაკელის“ ჩართვა, როგორც ჩანს, იმან განაპირობა, რომ „ცისკარს“ იმერეთში (საერთოდ, დასავლეთ საქართველოში) გაცილებით უფრო ცოტანი იწერდნენ, ვიდრე ქართლ-კახეთში.

საინტერესოა ისიც, რომ დიმი. ყიფიანის ამ თხზულებას დართული აქვს (გვ. VIII) თეიმურაზ ვაკელის (ანუ დიმი. ყიფიანის) „დაპირება“:

„ღმერთმა მკითხოს, თუ მე ქართველების პატიოსნებაზედ და გულის სიკეთეზედ ეჭვი მქონდეს. ვინ იქნება ისეთი... ისეთი... ერთის სიტყვით, ვინ იქნება ისეთი, რომ შვიდი მანათი უჭყავოდეს და ქართულის ენისათვის, ქართულის მწიგნობრობისა და ჟურნალისათვის დაიშუროს? რაკი ბევრნი მოვანერთ ხელსა, მაშინ რედაქციაც იფიქრებს რასმე და თავისს საქმეს კარგათ დაანყობს. მე ასე მგონია და ამ „ღარიბი ყმანვილიკაცის რომანსაც“ იმ რედაქციას ვუგზავნი: ჩემია ახლა ეს წიგნი და ვისაც „ცისკარი“ არა აქვს დაბარებული, ზედაც არავის შეახედოთ. მე ჩემს ბაქარს ისეთს ანბებს დავანერინებ კიდევაც, რომ სული მისდიოდეთ, რატომ ჩვენც არ მოგვდისო.

თეიმურაზ ვაკელი

სოფ. ფარცხანაყანევი“

ლიტერატურული „თამაშის“ ნაწილია, სხვათა შორის, ისიც, თითქოს ბაქარ ქართლელის ტექსტი დაწერილი იყოს სოფელ ქვენატკოცაში (ეს სოფელი ქართლშია), ხოლო თეიმურაზ ვაკელისა – იმერეთის სოფელ ფარცხანაყანევიში.

დიმი. ყიფიანის თხზულებას შესამჩნევი რეზონანსი მოჰყვა და ამ რეზონანსის ერთი კონკრეტული გამოხატულებაა საზოგადოებრივი ნდობითა და ავტორიტეტით აღჭურვილი პირის, იოსებ მამაცაშვილის, გამომხაურება იმავე „ცისკრის“ მომდევნო, მეორე, ნომერში (ვიმონმებთ ფრაგმენტს): „წავიკითხეთ რა ამ იანვრის ნომერი, ვნახეთ, რომ მწერალი, ცნობილი დიდის ნიჭიერებითა და კეთილ განზრახვითა, ბაქარ ქართლელი, მართლის მთქმელი და ყოვლის ღირსებით აღმსილი, სწერს ფრიად საგრძნობელს წიგნს თავისს მეგობარს თეიმურაზს. ეს არ დარჩება უნაყოფოდ...“ (მამაცაშვილი 1860: 156-157).

მართლაც, ეს „არ დარჩენილა უნაყოფოდ“ და ჟურნალის მომდევნო, მესამე, ნომერში დაიბეჭდა ივ. კერესელიძის აღფრთოვანებული მიმართვა „თეიმურაზ ვაკელისადმი“ (კერესელიძე 1860; ვიმონებთ სრულად):

„თქვენმა შემწეობამ და თქვენგან ხელის გამართვამ რედაქციას ისეთი საქმე დამართა, რომ სწორეთ გაუძნელა საქმე. მოლოდინი რომ არა ჰქონია, რომ „ცისკარს“ მრავალნი მოითხოვდნენ, – მხოლოდ ორასს წიგნსა ჰბეჭდავდა* და რა, რომ თქვენ, თქვენი ღვთისაგან კურთხეულის იმერეთიდან ბაქარ ქართლელის წიგნი დაგვაბეჭდინეთ, იმდენს წიგნსა გვთხოვენ, რომ ჩვენდა სამწუხაროდ, – ან უარი უნდა მოვახსენოთ ახალს ხელის მომწერლებსა, ან რაც აქამდისინ არის დაბეჭდილი, ხელ-ახლად უნდა დავბეჭდოთ. უარის თქმა დიდად გვიჭირს, რადგან ვჰგრძნობთ, ჩვენი ვალია, რომ წიგნი ყოველს კაცს მიუვიდეს, ვინცკი ისურვებს; – ხელ-ახლად დაბეჭდვას შრომაც და ხარჯიც ახალი მოუნდება. ყოველის გულის მოდგინებითკი ვეცდებით, რომ ამ გაჭირვებისაგან გამოვიდეთ როგორმე; მაგრამ უნდა მოვახსენოთ, რომ ეს გაჭირვება არის სასიქადულო ჩვენთვისა. ჰსჩანს, რომ დიდხინითგან მილულებული ქართული მწიგნობრობა იღვიძებს და შესაბამად ამერ-იმერნი მამულის ერთგულებისა და მამაპაპათ სიტყვიერების სიყვარულისა გამოფხიზლებას აპირებს. რადგან თქვენ ხართ შემძრევი მძინარესი, თქვენ მოგვანოდეთ მეგობრული ხელი თქვენის ფარცხანაყანევითგან და თქვენს მაგალითს იმერელნი და მეგრელნიცა მრავლობითა და ყოვლად საქებარის სიჩქარით შეუდგნენ. თქვენ და თქვენით მთელს იმერეთისა და სამეგრელოს საზოგადოებას უნდა შემოგწიროთ მადლობა ჩვენის მხურვალეს გულითა და თქვენს მხარესა ვჰხადიდეთ ჩვენის ხელის გამმართავად და კეთილს იმედზედ დამდგინებლად. კეთილი საქმე საქებარ არს კაცთაგან და შესაწყნარებელი ღვთისაგან. მად-

* „ცისკარის“ ხელის მომწერთა რაოდენობა და ტირაჟი ხშირად არ ემთხვეოდა ერთმანეთს – ნაწილს ტირაჟისას ივ. კერესელიძე „თითქმის უფასოდ“ არიგებდა, ამას გარდა, ზოგიერთი შეგნებული პირი რამდენიმე ცალს იწერდა და უფასოდ ავრცელებდა (კალანდაძე 1984: 71-72).

ლობასა ამას გულის სინრფელით მოვახსენებთ აგრეთვე კნ. ზაქარია ერისთავს და უფ. დ. ბაქრაძეს ამ საზოგადოდ კეთილ საქმეში დახმარებისათვის. ვაი ჩვენი ბრალი, პატივცემულო თეიმურაზ, რომ ზოგიერთს აქაურს მხარეზედ არა გვეთქმისრა, საიდამაც სხვა და სხვა საისტორიო მიზეზებით უფრო უნდა გვექონოდა იმედი, მაგრამ კიდევაც ვჰსასოებთ, რომ მოუცლელობაა მიზეზი აქაურებისა და რაოდენიმე მცონარებითი დაუდევნელობაცა. – იყავნ ნება უფლისა.

რედ[აქტორი]“.

თუ როგორი რეზონანსი მოჰყვა საზოგადოებაში დიმ. ყიფიანის ტექსტს, ამის საილუსტრაციოდ შეიძლება დავიმონწიოთ აგრეთვე ტატო მაყაშვილის წერილი „ცისკრის“ რედაქტორისადმი (მაყაშვილი 1860: 139-140), რომელშიც წერილის ავტორი ამბობს – „ბაქარ ქართლის მიწერილმა წიგნმა“ უკიდურესად შემანუხა, მით უფრო, მე თვითონ ჟურნალის გამონერა დამავიწყდა, თუმცა ეს სიძუნწით კი არ მომსვლია, არამედ „მხოლოდ ზარმაცობით და დაუდევნელობით“ მომივიდაო, შემდეგ კი დასძენს: „მე რომ ნავიკითხე შედგენილი სია, რომ მრთელს ქართლსა და კახეთში ყოფილან ხელის მომწერნი 118 კაცნი, მაშინ ვიგრძენ და ვიფიქრე: ვაიმე ჩვენო ძველო ბერო კაცო (ქართულ ენას გულისხმობს – თ. ჯ.), ნახვედი საუკუნესა და ვილა გიპოვით, რაკი აღარა სჩანს მომატებით მძებნელი ბერის კაცისა და მსურველი თავიანთ ენის განვრცელებისა“ (მაყაშვილი 1860: 140).

¹ (გვ. 139) **„ადგები და „ცისკარში“ გაგზავნი დასაბეჭდათა განა?“** – ივ. კერესელიძის ყოველთვიური ლიტერატურული („სიტყვიერებითი“) ჟურნალი „ცისკარი“ თბილისში გამოდიოდა 1857-1875 წლებში. არსებითად აქ ჩაეყარა საფუძველი ქართულ სალიტერატურო კრიტიკასა (ნიკ. ბერძნიშვილი) და პუბლიცისტიკას („სალაყბოს ფურცლები“); აქვე დაიწყო „მამებისა“ და „შვილების“ ცნობილი ლიტერატურულ-მსოფლმხედველობრივი დაპირისპირება. ჟურნალს ახასიათებდა ენობრივი, ლიტერატურული და მსოფლმხედველობრივი ეკლექტიზმი, ხოლო დახურვის მიზეზები იყო უკიდურესი ხელმოკლეობა, ლიტერატურული მასალის ნაკლებობა, რედაქტორ-გამომცემლის ავადმყოფობა... (ივ. კერესელიძის „ცისკარზე“, აგრეთვე,

წყაროები და ლიტერატურა საკითხის გარშემო იხ. ჯოლოგუა 2013: 142-190).

² (გვ. 141) **„უფალმა მსახური განაგდო, ერთის ტალანტის დამარხავით“** – იგულისხმება სახარებისეული იგავი იმ მონის შესახებ, რომელმაც პატრონისაგან ნაბოძები ერთი ტალანტი კი არ გაამრავლა, არამედ მიწაში დაფლა, რასაც მოსდევს მცნება: „ყოველსა, რომელსა აქუნდეს, მიეცეს და მიემატოს; და რომელსა არა აქუნდეს და რომელი-ღა აქუნდეს, მო-ვე-ლოს მისგან“ (მათე 25: 14-30).

³ (გვ. 141) **„საქართველო-იმერეთში ასთვრამეტნი ვართ“** – იგულისხმება: **აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში** (მთელს საქართველოში, ამერ-იმერში).

⁴ (გვ. 141) **„მაშინვე ამოიღო შვიდი მანათი და კერესელიძეს გაუგზავნა“** – იგულისხმება უურნალ „ცისკრის“ რედაქტორ-გამომცემელი ივანე კერესელიძე.

⁵ (გვ. 142) **„შენმა ქართველებმა...“** – იგულისხმება: **ქართლებმა და კახელებმა**.

⁶ (გვ. 142) **„ბაქარ ქართლელი“** – დიმ. ყიფიანის ძირითადი ფსევდონიმი. ამ ფსევდონიმით დიმ. ყიფიანს გამოქვეყნებული აქვს ლიტერატურული წერილები, თარგმანები, მხატვრული ნაწარმოებები (იხ. დიმიტრი ყიფიანის ნაბეჭდ თხზულებათა ბიბლიოგრაფია – ჯოლოგუა 2002^ბ: 261-270). ამას გარდა, ავტორი თავის ნაწერებში ზოგჯერ მიმართავს **„თეიმურაზს“** და **„თეიმურაზ ვაკელს“**, რაც, როგორც ზემოთ ითქვა, ლიტერატურული ხერხია და სინამდვილეში „თეიმურაზიცა“ და „თეიმურაზ ვაკელიც“ თვითონ დიმ. ყიფიანია.

დიმ. ყიფიანს თითო-თითო თხზულება სხვა ფსევდონიმებითაც აქვს დაბეჭდილი:

„მყვირალა (ქართლელი)“ (ყიფიანი 1864^ბ: 60-80; ტექსტის ატრიბუციის შესახებ იხ.: ჯოლოგუა 2002^ბ: 35-36; საშვილიშვილო მოკავშირე... 2011: 236-237).

„ბ. ქ.“ (ყიფიანი 1875). ეს არის შემოკლებული ვარიანტი დიმ. ყიფიანის ძირითადი ფსევდონიმისა (**ბ[აქარ] ქ[ართლელი]**). ტექსტი ეხება სცენისმოყვარეთა მიერ ქვიშხეთში გამართულ თეატრალურ წარმოდგენას.

„ერთი 126 შემდეგენტოგანი“ (ყოფიანი 1881). ეს უკანასკნელი ფსევდონიმი დიმ. ყოფიანისა რომ არის და არა იაკობ გოგებაშვილისა, როგორც ეს ქართული გაზეთების ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაშია მითითებული (ანალიტიკური ბიბლიოგრაფია 1952: 623, 963), ეჭვიუტანლად დასტურდება შემდეგი გარემოებით: ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (ს. მესხის არქივი, №71, ფ. 2) დაცულია ამ ტექსტის (ეხება „ქმნ-კგ საზოგადოების“ საქმიანობას) დიმ. ყოფიანისეული ავტოგრაფული ხელნაწერი, რომელშიც მითითებულია დაწერის თარიღი – 1881 წ. 22 ნოემბერი და ადგილი – ქვიშხეთი. ხელნაწერ ტექსტს ახლავს დიმ. ყოფიანის წერილი „დროების“ იმდროინდელ რედაქტორ ს. მესხისადმი. წერილის ავტორი ადრესატს სწერს: „ჩემი პსევდონიმის გამოცხადება მგონია საქმისათვის არ ივარგებდეს“.

თავად ანჩაბაძისა და თავად ინალიშვილის ქალის ანბაპი (გვ. 143-147)

ხელნაწერი:

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყოფიანის არქივი, საქმე №77.
ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. ფ. 5.

ნაბეჭდი:

Атаყад Ачбеи (Анчабазе) атаყад Инал-иџа иџџаи раџџанџь [თავად აჩბასა (ანჩაბაძე) და თავად ინალ-იფას ქალის ამბავი]. თარგმნა ბ. გურგულიამ. ო. ჭურღულისას პუბლიკაცია, მისივე წინათქმით. გაზ. „Аџсны Капшы“ [„აფსნი ყაფშ“ („წითელი აფხაზეთი“)], 10 თებერვალი, 1971, №28 (აფხაზურ ენაზე).

თავად ანჩაბაძისა და თავად ინალ-იფას ქალის ამბავი. ო. ჭურღულისას პუბლიკაცია. გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, 4 იანვარი, 1972, №2.

ძალა სიყვარულისა. ქ. ჩხატარაიშვილის პუბლიკაცია. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 27 აპრილი, 1984, №18 [დასათაურება პუბლიკატორისაა].

თავად ანჩაბაძისა და თავად ინალ-იფას ქალის ამბავი. ო. ჭურღულისას პუბლიკაცია. ჟ. „რინა“, 2002, №1-2, გვ. 75-77.

თავად ანჩაბაძისა და თავად ინალ-იფას სიყვარულის ისტორია.
ო. ჭურღულიას პუბლიკაციის გამეორება [შემოკლებით]. გაზ.
„სოხუმის სადროშო“, 21 თებერვალი, 2002, №3-4.

ტექსტი უსათაუროა, ხელმოუნერელია, დაუთარიღებელია. მცი-
რეოდენი შესწორებით (დედნისეული „ანბავი“, ნაცვლად „ამბავი-
სა“) ვიმეორებთ შ. გოზალიშვილისეულ დასათაურებას (გოზალი-
შვილი 1951: 15; იქვე, შ. გოზალიშვილთან, მითითებულია ქვესა-
თაური – „Анчабадзе-Иналипа“, მაგრამ სინამდვილეში ეს არის არა
ავტორისეული დასათაურება, არამედ გვიანდელი – როგორც ჩანს,
ხელნაწერის აღმწერის მიერ – ფანქრით შესრულებული მინაწერი.
იქვეა იმავე ხელით შესრულებული სხვა მინაწერებიც: „VII“, „შემო-
ქმედება“...).

დათარიღების საშუალებას იძლევა თვითონ ტექსტის მონაცემი:
„...ნამოსულა იქიდგან ანჩაბაძე **ნარსულის 1861-ის წლის** ნოემბრის
თვეში“. აქედან გამომდინარე, დიმ. ყიფიანის წინამდებარე თხზუ-
ლება **1862 წლით უნდა დათარიღდეს**.

ო. ჭურღულიას მიერ როგორც აფხაზურ, ისე ქართულ ენებ-
ზე გამოქვეყნებულ ტექსტებში პერსონაჟის გვარი **ინალიშვილი**
შეცვლილია აფხაზური ფორმით – **ინალ-იფა**, რაც იმდროინდელი
კონიუნქტურით უნდა იყოს ნაკარნახევი (ქ. ჩხატარაიშვილთან **ინა-
ლიშვილია**). ჩვენ აღვადგინეთ დედნისეული ვითარება.

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით.

პირველნაბეჭდს („აფსნი ყაფშ“) წამძღვარებული აქვს ოთარ
ჭურღულიას წინათქმა, რომელიც ჩვენი თხოვნით აფხაზურიდან
ქართულ ენაზე თარგმნა რიტა მარლანიამ (ვიმონმებთ სრულად):

„დიმიტრი ყიფიანი XIX საუკუნის ერთ-ერთი ცნობილი
საზოგადო მოღვაწეა. ის იყო მწერალი, პრინციპული პუბლი-
ცისტი და მთარგმნელი. ადამიანი მაღალი ღირსების, დაულა-
ლავად მზრუნველი თავისი ხალხის ბედ-იღბალზე. 1830 წელს
დაამთავრა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი. მო-
წინაწილობდა 1832 წლის შეთქმულებაში. შეთქმულ ქართველებს
გვერდით ედგა აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის, აჰმითბის

(მიხეილის), უმცროსი ძმა კონსტანტინე ჩაჩბა (შერვაშიძე). ამ შეთქმულებაში მონაწილეობის გამო დ. ყიფიანი ვოლოგდაში გადაასახლეს. 1837 წელს სამშობლოში დაბრუნების შემდეგ სამოხელეო სამსახური დაიწყო. წარმატებით მუშაობდა, მალე მოიხვეჭა სახელი და ადგილი საზოგადოებაში, თუმცა ვერ ეგუებოდა მთავარმართებლის კოლონიურ პოლიტიკას. 80-იან წლებში დ. ყიფიანმა რუსიფიკაციის პოლიტიკისთვის მკაცრად გააკრიტიკა მთავარმართებელი დონდუკოვ-კორსაკოვი. ამის გამო 72 წლის მოხუცი 1886 წელს ადმინისტრაციული წესით სტავროპოლში გაგზავნეს (სინამდვილეში ეს გადასახლება ნიშნავდა). იქ კი 1887 წელს მთავარმართებლის აგენტებმა ვერაგულად მოკლეს.

დ. ყიფიანი აქტიურად მონაწილეობდა ლიტერატურულ ცხოვრებაში. მან პირველმა თარგმნა ქართულ ენაზე შექსპირის პიესები: „რომეო და ჯულიეტა“, „ვენეციელი ვაჭარი“, მოლიერის „ცოლის შერთვევინება“, ბომარშეს „სევილიელი დალაქი“, შეადგინა „ახალი ქართული გრამმატიკა“ და დაგვიტოვა მნიშვნელოვანი „მემუარები“, რომელიც 1930 წელს ს. ხუნდაძემ ცალკე ნიგნად გამოსცა.

დ. ყიფიანის სახელი დაკავშირებული იყო მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებთან. მათ შორისაა: სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, თეატრი, საჯარო ბიბლიოთეკა.

დ. ყიფიანმა დაგვიტოვა ვრცელი ისტორიული მასალა, ხელნაწერები, მიმოწერა. ის იყო განათლებული, ევროპული ტრადიციით აღზრდილი. როგორც ს. ხუნდაძე აღნიშნავს, ნე-ბისმიერი მნიშვნელობის დოკუმენტს ინახავდა, რადგან იცოდა მათი ფასი.

დ. ყიფიანი დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურთა წინამძღოლად აირჩიეს. კავკასიის მთავარმართებელმა ის აფხაზეთში გაგზავნა, რათა გაერკვია 50-იან წლებში მიმდინარე მოვლენები (აფხაზი ხალხის უკმაყოფილება), ასევე მთავარ ჩაჩბას (შერვაშიძე) ამ პროცესებში მონაწილეობის საკითხი. დ. ყიფიანის აფხაზეთში საქმიანობა კარგადაა აღწერილი

ისტორიკოს ს. ესაძის წიგნში „ისტორიული წერილები კავკასიის მმართველობის შესახებ“ [ტ. I. ტფილისი, 1907 (რუსულ ენაზე)].

აფხაზეთში დ. ყიფიანი იყო აფხაზების თვალყურმადევარი, მას აინტერესებდა აფხაზი ხალხის ბედი, ისტორია, ყოფაცხოვრება, სულიერი და მატერიალური კულტურა. ის ცნობილ ხალხურ ლეგენდებსა და თქმულებებს უბის წიგნაკში იწერდა. აფხაზებს შორის დიმიტრი ყიფიანს ბევრი მეგობარი ჰყავდა, ხშირად ჰქონდა მათთან მიმოწერა. ეს მასალები საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტში, დ. ყიფიანის პირად არქივში, არის დაცული.

დ. ყიფიანის აფხაზი მეგობრებიდან აღსანიშნავია კონსტანტინე და გიორგი ჩაჩბები.* ისინი იყვნენ აფხაზეთის მთავრის, მიხეილის (აჰმითბეი), ძმები. როგორც ზემოთ ითქვა, დიმიტრი და კონსტანტინე 1832 წლის შეთქმულების მონაწილეები იყვნენ. მათი მეგობრობა სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდა.

გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს, გენერალ გიორგი ჩაჩბას (შერვაშიძე)** და დიმიტრი ყიფიანს ერთმანეთთან განსაკუთრებული მეგობრობა აკავშირებდათ – ქართველი და აფხაზი ერების საუკეთესო შვილების მეგობრობა. 1884 წელს დ. ყიფიანი თავის მეგობარ გ. ჩაჩბას წერილს სწერს:

„შენ აღმიდგინე ისევე იმედი, შენ განმიცხოველე და გულდამშვიდებული ვარ, რომ ისევ შენი ძველი მეგობრობა, 47 წლის მეგობრობა, გამიმართავს ხელს და დიდის განსაცდელი-საგან გამომიყვანს. ხორციელი კაცი არ იბოვება ქვეყანაზედ, რომ იმედი მქონიყოს იმისი, როგორც შენი მაქვს“ (საქართვე-

* მიხეილს ძმა – სახელად გიორგი – არ ჰყოლია. აქ ნახსენები გიორგი ჩაჩბა უნდა იყოს თბილისის გუბერნატორად ნამყოფი (1888-1897) **გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძე** (1847-1918), რომელთანაც დიმიტრი ყიფიანს მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა. **თ. ჯ.**

** სინამდვილეში ეს არის არა გიორგი ჩაჩბა (შარვაშიძე), არამედ **გრიგოლ ალექსანდრეს ძე შარვაშიძე**, რომელსაც 1884 წელს მატერიალურად შეჭირვებული დიმიტრი ყიფიანი მეგობრულ დახმარებას სთხოვს (იხ. ხეც. დიმიტრი ყიფიანის არქ., საქ. №№849, 1721). **თ. ჯ.**

ლოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. დიმიტრი ყიფიანის არქივი, საქმე №582) [ახალი აღწერილობით №849 – თ. ჯ.].

დიმიტრი ყიფიანის არქივში ასევე ინახება მიხეილ ჩაჩბას წერილები დიმიტრისადმი.*

1862 წელს აფხაზეთში ყოფნისას დიმიტრი ყიფიანის მიერ თავის უბის წიგნაკში აფხაზების ყოფა-ცხოვრების შესახებ ჩანწერილი ამბებიდან ერთ-ერთის მსგავსი ფაბულა გამოიყენა აფხაზმა მწერალმა მიხეილ ლაკერბაიმ თავის პიესაში „დანაყაი“.

დიმიტრი ყიფიანის მიერ ჩანწერილი ერთ-ერთი რეალური ფაქტი თუ, შეიძლება ითქვას, ლეგენდაა „თავად აჩბასა (ანჩაბაძე) და თავად ინალ-იფას ქალის ამბავი“.

* აქ ნახსენები მიხეილ ჩაჩბა არის გენერალ გრიგოლ შარვაშიძის ძმა მიხეილ ალექსანდრეს ძე შარვაშიძე (ჩაჩბა). ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია მიხ. ალ. შარვაშიძის ორი წერილი დიმ. ყიფიანისადმი, რომელთაგან ერთ-ერთს, 1858 წ. 13 ივნისს სოუქსუდან (ლიხნიდან) გამოგზავნილს, აქ სრულად ვიმონებთ:

„თქვენო აღმატებულებაჲ დიმიტრი ივანიჩ!“

უპატივცემულესმან წერილმან თქუენმან ლ[30]-ს აპრილიდამ მოწერილმან დიდათ მასიამოვნა, პირველად რომ მასმინა სიმრთელით გეზი თქვენი ვითარცა გულითადის მეგობრისა და მასთანვე განწესება ჩვენს ქვეყანაში ღენერლის მიხაილ ლორის მელიქოვისა. ამისათვის ჩემს გულითადს მადლობას განგიცხადებ, და ან, ვითარ მე იგი მახლობლად გავიცან, ჭეშმარიტად თქვენგან მიჩემებული მაზედ ქეზი ნამდვილ მიესაკუთრება მას და დიდი მოხარული ვარ ესოდენის კეთილის გვამის ჩვენს ქვეყანაში შემოსვლისათვის და სრული იმედი მაქვს, უფალი მელიქოვი, რაოდენ იქმნება სასარგებლო თვისის სამსახურისათვის, უმეტესდა ჩვენის მამულისათვის და იჭვი არ არის, თქმული კეთილ-შობილური თვისება მისი დასასრულ დაგვირგვინდება საქმითაცა. –

მიიღეთ დარწმუნებაი სრულის ჩემის თქვენდა პატივისცემისა და სათნოებისა

თქვენი აღმატებულების მორჩილი მოსამსახურე
მიხეილ შარვაშიძე“ (ხეც. დიმ. ყიფიანის
არქ., საქ. №1714, ფ. 1).

თ. ჯ.

წინათქმა უძღვის ოთარ ჭურღულის მიერ „საბჭოთა აფხაზეთში“ გამოქვეყნებულ ტექსტსაც, რომელსაც შემოკლებით ვიმონებთ:

„თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით დიმიტრი ყიფიანი დაკავშირებული იყო დასავლეთ საქართველოსთან, კერძოდ, აფხაზეთთან. კავკასიის მმართველობის მიერ იგი მივლინებული იყო აფხაზეთში 60-იანი წლების დასაწყისში აფხაზი ხალხის უკმაყოფილების მიზეზების დასადგენად და ამ საქმეში მთავრის – მიხეილ შარვაშიძის (ჩაჩბას) მონაწილეობის გასარკვევად... დიმიტრი ყიფიანს აფხაზეთში ყოფნის დროს 1862 წელს ჩაუნერია მეტად საყურადღებო ამბავი აფხაზთა ცხოვრებიდან, რომლის დაახლოებით ანალოგიური ფაბულა გამოყენებული აქვს აფხაზ მწერალს მიხ. ლაკერბაის პიესის „დანაყაი“ საფუძვლად“.

თარიღის დასაზუსტებლად ვიტყვი, რომ კავკასიის მმართველობის მიერ მიხეილ შარვაშიძის საქმეების გამოსარკვევად დიმიტრი ყიფიანი გაგზავნილი იყო უფრო ადრე, რუსეთ-ოსმალეთის 1853-1856 წწ. („ყირიმის“) ომის დროს, კერძოდ, 1855 წელს. აფხაზეთის მთავარმა მიხეილ შარვაშიძემ 1854 წლის მაისში ცოლ-შვილი სამეგრელოში – თავისი სიმამრის, გიორგი დადიანის, ოჯახში – გადმოიყვანა, თვითონ კი ოსმალთა მიერ დაპყრობილ აფხაზეთში დაბრუნდა. ამან რუსეთის ხელისუფლებაში დაბადა ეჭვი მთავრის ორგულობის შესახებ. ვითარების გამოსარკვევად ხელისუფლებამ 1855 წლის 11 სექტემბერს დიმიტრი ყიფიანი დასავლეთ საქართველოში მიაგვლინა. დიმიტრიმ მოიარა იმერეთი (ქუთაისი, ორპირი, გორდი, კულაში...), გურია (ოზურგეთი, საჯავახო, აკეთი...), სამეგრელო (სენაკი, ჭკადუაში, კურზუ, სალხინო, ზუგდიდი...), ესაუბრა აფხაზეთის მთავრის მომხრეებსაც და მოწინააღმდეგეებსაც: თანამდებობის პირებს, აგრეთვე, იმათ, ვისთანაც მიხეილ შარვაშიძეს ოჯახური გარემოებები აკავშირებდა, საგანგებოდ შეხვდა მთავრის მეუღლეს – ალექსანდრა დადიანს, საფუძვლიანად გამოიძია საქმე, საბოლოოდ კი 1855 წლის 14 ოქტომბერს ხელისუფლებას მიხეილ შარვაშიძის გამამართლებელი მოხსენება წარუდგინა (თვითონ მოხსენება 1855 წლის 12 ოქტომბრითაა დათარიღებული. საკითხის გარშემო იხ.: აქტები

1888: 52-55; ესაძე 1907: 147-160; ჩხეტია 1963^ა: 131-134, 188, 195-225, 229-230; ჩხეტია 1963^ბ: 30-37; ჯორჯაძე 1909^ა; ჯორჯაძე 1989^ა: 419-422; ხუნდაძე 1936: 81-83; ამ ფაქტს თავის „მემუარებში“ გაკვრით თვითონ დიმ. ყიფიანიც ეხება – ყიფიანი 1930: 47; ყიფიანი 1990: 61). რაც შეეხება დიმ. ყიფიანის მიერ შედგენილ და ხელისუფლებისათვის (კერძოდ, გენერალ ვასილ ბებუთოვისათვის) წარდგენილ მოხსენებით ბარათს (Доклад Д. Кипиани от 12 октября 1855 г.), იგი სრულად აქვს გამოქვეყნებული შალვა ჩხეტიას (ჩხეტია 1963^ბ: 202-225).

სხვათა შორის, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, დიმ. ყიფიანის არქივში (საქ. №927, ქართულ ენაზე, ფ. 1) დაცულია დავით მურზაყანის ძე ანჩაბაძის 1865 წლის 6 დეკემბრის წერილი დიმ. ყიფიანისადმი, რომლითაც წერილის ავტორი ადრესატს ატყობინებს, ეკატერინე დადიანმა მამულები უსამართლოდ ჩამოგვართვაო და ამ საქმეში დიმიტრის სთხოვს დახმარებას (წერილს შემოკლებით ვიმონებთ): „ახლა მე ნამდვილათ შევიტყვე, რომ თქვენ მიზრძანდებით მთავრინასთან [ეკატერინე დადიანთან – თ. ჯ.]; მე მომეცა იმედი, რომ არ ვყოფილვარ ისე უბედო, რადგანაც შემხვდა ამგვარი შემთხვევა, რომ თქვენ თვითონ მიზრძანდებით და უანბობთ ყოველსავე ჩემს გარემოებას. მე თქვენი დიდი იმედი მაქვს. თქვენ თვითონ იცით კარგათ, რომ დღეს ჩემთვის არც დედ-მამა არის და არც სასარგებლო ძმა, რომელმაც მიმახვთინოს, თუ როგორ მოვიქცე და თქვენ მოგანდობთ ყოველსავე ჩემს გაჭირვებას, ვითარცა გაჭირვებულთა შემწეს. ამ წიგნთან გაახლებთ წიგნსა მთავრინას სახელზედ და გთხოვთ გარდასცეთ ეს წიგნი მთავრინას პირდაპირ. დანარჩენი თქვენ იცით, როგორც შეავედრებთ და უშუამდგომლებთ ორს ობოლს ძმასა, იმის წინაშე არაფერში სრულიად დანაშაულსა“.

ჩვენ ვერ გამოვარკვეით, რა ნათესაური კავშირი შეიძლებოდა ჰქონოდა დავით მურზაყანის ძე ანჩაბაძეს დიმ. ყიფიანის დოკუმენტური მოთხრობის პერსონაჟ ანჩაბაძესთან.

¹ (გვ. 146) „...რაოდენი არის შენი საუპატივო სისხლი?“ – ქართული სამართლის მიხედვით, საუპატიო სისხლი იყო რელიგიური ან სხვა ნიშნით მოსარიდებელი ტერიტორიის ხელყოფის, აგრეთვე, პიროვნული შეურაცხყოფისათვის (პატივის შელახვისათვის) დაწესე-

ბული საზღაური, რომელიც დანაშაულის სიმძიმის მიხედვით განისაზღვრებოდა (ვრცლად იხ. დოლიძე 1953: 214-217).

² (გვ. 146) „დაუნაშავარს კაცს“ – „დაუნაშავარი“ ნიშნავს „უდანაშაულოს“ (იხ. ქეგლ 1953: 815).

³ (გვ. 147) „აბიდისათვის“ – რუსიზმია: „Обида“ – წყენა, შეურაცხყოფა.

⁴ (გვ. 147) „აყარა შვიდი კომლი მოჯალაბე ინალიშვილთა“ – მოჯალაბე დასავლეთ საქართველოში იყო ყმა გლეხთა ყველაზე დაბალი და უუფლებო კატეგორია, რომელსაც საკუთარი მიწა და კარ-მიდამო არ გააჩნდა (სამეგრელოში – „დოლმახორე“). მოჯალაბე ასრულებდა ყველაზე მძიმე და დამამცირებელ სამუშაოს.

⁵ (გვ. 147) „საშუალობა“ – შუამდგომლობა (ო. ჭურდულისაშვილის შენიშვნა).

თურქმენული ცხენი (გვ. 148-167)

ნაბეჭდი:

ჟ. „ცისკარი“, 1863, №1 (იანვარი), გვ. 11-37.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 12 აპრილი, 1902, №1779; 14 აპრილი, 1902, №1781.

ქართული მწერლობა (ოცდაათ ტომად). შემდგენელი: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე. ტ. XX (ტომის შემდგენელი: ა. ბაქრაძე, თ. ჯოლოგუა). ტომის რედაქტორი თ. ჯოლოგუა, მისივე შენიშვნებითა და ბოლოსიტყვით. თბილისი: ნაკადული. 2003, გვ. 10-27.

„დიმიტრი ყიფიანი – 200“. პროექტის ავტორი და კრებულის შემდგენელი ბ. კობაძე. თბილისი: სვეტი. 2014, გვ. 781-792.

XIX საუკუნის ქართული მოთხრობა (2 ნიგნად). ნგნ. I (სერია – „მსოფლიო ლიტერატურა. რჩეული მოთხრობები“). კრებული შეადგინეს და მწერალთა შესახებ ცნობები დაურთეს ი. ევგენიძემ და ლ. მინაშვილმა. მთავარი რედაქტორი ბ. ბეჟუაშვილი. თბილისი: საქართველოს მაცნე. 2014, გვ. 28-41.

სათაური: თურქმენული ცხენი (ანბავი).

თარიღი: ნოემბერი 1862. სოფ. სვიმონჭახუ.

ხელმოწერა: ბაქარ ქართლელი.

„ცნობის ფურცლის“ პუბლიკაციის (1902, №1779) სქოლიოში ვკითხულობთ: „ეს მოთხრობა ნეტარხსენებულის დიმიტრი ივანეს ძის ყიფიანისა მის ქალაღდებში უპოვნია განსვენებულის შვილს, კონსტანტინე დიმიტრის ძეს, რომელმაც ჩვენ გამოგვიგზავნა დასაბეჭდათ. რედ. [ალ. ჯაბადარი]“. სქოლიო აქვს დართული აგრეთვე პუბლიკაციის გაგრძელებას (1902, №1781): „ან-განსვენებულნი ჩემი მამა, დიმიტრი ყიფიანი და კონსტანტინე ლევანის ძე დადიანი, როდესაც რასმე ამბებს სწერდნენ, ურთი-ერთს მიჰმართავდნენ ხოლმე და დიმიტრი ყიფიანი უწოდებდა დადიანს – თეიმურაზად და დადიანი კი ყიფიანს – ბაქარ ქართლელად, რა წოდებასაც მაშინდელს დროში თავის ფსევდონიმათაცა ხმარობდა ქართულს ლიტერატურაში.

კოტე ყიფიანი

1902 წ. 5 მარტი. სოფ. ქვიშხეთი“.

სამწუხაროდ, კოტე ყიფიანი არ უთითებს – საიდან ჩანს, თუ რა სახელებით მიმართავდნენ ერთმანეთს დიმიტრი ყიფიანი და კ. დადიანი. წინამდებარე ტომში ვიმეორებთ პირველნაბეჭდს.

¹ (გვ. 148) **„მოამბის“ გამოსვლასაც აღარ აცალე** – იგულისხმება ილია ჭავჭავაძის ყოველთვიური ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ (1863). როდესაც დიმიტრი ყიფიანის „თურქმენული ცხენი“ იწერებოდა (1862 წ. ნოემბერი), ი. ჭავჭავაძის განცხადება ჟურნალის გამოცემის განზრახვის შესახებ უკვე გამოქვეყნებული იყო (გამოცემის პროგრამითურთ) „ცისკრის“ 1862 წ. ოქტომბრის ნომერში (ჭავჭავაძე 1862: 189-190).

² (გვ. 149) **„მაშინვე „ცისკარში“ უკრავ თავს...“** – იგულისხმება ივ. კერესელიძის ჟურნალი „ცისკარი“ (1857-1875).

³ (გვ. 149) **„ლარიბი ყმანვილი კაცის რომანში“ „გაფთხილების“ მაგიერად ზოგან „გაფლიდება“ გამოსულა“** – იგულისხმება ფრანგი მწერლის, ოკტავ ფეიეს, რომანის დიმიტრი ყიფიანისეული თარგმანი, რომელიც ივ. კერესელიძის „ცისკარში“ კორექტურული ხარვეზებით დაიბეჭდა (ფელიეტი [ფეიე] 1860*).

⁴ (გვ. 149) **„საჩალთუსო ჭაობებისაგან შეწუხებულს საყნოსველს...“** – შესაძლოა, აქ კორექტურაა ან ლაფსუს კალამი და უნდა იყოს: **საჩალთუქო** – „ჩალთუქი (თურქ.): გაუცეხველი ბრინჯი“

(ქეგლ 1964: 163); დავით ჩუბინაშვილთან: „ჩალთუკი, ჩალთუქი (თათრ.) მოუშკავი ან მოუცეხველი ბრინჯი კილიანი“ (ჩუბინაშვილი 1984: 1541). შესაბამისად, „საჩალთუსო ქაობი“ უნდა ნიშნავდეს ბრინჯის დასათეს დაჭაობებულ ადგილს.

⁵ (გვ. 150) „ყორულ-ღურ, დესტურ დეგულ“ (თურქ.) – არაფრით არ შეიძლება.

⁶ (გვ. 150) „ქებინი“ (სპარს.) – სასიძოს მიერ საცოლის მშობლებისათვის მიცემული გამოსასყიდი.

⁷ (გვ. 151) „არვათი (არვადი)“ (თურქ.) – ცოლი.

⁸ (გვ. 152) „სალამ ალეიქუმ“ (თურქ.) – გამარჯობა.

⁹ (გვ. 152) „ალეიქუმ სალამ“ (თურქ.) – გაგიმარჯოს.

¹⁰ (გვ. 152) „ვალლაჰი, ბილლაჰი“ (თურქ.) – ღმერთმანი.

¹¹ (გვ. 153) „სანი ჯანი იჩუნ, სანი ალლაჰი იჩუნ“ (თურქ.) – შენი სულისა და შენი ღმერთისათვის.

¹² (გვ. 153) „ბაშნადონიმ“ (თურქ.) – ჩემს თავს ვფიცავ.

¹³ (გვ. 155) „ყარდაშ“ (თურქ.) – ძმაო.

¹⁴ (გვ. 155) „თქვენსავე საადის უთქვამს... „კაცი რომ ჰკვდება, ვერა ჰგრძნობს...“ – ალექსანდრე ჭავჭავაძის დაღუპვის დღეებში პოეტის მეგობარმა და მისი შემოქმედების ზედმინევენით მცოდნე დიმი. ყიფიანმა გაზეთ „კავკაზში“ გამოაქვეყნა ნეკროლოგის ტიპის უსათაურო წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: „მისი (ალ. ჭავჭავაძის – თ. ჯ.) შემოქმედება ძირითადად ორიგინალურია, მაგრამ მასში მოიპოვება საადის, ჰაფეზის, პუშკინის, ჰიუგოს, გოეთეს შესანიშნავი თარგმანები სპარსული, რუსული, ფრანგული და გერმანული ენებიდან, რომლებსაც ალექსანდრე ჭავჭავაძე მშობლიურ ენასავით ფლობდა“ (ყიფიანი 1846). საადის, ჰაფეზისა და გოეთეს ალ. ჭავჭავაძისეული თარგმანები ჯერჯერობით არ არის მიკვლეული. ასეთმა ვითარებამ გვაფიქრებინა, რომ დიმი. ყიფიანის მიერ მოყვანილი ეს ტექსტი შესაძლოა საადის ლექსის (ან საადის რომელიღაც პოეტური ნაწარმოების ფრაგმენტის) ალ. ჭავჭავაძისეული თარგმანი იყოს (ჯოლოგუა 2000: 10-14), თუმცა სავსებით არც იმის გამორიცხვა შეიძლება, თარგმანი თვითონ დიმი. ყიფიანს ეკუთვნოდეს.

¹⁵ (გვ. 157) „ბარექ-ალლაჰ“ (არაბ.) – ბარაქალა.

¹⁶ (გვ. 162) „ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა უჰსჯულოთასა“ – მცირეოდენ სახეცვლილი მონაკვეთი ფსალმუნი-

დან: „ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვათა უღმრთო-თასა...“ (ფსალმუნი. 1:1).

¹⁷ (გვ. 163) **„ამერიკას გადაგაფრინოს და იქაური უმაგალითო ჩხუბები გაჩვენოს“** – იგულისხმება ამერიკის შეერთებული შტატების 1861-1865 წწ. სამოქალაქო ომი ჩრდილოეთის ინდუსტრიულ (ძირითადად არამონათმფლობელურ) და სამხრეთის მონათმფლობელურ შტატებს შორის. სხვათა შორის, დიმ. ყიფიანს თარგმნილი და ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“ (1863, №2) გამოქვეყნებული აქვს ამ ომის აქტიური მონაწილის, ასტრონომისა და გენერლის, ორმსბი-მაქნაით მიტჩელის (1810-1862) სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის თხზულება (ლექცია) „ზეციური მნათობები“ (მიტჩელი 1863: 4-26; თარგმანის შესახებ, აგრეთვე, ლიტერატურა საკითხის გარშემო იხ.: საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 278-279; საშვილიშვილო მოკავშირე... 2011: 177, 238). თარგმანის წინასიტყვაობაში დიმ. ყიფიანი აყალიბებს საყურადღებო თვალსაზრისს ასტრონომიული ცოდნისა და რელიგიური რწმენის ურთიერთმიმართების შესახებ (მიტჩელი 1863: 1-3).

¹⁸ (გვ. 163) **„თავისუფლება უნდა მიეცეს თქვენს ნასყიდს არაბებსაო“** – „არაბებში“ იგულისხმება ამერიკის შავკანიანი მოსახლეობა. სამოქალაქო ომის მიზეზად კი ის იქცა, რომ 1860 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში აბრაამ ლინკოლნის მეთაურობით გაიმარჯვეს რესპუბლიკელებმა, რომლებიც მონათმფლობელობის წინააღმდეგნი იყვნენ. ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში ეს ყველაზე მასშტაბური და სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომი 1865 წელს დასრულდა სამხრეთელთა კაპიტულაციით და ამით ამერიკაში მონათმფლობელობის ეპოქაც დასრულდა.

¹⁹ (გვ. 163) **„ძვრისაგან არის შირაზი დანგრეული“** – 1853 წელს შირაზი დამანგრეველმა მინისძვრამ მიწასთან გაასწორა.

²⁰ (გვ. 164) **„...მაჰმად მხოლოდ ფეხამბარი მისი!“** – **ფეხამბარი:** მოციქული, წინასწარმეტყველი (გრიშაშვილი 1997: 217).

²¹ (გვ. 165) **„იარმალოუ მჯდარიყოს ბეგლარ-ბეგათაო“** – იგულისხმება საქართველოს მთავარმართველი და ცალკე კორპუსის მთავარსარდალი ალექსი ერმოლოვი, რომელიც რუსეთ-ირანის 1826-1828 წწ. ომის პერიოდში – კერძოდ, 1827 წლის მარტში – იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა გაათავისუფლა თანამედრობიდან და მის ადგილზე ივანე პასკევიჩი დანიშნა.

²² (გვ. 165) „იმის მაგიერათ ურუსთ ფაჰდიშას...“ – იგულისხმება რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ I („ფაჰდიშა“ დამახინჯებული ფორმაა სიტყვისა: ფადიშაჰ).

²³ (გვ. 165) „სხვა ვილაც ფესქოური გამოეგზავნოსო“ – იგულისხმება კავკასიის მთავარმართებელი (1827-1831), გენერალ-ფელდმარშალი ივანე პასკევიჩი.

²⁴ (გვ. 165) „ერთი კაცი იშტარხნისაკენ უფრენია“ – იშტარხანი აქ ასტარხანს ნიშნავს.

²⁵ (გვ. 166) „ვილაც გლახა მოდის ჩათლახი ცხენითა“ – „ჩათლახი... უვარგისი, უხეირო“ (ქეგლ 1964: 89).

უცნაური ნადირობა (გვ. 168-181)

ნაბეჭდი:

ჟ. „ივერია“, 1880, №1 [იანვარი], გვ. 92-106.

დიმ. ყიფიანი. რა ხალხია ქართველები? შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, შენიშვნები და ბოლოსიტყვა დაურთო თ. ჯოლოგუამ. თბილისი: ლომისი. 1995, გვ. 15-29 [ტექსტი აქ შემოკლებულადაა დაბეჭდილი].

ქართული მწერლობა (ოცდაათ ტომად). შემდგენელი: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე. ტ. XX (ტომის შემდგენელი: ა. ბაქრაძე, თ. ჯოლოგუა). ტომის რედაქტორი თ. ჯოლოგუა, მისივე შენიშვნებითა და ბოლოსიტყვით. თბილისი: ნაკადული. 2003, გვ. 79-91.

„დიმიტრი ყიფიანი – 200“. პროექტის ავტორი და კრებულის შემდგენელი ბ. კობაძე. თბილისი: სვეტი. 2014, გვ. 781-792.

სათაური: უცნაური ნადირობა.

თარიღი: – – 187.... ქვენატკოცა.

ხელმოწერა: ბაქარ ქართლელი.

სამღვდელოების ყრილობა, რომელსაც ქვემოთ (კომენტ. 4) შევხებით, ჩატარდა 1879 წლის ოქტომბერში, დიმ. ყიფიანის „უცნაური ნადირობა“ კი დაიბეჭდა „ივერიის“ 1880 წლის იანვრის ნომერში. ამას გარდა, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №115. ავტოგრაფი. შავი. ქართულ ენაზე. ფ. 1) დაცულია მოთხრო-

ბის ფრაგმენტი, რომელიც იწყება სიტყვებით: „გახსოვს? თეიმურაზ! სანადიროთ რომ ვიყავით...“ და ასე მთავრდება: „...ქართული ენა შენ იცი; ილიამ იცის; იაკობმაც იცისო, ამბობენ!“ ტექსტის ეს ფრაგმენტი ავტორის ხელით დათარიღებულია 1879 წლით (11 ოქტ. 79) და, შესაბამისად, მთელი ტექსტიც ზემოხსენებული მონაცემების საფუძველზე **1879 წლით უნდა დათარიღდეს.**

წინამდებარე ტომში ვიმეორებთ პირველნაბეჭდს.

¹ (გვ. 171) **„იუპიტერს რომ შეჰბედეს: იუპიტერ! – რომ ჯავრობ, მტყუანი ყოფილხარო...“** – ავტორი იყენებს ე. წ. „ფრთიან გამოთქმას“, რომელიც სათავეს იღებს ძვ. ბერძენი მწერლის, ლუკიანე სამოსელის, ერთ-ერთი სატირიდან და გამოხატავს ისეთ მდგომარეობას, როცა პოლემიკისას მოპაექრე მხარეს არგუმენტი არ აქვს და ამიტომ თავის პოზიციას ემოციური სიტყვით/მოქმედებით გამოხატავს.

² (გვ. 171) **„...შეყრილან და შკოლების გახსნას აპირებენ აქა-იქა“** – ავტორი გულისხმობს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, რომელიც 1879 წლის 15 მაისს დაარსდა და რომლის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება ეროვნული მიზანდასახულობის სასკოლო-საგანმანათლებლო სისტემის შექმნა იყო. დიმ. ყიფიანის მიერ აქ ჩამოთვლილი მოღვაწეები არიან „ქმნ-კგ საზოგადოების“ პირველი თავმჯდომარე დიმ. ყიფიანი, თავმჯდომარის მოადგილე („ამხანაგი“) ი. ჭავჭავაძე, მდივანი ალ. სარაჯიშვილი და გამგეობის წევრები: ნ. ცხევედაძე, ი. გოგებაშვილი, რ. ერისთავი, ივ. მაჩაბელი (ხუციშვილი 1980: 22-23; „საზოგადოების“ წესდება და დამფუძნებელი წევრების სია იხ. ნანიტაშვილი 2004: 131-147).

³ (გვ. 171) **„შენ არც დროებასა კითხულობ, არც ივერიასა? არც ქართული მოამბე ვიკითხავს, არც კრებული და არც მნათობი?“** – ჩამოთვლილია ქართული პერიოდული გამოცემები:

ა) **„დროება“** (1866-1885) – ეროვნული მიზანდასახულობის ლიბერალურ-დემოკრატიული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო ყოველდღიური (1877 წლიდან) გაზეთი. რედაქტორები: გიორგი წერეთელი (1866-1869), სერგეი მესხი (1869-X.1873; X.1874-1882), კირილე ლორთქიფანიძე (X.1873-X.1874), ილია ჭავჭავაძე და სერგეი მესხი (1880-1881), ივანე მაჩაბელი (1883-1885); გამომცემ-

ლები: სტეფანე მელიქიშვილი (1866-1882), გიორგი ქართველიშვილი (1883-1885). პირველი ქართული პერიოდული გამოცემა, რომელიც „მაგნე მიმართულების“ გამო ხელისუფლებამ კავკასიის საცენზურო კომიტეტის მეშვეობით დახურა (1885 წლის სექტემბერში).

ბ) **„ივერია“** (1877-1906) – ლიბერალურ-დემოკრატიული მიმართულების საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო გამოცემა (1877-1878 – ყოველკვირეული გაზეთი, 1879 – ყოველთვიური ჟურნალი, 1880 – სამთვიური აღმანახი, 1881-1885 – ყოველთვიური ჟურნალი, 1886-1905 – ყოველდღიური გაზეთი, 1906 – ყოველკვირეული გაზეთი). დამაარსებელი, რედაქტორი (1877-1901; 1880-1881 – სერგეი მესხთან ერთად) და გამომცემელი (1877-1902) ილია ჭავჭავაძე. ბოლო წლებში „ივერიის“ რედაქტორები იყვნენ: ალექსანდრე სარაჯიშვილი (1902-1903), გრიგოლ ყიფშიძე (1903-1905) და ფილიპე გოგიჩაიშვილი (1905-1906). გამომცემლები: ალექსანდრე სარაჯიშვილი (1902-1905) და პავლე თუმანიშვილი (1905-1906).

გ) **„ქართული მოამბე“** – უნდა იყოს: **„საქართველოს მოამბე“** (1863), ყოველთვიური სალიტერატურო ჟურნალი, ლიბერალურ-დემოკრატიული მიმართულების პირველი პერიოდული გამოცემა საქართველოში. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე. სულ გამოვიდა 12 ნომერი.

დ) **„კრებული“** (1871-1873) – ლიბერალურ-დემოკრატიული მიმართულების საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო ყოველთვიური ჟურნალი. გამოდიოდა თბილისში. დაარსების ინიციატორი – სერგეი მესხი, ოფიციალური რედაქტორ-გამომცემელი – გიორგი წერეთელი, ფაქტობრივი ხელმძღვანელი – ნიკო ნიკოლაძე.

ე) **„მნათობი“** (1869-1872) – ყოველთვიური სალიტერატურო-სამეცნიერო ჟურნალი. გამოდიოდა თბილისში. დამფუძნებელი და რედაქტორი – ნიკო ავალიშვილი, გამომცემელი – ივანე ელიოზიშვილი. საზოგადოებრივ და ლიტერატურულ-მსოფლმხედველობრივ საკითხებზე ჟურნალის მესვეურებს პრინციპული ხასიათის პოლემიკა ჰქონდათ გაზეთ „დროებასთან“ და ჟურნალ „კრებულთან“.

⁴ (გვ. 172) **„ეს პავლიაშვილი მღვდელი და ქართული ენისათვის ასეთი მხურვალე ლაპარაკი!“** – ვფიქრობთ, აქ ნახსენები „პავლიაშვილი მღვდლის“ პროტოტიპია მღვდელი (ბლალოჩინი;

შემდგომში – დეკანოზი) **დავით ღამბაშიძე (1837/1842-1910)**, საკითხის ისტორია კი ასეთია:

1879 წლის 5-8 ოქტომბერს თბილისში ჩატარდა ქართველი სამღვდელთა ყრილობა, რომელიც ძირითადად სასულიერო განათლების საკითხებს მიეძღვნა. ყრილობას თავმჯდომარეობდა დავით ღამბაშიძე. სასულიერო სასწავლებელში ქართული ენის სწავლების მიმართ ყრილობის თავმჯდომარის პოზიციამ საზოგადოებაში უკმაყოფილება გამოიწვია. „დროებაში“ 11 ოქტომბერს გამოქვეყნებულ წერილში სერგეი მესხი წერს: „ყველა საგნებზე უფრო მომეტებული ყურადღებისა და თანაგრძნობის ღირსია კრების გარდაწყვეტილება, რომ მაღალ ყოვლად სამღვდელს (ეგზარქოს იოანიკეს – თ. ჯ.) მიაერთვან თხოვნა შესახებ ქართულის ენის გაძლიერებისა თფილისის სასულიერო სემინარიაში. ეს გარდაწყვეტილება თითქმის ერთხმა და საზოგადო გარდაწყვეტილება იყო მთელის კრებისა; გარდა სამი-ოთხი დეპუტატისა, რომელთ რიცხვში, სამწუხაროდ, მ[ამა] დ. ღამბაშიძეც ურევია, ყველამ დაუყოვნებლივ მოაწერეს ხელი ამ თხოვნას, წარუდგინეს ის ეგზარქოსთან და სთხოვეს იმას ამ მხრით შეცვლა სემინარიის პროგრამისა“ (მესხი 1879; მესხი 1964: 237).

ეგზარქოსისთვის თხოვნის წარდგენას სასურველი გაგრძელება არ მოჰყოლია, მაგრამ მოჰყვა პრესაში დავით ღამბაშიძის მისამართით გამოთქმული მწვავე კრიტიკა. კერძოდ, „დროების“ 20 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა იონა მეუნარგიას წერილი, სადაც ნათქვამია: „რომ იმას (დავით ღამბაშიძეს – თ. ჯ.) ცოდნით აღესრულებინა თავის მოვალეობა, დღეს ჩვენს სასულიერო სემინარიაში ქართული ენის სწავლებას ექნებოდა აღმოჩენილი სამუდამო წყარო“ (მეუნარგია 1879). „დროების“ შემდგომ ნომერში გამოქვეყნდა ი. მეუნარგიას წერილის გაგრძელება და იქ ავტორს დაკონკრეტებული აქვს თავისი უკმაყოფილების მიზეზი: „ქართული ენის თაობაზე განჩინების რედაქცია შევადგინეთ მე, ფოთის მღვდელმა მაჭაროვმა და შიუკოვმა. ჩვენ გვინდოდა, რომ ყრილობას ეს განჩინების რედაქცია მიეღო. მაგრამ ყრილობას ვინ კითხა რედაქცია. მ[ამა] ღამბაშიძემ თვითონ დასწერა ეს განჩინება და ამზადებდა ხელის მოსაწერად; მაშინ ჩვენ მივუახლოვდით იმის სტოლს და ვსთხოვეთ, რომ მიეღო დამზადებული და მოფიქრებული განჩინება. მ[ამა] ღამბაშიძემ ცალი თვალთ გახედა ამ ჩვენ რედაქციას, ცალი თვალთ გადმოიღო იქე-

დამ უსტავის პარაგრაფები და უქაზის რიცხვი და თითონ ჰაზრებიც, მაგრამ, წარმოიდგინეთ, ნაცვლად ჩვენგან მოყვანილის უქაზის სიტყვებისა: „შესანიშნავი მოვლენები საქართველოს სამოქალაქო და საეკლესიო ისტორიაში და საქართველოს ლიტერატურაში უნდა იკითხებოდეს...“ მამა ღამბაშიძემ დასწერა: „საეკლესიო ისტორია და საეკლესიო ქადაგება...“ სამოქალაქო ისტორია და ქართული ლიტერატურა, ისეთი საგნები, რომლის კითხვაზე თითონ უნმ. სინოდის უქაზი ამბობს, მამა ბლალოჩინმა გამოიციხა პროტოკოლიდამ. რატომ, მამაო ბლალოჩინო? თქვენ, ჩვენი ქვეყნის ლიტერატურის მოყვარემ, რათ ნებეთ ეს, რამ შეგაშინათ! აქ მაინც უქაზი წინ მიგიძლოდათ! თქვენ მეტს თუ არ ითხოვდით, რიგი, რაც იყო, ის მაინც რათ არ ითხოვეთ?!“ (მეუნარგია 1879³).

ცოტა ხანში დავით ღამბაშიძემ იონა მეუნარგიას უპასუხა ვრცელი წერილით (კრიტიკის ადრესატის მიმართ ი. მეუნარგიას სხვა პრეტენზიებიც ჰქონდა). ჩვენთვის ამჟამად საინტერესო საკითხის შესახებ დავით ღამბაშიძე წერს: „სცდება უ. ი. მეუნარგია, შესახებ ქართულს ენაზე ზოგიერთი საგნების სწავლების დაწესებაზე სემინარიამი. იმის აზრი ამ საგნის თაობაზე კარგად მოფიქრებული არ გახლდათ და იმიტომაც მიეცა ცუდი ბოლო იმ თხოვნას, რომელიც იმან შეადგინა... თქვენი აზრით, ძლიერ საჭირო იყო და არის ქართულად სწავლება საზოგადო სამოქალაქო ისტორიისა. თქვენი აზრი ამ შემთხვევაში ძლიერ მაკვირვებს. რა გინდათ თქვენ გააკეთოთ იმით, რომ ქართულ ენაზე ასწავლონ საზოგადო, სამოქალაქო და საქართველოს ისტორია? ამავე დროს რატომ არ თხოულობთ ქართულ ენაზე ასწავლონ ფიზიკაცა და სხვა საგნებიც?.. რატომ არ იცით, რომ ზოგიერთი საგნები თქვენგან მოთხოვნილი არც კი შედის სემინარიის პროგრამაში?“ (ღამბაშიძე 1879).

ვის რა არგუმენტები ჰქონდა ამ საკითხთან დაკავშირებით და ვისი არგუმენტები იყო უფრო დასაბუთებული და დამაჯერებელი, ეს ცალკე მსჯელობის საგანია; აქ კი ხაზგასმით უნდა ითქვას – მიუხედავად იმისა, რომ დავით ღამბაშიძის შეხედულებებს სხვა დროსაც გამოუწვევია მწვავე კამათი (ბოსლეველი 1961: 283-284, 332-333, 361-363, 441-444; კასრაძე 1968: 61-63 და სხვ.), იგი მაინც თვალსაჩინო ფიგურად რჩება XIX-XX სს. მიჯნის ქართული საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების ისტორიაში და ქართული ენის ინტერესთა

დაცვის საქმეშიც მას არაერთხელ გამოუჩენია თავი [დავით ღამბაშიძის სხვა მნიგნობრულ-სალიტერატურო დამსახურებებზე რომ არაფერი ვთქვათ, იგი რედაქტორ-გამომცემელი იყო სასულიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო ხასიათის ჟურნალისა „მწყემსი“ (ზოგჯერ გაზეთს უწოდებენ), რომელიც 1883-1910 წწ. გამოდიოდა ყვირილაში, ახლანდელ ზესტაფონში]. იაკობ გოგებაშვილის თქმით, „დავით ღამბაშიძე მოშორებული იყო ერთს ძირითადს ნაკლს ქართველებისას... ქართველი ბევრს ფიქრობს, ბევრს ლაპარაკობს, ბევრზე ოცნებობს; მაგრამ ფიქრი ფიქრად რჩება, სიტყვა საქმედ არ იქცევა, ოცნება იოტის ოდენადაც არა ხორციელდება. ჰხდება ეს იმის გამო, რომ ქართველების გონებას არ ახლავს, გვერდში არ უდგია ნება, უნარი, ნადილი... განსვენებული დეკანოზი ამ მხრივ ერთს შესანიშნავს გამონაკლისს წარმოადგენდა. მისთვის მადლიანს ბუნებას დაენათლებინა დაუცხრომელი უნარი, ძლიერი ნადილი, აქტიური ნება. ამის გამო ყოველი მისი სიტყვა საქმედ იქცეოდა და ყოველი ნადილი ხორციელდებოდა. მის აზრსა და საქმეს შორის მანძილი თითქმის არ არსებობდა... ტყუილად კი არა სთქვა ფილოსოფოსმა შოპენგაუერმა – ქვეყნიერება ნებააო. ამითი მან აღიარა უპირატესობა ნებისა, ენერგიისა, ნადილისა, უნარისა“ (გოგებაშვილი 1911: 8). საგულისხმოა აგრეთვე გაზეთ „თემში“ „მიუდგომელის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: „ქართველმა საზოგადოებამ დაჰკარგა განსაკუთრებული მეზრძოლი პიროვნება, რომელსაც ასულდგმულებდა ღრმა სიყვარული მამულისადმი... როდესაც მზრუნველ კირილე იანოვსკის მეცადინეობით გამოიცა ბრძანება, რომ საღვთო სჯული ქართველებისათვის რუსულ ენაზე ესწავლებიათ, დეკანოზმა დიდი პროტესტი განაცხადა. გამოეკამათა ჟურნალ-გაზეთებში ამ აზრის დამცველთ და ნიშნად პროტესტისა დასტოვა საღვთო სჯულის მასწავლებლის ადგილი ყვირილის „ნორმალურ“ სასწავლებელში... ყველგან და ყოველთვის ის მედგრად იცავდა ქართველი ერის უფლებებს და იმედს არასოდეს არ ჰკარგავდა... შეუდრეკელად მიდიოდა ის წინ ერთხელვე აჩენილ მიზნისაკენ და მუდამ სახეში ჰქონდა თავის სამშობლოს ბედნიერება“ – მიუდგომელი 1911).

ამდენად, შემთხვევითი არაა, რომ თვით უკიდურესად აღმწოთებული ი. მეუნარგიაც კი დავით ღამბაშიძეს უწოდებს „ჩვენი

ქვეყნის ლიტერატურის მოყვარეს“, მშობლიურ ენასთან დაკავშირებულ საკითხებში ყოვლად უკომპრომისო დიმ. ყიფიანს კი წინამდებარე ტექსტის მეორე ნაწილში საგრძნობლად აქვს შერბილებული დამოკიდებულება კრიტიკის ადრესატისადმი, ხოლო 1883 წლის 6 ნოემბერს დავით ღამბაშიძეს დიმიტრი პატივისცემის ნიშნად თავის „ახალ ქართულ გრამმატიკას“ უგზავნის საჩუქრად (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №105, ფ. 1; დავით ღამბაშიძის, აგრეთვე, მისი ჟურნალის შესახებ იხ.: გოგებაშვილი 1911: 8-10; ღამბაშიძე 1911^ა: 55-56; ღამბაშიძე 1911^ბ: 1; ქართული მწერლობა 1984: 395; გვეტაძე 1993: 47-63. დავით ღამბაშიძის წერილები მოსე ჯანაშვილისადმი იხ. ნანიტაშვილი 1982: 425-431).

რაც შეეხება ი. მეუნარგიას წერილში ნახსენებ **მაჭაროვსა და შიუკოვს**, ისინი უნდა იყვნენ:

ნესტორ მაჭარაშვილი (1856-1931) – სასულიერო პირი. სიცოცხლის ბოლოს – რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში – იყო მთაწმინდის მამადავითის ეკლესიის წინამძღვარი. იგი ავტორია წიგნისა „აღწერა მთაწმინდის ეკლესიისა და წმ. დავითის ცხოვრებისა“, რომლის ერთი მონაკვეთი დიმ. ყიფიანის ცხოვრება-მოღვაწეობას ეთმობა (მაჭარაშვილი 1895: 54-60; ნესტორ მაჭარაშვილიშა შთამბეჭდავი სიტყვა წარმოთქვა 1899 წ. 24 ოქტომბერს მთაწმინდაზე დიმ. ყიფიანის საფლავის ძეგლის გახსნაზე – საშვილიშვილო მოკავშირე... 1997: 180-182). ნესტორ მაჭარაშვილი ბოლშევიკურ რეპრესიებს შეეწირა – დახვრიტეს 1931 წელს (ნესტორ მაჭარაშვილის ცხოვრების ბოლო წლებზე იხ. თალაქვაძე 2013: 668-673).

იოანე შიუკაშვილი – სასულიერო პირი (საკრებულო ტაძრის მღვდელი იყო თელავში). გამოირჩეოდა პედაგოგიური ინტერესებით, მწიგნობრობის სიყვარულითა და გამახვილებული პატრიოტიზმით [იხ.: აქაური 1882 (ჩართულია ინფორმაცია იოანე შიუკაშვილის მიერ ქალთა აღზრდაზე ჩატარებული ლექციის შესახებ); ფურცელაძე 1890 (ჩართულია იოანე შიუკაშვილის სიტყვა წარმოთქმული დიმ. ბაქრაძის გარდაცვალების გამო); ზარაფიშვილი 1893 (ჩართულია იოანე შიუკაშვილის სიტყვა წარმოთქმული თელავის წმ. ნინოს სახელობის დედათა სასწავლებელში); შიუკაშვილი 1894 (საქართველოს ისტორიის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ); შიუკაშვილი 1895 (სიტყვა წარმოთქმული ბარბარე ჯორჯაძის დაკრძალვაზე); შიუკაშვილი 1897

(ჩართულია იოანე შიუკაშვილის სიტყვა წარმოთქმული გენერალ ნიკო ჭავჭავაძის დაკრძალვაზე).

⁵ (გვ. 177) „...თუ უფრო იმერული, ამისი რა მოგახსენო, მაგრამ ქართული კი არ არის“ – „ქართულში“ აქ ავტორი ერთიან სალიტერატურო (კონკრეტულ შემთხვევაში – იმერიზმებისაგან თავისუფალ) ენას გულისხმობს.

⁶ (გვ. 178) „გალიციზმო, ლათინიზმო, გერმანიზმო, პლეონაზმო, იდიოტიზმო“ – ლიტერატურულ-სტილისტიკური ტერმინები: **გალიციზმი**, **ლათინიზმი**, **გერმანიზმი** – ფრანგული, ლათინური, გერმანული ენებიდან ნასესხები სიტყვების (ან ამ ენების ყაიდაზე აგებული გამოთქმების) გამოყენება; **პლეონაზმი** – წინადადებაში ერთი და იმავე მნიშვნელობის სიტყვების ჭარბად გამოყენება, ხშირად აიგივებენ ფუჭ მრავალსიტყვაობასთან; **იდიოტიზმი** – ადგილობრივი (კუთხური) ენობრივი ფორმების ან გამოთქმების გამოყენება. ხშირად აიგივებენ ენობრივ პროვინციალიზმთან.

⁷ (გვ. 179) „ეს ხომ მერკანტილიზმო, ლიტერატურაში!!!“ – იგულისხმება წიგნისადმი (ლიტერატურისადმი) მერკანტილური (სარგებლიანობაზე დაფუძნებული, ანგარებიანი) მიდგომა.

სასაბიბლიო ლაპარაკი (გვ. 182-183)

ხელნაწერი:

გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი. №14769-ხ. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. ფ. 2.

ხელმოწერა: დიმიტრი ყიფიანი.

ტექსტი უსათაუროა, დაუთარიღებელია. იბეჭდება პირველად.

ილია ჭავჭავაძემ თხოვნა („განცხადება“) „ქართული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ „ივერიის“ დაარსების შესახებ, აგრეთვე, გაზეთის პროგრამა კავკასიის საცენზურო კომიტეტს 1876 წლის 18 ივნისს წარუდგინა (იოვიძე 1947: 194). საცენზურო კომიტეტმა წესისამებრ „განცხადება“ წარუდგინა კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს, რომელმაც გაზეთის გამოცემის ნებართვა იმავე წლის 17 სექტემბერს გასცა (იოვიძე 1947: 194; საკი-

თხის გარშემო, მათ შორის, ტექსტი „ივერიის“ პროგრამისა ქართულ ენაზე იხ.: გოზალიშვილი 1972: 3-12; გაზეთის პირველი ნომერი 1877 წლის 1 იანვარს უნდა გამოსულიყო, თუმცა გარემოებათა გამო 3 მარტს გამოვიდა). ვინაიდან თხზულების პერსონაჟი მომავალ დროში ამბობს, იანვარში გამოაცხადებენო (ცხადია, აქ 1877 წლის იანვარი იგულისხმება) **დიმ. ყიფიანის წინამდებარე თხზულებას 1876 წლით ვათარილებთ.**

დასათაურება ჩვენია.

¹ (გვ. 182) **„მოთავენი იმერლები არიან და იმათ გაზეთში უფრო იმერული კილო ჰსუფევსო“** – 1866-1882 წლებში „დროების“ რედაქტორები იმერული წარმოშობის მოღვაწეები იყვნენ: გ. წერეთელი, ს. მესხი, კ. ლორთქიფანიძე (იხ. კომენტარები თხზულებისა – „უცნაური ნადირობა“). იმერიზმების მოჭარბებას საგაზეთო ენაში ბევრი კრიტიკოსი გამოუჩნდა და, პირველ რიგში, გრიგოლ ორბელიანი, რომელიც ხსენებული მიზეზის გამო გადამეტებული სიმკაცრით ლანძღავდა „დროებასა“ და მის რედაქტორს, სერგეი მესხს, მაგალითად, ლექსში „დროების ათი წლის იუბილე“: „ნეტა მესხის / რათ არ ესმის / ყვედრება, / რომ მან ენა / წავიციდინა, / წაბილნა?“ და ა. შ. – ორბელიანი 1959: 73-75; საკითხის გარშემო იხ.: მეუნარგია 1954^ა: 129; ცაიშვილი 1955: 87; ბოცვაძე 1976: 138-142; კალანდაძე 1987: 532-533).

სხვათა შორის, „დროების“ ენა სხვა დროსაც მოქცეულა დიმ. ყიფიანის ყურადღების არეში. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, დიმ. ყიფიანის არქივში, დაცულია ავტოგრაფული ხელნაწერი, რომელშიც დიმიტრის განხილული აქვს „დროების“ ერთ-ერთი ნომრის (№26; წელი არ არის მითითებული) ენა და რედაქციის მისამართით არაერთი შენიშვნა აქვს გამოთქმული: „საუკუნო“ და „საუკუნე“ სხვადასხვა რამ არისო – „საუკუნო“ არისო „вечный“, საუკუნე კი – „век“; „დაილოცოს“ ნაცვლად ხმარობთ „იდიდოს“, რაც შეცდომააო; „უცხო ქვეყნის საქმის მინისტრი“ არ ვარგა, „საგარეო საქმეთა მინისტრი“ უნდა ვთქვათ და ვწეროთო და სხვ. (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №108. ფ. 2).

² (გვ. 182) **„რომ შევიტყუეთ, ახალი გაზეთი უნდა გამოვიდესო“** – იგულისხმება ილია ჭავჭავაძის „ივერია“.

³ (გვ. 182) „ერთი გაზეთი მოგოგმანებს როგორც არის...“ – იგულისხმება გაზეთი „დროება“.

⁴ (გვ. 182) „მახლას, როგორც ყიზილბაშებმა გვასწავლეს“ – იოსებ გრიშაშვილის მიხედვით, „მახლას“ არაბულიდან მომდინარეობს („მლახს“) და „ნიშნავს გადანყევტას“ (გრიშაშვილი 1997: 150; გავრცელებული თვალსაზრისით კი „მახლას“ შორისდებულია და „გამოხატავს დანანებას, – აფსუს! რას იზამ, რა გაენყობა“ – ქეგელ 1958: 117). დავით ჩუბინაშვილთან „მახლას“ ნიშნავს: „სწორეთ, მართლა“ (ჩუბინაშვილი 1984: 686). დიმ. ყიფიანი სიტყვას „მახლას“ (აქაც და სხვაგანაც) უმეტესად ამ უკანასკნელი (ჩუბინაშვილისეული) მნიშვნელობით ხმარობს.

⁵ (გვ. 182) „მესხის გაზეთს მისი გაზეთი ემჯობინება“ – „მესხის გაზეთში“ იგულისხმება „დროება“, „მის გაზეთში“ – ილია ჭავჭავაძის „ივერია“.

⁶ (გვ. 183) „ვესტნიკს დავეჭვავ რავარც იქნება“ – იგულისხმება გაზეთი „Тифлисский вестник“, სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი, რომელიც თბილისში გამოდიოდა 1873-1882 წლებში (დამაარსებელი და გამომცემელი კონსტ. ბებუთოვი). გაზეთთან აქტიურად თანამშრომლობდნენ ქართველი მოღვაწეები: ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი, დავით ერისთავი და სხვ.; 1906 წელს გაზეთი აღადგინა კადეტთა პარტიამ (რედაქტორ-გამომცემელი პ. დოლუხანოვი), თუმცა საცენზურო პირობების დარღვევის საბაბით იგი თბილისის გენერალ-გუბერნატორმა აღდგენიდან ერთ თვეში დახურა.

თარგმანები

უილიამ შექსპირი. ორი ვერონელი აზნაური (გვ. 187-296)

ნაბეჭდი:

ქ. „ცისკარი“, 1867, №4 (აპრილი), გვ. 1-64; 1867, №5 (მაისი), გვ. 65-96.

ორი ვერონელი აზნაური. შექსპირის დრამა. გადმოთარგმნილი ანგლიურად დიმ. ყიფიანისაგან. თფილისი: კერესელიძის ტიპოგრაფია. [1867], 96 გვ.

სათაური:

ორი ვერონელი აზნაური. შექსპირის დრამა. გადმოთარგმნილი ანგლიურიდამ დიმ. ყიფიანისაგან.

თარიღი: 6 მაისს 1865.

მეორე (ივ. კერესელიძის სტამბაში დაბეჭდილი) პუბლიკაცია წარმოადგენს „ცისკარში“ გამოქვეყნებული ტექსტის ნიგნად აკინძულ გამეორებას – ამონაბეჭდს (ცალკეული მონაკვეთების შემდეგ პირველნაბეჭდისგან გადმოყოლილი აქვს მინაწერი: „**ბოლო შემდგომ ნომერში იქნება**“) და ისევე, როგორც პირველნაბეჭდში, დართული აქვს (გვ. 96) სარედაქციო შენიშვნა:

„ცისკრის“ რედაქციისაგან

ამ დრამის ანგლიურიდამ თარგმნაზედ ჰქონდა ქართულად მთარგმნელს შესადარებლად საუკეთესო ფრანცუზული თარგმანი ლაროშისა და რუსულად კეტჩერისა, მაგრამ ქართულმა მთარგმნელმა ჰპოვა, რომ ადგილ-ადგილ ვერ არის სწორედ გადმოღებული შექსპირის სიტყვები, ამისათვის იმას მოჰყავს ხელნაწერში ნამდვილი სიტყვები შექსპირისა. მაგრამ რადგანც ჩვენ სტამბაში ლათინური და ფრანცუზული ასოები არ მოიპოვებოდა, ამისათვის ეს ნამდვილი სიტყვები ბეჭდვაში ვერ ვიხმარეთ.

ამას გარდა, როგორც თვით მთარგმნელმა უფ. დიმიტრი ყიფიანმა მოგვანდო, უნდა მოვახსენოთ მკითხველებს, რომ ეს დრამა ითარგმნა სცენაზედ წარმოსადგენად ჩვენი სასცენო ხელოვნების საცდელად, მაგრამ რადგან ეს არ მოხერხდა, ამის გამო გადმოგვცა დასაბეჭდავად“ [სარედაქციო შენიშვნაში სიტყვა „**რუსულად**“ ივ. კერესელიძის სტამბაში გამოცემული ნიგნის საკუთარ ეგზემპლარში (იხ. ქვემოთ) დიმ. ყიფიანს ფანქრით ასე აქვს შესწორებული – „**რუსული**“].

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საარქივო ფონდში (F 76.208/3) დაცულია ივ. კერესელიძის სტამბაში გამოცემული ტექსტის ეგზემპლარი, რომელიც, როგორც ჩანს, დიმ. ყიფიანის ნაქონია – ზოგან ნაბეჭდი ტექსტი ფანქრითაა ნასწორები და ეს სწორებანი კალიგრაფიის მიხედვით, ჩვენ ვფიქრობთ, მთარგმნელის

ხელითაა შესრულებული (სწორებანი ძირითადად კორექტურას ეხება და მხოლოდ ორიოდე შემთხვევაშია სიტყვა ან გადაკეთებული, ან შეცვლილი. მათ შენიშვნებისა და კომენტარების შესაბამის ადგილებზე ვუთითებთ).

საზოგადოდ დიმ. ყიფიანი ქართულ ენაზე შექსპირის პირველი მთარგმნელია. 1841 წლის 28 მაისს ნ. ბარათაშვილი თბილისიდან გორში სწერს გრ. ორბელიანს: „ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვა: ყიფიანმა გადმოთარგმნა *Ромео и Джулиетта* – შექსპირის ტრალედია, და მე ვთარგმნე *Юлий Тарентский* – ტრალედია ლეიზევიცისა“ (ბარათაშვილი 1972: 111; ნ. ბარათაშვილის მიერ თარგმნილი „ტრალედია ლეიზევიცისა“ დაკარგულად ითვლება). ამ დრომდე ქართულ მწერლობაში შექსპირის შემოქმედებით დაინტერესების სერიოზული კვალი არ ჩანს. უფრო მეტიც, ჩვენი მონაცემებით, 1841 წლამდე ქართულ ენაზე წერილობით შექსპირი სულ ერთხელაა ნახსენები – ანსილიონის „ესტეტიკებრნი განსჯანის“ დავით ბატონიშვილისეულ თარგმანში (1815): „...რაისა შესაძლო არს შეთანასწორებად იულოსისა და რომეოსისა თანა შექსპირისასა“ (რუხაძე 1949: 166). 1970-იან წლებამდე ცნობილი იყო დიმ. ყიფიანის მიერ თარგმნილი „რომეო და ჯულიეტა“ ერთადერთი, უცნობი ხელით გადანერილი და ელენორა გურიელის მიერ „ქმნ-კვ საზოგადოებისათვის“ შენირული, პირი, რომელსაც წინ უძღვის მინანერი: „...რუსულიდგან კნენია **მანანა ორბელიანისთვის** ქართულსა ენაზედ გარდმოღებული **ყიფიანის** მიერ ტფილისის აპრილის დღესა წელსა“ (S-2677. უცნობი ხელით გადანერილი. ფ. 73; ხელნაწერის აღწერილობა იხ. აღწერილობა 1965: 140-141; მინანერში აპრილის კონკრეტული დღე, აგრეთვე, წელი მითითებული არ არის). მთარგმნელს გამოუყენებია რუსულ ენაზე შესრულებული ორი თარგმანი: ი. როსკოვშენკოსი და მის. კატკოვისა (აღწერილობა 1965: 140). როგორც ნ. ორლოვსკაიამ გამოარკვია, დიმ. ყიფიანი ძირითადად ი. როსკოვშენკოს თარგმანს დაყრდნობა [ორლოვსკაია 1986: 300; რუსი ლიტერატორი და მთარგმნელი ი. როსკოვშენკო 1839-1844 წწ. თბილისში ცხოვრობდა (აქაური გიმნაზიის ინსპექტორი იყო) და, უნდა ვიფიქროთ, რომ დიმ. ყიფიანი მას პირადად იცნობდა].

1970-იან წლებში დიმ. ყიფიანის თარგმანის ავტოგრაფული ტექსტი ამერიკის შეერთებულ შტატებში – ჩიკაგოს უნივერსიტეტში

– აღმოჩნდა (ყიასაშვილი 1992: 99-102). იგი დათარიღებულია 1841 წლის 27 აპრილით და აქ მანანა ორბელიანი არ არის ნახსენები (1990-იან წწ. ან განსვენებულმა ნიკო ყიასაშვილმა გაგვაცნო ხელნაწერის ქსეროასლი, რომელიც ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შექსპირის კაბინეტში ინახებოდა. 2006 წელს კაბინეტი გაუქმდა და ხელნაწერის ქსეროასლის კვალი დავკარგეთ). დიმ. ყიფიანის თარგმანი (მხედველობაში გვაქვს ჩიკაგოში დაცული ავტოგრაფი) სრულია, ნაწილობრივ ლექსადაა გადმოღებული. მთარგმნელს მუშაობა, ჩანს, დასრულებულად არ მიაჩნდა – ტექსტი ნასწორებია, გადახაზულია ცალკეული სიტყვები თუ ფრაზები და ზედ ახალი ვარიანტებია მიწერილი...

მოგვიანებით დიმ. ყიფიანი კიდევ ერთხელ მიუბრუნდა „რომეო და ჯულიეტას“ და 1859 წელს „ცისკარში“ შექსპირის ტრაგედიის ახალი, ამჯერად ფრანგული ენიდან გადმოღებული, თარგმანი დაბეჭდა (შექსპირი 1859^ა: 5-81; შექსპირი 1859^ბ: 121-201; დიმ. ყიფიანმა, როგორც ჩანს, ამ დროს საფუძვლიანად არ იცოდა ინგლისური. მოგვიანებით (1860-1861 წწ.) მან პეტერბურგში სრულყო ცოდნა ინგლისური ენისა და ამის შემდეგ იგი უკვე უშუალოდ დედნის ენიდან თარგმნიდა შექსპირს – ამ დღეებში ვაპირებ, აქაურ (პეტერბურგის) უნივერსიტეტში ინგლისური და ფრანგული ენების საჯარო კურსი გავიაროო, – სწერს დიმ. ყიფიანი მეუღლეს, ნინო ჭილაშვილ-ყიფიანს, 1860 წლის 3 ოქტომბერს ცარსკოე-სელოდან საქართველოში – ყიფიანი 14802: ფ. 2).

გარდა წინამდებარე ტომში წარმოდგენილი პიესისა („ორი ვერონელი აზნაური“) დიმ. ყიფიანმა თარგმნა – ამჯერად უკვე ინგლისურიდან – შექსპირის კიდევ ორი პიესა, რომელთაგან ერთი გამოაქვეყნა – „ვენეციელი ვაჭარი“ (შექსპირი 1872^ა: 1-54; შექსპირი 1872^ბ: 1-64; საინტერესოა, რომ ამ უკანასკნელი თარგმანით დაიწყო შექსპირის სცენური სიცოცხლე საქართველოში. 1873 წელს „ვენეციელი ვაჭარი“ ადგილობრივმა სცენისმოყვარეებმა წარმოადგინეს სამეგრელოს სოფელ ბანძაში (დროება 1873), ხოლო 1878 წლის აპრილში პიესა თბილისში თვითონ დიმ. ყიფიანის რეჟისორობით დაიდგა (მესხი 1878; მესხი 1963: 373-376; საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 155-159, 390-391).

რაც შეეხება ინგლისელი დრამატურგის კიდევ ერთი პიესის დიმ. ყიფიანისეულ თარგმანს, ესაა „ტყუილ-უბრალოდ ვაი-ვაგლახი“

(H-721, ფ. 60. სხვადასხვა – მათ შორის, მთარგმნელის – ხელით ნაწერი. უთარილო; ხელნაწერის აღწერილობა იხ.: აღწერილობა 1951: 125-126; დღეს ეს პიესა ცნობილია გივი გაჩეჩილაძის მიერ გაცლილებით უფრო მარჯვედ მოძებნილი სათაურით – „აურზაური არაფრის გამო“). დიმ. ყიფიანის ეს უკანასკნელი თარგმანი დასრულებული არ არის, თუმცა ნ. ორლოვსკაიას აზრით, დიმ. ყიფიანს თარგმანის შავი დასრულებული უნდა ჰქონოდა (ორლოვსკაია 1964: 95).

ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ შექსპირის პიესების კონგენიალურ მთარგმნელს, ივანე მაჩაბელს, სამწუხაროდ, არ უთარგმნია ინგლისელი დრამატურგის ის პიესები, რომლებიც უკვე იყო თარგმნილი დიმ. ყიფიანის მიერ. შესაძლებელია, ეს ივ. მაჩაბლის მხრიდან წინამორბედის სახელისა და შრომისადმი პატივისცემის გამოხატულება იყოს (მასალები – წყაროები და ლიტერატურა – შექსპირის პიესების დიმ. ყიფიანისეულ თარგმანებზე იხ.: ჯოლოგუა 2002^ა: 160-166, 176-177; გოგილაშვილი 2012: 54-92. დიმ. ყიფიანის შეხედულება ი. ჭავჭავაძისა და ივ. მაჩაბლის მიერ თარგმნილ „მეფე ლირზე“ იხ. საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 122-124).

დასასრულ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „ორი ვერონელი აზნაურის“ გამოქვეყნება ივ. კერესელიძის ჟურნალ „ცისკარში“, ანტონ ფურცელაძის თქმით, მისი ინიციატივა იყო: „ორი ვერონელი აზნაური“... ჩემის თხოვნით იყო მიცემული „ცისკარში“ დასაბეჭდათა და მევე მივეცი ისა წინასიტყვაობით (რომელიც კერესელიძემ აქცია ბოლოსიტყვაობათა)“ (ფურცელაძე 1867).

რაც შეეხება უშუალოდ პიესას „ორი ვერონელი აზნაური“ („The Two Gentlemen of Verona“), იგი შექსპირის ადრეულ კომედიათა რიცხვს მიეკუთვნება. პიესის დაწერის ზუსტი თარიღი არ არის დადგენილი – სხვადასხვა ვერსიით, იგი 1591-1595 წლებში უნდა იყოს დაწერილი. დაზუსტებით არც ისაა ცნობილი, თუ სად და როდის განხორციელდა პიესის პირველი სცენური წარმოდგენა – დოკუმენტურად დადასტურებულ ყველაზე ადრეულ თარიღად სახელდება 1762 წელი (ლონდონის დრური ლეინის სამეფო თეატრი).

დიმ. ყიფიანის წინამდებარე თარგმანი პირველი ცდაა „ორი ვერონელი აზნაურის“ ქართულ ენაზე გადმოღებისა. XX საუკუნეში პიესა ხელმეორედ თარგმნა გივი გაჩეჩილაძემ და 1955 წელს შეი-

ტანა შექსპირის თხზულებათა IV ტომში (შექსპირი 1955: 527-670; მოგვიანებით გამეორდა ინგლისელი მწერლის თხზულებათა ხუთ-ტომეულში – შექსპირი 1983: 347-389).

„აზნაური“ (gentleman) აქ გამოხატავს არა კონკრეტულ სოციალურ წოდებას („აზნაური... თავადზე დაბლა მდგომი“ – ქეგლ 1950: 173), არამედ – ნარჩინებულს, დიდგვაროვანს („აზნაური... ნარჩინებული წოდებისა ან გვარისა, დიდებული...“ – აბულაძე 1973: 3; **„აზნი: დიდგვარი, ნარჩინებული; აზნაური, ე. ი. აზნთაგანი, დიდებული, გვაროვანი...“** – ჩუბინაშვილი 1984: 12).

წინამდებარე ტომში გადმოგვაქვს პირველნაბეჭდი.

¹ (გვ. 188) **„მილანის დუკი“** – მილანის მთავარი [ს.-ს. ორბელიანთან: **„დუკა – ფრანგულად თ ა ვ ა დ ი“** (ორბელიანი 1965: 231). დ. ჩუბინაშვილთან: **„დუკა, დუქსი: მთავარი, დიდი თავადი, герцог“** (ჩუბინაშვილი 1984: 483)].

² (გვ. 188) **„თული კაცები“** – ყაჩაღები (თული: „მეკობარი“, „ავაზაკი“ (დ. ჩუბინ.); ყაჩაღი – ქეგლ 1955: 490).

³ (გვ. 190) **„როგორც ლეანდრმა – ზღვა გასცურაო“** – „შესაძლოა შექსპირი იხსენებს კრისტოფერ მარლოოს „ჰერო და ლეანდროს“, რომელსაც იგი გაეცნო გამოქვეყნებამდე ხელნაწერის სახით. ყოველ შემთხვევაში, თქმულება მიჯნურის თავგანწირვის შესახებ (ლეანდროსი ყოველ ღამე გადასცურავდა ხოლმე ჰელესპონტს ჰეროს სანახავად, სანამ ჰეროს მიერ ანთებული ნიშანი არ ჩაქრა და ლეანდროსი ზღვაში არ დაიხრჩო) კარგად იყო ცნობილი შექსპირის დროს. სავარაუდოა აგრეთვე, რომ ამ თქმულებას შექსპირი ოვიდიუსის „მეტამორფოზებიდან“ იცნობდა“ (ნ. ყიასაშვილის შენიშვნა – შექსპირი 1983: 404).

⁴ (გვ. 197) **აქ და ზოგან ქვემოთაც:** ეს მონაკვეთი (სცენაზე პერსონაჟების გამოსვლა) ივ. კერესელიძის სტამბაში გამოცემული წიგნის საკუთარ ეგზემპლარში (იხ. ზემოთ, გვ. 437) მთარგმნელს ფანქრით ფრჩხილებში აქვს ჩასმული.

⁵ (გვ. 197) **„მშვენიერს ყმანვილს ეგლამურზედა, – აბა, რას იტყვი?“** – „აქ ნახსენები ეგლამური და სერ ეგლამური, რომელიც მოგვიანებით გამოჩნდება პიესაში – ერთი და იგივე პერსონაჟი არ

არის. შესაძლებელია, რომ კომედიის რომელიღაც ადრეულ ვარიანტში ეს ორი სახე გაერთიანებული იყო“ (ნ. ყიასაშვილის შენიშვნა – შექსპირი 1983: 404).

⁶ (გვ. 209) **„ავანტიყოფი იყოთ და ფარეზობდეთ“** – ავადმყოფობის გამო დიეტას იცავდეთ [„**ფარეზი** (სპარს.)... გაფრთხილება საჭმელ სასმელზედ, **диета**“ – ჩუბინაშვილი 1984: 1296].

⁷ (გვ. 212) **„უნვისაკრავოდ რად დადიხარო?“** – „შექსპირის დროს ტრფიალისას იტყოდნენ, ნვისაკრავი აღარ აკრავსო, დავინყებიაო“ (დიმ. ყიფიანის შენიშვნა – შექსპირი 1867: 20).

⁸ (გვ. 213) **„ერთი ამ კუკების თამაშობას უყურეთ!“** – „**კუკი**: დედოფალა, თოჯინა“ (ქეგლ 1955: 1413).

⁹ (გვ. 219) **„ტალია, და როგორც ძალს არა აქვს შებრალება...“** – ტალი მაგარ ქვას, კაჟს ნიშნავს („**ტალი**: კაჟი“ – ორბელიანი 1966: 132). აქ: **გულქვა, უგრძნობი, შეუბრალებელი**.

¹⁰ (გვ. 219) **„ბაშმაკი არის, ვსთქვათ, მამაჩემი!“** – ბარბარიზმია [თურქული სიტყვა, რომელიც ქართულში რუსული ენის (**Бамак**) მეშვეობით შემოვიდა – **ფეხსაცმელი**; ნიკო ჩუბინაშვილთან: „...მაშია, ქოში ზეიდან შესაკრავი ბალთით ანუ ზონრით“ – ჩუბინაშვილი 1971: 45].

¹¹ (გვ. 220) **„ზღვა გაბრუნდება და შემთხვევას დაჰკარგამ მეთქი“** – „ზღვის გაბრუნებაში“ **ზღვის მიქცევა** იგულისხმება.

¹² (გვ. 224) **„სინჰორ ვალენტინ!“** – სინიორ (იტალ. *signore, senhor*): ბატონო (ბატონო ვალენტინ!).

¹³ (გვ. 225) **„თანამზრახველად რომ განანესონ, იქაც ივარგებს“** – თანამზრახველი აქ მრჩეველს ნიშნავს („**თანა განმზრახი**: თანამზრახველი, საქმის მრჩეველი“ – ჩუბინაშვილი 1961: 229).

¹⁴ (გვ. 236) **„არაბის ქალად გარდაქცია ჩემი ჯულია!“** – გივი გაჩეჩილაძის თარგმანში: „ჯულია მოსჩანს, ვით შავტუხა ეთიოპელი“ (შექსპირი 1983: 367), რაც უფრო ზუსტი თარგმანია (დედანში: „*Shows Julia but a swarthy Ethiopie*“). ეპითეტით „შავტუხა“, ავტორს ჯულიას გარეგნობის დაკნინება სურს (ნ. ყიასაშვილის განმარტებით, „სილამაზის რენესანსული ნორმების მიხედვით, მუქი ფერის კანი არაესთეტურად ითვლებოდა. შექსპირის სონეტებსა და პოემებში ხშირად გვხვდება ამ მოარული შეხედულების გამოძახილი“ – შექსპირი 1983: 405).

¹⁵ (გვ. 251) „ერთ კარგ ჩათლახს ბევრითა სჯობნებია!“ – „ჩათლახი... უვარგისი, უხეირო“ (ქეგლ 1964: 89). აქ: უვარგისი ცხენი, ჯაგლაგი.

¹⁶ (გვ. 251) „ახალი რა იცის შენმა უფლებამ?.. ჩემმა უფლებამ? ვინ მამცა მერე ეგ უფლები?“ – სიტყვების თამაშია:

ა) „უფლება“ – მიმართვის აღმატებული ფორმა „მეუფება“ („უფლება, უფლობა: მეუფება“, „შედლება“, „ბატონობა...“ – აბულაძე 1973: 434; გ. გაჩეჩილაძის თარგმანში: „როგორ ბრძანდება თქვენი ბრწყინვალება?“ – შექსპირი 1983: 373).

ბ) „უფლება“, როგორც „რაიმე მოქმედების, რისამე კეთების, განხორციელების შესაძლებლობა“ (ქეგლ 1960: 1633)

¹⁷ (გვ. 253) „რეცხვა და დაჯანდვრა იცის“ – „ჯანდარი, ჯანდარა (თურქ.): ნაქსოვის გასაჭიმი მონყობილობა...“ (ქეგლ 1964: 1558).

¹⁸ (გვ. 264) „იმ რობინ-ჰუდის ბერის...“ – „რობინ-ჰუდი იყო ერთი გამოჩინებული ავაზაკი. იმის ამხანაგებში ბერიც იყო ერთი, რომელიც იმას მოძღვრათა ჰყავდა და გაენდობოდა ხოლმე“ (დიმ. ყიფიანის შენიშვნა – შექსპირი 1867: 66).

¹⁹ (გვ. 268) „...ყოვლის მოკვდავის მაცოცხლებელი; / ამაჲ ქვეყნისა მსასოვებელი“ – უკანასკნელი სიტყვა („მსასოვებელი“) ივ. კერესელიძის სტამბაში გამოცემული ნიგნის საკუთარ ეგზემპლარში (იხ. ზემოთ, გვ. 437) დიმ. ყიფიანს ფანქრით გადახაზული აქვს (გვ. 71) და გვერდით მისივე ხელით მიწერილია – „მსამოთხებელი“.

²⁰ (გვ. 283) „ამისს ფერს ფარუქს ვიშოვი სადმე...“ – ფარუქი: თავსამკაული (გ. გაჩეჩილაძის თარგმანში: „მეც რომ ასეთი მამშვენებდეს თავსამკაული“ – შექსპირი 1983: 384).

მოლიერი. ცოლის შერთვეპინება (გვ. 297-326)

ნაბეჭდი:

ჟ. „ცისკარი“, 1862, №3 (მარტი), გვ. 1-54.

სათაური:

ცოლის შერთვეპინება (Le Mariage forcé). მოლიერის კომედია ერთ-მოქმედებად. დიმიტრი ყიფიანისგან გადმოთარგმნილი ფრანცუზულიდამ 12 დეკ. 1861.

მოლიერის პიესის წინამდებარე თარგმანი ფრანგი დრამატურგის პირველი **გამოქვეყნებული** თარგმანია ქართულ ენაზე [ჩვენი მონაცემებით, მოლიერი ქართულად პირველად გადმოიღო ივანე (ოქრო) დავითის ძე ერისთავმა, გიორგი ერისთავის (დრამატურგის) ძმამ – „ძალად ექიმი“ (ივ. ერისთავის თარგმანში „უნებურად ექიმი“). დაიდგა გ. ერისთავის თეატრში 1852-1853 წწ. სეზონზე – გერსამია 1950: 132; „ცოლის შერთვევინების“ დიმ. ყიფიანისეულ თარგმანებზე იხ. თურნავა 1979: 93-96; ორლოვსკაია 1986^ბ: 345-346].

გარდა „ცოლის შერთვევინებისა“, დიმ. ყიფიანმა მოლიერის კიდევ ოთხი პიესა თარგმნა [ხუთივე უშუალოდ ფრანგული ენიდანაა გადმოღებული; ჩვენი მონაცემებით, ეს თარგმანები, გარდა პიესისა „ავათა ვარო დაუჟინია“ (ივ. მაჩაბლის თარგმანში – „ეჭვით ავათ-მყოფი“), მოლიერის შესაბამისი პიესების პირველი და დღემდე ერთადერთი ქართული თარგმანებია]:

1. **„სიყვარული მკურნალობს“** (იხ. წინამდებარე ტომში).

2. **„სიყვარული მსატყრობს“** (იხ. წინამდებარე ტომში).

3. **„ავათა ვარო დაუჟინია“** [გამოუქვეყნებელი. თარგმანის ხელნაწერი დაცულია ლსმ-ში: №14764-ბ. ავტოგრაფი. ფ. 28. მთარგმნელის ხელით დათარიღებულია 1879 წლის 14 თებერვლით. მის გამოქვეყნებაზე ცენზორის ნებართვა იყო გაცემული (ლსმ. №14764-ბ, ფ. 1), მაგრამ რალაც მიზეზით არ დაბეჭდილა. მოლიერის ამ პიესის ქართული თარგმანი იმავე 1879 წელს სათაურით „ეჭვით ავათ-მყოფი“ ივ. მაჩაბელმა გამოაქვეყნა ჟურნალ „ივერიაში“ (№5-6, გვ. 5-73). დიმ. ყიფიანის თარგმანის შესახებ იხ. ხომერიკი 1961: 23-27].

4. **„ჩინებული სასიძონი“** (გამოქვეყნდა მოგვიანებით, მთარგმნელის სიკვდილის შემდეგ – „მოამბე“, 1894, №7, განყ. I, გვ. 130-166 (თარგმანი დათარიღებულია 1879 წლის 16 მარტით); ხელნაწერი დაცულია ლსმ-ში: №14765-ბ. ავტოგრაფი. ფ. 18; თარგმანი ავტორის სიცოცხლეშივე სასტამბოდ იყო გამზადებული და მასზე 1884 წლის 11 აპრილის თარიღით ცენზორის ნებართვაც იყო გაცემული (ლსმ. №14765-ბ, ფ. 1; ხომერიკი 1961: 27-28), მაგრამ ჩვენთვის უცნობი მიზეზით ტექსტი მაშინ არ დაბეჭდილა.

„ცოლის შერთვევინება“ პირველად თბილისელმა სცენისმოყვარეებმა 1862 წლის 17 თებერვალს საქველმოქმედო მიზნით („კეთი-

ლის საქმის სასარგებლოდ“) წარმოადგინეს თბილისში (ცისკარი 1862: 214-216); იმდროინდელი პრესის მიხედვით, მეორედ პიესა თბილისში 1865 წლის გაზაფხულზე დადგეს (ცისკარი 1865: 52-57). იმავე წლის აგვისტოში უკვე სცენისმოყვარეთა სხვა დასმა თამამშევის ქარვას-ლაში პიესა კიდევ ერთხელ წარმოადგინა (მაჩაბელი 1912; ყიფიანი 1964: 13; საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 126).

ამას გარდა, 1860-1880-იან წწ. დიმ. ყიფიანის მიერ თარგმნილი ეს პიესა კიდევ რამდენჯერმე დაიდგა სცენაზე (თბილისში, ქუთაისში... – იხ.: დროება 1866; ავალიშვილი 1870: 108-111; დროება 1871; დროება 1872; დროება 1878; დროება 1880^ა; დროება 1880^ბ; დროება 1880^გ და სხვ.).

რაც შეეხება საკუთრივ მოლიერის პიესას „ცოლის შერთვევინება“, იგი პირველად ლუვრის სასახლეში, ჰერცოგ ფილიპე I ორლენელის კარზე წარმოადგინეს 1664 წლის 29 იანვარს (მომდევნო წარმოდგენა იმავე წლის 15 თებერვალს პარიზის „პალე-როიალში“ განხორციელდა. სგანარელის როლს თვითონ პიესის ავტორი ასრულებდა). პიესა პირველად პარიზში გამოქვეყნდა 1668 წელს (Le Mariage forcé, ed. J. Ribou. 1668).

¹ (გვ. 303) „**გაჭრილი ვაშლივით...**“ – „ნამდვილში: ორი წვეთი წყალივით“ (დიმ. ყიფიანის შენიშვნა – მოლიერი 1862: 7).

² (გვ. 304) „**პატარა ბიჭი. საით უნდა ვიცქირებოდე ... ჰო! კარგია, ხმა ჩაიწყვიტე!**“ – კურსივით აწყობილ ამ მონაკვეთს ახლავს მთარგმნელის შენიშვნა: „ეს ჩამატებული არის მხოლოდ ტფილისის სცენისათვის“ (მოლიერი 1862: 11).

³ (გვ. 308) „**Toto coelo, tota via aberras**“ (ლათ.) – მთლიანად ხარჭემმარიტებას აცდენილი (აბუჩად იგდებ ჭემმარიტებას).

⁴ (გვ. 308) „**Syllogismo in balordo**“ (ლათ.) – სილოგისტო (აქ: ყბედო, ფუჭად მეტყველო) და ჩერჩეტო.

⁵ (გვ. 308) „**Pugnis et calcibus, unguibus et rostro**“ (ლათ.) – მუშტებითა და ჩლიქებით, ბრჭყალებითა და ნისკარტით (ანუ: ყველა შესაძლებელი საშუალებით, უკანასკნელი ძალისხმევით).

⁶ (გვ. 310) „**Datur vacuum in rerum natura**“ (ლათ.) – ბუნებაში სიცარიელე (ვაკუუმი) არ არსებობს.

⁷ (გვ. 312) „შეტყობა გნებავთ, არსება და შემთხვევა სინონიმნი არიან თუ ეკვივონი; ესე იგი, ერთაზროვნებას წარმოადგენენ თუ ორაზროვნებას მნიგნობრობაში?“ – თარგმანში პანკრასის ამ რეპლიკას (კერძოდ, სიტყვას „ორაზროვნება“) დიმი. ყიფიანის მიერ დასმული აქვს სქოლიოს აღმნიშვნელი ნიშანი, სქოლიოში კი ჩატანილია მისივე შენიშვნა: „ნამდვილში ეს განმარტება არ არის“ (მოლიერი 1862: 24). „ნამდვილში“ (ესე იგი – დედანში) კი ეს რეპლიკა ასეა: „Vous voulez peut-être savoir, si la substance, et l'accident, sont termes synonymes, ou équivoques, à l'égard de l'Être?“ [„თქვენ, ალბათ, იმის გაგება გსურთ, სუბსტანცია და აქციდენცია სინონიმებია ყოფიერებისა, თუ ორაზროვანი (ორგვაროვანი, განსხვავებული) მნიშვნელობის გამომხატველია (შემცველი)?“].

ეკვივოკი (ფრანგ. *équivoque*) – ორაზროვნება, ორგვარობა.

აქციდენცია (ლათ. *accidentia*) – საგნის შემთხვევითი და წარმავალი თვისება.

პიესის ამ მონაკვეთში მკაფიოდ ჩანს მოლიერის ირონიული დამოკიდებულება სქოლასტიკოსი ფილოსოფოსების მიმართ.

⁸ (გვ. 313) „**Animi index, et speculum**“ (ლათ.) – სულის გამომხატველი და სარკე.

⁹ (გვ. 314) **აპოფთეგმა** (ბერძ.) – გამოჩენილი ადამიანის აზრი, რომელიც ლაკონიურად და მახვილგონივრულადაა ჩამოყალიბებული.

¹⁰ (გვ. 314) „**In Barbara**“ (ლათ.) – სილოგიზმის პირველი ფიგურის პირობითი სახელი (*Barbara*).

¹¹ (გვ. 314) „**In utruque jure**“ (ლათ.) – ორივე კანონის (იგულისხმება სამოქალაქო და საეკლესიო კანონები).

¹² (გვ. 314) „**Per omnes modos et casus**“ (ლათ.) – ყველა მეთოდითა და [ნებისმიერ] შემთხვევაში.

¹³ (გვ. 314) **Superlative** (ლათ.) – შესანიშნავი (ჩინებული, საუცხოო).

¹⁴ (გვ. 314) **ონიროკრიტიკა (ონეიროკრიტიკა)** (ბერძ.) – სიზმართა განმარტება (სათავეს იღებს II ს. ბერძენი ავტორის არტემიდორ დალდიელის წიგნიდან „ონეიროკრიტიკა“).

¹⁵ (გვ. 314) **კოსმომეტრია** (ბერძ.) – სამყაროს განზომილებები.

¹⁶ (გვ. 314) **სპეკულობა [და] სპეკულატობა** – დედანში [spéculoire et speculatoire (en s'en allant)]: მკითხაობა სარკეზე და ციურ მნათობთა მეშვეობით.

¹⁷ (გვ. 314) **ფიზიონომია** – დედანში *physionomie*: იგულისხმება **ფიზიონომიკა** (ბერძ.) – უძველესი მოძღვრება, რომლის მიხედვითაც ადამიანის გარეგნობასა და ხასიათს შორის არსებობს აუცილებელი კავშირი.

¹⁸ (გვ. 314) **მეტოპოსკოპია** (ბერძ.) – მკითხაობა სახის (განსაკუთრებით – შუბლზე აღბეჭდილი ნაოჭების) მიხედვით.

¹⁹ (გვ. 314) **ხირომანტია**. უნდა იყოს: **ქირომანტია** (ბერძ.) – მკითხაობა ხელისგულზე გამოსახული ხაზების მიხედვით.

²⁰ (გვ. 314) **გეომანტია** (ბერძ.) – მიწით (ქვიშით) მკითხაობა.

²¹ (გვ. 326) **„სგანარელი უნებლიედ ქუდზედ ხელს იტაცებს“** – სქოლიოში მთარგმნელს დართული აქვს: „ეს შენიშვნა ნამდვილში არ არის“ (მოლიერი 1862: 54).

მოლიერი. სიყვარული მკურნალობს (გვ. 327-354)

ნაბეჭდი:

ჟ. „ივერია“, 1879, №2 [თებერვალი], გვ. 3-28.

მოლიერი. კომედიების კრებული. წინასიტყვაობა, რედაქცია და შენიშვნები პ. კეშელავასი. თარგმანი შედარებულია ორიგინალთან ი. ქაჯუარაძის მიერ. თბილისი: ფედერაცია. 1937, გვ. 83-106.

სათაური:

სიყვარული მკურნალობს (*L'Amour Médecin*). სამ მოქმედებიანი კომედია მოლიერისა ნამდვილიდგან გადმოთარგმნილი დიმ. ყიფიანისაგან.

თარგმანს თარიღი არ უზის.

პირველნაბეჭდში სათაურს დართული აქვს სქოლიო, რომელშიც დიმ. ყიფიანი აღნიშნავს: „მოლიერი ანბობს: „ნუ დაივიწყებთ, რომ კომედია იწერება წარმოსადგენად და არა საკითხავად. საქმე კარგად წარმოდგენაო“ (მთარგმნელს ეს შენიშვნა ამოღებული აქვს

მოლიერის მიერ თავისი პიესისათვის წამძღვარებული მიმართვიდან – „მკითხველებისადმი“: „მოგეხსენებათ, კომედია მხოლოდ სცენაზე წარმოსადგენად იწერება. ამიტომაც ამ პიესის წაკითხვას ვურჩევ მხოლოდ იმას, ვის თვალსაც შეუძლია, კითხვის დროს ისიც დაინახოს, თუ რა ხდება ამ დროს სცენაზე“).

დიმ. ყიფიანის მიერ შესრულებული თარგმანი არასრულია: „უთუოდ კარგად შესრულებულ ქართულ თარგმანში გამოტოვებულია: ბალეტის პირველი გამოსვლა, სადაც სგანარელის მსახური შამპანი ცეკვავს, ცეკვავს აგრეთვე ორი ექიმი; – ბალეტის მეორე გამოსვლა: შარლატანი მღერის, ტრიველინები და სკარამუშები ცეკვავენ. – ბალეტის მესამე გამოსვლა: კომედია, მუსიკა, ბალეტი, თამაშობა, სიცილი, სიამოვნება ცეკვავენ. გამოტოვებულია აგრეთვე პროლოგი, რომელიც თოთხმეტ სტრიქონიანი ლექსიდან შესდგება და სრულდება კომედიის, მუსიკის და ბალეტის მიერ. ტექსტი მიძღვნილია მომღერალთა მეფისადმი. ფრაზა: „გავართოთ ჩვენ მეფე, უდიდებულესი მთელს ქვეყანაზე“ სამჯერ მეორდება. ალბათ, ამიტომ არ დაინახა საჭიროდ დ. ყიფიანმა პროლოგის თარგმნა. გამოტოვებულია მეორე მოქმედების მეშვიდე სურათი და შარლატანის სიმღერა, სადაც ავადმყოფობათა და წამალთა ჩამოთვლაა მოცემული. არც მეორე ინტერმედია-ტრაველინებისა და სკარამუშების ცეკვაა თარგმნილი“ (პ. კეშელავას შენიშვნა – მოლიერი 1937: 432).

რატომ არ თარგმნა დიმ. ყიფიანმა მოლიერის პიესა სრულად? პასუხს ამ კითხვაზე, ვფიქრობთ, იძლევა პ. კეშელავას კიდევ ერთი შენიშვნა, რომელიც, მართალია, სხვა თარგმანს – ივ. მაჩაბლის მიერ შესრულებულ „ექვით ავადმყოფს“ – ეხება, მაგრამ მიზეზი არსებითად შეიძლება დიმ. ყიფიანის თარგმანზეც გავავრცელოთ: „ეს 80-იანი წლების ქართული თეატრის სიღარიბით აიხსნება. მაშინ ჩვენს თეატრს არავითარი საშუალება არ ჰქონდა „ექვით ავადმყოფი“ იმ გრანდიოზულობით წარმოედგინა, რა სახითაც იგი მოლიერის თეატრში იდგმებოდა“ (მოლიერი 1937: 3).

1880-იანი წწ. დასაწყისში მოლიერის „სიყვარული მკურნალობს“ (დიმ. ყიფიანის თარგმანი) რამდენჯერმე დაიდგა ქართულ სცენაზე (თბილისი, ქუთაისი, გორი – დროება 1880^ა; დროება 1881^ა; დროება 1881^ბ; დროება 1881^გ).

თვითონ კომედია-ბალეტი მოლიერისა – „სიყვარული მკურნალობს“ („L'Amour médecin“) – დაიწერა 1665 წელს და იმავე წლის სექტემბერში წარმოადგინეს ჯერ ვერსალის სასახლეში, ხოლო შემდეგ – „პალე-როიალში“ (მუსიკის ავტორი – ჟან ბატისტ ლული). „ამ კომედიიდან დაიწყო მოლიერმა ის დიდი შეტევა ექიმების უვიცობაზე, რომელმაც კომედიოგრაფს უამრავი მტრები გაუჩინა... ექიმების სახელები ამ კომედიაში სათანადო შინაარსს ატარებენ: დეფონანდრე – ადამიანთა მმუსრავი, ბაისი – მყეფარე, მაკროტონი – გრძელი ბგერა – მძიმედ მოლაპარაკე. სწორედ ამ შინაარსის სახელებით მიუთითებდა ავტორი მეფის კარის ექიმებზე“ (პ. კეშელავას შენიშვნა – მოლიერი 1937: 431-432).

¹ (გვ. 330) „მაგდენ თასლიბს კი არ გაუწევდი“ – თასლიბი (არაბ.) სხვადასხვა ლექსიკონში სხვადასხვაგვარადაა განმარტებული: „თასლიბს გაუწევს – გაამხნევებს, ანუგეშებს“ (ქეგლ 1955: 345); „თასლიბი – ლაპარაკით შექცევა“ (ჩუბინაშვილი 1984: 554); „...თასლიბი არის აგრეთვე მეგობრობა“ (გრიშაშვილი 1997: 109); თასლიბი – ლაპარაკი (ნეიმანი 1961: 227). აქ: ხათრს (ანგარიშს) არ გავუწევდი.

² (გვ. 331) „უკეთ მორთვა გინდოდეს... მებლითა?“ – მებლითა: ავეჯეულობით (ბარბარიზმია. გამოყენებულია რუსული სიტყვა: Мебель – ავეჯი; Меблировать – საცხოვრებლის განწყობა ავეჯით).

³ (გვ. 342) „Experimentum periculosum“ (ლათ.) – სახიფათო ექსპერიმენტი.

⁴ (გვ. 343) „წავალ და ორვიეტულს თრიაქს ვიყიდი“ – ორვეტანი, როგორც სამკურნალო საშუალება, XVI საუკუნეში შეიქმნა და მრავალი ავადმყოფობისაგან მორჩენის უებარ საშუალებად (ერთგვარ პანაცეად) მიიჩნეოდა. თავიდან იგი მკურნალობის ხალხურ საშუალებად ითვლებოდა, ხოლო სამედიცინო წრეებში კატეგორიულად უარყოფდნენ მის სამკურნალო ღირსებებს.

⁵ (გვ. 345) „პამპრაუქობით მოგვაქვს თავი“ – ვყოყლოჩინობთ, ვბაქიბუქობთ („პამპლაუქობა: ...მეტიჩრობა, ყოყლოჩინობა, ბაქიობა“ – ქეგლ 1960: 111).

⁶ (გვ. 350) „ლუცინდა. ნამდვილად? / ზგანარელი. სწორეთ, სწორეთ!“ – ეს მონაკვეთი არ არის დიმ. ყიფიანის თარგმანის პირველ-ნაბეჭდში, მაგრამ არის მოლიერის თხზულებათა 1937 წლის გამოცემაში (მოლიერი 1937: 103). იგი ჩამატებული უნდა იყოს ი. ქავჭავაძის მიერ, რომელსაც ამ გამოცემაში შესული თარგმანები ფრანგულ ტექსტებთან აქვს შედარებული.

⁷ (გვ. 351) „შეზავებული ბეჭედი“ – დედანში: „anneau constellé“ – ვარსკვლავური ბეჭედი [აქ: ვარსკვლავთა ზემოქმედებით (ვარსკვლავთა მეშვეობით) გაკეთებული ბეჭედი].

⁸ (გვ. 351) „შენძრეულს გონებას რომ თავის დონეზედ აყენებს“ – სიტყვამ „შენძრეული“ მოგვიანებით სკაბრეზული შინაარსი შეიძინა, ამიტომ მოლიერის კომედიების პ. კეშელავასეულ გამოცემაში იგი შეცვლილია სიტყვით „შერყეული“ („შერყეულ გონებას რომ თავის დონეზე აყენებს“ – მოლიერი 1937: 104).

მოლიერი. სიყვარული მხატვრობს (გვ. 355-381)

ნაბეჭდი:

ქ. „ივერია“, 1879, №3 [მარტი], გვ. 3-28.

მოლიერი. კომედიების კრებული. წინასიტყვაობა, რედაქცია და შენიშვნები პ. კეშელავასი. თარგმანი შედარებულია ორიგინალთან ი. ქავჭავაძის მიერ. თბილისი: ფედერაცია. 1937, გვ. 107-129.

სათაური:

სიყვარული მხატვრობს (L'Amour Peintre). მოლიერის ერთ-მოქმედებიანი კომედია ნამდვილიდამ ნათარგმნი.

ხელნაწერი დაკარგულია. მთარგმნელის ვინაობა (**დიმიტრი ყიფიანი**) პუბლიკაციის ბოლოშია მითითებული. ნაბეჭდში თარგმანს თარიღი არ უზის.

ისევე, როგორც წინა თარგმანში („სიყვარული მკურნალობს“) პირველნაბეჭდის სათაურს სქოლიოში დართული აქვს დიმ. ყიფიანის შენიშვნა: „მოლიერი ანბობს: „ნუ დაივინყებთ, რომ კომედია იწერება წარმოსადგენად და არა საკითხავად. საქმე კარგად წარმოდგენაო“.

კომედია „სიყვარული მხატვრობს“ (დედანი – „სიცილიელი ანუ სიყვარული-მხატვარი“, „Le Sicilien ou l'Amour peintre“) დაინერა 1667 წელს, იმავე წლის 14 თებერვალს სენ-ჟერმენ-ან-ლეში, საფრანგეთის მეფეთა ქალაქარე რეზიდენციაში, წარმოდგინეს, ხოლო 10 ივნისს წარმოდგენა „პალე-როიალში“ გამეორდა (მუსიკის ავტორი – ჟან ბატისტ ლული).

¹ (გვ. 357) **„ცას ნაბადი წამოუსხამსო, კაცი იტყვის“** – „დედანი არის: ცა ისე შავია, როგორც სკარამუში. სკარამუშები შავ კოსტუმს ატარებდნენ“ (პ. კეშელავას შენიშვნა – მოლიერი 1937: 433). **„სკარამუში** (ფრანგ. Scaramouche) – იტალიური ნიღბების კომედიის პერსონაჟი – მშიშარა, ტრაბახა, გაქნილი, ქალების მუსუსი. პოპულარული იყო საფრანგეთში მე-17 საუკ.-ის მე-2 ნახევარში“ (ჭაბაშვილი 1989: 466-467).

² (გვ. 359) **„მშვენიერ ბეკარზეა“** – „ბეკარი (ფრანგ. bécarre) – სანოტო ნიშანი, რომელიც აუქმებს წინა დიეზს ან ბემოლს და აღადგენს ნოტის პირვანდელ სიმაღლეს“ (ჭაბაშვილი 1989).

³ (გვ. 359) **„ბემოლის მხარე გჭერიათ“** – **ბემოლი** (ფრანგ. bé-mol) – მუსიკალური ბგერის სიმაღლის ნახევარი ტონით დადაბლება. „ბეკარს და ბემოლს, მუსიკალურ ტერმინებს, ალი არასწორი მნიშვნელობით ხმარობს. ალის უნდა სთქვას, მაჟორული და მინორული ტონის სიმღერები მოისმინეთო“ (პ. კეშელავას შენიშვნა – მოლიერი 1937: 433).

- ანდრიე სერჟი** – საფრანგეთის კულტურის ატაშე საქართველოში (1994-1997), მ. ბროსეს ბიბლიოგრაფიის გამომცემელი (თბ.: 1999) ე. ხოშტარია-ბროსესთან ერთად – 456
- ანსილიონი ფრიდრიხ** (1767-1837) – გერმანელი სახელმწიფო მოღვაწე, ისტორიკოსი, ფილოსოფოსი, პრუსიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი – 438
- ანტონ II** (ერისკაცობაში – **თეიმურაზ ბაგრატიონი**) (1764-1827) – ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის ძე, აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი (1788-1811), რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური კავშირის მომხრე; 1810 წ. გაიწვიეს რუსეთში, სადაც იყო წმ. სინოდის წევრი; სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა ნიჟნი-ნოვგოროდში, იქვე გარდაიცვალა და იქვეა დაკრძალული – 408
- ანტონიო** (პერს.) – 188, 204-207, 224
- ანჩაბაძე** – სამურზაყანოელი თავადი, პერსონაჟი დიმ. ყიფიანის დოკუმენტური მოთხრობისა „თავად ანჩაბაძისა და თავად ინალიშვილის ქალის ანბავი“ – 7, 143-147, 416, 417, 420
- ანჩაბაძე დავით** – სამურზაყანოელი თავადი – 422
- ანჩაბაძე მურზაყან** – სამურზაყანოელი თავადი – 422
- ანჩისხატის-უბნელი** – იხ. **უმიკაშვილი პეტრე**
- აპელესი (აპელლესი)** (ძვ. წ. აღ. IV ს. II ნახევარი) – ანტიკური ეპოქის გამოჩენილი ხელოვანი, ალექსანდრე მაკედონელის მეგობარი და მისი კარის მხატვარი – 373
- არიადნე** – ძველი ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟი, კრეტის მეფე მინოსის ასული, რომელიც ათენელ გმირ თესევსს ლაბირინთიდან თავის დაღწევაში დაეხმარა – 282
- არისტოტელე** (ძვ. წ. 384-322) – ძველი ბერძენი ფილოსოფოსი. ფუძემდებლური ნაშრომების ავტორი ფილოსოფიაში, ხელოვნების თეორიასა და სხვ. – 298, 307-310, 315
- არტემიდორ დალდიელი** – II საუკუნის ბერძენი ავტორი – 446
- არტემიოზი** (პერს.) – 339

- არშაკიანები** (ქართლისა) – „ქართლის ცხოვრების“ საექვო ცნობის მიხედვით, სომეხი არშაკუნიალების ქართლში გამეფებული შტო – 120
- არჩილ I (არჩილ მირდატის ძე)** – „ქართლის ცხოვრების“ (ჯუან-შერი) მიხედვით, ქართლის მეფე V ს. 20-30-იან წწ.; იბრძოდა ირანელთა ბატონობისაგან ქვეყნის გასათავისუფლებლად – 401
- არჩილი (არჩილ სტეფანოზის ძე)** (წმ.) – ქართლის ერისმთავარი (ჯუანშერთან – მეფე) VIII ს., არაბთაგან ქრისტიანობისთვის ნამეებული – 55
- ასათიანი იოველ** (1907-2002) – მეცნიერი-ეკონომისტი, XIX ს. ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიის მკვლევარი – 27, 453
- ასათიანი ლევან** (1900-1955) – ლიტერატურათმცოდნე. ძირითადად იკვლევდა XIX ს. სალიტერატურო პროცესებს. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 461
- ასათიანი ნოდარ** (1931-2013) – ისტორიკოსი, ძირითადად იკვლევდა შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებულ პრობლემათიკას, საქართველოს ისტორიის არაერთი სახელმძღვანელოს ავტორი – 405, 453
- აქაური** (ფსევდ.) – 433, 453
- აქირთავა** – ტექსტის მიხედვით, დასავლურქართული აზნაურული გვარი – 112
- აჩა** – იხ. ანჩაბაძე

ბ

- ბ. ქ.** – დიმიტრი ყიფიანის ფსევდონიმი – 415, 467
- ბაბაღე** (ბარბერინა) (პერს.) – 33, 390
- ბაგრატიონი (ბაგრატიონები)** – საქართველოს სამეფო დინასტია (IX ს.-1810), წარმოშობით სპერის მკვიდრნი ჭან-ლაზთა ტომიდან (სხვა ვერსიით – ფარნავაზიანთა დინასტიის განშტოება). ერთი შტო ბაგრატიონებისა – მუხრანბატონები – ჩამოყალიბდა ფეოდალურ საგვარეულოდ (XVI-XIX სს), რომელიც ფლობდა მუხრანს (სამუხრანოს, სამუხრანბატონოს) – 125, 408
- ბაგრატიონი დავით** – იხ. დავით ბატონიშვილი
- ბაგრატიონი ვახუშტი** – იხ. ვახუშტი ბატონიშვილი
- ბაგრატიონი თეიმურაზ** – იხ. თეიმურაზ ბატონიშვილი

ბაგრატიონი თეკლე (თეკლა) – იხ. **თეკლე (თეკლა) ბატონიშვილი**
ბაგრატიონი იოანე – იხ. **იოანე ბატონიშვილი**
ბაგრატიონი მარიამ – იხ. **მარიამ ბატონიშვილი**
ბაგრატიონი ნინო – იხ. **ნინო ბატონიშვილი**
ბაგრატიონი ქეთევან – იხ. **ქეთევან ბატონიშვილი**
ბაიდოშვილი ეთერ – გამომცემლობა „არტანუჯის“ თანამშრომელი
– 564

ბაირონი ჯორჯ გორდონ (1788-1824) – ინგლისელი პოეტი. ღირე-
ბულებითი კონფრონტაცია ჰქონდა ლონდონის არისტოკრაციას-
თან, რის გამოც დატოვა სამშობლო. მონაწილეობდა ჯერ იტა-
ლიელი ხალხის ბრძოლაში ავსტრიელთა ბატონობის წინააღმდეგ,
შემდეგ – ბერძენთა განმათავისუფლებელ ბრძოლაში თურქების
უღლის მოსაშორებლად, თუმცა საბერძნეთში ჩასვლიდან მალე
ციებისაგან გარდაიცვალა (მისოლუნგიში) – 55

ბალახაშვილი იაკობ (1910-1982) – ფილოლოგი. ძირითადად იკვლე-
ვდა XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის, კულტურულ-საგან-
მანათლებლო ცხოვრებისა და საზოგადოებრივი აზრის ისტო-
რიას – 397, 455

ბაჟანოვი ვასილ (1800-1883) – სასულიერო პირი, რუსეთის საიმპე-
რატორო კარის მოძღვარი – 398

ბარათაევი მიხეილ (1784-1856) – ქართული წარმოშობის (ბარათაშ-
ვილი) სახელმწიფო მოხელე, პოეტი, ისტორიკოსი, ავტორი კა-
პიტალური ნაშრომისა „საქართველოს სამეფოს ნუმიზმატიკური
ფაქტები“ (სანკტ-პეტერბურგი: 1844) – 401, 455

ბარათაშვილი ნიკოლოზ (1817-1845) – პოეტი, ნევრი თბილისის
გიმნაზიის მოწაფეთა იმ ჯგუფისა, რომელიც 1835-1836 წლებ-
ში უშვებდა ხელნაწერ ჟურნალს „Цветок Тифлисской гимназий“
(„თბილისის გიმნაზიის ყვავილი“), „ფთვლისის კერძო საამხანა-
გო ბიბლიოთეკის“ (1842-1848) დამფუძნებელი ნევრი. გარდაიც-
ვალა განჯაში, საიდანაც 1893 წ. ჩამოასვენეს სამშობლოში და
დაკრძალეს დიდუბის ეკლესიის გალავანში. 1938 წ. გადაასვენეს
მთაწმინდის პანთეონში – 25, 390, 438, 455

ბარამიძე ალექსანდრე (1902-1994) – ლიტერატურათმცოდნე, ტექს-
ტოლოგი, მემუარისტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსი, ძირითადად იკვლევდა XI-XVIII სს. ქართულ ლიტე-
რატურასთან დაკავშირებულ პრობლემათიკას – 459

- ბარბერინა** – იხ. **ბაბალე (ბარბერინა)** (პერს.)
- ბართლემი** (პერს.) – 362
- ბაქარ** (პერს.) – 169-172, 175, 180, 182, 183
- ბაქარ II** – იხ. **ვარაზ-ბაქარ (ვარაზ-ბაკურ) მირდატის ძე**
- ბაქარ ქართლელი** – დიმიტრი ყიფიანის ფსევდონიმი – 142, 391-393, 411-415, 423, 424, 427, 463, 465
- ბაქრაძე აკაკი (1928-1999)** – ლიტერატურათმცოდნე, ისტორიკოსი, ლიტერატურული-, თეატრალური- და კინოკრიტიკოსი, პუბლიცისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 388, 391, 399, 410, 423, 427, 474
- ბაქრაძე დიმიტრი (1826-1890)** – ისტორიკოსი, თბილისის საეკლესიო მუზეუმის დაარსების ინიციატორი (1889), პეტერბურგის მეცნიერებათა საიმპერატორო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, „ქმნკგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 28, 414, 433, 466
- ბაქრაძე ლაშა** – ისტორიკოსი, გერმანისტი, გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი (2010 წლიდან), ავტორი მონოგრაფიისა „გერმანულ-ქართული ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს“ (თბ.: 2009) – 459
- ბაყბაყი (ბაყბაყ-დევი)** – ბოროტებასთან პერსონიფიცირებული ზღაპრული პერსონაჟი, დარეჯანიანთა მოდგმის დაუძინებელი მტერი – 91-95, 99, 100, 111, 121; იხ. აგრეთვე: **დევი**
- ბაჰიზი** (პერს.) – 328, 337, 339-343
- ბებუთოვი (ბებუთაშვილი) ვასილ (1791-1858)** – ინფანტერიის გენერალი, რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი, ანდრია პირველწოდებულის ორდენის კავალერი, თვალსაჩინო ფიგურა ე. წ. „კავკასიისა“ და „ყირიმის“ ომებში, ამიერკავკასიის მხარის სამოქალაქო სამმართველოს უფროსი და მთავარი სამმართველოს საბჭოს თავმჯდომარე (1847-1856). დაკრძალულია თბილისში, ხოჯავანქის სასაფლაოზე – 422
- ბებუთოვი კონსტანტინე (1847-1907)** – ჟურნალისტი, პუბლიცისტი, გაზ. „ტიფლისსკი ვესტნიკის“ დამაარსებელი (1873) და რედაქტორი (1874-1878). თანამშრომლობდა ქართველ მოღვაწეებთან, მათ შორის ნ. ნიკოლაძესთან, თუმცა შემდეგ კ. ბებუთოვის

სომხოფილური შეხედულებების გამო მათ შორის განხეთქილება მოხდა. დაიღუპა სარკინიგზო კატასტროფაში (გერმანიაში, ბერლინთან ახლოს) – 436

ბელი ევგენი (დაბ. 1842) – თბილისელი არქიტექტორი და მხატვარი, თბილისის საგუბერნიო არქიტექტორ ტიმოთე ნიკიტას ძე ბელოს (დაბ. 1805/1806) შვილი – 390

ბელჯოიოზო კრისტინა (1808-1871) – იტალიელი მწერალი, ჟურნალისტი, პოლიტიკური მოღვაწე, ავსტრიის ბატონობისაგან იტალიის გათავისუფლებისათვის ბრძოლის აქტიური მონაწილე – 58

ბენედიქტოვი ვლადიმერ (1807-1873) – რუსი პოეტი და მთარგმნელი, სამხედრო პირი (მონაწილეობდა პოლონეთის 1830-1831 წწ. აჯანყების ჩახშობაში), ფინანსისტი, პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი – 103, 391, 401, 455

ბეჟუაშვილი ბეგო – ფილოლოგი, საქართველოში დისიდენტური მოძრაობის წევრი („ჰელსინკის ჯგუფის“ დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და დამფუძნებელი წევრი), წლების განმავლობაში – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებისა და საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტის დეკანი, შემდგენელი (გ. მურულუიასთან ერთად) კრებულისა „მსოფლიო ლიტერატურა. რჩეული მოთხრობები“ (ტ. 1-10. თბ.: 2007-2016) – 4, 423

ბერძენიშვილი ნიკოლოზ (ნიკო) (1894-1965) – ისტორიკოსი, აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1951-1957), ძირითადად იკვლევდა ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიას. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში – 409, 455

ბერძენიშვილი მაქსიმე (1889-1967) – ისტორიკოსი, პოლიტიკური მოღვაწე (სოციალისტ-ფედერალისტი). მისი თაოსნობით დაარსდა პერიოდული ბიბლიოგრაფიული გამოცემები: „ბიბლიოგრაფიის მოამბე“, „ნიგნის მატთანე“, „გაზეთის მატთანე“. იკვლევდა საქართველოს როგორც ძველ, ისე XIX ს. ისტორიას – 9, 455

ბერძენიშვილი ნიკოლოზ (1829-1874) – ჟურნალისტი, ისტორიკოსი, ფოლკლორისტი, არქეოგრაფი (კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მუდმივი წევრი და ამ კომისიის მიერ გამოცემული „აქტების“ რედაქტორის, ადოლფ ბერჟეს, ფაქტობრივი მოადგილე),

კრიტიკოსი, რომელმაც ივ. კერესელიძის „ცისკარში“ გამოქვეყნებული ლიტერატურული მასალის განხილვა-ანალიზით ფასდაუდებელი ამაგი დასდო ქართული სალიტერატურო კრიტიკის ჩამოყალიბებას. გაზ. „კავკაზის“ რედაქტორი (1856-1857) – 414

ბიბლიეშვილი ცისანა – მკვლევარი, მთარგმნელი, პედაგოგი, ფრანგული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი – 19

ბიბილური – ტექსტის მიხედვით, ძველი ქართული გვარი – 121

ბიჩერ სტოუ ჰარიეტ (1811-1896) – ამერიკელი მწერალი ქალი, რომელსაც საყოველთაო პოპულარობა მოუტანა ანტიმონათმფლობელური სულისკვეთების რომანმა „ბიძია თომას ქოხი“ – 59

ბიძინა (პერს.) – 139

ბიძინა (წმ.) – იხ. **ჩოლოყაშვილი ბიძინა**

ბომარშე პიერ (1732-1799) – ფრანგი კომედიოგრაფი და თეატრალური მოღვაწე. დიმ. ყიფიანმა თარგმნა და „ივერიაში“ (1879, №4) გამოაქვეყნა ბომარშეს პიესა „სეველიელი დალაქი“. მასვე გამოუქვეყნებელი დარჩა თარგმანი ბომარშეს კიდევ ერთი პიესისა – „ფიგაროს ქორწილი“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. 112, ფ. 41; თარგმანი სრულია, დათარიღებულია 1879 წლის 12 აპრილით) – 32, 33, 418

ბორის გოდუნოვი (1552-1605) – რუსეთის ფაქტობრივი მმართველი (1587-1598), მეფე (1598-1605). განახორციელა ეფექტური პოლიტიკა სახელმწიფოს ცენტრალიზაციისა და ახალი ტერიტორიების შემომტკიცების მიმართულებით. გააძლიერა რუსეთის პოზიციები კავკასიაში. კავშირი გააბა კახეთის მეფე ალექსანდრე მეორესთან, რის შედეგადაც 1587 წელს დაიდო მოსკოვ-კახეთის მფარველობითი ხელშეკრულება („ფიცის წიგნი“); ალექსანდრე II-ის თხოვნითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის თანახმად, ბორის გოდუნოვი იბრძოდა დაღესტნელთა წინააღმდეგ – 134

ბოსლეველი (ნამდვილი სახელი და გვარი – **ესტატე მჭედლიძე**) (1854-1885) – პუბლიცისტი, კრიტიკოსი, ნაყოფიერად თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („დროება“, „ივერია“, „შრომა...“), სიცოცხლის ბოლოს მსახურობდა იმერეთის ეპარქიის კანცელარიის მდივნად და ამ თანამდებობაზე ყოფნისას დაუპირისპირდა სამღვდელოების კორუმპირებულ ნაწილს. ქუთაისში

მოკლეს 1885 წლის 8 მაისს. მკვლელს კატორღა მიესაჯა, მკვლელობის ორგანიზატორთა ვინაობა კი გამოურკვეველი დარჩა. დაკრძალულია მშობლიურ სოფ. სვირში – 431, 455

ბოცვაძე იოსებ (1914-1981) – ფილოლოგი, XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის ისტორიის მკვლევარი. შეადგინა, წინასიტყვიითა და შენიშვნებით გამოსცა ს. მესხის „თხზულებანი“ (I-III. თბ.: 1962-1964) – 435, 455, 461, 462

ბრეგაძე თამარ (1921-1989) – ფილოლოგი, ტექსტოლოგი, აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი – 454

ბროსე ვიქტორ (1893-1937) – მკვლევარი და ბიბლიოგრაფი, საბიბლიოთეკო საქმის სპეციალისტი, პოლიტიკური (სოციალისტ-ფედერალისტი) და საზოგადო მოღვაწე, მარი ბროსეს შვილიშვილი; შეენირა ბოლშევიკურ რეპრესიებს – 456

ბროსე მარი-ქსავიე ფელისიტე (რუსულ წყაროებსა და ლიტერატურაში – **მარი ივანეს ძე ბროსე**) (1802-1880) – ფრანგი ორიენტალისტი, ქართველოლოგი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრი (1838 წლიდან); საფუძველი ჩაუყარა მეცნიერულ ქართველოლოგიას ევროპაში, ფრანგულ ენაზე თარგმნა და მეცნიერული კომენტარებით 1849-1858 წწ. შვიდ ტომად გამოსცა „ქართლის ცხოვრება“, ვახუშტი ბატონიშვილის „ისტორიის“ გეოგრაფიის ნაწილი, სეხნია ჩხეიძის, პაპუნა ორბელიანისა და ომან ხერხეულიძის საისტორიო თხზულებები. არსებობს სერიოზული საფუძველი ვიფიქროთ, რომ მარი ბროსე 1832 წლის შეთქმულების მინიმუმ საქმის კურსში იყო – 34, 107, 401-405, 455, 456, 473

ბუტენიოვი აპოლინარი (1787-1866) – დიპლომატი, რუსეთის ელჩი კონსტანტინოპოლში (1829-1843, 1856-1858) – 82

ბუჩუელა (პერს.) – 115, 116

ბ

გაბაშვილი ეკატერინე (1851-1938) – მწერალი, პედაგოგი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე, წევრი „ქართველ ქალთა ამხანაგობისა“, რომელმაც 1872 წ. გამოსცა „თარგმანნი საამო საკითხავთა თხზულებათა“, ჟურნ. „ჯეჯილის“ (1890-1923) დაარსების

ერთერთი ინიციატორი, „ქმნ-კგ საზოგადოების“ საპატიო წევრი (1914 წლიდან) – 30, 456

გაბრიელ ეპისკოპოსი (ერისკაცობაში – **გერასიმე ქიქოძე**) (1825-1896) – სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, მქადაგებელი, მეცნიერი-ფსიქოლოგი, პედაგოგი, ქველმოქმედი, „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, იმერეთის ეპისკოპოსი (1860-1896). დაკრძალულია გელათში – 398-399

გამაზოვი მათე (1811-1893) – მწერალი (პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, მთარგმნელი; ფსევდ.: „M. F.“, „საარუნი“) და სამხედრო პირი (ერთხანს თბილისში მსახურობდა). წყაროების მიხედვით, 1830-იანი წწ. დასაწყისში დიმიტრი ყიფიანს რუსული ენიდან უნდა ეთარგმნა მისი პიესა „XIX საუკუნის ქართველები ანუ მარჯვე ნიშნობა“ („Грузины 19-го века или удачное сватовство“), თუმცა თარგმნა თუ არა დიმიტრი ყიფიანმა ეს ტექსტი, დარწმუნებით ამის თქმა ძნელია – 33

გამბა ჟაკ ფრანსუა (1763-1833) – ფრანგი მოგზაური და ვაჭარი, საფრანგეთის საკონსულოს ხელმძღვანელი თბილისში (1820-1824), პარიზში გამოცემულ მის ნარკვევებში მოცემულია საინტერესო მასალა საქართველოს შესახებ. გარდაიცვალა თბილისში – 397

გამეზარდაშვილი დავით (1920-1985) – ლიტერატურათმცოდნე, XIX ს. ქართული ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის ისტორიის მკვლევარი. შეადგინა და გამოსცა ნ. ნიკოლაძის, კ. აბაშიძის, ვ. კოტეტიშვილისა და სხვ. თხზულებათა კრებულები. დამაარსებელი და რედაქტორი სამეცნიერო პერიოდული გამოცემისა „ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები“ (I–VIII. 1968-1981) – 463

გამყრელიძე თამაზ – ენათმეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი (2005-2013), ხელოვნებისა და მეცნიერების მსოფლიო აკადემიის წევრი – 403, 456

გარდანქეშანი (პერს.) – 92, 93

გაფრინდაშვილი მიხეილ (1927-1999) – ისტორიკოსი, ქართული განმანათლებლობისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის მკვლევარი – 18, 456

გაჩეჩილაძე გივი (1914-1974) – ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი, თარგმანის თეორეტიკოსი. ქართულ ენაზე თარგმნა შექსპირი

რის, ბაირონის, შელის, გოეთეს, ტიუტჩევისა და სხვ. მხატვრული ტექსტები – 32, 440, 442, 443, 470

განერულია აკაკი (1910-1994) – ლიტერატურათმცოდნე, მწერალი. გამოირჩეოდა მეცნიერული ინტერესების მრავალმხრივობით. დიდი ამაგი დასდო XIX ს. ქართველ მწერალთა (ნ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი...) თხზულებების (მათ შორის, ეპისტოლური მემკვიდრეობის) შესწავლისა და გამოცემის საქმეს – 407, 455, 460, 463

გელაშვილი გივი – მკვლევარი, ნლების განმავლობაში იყო დიმ. ყიფიანის ქვიშხეთის სახლ-მუზეუმის დირექტორი – 390, 456

გერსამია სერგო (1892-1969) – თეატრმცოდნე, ჟურნალისტი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს თეატრალური საზოგადოების დამფუძნებელი წევრი და პასუხისმგებელი მდივანი. შეადგინა (თუმცა გამოუქვეყნებელი დარჩა) ნიგნი „ქართული თეატრის მოღვაწენი“ – 30, 444, 456

გერსი ლუი ფილიპ – სარდინიის კონსული ტრაპიზონში, 1830-1850 წწ. ასრულებდა ტრაპიზონში რუსეთის კონსულის მოვალეობას – 82, 84

გესე კარლ (1788-1842) – გენერალ-ლეიტენანტი, ე. წ. „კავკასიის ომების“ მონაწილე, რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წწ. ლომის წილი შეიტანა გურიაში რუსების ჯარისა და ქართული მილიციის გამარჯვებაში – 71

გეტე – იხ. **გოეთე იოჰან ვოლფგანგ**

გვეტაძე ომარ – ლიტერატურათმცოდნე, პოეტი, ქუთაისის ა. ნერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი – 433, 457

გვიკა ელენა (ფსევდ. **დორა დ'ისტრია**; ცნობილია აგრეთვე ქმრის გვარით – **კოლცოვა-მოსალსკაია**) (1828-1888) – ალბანური წარმოშობის რუმინელი მხატვარი, მწერალი, ალპინისტი, იტალიის აკადემიის წევრი, საბერძნეთის პარლამენტს მისთვის მინიჭებული ჰქონდა „დიდი მოქალაქის“ ნოდება. გარდაიცვალა ფლორენციაში – 58

გილიომე (პერს.) – 328-330

გინზბურგი ლიდია (1902-1990) – რუსი მწერალი და ლიტერატურათმცოდნე – 455

გიორგი (ნმ.) (დაახლ. 275-303) – კაპადოკიელი დიდმოწამე, საქართველოს მფარველი წმინდანი – 9, 49, 50, 390, 391

გიორგი I – იხ. გიორგი VIII

გიორგი VIII (კახეთში – გიორგი I) – მეფე საქართველოსი 1446-1466 წწ., კახეთისა – 1466-1476 წწ, ალექსანდრე I-ის (დიდის) ძე – 405

გიორგი XI (გარდ. 1709) – ქართლის მეფე (1676-1688, 1703-1709), ვახტანგ V შაჰნავაზის ძე; იბრძოდა ქართლში ირანელთა ბატონობის აღმოფხვრისათვის, საამისოდ ეძებდა პოლიტიკურ კავშირებს ოსმალეთთან და რუსეთთან, თუმცა ეს მცდელობები წარუმატებლად დასრულდა. ირანის შაჰის მიერ ავღანეთში აჯანყების ჩასახშობად გაგზავნილი გიორგი XI იქვე (ავღანეთში) ღალატით იქნა მოკლული – 407

გიორგი XII (გიორგი XIII) (1746-1800) – ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე [ძე ერეკლე II-ისა და ანა დედოფლისა (ზაალ აბაშიძის ასულის)]. 1800 წელს ფიზიკური დაუძღურებით, პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო სისუსტითა და სამეფო კარზე აშლილობით განამებულმა რუსეთის იმპერატორ პავლე I-ს მიმართა „სათხოვართა პუნქტებით“, რომლითაც თმობდა გეორგიევსკის ტრაქტატით განსაზღვრულ დამოუკიდებლობას საშინაო ცხოვრებაში და ქვეყანას ფაქტობრივად რუსეთის უშუალო გამგებლობაში გადასცემდა; ოღონდ იმ პირობით, რომ რუსეთი არ გააუქმებდა ქართლ-კახეთის არსებითად ფიქციად ქცეულ ტახტს და არ მოსპობდა მასზე გიორგი XII-ის პირდაპირ შთამომავალთა უფლებას, თუმცა ამ განზრახულების განხორციელებას ვერ მოესწრო – 14, 135, 407-409, 458, 460

გიორგი მთაწმინდელი (გიორგი ათონელი) (1009-1065) – სასულიერო მოღვაწე, მწერალი, მთარგმნელი, ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარი (1044-1056), საქართველოს ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილი, უთვალსაჩინოესი ფიგურა ქართული კულტურის ისტორიაში. დაკრძალულია ათონის ივერთა მონასტერში – 390

გიტუა (პერს.) – 132

გოგებაშვილი იაკობ (1840-1912) – მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი საქართველოში, მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი (მატერიალურად ეხმარებოდა

საქართველოს ფარგლებს გარეთ მოსწავლე ახალგაზრდობას, საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეებსა და სხვ.), „ქმნ-კგ საზოგადოების“ დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი (თავისი ქონება და საავტორო უფლებები „ქმნ-კგ საზოგადოებას“ უანდერძა), ავტორი „დედა ენისა“ და „ბუნების კარისა“, რომლებითაც ფასდაუდებელი ამაგი დასდო არაერთი თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში – 28, 171, 416, 428, 432, 433, 436, 457

გოგია რევაზ – ფილოლოგი, ისტორიკოსი, მთარგმნელი (ჯ. კ. ჩესტერტონი, ვ. გარშინი...), ავტორი ნაშრომისა „პონტოელი ბერძნები საქართველოში“ – 4

გოგილაშვილი მარიამ – ფილოლოგი, ავტორი მონოგრაფიული ნაშრომისა „უილიამ შექსპირის დრამების ქართული თარგმანები XIX საუკუნეში“ – 440, 457

გოგიჩაიშვილი ფილიპე (1872-1950) – ეკონომისტი (განათლება ლაიფციგის უნივერსიტეტში ჰქონდა მიღებული), ჟურნალისტი, პუბლიცისტი, ფოლკლორისტი, საზოგადო მოღვაწე (ერთხანს იყო „ქმნ-კგ საზოგადოების“ გამგეობის წევრი), გაზეთ „ივერიის“ უკანასკნელი რედაქტორი (1905-1906), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი და საქართველოში საუნივერსიტეტო ეკონომიკური განათლების ფუძემდებელი. დაკრძალულია უნივერსიტეტის პანთეონში – 429

გოდუნოვი – იხ. **ბორის გოდუნოვი**

გოეთე (გიოტე, გეტე) იოჰან ვოლფგანგ (1749-1832) – გერმანელი მწერალი (პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი), ფილოსოფოსი, სახელმწიფო მოღვაწე – 55, 425

გოზალიშვილი შალვა (1909-1993) – ფილოლოგი, ისტორიკოსი, ძირითადად იკვლევდა XIX ს. ქართული ლიტერატურის, ჟურნალისტიკის, საზოგადოებრივი აზრის ისტორიას – 417, 435, 457

გოლიკე რომან (1849-დაახლ. 1919) – პეტერბურგელი გამომცემელი და ჟურნალისტი. საამხანაგო გამომცემლობისა და სტამბის „P. P. Голике и А. И. Вильсон“ თანამფლობელი. 1917 წ. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ემიგრაციაში წავიდა – 460

გოლოვინი ევგენი (1782-1858) – ინფანტერიის გენერალი, საქართველოს მთავარმართებელი და კავკასიის ცალკე კორპუსის სარ-

დალი (1837-1842). 1840-იან წწ. მისი სახელი ეწოდა თბილისის მთავარ ქუჩას, რომელიც 1918 წლიდან რუსთაველის სახელობისაა – 41

გორკი მაქსიმ (ნამდვილი სახელი და გვარი – **ალექსი პეშკოვი**) (1868-1936) – რუსი მწერალი, ე. წ. სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებელი. 1918 წ. ნომინირებული იყო ნობელის ლიტერატურულ პრემიაზე – 471

გრიგოლ არქიმანდრიტი (ერისკაცობაში – **გიორგი დადიანი**) (1824-1907) – გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი 1886 წლიდან, განმანათლებელი და საზოგადო მოღვაწე, პატრიოტული სულისკვეთების გამო (წინ აღუდგა სამეგრელოში სწავლების ენად მეგრულის შემოღებას) ჩამოართვეს ეპარქია და ჯერ გელათში, შემდეგ მარტვილის მონასტერში განაწესეს. დაკრძალულია მარტვილში – 399

გრიგოლი (პერს.) – 139

გრიგოლი (გრიგოლ საკვირველმოქმედი) (დაახლ. 213-270/275) – ნეოკესარიელი ეპისკოპოსი, მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიების მიერ წმინდანად შერაცხილი – 270

გრიშაშვილი იოსებ (1889-1965) – პოეტი, ლიტერატურათმცოდნე, ლექსიკოგრაფი, ბიბლიოფილი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში – 426, 436, 449, 457

გულნარა (პერს.) – 89-91, 93-95, 101, 111

გუნია ვალერიან (1862-1938) – მწერალი, საზოგადო მოღვაწე, ათეული წლების განმავლობაში ეწეოდა ინტენსიურ და უაღრესად ნაყოფიერ თეატრალურ (მსახიობი, რეჟისორი, ადმინისტრატორი, დრამატურგი, კრიტიკოსი, თეატრის თეორეტიკოსი და ისტორიკოსი) და ჟურნალისტურ-საგამომცემლო საქმიანობას. იყო გაზეთ „თეატრის“ რედაქტორი (1886.VI-IX), „საქართველოს კალენდრის“ დამაარსებელი და შემდგენელ-გამომცემელი (1888-1898, 1903-1905), გაზეთ „ცნობის ფურცლის“ დამაარსებელი და მისი რედაქტორ-გამომცემელი (1896-1899), გაზეთ „ისრის“ რედაქტორი (1908), რედაქტორ-გამომცემელი ჟურნალებისა: „ნიშადური“ (1907-1908) და „საქართველო“ (1908), ლიტერატურულ აღმანახ „ერთობის“ გამომცემელი (1909), რედაქტორ-გამომცემელი აღმანახისა „აკაკის დღე საქართველოში“ (1908) – 41

გურგულია ბორის (1935-2012) – აფხაზი მწერალი, პუბლიცისტი, პე-
დაგოგი (აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი);
დამთავრებული ჰქონდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფილოლოგიის ფაკულტეტი (1958) და მოსკოვის ა. მ. გორკის
სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტი (1967), აფხა-
ზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე (1997-2002). დაიღუპა
ავტოკატასტროფაში. დაკრძალულია მშობლიურ სოფ. კვიტოულ-
ში (ოჩამჩირის რაიონი) – 416

გურიელები – გურიის საერისთავოს (მოგვიანებით სამთავროს)
გამგებლები; ძირითადი რეზიდენცია ოზურგეთში, ხოლო საგ-
ვარეულო აკლდამა შემოქმედის მაცხოვრის ფერისცვალების
ეკლესიაში ჰქონდათ – 121

გურიელი დავით – იხ. **დავით მამია V-ის ძე გურიელი**

გურიელი ეკატერინე – იხ. **ჩიჩუა ეკატერინე**

გურიელი ელეონორა (ქალიშვილობის გვარი – **ერისთავი**) – საზო-
გადო მოღვაწე, ქველმოქმედი („ქმნ-კგ საზოგადოებას“ შესწირა
XVIII-XIX სს. რამდენიმე ხელნაწერი კრებული, რომელთაგან
ერთ-ერთში შეტანილია დიმ. ყიფიანის მიერ თარგმნილი „რომეო
და ჯულიეტა“ – შექსპირის პირველი თარგმანი ქართულ ენაზე)
– 438

გურიელი კოჭიბროლა (დ. 1820) – მამია V გურიელის ასული. გარ-
დაიცვალა პეტერბურგში – 71, 398

გურიელი მამია – იხ. **მამია V გურიელი**

გურიელი სოფიო გიორგი ნულუკიძის ას. – იხ. **სოფიო** (გურიის
დედოფალი)

გურიელი სოფიო მამია V-ის ას. (1823-1840) – გურიის უკანასკნელი
მთავრის ასული; თავის დებთან (კოჭიბროლა, ტერეზია) ერთად
გადაასახლეს პეტერბურგში. იქვე გარდაიცვალა – 71, 398

გურიელი-დადიანი ტერეზია (1825-1871) – მამია V გურიელის ასუ-
ლი, მეუღლე „კოლხიდელის“ ფსევდონიმით ცნობილი პოეტისა
და გენერლის, გრიგოლ ლევანის ძე დადიანისა. დაკრძალულია
მარტვილის მონასტერში – 71, 86, 398, 399

გუტენბერგი იოჰან (1397/1400-1468) – სტამბის გერმანელი გა-
მომგონებელი. თბილისში 1900-1910-იან წწ. არსებობდა მისი

სახელობის სტამბა (Типография „Гуттенберг“), რომელიც, გარდა რუსული ნიგნებისა, რუსულ და ქართულ ენებზე პერიოდულ გამოცემებსაც ბეჭდავდა – 459

დ

დ. თ. (ფსევდ.) – 458

დადიანები – სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროს გამგებლები – 121

დადიანი ალექსანდრა – იხ. **ალექსანდრა შარვაშიძე**

დადიანი გიორგი – მეგრელი თავადი, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის, მიხეილ (ჰამუთ-ბეი) შარვაშიძის, სიმამრი – 421

დადიანი გრიგოლ (1814-1901) – საზოგადო და სამხედრო მოღვაწე, ქველმოქმედი, გენერალ-ადიუტანტი და ინფანტერიის გენერალი, ლევან V დადიანის ძე; მონაწილეობდა ლუნიხის აღებაში (სადაც შამილი დაატყვევეს), ხელმძღვანელობდა პარტიზანულ ომებს სამეგრელოში შემოჭრილი ომერ-ფაშას წინააღმდეგ. ეწეოდა საზოგადოებრივ-კულტურულ მოღვაწეობას: იყო „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, მონაწილეობდა 1880 წ. დაარსებული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობაში... პრესაში („ცისკარი“, „დროება“, „შრომა“ და სხვ.) აქვეყნებდა ლექსებსა თუ გალექსილ იგავ-არაკებს (უმეტესად „კოლხიდელის“ ფსევდონიმით). გარდაიცვალა ქუთაისში. დაკრძალულია მარტვილის საკათედრო ტაძარში – 398, 462

დადიანი ეკატერინე – იხ. **ეკატერინე დადიანი**

დადიანი კონსტანტინე (1819-1889) – სამეგრელოს მთავარ დავით დადიანის (1813-1853) ძმა, გენერალ-ლეიტენანტი და იმპერატორ ალექსანდრე II-ის ფლიგელ-ადიუტანტი, „კავკასიის ომების“, აგრეთვე, რუსეთ-ოსმალეთის 1853-1856 და 1877-1878 წწ. ომების მონაწილე, „ტფილისის კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკისა“ (1842-1848) და „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი – 424

დადიანი ლევან – იხ. **ლევან V დადიანი**

დადიანი მარიამ – იხ. **მარიამ კაცია დადიანის ასული**

დადიანი ტერეზია – იხ. **გურიელი-დადიანი ტერეზია**

დავით IV აღმაშენებელი (1073-1125) – საქართველოს მეფე 1089-1125 წლებში; განახორციელა სასიცოცხლო მნიშვნელობის რე-

ფორმები სახელისუფლებო, საეკლესიო, ეკონომიკურ, სამხედრო სფეროებში, აღადგინა და გააერთიანა თურქ-სელჩუკთაგან დაქცეული და დამცრობილი ქვეყანა; გელათის აკადემიის დამაარსებელი – 55, 109

დავით ბატონიშვილი (1767-1819) – გიორგი XII-ის ძე, სამეფო ტახტის მემკვიდრე, ქართლ-კახეთის გამგებელი 1801-1803 წლებში. 1803 წელს გადაასახლეს პეტერბურგში, სადაც სიცოცხლის ბოლომდე დარჩა. მწერალი, მეცნიერი (ისტორიკოსი, ლექსიკოგრაფი, სამართალმცოდნე, ფიზიკოსი), გენერალ-ლეიტენანტი და რუსეთის სენატის წევრი. დაკრძალულია ალექსანდრე ნეველის ლავრის წმ. თედორეს ეკლესიაში – 408, 438

დავით მამია V-ის ძე გურიელი (1818-1839) – გურიის უკანასკნელი მთავრის მემკვიდრე, რომელიც 1828 წლიდან დედასთან, სოფიო გურიელთან, ერთად ოსმალეთში გადაიხვეწა (მამია V-ის გარდაცვალების დროს დავითი მცირეწლოვანი იყო და სამთავრო ტახტზე ასვლა არ შეეძლო); 1832 წელს მიიღო სამშობლოში დაბრუნების უფლება; 1833 წელს გაიწვიეს რუსეთში (სანქტ-პეტერბურგში), სადაც დაამთავრა კადეტთა კორპუსი. დაიღუპა დაღესტანში ჩრდილოკავკასიელთა წინააღმდეგ ბრძოლაში – 69, 71, 73, 74, 77-79, 81-85, 397, 398

დავითი – ბიბლიური გმირი (წინასწარმეტყველი), იუდეველთა და ისრაელთა გაერთიანებული მეფე, რომელსაც ტრადიცია ფსალმუნთა („დავითნი“) შედგენას მიაწერს – 75

დავითი (I) – პერსონაჟი დიმ. ყიფიანის მოთხრობისა „ჩემო გულითად საყვარელო თეიმურაზ!“ – 139

დავითი (II) – პერსონაჟი მიხ. ლივენცოვის მოთხრობისა „მიხაკო და ნინო“ – 406

დავითი (წმ.) – ერთ-ერთი ასურელი მამა, დავითგარეჯის მონასტრის დამაარსებელი, გადმოცემით მასვე მიეწერება თბილისის მამადავითისა და ქაშვეთის ეკლესიების დაარსება – 433, 461

დავითი (წმ.) – არგვეთის (ზემო იმერეთი) მთავარი მხეიძეთა გვარიდან. VIII ს. I ნახევარში არაბებმა მონამებრივი სიკვდილით დასაჯეს – 55

დამონი (პერს.) – 369, 371

დანაყაი (პერს.) – 420, 421

- დანელია ფელიქს** (1933-2001) – ჟურნალისტი, საარქივო საქმის სპეციალისტი, დიპ. ყიფიანთან დაკავშირებული საარქივო მასალის მკვლევარი – 9, 457
- დარისპანი** (პერს.) – 171
- დეგუზაძე-ფულარია მარიამ (ფუცუ)** (1887-1969) – მწერალი (პროზაიკოსი, მემუარისტი), პედაგოგი – 395
- დევი** – ფანტასტიკური ზღაპრის პერსონაჟი, გოლიათური აღნაგობის ავსული (ემმაკეული), რომელიც ჭამს ადამიანებს, შთანთქავს მზეს, უმიჯნურდება, იტაცებს და მალავს მზეთუნახავებს და სხვ., ამასთანავე, ხშირად გველემშაპის სახეს იღებს – 91; იხ. აგრეთვე: **ბაყბაყი (ბაყბაყ-დევი)**
- დეფონანდრი (დეფონანდრე)** (პერს.) – 328, 337, 339-341, 343, 345, 449
- დიმიტრი** (პერს.) – 139
- დიმიტრი (დემეტრე) II თავდადებული** (დაახლ. 1259-1289) – საქართველოს მეფე 1271-1289 წლებში; პოლიტიკურმა ვითარებამ აიძულა, მონანიღობა მიეღო მონღოლთა დინასტიურ დაპირისპირებაში. შინაბრძოლაში გამარჯვებულმა არღუნ აბალას ძემ დემეტრე ურდოში დაიბარა. დარბაზმა მეფეს ურჩია, არ წასულიყო ურდოში და თავის გადარჩენის მიზნით მთებში გახიზნულიყო, მაგრამ დემეტრე ქვეყნის აოხრების შიშით გამოცხადდა საილხანოში, სადაც თავი მოჰკვეთეს. შთამომავლობამ დემეტრეს „თავდადებული“ უწოდა, საქართველოს ეკლესიამ კი წმინდანად შერაცხა – 55, 389, 469
- დიმიტრი ბატონიშვილი** (გარდ. 1452) – სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, ალექსანდრე I-ის (დიდის) ძე – 405
- დიმიტრიძე** – იხ. **ყიფიანი ნიკოლოზ**
- დიოგენე სინოპელი** (დაახლ. ძვ. წ. 404-323) – ძველი ბერძენი ფილოსოფოსი, რომელიც უარყოფდა ცივილიზაციის მონაპოვრებს, თვითონ კი კასრში ცხოვრობდა, დღისით ქუჩებში ფანრით დადიოდა და ხმამაღლა ამბობდა: „მე ვეძებ ადამიანს“ – 117
- დოდაშვილი სოლომონ** (1805-1836) – პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ფილოსოფოსი, მეცნიერი (ფილოლოგი, ისტორიკოსი, გრამატიკოსი), ჟურნალისტი, პედაგოგი, ბიბლიოფილი, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი ორგანიზატორი და იდეოლოგი

(გადაასახლეს ვიატკაში, გარდაიცვალა იქვე), უთვალსაჩინოესი ფიგურა XIX ს. ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში. დაკრძალულია მთანმინდის პანთეონში – 21

დოლიძე იესე – გურული აზნაური, ოსმალეთში გადახვენილი სოფიო გურიის დედოფლის ამალის წევრი – 67, 76, 77, 79-83, 85, 86

დოლიძე ისიდორე (1915-1982) – იურისტი, სამართლის ისტორიკოსი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი (1957-1960), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1960-1966), სამეცნიერო აპარატის თანდართვით შეადგინა „ქართული სამართლის ძეგლების“ რვატომეული (თბ.: 1963-1985) – 423, 458

დოლუხანოვი პავლე – თბილისელი ნაფიცი ვეჭილი, თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი, გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკის“ რედაქტორ-გამომცემელი (1906) – 436

დომინიკე (პერს.) – 362

დონ ალფონსო (პერს.) – 205

დონ ანტონიო – იხ. ანტონიო (პერს.)

დონ პედრო (პერს.) – 356, 361-374, 376-381

დონ ჟილეს დ'ავალოსი (პერს.) – 374

დონდუკოვ-კორსაკოვი ალექსანდრე (1820-1893) – გენერალ-ადიუტანტი, კავალერიის გენერალი, ე. წ. „კავკასიური“ (1817-1864), „ყირიმისა“ (1853-1856) და რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წწ. ომების მონაწილე, ბულგარეთის უმაღლესი კომისარი (1878-1879), კავკასიის მთავარმართებელი (1882-1890), უკიდურესი რეაქციონერი და რუსიფიკატორი, დიმ. ყიფიანის მკვლელობის სავარაუდო ორგანიზატორი – 31, 37, 38, 41, 418

დორა დ'ისტრია (ფსევდ.) – იხ. გიკა ელენა

დორიმენ (პერს.) – 298, 303-306, 320, 321, 326

დოსტ-მუჰამედი (პერს.) – 165

დუბროვინი ნიკოლოზ (1837-1904) – სამხედრო ისტორიკოსი, გენერალ-ლეიტენანტი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი და სწავლული მდივანი; მიუხედავად წინასწარგანზრახული ტენდენციისა (ამართლებდა რუსეთის ბატონობას კავკასიაში), მისი ნაშრომები დღემდე ინარჩუნებს მეცნიერულ

ღირებულებას ზოგადად კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს ახალი ისტორიისათვის – 407-409, 458

დუმბაძე მამია (1915-1990) – ისტორიკოსი. იკვლევდა შუა საუკუნეების საქართველოს პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურის ისტორიასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას – 397, 409, 458, 459

ე

ეგლამური (პერს.) (I) – 188, 273-275, 284, 286, 287, 442

ეგლამური (პერს.) (II) – 197, 441

ევალდი იოჰან-ლუდვიგ (1748-1822) – გერმანელი მწერალი, მქადაგებელი, საღვთისმეტყველო თხზულებათა ავტორი. დიმ. ყიფიანმა თარგმნა მისი თხზულება „ზნეობითისა აღზრდისათვის“, რომელიც არ გამოუქვეყნებია (ხელნაწერი თარგმანისა – H-2780. ავტოგრაფი დათარიღებული 1832 წ. 31 მაისით. ფ. 18. ბოლო-ნაკლული) – 33

ევგენიძე იუზა (1943-2013) – ლიტერატურათმცოდნე. ძირითადად იკვლევდა XIX ს. ქართული ლიტერატურის ისტორიასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას – 423

ევსევი (ერისკაცობაში – **ალექსი ილინსკი**) (1809-1879) – საქართველოს ეგზარქოსი (1858-1877). 1877 წ. დეკემბერში გადაიყვანეს ტვერის მთავარეპისკოპოსად – 390

ეკატერინე II (1729-1796) – რუსეთის იმპერატორი 1762-1796 წწ., ე. წ. „განათლებული აბსოლუტიზმის“ მიმდევარი; რამდენჯერმე დაამარცხა ოსმალეთი, რამაც კავკასიაში რუსეთის დამკვიდრება განაპირობა, 1783 წ. ერეკლე მეორესთან გააფორმა მფარველობითი ხელშეკრულება („გეორგიევსკის ტრაქტატი“) – 59, 134, 135

ეკატერინე (ეკატერინე) ბატონიშვილი – იხ. **ჩიჩუა ეკატერინე**

ეკატერინე დადიანი (1816-1882) – სამეგრელოს უკანასკნელი დედოფალი, ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული, ნ. ბარათაშვილის ტრფობის საგანი (პოეტმა უძღვნა რამდენიმე ლექსი, აგრეთვე, თავისი ლირიკული შედევრებისა და „ბედი ქართლისას“ ორი ავტოგრაფული კრებული, რომელთაგან ერთი დაკარგულად ითვლება); სამეგრელოს სამთავროს გაუქმებით დაინტერესებულმა

რუსეთის ხელისუფლებამ 1857 წელს ეკატერინე დადიანი „მიინ-
ვია“ პეტერბურგში, საიდანაც მხოლოდ 1868 წელს, სამთავროს
გაუქმების შემდეგ, შეძლო დაბრუნება. „ქმნ-კგ საზოგადოების“
დამფუძნებელი წევრი. დაკრძალულია მარტვილის ტაძარში.
1859-1867 წწ. მისი ქონება-მამულებისა და მცირეწლოვანი ძის,
სამეგრელოს სამთავრო ტახტის მემკვიდრის, ნიკო დადიანის
(მინგრელსკის) (1847-1903), მეურვე იყო დიმი. ყიფიანი – 422

ელ... – იხ. **ლორთქიფანიძე ელენე**

ელისაბედ I (1533-1603) – ინგლისისა და ირლანდიის დედოფალი
(1559-1603) ტიუდორთა დინასტიიდან – 59

ელ-რაშიდი – იხ. **ჰარუნ არ-რაშიდი**

ელიოზიშვილი ივანე – ჟურნალ „მნათობის“ (1869-1872) გამომცე-
მელი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, თეატრალური მოღვაწე – 429

ენუქიძე თინა (1922-1988) – ფილოლოგი, ტექსტოლოგი, აკად. კ.
კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერი თა-
ნამშრომელი – 454

ერეკლე II (1720-1798) – კახეთისა (1744-1762) და ქართლ-კახეთის
(1762-1798) მეფე. საქართველოს ისტორიული მტრებისაგან უკი-
დურესად შევიწროებულმა, მას მერე, რაც ევროპაში ვერ იპოვა
მოკავშირე, სამეფოს ბედი დაუკავშირა რუსეთს – 1783 წელს
გააფორმა „გეორგიევსკის მფარველობითი ტრაქტატი“. დაკრძა-
ლულია მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში – 55, 134, 135, 392,
393, 407

ერთი 126 შემდგენთაგანი (ფსევდ.) – დიმი. ყიფიანის ფსევდონიმი
– 416, 468

ერისთავი (ერისთავები) – სახელმწიფოს ტერიტორიულ-ადმინის-
ტრაციული გამგებლობიდან ტრანსფორმირებული თავადური
გვარი, რომელიც გავრცელდა როგორც აღმოსავლეთ (ქსნისა,
არაგვისა...), ისე დასავლეთ (გურიისა, რაჭისა...) საქართველოში
– 121, 125, 406

ერისთავი გიორგი – გურული თავადი, გურიის დროებითი სამმარ-
თველო საბჭოს წევრი – 69, 397

ერისთავი გიორგი დავითის ძე (1813-1864) – მწერალი, ჟურნა-
ლისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, პროფესიული
ქართული თეატრის (დაარსდა 1850 წ.) პირველი ხელმძღვანელი,

ჟურნალ „ცისკრის“ (1852-1853) რედაქტორ-გამომცემელი, 1832 წლის შეთქმულების წევრი. დაკრძალულია იკორთაში, ქსნის ერისთავთა საგვარეულო სამარხში – 29, 31, 33, 444

ერისთავი დავით (1847-1890) - მწერალი, ჟურნალისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, გიორგი ერისთავის (1813-1864) შვილი; თანამშრომლობდა როგორც ქართულ („დროება“, „კრებული“, „ივერია“...), ისე რუსულ პრესაში („ტიფლისსკი ვესტნიკ“, „ფალანგა“ და სხვ., აგრეთვე, „კავკაზ“, რომელსაც 1882-1884 წწ. რედაქტორობდა კიდეც), აქვეყნებდა პუბლიცისტურ თხზულებებს, ორიგინალურ მხატვრულ ნაწარმოებებს, თარგმანებს, მონაწილეობდა „ქმნ-კგ საზოგადოებისა“ და „ქართული დრამატული საზოგადოების“ დაფუძნებაში, გადმოაკეთა ფრანგი დრამატურგის, ვ. სარდუს, პიესა „სამშობლო“ („Patrie“), რომლის დადგმას შთამბეჭდავი საზოგადოებრივი რეზონანსი მოჰყვა. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში – 436

ერისთავი ელიზბარ (1809-1871) – პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, გენერალ-მაიორი, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური (თავიდან მიუსაჯეს სიკვდილი – „ოთხად განკვეთა“, თუმცა შემდეგ სასჯელი შეუცვალეს და ფინეთში განაწესეს რიგით ჯარისკაცად), „ტიფლისის კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკის“ (1842-1848) დამფუძნებელი წევრი. სიცოცხლის ბოლო წლებში იყო გორის მაზრის უფროსი. დაკრძალულია გორში (ამჟამად მისი საფლავი დაკარგულია) – 25

ერისთავი ვახტანგ – გურული თავადი, გურიის დროებითი სამმართველო საბჭოს წევრი – 69, 397

ერისთავი ზაქარია (1844-1912)– საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი, „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, მსხვილი მემამულე, კავალერიის გენერლის, გიორგი რევაზის (რომანის, რომანოზის) ძე ერისთავის („ატამანად“ წოდებულის) (1812-1891), შვილი – 414

ერისთავი ივანე (ოქრო) (1818-1858) – ლიტერატორი, გიორგი დავითის ძე ერისთავის ძმა. რუსული და ფრანგული ენებიდან თარგმნიდა და გ. ერისთავის „ცისკარში“ აქვეყნებდა უცხოელ ავტორთა ნაწარმოებებს. ქართველთაგან პირველმა თარგმნა მოლიერი,

კერძოდ, „ძალად ექიმი“ (ივ. ერისთავის თარგმანში – „უნებურად ექიმი“) – 444

ერისთავი რაფიელ (1824-1901) – მწერალი, ჟურნალისტი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი, ლექსიკოგრაფი, გამომცემელი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, ქართული მუზეუმის დამაარსებელთაგანი, „ქმნ-კვ საზოგადოების“ პირველი გამგეობის წევრი, „ქართული დრამატიული საზოგადოების“ თავმჯდომარე (1884-1886), „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის შექმნის ინიციატორთაგანი (1882) და სხვ.; ანდერძის თანახმად, დაკრძალეს მშობლიურ სოფ. ქისტაურში, საიდანაც 1938 წელს თელავში, ერეკლე II-ის სასახლის გალავანში, გადაასვენეს – 171, 395, 428

ერისთავი (ქსნის ერისთავი) შალვა – კახეთის 1659 წლის აჯანყების ერთ-ერთი მეთაური, საქართველოს ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილი. დაკრძალულია იკორთაში, ერისთავთა საგვარეულო სამარხში – 55

ერმოლოვი ალექსი (1777-1861) – ინფანტერიისა და არტილერიის გენერალი, მნიშვნელოვანი ფიგურა ნაპოლეონის წინააღმდეგ რუსეთის 1812 წლის სამამულო ომში, საქართველოს მთავარმართებელი 1816-1827 წლებში, ხოლო 1816-1826 წლებში – კავკასიის ცალკე კორპუსის მთავარსარდალი (ორივე თანამდებობაზე ი. პასკევიჩმა შეცვალა). დეკაბრისტებთან მეგობრული და კეთილმოსურნე ურთიერთობის გამო მას არ ენდობოდა ნიკოლოზ I. ძირითადად სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ იმპერატორმა ა. ერმოლოვი გადააყენა ჯერ მთავარსარდლობიდან, შემდეგ – მთავარმართებლობიდან (1827 წლის 27 მარტს გაიწვია კავკასიიდან და საერთოდ ჩამოაშორა სამხედრო სამსახურს). საქართველოს მართვისას ა. ერმოლოვი გამოირჩეოდა განსაკუთრებული სისასტიკითა და ჩვენი ქვეყნის რუსიფიკაციის ძალადობრივი მეთოდებით – 69, 165, 426

ესაძე სიმონ (1868-1927) – ისტორიკოსი, არქეოგრაფი, კინომოღვაწე (სცენარისტი, ოპერატორი), სამხედრო პირი (პოლკოვნიკი). მის არაერთ ნაშრომს დღესაც პირველხარისხოვანი საისტორიო წყაროს მნიშვნელობა ენიჭება; სათანადო მასალის მიწოდებით დიდი

სამსახური გაუნია ლევ ტოლსტოის „ჰაჯი-მურატზე“ მუშაობისას. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 419, 422, 459

იჯუორთი (ეჯვორტი) მარია (1767-1849) – ირლანდიური წარმოშობის ინგლისელი მწერალი, ესეისტი, პუბლიცისტი, განმანათლებლობის იდეების მიმდევარი და პოპულარიზატორი – 58

3

ვ. ო. – იხ. ორბელიანი ვახტანგ

ვალენტინი (პერს.) – 188-192, 199, 205-217, 221-232, 236, 241-251, 257-260, 262-266, 271, 274, 287-292, 294-296, 442

ვალერი (პერს.) – 288

ვარადაშვილი მანანა – მკვლევარი, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომელი – 459

ვარაზ-ბაქარი (ვარაზ-ბაკური) მირდატის ძე (მარი ბროსესთან – **ბაქარ II**) – ქართლის მეფე IV ს. II ნახევარში, ირანელთა დახმარებით ქართლის გამაერთიანებელი – 401

ვახტანგ I გორგასალი (დაახლ. V ს. 40-იანი წწ.-502) – ქართლის მეფე, დიდი სარდალი და რეფორმატორი, იღვწოდა ირანელთა ბატონობისაგან ქართლის გათავისუფლების, ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ცენტრალიზაციისათვის, რასაც შეენირა კიდეც – 55, 109

ვახტანგ IV – საქართველოს მეფე 1443-1446 წწ., ალექსანდრე I-ის (დიდის) ძე – 405

ვახტანგ V (შაჰნავაზი) (გარდ. 1675) – ქართლის მეფე (1658-1675) ბაგრატიონთა მუხრანბატონის შტოდან; 1654 წელს გაამაჰმადიანეს, უწოდეს შაჰნავაზი და ამ სახელით შევიდა ისტორიაში. დაკრძალულია ქ. ყუმში – 407

ვახტანგ VI (ვახტანგ სჯულმდებელი) (1675-1737) – ქართლის გამგებელი (ჯანიშინი) (1703-1714), ქართლის მეფე (1716-1724), პოეტი, მეცნიერი, კულტურტრეგერი. საქართველოში პირველი სტამბის დამაარსებელი. შეადგინა „სწავლულ კაცთა კომისია“, რომელმაც „ქართლის ცხოვრების“ ახალი („ვახტანგისეული“) რედაქცია შეიმუშავა. მისი თაოსნობით შეიქმნა სამართლის წიგნთა კრებული,

რისთვისაც „სჯულმდებელი“ ეწოდა (რუსული კანონმდებლობის შემოსვლის შემდეგაც ერთხანს სამართალი საქართველოში „ვახტანგ მეფის კანონებით“ წარმოებდა) – 33, 127

ვახტანგი (პერს.) – 139

ვახუშტი ბატონიშვილი (1696-1757) – ისტორიკოსი, გეოგრაფი, კარტოგრაფი, ვახტანგ VI-ის შვილი, ავტორი ნაშრომისა „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რომელიც წარმოადგენს საქართველოს გაბმულ ისტორიას უძველესი დროიდან („დასაბამიდან“) XVIII საუკუნის I ნახევრამდე და გამსჭვალულია ქართველთა ეთნიკური და პოლიტიკური ერთიანობის იდეით. 1724 წელს მამას გაჰყვა რუსეთში, იქვე დამკვიდრდა და იქვე გარდაიცვალა. დაკრძალულია მოსკოვის დონის მონასტერში – 107, 403

ვეკა ლოპე დე (1562-1635) – ესპანელი დრამატურგი, ესპანური ეროვნული თეატრის ფუძემდებელი, ავტორი 2000-ზე მეტი დრამატული ნაწარმოებისა, რომელთაგან ჩვენამდე 460-მდე პიესამ მოაღწია („ძალი თივაზე“, „ფუენტე ოვეხუნა“, „ვალენსიელი ქვრივი“ და სხვ.) – 400

ვერგილიუსი (ვირგილი) (ძვ. წ. 70-ძვ. წ. 19) – რომაელი პოეტი, რომლის თხზულებებსა („ბუკოლიკები“, „გეორგიკები“, „ენეიდა“) და მათზე დართულ ადრეულ კომენტარებში საყურადღებო ცნობებია კოლხეთზე – 55

ვილბორგი არტურ (დ. 1856) – პეტერბურგელი გამომცემელი. საამხანაგო გამომცემლობისა და სტამბის „P. P. Голике и А. И. Вильсон“ თანამფლობელი. 1918 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ემიგრაციაში წავიდა – 460

ვინ-ონი – იხ. **ორბელიანი ვახტანგ**

ვირგილი – იხ. **ვერგილიუსი**

ვოლტერი (1694-1778) – ფრანგი მწერალი, ისტორიკოსი. ქართულ პრესაში ვოლტერის თხზულებებიდან პირველად გამოქვეყნდა ლექსი „აღსარება“ („ცისკარი“, 1857, №1; მთარგმნელი ალ. ჭავჭავაძე. ეს არის ეპილოგი ვოლტერის თხზულებისა „პოემა ბუნებითი კანონისათვის“) – 55

ვორონცოვი მიხეილ (1782-1856) – გენერალ-ფელდმარშალი, კავკასიის მეფისნაცვალი („ნამესტნიკი“) და ცალკე კორპუსის მთავარსარდალი (1844-1854; კავკასიის მართვას პრაქტიკულად 1845

ნლის გაზაფხულიდან შეუდგა). მიიჩნევდა, რომ ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნება იმპერიის ძლიერების წყარო იყო და არა – მისი სისუსტის მაჩვენებელი. ამიტომაც, თუ ერთი მხრივ, ზრუნავდა რუსეთის იმპერიაში საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ასიმილირებაზე, იმავდროულად, ხელს უწყობდა ევროპეიზაციის გზით ქართული კულტურის აღორძინებასა და განვითარებას. აკაკი წერეთლის შეხედულებით, ვორონცოვი მომავლის საქართველოს განიხილავდა როგორც „პოლიტიკურად გარუსებულს, მაგრამ თავის სარწმუნოებით, ენით და ეროვნულ ელფერით“ და ამას იგი აკეთებდა „საევროპიო სწორის გზით“ – 16, 19, 20, 22, 29, 31, 406, 474

ზ

ზაიდა (პერს.) – 356, 376-379

ზარაფიშვილი ილია (1856-1909) – პედაგოგი (ქართულ ენას ასწავლიდა თელავის სასულიერო სემინარიაში), ჟურნალისტი (ფსევდ.: „ნადიკვრელი“, „აბრამიძე“, „ი. კახელი“ და სხვ.), ფოლკლორისტი, საზოგადო მოღვაწე, სიცოცხლის ბოლოს პატრიოტულ-რევოლუციური მოღვაწეობის გამო მოჰყვა რეპრესიაში (ერთხანს თავრიზს შეაფარა თავი). გარდაიცვალა თელავში – 433, 459

ზგანარელი (პერს.) – 328-333, 335-338, 340-343, 347-353, 450; იხ. აგრეთვე: **სგანარელი** (პერს.)

ზედგინიძე – ტექსტის მიხედვით, ქართლის აზნაურული გვარეულობა. იოანე ბატონიშვილის მიხედვით, ზედგინიძეები არიან ამილახვართა წინაპრები, ხოლო მოგვიანებით ისინი „სამილახვრო აზნაურნი“ გახდნენ – 125

ზვიმა (პერს.) – 33

ზურაბ N (პერს.) – 130-132

თ

თ. ჯ. – 16, 17, 401, 402, 406, 414, 419, 420, 422, 425, 430; იხ. აგრეთვე: **ჯოლოგუა თამაზ**

თავართქილაძე კონსტანტინე (1860-1934) – მესტამბე, გამომცემელი, პუბლიცისტი („ივერია“, „კვალი“...), ქველმოქმედი, პირველი

სტამბის დამაარსებელი ოზურგეთში (1890 წ. აქ დაბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“, ს. გუგუნავას „თამარიანი“ და სხვ.); მოგვიანებით სტამბები დააარსა აგრეთვე ბათუმსა და თბილისში, ალფეს მიქელაიშვილთან ერთად წიგნის მალაზია ჰქონდა გახსნილი ბათუმში – 394, 395

თალაქვაძე ნიკიტა (1873-1933) – სასულიერო პირი (დეკანოზი), პედაგოგი. სხვადასხვა წლებში იყო ფოთის წმ. ალექსანდრე ნეველის, ღვთისმშობლის სახელობის დიდუბისა და ანჩისხატის ეკლესიების წინამძღვარი. აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისთვის გაშლილ მოძრაობაში – 433, 459

თამამშვიცი გაბრიელ – სომეხი მეცენატი, პირველი გილდიის ვაჭარი, თბილისისა და სტავროპოლის საპატიო მოქალაქე; 1847-1851 წწ. ერევანსკის (ამჟამად – თავისუფლების) მოედანზე ააშენა ქარვასლა, რომელშიც მოწყობილი იყო თეატრალური დარბაზი და სცენა (ქარვასლა თეატრიანად 1874 წელს დაიწვა) – 445

თამარი (დაახლ. 1160-1213) – საქართველოს მეფე 1184 წლიდან (გიორგი III-ის თანამოსაყდრე 1178-1184 წწ.), „სამებისაგან ოთხად თანააღზევებული“ („ისტორიანი და აზმანი...“) – 55, 59, 109, 122, 175, 388

თაყაიშვილი ექვთიმე (1863-1953) – მეცნიერი (ისტორიკოსი, არქეოლოგი, ეთნოგრაფი, ნუმისმატი, ლიტერატურათმცოდნე, ფოლკლორისტი, ლინგვისტი...), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პარიზის ნუმისმატთა და სააზიო საზოგადოებების წევრი, „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ დამაარსებელი (1907) და მისი პირველი თავმჯდომარე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთერთი პირველი პროფესორი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილი; 1921-1945 წწ. იყო ემიგრაციაში (საფრანგეთში), სადაც მეთვალყურეობდა და პატრონობდა საქართველოს პირველი დემოკრატიული მთავრობის მიერ უცხოეთში გატანილ ეროვნულ განძს. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში – 12, 459

თეზეი – იხ. თესვესი

- თეიმურაზი** (პერს.) – 7, 139, 140, 142, 148, 157, 165, 168, 181-183, 385, 392, 410, 411, 428, 469
- თეიმურაზი (თეიმურაზ ვაკელი)** – დიმიტრი ყიფიანის ფსევდონიმი – 411-415, 424, 460
- თეიმურაზ ბატონიშვილი (1782-1846)** – გიორგი XII-ის ძე, მწერალი, მეცნიერი, ბიბლიოფილი, პეტერბურგის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, პარიზის სააზიო და კოპენჰაგენის სამეფო ანტიკვართა საზოგადოებების წევრი, პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის ფუძემდებელი. 1810 წელს გადაასახლეს პეტერბურგში, იქვე გარდაიცვალა, იქვეა დაკრძალული (ალექსანდრე ნეველის ლავრის წმ. თედორეს ეკლესიაში) – 390, 402, 455, 469
- თეკლე (თეკლა) ბატონიშვილი (1776-1846)** – ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის ასული, პოეტი. მონაწილეობდა 1832 წლის შეთქმულებაში, რისთვისაც გადაასახლეს კალუგაში (სამშობლოში დაბრუნდა 1835 წელს). დაკრძალულია მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში – 59, 392, 393
- თელია ავთანდილ** – მკვლევარი. ავტორი წიგნისა „ქართული სათავადაზნაურო ბანკი და ილია ჭავჭავაძე“ (თბ.: 1989) – 27, 459
- თემურლენგი (1336-1405)** – გათურქებული მონღოლი, მხედართმთავარი, ემირი (1370-1405). 1386-1403 წლებში საქართველომ რვაჯერ იწვნია თემურლენგის დამანგრეველი ლაშქრობა – 122, 405, 465
- თეოფრასტი** (პერს.) – 339
- თესევისი (თეზეი)** – ძველი ბერძნული მითოლოგიის ათენელი გმირი, რომელმაც მრავალი საგმირო საქმე ჩაიდინა, კრეტის მეფე მინოსის ასულ არიადნეს სიყვარულის საგანი – 282
- თვალავაძე თეა** – მკვლევარი, გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის მოადგილე, ოტია პაჭკორიას თხზულებათა ოთხტომეულის შემდგენელი (თბ.: 2015) – 459
- თვარაძე რევაზ (1928-2006)** – ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი (მ. ლერმონტოვი, ა. ბლოკი, უ. ფოლკნერი და სხვ.), ჟურნალისტი (გაზ. „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი 1967-1968 წწ.), მემუარისტი – 388, 391, 399, 410, 423, 427
- თომაზო** (პერს.) – 362

თულაშვილი ვახტანგ (1834-1910) – პუბლიცისტი, პედაგოგი, ქველმოქმედი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამაარსებელთაგანი (1904 წლიდან – საპატიო წევრი), თვალსაჩინო ფიგურა იმ მოძრაობაში, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოში პატრიოტული მიზანდასახულობის კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესების აღორძინებასა და განვითარებას (ყურნალისტიკა, თეატრი, სასტამბო-საგამომცემლო საქმე და სხვ.) – 28, 459, 466

თუმანიშვილები – საქართველოს მეფეთა კარის მდივან-მწიგნობრების გვარი – 406

თუმანიშვილი მიხეილ (1818-1875) – სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, საიდუმლო მრჩეველი („Тайный советник“), მწერალი, ყურნალისტი, თეატრალური კრიტიკოსი, ეთნოგრაფი, 1830-იან წწ. თბილისის გიმნაზიის მონაფეთა ლიტერატურული ჯგუფის ხელმძღვანელი, „ტფილისის კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკის“ (1842-1848) დამფუძნებელი წევრი, ივ. კერესელიძის „ცისკარში“ გამოქვეყნებული „სალაყბოს ფურცლების“ ერთ-ერთი ავტორი. დაკრძალულია თბილისში, ხოჯავანქის სომხურ სასაფლაოზე – 25, 406, 459

თუმანიშვილი პავლე (გარდ. 1935) – საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი, თბილისის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი (1900-1910), გამომცემელი გაზეთ „ივერიისა“ (1905-1906) და ყურნალ „ნაკადულისა“ (1906-1920). გარდაიცვალა ემიგრაციაში (პოლონეთში) – 429

თურიო (პერს.) – 188, 221-224, 226, 228, 236, 240, 241, 243, 257-261, 266, 267, 274, 284-287, 294, 295

თურნავა სერგო (1915-2001) – ლიტერატურათმცოდნე, ავტორი ნიგნებისა: „ანდრე სტილის შემოქმედებითი გზა“ (თბ.: 1972), „XX საუკუნის საზღვარგარეთული ქართველოლოგია“ (თბ.: 1999) და სხვ. – 444, 460

ი

იაზონი (იასონი) – ძველბერძნული მითოლოგიის გმირი, ოქროს საწმისის მოსაპოვებლად საბერძნეთიდან კოლხეთში გამომგზავრებული არგონავტების მეთაური – 104, 106

იაკობი – იხ. **გოგებაშვილი იაკობ**

იანოვსკი კირილე (1822-1902) – უკრაინული წარმოშობის რუსი სახელმწიფო მოღვაწე (რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრი), ნამდვილი საიდუმლო მრჩეველი („Действительный тайный советник“), „მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების“ წევრი, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი (1878-1899), უკიდურესი რეაქციონერი, კავკასიაში ცარიზმის ასიმილაციური პოლიტიკის ერთ-ერთი ბურჯი. გარდაიცვალა სოხუმში, იქვეა დაკრძალული – 31, 32, 37, 432, 468

იარმალოუ – იხ. **ერმოლოვი ალექსი**

იესო ქრისტე – ძე ღვთისა, ქრისტიანული რელიგიის ფუძემდებელი – 58, 60, 61, 105-107, 114, 121, 171, 403, 456

ივანე (პერს.) – 29

იზიდორა (პერს.) – 356, 361, 363-368, 371-376, 379

ილია – იხ. **ჭავჭავაძე ილია**

ინალიშვილი (ინალ-იფა) – აფხაზი თავადი, პერსონაჟი დიმ. ყიფიანის დოკუმენტური მოთხრობისა „თავად ანჩაბაძისა და თავად ინალიშვილის ქალის ანბავი“ – 7, 143-147, 416, 417, 420, 423

ინგოროყვა პავლე (1893-1983) – ლიტერატურათმცოდნე, ტექსტოლოგი, ჟურნალისტი, კრიტიკოსი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს პირველი რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (შემდგომში – პარლამენტის) წევრი, ჟურნალ „პრომეთეს“ (1918) თანარედაქტორი (ი. ყიფშიძესა და კ. გამსახურდიასთან ერთად), ჟურნალ „კავკასიონის“ (1924) დამფუძნებელი და რედაქტორი, ჟურნალ „ახალი კავკასიონის“ (1925) რედაქტორ-გამომცემელი, გამომცემლობა „ქართული წიგნის“ დაარსების (1928) ინიციატორი – 472, 473

იოანე ბატონიშვილი (1768-1830) – გიორგი XII-ის ძე, სახელმწიფო მოღვაწე, მწერალი, მეცნიერი, განმანათლებელი, ავტორი ენციკლოპედიური ხასიათის თხზულებისა „კალმასობა“ („ხუმარსწავლა“) – 405, 406 454

იოანე ზედაზნელი – თორმეტ მონაფესთან ერთად VI ს. შუაწლებში სირიიდან მისიონერული მიზნით საქართველოში ჩამოსული სასულიერო მოღვაწე, რომელმაც ზედაზნის მთაზე დააარსა მონასტერი, იქვე აღესრულა და იქვეა დაკრძალული – 119

- იოანიკე** (ერისკაცობაში – **ივანე რუდნევი**) (1826/27-1900) – ქართლ-კახეთის მთავარეპისკოპოსი და საქართველოს ეგზარქოსი (1877-1882). სხვადასხვა წლებში იყო კიევისა და პეტერბურგის სასულიერო აკადემიების რექტორი, ვიბორგის (1861-1864), სარატოვის (1864-1873), ნიჟეგოროდის (1873-1877) ეპისკოპოსი. საქართველოდან გადაიყვანეს მოსკოვის მიტროპოლიტად, ხოლო 1891 წლიდან გარდაცვალებამდე იყო კიევისა და გალიციის მიტროპოლიტი – 430
- იოვიძე აბესალომ** (1896-1968) – ისტორიკოსი, არქივმცოდნე, პედაგოგი, საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივის დირექტორი (1936 წლიდან) – 434, 460
- იოთამი** (პერს.) – 141
- იოსელიანი პლატონ** (1809-1875) – მეცნიერი (ისტორიკოსი, ფილოლოგი, ფოლკლორისტი), ჟურნალისტი, გამომცემელი, ათენის არქეოლოგიური საზოგადოების ნამდვილი წევრი. ლიტერატურული და მსოფლმხედველობრივი პრინციპებით ეკუთვნოდა „მამების“ თაობას – 407-409, 460
- იოსესე** (პერს.) – 328-330
- იპოკრეტი** – იხ. **ჰიპოკრატე**
- იულიუს კეისარი (იულოსი)** (ძვ. წ. 100-ძვ. წ. 44) – ძვ. რომის სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი, მთავარი პერსონაჟი უ. შექსპირის ტრაგედიისა „იულიუს კეისარი“ – 438
- იულიუს ტარენტელი** (პერს.) – 438
- იულოსი** – იხ. **იულიუს კეისარი (იულოსი)**
- იუპიტერი** – ცის, ჭექა-ქუხილისა და ელვის ღმერთი რომაულ მითოლოგიაში (შეესაბამება ძველბერძნულ ზევსს) – 171, 428

3

- კავური კამილო ბენსო** (1810-1861) – იტალიელი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, ჟურნალისტი, ზურჯუაზიულ კლასად ჩამოყალიბებული თავადაზნაურობის მეთაური და კაპიტალიზმის იდეოლოგი; ლიბერალ-მონარქისტი, რომლის საბოლოო მიზანი იყო იტალიის გაერთიანება, რასაც მიაღწია კიდევაც და 1861 წ. მარტში გაერთიანებული იტალიის პირველი პრემიერ-მინისტრი გახდა – 15

- კაკაბაძე სარგის (1886-1967)** – ისტორიკოსი, ფილოლოგი, ტექსტოლოგი, პედაგოგი, სიძველეთა დაცვის კომიტეტის ხელმძღვანელი (1924-1934), სამეცნიერო პერიოდული გამოცემების „საისტორიო მოამბისა“ (1924-1925) და „საისტორიო კრებულის“ (1928-1929) რედაქტორი – 408, 409, 460
- კალანდაძე ალექსანდრე (1916-1996)** – მწერალი, ლიტერატურათმცოდნე. მეორე მსოფლიო ომში იბრძოდა პოლონელებისა და ფრანგების წინააღმდეგობის მოძრაობაში. ავტორი კაპიტალური ნაშრომისა „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“ (I-V. თბ.: 1977-1987) – 413, 435, 460
- კანდელაკი მარინე (1930-2014)** – XIX ს. ქართული ჟურნალისტიკისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის მკვლევარი – 463
- კასრაძე ნინო** – ფილოლოგი, ტექსტოლოგი, ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერი თანამშრომელი – 454
- კასრაძე ოთარ (1926-1988)** – მეცნიერი (ფილოლოგი, ისტორიკოსი), იკვლევდა ქართული სტამბების, ნაბეჭდი წიგნის, ლიტერატურის, XIX ს. ქართული ჟურნალისტიკისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის, ქართული თეატრის ისტორიის საკითხებს – 431, 460
- კატკოვი მიხეილ (1818-1887)** – რუსი ჟურნალისტი და პუბლიცისტი, მთარგმნელი (პ. ჰაინე, ე. ჰოფმანი, უ. შექსპირი და სხვ.), გაზეთ „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ რედაქტორი (1851-1856; 1863-1887), გავლენიანი ფიგურა რუსეთის პოლიტიკურ წრეებში, მათ შორის – საიმპერატორო კარზე. უკიდურესი შოვინისტი – რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხების ასიმილაციის იდეოლოგი. თავის გაზეთში კარი გაუღო ქართველთა ეროვნული ღირსების შემლახველ პუბლიკაციებს, რასაც ქართველ მოღვაწეთა (დიმ. ყიფიანი, ი. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე და სხვ.) მწვავე რეაქცია მოჰყვა – 32, 438
- კაცელაშვილი ზურაბ** – მკვლევარი, რედაქტორი და გამომცემელი წიგნისა: იოანე ბაგრატიონი. შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა (მასალა ისტორიისათვის) (თბ.: 1997) – 455
- კაცია II დადიანი** – ოდიშის მთავარი 1758-1788 წწ. – 85, 398
- კახაბერი** – ტექსტის მიხედვით, ძველი ქართული გვარი – 121

- კეკელიძე კორნელი** (1879-1962) – ლიტერატურათმცოდნე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებელთაგანი. ფასდაუდებელი ამაგი დასდო ძველი ქართული მწერლობის მეცნიერულ კვლევას. საქართველოს გასაბჭოებამდე იყო სასულიერო მოღვაწე (დეკანოზი, თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი). დაკრძალულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პანთეონში – 1, 420, 454, 476
- კეკელიძე მიხეილ** (1911-1996) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, პედაგოგიკის ისტორიის მკვლევარი – 31, 460
- კერესელიძე ივანე** (1829-1892) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, პედაგოგი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, ჟურნალ „ცისკრისა“ (1857-1875) და გაზეთ „ცისკრის“ (1887) რედაქტორ-გამომცემელი. „ცისკრის“ რედაქციაში მასთან სტუმრობა აღწერილი აქვს ალ. დიუმას თავის „კავკასიაში“. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 31, 141, 411, 413-415, 424, 436, 437, 440, 441, 443, 460, 465, 470
- კეტჩერი ნიკოლოზ** (1809-1886) – შვედური წარმოშობის რუსი მწერალი და ექიმი; უ. შექსპირის, ფ. შილერის, ე. პოფმანისა და სხვ. მთარგმნელი რუსულ ენაზე – 437
- კეშელავა პლატონ** (1893-1963) – მწერალი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. დიდი ამაგი დასდო ი. ჭავჭავაძის ყვარლის სახლ-მუზეუმს, რომლის დირექტორი იყო 1943-1963 წწ.; დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 447-452, 462
- კიკნაძე ლია** – ფილოლოგი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერი თანამშრომელი, ავტორი ნიგნისა „გიორგი ავალიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“ (თბ.: 1993) – 454
- კირიონ II** (ერისკაცობაში – **გიორგი საძაგლიშვილი**) (1855-1918) – სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, ეწეოდა სამეცნიერო მუშაობას, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის დაუცხრომელი მებრძოლი და ავტოკეფალიააღდგენილი ეკლესიის პირველი კათალიკოს-პატრიარქი (1917-1918); 1918 წლის 27 ივნისს მოკლული ნახეს მარტყოფის წმ. ანტონის მონასტერში (მკვლევლობის გარემოებები დღემდე ბურუსითაა მოცული). დაკრძალულია თბილისის სიონის ტაძარში. 2002 წ. საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ კირიონ II წმინდანად შერაცხა – 42

კლიმენი (პერს.) – 360

კობაძე ბონდო – პროექტის ავტორი და შემდგენელი კრებულებისა: „აკაკი წერეთელი – 170“ (თბ.: 2010), „გალაკტიონი – 120“ (თბ.: 2011), „დიმიტრი ყიფიანი – 200“ (თბ.: 2014) და სხვ. – 388, 390, 391, 399, 411, 423, 427

კოლხიდელი (ფსევდ.) – იხ. **დადიანი გრიგოლ**

კონსტანტინე (წმ.) – არგვეთის (ზემო იმერეთი) მთავარი მხეიძეთა გვარიდან. VIII ს. I ნახევარში არაბებმა მოწამებრივი სიკვდილით დასაჯეს – 55

კორინა – ძვ. წ. V საუკუნის ბერძენი პოეტი ქალი. მოღწეულია ეოლიურ დიალექტზე დაწერილი მისი პოეტური ტექსტების ფრაგმენტები – 58

კორინთელი – ტექსტის მიხედვით, ქართლის აზნაურული გვარეულობა. აზნაურებად მოიხსენიებს კორინთლებს იოანე ბატონიშვილი, ვახუშტის მიხედვით კი კორინთელი ჯერ წარჩინებულ ფეოდალურ საგვარეულოს წარმოადგენს, მოგვიანებით კი – აზნაურულს – 125

კორიუნი – V საუკუნის სომეხი მემატიანე და მწერალი, ავტორი თხზულებისა „მამტოცის ცხოვრება“ – 403

კურტანიძე – დაუდასტურებელი ცნობით, ქვიშხეთის მთაწმინდის ეკლესიის ხუროთმოძღვარი – 390

კუსრაშვილი რუსუდან – ლიტერატურათმცოდნე, ტექსტოლოგი, ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის თხზულებათა, აგრეთვე, დ. გურამიშვილის „დავითიანის“ სიმფონია-ლექსიკონის შემდგენელ-გამომცემელი – 457

კუხელი ა. (ფსევდ.) – იხ. **ავალიშვილი ნიკო**

ლ

ლაზარე – ერთი სამოცდაათ მოციქულთაგანი, რომელიც მაცხოვარმა მკვდრეთით აღადგინა. ლაზარეს აღდგინების დღეს ეკლესია აღნიშნავს ბზობის წინა შაბათს (ლაზარეს შაბათი) – 129

ლაზარევი ივანე (1763-1803) – გიორგი XII-ის მოწვევით 1799 წ. ნოემბერში საქართველოში შემოსული რუსეთის ლეგიონის მეთაური, გენერალ-მაიორი. ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის

გარდაცვალების შემდეგ ცოტა ხნით ფაქტობრივად მართავდა ქვეყანას, ხოლო 1801-1802 წწ. სათავეში ედგა ადგილობრივ დროებით მმართველობას. 1803 წ. 19 აპრილს რუსეთში ძალადობრივად გადასახლების მცდელობისათვის მოკლა ქართლ-კახეთის უკანასკნელმა დედოფალმა მარიამ გიორგი ციციშვილის ასულმა (სხვადასხვა წყარო ლაზარევის მკვლელად ასახელებს ნიკოლოზ ხიმშიაშვილს, იოსებ ყორღანოვს, ჯიბრაილ ბატონიშვილს); დაკრძალულია თბილისის სიონის ტაძარში – 408

ლაიზევიცი იოჰან ანტონ (1752-1806) – გერმანელი დრამატურგი, ე. წ. „გეტინგენის პოეტთა თანამეგობრობის“ წევრი, ავტორი ტრაგედიისა – „იულიუს ტარენტელი“ (1776) – 438

ლაკერბაი მიხეილ (1901-1965) – აფხაზი მწერალი (პროზაიკოსი, დრამატურგი), ჟურნალისტი, თეატრალური მოღვაწე – 420, 421

ლაროში ბენუამენ (1797-1852) – ფრანგი მწერალი, უ. შექსპირის, ვ. სკოტის, ჩ. დიკენსისა და სხვ. მთარგმნელი ფრანგულ ენაზე – 437, 469

ლაუნსი (პერს.) – 188, 219-221, 232-235, 247-257, 269, 270, 275, 277

ლალიაშვილი იოსებ (სოსო) (1866-დაახლ. 1913) – თბილისის სასულიერო სემინარიის მოწაფე, რომელიც რევოლუციური აზრებისთვის სწავლის გაგრძელების უფლების აღკვეთით (ე. წ. „მგლის ბილეთით“) გარიცხეს სასწავლებლიდან. 1886 წ. 24 მაისს შურისძიების ნიადაგზე ხანჯლით მოკლა სემინარიის რექტორი, დეკანოზი პავლე ჩუღეცკი, რისთვისაც გაასამართლეს და ოცწლიანი კატორღა მიუსაჯეს. სასჯელს იხდიდა კუნძულ სახალინზე, საპორტო ქალაქ კორსაკოვში, საიდანაც გაიქცა და საბოლოოდ მოხვდა ამერიკის შეერთებულ შტატებში (ცხოვრობდა თომას კოკის სახელით). გარდაიცვალა იქვე – 37

ლენდრი – ძვ. ბერძნული მითოლოგიის გმირი, მთავარი პერსონაჟი კ. მარლოს (1564-1593) პოემისა „ჰერო და ლენდრი“ (ჰეროსა და ლენდრის სიყვარულის ისტორია მხატვრულად დამუშავებული აქვთ აგრეთვე: ფ. შილერს, ფ. გრილპარცერს, მ. პავიჩსა და სხვ.) – 190, 441

ლებედევი პავლე – იხ. **პავლე ეგზარქოსი**

ლევან V დადიანი (1791-1846) – სამეგრელოს (ოდიშის) მთავარი (1805-1840; უშუალოდ ოდიშის მართვას 1811 წლიდან შეუდგა),

სამთავრო ტახტი სიცოცხლეშივე გადასცა თავის მემკვიდრეს – დავით დადიანს, თუმცა მთავრის ტიტული სიკვდილამდე შეინარჩუნა; მხარს უჭერდა რუსეთის პოლიტიკას დასავლეთ საქართველოში – 398

ლეიზევიცი – იხ. **ლაიზევიცი იოჰან ანტონ**

ლეონიძე გიორგი (1899-1966) – მწერალი, მეცნიერი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე, ჟურნალ „საფირონისა“ (1916; გამოვიდა ერთი ნომერი) და გაზეთ „ბახტრიონის“ (1922-1923) რედაქტორ-გამომცემელი. მისი ინიციატივით დაარსდა ქართული ლიტერატურის მუზეუმი (ამჟამად გიორგი ლეონიძის სახელობისა), ი. ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-მუზეუმი, პერიოდული გამოცემა „ლიტერატურული მემკვიდრეობა“ და სხვ. – 1, 387, 434, 475

ლეჟავა ლია (1924-2000) – ენათმეცნიერი, ავტორი გამოკვლევებისა დიმ. ყიფიანის გრამატიკული შეხედულებების შესახებ – 36, 460

ლერმონტოვი მიხეილ (1814-1841) – რუსი მწერალი (პოეტი, პროზაიკოსი). მის შემოქმედებაში უხვადაა კავკასიური თემატიკა („მწირი“, „დემონი“, „კავკასიის ტყვე“ და სხვ.). დაიღუპა დუელში – 111, 404, 460, 461

ლივენცოვი მიხეილ (1825-1896) – რუსი მწერალი და სამხედრო პირი (გენერალ-ლეიტენანტი), ე. ნ. „კავკასიის ომების“ მონაწილე – 406, 459, 461

ლიზა (პერს.) – 328, 332-338, 345-349, 352, 353

ლიკანდრი (პერს.) – 328, 346-353

ლიკასტი (პერს.) – 298, 320

ლინკოლნი აბრაამ (1809-1865) – ამერიკის შეერთებული შტატების XVI პრეზიდენტი (1861-1865) – 426

ლირი (პერს.) – 440

ლოლაშვილი ივანე (1918-1984) – ლიტერატურათმცოდნე, ტექსტოლოგი, ნაყოფიერად იკვლევდა როგორც შუა საუკუნეების, ისე XIX ს. ქართული მწერლობის ისტორიასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას – 455

ლომთათიძე გიორგი (1914-1971) – არქეოლოგი, დიდი ამაგი დასდო ე. თაყაიშვილის თხზულებათა კვლევისა და გამოცემის საქმეს, დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 459

ლორენცო (პერს.) – 287

ლორთქიფანიძე (ქალიშვილობის გვარი – **ჭყონია**) **ეკატერინე** (1850-1885) – ჟურნალისტი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე, ნიკ. ბართაშვილის თანაგმინაზიელისა და ლიტერატორის, მირიან ჭყონიას (1819-1897), ქალიშვილი, ჟურნალ „ქართული ბიბლიოთეკის“ (1883) რედაქტორ-გამომცემელი – 393

ლორთქიფანიძე (ქალიშვილობის გვარი – **ყიფიანი**) **ელენე** (1855-1890) – მწერალი, ჟურნალისტი, ქველმოქმედი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, დიმ. ყიფიანის ქალიშვილი. მოღვაწეობდა ქუთაისში, სადაც გათხოვილი იყო საზოგადო მოღვაწესა და ბიბლიოფილ ანტონ ლორთქიფანიძეზე. დიდი ამაგი დასდო ქართული ხალხური სიმღერებისა და სასულიერო საგალობლების შეკრებასა და ნოტებზე გადატანას. მისი ინიციატივით გამოიცა „თარგმანნი საამო საკითხავთა თხზულებათა“ (1872), აგრეთვე, თარგმანთა კიდევ ორი კრებული – „მოთხრობანი“ (1880, 1882), აღმანახ „ქართული ბიბლიოთეკის“ (გამოდიოდა ქუთაისში 1883 წ.). ერთ-ერთი დამაარსებელი და რედაქციის წევრი. თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („დროება“, „ივერია“, „მნათობი“, ნობათი“ და სხვ.), აქვეყნებდა სხვადასხვა ხასიათის თხზულებებს (ძირითადად, თარგმანებს: მოლიერი, მოპასანი, დოდე და სხვ.). გარდაიცვალა ქუთაისში, დაკრძალულია იქვე, წმ. გიორგის ეკლესიაში – 56, 392, 393

ლორთქიფანიძე კირილე (1839-1919) – „თერგდალეულთა“ თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, კრიტიკოსი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, გაზეთ „დროების“ რედაქტორი (1873-1874), აღმანახ „ჩონგურის“ (1864) შემდგენელ-გამომცემელი. დაკრძალულია ქუთაისში, მწვანეყვავილაზე – 428, 435

ლორის-მელიქოვი მიხეილ (1825-1888) – გენერალ-ადიუტანტი, რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი, 1880-1881 წწ. – რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი და ჟანდარმთა ფაქტობრივი შეფი (სარგებლობდა ალექსანდრე II-ის განუსაზღვრელი ნდობით, რამაც მეფის შემდეგ რუსეთის ხელისუფლების ცენტრალურ ფიგურად აქცია); „ქმწ-კვ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, ქართული ლიტერატურის ისტორიაში შესულია, როგორც ი. ჭავჭავაძისა („კიდევ გამოცანები“) და ა. წერეთლის („ჩვენი მიხაკა“) გამანადგურებელი სატირის ობიექტი. ალექსანდრე II-

ის მკვლევლობის (1881) შემდეგ გადადგა თანამდებობიდან, საერთოდ ჩამოშორდა სახელმწიფო სამსახურს და დარჩენილი წლები ძირითადად უცხოეთში გაატარა; გარდაიცვალა საფრანგეთის ქ. ნიცაში, დაკრძალულია თბილისში, ვანქის ეკლესიის გალავანში – 420

ლუარსაბ II (წმ.) (1592-1622) – ქართლის მეფე (1606-1615), შაჰ-აბასის ტყვეობაში მყოფმა, უარი თქვა გამაჰმადიანებაზე, რის გამოც შირაზის ციხეში სიკვდილით დასაჯეს – 55

ლუკიანე სამოსელი – ძვ. ბერძენი მწერალი-სატირიკოსი (II ს.) – 428

ლუკრეცია (პერს.) – 328-330

ლული ჟან ბატისტ (1632-1687) – იტალიური წარმოშობის ფრანგი კომპოზიტორი, თვალსაჩინო ფიგურა ფრანგული ოპერის ისტორიაში – 449, 451

ლუჩეტა (პერს.) – 188, 197-204, 237-240

ლუცინდა (პერს.) – 328, 331-334, 348-353, 450

მ

მაგი – მითოლოგიური ჯადოქარი (გრძნეული), შემლოცველი – 92

მათე – წმ. მოციქული და მახარებელი – 415

მაკროტონი (პერს.) – 328, 337, 339-343, 449

მამაცაშვილი იოსებ (1810-1874) – ჟურნალისტი, მწერალი (პოეტი, მთარგმნელი), საზოგადო მოღვაწე, „ქმნ-კგ საზოგადოების“ დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (გადაასახლეს ვიატკაში, სადაც ს. დოდაშვილთან ერთად იხდიდა სასჯელს). თანამშრომლობდა ივ. კერესელიძის „ციცკარში“, „გუთნის-დედაში“ – 27, 29, 412, 461

მამაცაშვილი კონსტანტინე (1818-1900) – სამხედრო (გენერალ-ლეიტენანტი) და საზოგადო მოღვაწე, „კავკასიის ომების“ მონაწილე, „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, მემუარისტი (გამოქვეყნებული აქვს მოგონებები სიყრმის მეგობარ ნ. ბარათაშვილზე). თანამშრომლობდა ქართულ პრესასთან („დროება“, „ივერია“ და სხვ.). დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 28

მამია II გურიელი (გარდ. 1625) – გურიის მთავარი (1600-1625), აჭარიდან ჯერ განდევნა ოსმალები, თუმცა შემდეგ ოსმალებთან

თან ომში დამარცხდა და აჭარა ისევ დაკარგა; ქართველ მეფე-მთავართა ანტიირანული კოალიციის აქტიური მონაწილე; მოკლა შვილმა (სიმონმა) – 135, 409

მამია V გურიელი (1789-1826) – გურიის უკანასკნელი მთავარი (1809-1826), რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი, 1810 წელს რუსეთთან დადო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, გურია ავტონომიური უფლებებით შედიოდა რუსეთის იმპერიაში, ატარებდა მკაფიოდ გამოკვეთილ ანტიოსმალურ პოლიტიკას, ხელს უწყობდა გურიის საზოგადოებრივი ცხოვრების ევროპეიზაციას. დაკრძალულია შემოქმედის მონასტერში – 67-69, 76, 80, 82, 395, 397-399, 409, 471

მამიანი – ტექსტის მიხედვით, დასავლურქართული აზნაურული გვარი – 112

მანსვეტაშვილი იაკობ (1855-1939) – მწერალი, მემუარისტი, პუბლიცისტი, ნავთობის მსხვილი მრეწველი (ბაქოში), ქველმოქმედი, ი. ჭავჭავაძესთან დაახლოებული საზოგადო მოღვაწე. დამთავრებული ჰქონდა პეტერბურგის უნივერსიტეტის სბუნებისმეტყველო ფაკულტეტი. თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („ივერია“, „ჯეჯილი“, „მომამბე“ და სხვ.), აქვეყნებდა პუბლიცისტურ და მხატვრულ თხზულებებს (ფსევდ.: „დონ-იაგო“, „ბრელი“, „ალექსანდრიძე“, „შერმადინი“ და სხვ.). იყო „ქმნ-კგ საზოგადოების“ მდივანი, ბიბლიოთეკის გამგე, 1912 წლიდან – „საზოგადოების“ საპატიო წევრი. გარდაიცვალა თბილისში და იქვე (ვაკის სასაფლაოზე) დაკრძალეს – 27, 461

მარდი (პერს.) – 188, 192-196, 208-217, 221, 222, 228, 232-235, 251-257, 262, 264

მართა ზურაბ წერეთლის ასული (გარდ. 1839) – სამეგრელოს დედოფალი (ლევან V დადიანის მეუღლე) – 85, 398

მარი ნიკო (1864-1934) – ენათმეცნიერი, ტექსტოლოგი, აღმოსავლეთმცოდნე, არქეოლოგი, ავტორი ჰიპოთეზისა, რომლის მიხედვით, ქართველური ენები ენათესავენა სემიტურ ენებს და მიეკუთვნება იაფეტურ ენათა ოჯახს – 402, 461

მარია ტერეზა (მარი-ტერეზა) ავსტრიელი (1717-1780) – ავსტრიის ერცჰერცოგი, უნგრეთისა და ბოჰემიის დედოფალი, განმანათ-

ლებელი (ხელს უწყობდა განათლების გავრცელებას, აფინანსებდა მეცნიერულ კვლევებს და სხვ.) – 59

მარიამ ბატონიშვილი (1755/1758-1828) – ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის ასული, მეუღლე თბილისის მოურავ დავით ციციშვილისა; პოეტი, რომლის ლექსები წარსულზე გლოვითაა გამსჭვალული. დაკრძალულია თბილისის სიონის ტაძარში – 393

მარიამ კაცია დადიანის ასული (გარდ. 1841) – იმერეთის დედოფალი (სოლომონ II-ის მეუღლე). 1811 წ. გადაასახლეს რუსეთში (ვრონეჟში), საბოლოოდ დამკვიდრდა პეტერბურგში, სადაც გარდაიცვალა 1841 წ. 18 მარტს – 85, 398

მარიამ ღვთისმშობელი – დედა იესო ქრისტესი, „ყოვლადწმიდა“, „მარად ქალწული“, დედობისა და შვილიერების მფარველი, კათოლიკური ეკლესიის მიერ „ეკლესიის დედად“ შერაცხილი – 61, 77

მარინე (წმ.) (დაახლ. 289-304) – ქრისტიანობისათვის წამებული, მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიების წმინდანი – 68

მარკოვი ივანე – რუსი სამხედრო პირი და პოეტი. ავტორი ლექსისა „Песнь кавказских воинов“, რომელიც დიმ. ყიფიანმა თარგმნა სათაურით „გალობა კავკასიის მხედართა“ (რუსულ-ქართული ორენოვანი ბროშურა თბილისში დაიბეჭდა 1848 წელს) – 33, 461

მარლო კრისტოფერ (დაახლ. 1564-1593) – ინგლისელი მწერალი (პოეტი, დრამატურგი, მთარგმნელი), შექსპირის ეპოქის თვალსაჩინო ფიგურა ინგლისურ ლიტერატურაში – 441

მარტინი (პერს.) – 362

მარფურიოსი (პერს.) – 298, 315-317

მარლანია რიტა – ფილოლოგი, აფხაზური ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი – 417

მარშანია – აფხაზი თავადი, პერსონაჟი დიმ. ყიფიანის დოკუმენტური მოთხრობისა „თავად ანჩაბაძისა და თავად ინალიშვილის ქალის ანბავი“ – 144-147

მაცაშვილი (მაცაევი) სვიმონ – პოეტი, რომლის შემოქმედება ძირითადად ხელნაწერ კრებულებში შეტანილი ლექსებითაა შემორჩენილი. ჩვენი მონაცემებით, მისი მხოლოდ ერთი ლექსია გამოქვეყნებული (გარემოებათათვის კავკასიის მთისა. „ცისკარი“, 1859, №9) – 388

მაყაშვილი ტატო – ჟურნალ „ცისკრის“ მკითხველი – 414, 461

მაჩაბელი ვასილ (1845-1918) – იურისტი (ნაფიცი ვეჯილი), საზოგადო მოღვაწე, ივანე მაჩაბლის ძმა, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის თვალსაჩინო წევრის, გიორგი მაჩაბლის (1885-1935), მამა. ახლო მეგობრობა აკავშირებდა ი. ჭავჭავაძესთან, თუმცა ილიასა და ივ. მაჩაბლის ცნობილმა კონფლიქტმა ვასილ მაჩაბლისა და ილიას მეგობრული ურთიერთობაც გააფუჭა. გარდაიცვალა თბილისში, დაკრძალულია ვერის ნმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში – 445, 461

მაჩაბელი ივანე (1854-1898) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, „დროების“ რედაქტორი (1883-1885), „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის ე. წ. ქართველიშვილისეული გამოცემის ფაქტობრივი რედაქტორი, ერთ-ერთი წამყვანი თანამშრომელი თბილისის სათავადაზნაურო-საადილმამულო ბანკისა, „ქმნ-კგ საზოგადოებისა“, „ქართული დრამატიული საზოგადოებისა“. 1890-იან წლებში ი. ჭავჭავაძესთან ჰქონდა საბედისწერო პოლემიკა თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკასთან დაკავშირებით (ე. წ. ბანკობიადა), რომელშიც დამარცხდა და ამ დამარცხებამ გამოიწვია მისი გარიყვა საზოგადოებრივ-კულტურული ასპარეზიდან. 1898 წლის 26 ივნისს სახლიდან გავიდა და გაურკვეველ ვითარებაში გაუჩინარდა – 171, 428, 440, 444, 448

მაჭავარიანი ელენე – ისტორიკოსი, ფილოლოგი, ხელოვნებათმცოდნე, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მთავარი სპეციალისტი – 403, 461

მაჭავარიანი თამარ (1895-1979) – ბიბლიოგრაფი, თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში კავკასიოლოგიის (ამჟამად – ქართველოლოგიის) განყოფილების დამაარსებელი. ფასდაუდებელი ამაგი დასდო XIX ს. II ნახევრისა და XX ს. დასაწყისის ქართული ჟურნალ-გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის შედგენა-გამოცემას – 463

მაჭარაშვილი (მაჭაროვი) ნესტორ (1856-1931) – სასულიერო პირი (დეკანოზი), მთაწმინდის მამადავითის ეკლესიის წინამძღვარი – 430, 433, 461

მაჭუტაძე დავით – გურიის დედოფალ სოფიოს კანცლერი, გურიაში ანტირუსული მოძრაობის ერთ-ერთი მეთაური, რის გამოც

ოსმალეთში მოუხდა გადახვეწა, თუმცა, იქიდან დაბრუნებული, იძულებული გახდა, რუსული ხელისუფლების სამსახურში ჩამდგარიყო – 70, 71, 73, 74, 77, 79, 83-85

მაჯღუმი (პერს.) – 91-94, 98, 100

მაჰმადი – იხ. **მუჰამადი**

მაჰმად-უსეინა (პერს.) – 163

მაჰმუდ II (1785-1839) – ოსმალეთის სულთანი 1808-1839 წწ.; მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა სამხედრო სფეროში. ფრანგი დედის გავლენით ცდილობდა საერო განათლების გავრცელებას ოსმალეთის იმპერიაში – 73

მგალობლიშვილი სოფრომ (1851-1925) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, მემუარისტი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, ხალხოსნური იდეების აქტიური პროპაგანდისტი მწერლობაში და პრაქტიკული საქმიანობითაც, რის გამოც 1876 და 1878 წწ. დაპატიმრებული იყო; რედაქტორი გაზეთებისა: „ჩვენი დროება“ (1912-1913; 1915 წ. გამოვიდა ერთადერთი ნომერი) და „თემი“ (1912), პრესაში („დროება“, „ივერია“, „იმედი“, „მოამბე“, „თეატრი და ცხოვრება“ და სხვ.) აქვეყნებდა პუბლიცისტურ თხზულებებს, მოთხრობებს, დრამატულ სცენებს, მემუარებს... დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 458

მეთვალყურე (ფსევდ.) – იხ. **ფურცელაძე ბესარიონ**

მელიქიშვილი გიორგი (1918-2002) – ისტორიკოსი, ფუნდამენტური ნაშრომების ავტორი ურარტოლოგიაში, ძველი აღმოსავლეთის ისტორიისა და ფილოლოგიის დარგებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი – 404, 461

მელიქიშვილი სტეფანე (1841-1887) – გაზეთ „დროების“ გამომცემელი (1866-1883), პუბლიცისტი, მესტამბე. მთელი თავისი ავლადიდება შესწირა „დროების“ გამოცემას და, მატერიალურად უკიდურესად შევიწროებული, კომერციული მიზნით წავიდა შუა აზიაში, სადაც თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე (აშხაბადში) – 429

მერკუციო (პერს.) – 197

მესროპ (მესროფ) მაშტოცი (361-440) – სომეხი განმანათლებელი, სომხური ანბანის შემქმნელი (405-406), სირიულიდან სომხურად ბიბლიის ნაწილის მთარგმნელი. ზოგიერთი სომხური წყაროს

(კორიუნი, ხორენაცი...) მიხედვით, მანვე შექმნა ქართული ანბანი, თუმცა ეს თვალსაზრისი მოკლებულია საფუძველს – 107, 401-403

მესხი სერგეი (1845-1883) – ჟურნალისტი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, მთარგმნელი, კულტურისა და განათლების პოპულარიზატორი, გაზეთ „დროების“ რედაქტორი (1869-1883; 1880-1881 წწ. ილია ჭავჭავაძესთან ერთად იყო „დროებისა“ და „ივერიის“ გაერთიანებული რედაქციის თანარედაქტორი). თვალსაჩინო ფიგურა XIX ს. ქართული კულტურის ისტორიაში. დაკრძალულია მშობლიურ სოფელ რიონში – 182, 416, 428-430, 435, 436, 439, 461, 462

მეტრეველი ელენე (1917-2003) – ფილოლოგი-ლიტერატურათმცოდნე, ძირითადად იკვლევდა VIII-XIX სს. ქართულ მწერლობას, ქართული კულტურის საზღვარგარეთული კერების ისტორიას; აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის (ამჟამად – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) დირექტორი (1968-1988) – 454, 473

მეუნარგია იონა (1852-1919) – მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, ქართულ მწერლობაში ე. წ. ბიოგრაფიული ჟანრის დამამკვიდრებელი, „ქმნ-კგ საზოგადოების“ მდივანი, „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის (ე. წ. ქართველიშვილისეული) გამოცემის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი. თანამშრომლობდა ქართულ და რუსულ პრესაში („დროება“, „ივერია“, „Кавказ“, „Новое обозрение“ და სხვ.). ფრანგულ ენაზე თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ (თარგმანი დაკარგულად ითვლება). დაკრძალულია მშობლიურ სოფელ ცაიში – 398, 430-433, 435, 462, 467

მეფისტოფელი (მეფისტო) – ლეგენდური ბოროტი სული, დემონი, სატანა, რომლის მხატვრული სახე სხვადასხვა ვარიაციით დამუშავებულია მსოფლიო ლიტერატურაში (გოეთე, დოსტოევსკი, თომას მანი, კლაუს მანი...), მუსიკაში (ბერლიოზი, გუნო, ბოიტო, ბუზონი...), სახვით ხელოვნებაში (დელაკრუა, ვრუბელი...), კინემატოგრაფიაში (მელიესი, საბო...) და სხვ. – 92

მილტონი ჯონ (1608-1674) – ინგლისელი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე, ავტორი პოემისა „დაკარგული სამოთხე“ – 55

მინაშვილი ლადო – ლიტერატურათმცოდნე, XIX ს. ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარი, ივ. ჯავახიშვილის სახელო-

ბის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ილიას კაბინეტის“
ხელმძღვანელი – 423

მირიან III – ქართლის მეფე (IV ს.), მის სახელთანაა დაკავშირებული
ქართლში ქრისტიანობის გამოცხადება სახელმწიფო რელიგიად
– 55, 109

მიტჩელი ორმსბი-მაქნაით (1810-1862) – ამერიკელი ასტრონომი,
მათემატიკოსი, ინჟინერი და სამხედრო პირი (მონაწილეობდა
ამერიკის 1860-იანი წლების სამოქალაქო ომში, სადაც გენერალ-
მაიორის ჩინით იბრძოდა სამხრეთელთა რიგებში, თუმცა მალე
ციება შეეყარა და ამას გადაჰყვა კიდევაც), ასტრონომიული ცოდ-
ნის პოპულარიზატორი. დიმ. ყიფიანმა რუსული ენიდან თარგმნა
და ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“ (1863, №2) გამოაქვეყნა
მიტჩელის სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ასტრონომიული
თხზულება „ზეციერი მნათობები“ (I ლექცია) – 33, 426, 462

მიუდგომელი (ფსევდ.) – 432, 462

მიუსე ალფრედ დე (1810-1857) – ფრანგი მწერალი (პოეტი, პრო-
ზაიკოსი, მთარგმნელი). დიმ. ყიფიანმა თარგმნა მიუსეს პიესა
„ბაბალეს თითის ტარი“ („La Quenouille de Barberine“), თუმცა
თარგმანი არ გამოუქვეყნებია (ხელნაწერი – H-1430, ფ. 1-21.
ავტოგრაფი. დათარიღებული 1847 წ. 14 სექტემბრით) – 33, 390

მიქელაიშვილი ალფეს – მესტამბე, გამომცემელი, ერთხანს იყო
თავის დროზე ცნობილი მესტამბე-გამომცემლის, კონსტ. თავარ-
თქილაძის, პარტნიორი (მასთან ერთად წიგნის მაღაზიაც ჰქონდა
გახსნილი ბათუმში) – 394, 395

მიხაილი (პერს.) – 171

მიხაკო (პერს.) – 406, 459, 461

მიხეილ ნიკოლოზის ძე (რომანოვი) (1832-1909) – დიდი მთავარი,
გენერალ-ფელდმარშალი, კავკასიის მეფისნაცვალი და ჯარების
სარდალი (1862-1881), რუსეთის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდო-
მარე (1881-1905; კავკასიის მეფისნაცვლობიდან ოფიციალურად
გათავისუფლდა 1881 წ. 23 ივლისს, ხოლო სახელმწიფო საბჭოს
თავმჯდომარედ მანამდე, 14 ივლისს, დაინიშნა. 1905 წ. გადადგა
პოსტიდან, თუმცა სიკვდილამდე დარჩა სახელმწიფო საბჭოს სა-
პატიო თავმჯდომარედ). შედარებით ლოიალურად იყო განწყო-
ბილი ქართველთა საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების

განვითარების მიმართ, თუმცა დაბეჯითებით ცდილობდა სასწავლო-საგანმანათლებლო სისტემის მაქსიმალურ რუსიფიკაციას – 39

მიხეილ (ჰამუთ-ბეი) შარვაშიძე (1806-1866) – აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი (1822-1864), რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი (მინიჭებულ ჰქონდა გენერალ-ადიუტანტის წოდებაც). 1864 წ. ჩამოართვეს მთავრის უფლებები და, მიუხედავად იმისა, რომ ითხოვდა საცხოვრებლად დატოვებას აფხაზეთში ან იმერეთსა და რაჭაში, რუსეთში გადაასახლეს. გარდაიცვალა ვორონეჟში. დაკრძალულია მოქვის ტაძარში – 417-419, 421

მოვსეს ხორენაცი (მოსე ხორენელი) – V საუკუნის (არსებობს სხვა ვერსიებიც – VII-IX სს. შორის) სომეხი მემბტიანე, ავტორი „სომხეთის ისტორიისა“, რომელშიც მოცემულია სომეხი ხალხის გაბმული ისტორია უძველესი დროიდან (ეთნარქ ჰაიკ/ჰაოსიდან) 428 წლამდე – 403

მოთამაშეთაგანი (ფსევდ.) – 458

მოლიერი (1622-1673) – ფრანგი დრამატურგი და თეატრალური მოღვაწე – 8, 29, 32, 33, 297, 327, 355, 418, 443-452, 462, 464

მონგოლფიები – ძმები **ჟოზეფ** (1740-1810) და **ეტიენ** (1745-1799), აეროსტატის ფრანგი გამომგონებლები (1783) – 100

მორფეუსი – ძილისა და სიზმრის ღმერთი ანტიკურ მითოლოგიაში, ჰიპნოსის შვილი – 93

მოსე (პერს.) – 288

მოსე ხორენელი – იხ. **მოვსეს ხორენაცი (მოსე ხორენელი)**

მოყვარულთაგანი – იხ. **მგალობლიშვილი სოფრომ**

მოცარტი ვოლფგანგ ამადეუს (1756-1791) – ავსტრიელი კომპოზიტორი და დირიჟორი, ვენის კლასიკური სკოლის უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი – 162

მუსხელიშვილი (ქალიშვილობის გვარი – **ლოღობერიძე**) **ანა** (1842-1890) – საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი (ძირითადად მოღვაწეობდა ახალციხეში), ნიკ. ლოღობერიძის (1839-1911) და, მონაწილეობდა „ქმნ-კვ საზოგადოების“ შექმნაში, ადრესატი ა. წერეთლის ლექსისა „ვარდის ხმაზე“ („მე ჩანგური მისთვის მიწა...“) – 28

მუსხელიშვილი დიმიტრი – არტილერიის გენერალი, კულტურტრეგერი, „ქმნ-კვ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი – 28

მუხრანბატონი ივანე (1812-1895) – სამხედრო (გენერალ-ლეიტენანტი) და საზოგადო მოღვაწე, ერეკლე II-ის შთამომავალი (ქეთევან ბატონიშვილის შვილიშვილი), გავლენიანი მემამულე, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი“) (1885-1891), „ტიფლისის კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკის“ (1842-1848) დამფუძნებელთაგანი, „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი და რიგით მეორე თავმჯდომარე (1882-1885). დაკრძალულია სვეტიცხოვლის ტაძარში – 28

მუჰამადი (მუჰამედი, მაჰმადი) (570/571-632) – ყურანის მიხედვით, ალაჰის უკანასკნელი მოციქული; ისლამის დამფუძნებელი. დაკრძალულია მედინაში – 58, 78, 81, 138, 151, 164, 426

მყვირალა (ქართლელი) – დიმიტრი ყიფიანის ფსევდონიმი – 21, 415, 467, 474

მჭედლიძე ესტატე – იხ. **ბოსლეველი**

6

N (მთავარი) – პერსონაჟი დიმიტრი ყიფიანის თხზულებისა „ამ მთისა, იმ მთისა...“ – 128, 129

ნადიკვრელი (ფსევდ.) – იხ. **ზარაფიშვილი ილია**

ნაზიმათი (პერს.) – 161, 164, 166, 167

ნანიტაშვილი ლეილა – მკვლევარი, ლიტერატორი, გამომცემელი. ძირითადად იკვლევს XIX-XX სს. ქართული ლიტერატურის, ჟურნალისტიკისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიას – 428, 433, 463

ნასრულა (ნასრ-ულლა-ხანი; სრულად – ემირ ნასრ ულა ბაჰადურ ხანი) (1806-1860) – ბუხარის ემირატის მმართველი (1827-1860) – 150

ნასრ-ულლა (პერს.) – 149-151, 155, 159, 164-166

ნებროთიანები – ლეონტი მროველის მიხედვით, ქართლის მმართველი დინასტია – 108, 120

ნეიმანი ალექსანდრე (1880-1967) – ენათმეცნიერი, თეატრალური მოღვაწე, „ქართულ სინონიმთა ლექსიკონის“ შემდგენელი – 449, 463

ნენე (პერს.) – 219

ნესელროდე კარლ (1780-1862) – გერმანული წარმოშობის რუსი სახელმწიფო მოღვაწე (რუსეთის იმპერიის კანცლერი 1844 წლი-

დან), რუსეთის საგარეო კოლეგიის მმართველი (1816-1822) და საგარეო საქმეთა მინისტრი (1822-1856) – 82

ნიკოლაი ალექსანდრე (1821-1899) – სახელმწიფო მოღვაწე, ბარონი, სენატორი და სტატს-სეკრეტარი. სხვადასხვა წლებში იყო კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი და სასწავლო ოლქის მზრუნველი, კიევის სასწავლო ოლქის მზრუნველი, კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსი, რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი, განათლების მინისტრი, სახელმწიფო საბჭოს კანონთა დეპარტამენტის თავმჯდომარე; მთავარი ფიგურა იმ რეფორმების პრაქტიკული განხორციელებისას, რომლებიც მეფისნაცვალმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ (1862-1881) გაატარა კავკასიაში; რუსეთის საიმპერატორო აკადემიის საპატიო წევრი; ალ. ჭავჭავაძის სიძე (უმცროსი ქალიშვილის, სოფიოს, მეუღლე) – 19

ნიკოლაი ლეონტი (1820-1891) – გენერალ-ლეიტენანტი, „კავკასიის ომების“ მონაწილე. 1860-იან წწ. შეწყვიტა ბრწყინვალე სამხედრო კარიერა, მიიღო კათოლიკობა, გრენობლის (საფრანგეთი) მახლობლად კარტეზიანელთა ორდენის მონასტერში ბერად შედგა და იქვე გარდაიცვალა – 19

ნიკოლაძე ნიკო (1843-1828) – ჟურნალისტი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ჟურნალ „კრებულის“ (1871-1873) ფაქტობრივი რედაქტორი, გაზეთის „Обзор“ (1878-1880) დამაარსებელი და რედაქტორი, გაზეთ „Новое обозрение“-ს რედაქტორი (1887-1891), ფოთის ქალაქის თავი (1894-1912), საქართველოს ეროვნული საბჭოსა (1917-1918) და დამუძნებელი კრების (1919-1921) წევრი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში – 12, 396, 429, 436, 463

ნიკოლოზ I (1796-1855) – რუსეთის იმპერატორი (1825-1855). სახელმწიფოს მართვაში აბსოლუტური მონარქიზმის მიმდევარი. თანამიმდევრული რუსიფიკატორი. სასტიკად ჩაახშო პოლონეთის 1830-1831 წწ. აჯანყება და უნგრეთის 1848-1849 წწ. რევოლუცია. რუსეთის სამარცხვინო და გამანადგურებელმა მარცხმა „ყირიმის ომში“ (1853-1856) გამოიწვია მისი პოლიტიკური და სამხედრო კრაზი, რასაც გადაჰყვა კიდეც – 398, 426, 427

ნიკოლოზი (ნმ.) (257-351) – საკვირველმოქმედი, მირონ-ლუკიის მთავარეპისკოპოსი, მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანი – 84, 397

ნინო ბატონიშვილი – 59, 393

ნინო (პერს.) – 406, 459, 461

ნინო (ნმ.) – ქართველთა განმანათლებელი (დაახლ. IV ს. პირველი მესამედი), მოციქულთასწორი, წარმოშობით კაპადოკიელი. აღესრულა სოფელ ბოდინში/ბოდში (ამჟამად ბოდბე). იქვეა დაკრძალული – 30, 33, 55, 60, 119, 433

ნინო (1772-1847) – გიორგი XII-ის ასული, სამეგრელოს დედოფალი [გრიგოლ დადიანის (1770-1804) მეუღლე], 1811 წელს „განვეულ“ იქნა პეტერბურგში, სადაც სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა (მინიჭებული ჰქონდა სტატს-დამის ტიტული), ნმ. ეკატერინეს ორდენის კავალერი. დაკრძალულია პეტერბურგის ნმ. ალექსანდრე ნეველის ლავრის თედორეს ეკლესიაში – 398

ნიუტონი ისააკ (1642-1727) – ინგლისელი ფიზიკოსი, მათემატიკოსი, ასტრონომი, ფილოსოფოსი – 62

ნურ-ალა (პერს.) – 150, 151, 154, 155, 157, 159, 161, 164, 167

ო

ოვიდიუსი პუბლიუს ნაზონ (ძვ. წ. 43-ახ. წ. 18) – რომაელი პოეტი, ავტორი პოემისა „მეტამორფოზები“, რომელმაც შესამჩნევი გავლენა იქონია ევროპულ ლიტერატურასა და ხელოვნებაზე – 88, 101, 441

ოიდიპოსი – თებეს მითური მეფე, ლაიოსისა და იოკასტეს ვაჟი, რომელმაც გაუცნობიერებლად და უნებურად მოკლა მამა და ცოლად შეირთო დედა. ოიდიპოსის თემა მრავალი რაკურსითაა დამუშავებული მხატვრულ ლიტერატურაში (სოფოკლე, სენეკა, ესქილე, ვერიპიდე, კორნელი, ვოლტერი...), ფსიქოლოგიაში (ფროიდი, იუნგი...), მუსიკაში (სტრავენსკი, ენესკუ...), კინოხელოვნებაში (პაზოლინი...) და სხვ. – 109

ორბელიანი (**ორბელიანები**; იგივე: **ორბელიშვილები**, **ყაფლანიშვილები**, **ჯამბაკურ-ორბელიანები**) – ფეოდალური საგვარეულო

აღმოსავლეთ საქართველოში (გვარის ფუძემდებლად ითვლება ორბელ ბარათაშვილი – XVI ს. I ნახევარი) – 125, 405, 406

ორბელიანი გრიგოლ (1804-1883) – პოეტი, სამხედრო, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, გენერალ-ადიუტანტი და ინფანტერიის გენერალი, თვალსაჩინო ფიგურა „კავკასიის ომებში“, რუსეთის იმპერიის უმაღლესი ჯილდოს – ანდრია პირველწოდებულის ორდენის, კავალერი, კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს საბჭოს თავმჯდომარე (ხანგამოშვებით ასრულებდა მეფისნაცვლის მოვალეობას), თბილისის გენერალ-გუბერნატორი, „ტფილისის კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკისა“ (1842-1848) და „ქშნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, „მამებისა“ და „შვილების“ ბრძოლის მონაწილე (იცავდა „მამების“ პოზიციას), 1832 წლის შეთქმულების წევრი [მიესაჯა გადაყვანა „პირველი ლინის“ (მოიცავდა ტერიტორიას ყუბანიდან თერგის შესართავამდე) ქვეითთა კორპუსში რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში ჩამოსვლის უფლების აღკვეთით]. დაკრძალულია ქაშვეთის ტაძარში – 25, 388, 435, 438, 455, 462, 463

ორბელიანი ვახტანგ (1812-1890) – პოეტი, სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (თავიდან მიუსაჯეს სიკვდილი – „ოთხად განკვეთა“, შემდეგ სასჯელი შეუცვალეს და კალუგაში გადაასახლეს). იყო „ტფილისის კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკისა“ (1842-1848) და „ქშნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. 1850-იან წლებში დიდი ამაგი დასდო თბილისის საჯარო ბიბლიოთეკას. დაკრძალულია თბილისის სიონის ტაძარში – 25, 53, 392, 463

ორბელიანი მანანა (1808-1870) – საზოგადო მოღვაწე. 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (ვერ დაუმტკიცეს და გაათავისუფლეს, თუმცა საგანგებო მეთვალყურეობა დაუნესეს). 1840-იან წლებში თბილისში ჰქონდა ლიტერატურული სალონი, რომელშიც დაიბადა და ჩამოყალიბდა ქართული პროფესიული თეატრისა და გიორგი ერისთავის „ცისკრის“ დაარსების იდეა. დაკრძალულია კუმისის წმ. სამების ეკლესიაში – 31, 438, 439

ორბელიანი სულხან-საბა (1658-1725) – მწერალი, მეცნიერი, ლექსიკოგრაფი, განმანათლებელი, სასულიერო და პოლიტიკური მოღვაწე. 1713-1716 წწ. ვახტანგ VI-ის დავალებითა და მოკავში-

რეთა მოპოვების დიპლომატიური მისიით იმოგზაურა ევროპაში (საფრანგეთი, იტალია...), თუმცა ეს მისია უშედეგოდ დამთავრდა. ევროპაში ყოფნისას მიიღო კათოლიკობა, რამაც მის მიმართ საქართველოს სასულიერო წრეების მწვავე აგრესია გამოიწვია. გარდაიცვალა მოსკოვში და იქვეა (ვსესვიატსკოეში) დაკრძალული – 108, 109, 389, 391, 393, 394, 404, 441, 442, 463, 464

ორლოვსკაია ნატალია (1920-2014) – ლიტერატურათმცოდნე, ინგლისური ლიტერატურის სპეციალისტი, ქართულ-დასავლეთ-ევროპულ ლიტერატურულ ურთიერთობათა მკვლევარი – 438, 440, 444, 464

ორფეოსი – მომღერალი და მუსიკოსი ძველ ბერძნულ მითოლოგიაში – 261

ორილა მატეო-ჟოზე (1787-1853) – ესპანური წარმოშობის თვალსაჩინო ფრანგი ქიმიკოსი და ტოქსიკოლოგი – 91, 400, 401

ოსმან-ბეგი – ოსმალეთის სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე – 71

ოსმან-ფაშა – ოსმალეთის სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, სერასკირი, პერსონაჟი დიპ. ყიფიანის დოკუმენტური მოთხრობისა „ეკატერინე ჩიჩუა – გურიის უკანასკნელი მთავრის ასული“ – 72, 73, 78, 84

ოქროპირი (პერს.) – 171

ოქროპირიძე ალექსანდრე – იხ. **ალექსანდრე ეპისკოპოსი (ოქროპირიძე)**

3

პავლე I (1754-1801) – რუსეთის იმპერატორი (1796-1801). გიორგი XII-ის „სათხოვართა პუნქტებზე“ დაყრდნობით 1800 წლის 18 დეკემბერს გამოსცა მანიფესტი, რომლის თანახმადაც, უქმდებოდა ბაგრატიონთა ტახტი და ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის უშუალო მმართველობაში გადადიოდა, თუმცა ეს განზრახვა პრაქტიკულად ვერ განახორციელა (1801 წლის 12 მარტს სასახლის კარის შეთქმულებას ემსხვერპლა) – 407-409

პავლე ეგზარქოსი (ერისკაცობაში – პეტრე ლებედევი) (1827-1892) – საქართველოს ეგზარქოსი და ქართლ-კახეთის არქიეპისკოპოსი (1882-1887), მანამდე იყო პეტერბურგის სასულიერო სემი-

ნარიის რექტორი (1866-1868), ვიბორგის (1868-1869), ლადოგის (1869-1871), კიშინიოვისა და ხოტინის (1871-1882) ეპარქიების ეპისკოპოსი (1879 წლიდან – მთავარეპისკოპოსი), რუსეთის წმ. სინოდის წევრი. 1887 წ. გადაიყვანეს ყაზანისა და სვიაჟსკის არქიეპისკოპოსად და ამ თანამდებობაზე გარდაიცვალა ყაზანში. იქვეა დაკრძალული – 31, 37, 38, 468

პავლიაშვილი (პერს.) – 172, 181, 429; იხ. აგრეთვე: **ლამბაშიძე დავით**

პანთინო (პერს.) – 188, 204, 205, 207, 218, 220, 221

პანკრასი (პერს.) – 298, 307-314, 446

პაპავა თამარ (ქალიშვილობის გვარი – **გოგოლაშვილი**) (1888-1976) – მეცნიერი, მწერალი; 1923 წლიდან მეუღლესთან, აკაკი პაპავასთან, ერთად ცხოვრობდა ემიგრაციაში (გერმანია, ავსტრია), საბოლოოდ დამკვიდრდა არგენტინაში – ბუენოს-აირესში. იქვე გარდაიცვალა. დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე – 397, 464

პასკევიჩი ივანე (1782-1856) – გენერალ-ფელდმარშალი (1829 წლიდან). კავკასიის მთავარმართველი (1827-1831) და ჯარების სარდალი (1826-1831). რუსეთის არმიის სარდალი უნგრეთის 1848-1849 წწ. რევოლუციის ჩახშობისას. ერევნის აღებისათვის მოპოვებული ჰქონდა გრაფ ერივანსკის (Граф Эриванский; 1828 წ.), ხოლო ვარშავის დამორჩილებისათვის – უგანათლებულეს თავად ვარშავსკის (Светлейший князь Варшавский; 1831 წ.) ტიტულები. გარდაიცვალა ვარშავაში, დაკრძალულია ქ. გომელში, საოჯახო აკლდამაში – 71, 165, 426, 427

პატარიძე რამაზ – ფილოლოგი, ისტორიკოსი, ავტორი მონოგრაფიული ნაშრომისა „ქართული ასომთავრული“ (თბ.: 1980) – 403, 464

პატი ადელინა (1843-1919) – იტალიელი საოპერო მომღერალი – 29

პატრიკი (პერს.) – 275, 284, 287

პედრო – იხ. **დონ პედრო** (პერს.)

პეტრე I დიდი (1672-1725) – რუსეთის მეფე 1682 წლიდან (1721 წლიდან – რუსეთის იმპერატორი). განახორციელა უმნიშვნელოვანესი რეფორმები რუსეთის პოლიტიკური, სოციალური, სამხედრო, კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების ევროპეიზაციის მიზნით – 134

პიეტრო (პერს.) – 362

პირონი (დაახლ. ძვ. წ. 360-დაახლ. ძვ. წ. 270) – ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი, სკეპტიციზმის სკოლის (პირონიზმის) დამაარსებელი – 298

პრიბილი ივანე (1782-1866) – ჩეხი (ბოჰემიიდან) ექიმი (მედიცინის დოქტორი), რომელმაც რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო, 1808 წლიდან ცხოვრობდა თბილისში და აქვე გარდაიცვალა; თბილისში პირველი სამხედრო ჰოსპიტლის დამაარსებელი, საქართველოში კურორტოლოგიის ფუძემდებელი – 85

პროტეოსი (პროტე) (პერს.) – 188-199, 202-209, 212, 217-219, 225-231, 235, 237, 239-242, 247-250, 257-261, 266, 267, 269-273, 276-281, 284-294, 296

პუშკინი ალექსანდრე (1799-1837) – რუსი მწერალი. ითვლება ახალი რუსული ლიტერატურის ფუძემდებლად – 425

ჟ

ჟანლისი მადლენ ფელისიტე (1746-1830) – ფრანგი მწერალი, რომანებისა და დიდაქტიკურ-მორალისტური თხზულებების ავტორი. დიმ. ყიფიანმა შემოკლებულად („გამოკრებით“) თარგმნა ჟანლისის რომანი „ზვიმა. ქინაქინის ამბავი“ და გამოაქვეყნა ჟურნალ „ცისკარში“ (1858, №9) – 33, 58

ჟერონიმო (პერს.) – 298-304, 306, 307

ჟილეს დ'ავალოსი – იხ. დონ ჟილეს დ'ავალოსი (პერს.)

ჟორდანია – ტექსტის მიხედვით, დასავლურქართული აზნაურული გვარი – 112

ჟორჟ სანდი (ნამდვილი სახელი და გვარი – **ავრორა დიუპენი**) (1804-1876) – ფრანგი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე – 58

ჟორჟოლიანი – ტექსტის მიხედვით, დასავლურქართული აზნაურული გვარი – 112

ჟურული გიორგი (1865-1951) – ჟურნალისტი, პუბლიცისტი, პოლიტიკური (ეროვნულ-დემოკრატი) და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრი (ფინანსთა, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი). გარდაიცვალა ემიგრაციაში (საფრანგეთში). დაკრძალულია ლევილის ქართულ სასაფლაოზე – 27, 464

რ

- რატიანი** – ტექსტის მიხედვით, დასავლურქართული აზნაურული გვარი – 112
- რაუტლეჯი (რაუტლიჯი)** – შექსპირის თხზულებათა გამომცემელი – 470
- რიბუ ჟან** – მოლიერის თანამედროვე და მისი პიესების გამომცემელი – 445
- რიშელიე არმან ჟან დიუ პლესი (1585-1642)** – ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე, კარდინალი, ფრანგული აკადემიის დამფუძნებელი – 339
- რობინ ჰუდი** – შუა საუკუნეების ინგლისური სახალხო ბალადების გმირი; ყაჩაღი, რომელიც მდიდარს ართმევდა და ღარიბს აძლევდა (ცნობილია 30-ზე მეტი ლეგენდა). ცხოვრების წლები და პროტოტიპის ვინაობა დადგენილი არ არის – 264, 443
- როზენი გრიგოლ (1782-1841)** – ინფანტერიის გენერალი, გენერალ-ადიუტანტი, ბარონი, მონაწილეობდა პოლონეთის 1830-1831 წწ. აჯანყების ჩახშობაში, კავკასიის მთავარმართებელი და ცალკე კორპუსის მეთაური 1831-1837 წწ. (უშუალოდ ხელმძღვანელობდა სამხედრო ოპერაციებს ჩრდილოკავკასიელთა წინააღმდეგ). კავკასიიდან წასვლის შემდეგ იყო რუსეთის სენატის წევრი – 19, 82, 84
- რომეო (რომეოსი)** (პერს.) – 32, 33, 418, 438, 439, 469, 470
- როსკოვშენკო ივანე (1809-1889)** – უკრაინელი მწერალი, მთარგმნელი, ჟურნალისტი, ფოლკლორისტი, ნუმიზმატი, სახელმწიფო მოხელე; 1840-იან წლებში ხანგამოშვებით მსახურობდა საქართველოში (ძირითადად, სასკოლო-საგანმანათლებლო სფეროში), 1859-1880 წწ. მსახურობდა მოსკოვის საცენზურო კომიტეტში – 438
- რუსთველი (რუსთაველი) შოთა** – პოეტი, ავტორი „ვეფხისტყაოსნისა“ – 41, 55
- რუსო ჟან-ჟაკ (1712-1778)** – ფრანგი განმანათლებელი, ფილოსოფოსი, კომპოზიტორი, ე. წ. პირდაპირი დემოკრატიის იდეოლოგი – 55
- რუხაძე ტრიფონ (1910-1979)** – ფილოლოგი, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარი, ავტორი წიგნებისა: „ქართული

ეპოსი გარდამავალი ხანის ლიტერატურაში“ (თბ.: 1939), „ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია (თბ.: 1949) და სხვ. – 438, 464

ს

ს. მ. – იხ. მესხი სერგეი

ს. ს. – იხ. ხუნდაძე სილოვან

საადი (XIII ს. დასაწყისი-1292) – პოეტი. სპარსულ-ტაჯიკური ლიტერატურის კლასიკოსი. დიმ. ყიფიანის ცნობით, ჰაფეზის ლექსები ქართულ ენაზე უთარგმნია ალ. ჭავჭავაძეს – 155, 425

სალუქვაძე (პერს.) – 131

სარაჯიშვილი ალექსანდრე (1851-1914) – მწერალი, მეცნიერი, პუბლიცისტი, გამომცემელი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე. სწავლობდა პეტერბურგის, ყაზანის, კიევის უნივერსიტეტებში, საბოლოოდ კი ფენევის უნივერსიტეტის სიტყვიერების ფაკულტეტი დაასრულა (1876). იყო „ქმნ-კვ საზოგადოებისა“ და „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, გაზეთ „ივერიის“ რედაქტორი (1902-1903) და გამომცემელი (1902-1905), „ვისრამიანის“ გამომცემელი (1884; ი. ჭავჭავაძესა და პ. უმიკაშვილთან ერთად), მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რუსთველოლოგიის განვითარებაში – 171, 428, 429

საფაროვა-აბაშიძე მაკო (1860-1940) – მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი, მთარგმნელი, ივ. მაჩაბლის ტრფობის საგანი, თუმცა ეს სიყვარული უიღბლო აღმოჩნდა – 472

სგანარელი (პერს.) – 298-326, 445, 447, 448; იხ. აგრეთვე: **ზგანარელი** (პერს.)

სებასტიანე (პერს.) – 276, 278

სევინიე მადამ დე (1626-1696) – ფრანგი მწერალი, ავტორი „წერილებისა“, რომელიც ფრანგული ეპისტოლური ლიტერატურის შედევრად ითვლება – 58

სვედენბორგი ემანუელ (1688-1772) – შვედი მეცნიერი-ბუნებისმეტყველი (ითვლება მეცნიერული მინერალოგიის ფუძემდებლად), მისტიკოსი, თეოსოფი, მოგზაური, ბიბლიის კომენტა-

ტორი, უფსალის უნივერსიტეტის პროფესორი; ავტორი წიგნისა „ცათა, სულთა სამყაროსა და ჯოჯოხეთის შესახებ“, რომელშიც დამუშავებულია იდეა სულის არსებობისა და მისი უკვდავების შესახებ; ამტკიცებდა, რომ შეეძლო მიცვალებულთა სულებთან დაკავშირება – 108, 109

სიღამონი – ტექსტის მიხედვით, ძველი ქართული გვარი – 121

სითი-ხათუნ ფანასკერტელი (გარდ. 1445) – ვახტანგ IV-ის მეუღლე. დაკრძალულია ბანას ტაძარში – 405

სიმონ N (პერს.) – 130, 131

სიმონი (პერს.) – 362

სილვია (პერს.) – 188, 208-210, 213-216, 221-224, 226-228, 231, 232, 235, 241, 246, 247, 249-251, 258, 266-268, 270-282, 284, 287-295

სოლომონ II (1772-1815) – იმერეთის მეფე (1789-1810). რუსეთის ჯერ აგრესიულმა დიპლომატიურმა კურსმა, შემდეგ კი პირდაპირმა სამხედრო აგრესიამ აიძულა, დაეტოვებინა საქართველო და 1810 წ. მაისში ახალციხის საფაშოში გადახვეწილიყო. იმავე წლის ზაფხულში დაბრუნდა იმერეთში და სამეფოს აღდგენის მიზნით ხალხი ააჯანყა, თუმცა დამარცხდა და ისევ ახალციხეს შეაფარა თავი. გარდაიცვალა ტრაპიზონში, იქვე (ბერძნული ეკლესიის გალავანში) ემარხა 1990 წლამდე. ამჟამად მისი ნეშტი გელათში განისვენებს – 67, 85, 135, 397

სოფიო (გარდ. 1829) – გურიის დედოფალი (მამია V გურიელის მეუღლე, გიორგი წულუკიძის ასული), გურიის დროებითი სამმართველო საბჭოს თავმჯდომარე (1826-1828), ცდილობდა გურიის სამთავროს დამოუკიდებლობის აღდგენას, თუმცა დამარცხდა და ოსმალეთში გადაიხვეწა. გარდაიცვალა 1829 წლის 7 სექტემბერს ტრაპიზონთან ახლოს, დაკრძალულია პლატანაში (დღევანდელი აქჩააბათი) – 69-73, 80, 397, 398, 464

სტალი ან ლუიზ ჟერმენ დე (მადამ დე სტალი) (1766-1817) – ფრანგი მწერალი, ლიტერატურის თეორეტიკოსი, პუბლიცისტი, პოლიტიკური თხზულებების ავტორი, მემუარისტი; ჰქონდა სალონი, რომელიც იყო ფრანგული აბსოლუტიზმის ოპოზიციონერთა და კონსტიტუციონალისტთა მნიშვნელოვანი კერა – 58

სტაუნტონი (სტანტონი) ჰოვარდ (1810-1874) – ინგლისელი ლიტერატურათმცოდნე, შექსპირის შემოქმედების ზედმინვნით

მცოდნე და მკვლევარი, თავის დროზე ცნობილი მოჭადრაკე და
ჭადრაკის ისტორიკოსი – 470

სტენჰოუპ (სტენჰოპ) ესთერ (1776-1839) – ბრიტანელი არისტოკრა-
ტი, მოგზაური, არაერთი ავანტიურისტული მოვლენის მონაწილე
ახლო აღმოსავლეთში, არქეოლოგი; მისი ხელმძღვანელობით ჩა-
ტარებული ამკვლეონის გათხრები (1815) ღირსშესანიშნავ ნიშანს-
ვეტად ითვლება არქეოლოგიაში. სიცოცხლის ბოლო წლები გან-
მარტოებით გაატარა ლიბანის ქალაქ სიდონთან ახლოს მდებარე
მიტოვებულ მონასტრებში – 59

სტრაბონი (ძვ. წ. 64/63-ახ. წ. 23/24) – ძველი ბერძენი ისტორიკოსი,
გეოგრაფი, მოგზაური, ავტორი თხზულებებისა „საისტორიო
ნარკვევები“ და „გეოგრაფია“, რომლებიც წარმოადგენს უძვირ-
ფასეს და სანდო წყაროს ანტიკური ხანის, მათ შორის, საქართ-
ველოს (იბერია, კოლხეთი) ისტორიის, ისტორიული გეოგრაფიის,
ეთნოგრაფიის შესასწავლად – 117

სტრუპეტოვი გრიგოლ (დაბ. 1844) – დიმ. ყიფიანის ერთ-ერთი
მკვლელი (თედორე შულგინთან ერთად). 1889 წ. სტავროპოლის
საოლქო სასამართლომ თორმეტწლიანი კატორღა მიუსაჯა – 40
სულხან-საბა – იხ. **ორბელიანი სულხან-საბა**

ტ

ტაბატაძე კარლო (1933-1990) – ისტორიკოსი, აღმოსავლეთმცოდნე,
მწერალი – 405, 465

ტაბიძე ნოდარ (1930-2016) – მეცნიერი, ლიტერატორი, ძირითადად
იკვლევს XIX ს. ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის საკითხებს,
მნიშვნელოვანი ნაშრომების ავტორი გალაკტიონოლოგიაში –
393, 465

ტამბერლიკი ენრიკო (1820-1889) – იტალიელი მომღერალი (ტე-
ნორი), გამოდიოდა იტალიისა და მსოფლიოს მრავალი ქვეყნის
(ბრიტანეთი, საფრანგეთი, ესპანეთი, რუსეთი...) საოპერო სცე-
ნებზე – 29

ტარყაშვილი ნინო – პოეტი, ჟურნალისტი, შემდგენელი წიგნისა
„ქართველ წმინდანთა პოეზია“ (თბ.: 2013) – 389

ტატიშვილი-ყიფიანი ნინო (1867-1937) – დიმიტრი ყიფიანის რძალი (კოტე ყიფიანის მეუღლე), პუბლიცისტი (ფსევდ.: „ნ-ნო ყ-სა“, „მეთვალყურე“, „მეგობარი“...), მწერალი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, რ. ჯოვანიოლის „სპარტაკის“ (ტფ.: 1900) მთარგმნელი. 1923 წ. მემკვიდრის უფლებით დიმიტრი ყიფიანისეული სახლ-კარი უსასყიდლოდ გადასცა საქართველოს მწერალთა კავშირს. დაკრძალულია ქვიშხეთში, მაცხოვრის აღდგომის დედათა მონასტრის ეზოში – 11, 468

ტირისი (ტირცისი) (პერს.) – 360

ტოლსტოი დიმიტრი (1823-1889) – რუსი სახელმწიფო მოღვაწე, ისტორიკოსი, გრაფი, რუსეთის წმ. სინოდის ობერპროკურორი (1865-1880), შინაგან საქმეთა მინისტრი და ჟანდარმთა შეფი (1882-1889), პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიის პრეზიდენტი – 31, 38

ტომეზი (პერს.) – 328, 337-341, 343, 345, 346

ტროლოპი ფრენსის (1779-1863) – ინგლისელი მწერალი, ავტორი 40-მდე რომანისა, მწერალ ენტონი ტროლოპის (1815-1882) დედა. გარდაიცვალა ფლორენციაში, იქვეა დაკრძალული – 58

ტულუში ვიოლა – გამომცემლობა „არტანუჯის“ თანამშრომელი – 564

უ

